

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ი.ჯორდანია სახელობის საქართველოს საწარმოო  
ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი  
ცენტრი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

I.ZHORDANIA CENTER STUDYING PRODUCTIVE FORCES  
AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

საქართველოს საწარმოო ძალები  
და  
ბუნებრივი რესურსები

რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

PRODUCTIVE FORCES AND NATURAL  
RESOURCES OF GEORGIA

Reviewable and peer-reviewed scientific journal

№1(4)

თბილისი - Tbilisi

2024

## სარედაქციო საბჭო:

**თავმჯდომარე:** ზურაბ ლომსაძე - ცენტრის დირექტორი, მთ. მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი.

**წევრები:** ნოდარ ჭითანავა - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; გიორგი მაღალაშვილი - გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ოთარ ფარესიშვილი - ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი; ლაურა კვარაცხელია - ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი; ნოდარ გრძელიშვილი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი; დავით გამეზარდაშვილი - ქიმიის აკადემიური დოქტორი; გივი თალაკვაძე - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი; ქეთევან ვეზირიშვილი-ნოზაძე - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; ნოდარ მირიანაშვილი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

**ნომრის რედაქტორი:** ნელი ქაფიანიძე, ინგლისურენოვანი ტექსტის: ვალენტინა მირზაევა.

სტატიაში მოყვანილი ფაქტების და მონაცემების სიზუსტესა და საავტორო უფლებებზე პასუხს აგებს ავტორი.

### Editorial Board:

**Chairman:** Zurab Lomsadze, Director of the Center, Senior Scientific Worker, Doctor of Technical Sciences, Professor, Corresponding Member of Georgian Engineering Academy.

**Members:** Nodar Chitanava, Doctor of Economical Sciences, Academician of Georgian Academy of Agricultural Sciences; Giorgi Maghalashvili, Doctor of Geological and Mineralogical Sciences; Otar Paresishvili, Academic Doctor of Chemistry; Laura Kvaratskhelia, Academic Doctor of Chemistry; Nodar Grdzlishvili, Academic Doctor of Economics; David Gamezardashvili, Academic Doctor of Chemistry; Givi Talakvadze, Academic Doctor of Physics and Mathematics; Ketevan Vezirishvili-Nozadze, Doctor of Technical Sciences; Nodar Mirianashvili, Doctor of Technical Sciences.

**Editor:** Neli Qapianidze, **English text:** Valentina Mirzaeva.

The responsibility for the authenticity of the information and facts provided in the article rests with the author.

მისამართი: საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.N69, სტუ. კ.X, სართული V, ოთახი 515.

[www.gtu.ge](http://www.gtu.ge); [www.gnr.gtu.ge](http://www.gnr.gtu.ge); ელ-ფოსტა: [kepsi@gtu.ge](mailto:kepsi@gtu.ge); [z.lomsadze@gtu.ge](mailto:z.lomsadze@gtu.ge)

ტელ: (+995 32) 2223216; (+995 32) 599514284

**Address:** Georgia, Tbilisi, Kostava St. N69, GTU, Building X, floor V, room 515.

[www.gtu.ge](http://www.gtu.ge); [www.gnr.gtu.ge](http://www.gnr.gtu.ge); E-mail: [kepsi@gtu.ge](mailto:kepsi@gtu.ge); [z.lomsadze@gtu.ge](mailto:z.lomsadze@gtu.ge);

Tel: (+995 32) 2223216; (+995 32) 599514284

© საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი.ჯორჯიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი  
Georgian Technical University I.Zhordania Center Studying Productive Forces and Natural Resources of Georgia

ემღვნება პროფესორ პაატა კოღუაშვილის  
*ნათელ ხსოვნას*

In cherished memory of  
*Professor Paata Koghuashvili*

პროფესორი პაატა კოლუაშვილი  
*ეკონომისტი, მეცნიერი, პოლიტიკოსი*

**Professor Paata Koghuashvili**  
*Economist, scientist, politician*



#### **ლიდერად დაბადებული**

პაატა კოლუაშვილის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ეროვნული მეცნიერებისათვის. საინტერესო მოვლენებით არის წარმოდგენილი მისი ცხოვრების განვლილი გზა. დაიბადა ძირძველი ტრადიციებისადმი ერთგულებით ცნობილ ოჯახში. ეპოქის შესაფერისი ბავშვობა დაეწყო, მაგრამ ადრეულ ასაკში მამა გარდაეცვალა. დედამ შვილებს ოჯახის ტრადიციების შესაფერისი განათლება მისცა. პაატა ცოდნისადმი დაუოკებელი სწრაფვით გამორჩეული სანიმუშო მოსწავლე, სტუდენტი, ასპირანტი იყო. გამოიარა მეცნიერებაში აღიარებული ყველა საფეხური, დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. არჩეული იყო დოცენტად, პროფესორად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. მისი მეცნიერული კარიერა გამოირჩევა მიზანდასახულობით, რთული პრობლემების შესწავლის სულისკვეთებით, ეროვნული მეცნიერული მემკვიდრეობისადმი ფაქიზი დამოკიდებულებით. 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ამშვენებს მის სამეცნიერო

მოღვაწეობას. აღსანიშნავია მისი როლი საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემების შესწავლაში. იგი ნოვატორი მეცნიერ-მკვლევარის პოზიციებიდან სწავლობდა, აანალიზებდა, ანზოგადობდა უცხოელთა გამოცდილებას. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში ღრმად წვდებოდა ნიუანსებსაც, რომლებიც დამახასიათებელი იყო ამა თუ იმ ქვეყნის თავისებურებებისათვის. მაღალი ნიჭით დაჯილდოვებული კაცი, შეუპოვრად, „ცოდნის ჩარხზე გაღესილი ჭკუით“ ამკვიდრებდა ნიჭისა და ცოდნის კონცენტრირებულად გამოყენების სტილს, მეცნიერული ლოგიკით იკვლევდა პროცესებს, საკუთარ თვალსაზრისს ლაკონურად აყალიბებდა და ფრიად მნიშვნელოვან დასკვნებს სთავაზობდა პრაქტიკას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო სამი წლის განმავლობაში მისი შემოქმედების მასშტაბურობა, კვლევის პრობლემების შერჩევა-რანჟირების ალღო და უნარი, პრობლემების შესწავლის მისეული სტილი, მოვლენების, პროცესების ურთიერთდამოკიდებულების და ურთიერთგანპირობებულობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მყისიერად აღთქმის ხელწერა. მისი ნაშრომები დიდი შენაძენია ეროვნული, კერძოდ, აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერებისათვის. განუზომლად დიდია მისი, როგორც ჩინებული პედაგოგის როლი ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდაში.

პაატას ცხოვრებაში მისი მოღვაწეობის ასპარეზი მხოლოდ მეცნიერული და პედაგოგიური საქმიანობით არ ამოიწურება. იგი გამორჩეული სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის სტატუსითაა ცნობილი საზოგადოებაში. ახალგაზრდულ ასაკში ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე მისი ხელმოწერა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი პოზიციის მაღალი ხარისხის დადასტურებაა. აქტიურად იმუშავა დამოუკიდებელი საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში.

მისი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო – პუბლიცისტიკა. ღრმად გააზრებული, ყოველთვის ეროვნულ თემატიკაზე ორიენტირებული სტატიები, ტელეგადაცემები, შემოქმედებით ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობების სანიმუშო მაგალითები ადასტურებს მისი განსწავლულობის მაღალ დონეს, რომ იგი დღენიდაგ ფიქრობდა საქვეყნო საქმეებზე და მისთვის ჩვეული შემართებით იბრძოდა მშობლიური მიწა-წყლის აღორძინებისათვის.

პაატას ცხოვრებისა და წარმატებული, მრავალმხრივობით გამორჩეული მოღვაწეობის მასტიმულირებული წყარო – ქალბატონ ნინოსთან ერთად შექმნილი ოჯახი იყო. საქართველოში აღიარებული საზოგადო მოღვაწის რობინზონ ჩიხლამის ასულმა ქალბატონმა ნინომ საზოგადოებას მისცა სანიმუშო მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს ქართველი დედა, მეუღლე, ბებია. განსაკუთრებით ეს გამოჩნდა პაატას ხანგრძლივი ავადმყოფობის პერიოდში. დარწმუნებული ვართ, რომ ქალბატონი ნინო უნარიანად გაუძღვება ოჯახს, ყველგან და ყოველთვის ხელს შეუწყობს სახელოვანი წინაპრების მამულიშვილური ტრადიციების შემდგომ გაღრმავებასა და განმტკიცებას.

პაატა კოლუაშვილი – ოჯახის კაცი – ნოვატორი მეცნიერი – გამორჩეული სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე მამულიშვილი.

**საქართველოში ასეთ კაცებს არ ივიწყებენ.**

*ნოდარ ჭითანავა*

## პროფესორ პაატა კოლუაშვილის ბიოგრაფია

დაბადების თარიღი: 5 სექტემბერი, 1956

გარდაცვ. თარიღი: 7 ოქტომბერი, 2024 (68 წლის ასაკში)

### ბიოგრაფია

დაბადების ადგილი: ქ. ქუთაისი.

დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტატი, ეკონომისტ-ორგანიზატორის კვალიფიკაციით 1978 წელს; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (კახეთის ფილიალი) იურიდიული ფაკულტეტი 2003 წელს.

1978-1988წწ. იყო ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მევენახეობისა და მეხილეობის მთავარი სამმართველოს წამყვანი ეკონომისტი, მთავარი ეკონომისტი; 1989 წლიდან - საქართველოს კოლმეურნეობათა საბჭოს გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობათა სექტორის უფროსი; 1990-1991წწ. - საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, საარჩევნო ბლოკი: "საქართველოს სახალხო ფრონტი", საარჩევნო ფორმა: მაჟორიტარული, მაჟორიტარი ადიგენის საარჩევნო ოლქიდან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); 1992-1995 წწ. - საქართველოს მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე აგრარულ საკითხებში; 1992-1995წწ. - საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკი: "11 ოქტომბერი" - "საქართველოს სახალხო ფრონტი", საარჩევნო ფორმა: პროპორციული წესით, №5 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქიდან. 1995 წ. აგვისტოში ხელი აქვს მოწერილი საქართველოს კონსტიტუციაზე. 70-ზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე-მომხსენებელი. სახელმძღვანელოების რედაქტორი, მონოგრაფიებისა და სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო საბჭოს წევრი. 2017 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით მიენიჭა ექსპერტის წოდება აგრარული ეკონომიკის დარგში. 300 სამეცნიერო შრომისა და სტატიის ავტორი - აგროეკონომიკურ, სასურსათო უშიშროების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მიწის რესურსებისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის პრობლემებზე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამის "აგრარული ეკონომიკა" ხელმძღვანელი. 2021 წლიდან ამავე უნივერსიტეტის ი. ჟორდანიას სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მიწის, წყლისა და ტყის რესურსების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (2003), პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

### ორგანიზაციის, ასოციაციის ან ჯგუფის წევრი

- ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, ნამდვილი წევრი (2014-)
- ომის და სამხედრო ძალების ვეტერანი N107 300 0944
- საგანგებო ეკონომიკური საბჭო, წევრი
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, ნამდვილი წევრი
- საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტი, წევრი (1992-1995)
- საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (1992-1995)
- საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭო, წევრი (1990-1991)

- საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს აგრარული რეფორმის ქვეკომისია, თავმჯდომარე (1990-1991)
- საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო, წევრი (1992-1992)
- საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო, აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (1992-1992)
- საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემია, აკადემიკოსი (2015-)
- საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემია, წევრ-კორესპონდენტი (2004-2015)
- სახელმწიფოს მეთაურის წარმომადგენელი აგრო-სასურსათო სექტორი, წევრი
- ფაზისის მეცნიერებათა აკადემია, ნამდვილი წევრი (2018-)
- ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, ნამდვილი წევრი (2012-)

### ჯილდოები, პრემიები და პრიზები

- 2017 - აგრარული ეკონომიკის დარგის ექსპერტის წოდება (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ადემიის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით)
- 2017 - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელი „აგრარული ეკონომიკის დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“
- 2014 - საქართველოს საუკეთესო მეცნიერის წოდება აგრარული ეკონომიკის დარგში
- 2013 - ღირსების ორდენი
- 1995 - აკაკი წერეთლის სახელობის პრემია.

### ბიბლიოგრაფია

- „ინდუსტრიული სოფელი - მომავლის გლობალური გამოწვევა“, (თანაავტორი), თბილისი, 2024, 492 გვ.
- „მარადიული ქართული სოფელი“ (თანაავტორი), თბილისი, „მერიდიანი“, 2024, 260 გვ.
- „საქართველოს სოფლის მეურნეობა - გამოწვევები და პერსპექტივები“, თბილისი, „პოლიგრაფი“ (თანაავტორი), 2023, 154 გვ.
- „თეოლოგიურ-ეკონომიკური ნარკვევები“ (თანაავტორი) თბილისი, „საარი“ 2023, 223 გვ.
- მიწის ადმინისტრირება და მიწათსარგებლობის მონიტორინგი (თანაავტორი). - სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2023, 232 გვ.
- მიწის მმართველობა : სახელმძღვანელო (თანაავტორი). - თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2018. - 184გვ. . - ISBN: 9789941281655.
- საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროგნოზი (თანაავტორი). - თბილისი, საარი, 2017. - 60გვ.
- საქართველოს ეკონომიკა : სახელმძღვანელო (თანაავტორი). - თბილისი, შპს "თეკა & კომპანია", 2016. - 388გვ.. - ISBN: 9789941084270.
- უძრავი ქონების ეკონომიკა : სახელმძღვ. (თანაავტორი). - თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2013. - 378გვ.. - ISBN: 9789941202674.
- ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალთ (ავტორი). - თბილისი, მერიდიანი, 2012. 102გვ.. - ISBN: 978-9941-10-701-6
- აგრარული საწარმოს ეკონომიკა : სახელმძღვ. (ავტორი). - თბილისი, საარი, 2010. - 250გვ.. - ISBN: 978-99940-60-90-0.
- საქართველო - ვაზისა და ხორბლის ქვეყანა : ორი ილია [ილია ჭავჭავაძე და კათოლიკოს-პატრიარქი ილია II] (ავტორი). - თბილისი, ინოვაცია, 2009. - 56გვ.. - ISBN: 9789941907555.
- ქართველთა კვების კულტურა (თანაავტორი). - თბილისი, ინოვაცია, 2009. - 188გვ.. - ISBN: 9789941911941.
- „სამკვიდროს გულიდამ ამოღება ძნელია“ : ილია ჭავჭავაძე სოფლის მეურნეობის შესახებ (ავტორი). - თბილისი, უნივერსალი, 2007. - 92გვ.. - ISBN: 9789941120534.
- სოფლის მეურნეობის ეკონომიკა : სახელმძღვ. ეკონ. სპეც. სტუდ. (ავტორი). - თბილისი, თბილ. უნ-ტის გამბა, 2006. - 543გვ.. - ISBN: 99940-855-0-6.
- საქართველოს სასურსათო უშიშროება : რეალობა და პროგნოზები (ავტორი). - თბილისი, კოლორი, 2004. - 272გვ.. - ISBN: 99928-0-765-2.
- სასურსათო პრობლემიდან-სასურსათო უსაფრთხოებამდე (თანაავტორი). - თბილისი, 2003. - 140გვ. . - ISBN: 9992816341.
- აგრარული რეფორმა : შედეგები და პერსპექტივები (ავტორი). - თბილისი, 1998. - 104გვ.

საქართველოს ბუნებრივი რესურსები  
*კვლევა, ანალიზი, შეფასება, რეკომენდაცია*  
(შრომათა კრებული)

Natural Resources of Georgia  
*Research, Analysis, Assessment, Recommendation*  
(Collection of works)



## შინაარსი

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი.ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ ცენტრს დაარსებიდან 46 წელი შეუსრულდა ზ.ლომსაძე .....8
2. მიწის რესურსების გამოყენების სამართლებრივი ასპექტები და მართვის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა ი.ახალბედაშვილი .....35
3. საქართველოში ორგანული (ეკოლოგიური) სოფლის მეურნეობის განვითარების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები ვ.ზეიკიძე .....78
4. მიწის რესურსების მართვაში დაზღვევის სრულყოფის პრობლემები ვ.ზეიკიძე .....116
5. სამოვრების მართვის ორგანიზაციული სისტემის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები ვ.ზეიკიძე, რ.ფირცხალავა.....140
6. სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების პრობლემები საქართველოში (კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომა) ნ.ჭითანავა, რ.ფირცხალავა.....162
7. საქართველოს ეკონომიკაში რეგიონული და სამთოსამრეწველო კლასტერების ფორმირებისა და ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებები ნ.ფოფორაძე, ხ.ლექავა, გ.ლობჯანიძე, გ.ნანიტაშვილი .....188
8. საქართველოს განახლებადი ენერგორესურსები. ენერგეტიკული სექტორის განვითარების ეროვნული სამოქმედო გეგმები და მათი მხარდაჭერის სქემები. სტრატეგია და გამოწვევები ქ.ვეზირიშვილი-ნოზაძე, ნ.არაბიძე, ნ.მირიანაშვილი .....218
9. ობიექტური ანალიზის და ციფრული ტექნოლოგიების რესურსები. ხედვა პრაგმატული მომავლიდან გ.თალაკვაძე .....286
10. ნავთობწარმოქმნის კავშირი ვულკანიზმთან გ.მაღალაშვილი .....303
11. ახალი მიდგომების შესახებ ბუნებრივი რესურსების სფეროში ო.ფარესიშვილი, ვ.მირზაევა .....308
12. გენდერული რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციის შესახებ თანამედროვე საზოგადოებაში ვ.მირზაევა .....316

## Content

<b>1. The I.Zhordania Center For The Study Of Georgian Industrial Forces And Natural Resources Of The Georgian Technical University Has Celebrated Its 46 th Anniversary</b> Z.Lomsadze .....	<b>8</b>
<b>2. Legal Aspects Of Land Resource Use And Management Improvement Of The Legislative Framework</b> I.Akhalbedashvili .....	<b>35</b>
<b>3. Current Status And Prospects Of The Development Of Organic (Ecological) Agriculture In Georgia</b> V.Zeikidze .....	<b>78</b>
<b>4. Problems Of Improving Insurance In Land Resource Management</b> V.Zeikidze .....	<b>116</b>
<b>5. Measures To improve The Efficiency Of The Pasture Management Organizational System</b> V.Zeikidze, R.Pirtskhalava .....	<b>140</b>
<b>6. Problems Of Sustainable Development Of Rural Areas In Georgia (Conceptual-Methodological Approach)</b> N.Chitanava, R.Pirtskhalava .....	<b>162</b>
<b>7. The Main Directions Of Formation And Functioning Of Regional And Mining-Industrial Clusters In The Georgian Economy</b> N.Poporadze, K.Lezhava, G.Lobjanidze, G.Nanitashvili .....	<b>188</b>
<b>8. Renewable Energy Resources Of Georgia. National Action Plans For The Development Of The Energy Sector And Their Support Schemes. Strategy And Challenges</b> K.Vezirishvili-Nozadze, N.arabidze, N.Mirianashvili.....	<b>218</b>
<b>9. Objective Analysis And Digital Technology Resources. A Vision From a Pragmatic Future</b> G.Talakvadze .....	<b>286</b>
<b>10. The Role Of Volcanism In The Oil Generation</b> G. Maghalashvili .....	<b>303</b>
<b>11. About New Approaches In The Resource Sphere</b> O. Paresishvili, V.Mirzaeva .....	<b>308</b>
<b>12. Concerning The Optimization Of Gender Resource Use In Modern Society</b> V.Mirzaeva .....	<b>316</b>

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
სტუ-ის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და  
ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დირექტორი

## 2024 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ ცენტრს დაარსებიდან 46 წელი შეუსრულდა

ჟურნალის მკითხველს ქართულ და ინგლისურ ენებზე ვთავაზობთ ინფორმაციას ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების შესახებ, როგორცაა: მისი შექმნისა და რეორგანიზაციის მოკლე ისტორია, მასში სხვადასხვა დროს მოღვაწე ცნობილი მეცნიერებისა და სპეციალისტების ჩამონათვალი, ცენტრის მისია, სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის ძირითადი მიმართულებებით ბოლო წლებში შესრულებული სამუშაოების ნუსხა და მნიშვნელოვანი სამეცნიერო-პრაქტიკული შედეგები, ძირითადი პუბლიკაციები, ცნობები ცენტრის საგანმანათლებლო თუ სხვა სახის აქტივობებისა და პერსონალის შესახებ.

### ცენტრის მოკლე ისტორია

საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი კომისიის სახით ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 17 აგვისტოს N537 და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის იმავე წლის 14 სექტემბრის N279 დადგენილებათა საფუძველზე. 2006 წელს კომისიამ მიიღო საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და ეწოდა სსიპ „საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი“. 2010 წელს ცენტრი შეუერთდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის სახით. 2017 წელს სტუ-ის სენატის 31 მაისის N26 სხდომის N1 დადგენილებით ცენტრს მიენიჭა საუნივერსიტეტო დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსი. 2018 წლიდან ცენტრი ატარებს აკადემიკოს ირაკლი ჟორდანიას (17.09.1931-29.04.2018) სახელს.

სხვადასხვა დროს კომისიის (ცენტრის) სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში მოღვაწეობდნენ აკადემიკოსები: ა. მიძიგური, ი. მიქელაძე, ვ. მელქაძე, ფ. თავაძე, გ. ციციშვილი, ვ. გომელაური, ი. ბუაჩიძე, ო. ნათიშვილი, თ. დავითაია, ვ. გულისაშვილი, ა. გუნია, გ. თვალჭრელიძე, ი. ჟორდანიას, თ. ურუშაძე, ე. კვეციანი, პ. კოლუაშვილი; აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: კ. ბეთანელი, გ. სვანიძე, ლ. ჩიქავა; საინჟინრო აკადემიის წევრები: თ. ჯანელიძე, გ. გოგინია; ცნობილი მეცნიერები: ი. ზურაბიშვილი, ი. მესხია, პ. ჟღენტა, გ. ქობულაია, ე. ცისკარიშვილი, ბ. დემეტრაძე, ა. ბუხნიკაშვილი, ნ. თავხელიძე, ე. ნაკაიძე, ი. მელიქიძე, ნ. იაშვილი, ვ. კაკაბაძე, ვ. გიგიბერია, ჯ. ხოშტარია, ი. სავოსტინა, თ. ლალიძე, შ. ონიანი, ა. ნანაძე, ი. ცინცაძე, ა. სულაძე, ჯ. მაჭავარიანი, მ. ციციშვილი; სამთო ინჟინრები: ე. ჯაფარიძე, კ. კუჭუხიძე, ი. გოგიტიძე, ა. გამხარაშვილი, ლ. შენგელია, დ. კაჟილოტი, ა. დვალაძე, ა. ჯიქია და სხვ.

1978-1997 წწ. კომისიის თავმჯდომარე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი არჩილ მიძიგური; 1997-2006 წწ. ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ლენინური პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი და ამავე აკადემიის ოქროს მედლის მფლობელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ირაკლი ჟორდანიას. 2006-2017 წწ. იგი ხელმძღვანელობდა ასევე ცენტრის სამეცნიერო საბჭოს; 2006-2011 წწ. ცენტრის დირექტორი იყო საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ტექნიკის

მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ის პროფესორი ქეთევან ვეზირიშვილი-ნოზაძე; 2011 წლიდან დღემდე ცენტრს ხელმძღვანელობს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ღირსების მედლისა და ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორი ზურაბ ლომსაძე.

აღსანიშნავია, რომ ცენტრში მოღვაწე მეცნიერთაგან ნ. ჭითანავას, გ. თალაკვაძეს, ი. ჟორდანიასა და პ. კოლუაშვილს წილად ხვდათ საპატიო მისია, ხელი მოეწერათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 1991 წლის 9 აპრილის აქტზე.

ცენტრში ამჟამად ფუნქციონირებს ოთხი სამეცნიერო განყოფილება: 1. მიწის, წყლისა და ტყის რესურსების; 2. ადამიანური (შრომითი), ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებისა და რესურსსარგებლობის სივრცითი განვითარების; 3. მინერალური რესურსების; 4. ენერგეტიკული რესურსებისა და ეკოლოგიის.

ცხრილი 1.

მონაცემები ცენტრის პერსონალის შესახებ

თანამდებობა	საშტატო ერთეულთა რაოდენობა	ფაქტობრივად დასაქმებულ პირთა რაოდენობა	მ/შ ქალი	65 წელს გადაცილებულ პირთა რაოდენობა, %
ადმინისტრაციული პერსონალი	2	2	-	-
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	10.5	13	2	7/53.8
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	5	7	2	4/57.1
მეცნიერი თანამშრომელი	1.5	2	2	1/50.0
სულ სამეცნიერო პერსონალი	17	22	6	12/54.5
დამხმარე პერსონალი	3	5	3	3/60.0
სულ პერსონალი	22	26	9	18/69.2

სამეცნიერო პერსონალში 17 დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირია, 6 კი — მეცნიერებათა დოქტორი. მათ შორის: 8 პროფესორია, 1 \_ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 6 \_ საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, 1 \_ საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის წევრი, 3 \_ ევროპის საბუნებისმეტყველო აკადემიის წევრი, 1 \_ საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და 1 \_ ამავე აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1 \_ საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, 2 \_ საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

ცენტრი საინჟინრო-ეკონომიკური მიმართულების მრავალპროფილიანი სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელიც კომპლექსურად იკვლევს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების სფეროს. ცენტრის მისიაა ქვეყნის წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რესურსული პოტენციალისა და საწარმოო ძალების კვლევა, მათი რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების

რეგიონული და დარგობრივი ასპექტების ანალიზი, ეფექტიანი გამოყენების კონცეპტუალური მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ 2010 წელს ცენტრი ქვეყანაში საუკეთესო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად აღიარა.

### **სამეცნიერო კვლევის ობიექტი**

- საქართველოს ბუნებრივი რესურსების პოტენციალი;
- ბუნებრივი რესურსების გამოყენების რეგიონული და დარგობრივი პრობლემები;
- საქართველოს საწარმოო ძალების (შრომითი რესურსების) პოტენციალი;
- საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის პრობლემები.

### **საგანმანათლებლო საქმიანობა**

- სტუ-ის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტზე დანერგულია ლექციათა კურსი საგნებში: „რესურსმცოდნეობის საფუძვლები“ (ბაკალავრიატი) და „საქართველოს ინტეგრალური რესურსები“ (მაგისტრატურა);

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაინერგა ლექციათა კურსი საგანში – „რესურსების გამოყენების ეკონომიკური პოლიტიკა“ (მაგისტრატურა). ამავე უნივერსიტეტთან არსებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე 20.11.2024 წლიდან ცენტრში ტარდება სამეცნიერო სემინარების ციკლი სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში;

- ცენტრი სისტემატურად ატარებს სამეცნიერო სემინარებსა და თემატურ პრეზენტაციებს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, ქვეყნისა და მისი რეგიონების, მხარეების ეკონომიკური განვითარების საკითხებზე სხვადასხვა უნივერსიტეტებში, სამთავრობო სტრუქტურებსა და პარლამენტში, მუნიციპალიტეტებში, ბიზნესწრეებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

### **სამომავლო ამოცანები**

- ✓ საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება-განხორციელება რესურსმცოდნეობაში, რესურსების მართვასა და რესურსსარგებლობაში;
- ✓ რესურსსარგებლობის დარგში მაღალი საინვესტიციო პოტენციალის მქონე ბიზნესწინადადებებისა და პროექტების ინიცირება და ბიზნესთან აქტიური თანამშრომლობა;
- ✓ ციფრული ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის ხელშეწყობა რესურსების მართვისა და გამოყენების ოპტიმიზაციის მიზნით;
- ✓ კანონშემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი გაგრძელება;
- ✓ თანამშრომლობის გაღრმავება სხვა დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ერთეულებთან ერთობლივი პროექტების ინიცირებისა და საგრანტო კონკურსებში თანამონაწილეობის მიზნით.

### **გამოქვეყნებული ძირითადი ნაშრომები (წიგნები, სახელმძღვანელოები)**

- მ. როყვა, გ. მაღალაშვილი, რ. გვარჯალაძე, „საქართველოს ადგილობრივი აგრონომიული მადნები“, თბილისი, 1981, 182 გვ.
- Комплексная программа научно-технического прогресса СССР на 1986-2005 годы (региональный раздел 4.5. Комплексная программа научно-технического прогресса Грузинской ССР), Москва, 1983, 210 с.

- Комплексная программа научно-технического прогресса СССР на 1991-2010 годы (региональный раздел 4.6. Комплексная программа научно-технического прогресса Грузинской ССР), Москва, 1988, 570 с.
- Г. Магалашвили и др. «Фарфоровые камни СССР», Москва, «Недра», 1988, 140 с.
- Природные ресурсы Грузии и проблемы их рационального использования, Тбилиси, "МЕЦНИЕРЕБА", 1991, 702 с.
- გ. მაღალაშვილი „არალითონური სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა სამრეწველო ტიპები“, თბილისი, სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000, 208 გვ.
- საქართველოს მხარეების ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები, ნაშრომთა ციკლი \_ 12 მონოგრაფია, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“, თბილისი, 2005-2012 წწ.
- ქ. ვეზირიშვილი, „ენერგოეფექტურობის მენეჯმენტი თბოენერგეტიკაში“, სახელმძღვანელო, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2008, 59 გვ.
- ქ. ვეზირიშვილი, „თბომასაგადამცემი დანადგარები და თბოფიკაცია“, სახელმძღვანელო, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009, 85 გვ.
- ქ. ვეზირიშვილი, „თბოენერგეტიკული სისტემების დაგეგმარება და ექსპლუატაცია“, სახელმძღვანელო, 2010, 72 გვ.
- ქ. ვეზირიშვილი, „გეოთერმული თბოსიცივითომარაგების სისტემების ოპტიმალური განვითარების მეცნიერული საფუძვლები და მისი წვლილი საქართველოს სათბოენერგეტიკულ კომპლექსში“, თბილისი, „საუნჯე“, 2010, 168 გვ.
- ქ. ვეზირიშვილი, „გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები ენერგეტიკაში“, სახელმძღვანელო, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2011, 64 გვ.
- თ. ურუშაძე, „საქართველოს ნიადაგები“, თბილისი, „მწიგნობარი“, 2014, 331 გვ.
- საქართველოს ბუნებრივი რესურსები, I-II ტომი, თბილისი, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“, 2015, 1183 გვ.
- ნ. ჭითანავა, „საქართველოს სოფლის მეურნეობა \_ ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები“, თბილისი, „ივერიონი“, 2015, 159 გვ.
- ქ. ვეზირიშვილი, „სითბო-სიცივით მომარაგების საფუძვლები“, სახელმძღვანელო, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2016, 126 გვ.
- გ. მაღალაშვილი, ი. ახვლედიანი „საქართველოს სანახევლავო ქვები“ - სახელმძღვანელო, თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2017, 151 გვ.
- ნ. ჭითანავა, „საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია“, თბილისი, „ივერიონი“, 2018, 376 გვ.
- „აკადემიკოსი ირაკლი ჟორდანია“, თბილისი, 2019, 267 გვ.
- გ. თალაკვაძე, „30 წელი \_ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მეოთხე ათწლეულის ზღურბლზე“, თბილისი, „ნეკერი“, 2020, 72 გვ.
- ნ. გრძელიშვილი, „რეგიონი \_ ეკონომიკა, პოლიტიკა, მართვა“, თბილისი, „უნივერსალი“, 2020, 381 გვ.
- ი. არჩვაძე, ლ. ქურხული, „ეკონომიკის ფსიქოლოგია“, სახელმძღვანელო, თბილისი, „მწიგნობარი“, 2020, 326 გვ.
- ნ. ჭითანავა, „გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში“, თბილისი, ივერიონი, 2021, 360 გვ.
- ნ. გრძელიშვილი, ლ. კვარაცხელია, „ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები“, თბილისი, „მწიგნობარი“, 2022, 244 გვ.

- გ. თალაკვაძე, ი. არჩვაძე, „საქართველოს ინტეგრალური რესურსები“, თბილისი, „მწიგნობარი“, 2023, 524 გვ.;
- პ. კოლუაშვილი, ჯ. ფანჩულიძე, „მიწის ადმინისტრირება და მიწათსარგებლობის მონიტორინგი“, სახელმძღვანელო, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2023, 232 გვ.
- ნ. გრძელიშვილი, „რელიგიური ტურიზმი“ (3 ნაწილი), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2023, 186 გვ., 231 გვ., 272 გვ.
- პ. კოლუაშვილი, ნ. ჩიხრაძე, „თეოლოგიურ-ეკონომიკური ნარკვევები“, თბილისი, „საარი“ 2023, 223 გვ.
- პ. კოლუაშვილი, რ. ასათიანი, „საქართველოს სოფლის მეურნეობა – გამოწვევები და პერსპექტივები“, თბილისი, „პოლიგრაფი“, 2023, 154 გვ.
- ცენტრის კოლექტიური ნაშრომი (კრებული) „საქართველოს ბუნებრივი რესურსები - რეალობა, გამოწვევები, სტრატეგია“, ჟურნალი „საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები“ N1 (3), 2023, 438 გვ.
- რ. ასათიანი, პ. კოლუაშვილი, „ინდუსტრიული სოფელი – მომავლის გლობალური გამოწვევა“, თბილისი, 2024, 492 გვ.
- ნ. გრძელიშვილი, „ტურიზმოლოგია – მეცნიერება ტურიზმის შესახებ“, თბილისი, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“, სტუ, 2024, 228 გვ.
- პ. კოლუაშვილი, ი. არჩვაძე, გ. თალაკვაძე, „მარადიული ქართული სოფელი“, თბილისი, „მერიდიანი“, 2024, 260 გვ.

ბოლო 5 წლის განმავლობაში ცენტრის მეცნიერთა მიერ გამოქვეყნებულია 152 სამეცნიერო სტატია, მათ შორის 38 – უცხოეთში; მიღებულია მონაწილეობა 105 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, მათ შორის 29 – საზღვარგარეთ; გამოიცა 162 ერთეული ბეჭდური პროდუქცია, მათ შორის 42 – საზღვარგარეთ; მომზადდა და გამოიცა 14 სახელმძღვანელო.

**ცხრილი 2.**

**ცენტრის სამეცნიერო პერსონალის პუბლიკაციები 2020-2024 წწ.**

წელი	ქვეპრო-ექტები (თემები)	მონო-გრაფია საქ/საზ	კრებუ-ლი საქ/საზ	სახელმძღვანელო	სტატია ციფრული	სტატია ნაბეჭდი საქ/საზ	კონფერენცია საქ/საზ
	1	2	3	4	5	6	7
2024	10	3	1/1	-	1	17/6	18/4
2023	9	2/1	2	1	-	41/12	19/4
2022	5	2/1	-	2	13	28/6	13/7
2021	7	1	1	-	1	8/7	19/7
2020	10	2	1/1	1	0	5/7	7/-
<b>სულ</b>	-	12/2	5/2	4	15	99/38	76/29

2019 წელს დაარსდა ცენტრის წინამდებარე სამეცნიერო ჟურნალი - „საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 2022 წელს.

## **ცენტრის მოქმედი სამეცნიერო პროექტი**

სამეცნიერო თემატიკა ეფუძნება „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში დამტკიცებულ 5-წლიან (2022-2026 წწ.) პროექტს – „საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და რეგიონების (მხარეების) საწარმოო ძალების მდგრადი განვითარების პრობლემების კვლევა“. პროექტის ფარგლებში მუშავდება ქვეპროექტები, რომლებიც გაწერილია თემატიკაში, რაც ყოველწლიურად მტკიცდება ცენტრის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

## **კვლევის შედეგები თემატიკის ძირითადი მიმართულებების მიხედვით**

**1. ქვეყნის რესურსული პოლიტიკისა და რესურსული პოტენციალის მართვის ინტეგრირებული სისტემის ფორმირების კონცეპტუალური საფუძვლები (ხელმძღვანელები: ზურაბ ლომსაძე, ოთარ ფარესიშვილი).**

კვლევის შედეგები ასახულია კოლექტიურ ნაშრომში „საქართველოს ბუნებრივი რესურსები – რეალობა, გამოწვევები, სტრატეგია“, ჟურნალი „საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები“, 438 გვ., N1 (3), 2023. კრებულში თავმოყრილია თანამედროვე ინოვაციური მიდგომები და რეკომენდაციები ბუნებრივი რესურსების შესწავლა-ათვისებისა და მართვის პროცესების სრულყოფისათვის, რომელთა გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს თანამედროვე ბუნებრივ-რესურსული პოლიტიკა.

ბუნებრივი რესურსების გამოყენების არსებული მდგომარეობის საფუძველზე მიჩნეულია, რომ საქართველოს თანამედროვე ბუნებრივ რესურსული პოლიტიკა მწვანე ეკონომიკის, ანუ ეკონომიკის ეკოლოგიზაციის კონცეფციასა და ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებს უნდა დაეფუძნოს.

**შემოთავაზებულია რესურსული პოლიტიკის კონცეპტუალური პრინციპები:** „ყველა სიკეთე რესურსია, ყველა რესურსი - ფასეული“; „მთავარი რესურსი არის ადამიანი“; „ტყე შეუნახე შვილებსა...“; „რესურსები - ქვეყნის სამსახურში“; „მოპოვება-გადამუშავება - მხოლოდ მაღალეფექტიანი და რესურსდამზოგველი ტექნოლოგიებით“; „არ არსებობს გამოუყენებელი ნარჩენი და ფუჭი ქანი“; „რესურსულ პოლიტიკას ქმნიან მეცნიერები - მეცნიერება კაპიტანია“.

ეს უკანასკნელი თეზისი ორმაგი შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია, რადგან, ერთი მხრივ, გულისხმობს სახელმწიფოს რესურსული პოლიტიკის მაღალ მეცნიერულ დონეზე აყვანას, მეორე მხრივ კი - ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის აქტიურად ჩართვას მის შემუშავებაში. ბუნებრივი რესურსების მართვის ეფექტიანობის ამაღლებასთან ერთად აღნიშნული ხელს შეუწყობს ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის აქტუალური თემატიკით დასაქმებასა და მის შემდგომ კვლავწარმოებას მდგრადი განვითარების პრინციპის შესაბამისად, ასევე სახელმწიფოს მიერ მეცნიერებაზე დახარჯული სახსრების მაღალეფექტიან გამოყენებას. ასეთ პირობებში მეცნიერება თავად შეიძენს საწარმოო ძალების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინტელექტუალური კომპონენტის ფუნქციას.

**ქვეყნის რესურსული პოტენციალის მართვის ინტეგრირებული სისტემის კონცეფცია** გულისხმობს ბუნებათსარგებლობისა და ბუნების დაცვის ყველა ძირითადი ასპექტისა თუ ფაქტორის კომპლექსურად, ორგანულ ურთიერთკავშირში განხილვასა და გათვალისწინებას მართვის პროცესში. ერთიან კომპლექსად უნდა იქნეს აღქმული ეკოლოგიური ექსპერტიზის, გარემოს დაცვის, ქვეყნის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსის დადგენა-აღრიცხვა-რეგისტრაციის, მეცნიერული შესწავლისა და შეფასების, ბაზრების კვლევის, სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის, ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემის, მათ მოპოვება-გამოყენებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის, ასევე გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცემისა და ა.შ. ფუნქციები.



შემოთავაზებული კონცეფცია არ გულისხმობს ახალი მსხვილი ინსტიტუციის შექმნას და რომელიმე არსებულის გაუქმებას. საუბარია ქვეყნის რესურსული პოტენციალის ელექტრონულ მმართველობაზე, ანუ მართვაზე ერთიანი ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, რომლის ფუნქციონირებაში, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ინტეგრირებული იქნება ქვეყანაში დღეისათვის არსებული ყველა ინსტიტუცია (იშვიათი გამონაკლისის გარდა), რომლებიც ამჟამად ფუნქციონირებს ბუნების დაცვის, ბუნებრივი და შრომითი რესურსების (საწარმოო ძალების) შესწავლისა და მართვის სფეროებში; ასევე ის ინსტიტუციები, რომელთა შექმნის ან აღდგენის აუცილებლობას განაპირობებს მართვის ახალი, ინოვაციური სისტემა.

**2. სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსების კომპლექსური (ინტეგრალური) მართვის სისტემის ფორმირების კონცეპტუალურ-ორგანიზაციული მიდგომები (ხელმძღვანელი ნოდარ ჭითანავა)** გამოკვლევით გაანალიზებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა, ძირითადი თავისებურებები და ტენდენციები; მიწის რესურსული პოტენციალის მართვის სისტემა განხილულია ინტეგრირებული სისტემის სახით (ცენტრალური, რეგიონული და მუნიციპალური დონე); წარმოდგენილია მიწის როგორც ბუნებრივი რესურსისა და წარმოების ფაქტორის როლი სხვა ფაქტორების მოქმედების სისტემაში; შემოთავაზებულია მიწის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებათა სისტემა (მართვის ეკონომიკური მექანიზმის შექმნა, სამართლებრივი ბაზის, კვალიფიციური კადრების მომზადების სისტემების სრულყოფა და სხვ.). კვლევის შედეგები მიეწოდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (2023-2024 წწ).

**3. საქართველოს რეგიონების მტკნარი წყლის რესურსები, სამეურნეო წყალმომარების თანამედროვე მდგომარეობა და რაციონალიზაციის პერსპექტივები (ხელმძღვანელი ვახტანგ გელაძე)**

გამოკვლევით გაანალიზებულია დაზუსტებული მონაცემები წყლის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ საქართველოს რეგიონებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წყლის ეკოლოგიური მდგომარეობისა და მისი დაბინძურების ხარისხის შეფასებას; შესწავლილია სამეურნეო წყალმომარების მდგომარეობა, მათ შორის სასმელ-საყოფაცხოვრებო, საწარმოო, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ჰიდრომელიორაციის საჭიროებებზე. შეფასებულია წყალმომარაგების, წყალარინების სისტემების ფუნქციონირება, აგრეთვე წყლის დანაკარგები, რეგიონების წყლით უზრუნველყოფის ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორები. საქართველოს წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის შემუშავების მიზნით, პროექტის ფარგლებში მუშავდება ჰიდროლოგიური მონაცემები. ინფორმაციის წარმოდგენის, ორგანიზების, დამუშავებისა და ავტომატიზებული მართვის განხორციელების მიზნით გამოიყენება თანამედროვე გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების (გსს) პროგრამული პროდუქტი და მისი მოდულები.

**4. ტყეების მდგრადი განვითარების პრობლემები და გამოწვევები (ხელმძღვანელი თამაზ პატარქალაშვილი)**

გამოკვლევით შესწავლილია ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები; მთის ტყეების ეკოლოგიური და ბუნებისდაცვითი მნიშვნელობა ქვეყნის კლიმატური სტაბილურობისთვის საყოველთაო დათბობის პირობებში; ტყითსარგებლობის თანამედროვე მდგომარეობა და პრობლემები; მთიან ზონაში ტყეების დაცვითი ფუნქციების გაძლიერების გზები უარყოფითი ბუნებრივი მოვლენების (ეროზია, ნიაღვრები, წყალმოვარდნები, ქვათაცვენა, ზვავები) თავიდან აცილების მიზნით; ტყის არამერქნული რესურსების (მათ შორის ველური ხილი, კენკრა, კაკალნაყოფიანები, სამედიცინო ნედლეული და სხვ.) გამოყენების მდგომარეობა და არსებული გამოწვევები; ხეტყის გამოზიდვის პრობლემები

მთიან პირობებში, საზიდი გზების მდგომარეობა და შესაბამისობა დამზადებული ხეცის რაოდენობასთან; მთის ტყეების სანიტარიული მდგომარეობის პრობლემები, საკურორტო და რეკრეაციული დანიშნულება, მათი მდგომარეობა და პრობლემები, შესაბამისობა მზარდ ურბანულ პრობლემებთან. კვლევის შედეგები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს მთის ტყეების მდგრადი განვითარების პრობლემების გადაჭრას, დაცვითი და ეკოლოგიური ფუნქციების გაძლიერებას, რაც სასიკეთოდ წაადგება ქვეყნის, მთლიანად პლანეტის კლიმატის გაჯანსაღებას. თემის ფარგლებში შესრულდა შემდეგი პუბლიკაციები: Unsustainable Forest Management Threaten Biodiversity and Climate Change, International Journal of Biotechnology and Bioengineering. Volume 6, Issue5, 2020; Ecological Problems of Capital of Georgia and Possible ways of Solution, International Journal of Research Studies in Science, Engineering and Technology. Volume7, Issue4, 2020; Adverse Impacts of Climate Change on Biodiversity and Natural Disasters, Journal of Earth and Environmental Sciences Research, 2021, volume 3(1); Reserved Areas Importance for Mitigation of Climate Change, Journal of Earth & Environmental Sciences Research & Review, 2021, 26-30; Nonuse of Forest Residues is Impermissible Overlook for the Country With Limited Natural Resources, Journal of Biotechnology and BioProcessing, Vol. 2/3, 04.22.2021; Sustainable Forest Management Implies to Use Not Only Timber but Non-Timber Resources Too; International Journal of Bioprocess & Biotechnological Advancements (IJBBA), 2021, 7(2), 310-311; Gigantic Hydroelectric Plants Destroy Ecosystems, Cultural Heritage and Displace Local Population, Journal of Environmental Analysis & Ecology Studies, 2021, 8(5), pp 260; Comparative Evaluation of Conventional and Modern Timber Extraction Systems in Mountain Forests, Journal of Biotechnology & Bioresearch, 2021 vol.3, iss 1; The Role of Urban and Peri-Urban Forests in Preserving Biodiversity and Mitigation of climate change, Journal of Soil Science and plant Physiology, 13.02.22, 8p; Non-Wood Forest Products Role in Increment of Food Production and Security, Journal of Nutrition and Food Processing, 2023, Vol.6(1).

##### **5. დასავლეთ საქართველოს მინერალური რესურსების რაციონალური ათვისების პერსპექტივები (სამრეწველო და რეგიონული სამთო-სამრეწველო კლასტერების პოტენციალის შეფასების და ფორმირების პირობებში) (ხელმძღვანელი ნოდარ ფოფორაძე)**

დასავლეთ საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებაში სამთო-სამრეწველო კლასტერების ფორმირება საკმაოდ ნიშანდობლივი და აქტუალურია დასახელებულ რეგიონში მნიშვნელოვანი მინერალური რესურსების არსებობის გამო, როგორცაა: მეტალურგიული (მანგანუმის მადნის მოპოვება-გადამუშავება, კონცენტრატებისა და ფეროშენადნობების წარმოება) და სათბობ-ენერგეტიკული პროდუქციის (ტყიბულის ქვანახშირის მოპოვება-გადამუშავება), ქიმიური მრეწველობის ნედლეულის (ბარიტი, დიატომიტი), ბენტონიტური თიხების (გუმბრინი), სამშენებლო მასალების (თიხები, მ.შ. სააგურე თიხა), ნედლეულის კერამიკის წარმოებისათვის (კერამიკული თიხა), დამხმარე ნედლეულის მეტალურგიისათვის (ცეცხლგამძლე თიხები), მოსაპირკეთებელი ქვების (მარმარილო, მარმარილოსებრი კირქვები, ტემენიტი, ბაზალტი) და სხვა როგორც ადგილობრივი მოხმარების, ასევე საექსპორტო პროდუქციის წარმოება.

შესწავლილი და გაანალიზებულია დასავლეთ საქართველოს მინერალური რესურსების მარაგები და საბადოები, მათი რაციონალური და ეფექტიანი ათვისების პერსპექტივები რეგიონული და სამთო-სამრეწველო კლასტერების სტრატეგიის შემუშავების, შეფასებისა და ფორმირების თვალსაზრისით, მრეწველობისა და ტერიტორიული თავისებურებების გათვალისწინებით. განხილულია სამთო ინდუსტრიის მდგრადი განვითარების პრინციპის განხორციელების პრობლემები, რომლის მთავარი კრიტერიუმებია ბუნებრივი გარემოს დაცვა, გარემოსდაცვითი მართვის ეფექტიანობის გაზრდა, დეკარბონიზაცია, ეთიკური პრინციპები

ბიზნესის წარმოებისას, კორპორაციული მმართველობის მდგრადი სისტემები, გამჭვირვალობა, მოსახლეობის ცხოვრების დონის მიმართულებით გარკვეული ხარისხის მიღწევა; ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია აგრეთვე მინერალური რესურსების ათვისებაში ციფრული ტრანსფორმაციის მიღწევები, შემოთავაზებულია დასავლეთ საქართველოში სამთო-სამრეწველო კლასტერების ფორმირების კონცეფტუალური და ცირკულარული ბიზნესმოდელები და მათი დანერგვის სტრატეგიები.

**6. ტყიბულ-შაორის ნახშირის საბადოს ე.წ. „ფუჭი ქანების“ (არგილიტები, თიხები) და მამდიდრებელი ქარხნის ე.წ. „კუდების“ (შლამები, ნაცარი) შესწავლა სამშენებლო მასალებისა და სასუქების წარმოების შესაძლებლობის დადგენის მიზნით (ხელმძღვანელი გიორგი მაღალაშვილი)**

სამუშაოს მიზანს წარმოადგენს ტყიბული-შაორის საბადოზე ნახშირის მოპოვების თანმდევი ნარჩენების ეფექტიანი გამოყენების ღონისძიებების შემუშავება. ცნობილია, რომ ტყიბული-შაორის საბადოზე ნახშირის ფენების სახურავში, საგებსა და ფენებშორის დასტებში ხშირია ე.წ. „ფუჭი“ ან გადასახსნელი ქანები, მათ შორის არგილიტები და თიხები დიდი რაოდენობით არის ამოღებული და დასაწყობებული ტერიკონებად. ასევე დიდი რაოდენობითაა დაგროვილი მამდიდრებელი ქარხნის „კუდები“: შლამები და ნაცარი. აღნიშნული ნარჩენების კომპლექსური და მიზანმიმართული გამოყენების შესაძლებლობის დადგენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება აქტუალურია, რადგან მათი რეალიზაცია ხელს შეუწყობს ნახშირის საბადოს ექსპლუატაციის ეფექტიანობის ამაღლებას. დასაბუთებული და არგუმენტირებულია, რომ ტყიბულის ნახშირის საბადოს ნარჩენების, როგორც კომპლექსური მრავალდარგობრივი ნედლეულის, გამოყენება შეიძლება სხვადასხვა სახეობის პროდუქციის მისაღებად, როგორებიცაა, მაგალითად, ცეცხლმედეგი აგური, „მეტლახის“ ტიპის ფილები, თიხამიწა, ალუმინი და მისი შენადნობები (ფეროსილიკოალუმინი, სილუმინი), ცემენტი, ასევე ორგანული სასუქი - „ჰუმატები“ და სხვ. ეს აგრეთვე ხელს შეუწყობს გარემოს დაბინძურებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების პრობლემების გადაჭრას. წინასწარი ლაბორატორიული კვლევების შედეგები დადებითია.

**7. განახლებადი და ალტერნატიული ენერგორესურსების ათვისებისა და ენერგოეფექტიანობის პრობლემები (ხელმძღვანელი ნოდარ მირიანაშვილი)**

გამოკვლევაში შესწავლილია ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების ტენდენციები. განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ანალიზი და შეფასება განხორციელდა ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე დონისა და პერსპექტივის გათვალისწინებით. გამოიკვეთა განახლებადი ენერგიების განვითარების ძირითადი პრობლემები, როგორებიცაა: სრულყოფილი ენერგეტიკული პოლიტიკის არარსებობა; მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი დონე და მათი მხრიდან ნდობის ნაკლებობა; მხარდაჭერის მექანიზმების არაეფექტურობა; გაზრდილი ბიუროკრატია და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას ენერგეტიკული რესურსების საკმაოდ მაღალი პოტენციალი გააჩნია, იგი ენერგიაზე მოთხოვნის დაახლოებით 30%-ს იკმაყოფილებს ადგილობრივი წარმოებით, ხოლო 70%-ის იმპორტს ახორციელებს მეზობელი ქვეყნებიდან. პირველადი ენერგორესურსების მიწოდების 60-65% გარე წყაროებით ხდება, საიდანაც 40-45% იმპორტირებულ გაზზე მოდის, ხოლო დანარჩენი — ნავთობპროდუქტებზე. ამავე დროს, ქვეყანას არ გააჩნია გაზის სახელმწიფო რეზერვების სისტემა (მიღებულია, რომ ქვეყანას ასეთი რეზერვი წლიური მოთხოვნილების დაახლოებით 30%-ის მოცულობით უნდა გააჩნდეს).

არსებული პრობლემების გამო ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, რასაც კიდევ უფრო ამწვავებს ჰიდრორესურსების სეზონურობა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თანამედროვე ეკოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენებით შიდა განახლებადი

ენერგორესურსებისა და მყარი სათბობის ხვედრითი წილის გაზრდა საერთო სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში, რაც უზრუნველყოფს ენერგეტიკის რადიკალურ რესტრუქტურირებას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ხელისუფლებამ იზრუნოს ენერგოდამზოვველი და ენერგოეფექტიანი ინოვაციური ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობაზე, რომლის პოტენციალი ქვეყნის მთლიანი ენერგომომარაგების 1/4-ს შეადგენს და თამამად შეიძლება ჩაითვალოს ახალ ენერგეტიკულ რესურსად.

**8. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასების თეორიულ-მეთოდოლოგიური და გამოყენებითი ასპექტები (ხელმძღვანელი ნოდარ გრძელიშვილი)**

ნაშრომში შესწავლილია ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და რელიგიური ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში; შემუშავებულია პრაქტიკული რეკომენდაციები; კვლევას მიენიჭა სერტიფიკატი „წმინდა ანდრიას გზა“ და დაიგეგმა კონკრეტული პილიგრიმული მარშრუტები მთელი საქართველოს მასშტაბით.

გამოიცა მონოგრაფიები: „ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები“ (ნაწილი პირველი) (2022), „რელიგიური ტურიზმი“ (სამ ნაწილად) (2023) და „ტურიზმოლოგია“ (2024). აღნიშნული ნაშრომები სასწავლო პროცესში გამოიყენება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში; ევროპის, თელავის სახელმწიფო და გრ. რობაქიძის უნივერსიტეტებში; ახალ უმაღლეს სასწავლებელსა და საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტში.

ტურიზმის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილია რელიგიური ტურიზმის განმარტება, რითაც ფაქტობრივად საკანონმდებლო ლეგიტიმაცია მიეცა რელიგიური ტურიზმის ცნებას.

ნ. გრძელიშვილის ნაშრომით სამეცნიერო სივრცეში შემოტანილია ტერმინი „ტურიზმოლოგია“, რაც კონცეპტუალური სახით ასახავს ტურიზმის, როგორც მეცნიერული კვლევების დარგის არსს. ცნება შეესაბამება მეცნიერული კვლევის კლასიკურ ტრადიციებს და ეფუძნება შესწავლის ობიექტის კანონზომიერებათა ცოდნას. ტერმინი ხაზს უსვამს ტურიზმის შესახებ ცოდნის ფუნდამენტურ ხასიათს. კვლევის შედეგები წარდგენილია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში.

**9. შრომითი რესურსების კვლავწარმოებისა და რაციონალური გამოყენების რეგიონული თავისებურებები (ხელმძღვანელი ნოდარ გრძელიშვილი)**

გამოკვლევაში შესწავლილია რეგიონების ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები; გამოთვლილია საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური ათვისების ინდექსი; გაანალიზებულია საქართველოს მაღალმთიან დასახლებებში დასაქმების პრობლემების რეგიონული თავისებურებები (მაკროეკონომიკური ანალიზი); შემუშავებულია რეკომენდაციები. კვლევის შედეგები წარდგენილია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. მომზადდა სახელმძღვანელო „რეგიონი – ეკონომიკა, პოლიტიკა, მართვა“ (თბილისი, „უნივერსალი“, 2020, 382 გვ.), რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს სწავლება ამ მიმართულებით სტუ-ში, ახალ უმაღლეს სასწავლებელსა და ქუთაისის უნივერსიტეტში. ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის ნ. გრძელიშვილი 2022 წ. დაჯილდოვდა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელით „ეკონომიკის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის“.

**10. საქართველოს რეგიონების (მხარეების) საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების ელექტრონული საინფორმაციო პლატფორმის შემუშავება (ხელმძღვანელი ზურაბ ლომსაძე)**

გამოკვლევაში შემუშავებულია საქართველოს რესურსული პოტენციალის საინფორმაციო ელექტრონული პლატფორმის კონცეფცია, რომელშიც ასახულია დღეისათვის ხელმისაწვდომი სრული მონაცემები საქართველოს ამა თუ იმ რეგიონის ბუნებრივი რესურსების შესახებ, როგორებიცაა წიაღისეული, სამშენებლო ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული, განახლებადი და არატრადიციული ენერგორესურსები, გეოთერმული და მინერალური წყლები, მიწის, წყლისა და ტყის რესურსები, ტურისტულ-რეკრეაციული, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და სხვა

მონაცემები; მათი ადგილმდებარეობა, მარაგები, გამოყენების სფერო, ეფექტიანობა და შესაძლო მასშტაბები; რეგიონის ეკონომიკური დახასიათება და ა.შ. პლატფორმა საშუალებას იძლევა, რეგიონის რესურსული პოტენციალის შესახებ სრული ინფორმაცია თავალსაჩინო ფორმით მიეწოდოს დაინტერესებულ პირებს, ხელს უწყობს მის ეკონომიკურ ბრუნვაში აქტიურად ჩართვისთვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. პლატფორმას აქვს აგრეთვე საგანმანათლებლო ფუნქცია და შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც სასკოლო, ისე უმაღლესი განათლების სისტემაში.

#### **11. საქართველოს ინტეგრალური რესურსების კვლევა, ანალიზი, პერსპექტივები (ხელმძღვანელი გივი თალაკვაძე)**

ნაშრომში შემუშავებულია ინტეგრალური რესურსების ახალი, უნივერსალური კლასიფიკაცია, სადაც შემოტანილია პარციალური რესურსების ცნება. ინტეგრალური რესურსები მოიაზრება ბუნებრივი, ადამიანური, მატერიალური და პარციალური (კომუნიკაციური, საინფორმაციო, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ისტორიულ-კულტურული, საინვესტიციო, გეოსტრატეგიული და სხვ.) რესურსების ერთობლიობად, რომელთაგან თითოეული არსებობს, ვითარდება და მონაწილეობს სინერგიულ ურთიერთობებში სხვა რესურსებთან. ამდენად, ამა თუ იმ რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემის კვლევა მიზანშეწონილია არა იზოლირებულად, არამედ სხვა რესურსებთან მჭიდრო კავშირში, რადგან რესურსსარგებლობა მრავალსაფეხურიანი, მრავალგანზომილებიანი, მრავალკომპონენტური და მრავალფუნქციური პროცესია. ქვეყნის ინტეგრალური რესურსების იდენტიფიცირება, ყველა ძირითადი კატეგორიის რესურსის სრული დახასიათება, მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგანპირობებულობის ხარისხის ანალიზი, რანჟირება საფუძველად უნდა დაედოს მაღალეფექტიანი რესურსული პოლიტიკის შემუშავებასა და ქვეყნის საკუთარი რესურსების რაციონალურად გამოყენების მეთოდოლოგიაზე დაფუძნებულ მართვის ოპტიმალურ მოდელს. რესურსების რაციონალური ათვისებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრიორიტეტების სწორად განსაზღვრას, რისთვისაც ინტეგრალური მიდგომა ძირითად მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტად გვესახება. ასეთი მიდგომით შესაძლებელია ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორის ანალიზი, რესურსების რანჟირება, მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრა და სწორი გადაწყვეტილების მიღება. მეთოდოლოგიის გამოყენების ეფექტიანობა განპირობებულია რესურსების შეფასების ხარისხითა და სიზუსტით. ამდენად, მაღალეფექტიანი რესურსული პოლიტიკის განხორციელებისათვის აუცილებელია ცალკეული სახეობის რესურსების შეფასების ოპტიმალური მეთოდოლოგიების შემუშავება.

კვლევის შედეგების საფუძველზე გამოიცა მონოგრაფიები: „30 წელი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მეოთხე ათწლეულის ზღურბლზე“ (2020); „საქართველოს ინტეგრალური რესურსები“ (2023) და „მარადიული ქართული სოფელი“ (2024).

#### **12. მიწის რესურსების გამოყენების სამართლებრივი ასპექტები და მართვის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა (ხელმძღვანელი ივერი ახალბედაშვილი)**

განხილულია საქართველოს პარლამენტის მიერ ბოლო პერიოდში მიღებული აგრარული სექტორის მარეგულირებელი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები და მათში გატარებული ცვლილებები, რომლის მიზანი იყო ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოება. სათანადო ადგილი დაეთმო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრებითი ურთიერთობების შესახებ მიღებულ მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებს. გაანალიზებულია მიწის რესურსების გამოყენების სამართლებრივი ასპექტები, სახელმწიფო პოლიტიკა მიწის რესურსების მიზნობრივ გამოყენებასა და დაცვაზე. წარმოდგენილია მოსაზრებები მიწის რესურსების მართვისა და აგრარული სექტორის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის შესახებ. გაანალიზებულია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის მოქმედება და ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა წარმოადგენს ამოწურვად რესურსს, რომელიც ყოველწლიურად მცირდება ადამიანის ზემოქმედებისა და ბუნებრივ-კლიმატური გარემოს ცვლილებების შედეგად და მისი რაციონალური გამოყენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენი ქვეყნისათვის.

ა) ორგანული კანონი ითვალისწინებს განსხვავებულ წესებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით. კანონის ნორმები ადგენს პირთა საკუთრების უფლებას და უზრუნველყოფს მის დაცვას სასოფლო-სამეურნეო მიწასთან დაკავშირებული საჯარო ინტერესების გათვალისწინებით. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რაციონალურ გამოყენებას ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მცირემიწიანი აგრარული ქვეყნებისთვის. ნებისმიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი



ამოცანაა, მაქსიმალურად შეინარჩუნოს სასოფლო-სამეურნეო მიწა, როგორც ამოწურვადი/ მიღვევადი რესურსი და განავითაროს ეროვნული აგრარული მეურნეობა, რაც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საწინდარია. სწორედ ამ ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად და აუცილებელი საზოგადოებრივი/სახელმწიფოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ერთ-ერთ რეალურ და ეფექტურ ბერკეტად რჩება მაქსიმალურად და ამავე დროს გონივრულ ფარგლებში შეზღუდოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლება და მისი გამოყენება;

ბ) მიწის მდგრადი მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა ბოლო საუკუნის განმავლობაში განაპირობა მიწის ბაზრის არათანმიმდევრულმა განვითარებამ. თითქმის 70 წლის განმავლობაში მიწა წარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო მიწის ნაკვეთების მასობრივი განკერძოება, თუმცა დღემდე ვერ მოხდა საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის პროცესის დასრულება, რის გამოც შეუძლებელია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული და განკერძოებული მიწის ნაკვეთების ზუსტი ფართობების დადგენა, არ არსებობს მათი სრულყოფილი საკადასტრო მონაცემები. მრავალი წლის განმავლობაში სახელმწიფო არ უზრუნველყოფდა სათანადო ღონისძიებებს მიწის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, საქართველოში მიწის ბაზარი არ არის განვითარებული, რაც გავლენას ახდენს მის ღირებულებაზე და არაკონკურენტუნარიანს ხდის თავისუფალი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიწის მდგრადი მართვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც თანმიმდევრული იქნება საკითხების გადაწყვეტის მიმართ;

გ) სახელმწიფოს ვალდებულებაა დაიცვას ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა, რაც მათ შორის მოიცავს სოციალურ-ეკონომიკურ უსაფრთხოებას და სახელმწიფოს თავდაცვას. სოციალურ-ეკონომიკურ უსაფრთხოების პოლიტიკის დაცვა გულისხმობს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ეროვნული უსაფრთხოების მიზნებთან და ამოცანებთან თავსებადობის უზრუნველყოფას;

დ) ადგილობრივი (საოჯახო) მეურნეობის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებულია სოფლად. ადგილობრივი მეურნეობა, პირველ რიგში, გულისხმობს მასში მონაწილე სუბიექტებს, რომლებიც ქმნიან პროდუქციას და იღებენ მისგან სარგებელს, რასაც უკავშირდება სასურსათო უსაფრთხოების საკითხი. სოციალური სახელმწიფოს ვალდებულებაა, ხელი შეუწყოს ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას.

კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე. განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებისა და მასთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივი საფუძვლები და იგი მოიცავს საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ორგანულ კანონს და საქართველოს სხვა სამართლებრივ აქტებს. ახლებურად ყალიბდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ცნება.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განსაზღვრა არ არის დამოკიდებული მის საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე. განსაზღვრაში არ არის მითითებული მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება, რადგან მათ საწარმოებლად შეიძლება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენებაც. შესაბამისად, ცნების განმარტება ხდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიების მითითებით, რომელიც გამოიყენება

ან რომლის გამოყენებაც არის შესაძლებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, თუმცა მასზე შეიძლება განთავსებული იყოს შენობა-ნაგებობა.

კანონი ითვალისწინებს დომინანტი პარტნიორისა და საინვესტიციო გეგმის ცნებებს. დომინანტი პარტნიორი არის საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის პარტნიორი ან პარტნიორთა ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნის წილის/აქციის/პაის 50%-ზე მეტი ან/და წარმოადგენს პარტნიორების (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტურ საზოგადოებაში კომპლემენტარების შემთხვევაში) ან დამფუძნებლების/წევრების (არასამეწარმეო /არაკომერციული იურიდიული პირის შემთხვევაში) უმრავლესობას და აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა იქონიოს იურიდიული პირის გადაწყვეტილებაზე. იმისათვის, რომ პარტნიორი ან პარტნიორთა ჯგუფი მიჩნეულ იქნეს დომინანტ პარტნიორად, არ არის საკმარისი მხოლოდ წილების/აქციების/პაის 50%-ზე მეტის ფლობა და პარტნიორების უმრავლესობა, მათ ასევე უნდა გააჩნდეთ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულია გადაწყვეტილების მიღება მინორიტარი პარტნიორის მიერ.

საინვესტიციო გეგმა წარედგინება საქართველოს მთავრობას, რომელიც ითვალისწინებს ინვესტიციის განხორციელების ვალდებულებას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, ინოვაციური საქმიანობების დანერგვის, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის, საერთაშორისო, სახელმწიფოებრივი ან/და ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტების შესრულების მიზნით. საინვესტიციო გეგმა ხელს უნდა უწყობდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ეროვნული უსაფრთხოების დაცვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ორგანული კანონი ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლებას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და ამასთან ადგენს გამონაკლის შემთხვევებს. კანონის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლება იყოს:

- ა) სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის საკუთრება;
- ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკუთრება;
- გ) საქართველოს მოქალაქის საკუთრება;

დ) საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრება, თუ იურიდიული პირის დომინანტი პარტნიორი არის ზემოთ აღნიშნული სუბიექტ(ებ)ი;

ე) გაერთიანებების/ამხანაგობების საკუთრება, რომლებიც არ რეგისტრირდებიან იურიდიული პირის სახით, თუ წევრების უმრავლესობას წარმოადგენენ ზემოაღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტ(ებ)ი.

კანონის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლება იყოს სახელმწიფოსა და თვითმმართველი ერთეულის საკუთრება, ასევე ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონისა და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში შეიძლება იყოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. ამ შემთხვევაში ორგანული კანონი არ ადგენს გამონაკლის შემთხვევებს, არამედ ავსებს კონსტიტუციურ ნორმას, რომ ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლება წარმოადგენს უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებას ავტონომიურ რესპუბლიკაში და მას შეიძლება გააჩნდეს საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში კანონი განსაზღვრავს საკუთრების უფლებას საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის. საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს სახელმწიფოსა და ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირების უძრავი ქონების საკუთრებას, მათთვის ქონების გადაცემა წესრიგდება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით, ხოლო საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს უძრავი ქონება გადაეცემათ მხოლოდ სარგებლობის უფლებით. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს წევრობაზე დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, რელიგიური გაერთიანებები შეიძლება დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, შესაბამისად, მათ შეიძლება გააჩნდეთ საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით არის რეგისტრირებული საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია და სხვა რელიგიური გაერთიანებები. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრება. კანონი გამომდინარეობს რა კონსტიტუციის ნორმიდან, ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს. საქართველოს მოქალაქის, ასევე საქართველოს მოქალაქეთა მიერ საქართველოში დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ან გაერთიანებების/ამხანაგობების, რომლებიც არ რეგისტრირდებიან იურიდიული პირის სახით, საკუთრების უფლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე არის შეუზღუდავი. ანალოგიურად, სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრების უფლება აღიარებულია. აღნიშნულთან ერთად, ორგანული კანონი ადგენს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც უცხოელის ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირის მონაწილეობით შექმნილ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ასევე გაერთიანებებს/ამხანაგობებს, რომლებიც არ რეგისტრირდებიან იურიდიული პირის სახით, შეიძლება გააჩნდეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. აღნიშნული დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წილის/აქციის/პაის 50%-ზე მეტის მესაკუთრეს ან/და დამფუძნებლების/წევრების უმრავლესობას წარმოადგენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა, მუნიციპალიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან/და საქართველოს მოქალაქე და ამასთან მათ უნდა გააჩნდეთ პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან დაკავშირებით იურიდიული პირის გადაწყვეტილებაზე და უნდა წარმოადგენდნენ დომინანტ პარტნიორს.

აღსანიშნავია, რომ კანონი არ ითვალისწინებს კომლის საკუთრების უფლებას. საქართველოს კანონმდებლობით კომლი არ წარმოადგენს სამართალურთიერთობის დამოუკიდებელ სუბიექტს. იგი არ არის იურიდიული პირი და არც ამხანაგობა/გაერთიანება, რომელიც ერთობლივი პასუხისმგებლობით მოქმედებს. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების თაობაზე, საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 22 მარტის დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა კომლებისათვის, ოჯახებისათვის გაცემული მიწის ნაკვეთები, აგრეთვე 1992 წლამდე მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული საბაღე, საბოსტნე, სააგარაკო, სამოსახლო, საკარმიდამო ნაკვეთები გამოცხადდა მათ კერძო საკუთრებად.



„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საკომლო მეურნეობა არის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მათზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ერთი ფიზიკური პირის საკუთრებას ანდა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებას. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საკომლო მეურნეობა რეგისტრირებული უნდა იქნეს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში). თუ ეს მეურნეობა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში თითოეული მათგანი საკომლო მეურნეობის თანამესაკუთრედ რეგისტრირდება. ამგვარად, კომლზე რეგისტრირებული ქონება წარმოადგენს კომლის წევრების საერთო საკუთრებას.

კანონით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ასევე შეიძლება იყოს:

ა) უცხოელის საკუთრება, თუ ის მიღებულია მემკვიდრეობით;

ბ) საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრება, თუ დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, ან ვერ დგინდება დომინანტი პარტნიორი კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით.

კანონი ადგენს კონსტიტუციური ნორმისგან გამონაკლის შემთხვევებს. კერძოდ, უცხოელ ფიზიკურ პირს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლება გააჩნდეს საკუთრებაში მემკვიდრეობის საფუძველზე. მემკვიდრეობის უფლება, საკუთრების უფლებასთან ერთად, აღიარებული და უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით. გამონაკლისი დაშვებულია უცხოელის ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირის მიერ საქართველოში დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის (როდესაც დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი). ასეთმა იურიდიულმა პირებმა საკუთრების უფლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე შეიძლება მიიღონ მხოლოდ საინვესტიციო გეგმის საფუძველზე საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით. ამ წესით საკუთრების მოპოვების პრაქტიკული წესი განისაზღვრება საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

კანონის თანახმად, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტ(ებ)ის მიმართ არ ვრცელდება ორგანული კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები, თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლება წარმოიშობა საქართველოს კანონმდებლობით საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის და ფინანსური ინსტიტუტების ნებადართული საქმიანობის შედეგად, მათ შორის, უზრუნველყოფის საგნის კრედიტორის მიერ შეძენის შემთხვევაში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სიას ადგენს საქართველოს მთავრობა. ამგვარ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს აქვამად წარმოადგენენ:

- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD);
- აზიის განვითარების ბანკი (ADB);
- მსოფლიო ბანკის ჯგუფი (WBG);
- ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB);
- ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB);
- საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF);
- სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია (NEFCO) - საერთაშორისო საფინანსო

ინსტიტუტი, რომელიც დაარსდა სკანდინავიის ხუთი ქვეყნის (დანია, ფინეთი, ისლანდია, ნორვეგია და შვედეთი) მიერ;

- შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB);
- უცხოეთის კერძო საინვესტიციო კორპორაცია (OPIC);
- ნიდერლანდების განვითარების ბანკი (FMO).

აღნიშნული საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მონაწილეობით საქართველოში ხორციელდება სხვადასხვა სახის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტები, რომელთათვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. შესაბამისად, პროექტების ეფექტური განხორციელებისათვის კანონი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს. ორგანული კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები ასევე არ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, რომელთა დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლება წარმოიშობა საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობის შედეგად.

ვინაიდან ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, რომელთა დომინანტი პარტნიორი არის საქართველოს სუბიექტები, ვრცელდება საერთო წესები, მე-3 პუნქტი გამონაკლის შემთხვევებს ადგენს უცხოელის ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირის მონაწილეობით შექმნილი ფინანსური ინსტიტუტებისთვის. ფინანსური ინსტიტუტების სახეები მოცემულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში და მათი საქმიანობა უკავშირდება ფინანსური მომსახურების განხორციელებას, მათ შორისაა კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვევო ორგანიზაციები და სხვა. ფინანსური მომსახურების განხორციელებისას უზრუნველყოფის სახით შეიძლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენება. შესაბამისად, მიწის მესაკუთრების მიერ ფინანსურ რესურსებზე წვდომისათვის კანონი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს.

**მნიშვნელოვანია, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების ორგანული კანონის გათვალისწინებული ნორმების შეფასება მოხდეს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საკუთრების ძირითად უფლებასთან და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან მიმართებით.**

საკუთრების ძირითადი უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით, რომელიც მნიშვნელოვანი ცვლილებებით ჩამოყალიბდა კონსტიტუციის იქამდე არსებულ რედაქციასთან მიმართებით. მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად:

- საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია;
- საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია ამ უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

ვინაიდან საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება, კონსტიტუციის ახალი რედაქციით პირველ პუნქტში ტერმინი „ხელშეუვალი“ შეიცვალა ტერმინით „უზრუნველყოფილია“, რადგან კონსტიტუციის ახალი რედაქცია ტერმინს „ხელშეუვალი“ იყენებს მხოლოდ აბსოლუტურად დაცული უფლების მიმართ. მე-2 პუნქტში სიტყვები „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ შეცვლილია სიტყვებით „საჯარო ინტერესებისათვის“, რომლითაც დაწესდა უფრო მაღალი სტანდარტი საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, ვიდრე ეს არის დადგენილი საკუთრების ჩამორთმევასთან მიმართებით. ამასთან, კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების საკითხი: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში. გამონაკლისი შემთხვევები შეიძლება დადგინდეს ორგანული კანონით, რომელიც მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით.“ ამგვარად, კონსტიტუციის ახალი რედაქციით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას მიენიჭა განსაკუთრებული მნიშვნელობის სტატუსი, რასაც უკავშირდება საკუთრების საკითხის გადაწყვეტა. კონსტიტუციითვე განისაზღვრა ის სუბიექტები, რომელთაც შეუზღუდავად აქვთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე წვდომა, ხოლო სხვა გამონაკლისი შემთხვევები შეიძლება დადგინდეს ორგანული კანონით.

კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შინაარსი პასუხობს ამ მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებულ პრინციპს, რომ „საჯარო ინტერესებისათვის“ დასაშვებია საკუთრების უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „საჯარო ინტერესის“ შინაარსის განსაზღვრა კანონმდებლის პრეროგატივას წარმოადგენს და იგი ცვალებადია აქტუალური პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების შესაბამისად. ამასთან საკუთრების უფლების შეზღუდვისას დაცული უნდა იყოს თანაზომიერების პრინციპი და არსებობდეს ლოგიკური კავშირი საკანონმდებლო რეგულირებასა და მისაღწევ მიზანს შორის.

საქართველოს უზენაესი სასამართლო 03.09.2018 წ. განჩინებაში [საქმე №ბს-583-583 (კ-კს-18)] განმარტავს: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება არის აბსტრაქტული სამართლებრივი ტერმინი, რომელიც კონკრეტულ შინაარსს იძენს სხვადასხვა დროსა და ისტორიულ ვითარებაში, ცვალებადია განსხვავებული და დინამიკური სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური მოთხოვნილებების ადეკვატურად. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების კონკრეტული რეგლამენტაციის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ კანონმდებელს, სწორედ მისი გადასაწყვეტია, თუ რა ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. ის შესაბამის დასკვნებს აკეთებს ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებებისა და მიზნების საფუძველზე. საკუთრების უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის მიერ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების განსაზღვრის დიაპაზონი გაცილებით ფართოა. ამ დროს კანონმდებლის მიერ, პირველ რიგში, მხედველობაში მიიღება საკუთრების მიერ შესასრულებელი ფუნქცია. რაც უფრო მეტად არის საზოგადოება, მისი ნორმალური არსებობა და განვითარება სხვის საკუთრებაზე დამოკიდებული, კანონმდებელს მით მეტი უფლებამოსილება აქვს საკუთრების უფლების შეზღუდვის სფეროში. ამავდროულად, აუცილებლად გასათვალისწინებელია თავად საკუთრების უფლების ობიექტის არსი, მისი შესაძლო სოციალური დატვირთვა. რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მასთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოების „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებად“ მიჩნევის საკითხს.“<sup>1</sup>

საკუთრების უფლების შეზღუდვას ითვალისწინებს **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია**. კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი აღიარებს რა ყოველი ფიზიკური და იურიდიული პირის უფლებას საკუთრებით შეუფერხებელ სარგებლობაზე, იმავდროულად ითვალისწინებს საკუთრებაზე კონტროლის დაწესების შესაძლებლობასაც: „... წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის ან

<sup>1</sup> <http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

გადასახადებისა თუ მოსაკრებლის ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად“.

„ევროპული სასამართლოც, თავის გადაწყვეტილებებში ითვალისწინებს რა თითოეული სახელმწიფოს ასეთ შესაძლებლობას, მიიჩნევს, რომ კანონმდებელი ფართო ზღვრით უნდა სარგებლობდეს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა პრობლემებიდან გამომდინარე, პატივს სცემს კანონმდებლის იმ გადაწყვეტილებას, რომელიც საერთო ინტერესით არის განპირობებული და აშკარა, გონივრულ საფუძველს არ არის მოკლებული“ – საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.09.2018 წ. განჩინება [საქმე №ბს-583-583 (კ-კს-18)]<sup>1</sup>.

„კონსტიტუციური ნორმა გულისხმობს საკუთრების უფლებაში ჩარევას საერთო ან საზოგადოებრივი ინტერესის საფუძველზე. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „მარქსი ბელგიის წინააღმდეგ“, განსაზღვრა I ოქმის I მუხლის ფარგლები, რომელიც ეხება მხოლოდ არსებულ საკუთრებას და „არ უზრუნველყოფს საკუთრების მიღების უფლებას“. აღნიშნული დებულება პირებს იცავს მათ საკუთრებაში სახელმწიფოს თვითნებური ჩარევისაგან. ამასთანავე, იგი აღიარებს სახელმწიფოს უფლებას, გააკონტროლოს საკუთრებით სარგებლობა და ჩამოართვას კიდევ პირს მისი საკუთრება ამ დებულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.“ – საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.07.2010 წ. განჩინება [საქმე №ბს-143-137 (კ-10)]<sup>2</sup>.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტიდან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლება შეზღუდული იყო. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით დადგინდა, რომ უცხოელს და მოქალაქეობის არმქონე პირს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლებოდა ჰქონოდათ მხოლოდ იჯარით, ხოლო მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში უნდა გაესხვისებინათ 6 თვის ვადაში. შემდგომ პერიოდში შესული ცვლილებებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში გადაცემის უფლება მიეცათ უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს.

2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა (საქმე №3/1/512, „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“)<sup>3</sup> არაკონსტიტუციურად ცნო „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმად, უცხოელ ფიზიკურ პირს სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრება შეეძლო მოეპოვებინა მხოლოდ მემკვიდრეობით ან იმ შემთხვევაში, თუ იგი მიწას მართლზომიერად ფლობდა როგორც საქართველოს მოქალაქე. ასევე ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ავალდებულებდა საკუთრების წარმოშობიდან 6 თვის ვადაში მის გასხვისებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ არ არსებობდა ლოგიკური კავშირი სადავო ნორმასა და კანონით განსაზღვრულ ლეგიტიმურ მიზნებს შორის. კერძოდ, არ არსებობდა ლოგიკური კავშირი უცხოელთათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის უფლების შეზღუდვასა და კანონით გაცხადებული აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობის საჯარო ინტერესს შორის. აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობის შესაძლებლობა სახელმწიფოში ხორციელდება ერთნაირად იმისგან დამოუკიდებლად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა უცხოელს ეკუთვნის თუ საქართველოს მოქალაქეს.

<sup>1</sup> <http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

<sup>2</sup> <http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

<sup>3</sup> <https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/daniis-moqalae-heike-qronqvisti-saqartvelos-parlamentis-winaagmdg-692.page>

ასევე არ არსებობდა ლოგიკური კავშირი სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის უფლების შეზღუდვასა და სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფას შორის, რომლის მიზანი იყო მდიდარი ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მიწის მასობრივი შეძენის პრევენცია მაშინ, როცა იმავე უცხოელს ჰქონდა შესაძლებლობა საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის მეშვეობით თავისივე შექმნილ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე განეხორციელებინა იმავე ტიპის გამგებლობა, როგორც ამას მოახერხებდა აღნიშნული ნაკვეთის მესაკუთრედ ყოფნის შემთხვევაში.

„თუ უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ქონა სახელმწიფოსათვის რაიმე რისკების შემცველია, მაშინ იმავე ხასიათისა და ხარისხის რისკი იარსებებს უცხოელის მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ საკუთრების შეძენის შემთხვევაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, უცხოელისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენის აკრძალვა იმ პირობებში, როდესაც ამავე უცხოელს აქვს შესაძლებლობა, მის კონტროლ ქვეშ მყოფი იურიდიული პირის საშუალებით იყიდოს ხსენებული მიწა, ალოგიკურია და მიზნის მიღწევის გამოუსადეგარ საშუალებას წარმოადგენს“ (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №3/1/512, „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“)<sup>1</sup>.

ამგვარად, „საჯარო ინტერესების“ გათვალისწინებით, საკუთრების უფლების შეზღუდვა დასაშვებია თანაზომიერების პრინციპის დაცვის, საკანონმდებლო რეგულირებასა და მისაღწევ მიზანს შორის ლოგიკური კავშირის არსებობის პირობით. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების შეზღუდვის „საჯარო ინტერესები“ გაცხადებულია წინამდებარე ორგანული კანონის პროექტის პრეამბულაში.

ორგანული კანონის შემუშავებისას შესწავლილ იქნა ევროკავშირისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცემული სარეკომენდაციო დოკუმენტები სასოფლო-სამეურნეო მიწასთან დაკავშირებით, ასევე უცხო ქვეყნების გამოცდილება.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ შემუშავებულ „სახელმძღვანელო პრინციპებში“ ხაზგასმულია მიწის განსაკუთრებული მნიშვნელობა ადამიანის ძირითადი უფლებების რეალიზაციის, სასურსათო უსაფრთხოების, სიღარიბის დაძლევის, მდგრადი საარსებო წყაროების, სოციალური სტაბილურობის, საბინაო უსაფრთხოების, სოფლის განვითარებისა და სოციალურ-ეკონომიკური ზრდისთვის.

**2017 წლის 18 ოქტომბერს ევროკომისიამ გამოაქვეყნა ოფიციალური საორიენტაციო დოკუმენტი 2017/C 350,**<sup>2</sup> სადაც კომისია აღიარებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სპეციფიკურ ხასიათს, მიიჩნევს, რომ იგი იშვიათი და ამოწურვადი რესურსია, რომელიც განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს. ევროკომისია აღნიშნავს, რომ „სოფლის მეურნეობაში უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხები ახალი არ არის, თუმცა ბოლო პერიოდში განხორციელებული მზარდი უცხოური ინვესტიციები გახდა ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს წუხილის საფუძველი. პირველ რიგში უცხოური ინვესტიციები ხშირად აღითქმება როგორც ადგილობრივი ფერმერების განდევნის მიზეზი. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ დამუშავებისთვის გამოსადეგი მიწა დაუცველია არაკეთილსინდისიერი ინვესტორებისგან. გამოითქვა შიში მიწის კონცენტრაციის გაზრდასა და მიწის სპეკულაციურ მართვასთან დაკავშირებით, აგრეთვე მის შესაძლო ნეგატიურ ეფექტებზე, სასურსათო უსაფრთხოებაზე, უმუშევრობაზე, გარემოს დაცვით საფრთხეებზე, მიწის ხარისხსა და სოფლის განვითარებასთან

<sup>1</sup> <https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/daniis-moqalae-heike-qronqvisti-saqartvelos-parlamentis-winaagmdg-692.page>

<sup>2</sup> <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=OJ%3AC%3A2017%3A350%3AFULL>

დაკავშირებულ რისკებზე. სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის რეგულირების აუცილებლობა განსაკუთრებით აქტუალურია იმ ქვეყნებში, სადაც ბოლო წლებში განხორციელდა მიწის საყოველთაო რეფორმა და სახელმწიფო მიწის პრივატიზაცია ამჟამად მიმდინარეობს. ამ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასი კვლავ დაბალი რჩება სხვა წევრ ქვეყნებთან შედარებით“.

საორიენტაციო დოკუმენტში აღნიშნულია, რომ წევრ ქვეყნებს აქვთ უფლება დააწესონ მკაფიოდ განსაზღვრულ მიზნებზე დაფუძნებული შეზღუდვები, რომლებიც უნდა ემსახურებოდეს კონკრეტულ ქვეყანაში ფერმერული მეურნეობების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას, გადაჭარბებული ფასებით სპეკულაციის პრევენციას, მდგრადი და ეფექტური სოფლის მეურნეობის ხელშეწყობასა და განვითარებას.

საორიენტაციო დოკუმენტი 2017/C 350 შემუშავებულია ევროპის სასამართლოს (CJEU) მიერ დადგენილი პრაქტიკის საფუძველზე. ევროპის სასამართლო, აღიარებს რა სასოფლო-სამეურნეო მიწის სპეციფიურ ხასიათს, განსაზღვრავს საჯარო პოლიტიკის მიზნებს, რომლებიც შესაძლოა ამართლებდეს ინვესტორების შეზღუდვას აგრარულ მიწებზე, ესენია:

- ფრაგმენტული მიწების კონსოლიდაცია ეკონომიკური სარგებლის გაზრდის მიზნით, მიწის სპეკულაციის ხელშეშლა;
- ფერმერული მეურნეობების შენარჩუნება; მიწათმფლობელთა აქტიური ჩართულობა ფერმერულ მეურნეობებში; მიწის რაციონალური გამოყენება; ბუნებრივი კატაკლიზმების თავიდან აცილება; აგრარული მეურნეობების გამლიერება-განვითარება სოციალურ და მიწათდაგეგმარების პრინციპებზე დაყრდნობით;
- ტრადიციული ფერმერული მეურნეობის ხელშეწყობა, მიწის საკუთრებაში შენარჩუნების გზით; მიწის დამუშავება მეტწილად მესაკუთრეების მიერ;
- სივრცითი დაგეგმარება ადგილობრივი მოსახლეობის საერთო ინტერესების დაცვით და დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის უზრუნველყოფით;
- ტერიტორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სამხედრო ინტერესების დაცვა რეალური, კონკრეტული და მნიშვნელოვანი რისკებისგან.

ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს ჩარევა სასოფლო-სამეურნეო მიწაზე გადაჭარბებული ფასების თავიდან აცილების მიზნით, ზოგიერთ ვითარებაში გამართლებულია. საქმე ეხება ეროვნული მთავრობების უფლებას აკრძალონ მიწის გაყიდვა თუ მის ფასს ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ზედმეტად სპეკულაციურად მიიჩნევენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქმედებით იზღუდება ინვესტორისა და ინვესტიციის ბენეფიციარის თავისუფლება – თავად დაადგინონ ფასი მოთხოვნა-მიწოდების პრინციპიდან გამომდინარე და ეს *კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების* პრინციპს ეწინააღმდეგება, ევროსასამართლო მიიჩნია, რომ არაგონივრული (ზედმეტად სპეკულაციური) ფასების თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფოს ჩარევა, მის მიერ აღიარებულ აგრარული პოლიტიკის ჩარჩოებს არ სცდება.

ფასების კონტროლით, რომელიც დაფუძნებული იქნება ობიექტურ, არადისკრიმინაციულ და კარგად ადაპტირებულ კრიტერიუმებზე, შესაძლოა თავიდან იქნეს აცილებული მიწის ნაკვეთებით ზღვარგადასული სპეკულაცია. ამასთანავე დაინტერესებულ პროფესიონალ ფერმერსაც არ მოუწევს ზედმეტი თანხის გადახდა, რაც ზიანს აყენებს მისი მეურნეობის რენტაბელობას. ამ მოსაზრებასთან ერთად, ევროსასამართლო მოუწოდებს ქვეყნებს გამონახონ ფასების კონტროლის დაწესებაზე შედარებით მსუბუქი ზომები, თუმცა ფასების რეგულირების ეროვნული კანონმდებლობის პროპორციულობას სასამართლო განსაზღვრავს კონკრეტული ქვეყნის შემთხვევაში ყველა არსებული ფაქტობრივი და იურიდიული შემთხვევების შესწავლის შემდეგ.

კანონი ადგენს საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გასხვისების ვალდებულებას.

საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომლის დომინანტ პარტნიორს წარმოადგენს უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი ან ვერ დგინდება დომინანტი პარტნიორი ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს მთავრობა წარადგენს საინვესტიციო გეგმას. საინვესტიციო გეგმით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იურიდიულმა პირმა უნდა უზრუნველყოს 1 წლის ვადაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გასხვისება, წინააღმდეგ შემთხვევაში მიწა გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.

სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზებისას თუ მხარეს წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირი, საპრივატიზებო პირობა უნდა შეესაბამებოდეს საინვესტიციო გეგმისთვის დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო ვალდებულების შეუსრულებლობისას გამოიყენება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესები, რომელიც არ უნდა იყოს უფრო ხელსაყრელი, ვიდრე ეს დადგენილია ამ კანონით.

კანონი ითვალისწინებს შეზღუდვებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში, რაც შესაბამისობაშია საკუთრებისთვის დადგენილ მოთხოვნებთან. კერძოდ, დაუშვებელია საკუთრების გადასვლის პირობით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება უცხოელის, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირის ან/და საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიული პირის (რომლის დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი) სასარგებლოდ. დაუშვებელია აღნიშნული პირებისათვის ისეთი მოთხოვნის ან უფლების დათმობა, რაც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების წარმოშობას.

გამონაკლისი შემთხვევები დგინდება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და საქართველოს კანონით განსაზღვრული ფინანსური ინსტიტუტებისთვის საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობის ფარგლებში. ვინაიდან ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობა სწორედ ამგვარ საქმიანობას ითვალისწინებს, შესაბამისად მათ მიმართ ვერ გავრცელდება შეზღუდვა კანონის დანაწესიდან გამომდინარე, თუმცა მხოლოდ კანონით ნებადართული საქმიანობის ფარგლებში.

კანონის თანახმად, თუ იურიდიული პირის საკუთრებაშია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, დაუშვებელია პარტნიორთა იმგვარად შეცვლა, რომლის შედეგად დომინანტი პარტნიორი გახდება უცხოელი, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი ან/და საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომლის დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი. აღნიშნული ნორმა ემსახურება კანონით განსაზღვრულ ზოგადი განაწესის შესრულებას, რათა არ მოხდეს არაპირდაპირი წესით წილების გასხვისების საფუძველზე საკუთრების უფლების წარმოშობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე. ასევე წილის/აქციების/პაის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებისას უცხოელის, საზღვარგარეთ ან/და საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის (რომლის დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი) სასარგებლოდ იმ ოდენობით, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ან გირაოს საგნის მოგირავნის საკუთრებაში გადასვლისა და

დომინანტი პარტნიორის შეცვლის შემთხვევაში დაუშვებელია გირავნობის უფლების გამოყენება დაგირავებული საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის პირობით. კანონი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც დომინანტი პარტნიორის ცვლილება დასაშვებია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საინვესტიციო გეგმის საფუძველზე. აღნიშნული პუნქტის მიზანია უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გარიგების დადების გარეშე მოხდეს იურიდიული პირების წილის შეძენის შესაძლებლობა, თუმცა ამ შემთხვევაშიც ვრცელდება საერთო წესი, რაც გულისხმობს საინვესტიციო გეგმის შეთანხმების ვალდებულებას.

კანონის თანახმად, სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტის საკუთრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე განისაზღვრება კანონით და საქართველოს კანონმდებლობით. კანონი ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების სამართლებრივ სტატუსს. ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა წარმოადგენს საქართველოს მიწის ფონდის განუყოფელ ნაწილს, რომელზეც ვრცელდება განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას და უზრუნველყოს იმ პირთა უფლებები, რომლებიც კანონიერად ფლობდნენ, სარგებლობდნენ ან/და გააჩნდათ საკუთრების უფლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით დადებული ნებისმიერი გარიგება იმავე მომენტიდან მიიჩნევა ბათილად და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს.

კანონი იძლევა პრაქტიკულ შესაძლებლობას, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი უფრო მეტად იქნეს გამოყენებული ეკონომიკური საქმიანობისთვის. საქართველოს მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს ექნებათ შესაძლებლობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გამოიყენონ უზრუნველყოფის საშუალებად, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფინანსური ინსტიტუტებისგან სესხის მიღების მიზნით. ვინაიდან ფინანსური ინსტიტუტების დიდი ნაწილი შექმნილია უცხოური კაპიტალით, მოქმედი კანონმდებლობა მათ არ აძლევს უფლებას გასცენ ფულადი თანხები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის უზრუნველყოფით. შესაბამისად, წინამდებარე კანონი ადგენს ამგვარ სამართლებრივ საფუძვლებს, რაც დადებით გავლენას იქონიებს როგორც მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა, ასევე ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობაზე. ამასთან ფინანსური ინსტიტუტები ამჟამად ვერ ახდენენ მოვალის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობისას მათზე, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 22 მარტის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედების შეჩერებამდე გაცემული ფულადი თანხების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფის საგნით. კანონი ადგენს ამგვარ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლებს, რაც, ერთი მხრივ, ფინანსურ ინსტიტუტებს მისცემს მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მოექცეს სამოქალაქო ბრუნვაში.

კანონი დადებით გავლენას იქონიებს იმ პირთა ფინანსურ შედეგებზე, რომელთაც მემკვიდრეობისა და კანონის ამოქმედებამდე გაცემული უფლების დამდგენი დოკუმენტის საფუძველზე, ასევე მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე მიეცემათ რეგისტრაციის შესაძლებლობა, რაც ასევე უზრუნველყოფს ამგვარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სამოქალაქო ბრუნვაში მოქცევას. იგი ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს. ადამიანის



უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი აღიარებს რა ყოველი ფიზიკური და იურიდიული პირის უფლებას საკუთრებით შეუფერხებელ სარგებლობაზე, იმავდროულად ითვალისწინებს საკუთრებაზე კონტროლის დაწესების შესაძლებლობასაც: „...წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლის, ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად“.

ევროკომისიის 2017 წლის 18 ოქტომბერის 2017/C 350<sup>1</sup> საორიენტაციო დოკუმენტის თანახმად, კომისია აღიარებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სპეციფიკურ ხასიათს, მიიჩნევს, რომ იგი იშვიათი და ამოწურვადი რესურსია, რომელიც განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს. საორიენტაციო დოკუმენტში აღნიშნულია წევრი ქვეყნების უფლება – დააწესონ მკაფიოდ განსაზღვრულ მიზნებზე დაფუძნებული შეზღუდვები, რომლებიც უნდა ემსახურებოდეს კონკრეტულ ქვეყანაში ფერმერული მეურნეობების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას, გადაჭარბებული ფასებით სპეკულაციის პრევენციას, მდგრადი და ეფექტური სოფლის მეურნეობის ხელშეწყობასა და განვითარებას. საორიენტაციო დოკუმენტი ეყრდნობა ევროპის სასამართლოს (CJEU) მიერ დადგენილი პრაქტიკის საფუძვლებს. ევროპის სასამართლო, აღიარებს სასოფლო-სამეურნეო მიწის სპეციფიკურ ხასიათს და განსაზღვრავს საჯარო პოლიტიკის მიზნებს, რომლებიც შესაძლოა ამართლებდეს ინვესტორების შეზღუდვას აგრარულ მიწებზე.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, მიწა წარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას და მოქალაქეებს გადაეცემოდათ სარგებლობის უფლებით. „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ დადგენილებით სასოფლო-სამეურნეო მიწის დიდი ნაწილი გადაეცა მოსახლეობას როგორც სოფლად, ისე ქალაქად, მიუხედავად იმისა, ეწეოდნენ თუ არა ისინი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას მანამდე. ხშირ შემთხვევაში გადაცემული ფართობები დანაწილებული იყო 3-4 მცირე ზომის ნაკვეთად და სხვადასხვა ადგილას მდებარეობდა. შესაბამისად, მოხდა ნაკვეთების ფრაგმენტაცია, გაუთვალისწინებელი დარჩა ძირითადი ინფრასტრუქტურული საჭიროებები, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის უფლებათა გამიჯვნის საკითხი და მიწის ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, ამასთან მოუწესრიგებელი დარჩა საკუთრების უფლების ფორმალური აღიარების საკითხი.

2005 წლამდე, მიწის მართვის დეპარტამენტის გაუქმებამდე, საქართველოში მიწების აღრიცხვა ხორციელდებოდა დანიშნულებისა და კატეგორიების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით რაიონების შესაბამისად. ყოველწლიურად დგებოდა მიწის ბალანსი, რომელიც განიხილებოდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის, დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მიერ და მტკიცდებოდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელშიც მოცემული იყო მიწის რაციონალურად მართვის რეკომენდაციები.

მიწის ბალანსში აისახებოდა წლის განმავლობაში მიწის კატეგორიებში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებსა და საკუთრება-სარგებლობაში მომხდარი რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებები. მიწის ყოველწლიური ბალანსის შედგენა იძლეოდა სახელმწიფო კონტროლის საშუალებას მიწის ფონდში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებებზე, მათ შორის ინტენსიური და არაინტენსიური სავარგულების მატება-კლების დინამიკის აღრიცხვის,

<sup>1</sup> <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/>

ქალაქმშენებლობის, გზებისა და სხვა საჭიროებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბრუნვიდან ამოღების, სამაგიერო მიწის ჩანაცვლებისა და ა.შ., რაც წარმოადგენდა მიწის მართვის საფუძველს.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სწორი მართვისათვის მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები არ იძლეოდა საკმარის ინფორმაციას. მიწის რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის მოწესრიგება მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, ვინაიდან სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტა დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე. მიწის ეფექტიანი მართვის, როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობის შემაფერხებელ გარემოებას, წარმოადგენდა მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემების არ არსებობა, რაც აძნელებდა სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას.

მიწისა და მიწის რესურსების განვითარების სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შემუშავება მოითხოვს შესაბამის ინსტიტუციურ მოწყობას. მისი არ არსებობა, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა რეგიონულ განვითარებაზე, ადგილობრივი თემების ჩართულობაზე, ასევე სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებაზე. გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ეკონომიკური ეფექტიანობის მისაღებად აუცილებელი იყო მიწის ბალანსის შედგენის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის, მონიტორინგისა და დაცვის მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლების არსებობა.

„მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრის და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით ხელი შეეწყო მიწის მდგრადი მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, მის რაციონალურ გამოყენებას და დაცვას. დადგინდა მიწის რესურსების აღრიცხვის, მიწის ბალანსის შედგენისა და სტატისტიკური მონაცემების წარმოების სამართლებრივი საფუძველი. კანონით განისაზღვრა მიწის მიზნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიები და მათი ცვლილების წესი. კანონით უზრუნველყოფილია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვის სახელმწიფო ინსტიტუციონალური მოწესრიგება, რა მიზნითაც განისაზღვრა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს შექმნა. მისი მიზანია მიწის მდგრადი მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა, მიწის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფა, მიწის ბალანსის შედგენის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვისა და სტატისტიკური მონაცემების წარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების მიზნობრივი გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო მონიტორინგის სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა.

კანონი განსაზღვრავს მიწის მიზნობრივი დანიშნულებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიებს და მათი ცვლილების სამართლებრივ საფუძველს; ადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრად მართვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხის მოწესრიგების, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს შექმნის სამართლებრივ საფუძველებს.

ახლებურად ყალიბდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ცნება. მოცემული განმარტება შეესაბამება „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ოთხი კატეგორია და განმარტებულია თითოეული კატეგორიის ცნება, რაც მნიშვნელოვანია ნორმის პრაქტიკული გამოყენებისთვის. სამოვრის, სათიბისა და სახნავის კატეგორიის განსაზღვრა ხდება მიწის ამგვარი სახით გამოყენების ან გამოყენების შესაძლებლობის დათქმით, მიწის ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით. სახნავის კატეგორიის მიწის ნაკვეთი მოიცავს ასევე მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებულ ნაკვეთებს. განმარტებულია ასევე საოჯახო მეურნეობის ცნება. ასეთად ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული საცხოვრებელი სახლის, სამეურნეო ნაგებობების, გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა ან/და მოწყობილობათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას. ამგვარი განმარტება მოცემულია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 22 მარტის კანონში. ამ ტერმინს პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია მრავალი სხვა კანონისთვის, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მემკვიდრეობის მომწესრიგებელი ნორმებში კეთდება დათქმა საოჯახო მეურნეობაზე. კანონი პირდაპირ არ განმარტავს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას და კეთდება მითითება, რომ მიწა, რომელიც არ არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების. ამგვარი განმარტება მოცემულია მოქმედ კანონმდებლობაშიც, ვინაიდან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლება იყოს ან/და გამოიყენებოდეს მრავალი სხვადასხვა სახით. კანონი ითვალისწინებს „მიწის ნაკვეთის“ ცნებას და იგი არის გეომეტრიული ერთიანობის მქონე ტერიტორია, რომელიც მოქცეულია ერთიან საზღვრის კონტურში და ერთიან უფლებრივ სივრცეში. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების საკომპენსაციო თანხა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით და მისი გადახდა ხდება სახელმწიფო ბიუჯეტში. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკომპენსაციო თანხა იანგარიშება მიწის მდებარეობის, ფართობის და კატეგორიის გათვალისწინებით.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სწორი მართვისათვის მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები არ არის საკმარისი. სასოფლო-სამეურნეო მიწის მართვის ერთიანი პრინციპების შექმნა, მიწის ბაზრის განვითარება და შესაბამისი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება მოითხოვს სათანადო ინსტიტუციურ მოწყობას, რომლის არარსებობა უარყოფით გავლენას ახდენდა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. მნიშვნელოვანია, რომ სათანადოდ უფლებამოსილმა უწყებამ განახორციელოს მიწის რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვა, მიწის ბალანსის წარმოება დანიშნულებისა და კატეგორიების შესაბამისად. აღნიშნული შექმნის შესაძლებლობას სახელმწიფოს ჰქონდეს ინფორმაცია მიწის ფონდში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებასთან დაკავშირებით, მათ შორის, ინტენსიური და არაინტენსიური სავარგულების მატება-კლების დინამიკის, მიწის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რაიონების მიხედვით გასატარებელი ღონისძიებების, ურბანული მშენებლობის, გზებისა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბრუნვიდან ამოღების და სამაგიერო მიწის ჩანაცვლების თაობაზე. ყოველივე ზემოაღნიშნული წარმოადგენს მიწის მდგრადი მართვის საფუძვლებს. სააგენტო უზრუნველყოფს სახელმწიფოს მმართველობითი ფუნქციების შესრულებას – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რაციონალური გამოყენებისა და მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაციის თავიდან აცილების მიზნით; ახალი მიწების ათვისებისა და მიწის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით; უფლებამოსილების ფარგლებში, გაუდაბნოების წინააღმდეგ

საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით; უზრუნველყოფს მიწის ბალანსის შედგენას და სტატისტიკური მონაცემების წარმოებას.

დადგინდა საქართველოს მიწის ფონდის ცნება. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა სახის მიწა, მათ შორის ტყით და წყლის ობიექტებით დაკავებული მიწები, რომელიც შეიძლება იყოს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, თვითმმართველი ერთეულის ან კერძო საკუთრება, ერთიანობაში ქმნის საქართველოს მიწის ფონდს. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა წარმოადგენს საქართველოს მიწის ფონდის შემადგენელ უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ასეთი მიწის ნაკვეთი გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის, საკარმიდამოს ან/და საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად და მასზე შესაძლებელია განთავსებული იყოს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი სამეურნეო ან/და დამხმარე ნაგებობებით. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების არის ის მიწის ნაკვეთები, რომლებიც დაკავებულია მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ელექტროსისტემის ან/და სხვ. ობიექტებით და არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, ასევე, წყლის ობიექტით დაკავებული მიწის ნაკვეთი, ტყით დაფარული ტერიტორია. დაუშვებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გამოყენება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არამიზნობრივად გამოყენების შედეგად, მიწის ხარისხის გაუარესებით გამოწვეული ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას, რომელიც იანგარიშება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მეთოდის მიხედვით მუნიციპალიტეტებისა და განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიებისთვის დადგენილი საკომპენსაციო თანხების გათვალისწინებით.

მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილება დასაშვებია, ანუ შესაძლებელია როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფა, ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებაში გადაყვანა. ამ უკანასკნელს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სათანადო ინვესტიციების განხორციელების პირობით მოხდა სასოფლო მიწის ნაკვეთისათვის დანიშნულების ცვლილება, თუმცა შემდეგ, გარკვეული გარემოებების გამო, ვერ იქნა უზრუნველყოფილი საინვესტიციო პირობების შესრულება და მიწის ნაკვეთი კვლავ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში მესაკუთრეს არ აქვს შესაძლებლობა მიწის ნაკვეთს აღუდგინოს მიზნობრივი დანიშნულება. იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო კანონმდებლობით არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისათვის დადგენილია გადასახადის უფრო მაღალი განაკვეთი, ასეთი მიწის მესაკუთრე იხდის დაუსაბუთებლად მაღალ გადასახადს, ამასთან მიწის ნაკვეთი არ არის მიმზიდველი იმ დაინტერესებული პირებისთვის, რომელთაც სურთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. სახელმწიფოს ინტერესია მაღალი ინტენსივობის სასოფლო-სამეურნეო მიწების შენარჩუნება და დანიშნულების შესაბამისად გამოყენება.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილება დასაშვებია დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში სივრცითი დაგეგმარების პირობების გათვალისწინებით. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად, სივრცის დაგეგმარება არის საზოგადოების ეკონომიკური (მათ შორის, აგრარული, სამრეწველო, სატრანსპორტო და ა.შ.), სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური პოლიტიკის გეოგრაფიული ასახვა, რომელიც ვითარდება მრავალმხრივი და მრავალდისციპლინური მიდგომის ფარგლებში და უზრუნველყოფს საერთო სტრატეგიის შესაბამისად, დაბალანსებულ განვითარებას და სივრცის ფიზიკურ ორგანიზებას.

სივრცითი დაგეგმვის პრინციპების გათვალისწინებით ტერიტორიებისა და დასახლებათა განვითარება უნდა განხორციელდეს ეკონომიკური და სხვა საქმიანობის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმაციით, ტერიტორიებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებით. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დასახლებათა პოლიცენტრული, მრავალფეროვანი და დაბალანსებული განვითარება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის სივრცით-ტერიტორიული წინაპირობების შექმნა. ყოველივე ზემოაღნიშნულს უკავშირდება მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების საკითხის გადაწყვეტა. მიწის დანიშნულების ცვლილება ვერ განხორციელდება სივრცითი დაგეგმარების პირობებისგან დამოუკიდებლად.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობით, მიწის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება ტერიტორიების სივრცითი მოწყობის პირობების გათვალისწინებით. მიწის მდგრადი მართვისა და რაციონალური გამოყენების პრინციპებიდან გამომდინარე, მხოლოდ მესაკუთრის მიერ გაცხადებული დასაბუთებული საჭიროება არ არის საკმარისი მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილებაზე გადაწყვეტილების მისაღებად და აუცილებელია სივრცითი დაგეგმარების პირობების გათვალისწინება.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილება წარმოებს შესაბამისი საკომპენსაციო თანხის საფუძველზე. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილებისთვის საკომპენსაციო თანხა არ გადაიხდება. მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების ღირებულება იანგარიშება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მდებარეობის, ფართობისა და კატეგორიის გათვალისწინებით. მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების ღირებულების თანხა გადაიხდება სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც გამოიყენება ახალი მიწების ათვისებისა და მიწის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შეიძლება იყოს ოთხი კატეგორიის. კატეგორიის ცვლილება დასაშვებია დაბალი ინტენსივობის კატეგორიიდან მაღალი ინტენსივობის კატეგორიაში გადაყვანით, ხოლო საკარმიდამოს კატეგორია შეიძლება მიენიჭოს როგორც სახნავის, ასევე საძოვრის და სათიბის კატეგორიის მიწის ნაკვეთებს. აღნიშნული წესი განსხვავდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციისგან, რომლის თანახმად საკარმიდამოს კატეგორია შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ სახნავის კატეგორიის მიწის ნაკვეთს. ვინაიდან კანონის მიხედვით საკარმიდამოს კატეგორიის განმსაზღვრელი არის მიწის ნაკვეთზე განთავსებული საცხოვრებელი სახლი, ამიტომ ეს კატეგორია უნდა მიენიჭოს ყველა დანარჩენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, თუ მასზე განთავსებულია საცხოვრებელი სახლი.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება წარდგენილი დოკუმენტაციის, სააგენტოში დაცული მონაცემებისა და სივრცითი დაგეგმარების პირობების გათვალისწინებით, რაც რეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

სახელმწიფოს მიერ დაწესდა, რომ მესაკუთრის მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასთან მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობის გასხვისებისას უპირატესი შესყიდვის უფლება მიენიჭოს სახელმწიფოს, თუ ის აუცილებელია საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. ამგვარ წესს ითვალისწინებს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი. დაზუსტებულია, რომ სახელმწიფოს მიერ უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის, მიწის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში. ამ შემთხვევაშიც სასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს მიერ უპირატესი შესყიდვის უფლება ნიშნავს, რომ მან შეიძინოს მიწის ნაკვეთი მესაკუთრისგან იმ ფასად და იმავე პირობებით, რომლებითაც მესაკუთრე ამ ქონების მესამე პირისათვის მიყიდვას აპირებს. უპირატესი შესყიდვისას გამოიყენება საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის დადგენილი წესი.

უპირატესი შესყიდვის უფლება გათვალისწინებულია მაშინაც, თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი არის საერთო საკუთრება ან გაცემულია იჯარით. უცხო ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გასხვისებისას, უმეტეს შემთხვევაში, დადგენილია უპირატესი შესყიდვის უფლება სახელმწიფოს მხრიდან შემდეგ ქვეყნებში: საფრანგეთი, რუმინეთი, ლიეტუვა და სხვა. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის უწყვეტობის, სტაბილურობისა და სიცოცხლისუნარიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია დამატებითი გარანტიები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთათვის და მათთვის, ვინც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სარგებლობს ამ დანიშნულების მიწის ნაკვეთით (მოიჯარე). ამგვარი წესი მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1460-ე და 1480-ე მუხლებში მხოლოდ მემკვიდრეებთან მიმართებით და ამ ნორმების მიზანია სწორედ შენარჩუნდეს მიწის ნაკვეთზე სიცოცხლისუნარიანი მეურნეობა.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებისას თანამესაკუთრე სარგებლობს წილის უპირატესი შესყიდვის უფლებით. ამავე უფლებით სარგებლობს კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მოიჯარე, თუ იჯარის უფლების რეგისტრაციიდან გასულია არანაკლებ 2 წელი. ამ უფლებით არ სარგებლობენ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული პირები, რადგან მათ მიწაზე საკუთრების უფლების წარმოშობის სპეციალური საფუძვლები გააჩნიათ.

კანონში დეტალურად არის დადგენილი უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების წესები, რათა არაგონივრულად არ შეიზღუდოს საკუთრების უფლება. პირი, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისება სურს, ვალდებულია უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს გაუფხავნოს შეტყობინება დაზღვეული წერილით და ფოსტის მეშვეობით საქართველოში არსებულ მისამართზე ან შეტყობინების ჩაბარების განსხვავებულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში გათვალისწინებული წესით. შეტყობინებაში მითითებულ უნდა იქნეს ნასყიდობის საგანი, ნასყიდობის ფასი, ანგარიშსწორების ვადა და მის მიერ შესასრულებელი ვალდებულების შესახებ ინფორმაცია. უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების ვადა არ უნდა იყოს 20 კალენდარულ დღეზე ნაკლები, რათა დაინტერესების შემთხვევაში გონივრულ ვადაში შეძლოს უფლების რეალიზება. თუ შეტყობინება არ ჩაბარდა უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს საქართველოში არსებული მისამართზე ან არ დგინდება უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირის საქართველოში არსებული მისამართი, ან საჯარო რეესტრში დაცული მონაცემებით ვერ ხდება პირის ზუსტი იდენტიფიცირება, ვალდებული პირი შეტყობინებას აქვეყნებს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გამოქვეყნების მომენტიდან. აღნიშნული წესი ხელს შეუწყობს მესაკუთრის უფლებას, რომ ჰქონდეს გონივრული ვადა ქონების რეალიზებისთვის.

უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირის გარდაცვალების შემთხვევაში მემკვიდრე უპირატესი შესყიდვის უფლებით სარგებლობს სამკვიდროს გახსნისა და სამართალმემკვიდრის რეგისტრაციის შემდეგ. სამართალმემკვიდრის რეგისტრაციამდე პირს არ ეკისრება

შეტყობინების ვალდებულება და მის მიმართ არ ვრცელდება ამ მუხლით დადგენილი ვალდებულებები. შესაძლებელია, მემკვიდრეობის საკითხის გადაწყვეტა ხანგრძლივის დროის განმავლობაში ვერ მოხდეს და ამის მიზეზი იყოს, მათ შორის, მემკვიდრის მხრიდან სათანადო ინტერესის არ არსებობა ან მემკვიდრეებს შორის დავა. ამ ვადის განმავლობაში მესაკუთრის უფლების არაგონივრულად შეზღუდვის თავიდან აცილების მიზნით, კანონის პროექტი ითვალისწინებს მემკვიდრის უპირატესი შესყიდვის უფლებას მხოლოდ მისი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში მიმართოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და უძრავ ნივთზე დაარეგისტრიროს უპირატესი შესყიდვის უფლება. მესაკუთრე უფლებამოსილია გაასხვისოს მესამე პირზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ან მისი ნაწილი, თუ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირი უარს განაცხადებს უფლების გამოყენებაზე ან კანონით დადგენილ ვადაში არ მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. თუ ვალდებული პირი შეტყობინებიდან 1 წლის განმავლობაში ვერ გაასხვისებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს ან მის ნაწილს, ამ ვადის გასვლის შემდეგ, მას კვლავ ეკისრება შეტყობინების ვალდებულება. თუ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე უპირატესი შესყიდვის უფლება ერთდროულად გააჩნია თანამესაკუთრეს (ებ), მოიჯარეს და/ან სახელმწიფოს, პირველ რიგში, უპირატესი შესყიდვის უფლებით სარგებლობს თანამესაკუთრ(ებ)ი, მის (მათ) მიერ უფლების გამოყენებლობის შემთხვევაში – მოიჯარე და მხოლოდ მათ შემდეგ – სახელმწიფო.

კანონის დებულებები გამომდინარეობს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და დგინდება წესები საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის უფლებების რეალიზებისთვის და ორგანული კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთვის. საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების მისაღებად საინვესტიციო გეგმას წარუდგენს დარგში პოლიტიკის განმახორციელებელი აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის დაწესებულებას, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, სააგენტოსთან და შესაბამის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით, საინვესტიციო გეგმას წარუდგენს საქართველოს მთავრობას. მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება შესაბამისი დადგენილებით.

იურიდიული პირის მიერ საინვესტიციო გეგმით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობა დასტურდება ასევე მთავრობის გადაწყვეტილებით, რათა არსებობდეს მათი უფლებების დაცვის მეტი გარანტია. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის გადაწყვეტილებით დადასტურდა ვალდებულებების შეუსრულებლობა, ეს ინფორმაცია ეგზავნება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს და ვალდებული პირის მიერ მიწის ნაკვეთის 1 წლის ვადაში გაუსხვისებლობის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო უზრუნველყოფს მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლას. თუ საინვესტიციო გეგმის ფარგლებში მოხდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილება, ზემოაღნიშნული წესი გავრცელდება ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზეც. სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზებისას,

ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გამოიყენება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესები, რომელიც არ უნდა იყოს უფრო ხელსაყრელი, ვიდრე ეს დადგენილია კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის.

საქართველოს სასაზღვრო ზონაში არსებულ და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ზონებში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებთან მიმართებით საინვესტიციო გეგმის განხილვისას გადაწყვეტილება მიიღება ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის გათვალისწინებით. საინვესტიციო გეგმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება ასევე „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები და ძირითადი მიმართულებები ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით.

მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლა წარმოებს წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურებით. ქონების ღირებულების დადგენისა და მისი ანაზღაურების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. თუ ვალდებული პირი არ დაეთანხმება მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლის პირობებს, ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლა მოხდება აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებით.

კანონი ითვალისწინებს ასევე იმ შემთხვევას, როდესაც მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებულია საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა. ამ დროს მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლის საკითხი გადაწყდება საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის გაუქმების შემდეგ დამდგარი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ და „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული წესები შეეხო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უფლების რეგისტრაციის საკითხებსაც. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დგინდება განსაკუთრებული წესი და გამონაკლისები სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, აღნიშნული წესის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო მიწაზე უფლების რეგისტრაციისას სარეგისტრაციო ორგანოსთვის შესაძლებელი უნდა იყოს კერძო სამართლის იურიდიული პირის დომინანტი პარტნიორის დადგენა, რამაც მოითხოვა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებს განხორციელება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში.

„მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრის წესს. შესაბამისად, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი შესაბამისობაში მოვიდა ზემოაღნიშნულ ნორმებთან. „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონი შესაბამისობაში მოვიდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონთან და „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონთან. ცვლილების შედეგად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრების უფლების რეგისტრაციისას, დაინტერესებულ პირს ვალდებულება დაეკისრა წარადგინოს სათანადო წესით შედგენილი დოკუმენტაცია, რომლითაც დადგინდება დომინანტი



პარტნიორის შესახებ მონაცემები, რაც უზრუნველყოფს ორგანული კანონით დადგენილი ნორმების აღსრულებას.

კანონის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე უფლების რეგისტრაცია წარმოებს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრების უფლების რეგისტრაციისას დაინტერესებული პირი ვალდებულია წარადგინოს სათანადო წესით შედგენილი დოკუმენტაცია, რომლითაც დადგინდება დომინანტი პარტნიორის შესახებ მონაცემები, თუ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ჩანაწერებით ეს გარემოება არ დგინდება (მაგ.: სააქციო საზოგადოების შემთხვევაში) ან მონაცემები არასრულყოფილია [მაგ.: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ან კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში]. აღნიშნული ვალდებულება ჩნდება იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ გარკვეული სახის იურიდიული პირების პარტნიორების შესახებ მონაცემები არ რეგისტრირდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ამგვარი იურიდიული პირის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე უფლების რეგისტრაციისას უნდა დადგინდეს მონაცემები დომინანტი პარტნიორის შესახებ. შესაბამისად, მათ ეკისრებათ ვალდებულება წარადგინონ სათანადო წესით შედგენილი ინფორმაცია მარეგისტრირებელ ორგანოში. ზემოაღნიშნული ვალდებულება ვრცელდება ასევე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე იპოთეკის უფლების ან საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების რეგისტრაციისას, რომელიც ითვალისწინებს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების წარმოშობას.

საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე პარტნიორი, რომლებიც თავის მხრივ არიან კერძო სამართლის იურიდიული პირები. მათი პარტნიორები შეიძლება იყვნენ ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირები და ა.შ., ასეთ შემთხვევაში, დომინანტი პარტნიორის განსაზღვრა სარეგისტრაციოდ განსაზღვრულ ვადაში, მით უმეტეს თუ სარეგისტრაციო წარმოება მიმდინარეობს დაჩქარებულ ვადებში, საჭიროებს არაგონივრულად დიდ რესურსს. ამგვარად, თუ იმ იურიდიული პირის, რომლის საკუთრების უფლება რეგისტრირდება, ასევე მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მონაცემები რეესტრით არ დგინდება, დომინანტი პარტნიორი ერთმნიშვნელოვნად დაინტერესებული ხდება და რეგისტრაციისას უფლება აქვს მხარეს მოსთხოვოს ამგვარი ინფორმაციის წარდგენა. კონკრეტული შემთხვევები ამომწურავად უნდა განისაზღვროს ინსტრუქციით.

დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი მონაცემების სისწორეზე, თუ ეს მონაცემი არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, პასუხისმგებლობა ეკისრება მის შემდგენ პირს. არასწორი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში, აღნიშნული გარემოება შეიძლება გახდეს საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი.

მონაცემების წარდგენის ვალდებულება არ ეკისრება საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფინანსურ ინსტიტუტებს, თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე უფლების რეგისტრაცია წარმოებს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის და საქართველოს ფინანსური ინსტიტუტების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის შედეგად, რადგან ასეთ შემთხვევაში არ დგას დომინანტი პარტნიორის დადგენის ვალდებულება.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ და „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონებიდან გამომდინარე ცვლილება შევიდა სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის მე-4 პუნქტში და 959-ე მუხლში. ცვლილების თანახმად, უპირატესი შესყიდვის უფლება დგინდება მხარეთა შეთანხმებით ან საქართველოს კანონმდებლობით.

ცვლილება შევიდა ასევე სამოქალაქო კოდექსის 1460-ე, 1461-ე და 1464-ე მუხლებში და „საადგილმამულო მეურნეობის“ ნაცვლად მიეთითა „საოჯახო მეურნეობა“. „საადგილმამულო მეურნეობის“ ცნება მოქმედი კანონმდებლობით არ არის განმარტებული. აღნიშნული ცნების განმარტებას ითვალისწინებდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის 2000 წლის 14 ივნისამდე მოქმედი რედაქცია. 2000 წლის 14 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებით ამოღებულ იქნა „საადგილმამულო მეურნეობის“ განმარტება. ამგვარად, სამოქალაქო კოდექსში არსებული ტერმინის ზუსტი განმარტება ამჟამად არ არსებობს. „სასოფლო-სამეურნეო მიწის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დგინდება „საოჯახო მეურნეობის“ ცნება, რომელიც შეესაბამება „საადგილმამულო მეურნეობის“ ცნებას. კერძოდ, საოჯახო მეურნეობა არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული საცხოვრებელი სახლის, აგრეთვე სამეურნეო ნაგებობების, გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობათა (ან ამის გარეშე) ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას. ამგვარად სამოქალაქო კოდექსის 1460-ე, 1461-ე და 1464-ე მუხლებში სიტყვები „საადგილმამულო მეურნეობა“ შეიცვალა საოჯახო მეურნეობით.

კანონმდებლობიდან ამოღებულია სამოქალაქო კოდექსის 1323-ე და 1463-ე მუხლები. სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლის თანახმად, კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო იხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან, ხოლო 1463-ე მუხლის თანახმად, თუ საადგილმამულო მეურნეობა კომლის მეურნეობაა და კომლის ბოლო წევრს ანდერძი არ დაუტოვებია, კომლის საერთო ქონება კანონით გადავა მემკვიდრეებზე იმ პირობით, რომ კომლის მეურნეობა არ დაიშალოს. კომლის ბოლო წევრის მიერ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრის დანიშვნის შემთხვევაში ის წესი უნდა იქნეს გამოყენებული, რომელიც საერთოდ საადგილმამულო მეურნეობას ეხება.

„სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არ ითვალისწინებს კომლის საკუთრებას. საქართველოს კანონმდებლობით კომლი არ წარმოადგენს სამართალურთიერთობის დამოუკიდებელ სუბიექტს. იგი არ არის იურიდიული პირი და არც ამხანაგობა/გაერთიანება, რომელიც ერთობლივი პასუხისმგებლობით მოქმედებს. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების თაობაზე საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 22 მარტის დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა კომლებისათვის, ოჯახებისათვის გაცემული მიწის ნაკვეთები, აგრეთვე 1992 წლამდე მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული საბაღე, საბოსტნე, სააგარაკო, სამოსახლო, საკარმიდამო ნაკვეთები გამოცხადდა მათ კერძო საკუთრებად. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საკომლო მეურნეობა არის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მათზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ერთი ფიზიკური პირის საკუთრებას ანდა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებას. ამავ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საკომლო მეურნეობა რეგისტრირებული უნდა იქნეს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში). თუ ეს მეურნეობა

მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი საკომლო მეურნეობის თანამესაკუთრედ რეგისტრირდება. ამგვარად, კომლისთვის გადაცემული ქონება წარმოადგენს კომლის წევრების საერთო საკუთრებას. დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ასევე კომლის მეურნეობას, თუმცა 1323-ე მუხლის გაუქმებამ, დამატებითი დროებითი ღონისძიების დაწესების გარეშე, შეიძლება მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება გამოიწვიოს, ვინაიდან მიწის ნაკვეთზე უფლება შეიძლება წარმოემვათ კომლიდან სხვადასხვა მიზეზით გასულ წევრებს და მათ მემკვიდრეებს, რადგან შესაბამისი ცვლილების ასახვა არ ხდებოდა საკომლო წიგნების ჩანაწერებში. რეგულაცია დგინდება იმგვარად, რომ თუ კანონის ამოქმედების მომენტისთვის კომლში არის ცოცხალი წევრი, ერთ-ერთი წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, შესაძლებელია გაიხსნას სამკვიდრო და საკუთრების უფლება კომლის ცოცხალ წევრებთან ერთად დარეგისტრირდეს ასევე გარდაცვლილი წევრის მემკვიდრეებზე. ამგვარად უფლება ქონებაზე ექნებათ არა მხოლოდ ბოლოს გარდაცვლილი წევრის მემკვიდრეებს, არამედ ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის ყველა ცოცხალი წევრის მემკვიდრეს, მათ შორის იმ პირებსაც, რომლებიც მიწის რეფორმის შემდეგ დაიბადნენ და რომელთა აღრიცხვაც საკომლო წიგნებში არ მომხდარა (ვინაიდან საკომლო წიგნების წარმოება აღარ ხდება), ხოლო თუ კომლში აღრიცხული ყველა წევრი გარდაცვლილია ამ კანონის ამოქმედებამდე, სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან კომლის ბოლო წევრზე.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრის და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფერო მოიცავს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მართვა/განკარგვის საკითხებს. აღნიშნული პროექტებით განისაზღვრა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვა/განკარგვის, საკუთრების, სარგებლობის პირობები, რამაც განაპირობა სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

საკანონმდებლო ცვლილებებით „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები, რომლებიც შეეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან დაკავშირებულ საკითხებს, შესაბამისობაში მოვიდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონთან და „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონთან.

კანონით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განმარტება შესაბამისობაში მოვიდა ორგანული კანონთან, რომლის თანახმად მიწა შეიძლება არსებობდეს ოთხი კატეგორიის – სამოვრის, სათიბის, სახნავის ან საკარმიდამოსი. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ორგანული კანონის პროექტი ითვალისწინებს კატეგორიების განმარტებას, რაც მნიშვნელოვანი ნორმის პრაქტიკული გამოყენებისთვის.

მიწის პრივატიზებისას „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონთან ერთად გავრცელდება ორგანული კანონით განსაზღვრული წესები.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მართვა/განკარგვისა და პრივატიზების საკითხები, სახელმწიფო ქონების შესახებ კანონთან ერთად, რეგულირდება ორგანული კანონით. ამ ნორმის თანახმად, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომლის დომინანტ პარტნიორს წარმოადგენს უცხოელი ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, სახელმწიფო

საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის შეძენა შეუძლია პირდაპირი მიყიდვის ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე <sup>12</sup> პუნქტით განსაზღვრული პირები ვერ შეიძენენ ქონებას აუქციონის წესით, ვინაიდან ორგანული კანონით აღნიშნული პირები სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენას შეძლებენ მხოლოდ მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონებიდან გამომდინარე ცვლილება შევიდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის დანართის („შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით“) ცხრილის 38-ე გრაფაში ცვლილებას, რომლის მიხედვითაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების საკომპენსაციო თანხისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არამიზნობრივად გამოყენების შედეგად მიწის ხარისხის გაუარესებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი გადაიხდება სახელმწიფო ბიუჯეტში, ნაცვლად თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისა, რათა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან კანონით გათვალისწინებული ახალი მიწების ათვისებისა და მიწის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა დაფინანსება. ამჟამად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენების ან განკარგვის შემთხვევაში სანაცვლო საკომპენსაციო თანხა დადგენილია მხოლოდ თბილისისა და ბათუმის მუნიციპალიტეტების და სარეკრეაციო ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებისათვის. თბილისისა და ბათუმის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენების ან განკარგვის შემთხვევაში სანაცვლო საკომპენსაციო თანხა შეადგენს - 34 001 ლარს, ხოლო სარეკრეაციო ტერიტორიაზე არსებული 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისათვის – 100 000 ლარს. „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების საკომპენსაციო თანხის გადახდის ვალდებულებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, მათ შორის, თბილისისა და ბათუმის მუნიციპალიტეტებისა და სარეკრეაციო ტერიტორიებისთვის.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონებიდან გამომდინარე დაზუსტდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიების ცნება, რომელთან შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის ის დებულებები, რომლებიც განმარტავს აღნიშნულ ტერმინებს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-200 და 204-ე მუხლებით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიები დაზუსტდა წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტის შესაბამისად და განისაზღვრა როგორც: სამოვარი, სათიბი, სახნავი (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული) და საკარმიდამო.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიდან გამომდინარე ცვლილება შევიდა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმად, ტერმინის „საკომლო (საოჯახო) მეურნეობის“ ნაცვლად მიეთითება „საოჯახო მეურნეობა“

### **მიწის რესურსების გამოყენების სამართლებრივი ასპექტები**

ადამიანის სასიცოცხლო მატერიალურ პირობათა შორის, მიწის რესურსებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, შესაბამისად, ნებისმიერი ქვეყნის მიწის რესურსების მართვის სისტემაში მიწის პოტენციური შესაძლებლობების რაციონალურად გამოყენების დაგეგმვა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს. ის არის როგორც სახელმწიფო მიწის პოლიტიკის განხორციელების, ასევე ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესთა თანხვედრის გზების ძიების საუკეთესო საშუალება. მიწის რესურსების მართვა კომპლექსური საკითხია, სადაც ერთიანდება პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნიკური, სამართლებრივი და ინსტიტუციური ფაქტორები. იგი პირდაპირ თუ ირიბად გამოხატავს იმ პოლიტიკურ არჩევანს, რომელიც სახელმწიფოს, მისი მოქალაქეებისა და ხელისუფლების ადგილობრივ სისტემებს შორის ძალაუფლების განაწილებას ეხება.

საკითხის მრავალწახნაგაიანობა მოითხოვს შემუშავდეს ფრთხილი და კარგად გააზრებული მიდგომა, რომელიც ფართო ისტორიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კონტექსტში უნდა განთავსდეს, რადგან მიწასთან დაკავშირებულ საკითხებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. მიწა ყველა დარგისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მაგრამ იგი განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს სოფლის მეურნეობაში, სადაც ის თვითონ არის შრომის იარაღიც და შრომის საგანიც.

სახელმწიფოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია მიწის რესურსების მართვის გამჭვირვალე და ერთიანი სისტემის შექმნა. მიწის რესურსების მართვის ეფექტური პოლიტიკის განსაზღვრა და კერძო და სახელმწიფო ინტერესების დაცვა წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ნაყოფიერი ფუნქციონირების, სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისა და მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების საფუძველს.

მიწაზე საკანონმდებლო ბაზის შემუშავება – ეს არის შეთანხმებული პრინციპების ნაკრები, რომელიც ეხება მიწის საკუთრებას (ან მიწაზე ხელმისაწვდომობას), გამოყენებას და მართვას. მიწის რესურსების მართვის ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი წინაპირობაა. ამ მიმართულებით საკანონმდებლო ბაზის შემუშავებისას, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის, რომ ამ სფეროში გატარებული პოლიტიკა პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებზე, როგორცაა ეკონომიკური განვითარება, სასურსათო უსაფრთხოება, სიღარიბის შემცირება. მიწაზე საკანონმდებლო ბაზამ შეიძლება მოიცვას მიწაზე უფლებებთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტი. მაგალითისთვის ეს შეიძლება იყოს:

- სხვადასხვა კატეგორიის მიწაზე საკუთრების უფლება;
- ტრადიციული და საერთო საკუთრება მიწაზე;
- მიწით სარგებლობის უფლება;
- მიწაზე უფლებების რეგისტრაცია;
- მიწის კონსოლიდაცია/მიწის ხელახალი გადანაწილება;
- სახელმწიფო მიწის პრივატიზაცია;
- მიწაზე უფლებების რესტიტუცია.

საქართველოს კანონმდებლობა მიწას ორ კატეგორიად ჰყოფს: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების. მშენებლობა მხოლოდ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზეა ნებადართული. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით შეცვლა შეიძლება განხორციელდეს დასაბუთებული საჭიროების არსებობის შემთხვევაში. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით შეცვლა დასაშვებია, თუ დასტურდება, რომ ეს მიწის ნაკვეთი ამ მიზნით არ გამოიყენება და შესაძლებელია მისი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და დაცული ტერიტორიები. საკუთრების მიხედვით ასხვავებენ:

- კერძო საკუთრება – სასოფლო-სამეურნეო მიწის ფრაგმენტაცია მაღალია, რაც 1992-1998 წლებში მიწის მასობრივად და უფასოდ გადაცემას უკავშირდება. შედეგად პრივატიზებული მიწის საშუალო ფართობი 0.25 ჰექტარს შეადგენდა;
- მუნიციპალური საკუთრება – თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში შეიძლება იყოს როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. მოქმედი კანონმდებლობით, მუნიციპალური საკუთრება მიწაზე აღიარებულია თვითმმართველობის კოდექსით, თუმცა მიწის გამიჯვნა სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებად კვლავაც პრობლემური საკითხია;
- სათემო საკუთრება – საქართველოს კანონმდებლობა სათემო საკუთრებას არ ცნობს. შესაბამისად, სათემო მიწათსარგებლობაში არსებული სამოვრები არ არის რეგისტრირებული.

მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება ხორციელდება უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში მართლზომიერი მფლობელის (მსარგებლის) საკუთრების უფლების რეგისტრაციით.

მიწის პოლიტიკა პირდაპირაა დაკავშირებული სოფლის მეურნეობაში გატარებულ პოლიტიკასთან. სოფლის მეურნეობაში ინვესტირების წასახალისებლად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიწაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და მიწის საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების დაცულობას. ამის გარანტიად ხშირად განიხილავენ მიწაზე უფლებების ოფიციალურ ორგანოში (რეესტრში) რეგისტრაციას, თუმცა ეს შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ლეგიტიმური ტრადიციული უფლებების დაცვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიწაზე უფლებების დაცულობას არ მოსდევს სოფლის მეურნეობაში ინვესტიციებისა და პროდუქტიულობის ავტომატურად ზრდა. ინვესტიციებისა და პროდუქტიულობის ზრდისთვის, მიწაზე უფლებების პარალელურად, ყურადღება უნდა დაეთმოს სოფლის მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორცაა, მაგალითად: სათესლე მასალის ფასები, საწყის ნედლეულსა და ენერჯიაზე ხელმისაწვდომობა, კრედიტებზე, ინფორმაციასა და კონსულტაციაზე ხელმისაწვდომობა, ბაზრები და გადამამუშავებელი მრეწველობა. როდესაც ამ და სხვა ფაქტორებთან დაკავშირებული ვითარება არასახარბიელოა, მიწის ბაზრის ლიბერალიზაცია შეიძლება კონტრპროდუქტიული აღმოჩნდეს და გამოიწვიოს მიწის რამდენიმე მსხვილი მეწარმის ხელში კონცენტრაცია, ხოლო წვრილი ფერმერების – გარიყვა და გადაკატაკება.

როგორც წესი, სამრეწველო საწარმოებისთვის გამოიყენება ნახევრად ურბანული და სასოფლო-სამეურნეო მიწები. ეს იწვევს როგორც მიწის კარგვას, ისე ზოგ შემთხვევაში, იძულებით განსახლებასაც. გარდა ამისა, სამრეწველო საწარმოების გაფრქვევები იწვევს ჰაერისა და წყლის დაბინძურებას (დამაბინძურებლები, საბოლოოდ, ისევე მიწაში ხვდება) და ნიადაგის გაუფარვისებას მყარი ნარჩენებითა და ჩამდინარე წყლებით.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება სერიოზულ უარყოფით ზეგავლენას ახდენს გარემოზე და მიწაზე, როგორც გარემოს შემადგენელ ნაწილზე. წიაღისეულის მოპოვების შემთხვევაში იკარგება მიწის დიდი, ხშირად, ნაყოფიერი ფართობები (განსაკუთრებით, ღია კარიერული წესით მოპოვებისას), ბიომრავალფეროვნება, ასევე იწვევს ადამიანების იძულებით განსახლებას და სხვა უარყოფით შედეგებს.

ენერგეტიკული რესურსების ათვისებას და გამოყენებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს მიწაზე. მაგალითად, ნავთობისა და გაზის მოპოვებისას, ისევე როგორც წინა შემთხვევებში, იკარგება და ბინძურდება მიწა, მასთან ერთად კი – გარემო. ქარისა და მზის ენერჯების გამოყენება, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, უფრო მისაღებია (სათბობ წიაღისეულთან შედარებით), მაგრამ ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მასშტაბს – ქარის ერთი ტურბინის ან შენობის სახურავზე განთავსებული მზის პანელის ზეგავლენა მიწაზე ბევრად მცირეა, ვიდრე ქარის ან მზის ფერმების. ანალოგიურად, საყოფაცხოვრებო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ბიომასიდან ენერჯის მიღებას და ბიოსაწვავის სამრეწველო წარმოებას სხვადასხვა მასშტაბის ზეგავლენა აქვს მიწაზე. რაც შეეხება ჰიდროენერგეტიკას, დიდკაშხლიანი ჰესების გამო, როგორც ცნობილია, იტბორება მიწის დიდი ფართობები, რაც ხელს უწყობს ეროზიული პროცესების წარმოქმნასა და გააქტიურებას. ამდენად, ასეთ პროექტებს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა აქვთ მიწაზე.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, არსებულის რეკონსტრუქცია და მომსახურება, სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების წარმოება, მგზავრობა და გადაადგილება, სატრანსპორტო საშუალებების მომსახურება და ბოლოს, სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების საბოლოო განთავსება – სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სისტემის ყველა ამ ნაწილს მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს მიწაზე. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სისტემის განვითარება იწვევს მიწის მნიშვნელოვანი ფართობების კარგვას, დაბინძურებას და ადამიანთა იძულებით განსახლებას.

სივრცითი დაგეგმვის პოლიტიკა შესაბამისობაში უნდა იყოს მიწის პოლიტიკასთან და სოფლის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკასთან, რომლებიც თავის მხრივ, ორიენტირებული უნდა იყვნენ უზრუნველყონ დაბალშემოსავლიანი ფენის ხელმისაწვდომობა მიწაზე. სწრაფ და ფართომასშტაბიან ურბანიზაციას და სივრცით განვითარებას ხშირად თან სდევს იძულებითი განსახლება, მიწის/საკუთრების ექსპროპრიაცია, მიწის კონსოლიდაცია, მისი დანიშნულების ცვლილება და სხვა პროცესები. ყურადსაღებია ასევე ნახევრად ურბანული არეალების უკონტროლოდ განვითარების საკითხი. მიწის მართვის მიმართ გატარებულმა პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს ამ პროცესებთან დაკავშირებული რისკები და ასახოს შესაბამისი მიდგომები მათი თავიდან ასაცილებლად.

ტურიზმი მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, განიხილება სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების გენერირების მნიშვნელოვან წყაროდ. ამასთან ეკონომიკის ამ დარგის განვითარება არაერთ პრობლემას ქმნის მიწასთან დაკავშირებით. ხშირად ტურისტული ინფრასტრუქტურა ეწყობა ისეთ არეალებში (მიწებზე), რომლებზეც უკვე ხორციელდება მნიშვნელოვანი ზეწოლა (მაგალითად, სანაპირო ზოლი). ტურიზმის ინდუსტრია

საჭიროებს მუდმივ და ფრთხილ დაგეგმვას, რათა თავიდან იქნეს აცილებული მისი უარყოფითი ზეგავლენა ბუნებრივ გარემოზე და კონკრეტულად – მიწაზე.

მიწაზე სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებამ შეიძლება პირდაპირი წვლილი შეიტანოს მიწის, როგორც გარემოს ერთ-ერთი ელემენტის (და მიწასთან დაკავშირებული რესურსებისა და ეკოსისტემური სერვისების) მდგომარეობის გაუმჯობესებაში ან პირიქით – გაუარესებაში. მიწის დაცვა შესაძლებელია დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების გზით. ნიადაგის ხარისხის შესანარჩუნებლად შეიძლება დაწესდეს ხარისხობრივი ნორმები ან/და ნიადაგის კონსერვაციის ღონისძიებების გატარების ვალდებულებები. მიწის დაცვისა და მდგრადი მართვისთვის შეიძლება დაწესდეს სპეციფიკური მოთხოვნები ტყის, სანაპიროების, სამოვრების, წყლის რესურსებისა და დაკავშირებული ეკოსისტემების დასაცავად.

### **სახელმწიფო პოლიტიკა მიწის რესურსების მიზნობრივ გამოყენებასა და დაცვაზე**

ქვეყნის მიწის რესურსების მართვის სისტემაში, მიწის პოტენციური შესაძლებლობების რაციონალურად გამოყენების დაგეგმვა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს. მიწის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მისი პირდაპირი გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებზე, როგორცაა სიღარიბის შემცირება, სასურსათო უსაფრთხოება, ეკონომიკური განვითარება და სხვა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით: „საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება მიწის კანონმდებლობა“. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში. გამონაკლისი შემთხვევები შეიძლება დადგინდეს ორგანული კანონით, რომელიც მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით“.

„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ ადგენს საქართველოს სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების სისტემას, მის ძირითად პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, აგრეთვე სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების იერარქიასა და შემადგენლობას, მათი შემუშავებისა და დამტკიცების წესებს, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს და შენობა-ნაგებობის მიმართ ძირითად მოთხოვნებს.

ამ კოდექსით საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმა მოიცავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიებს.

მიწის სტატუსის განსაზღვრა ქვეყნის ტერიტორიის მოწყობისა და განვითარების გეგმის ნაწილს წარმოადგენს. ევროპის უმეტეს ქვეყანაში მიწის სტატუსის შეცვლა ტერიტორიის სივრცით დაგეგმარებაში ცვლილების შეტანის გარეშე თითქმის შეუძლებელია. ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში მიწის ნაკვეთი ცალკე აღებულ ერთეულად არ განიხილება და იგი სახელმწიფოს მიერ გატარებული მიწის პოლიტიკის ნაწილია. ამიტომ მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრა და მისი ცვლილება კავშირში უნდა იყოს და გამომდინარეობდეს სახელმწიფოს სივრცითი მოწყობიდან (სივრცის დაგეგმარებიდან) და მის საფუძველზე შემუშავებულ სივრცითი მოწყობის გეგმებს უნდა შეესაბამებოდეს (სივრცის დაგეგმარების გეგმა). დღეს არსებული კანონმდებლობა ვერ არეგულირებს აღნიშნულ საკითხებს. მიწის კანონმდებლობამ სწორედ სივრცის დაგეგმარების საფუძველზე უნდა შექმნას მექანიზმი,



რომლის მიხედვითაც დადგინდება მიწის დანიშნულება (სასოფლო-სამეურნეოა იგი, თუ არასასოფლო-სამეურნეო), სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარჩენილი და პრივატიზებას ან სარგებლობაში გადაცემას დაქვემდებარებული მიწები; ნაკვეთის მდებარეობისა და ხარისხის მიხედვით განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო მიწის კატეგორიები, ასევე დადგინდება მიწის ის ნაკვეთები, რომელთა მიზნობრივი დანიშნულების შეცვლა არის დაუშვებელი და რომელთა ცვლილება დასაშვებია შესაბამისი საფასურის გადახდით.

საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 2 ოქტომბერს მიიღო კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“, რომლის მთავარი მოტივი იყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების განსაკუთრებით ინტენსიური სავარგულების განიავებისა და არამიზნობრივი გამოყენებისგან დაცვა. მიწის დანიშნულების შეცვლისას, საფასურის გადახდა სწორედ ამ პრობლემის მოგვარებას ემსახურებოდა.

2007 წლიდან კანონში შევიდა რამდენიმე ცვლილება, რომლის შედეგადაც, მიწის დანიშნულების შეცვლა (გარდა სარეკრეაციო ტერიტორიების და ქ. თბილისისა და ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისა) ხდება სანაცვლო საკომპენსაციო თანხის გადახდის გარეშე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საკომპენსაციო თანხის გადახდას არ ექვემდებარება აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლა. წარმოდგენილმა ცვლილებებმა შექმნა საშიშროება და ხშირ შემთხვევაში გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, რომელთა ნაყოფიერების ასამაღლებლად წლების განმავლობაში დახარჯულია დიდი შრომა და თანხები, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გადასვლა არასასოფლო-სამეურნეო მიწების კატეგორიაში და შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო მიწების შემცირება, რაც ამცირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას. ეს შემდეგშიც გაართულებს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემას, მით უმეტეს, რომ ქვეყანაში ეროზიული პროცესები, მიწის დამლაშება, დაჭობება, დატბორვა და სხვა არახელსაყრელი მოვლენები, იწვევს სავარგულების ფართობების შემცირებას და მიწის ფონდის ხარისხობრივი შემადგენლობის გაუარესებას.

აღნიშნული კანონის ძველი ვარიანტით სამიწათმოქმედო პროექტს ადგენდნენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით მიწის ერთი კატეგორიიდან სხვა კატეგორიაში გადაყვანისას ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის შენახვისა და გამოყენების წესების შემუშავების უფლებამოსილებანი გადაცემული ჰქონდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს. ეს უფლებამოსილებანი ამოღებულია როგორც ძველი, ისე ახალი კანონიდან.

ზემოთ აღნიშნული დებულებების ამოღების მთავარ მიზეზად დასახელებულია მისი, როგორც ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი დამაბრკოლებელი, სახელმწიფოში ინვესტიციების შემაფერხებელი ფაქტორი, მაგრამ მიზნობრივი დანიშნულების შეცვლისას დაწესებული გადასახადი არ წამოადგენს ინვესტორისათვის შემაფერხებელ ფაქტორს, რადგან ინვესტირებისას სხვა დანახარჯები ბევრჯერ აღემატება მიწის დანიშნულების შეცვლასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის შესაძენად განსაზღვრული ნორმატიული ფასი, უმეტეს შემთხვევაში აღემატება მიწის დანიშნულების შეცვლასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ქვეყანაში იზრდება მიწის რესურსების გამოყენება არასასოფლო-სამეურნეო მიზნით, კერძოდ, სამრეწველო და საბინაო მშენებლობისთვის, გზების, აეროდრომების, ჰიდროობიექტების და სხვა ნაგებობებისათვის, ამიტომ ეს პროცესი საჭიროებს სახელმწიფო რეგულირებას. მომავალში მიწის დანიშნულების შეცვლა უნდა მოხდეს მხოლოდ სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვით განსაზღვრული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ანალიზის საფუძველზე.

საჭიროა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფის პროცედურის დახვეწა, გადასახდელი თანხის დაზუსტება და სხვა. ასევე უნდა მოხდეს ბიუჯეტში შემოსული მიწის დანიშნულების შეცვლისას გადახდილი თანხებიდან ახალი მიწის ათვისების ღონისძიებების დაფინანსება, მით უმეტეს, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტში განსაზღვრულია, რომ: „გადახდილი მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების საკომპენსაციო თანხა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახალი მიწის ათვისებისა და მიწის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა დასაფინანსებლად.“.

უნდა არსებობდეს მიწის მიზნობრივი დანიშნულებისა და კატეგორიის ცვლილების წესი და მიზანშეწონილია, რომ მიწის მიზნობრივი დანიშნულება გარკვეული კატეგორიის მიწებზე შეიცვალოს მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის („მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 და მე-8 მუხლი).

ევროპის უმეტეს ქვეყნებში მიწის დანიშნულების შეცვლა ხელისუფლების კომპეტენციაში შედის და საჭიროებს შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების ნებართვას (მაგ: ჰოლანდია, ისრაელი, რუმინეთი) ან უნდა შეესაბამებოდეს სივრცითი განვითარების გეგმას (ავსტრია, პოლონეთი მაკედონია). ზოგიერთ ქვეყანაში კატეგორიის შეცვლაზე არსებობს გადასახადი (გერმანია, ლიტვა, ბოსნია და ჰერცეგოვინა), ზოგში, გარკვეული გამონაკლისის გარდა, აკრძალულია მიწის კატეგორიის შეცვლა (ხორვატია, სომხეთი, მაკედონია).

თითქმის ყველა სახელმწიფო პოსტ-სოციალისტური ბლოკიდან, სადაც მიწები ათწლეულების განმავლობაში სახელმწიფოს საკუთრება იყო, გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა სასოფლო-სამეურნეო მიწების სამართლიანად და ეფექტიანად განაწილების მხრივ. ზოგიერთმა მათგანმა ეს საკითხი ეფექტურად გადაჭრა, ბევრი კი დღესაც ამ პროცესშია. სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში არაერთი ფაქტორი უშლის ხელს. ნაკვეთების ზომის სიმცირე ერთ-ერთი მათგანია და აბრკოლებს დარგში ეფექტიანობის ამაღლებას. სასოფლო-სამეურნეო მიწების გამსხვილება წახალისებას მოითხოვს, რაშიც დიდი როლი შეუძლია ითამაშოს სახელმწიფომ. ჩარევა უნდა იყოს მინიმალური, რათა არ დაირღვეს ბაზრის პრინციპები.

საინტერესოა ამ მხრივ პოსტსოციალისტური სახელმწიფოების მაგალითი: ესტონეთში ერთ მეურნეობაზე მოდის 50 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა, ლატვიაში – 23 ჰა, ლიეტუვაში – 18 ჰა, საერთოდ ევროკავშირში საშუალოდ – 16 ჰა. ჩვენთან მაქსიმალური მაჩვენებელია კახეთში – 3,6 ჰა, მინიმალური კი რაჭა-ლეჩხუმში – 0,4 ჰა. ნაკვეთები ხშირად ერთმანეთისგან დაშორებულია და მიწის დამუშავების ხარჯი მატულობს.

სახელმწიფო მიწების იდენტიფიცირების სირთულე ხელს უშლის მათი შექმნით დაინტერესებულ პირებს და შესაბამისად – მიწების გამსხვილების პროცესს.

ფერმერთა მცირემიწიანობა და ნაკვეთების დანაწევრება პრობლემურია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის არაერთ ქვეყანაში. ამ ქვეყნების უმეტესობამ 80-90-იანი წლების მიჯნაზე დაიწყო მიწების გამსხვილებისთვის სხვადასხვა ინსტრუმენტების დანერგვა.

არსებობს მიწის კონსოლიდაციის სავალდებულო და ნებაყოფლობითი მიდგომები. ნებაყოფლობითი მიდგომის დროს მიწის ყველა შესაძლო მფლობელს შორის ჩატარებული გამოკითხვით ადგენენ, თუ ვის რა ინტერესი აქვს და უნდათ თუ არა პროექტში ჩართვა. შემდეგ შემუშავდება მიწების გადანაწილების გეგმა. ამ შემთხვევაში მიწების გაცვლა ნებაყოფლობითია. თუმცა ხშირად მესაკუთრეს უბიძგებენ, რათა საჯარო ან გარემოს დაცვითი პროექტების ინტერესებიდან გამომდინარე დათმოს მიწა. ნებაყოფლობითი მიდგომა გამოიყენება დანიაში, გერმანიაში და ჰოლანდიაში კი ორივე მოდელს ვხვდებით.

სავალდებულო კონსოლიდაციის დროს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი ჯგუფები მიწის მფლობელებისა და ფერმერების ინტერესების გათვალისწინებით ადგენენ მიწის გადანაწილების პროექტს. მაგალითად, თუ ერთი ფერმერი ფლობს 3 ან 4 მიწის ნაკვეთს სხვადასხვა ადგილას, იგი თავის მიწას გაუცვლის მეზობელ ფერმერს, რომლისთვისაც ასევე ხელსაყრელია ეს გაცვლა, რადგან მისი ნაკვეთებიც გაფანტულია. ამგვარად, ჯამში ყველა ფლობს ერთი და იმავე ღირებულების მიწას. სხვადასხვა მხარის ინტერესების გათვალისწინების შემდეგ შედგენილ პროექტს აცნობენ პროექტში მონაწილე მხარეებს და იგი დამტკიცდება ერთიანი გეგმის სახით საერთო კონსენსუსის საფუძველზე, თუ ფერმერთა და მიწის მფლობელთა უმეტესობა მხარს დაუჭერს მის განხორციელებას. დასახელებული მეთოდების შედეგად, მეურნეობათა ხელთ არსებული ნაკვეთები ერთიანდება, თუმცა მფლობელთა რიცხვი ჯამში იგივე რჩება. პოლონეთში, სლოვაკეთში, ჩეხეთში, ლიეტუვაში, სერბეთსა და აღმოსავლეთ გერმანიაში მიწის გამსხვილება წინასწარ შემუშავებული პროგრამის მიხედვით მიმდინარეობდა. თითოეული ქვეყნისათვის შეიქმნა ლოკალურ პირობებსა და სოფლის განვითარების პრინციპებს მორგებული ინდივიდუალური საპილოტე პროგრამა, რომელიც მოიცავს არა მარტო მიწის გადანაწილებას, არამედ სოფლის განვითარების კომპლექსურ მიდგომას. მსგავსი მიდგომის დროს აუცილებელია ადგილობრივი მმართველობებისა და ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობა. მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ მხოლოდ საბაზრო ძალებით მიწა ვერ გამსხვილდება და საჭირო ხდება ინტერვენცია. მიწის კონსოლიდაციის პროექტებზე ძირითად პასუხისმგებელ ორგანოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს და კონსოლიდაციის ინსტრუმენტები ძირითადად სოფლის განვითარების სტრატეგიებსა და პროგრამებშია ჩართული.

ქვეყნების უმრავლესობამ ნებაყოფლობითი მიდგომა გამოიყენა. ამის მიზეზი პირველ რიგში იყო ის, რომ სავალდებულო მიდგომის დროს აუცილებელია კანონმდებლობა დახვეწილი და ნებისმიერი მხარისთვის უფლება-მოვალეობები დეტალურად გაწერილი იყოს. კონსოლიდაციის პროგრამის მქონე ქვეყნების მსგავსად იმ ქვეყნებში, სადაც მიწის რეგისტრაცია ართულებს მისი ბაზრის განვითარებას, მიწის კონსოლიდაციის პროგრამები შეიცავს მიწის რეგისტრაციის პრობლემის გადაჭრის გზებსაც.

მოლდოვაში პროექტები დაეფუძნა ნებაყოფლობით, საბაზრო მიდგომას. იგი ასევე სოფლის განვითარების საჭიროებებს მოიცავდა.

სომხეთში სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული მიწა თავისუფალი განკარგვის უფლებით გადაეცა მუნიციპალიტეტებს. საპილოტე პროგრამის ფარგლებში კი მუნიციპალური მიწის გასხვისებამ ხელი შეუწყო მიწის კონსოლიდაციის პროექტის წარმატებით განხორციელებას.

საქართველოში მიწის კონსოლიდაცია დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება. იმისათვის, რომ კონსოლიდაციის პროექტები ნორმალურად განხორციელდეს და მხარეებს ჩართულობის სურვილი გაუჩნდეთ აუცილებელია გამჭვირვალობა და ბაზრის პრინციპებზე დამყარებული გაცვლების წახალისება, რაც ხელს შეუწყობდა მიწის სტრუქტურის ცვლილებას. ამ კუთხით მიწის კონსოლიდაცია შესაძლოა მიწის ბაზრის განვითარების ერთ-ერთ ინსტრუმენტად ჩაითვალოს.

აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნების გამოცდილებამ დაადასტურა, რომ მხოლოდ მიწის კონსოლიდაცია ვერ იქნება ეფექტიანი ინსტრუმენტი მიწის სტრუქტურულ პრობლემებთან გასამკლავებლად. FAO-ის მიერ რეკომენდებულია სახელმწიფო მიწის მობილობის ზრდა, კანონმდებლობის და რეგისტრაციის პრობლემების მოგვარება, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ჩართული მხარეების სრული ინფორმირება. კონსოლიდაციის ზემოთ მოყვანილი მოდელი ხელს უწყობს დამორებული ნაკვეთების ერთად თავმოყრას და არა მეურნეობის ზომის ზრდას.

ფერმების გამსხვილების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი დასავლეთ ევროპაში არის მიწის ბანკი, რომელიც ფლობს და განაგებს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწებს, ასევე ის ჩართულია მიწების ყიდვა-გაყიდვის პროცესში. მიწის ბანკი კერძო პირებისაგან იძენს პატარ-პატარა მიწის ნაკვეთებს მოკლე ვადით და ყიდის მათ ჩვეულებრივ საბაზრო პირობებში. FAO-ის მიხედვით, მიწის ბანკი არის უფლებამოსილი ინსტიტუტი, რომელიც შეისყიდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას კერძო მესაკუთრისაგან და ფლობს მას დროებით, სანამ არ მოხდება მისი უფრო ეფექტიანი გამოყენება მიწის კონსოლიდაციის მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, მიწის ბანკიზი განიხილება, როგორც მიწის მობილობისა და კონსოლიდირების ზრდის საშუალება. ხშირად კონსოლიდაციის პროექტებში ჩართულია არაერთი საჯარო დაწესებულება და მათი კოორდინაცია რთულია. ზოგ ქვეყანაში სახელმწიფო მიწა გაყიდეს საბაზრო ფასებთან შედარებით დაბალ ფასად, რათა სტიმული მიეცათ ფერმერებისთვის დამატებითი მიწის შეძენაში.

მიწის პროგრამის არმქონე ქვეყნებს შორის უნგრეთმა, ხორვატიამ და უკრაინამ მიწის ბანკის ჩამოყალიბებისაკენ გადადგეს ნაბიჯები. უნგრეთში მიწის კონსოლიდაციის ღონისძიებების განხორციელებისათვის მიწის ეროვნული ფონდი დაარსდა 2002 წელს. ის მიზნად ისახავდა მიწის სტრუქტურის ცვლილებას ორმხრივი შეთანხმებების მიღწევის საშუალებით მიწის მფლობელებსა და ფერმერებს შორის. ხორვატიაში სასოფლო-სამეურნეო მიწის სააგენტო 2008 წელს დაარსდა. სააგენტო მიწას ლიზინგით გასცემს კერძო და კორპორატიულ ფერმებზე. ასევე მას აქვს უფლებამოსილება კერძო მფლობელისაგან გამოისყიდოს მიწა. მოსალოდნელია, რომ მიწის სააგენტო შეიძენს მიწის ბანკის ფუნქციებს მომავალი კონსოლიდაციის პროექტებში. უკრაინაში სახელმწიფო მიწის ბანკი 2012 წელს გაიხსნა, თუმცა ხელისუფლების ცვლილების და არამდგრადი მდგომარეობის გამო კვლავ დაიხურა 2014 წელს.

სახელმწიფოს ხელისუფლება სერიოზულად უნდა დაფიქრდეს 90-იანი წლების დასაწყისში გატარებული მიწის პრივატიზაციის ნაკლოვანი მხარეების აღმოფხვრაზე, რათა სოფლის მეურნეობის განვითარება მოკლე ვადაში მოხერხდეს. საქართველო არ არის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც მიწების დანაწევრების პრობლემა ერგო მემკვიდრეობად და ამ მხრივ არსებული მდიდარი საერთაშორისო გამოცდილება გონივრულად შეიძლება გამოვიყენოთ.

პირველ რიგში, სახელმწიფოს პრიორიტეტად უნდა გამოცხადდეს მიწების გამსხვილება, რასაც ლოგიკურად უნდა მოჰყვეს სასოფლო-სამეურნეო მიწების კონსოლიდაციის

გრძელვადიანი გეგმის შემუშავება. საქართველოს რეალობის გათვალისწინებით უნდა შეიქმნას დოკუმენტი, რომელიც უნდა შეიცავდეს წამახალისებელ ელემენტებს. იძულების შემთხვევაში, პროგრამამ შესაძლოა მოსახლეობის პროტესტი და უკმაყოფილება გამოიწვიოს.

მიწების კონსოლიდაციის იდეალური მოდელი საქართველოსთვის გამოიკვეთება საპილოტე პროექტების განხორციელების შემთხვევაში. რთული არ იქნება ამ პროექტით საერთაშორისო ორგანიზაციების დაინტერესება და დონორებისგან თანხების მოზიდვა. საპილოტე პროექტი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში წარმოაჩენს გეგმის ძლიერ და სუსტ მხარეებს, რაც ხელისუფლებას მისცემს მისი გაუმჯობესების შესაძლებლობას. გეგმის განხორციელების შედეგად, მოსალოდნელია მიწების ეტაპობრივი გამსხვილება და ნაკვეთების საშუალო ზომის ზრდა. გამსხვილებული ნაკვეთები საშუალებას მისცემს მათ მესაკუთრეებს გაზარდონ მეურნეობების მასშტაბი და შესაბამისად, ეფექტიანობა. ეს მნიშვნელოვან როლს ითამაშებს დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში და დააჩქარებს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციას.

იმისთვის, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების გამსხვილების პროცესმა ინტენსიური ხასიათი მიიღოს, პირველ რიგში უნდა დასრულდეს მათი აღრიცხვა-რეგისტრაცია. რამდენიმე წელიწადში ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწების ძირითადი ნაწილი შესაძლებელია აღრიცხოს და დადგინდეს თითოეული ნაკვეთის მესაკუთრე, რაც ხშირად პრობლემაა მიწებზე ტრანზაქციების განხორციელების პროცესში.

საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ მიწის ბანკინგის დანერგვით მოსალოდნელია სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ზრდაც. ხშირად სოფლის მეურნეობაში ინვესტირებით დაინტერესებულ პირს უჭირს დიდი ზომის მიწის ნაკვეთის მოძიება, ხოლო მცირე ნაკვეთების მფლობელებთან მოლაპარაკება რთული და ზოგჯერ უშედეგო პროცესია. მიწის ბანკინგი, ერთი მხრივ, მცირე ზომის გამოუყენებელი მიწების მფლობელებს მათი მარტივად გასხვისების საშუალებას მისცემს. მათი კონსოლიდაციის შედეგად კი დაკმაყოფილდება მიწის ბაზარზე დიდი ზომის მიწის ნაკვეთებზე არსებული მოთხოვნა. შედეგად გაიზრდება დამუშავებული მიწების ფართობიც, რაც თავის წვლილს შეიტანს ეკონომიკურ ზრდაშიც. ასევე გასათვალისწინებელია ფისკალური ეფექტი.

აღსანიშნავია, რომ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ ორგანულ კანონში გათვალისწინებულია საადგილმამულო ფონდის შექმნა, კერძოდ: „საქართველოს მიწის ბაზრის მოწესრიგების, მიწის გამოყენებისა და დაცვის მიწის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა დაფინანსების მიზნით იქმნება საქართველოს საადგილმამულო ფონდი, რომლის დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. საქართველოს საადგილმამულო ფონდის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და გათვალისწინებულ შემთხვევებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უპირატესი გამოსყიდვის უფლება აქვს სახელმწიფოს.“ სამწუხაროდ, მაშინაც და ახლაც ეს დებულება მხოლოდ დეკლარირებულია და მისი შექმნის პირობები და ვადები განსაზღვრული არ არის. ამას კი ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეუძლია ზემოთ ჩამოთლილი პრობლემების მოგვარებაში.

სასოფლო-სამეურნეო მიწის, როგორც სოფლის მეურნეობის ფუნდამენტური შემადგენლის, მფლობელობისა და განკარგვის საკითხი მნიშვნელოვან გამოწვევად დგას ყველა აქტორისთვის, ეს იქნება სახელმწიფო, რომელიც სოფლის მეურნეობის პოლიტიკას გეგმავს და ადასრულებს, თუ რიგითი მოქალაქე, რომელიც პერსონალურ დონეზე სხვადასხვა ეტაპზე ერთვება სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა სტატუსით. საბაზრო ეკონომიკის ფორმირება და ეფექტური მუშაობა წარმოდგენილია კერძო საკუთრების არსებობის გარეშე. ამის საფუძველს კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებისა და ინვესტირებისათვის ხელშემწყობი

პირობების შექმნასთან ერთად სახელმწიფო ქონების განკერძოება წარმოადგენს. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მიწის პრივატიზაციის პროცესის გავლის გარეშე უამრავი ბარიერი ექმნება მხარეებს, როდესაც თავისუფალ ბრუნვაში არ ექცევა და ხელოვნური ინსტრუმენტების გამოყენებით ხდება მიწის რესურსის მართვა, რომელიც უპირატესად გამოუყენებელი და აუთვისებელი რჩება.

საქართველოში ძირითად საპრივატიზაციო აქტივს მიწა წარმოადგენს. საქართველოს მიწის საერთო ფონდი 7628.4 ათასი ჰექტარია, რომლის დაახლოებით 40% სასოფლო-სამეურნეო სავარგულია. სხვადასხვა გათვლით, მთლიანი მიწის რესურსის 60%-ზე მეტი სახელმწიფოს საკუთრებაა. მიწების დიდი ნაწილი დაურეგისტრირებელია, რაც აფერხებს ეკონომიკაში მათ მონაწილეობას. სასოფლო-სამეურნეო მიწის დიდი ნაწილი ისევ ცენტრალური და მუნიციპალური ხელისუფლების განკარგულებაშია. ეს ნიშნავს, რომ ეს ქონება არ მონაწილეობს ეკონომიკაში – ანუ დოვლათის შექმნაში.

სოფლად წლების განმავლობაში სარგებლობენ მიწით, სამოვრებით ისე, რომ საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი არ გააჩნდათ. თუ სახელმწიფო ასეთ მიწას კერძო საკუთრებაში დაარეგისტრირებს, ნაკვეთების ფასი გაიზრდება, მის მფლობელს ინვესტორის მოძიება და მიწის უფრო მომგებიანად გამოყენება შეეძლება. სამართლიანი იქნება სახელმწიფო ქონების უპირობო პრივატიზაცია, ანუ ნებისმიერი მოქალაქე შეძლებს ამ ქონების ყიდვას თანაბარი უფლებების პირობებში.

მიწის რეფორმის ფარგლებში მიღებული კანონისა და დაწყებული რეგისტრაციების პროცესების მიღმა რჩება გამოწვევები, რომელთა გადაჭრის გზად გვესახება აგრესიული პრივატიზაციის პროცესით სასოფლო-სამეურნეო მიწის კერძო მესაკუთრეთა ხელში გადაცემა. პრივატიზაციის პროცესის ეფექტიანი განხორციელება შესაძლებელია შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- ფაქტობრივი მფლობელისთვის მიწის საკუთრებაში დარეგისტრირება;
- მუნიციპალიტეტებისთვის მიწის საკუთრებაში დარეგისტრირება;
- სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწის გასხვისება.

სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს მის მფლობელობაში დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების გეგმა, თუმცა პრივატიზაციის უპირველესი მიზანი არა საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაა, არამედ მიწის რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა უნდა იყოს, მოცემულ რესურსზე თითოეული მოქალაქის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

პროცესი ხელს შეუწყობს მცირე მეურნეობების გამსხვილებას. აუცილებელია ფერმერების ინფორმირება გასაყიდი ნაკვეთების შესახებ და ხელი უნდა შეეწყოს მათ მონაწილეობას ელექტრონულ აუქციონებში. იმისთვის, რომ მსხვილი ნაკვეთების შექმნა მხოლოდ ფინანსურად ძლიერი ჯგუფებისთვის არ იყოს ხელმისაწვდომი, სასურველია, მიწის ღირებულების გადახდა ეტაპობრივად იყოს შესაძლებელი. ამ გზით სახელმწიფო მიწების შექმნის მსურველთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება. სამოვრების ნაწილში კი თითოეული სოფლისთვის უნდა დადგინდეს სამოვრების საზღვარი და მათი გამოყენების წესები, რაც თავის თავში შეიძლება მოიცავდეს გაერთიანებული სოფლის წარმომადგენლების საერთო საკუთრებაში სამოვრების რეგისტრაციის შესაძლებლობას, რათა თავად სოფლის მოსახლეობამ განსაზღვროს სამოვრის განკარგვის საკითხი. სათიბების იჯარით გაცემა შესაძლებელი უნდა იყოს ღია აუქციონის წესით, ხოლო მიღებული შემოსავალი თვითმმართველი თემის ბიუჯეტში უნდა შევიდეს.

## მიწის რესურსების მართვის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა

მიწა, როგორც ბუნებრივი რესურსი სახელმწიფოს, საზოგადოების, მეცნიერების, ბიზნესის, მოქალაქეების მხრივ მუდმივ ყურადღებას მოითხოვს და შესაბამისად სამართლებრივი ბაზისა და მართვის მექანიზმის სრულყოფას საჭიროებს. მიწაზე სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებამ შეიძლება პირდაპირი წვლილი შეიტანოს მიწის, როგორც გარემოს ერთ-ერთი ელემენტის (და მიწასთან დაკავშირებული რესურსებისა და ეკოსისტემური სერვისების) მდგომარეობის გაუმჯობესებაში ან პირიქით – გაუარესებაში. მიწის რესურსების მართვასთან დაკავშირებული ფუნქციები სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ხშირად არ არის მკვეთრად გამიჯნული. ხშირია ფუნქციების გადაფარვის შემთხვევები ან პირიქით – არის შემთხვევები როდესაც მიწის მართვის ესა თუ ის სფერო საერთოდ არ (ან ცუდად) რეგულირდება და არ არის ნათელი პასუხისმგებელი ორგანოები. ეს ბუნდოვანება და გაურკვევლობა საბოლოო ჯამში კონფლიქტებში გადაიზრდება. მიწის სახელმწიფო პოლიტიკამ უნდა დასახოს ამოცანები და განსაზღვროს პრიორიტეტები მიწის მართვის ინსტიტუციური სისტემის მოსაწესრიგებლად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კანონმდებლობით, როგორც წესი, მინიჭებული აქვთ გარკვეული უფლებამოსილებები მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროში.

ამდენად, მიწის ეროვნული პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არსებულ კომპეტენციებს, ხოლო ადგილობრივ ორგანოებს უფრო მეტი ძალაუფლება უნდა გააჩნდეს. ამასთანავე, ამ ორგანოებმა აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა მიწის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში. მიწის რესურსების სხვადასხვა მიზნით გამოყენებისას მას მნიშვნელოვანი და ზოგ შემთხვევაში კი გამოუსწორებელი ზიანი ადგება, მაგრამ მიწისთვის ზიანის მიყენებისა და მიწის დეგრადაციის თავიდან აცილება ან/და შერბილება შესაძლებელია სწორი, პრევენციული პოლიტიკის გატარების გზით. მიწის სახელმწიფო პოლიტიკაზე მუშაობისას უნდა დადგინდეს მიწაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე სექტორები და მოიძებნოს მიდგომები, რომლებიც უზრუნველყოფს ყველასთვის მისაღები ბალანსის დაცვას ამ სექტორებში.

ინვესტირებისა და მიწის, როგორც გარემოსა და რესურსის მართვის ეფექტიური სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდისა და მდგრადი განვითარებისათვის ხელშემწყობი წინაპირობაა. მიწაზე საკანონმდებლო ბაზის შემუშავებისას, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ამ სფეროში განხორციელებული პოლიტიკა პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარების ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებზე, როგორცაა ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპი, სასურსათო უსაფრთხოება, სიღარიბის აღმოფხვრა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპულმა ეკონომიკურმა კომისიამ რეკომენდაციის სახით გამოაქვეყნა სახელმძღვანელო პრინციპები მიწის მართვის და მისი ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის შესახებ. რეკომენდაციების გათვალისწინება საშუალებას მისცემს ქვეყნებს თავიდან აიცილონ მიწის მართვის პროცესში მონაწილე აქტორთა ფუნქციების დუბლირება, რაც მასში ჩართული ყველა დონის სამთავრობო უწყებებს შორის პასუხისმგებლობების მკვეთრ გამოჯვანას გულისხმობს.

რეკომენდაციების მიხედვით: ეროვნულ დონეზე მთავრობა პასუხისმგებელია შეიმუშავოს მიწის რესურსების მართვის საბაზო პოლიტიკა, რომელიც იწყებს და წარმართავს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, იგი ქმნის რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მიწის ეფექტური მართვის საწყის წინაპირობებს. ამ შემთხვევაში, მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანად ითვლება:

- ეფექტური საბაზისო კანონმდებლობის მიღება;

- სხვა სექტორებსა და რეგიონებს (განსაკუთრებით სასაზღვრო რეგიონებს) შორის კოორდინაცია;
- რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე ეროვნული სახელმძღვანელო ნორმების და პრინციპების შესრულებაზე ზედამხედველობა;
- პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში პრობლემების იდენტიფიცირება.

რეგიონულ დონეზე მთავარი ამოცანაა ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის საერთო რეგიონული სტრატეგიის შემუშავება და კოორდინაცია, რომელიც 15-20 წელზე უნდა იყოს გათვლილი. სამუშაო პროცესი რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე დაინტერესებული მხარეების ინტენსიური ჩართულობით უნდა წარიმართოს. რეგიონული ადმინისტრაცია ვალდებულია აგრეთვე ინფორმაციული დახმარება გაუწიოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ეროვნული და რეგიონული პრიორიტეტების, დაცული ტერიტორიების, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მასშტაბური დაგეგმვისა და განხორციელების შესაძლებლობების და მათი ეკოლოგიური შეფასებების, დაგეგმილი რეგიონული მნიშვნელობის გეგმებისა და პროექტების შესახებ, ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა დაეხმაროს დაგეგმარების ინსტრუმენტების შემუშავებაში.

ადგილობრივ დონეზე ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობა ეფუძნება ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე შემუშავებულ სტრატეგიას. ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა მოამზადონ ტერიტორიულ დაგეგმვასთან და პრიორიტეტულ მიმართულებებთან დაკავშირებული დოკუმენტები, ასევე უნდა მოახდინოს მჭიდრო კოორდინაცია მეზობელ ადგილობრივ ხელისუფლებასთან, უზრუნველყოს მოსახლეობის ჩართულობა მათთან ინტენსიური საჯარო კონსულტაციებით და დისკუსიებით; იგი აგრეთვე პასუხისმგებელია სტრატეგიისა და კონკრეტული კანონმდებლობის შესრულებაზე მონიტორინგის წარმოებაზე.

ადგილობრივ დონეზე შესრულებულ სამუშაოებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთან უშუალოდ შემხებლობის გამო. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობა არის მიწის მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკვანძო ინსტრუმენტი მისი სოციალური, ტერიტორიული და ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო გრძელვადიანი მდგრადი განვითარების ჩარჩოს შესაქმნელად. მისი მთავარი დანიშნულებაა წახალისოს ბინათმშენებლობის, ტრანსპორტის, ენერჯეტიკისა და მრეწველობის სექტორთა ინტეგრაცია, ამასთან ემსახუროს ქალაქისა და სოფლის განვითარების ნაციონალური და ადგილობრივი სისტემების გაუმჯობესებას ისე, რომ სრულად იყოს გათვალისწინებული გარემოსდაცვითი მოთხოვნები. ზოგადად, ტერიტორიულ-სივრცითი განვითარება სასურველია განხორციელდეს საკადასტრო სისტემასთან ერთად, რადგან იგი გულისხმობს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც მოიცავს ახალი მიწის ნაკვეთების და მიწათსარგებლობის ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

ამგვარად, ქვეყნის სივრცითი დაგეგმარების საკითხების გადაწყვეტისას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სივრცითი მოწესრიგებისა და შემდეგი განვითარების საკითხებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად სახელდება მიწის ბაზრის განუვითარებლობა. რეგისტრირებულია მიწის ნაკვეთების მხოლოდ 40%, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია სოფლად და დაახლოებით 20%-ს შეადგენს (მსოფლიო ბანკი, 2021). საქართველოში მიწის ნაკვეთები დანაწევრებულია: მიწას 574 077 მეურნეობა ფლობს. მათ სარგებლობაში არის დაახლოებით **788 ათასი ჰა**, ხოლო მთლიანი მეურნეობების 77%-ს სარგებლობაში აქვს **1 ჰა-ზე** ნაკლები ფართობის სასოფლო-სამეურნეო მიწა (საქსტატი, სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014). საკუთრებასთან დაკავშირებული სრულყოფილი



რეგისტრირებული მონაცემების არსებობა (ფართობი, დანიშნულება, კატეგორია, მდებარეობა, მესაკუთრე, მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვ.) ხელს შეუწყობს მიწის ნაკვეთების კონსოლიდაციის პროცესს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 162-ე მუხლით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჯერ კიდევ 2017 წლის 1 იანვრამდე უნდა შეემუშავებინა მუნიციპალიტეტებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების გადაცემის წესი. ეს წესი ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული. დღეის მდგომარეობით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უდიდესი ნაწილი (კერძო საკუთრებაში არსებულის გარდა) წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

მუნიციპალიტეტებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების გადაცემა ხელს შეუწყობს ხელისუფლების დეცენტრალიზაციასა და თვითმმართველობათა დამოუკიდებლობის დონის ამაღლებას, მათ ბიუჯეტში შემოსავლების ზრდას.

მიუხედავად გაწეული სამუშაოსი და სახელმწიფოსა და დონორების ძალისხმევისა, საქართველოში ჯერ კიდევ რთულია იმის გარკვევა, თუ რა მოცულობის მიწა ეკუთვნის კერძო სექტორს, რამდენია ამ ნაკვეთების ჯამური ფართობი და რაოდენობა. ექსპერტულ შეფასებებსა და გამოკითხვებზე დაყრდნობით შესაძლებელია იმის ვარაუდი, რომ დღეისათვის სრულფასოვნადაა რეგისტრირებული რეფორმით გადაცემული მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის დაახლოებით 20-30% (საუკეთესო შემთხვევაში).

მიწის სისტემური რეგისტრაციისას გამოვლენილი გამოწვევებია:

- დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები (შეცდომით რეგისტრირებული მესაკუთრის სახელი, ძველი საბუთები ან საბუთების არარსებობა, ნახაზთან დაკავშირებული პრობლემები, დრო);
- სამეზობლოში არსებული დაპირისპირებები/დავები გადაფარვები;
- პასიურობა მესაკუთრეების მხრიდან;
- მიწის ღირებულების შეფასების მოძველებული მეთოდოლოგია;
- მიწის ღირებულების კერძო შემფასებლებისადმი ნდობის დეფიციტი.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვერ გახდა დაინტერესებული პირის პარტნიორი. არსებობს ბიუროკრატიული ბარიერები და ჭიანჭურდება რეგისტრაციის პროცესი. საჭიროა დაკონკრეტდეს მიწაზე საკუთრების აღიარების დოკუმენტების ჩამონათვალი და პირობები, თუ რა შემთხვევაში შეიძლება აღნიშნული უფლების აღიარება.

### **დასკვნები და რეკომენდაციები**

მიწების უმრავლესობა დღემდე დაურეგისტრირებელია. მესაკუთრეების მხრიდან მომართვიანობა დაბალია, ხოლო სისტემური რეგისტრაცია, რომელიც მიმდინარეობს ქვეყანაში, უახლოეს პერიოდში არ დამთავრდება.

არ არსებობს მიწის რესურსების მართვის შესახებ ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი, ფუნქციები დანაწევრებულია სხვადასხვა უწყებებსა და სააგენტოებზე, მათ შორის კი კოორდინაცია დაბალია.

ქვეყანაში არ არსებობს საპრივატიზებო და სარეგებლობაში (იჯარით) გასაცემი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. არ არის განსაზღვრული საპრივატიზებო გეგმა. მაღალია გამოუყენებელი მიწების ჯამური მაჩვენებელი. ჯერ კიდევ დიდია სახელმწიფო მიწების წილი სასოფლო-სამეურნეო მიწების მთლიან რაოდენობაში.

ზუსტი სტატისტიკა ამ კუთხით არ მოიპოვება, ვინაიდან მიწების ინვენტარიზაციის პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

საჭიროა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფის პროცედურის დახვეწა, გადასახდელი თანხის დაზუსტება და სხვა. ასევე უნდა მოხდეს ბიუჯეტში შემოსული მიწის დანიშნულების შეცვლისას გადახდილი თანხებიდან ახალი მიწის ათვისების ღონისძიებების დაფინანსება, მით უმეტეს, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტში განსაზღვრულია, რომ „გადახდილი მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების საკომპენსაციო თანხა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახალი მიწის ათვისებისა და მიწის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა დასაფინანსებლად“.

უნდა არსებობდეს მიწის მიზნობრივი დანიშნულებისა და კატეგორიის ცვლილების წესი და გარკვეული კატეგორიის მიწებზე მისი მიზნობრივი დანიშნულება შეიცვალოს მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში. ცალკე განსახილველია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზებისა და სარგებლობაში გაცემის საკითხები. გასამიჯნია და დასარეგისტრირებელია სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. მიწის სისტემური რეგისტრაციისა და სახელმწიფო მიწების ინვენტარიზაციის შემდეგ, როდესაც დადგინდება სად და რა ფართობის მიწის ნაკვეთებს ფლობს სახელმწიფო, უნდა მომზადდეს მისი პრივატიზაციის გეგმა, რომელშიც შესაძლოა მიწის ბანკინგის პრაქტიკის გამოყენება. მიწის ბანკინგი მცირე, ნაკლებად ლიკვიდური ნაკვეთების მფლობელებს მათი გაყიდვის ან გაცვლის საშუალებას მისცემს. მცირე ნაკვეთების კონსოლიდირების შედეგად კი შესაძლებელი იქნება შედარებით დიდი ზომის ნაკვეთის შეკვრა, რაც საპრივატიზაციოდ გაცილებით მარტივია და მოთხოვნაც მასზე შედარებით დიდი იქნება. პრივატიზაცია უნდა ჩატარდეს გამჭვირვალე აუქციონის გზით და პროცესში ჩართვა უნდა შეძლოს ყველა დაინტერესებულმა პირმა, თუმცა გარკვეული უპირატესობა შესაძლოა მიენიჭოს მომიჯნავე ნაკვეთების მესაკუთრეებს. ასევე სასურველია აუქციონში გამარჯვებულს მთლიანი ღირებულების ეტაპობრივი გადახდის საშუალებაც მიეცეს, რათა ნაკვეთების შეძენა და მეურნეობის გამსხვილება მწირი ფინანსური რესურსების მქონე პირებმაც შეძლონ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის #464 დადგენილებით დამტკიცებული „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო თანხის განსაზღვრის მეთოდოლოგია დასახვეწია. მიწის შეფასება ხდება როგორც აუქციონის წესით, ასევე დადგენილების ფარგლებში პირდაპირი იჯარის შემთხვევაში მათივე დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც რეალურად ცდება ბაზარზე არსებულ ფასთა კატეგორიას და ხელოვნურ ბარიერს უქმნის დაინტერესებულ პირს აუქციონის წესით ან პირდაპირი მიყიდვის გზით შეიძინოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები. ამდენად საჭიროა განისაზღვროს რეალური ფასის დადგენის ობიექტური კრიტერიუმები.

## რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საქართველოს პარლამენტის მიერ ბოლო პერიოდში მიღებული აგრარული სექტორის მარეგულირებელი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები და არსებულ საკანონმდებლო აქტებში გატარებული ცვლილებები, რომლის მიზანი ვროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოება იყო. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრებითი ურთიერთობების შესახებ მიღებულ მარეგულირებელ

საკანონმდებლო აქტებს. გაანალიზებულია მიწის რესურსების გამოყენების სამართლებრივი ასპექტები და სახელმწიფო პოლიტიკა მიწის რესურსების მიზნობრივ გამოყენებასა და დაცვაზე. წარმოდგენილია მოსაზრებები მიწის რესურსების მართვის საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფის შესახებ. სათანადო ადგილი ეთმობა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის დეტალურ განხილვას, რადგან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა წარმოადგენს ამოწურვად რესურსს, რომელიც ყოველწლიურად მცირდება ადამიანის ზემოქმედების თუ ბუნებრივ-კლიმატური გარემოს ცვლილების შედეგად და მისი რაციონალური გამოყენება განსაკუთრებულ მნიშვნელობა იძენს ისეთი მცირემიწიანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა.

ნაშრომში განხილულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რაციონალურად გამოყენების გამოცდილება საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე, ევროკავშირის ქვეყნებში შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გასხვისების წესები და პროცედურები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დაუმუშავებელ მიწებზე არსებული რეგულაციები.

## **Legal aspects of land resource use and management Improvement of the legislative framework**

I.Akhalbedashvili

**Abstract:** The article discusses the significant legal acts regulating the agricultural sector recently adopted by the Parliament of Georgia, as well as the amendments made to existing laws aimed at aligning them with European Union legislation.

Special attention is given to regulatory framework regarding ownership relations over agricultural land, analyzing the legal aspects of land resource usage, and the state policy on the targeted use and protection of land resources.

Opinions are represented on improving the legislative framework for land resource management. Detailed consideration is given to the Organic Law of Georgia "On Agricultural Land Ownership," as agricultural land is an exhaustible resource, decreasing annually due to human impact or changes in the natural-climatic environment. Its rational usage is particularly significant for a country, with limited land size, like Georgia.

The article reviews the rational use of agricultural land based on the experiences of foreign countries.

The rules and procedures for the alienation of agricultural land, as established by relevant legislation in European Union, are examined. In addition, Regulations on unused agricultural land are also discussed.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ავსტრიის კანონი სოფლის მეურნეობის შესახებ.  
<http://extwprlegs1.fao.org/docs/pdf/aut81715.pdf>;
2. ბელარუსი.[http://etalonline.by/?type=text&regnum=hk0800425#/?type=text&regnum=hk0800425#load\\_text\\_none\\_1](http://etalonline.by/?type=text&regnum=hk0800425#/?type=text&regnum=hk0800425#load_text_none_1);
3. Food and Agriculture Organization of the United Nations. (2006). *Food security: Policy brief*(Issue 2). Retrieved from  
[https://www.fao.org/fileadmin/templates/faoitally/documents/pdf/pdf\\_Food\\_Security\\_Cocept\\_Note.pdf](https://www.fao.org/fileadmin/templates/faoitally/documents/pdf/pdf_Food_Security_Cocept_Note.pdf);
4. German Bundestag. (2024). *Basic law for the Federal Republic of Germany*. <https://www.btg-bestellservice.de/pdf/80201000.pdf>;

5. ესტონეთის კანონი მიწის კადასტრის შესახებ.  
<https://www.riigiteataja.ee/en/eli/501072015009/consolide>;
6. ესტონეთის კანონი წყლის შესახებ. <https://www.riigiteataja.ee/en/eli/512012017001/consolide>;
7. ესტონეთის კანონი უძრავი ქონების შეძენისას დაწესებული შეზღუდვების შესახებ.  
<https://www.riigiteataja.ee/en/eli/514112013013/consolide>;
8. კანონი სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზაციის შესახებ ლატვიაში.  
[www.vzd.gov.lv/files/on\\_land\\_privatisation\\_in\\_rural\\_areas.doc](http://www.vzd.gov.lv/files/on_land_privatisation_in_rural_areas.doc);
9. კონსტიტუციების ვებგვერდი. <https://www.constituteproject.org/search?lang=en>
10. უნგრეთის კანონი სასოფლო-სამეურნეო მიწების და ტყეების გასხვისების შესახებ.  
[http://njt.hu/cgi\\_bin/njt\\_doc.cgi?docid=161522.294091](http://njt.hu/cgi_bin/njt_doc.cgi?docid=161522.294091).  
[http://llu.ub.lv/Raksti/Journal\\_Baltic\\_Surveying/2016/Journal\\_Baltic\\_SurveyingVol4\\_2016-20-26.pdf](http://llu.ub.lv/Raksti/Journal_Baltic_Surveying/2016/Journal_Baltic_SurveyingVol4_2016-20-26.pdf);
11. ლიეტუვის კონსტიტუცია (მუხლი  
[https://www.constituteproject.org/constitution/Lithuania\\_2006.pdf?lang=en](https://www.constituteproject.org/constitution/Lithuania_2006.pdf?lang=en)  
dila23v\_1?idArticle=LEGIARTI000031219294&cidTexte=LEGITEXT000006071367&dateTexte=2016  
1202;
12. ლიეტუვის კანონის მიწის შესახებ.  
<https://eseimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/917e4f22526811e78869ae36ddd5784f?positionInSearchResult>;
13. მიწათმოწყობისა და სოფლის განვითარების საზოგადოება საფრანგეთში.  
<http://www.safer.fr/missions-safer.asp>;
14. მიწათსარგებლობა ლატვიაში. <https://www.degruyter.com/downloadpdf/j/bjreecm.2015.3.issue-1/bjreecm-2015-0003/bjreecm-2015-0003.pdf>;
15. მიწის შესახებ საქართველოს კანონმდებლობათა კრებული. თბ.: მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2001 წელი. პერსპექტივები“, თბილისი, 2023 წელი;
16. ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი. <http://www.dutchcivillaw.com/civilcodegeneral.htm>
17. ნიდერლანდების მთავრობის გვერდი – სივრცითი დაგეგმარება;  
<https://www.government.nl/topics/spatial-planning-and-infrastructure/spatial-planning-in-the-netherlands> ts=0&searchModelUUID=1a1d8b51-d60d-451a-b3a1-e12dcdba918c
18. ნოდარ ჭითანავა. გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში. თბილისი, 2021 წელი;
19. ნოდარ ჭითანავა. საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია, თბილისი, 2018 წელი;
20. პოლონეთის კანონი უცხოელების მიერ ქონების შეძენის შესახებ;  
[www.paiz.gov.pl/files/?id\\_plik=7117](http://www.paiz.gov.pl/files/?id_plik=7117)
21. რუმინეთის ახალი რეგულაციები ს/ს მიწების გაყიდვასთან დაკავშირებით;  
<http://www.pwc.ro/en/services/tax-legal/alerts/new-regulations-sale-agricultural-land.html>
22. რუმინეთის ახალი რეგულაციები ს/ს მიწების გაყიდვასთან დაკავშირებით.  
<http://www.pwc.ro/en/services/tax-legal/alerts/new-regulations-sale-agricultural-land.html>;
23. საბერძნეთის კანონი საკუთრების შესახებ, მოხსენება ევროკავშირში.  
<http://www.eui.eu/Documents/DepartmentsCentres/Law/ResearchTeaching/ResearchThemes/EuropeanP>;
24. [rivateLaw/RealPropertyProject/Greece.PDF](http://www.rivatelaw.com/RealPropertyProject/Greece.PDF)
25. სასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენის ახალი წესები სლოვაკეთში, კვლევა.  
<https://www.degruyter.com/downloadpdf/j/eual.2015.4.issue-1/eual-2015-0003/eual-2015-0003.xml>;

26. საფრანგეთის სოფლის მეურნეობის და მეთევზეობის კოდექსი.  
[https://www.legifrance.gouv.fr/affichCodeArticle.do?sessionId=071651A4F2B862C342AB5685F796B61.tpdila23v\\_1?idArticle=LEGIARTI000031219294&cidTexte=LEGITEXT000006071367&dateTexte=20161202;](https://www.legifrance.gouv.fr/affichCodeArticle.do?sessionId=071651A4F2B862C342AB5685F796B61.tpdila23v_1?idArticle=LEGIARTI000031219294&cidTexte=LEGITEXT000006071367&dateTexte=20161202;)
27. საფრანგეთის ურბანიზმის ადგილობრივი გეგმა. <https://www.collectivites-locales.gouv.fr/documents-durbanisme-et-regles-generales-durbanisme;>
28. საფრანგეთის ურბანიზმის კოდექსი.  
<https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006074075;>
29. საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი, საქართველოს პარლამენტი. 24 აგვისტო, 1995 N786-რს, კონსოლიდირებული ვერსია;
30. საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი, განმარტებითი ბარათი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე, 25/06/2019;
31. საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი, განმარტებითი ბარათი მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ, 25/06/2019;
32. „საქართველოს კანონი სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“, ქუთაისი, 20 ივლისი, 2018, N 3213-რს;
33. სასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენის ახალი წესები სლოვაკეთში, კვლევა.  
[https://www.degruyter.com/downloadpdf/j/eual.2015.4.issue-1/eual-2015-0003/eual-2015-0003.xml;](https://www.degruyter.com/downloadpdf/j/eual.2015.4.issue-1/eual-2015-0003/eual-2015-0003.xml)
34. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“, თბილისი, საქართველოს პარლამენტი, პარლამენტის უწყებანი, №43, 30.10.1997;
35. საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის კვლევები, თბილისი, საქართველოს პარლამენტი, 12 ივნისი, 2020 წელი, N 03/11;
36. საპარლამენტო კვლევებისა და დოკუმენტაციის ევროპული ცენტრის (ECPRD) მასალები.
37. უნგრეთის კანონი სასოფლო-სამეურნეო მიწების და ტყეების გასხვისების შესახებ.  
[http://njt.hu/cgi\\_bin/njt\\_doc.cgi?docid=161522.294091;](http://njt.hu/cgi_bin/njt_doc.cgi?docid=161522.294091)
38. ურბანიზმის კოდექსი.  
<https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006074075;>
39. ფინეთში უძრავი ქონების შეძება (ევროკავშირისთვის გაკეთებული მოხსენება).  
[http://www.eui.eu/Documents/DepartmentsCentres/Law/ResearchTeaching/ResearchThemes/EuropeanPrivateLaw/RealPropertyProject/Finland.PDF;](http://www.eui.eu/Documents/DepartmentsCentres/Law/ResearchTeaching/ResearchThemes/EuropeanPrivateLaw/RealPropertyProject/Finland.PDF)
40. ფინეთის კანონმდებლობა მიწის შეძენაზე დაწესებულ შეზღუდვებზე (ვამინგტონის უნივერსიტეტის კვლევა).  
[http://openscholarship.wustl.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1129&context=law\\_globalstudies;](http://openscholarship.wustl.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1129&context=law_globalstudies)
41. ISET-ის კვლევა „სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმა საქართველოში“, თბილისი, 2018 წელი;
42. ხორვატიის კანონი სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ.  
[http://www.mvep.hr/zakoni/pdf/898.pdf;](http://www.mvep.hr/zakoni/pdf/898.pdf)
43. შვედეთი. [http://www.riksdagen.se/sv/dokument-lagar/dokument/svenskforfattningssamling/fastighetstaxeringslag-19791152\\_sfs-1979-1152.](http://www.riksdagen.se/sv/dokument-lagar/dokument/svenskforfattningssamling/fastighetstaxeringslag-19791152_sfs-1979-1152)

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი (ეად), სტუ-ის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მიწის, წყლისა და ტყის რესურსების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

## საქართველოში ორგანული (ეკოლოგიური) სოფლის მეურნეობის განვითარების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები

### შესავალი

ორგანული სოფლის მეურნეობის სისტემა წარმოადგენს მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის ისეთი მეთოდების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს ეკოსისტემის ბუნებრივი წონასწორობისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. უკანასკნელ პერიოდში მთელ მსოფლიოში სწრაფად იზრდება მოთხოვნა ორგანულ პროდუქციაზე, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი აცნობიერებს ორგანული პროდუქციის სიკეთეს, ამიტომ ქვეყანაში ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარება მიიჩნევა უალტერნატივო მიმართულებად. ორგანული პროდუქციის მოთხოვნაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა COVID-19 პანდემიამ, რომლის დროსაც მოსახლეობამ ნათლად გაათვითცნობიერა ჯანსაღი კვების მნიშვნელობა.

საქართველოში ორგანული სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი და ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებას. ამ მიზნით ქვეყნისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს უცხოური გამოცდილების შესწავლას და აგრარულ სექტორში დანერგვას. წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში „საქართველოში ორგანული (ეკოლოგიური) სოფლის მეურნეობის განვითარების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები“ განხილული და გაანალიზებულია ორგანული სოფლის მეურნეობის არსი და განვითარების თავისებურებანი, მისი განვითარების თანამედროვე მდგომარეობა მსოფლიოში, ორგანული წარმოების სახელმწიფო რეგულირების საერთაშორისო გამოცდილება, საქართველოში ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების თავისებურებანი და მისი სრულყოფის პერსპექტივები.

ბიომეურნეობის საყოველთაო სტანდარტი დაადგინა და მიიღო „ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაციამ“ (IFOAM-მა), რომელიც მხარს უჭერს დამოუკიდებელ სისტემებს ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე<sup>1</sup>. გერმანულ-ენოვან ქვეყნებში გამოიყენება ტერმინი - „ბიომეურნეობა“ (**Biologische Landwirtschaft**), ინგლისურენოვან ქვეყნებში - „ორგანული“ (**Organic Farming**), ზოგიერთ ქვეყანაში - „ეკოლოგიური“.

საქართველოში ორგანული წარმოების დაჩქარებული განვითარების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტად არჩეულ იქნეს ორგანული წარმოების განვითარება და სახელმწიფო დონეზე დამუშავდეს მისი ხელშეწყობის სერვისის მიმართულებები.

### ორგანული სოფლის მეურნეობის არსი და თავისებურებანი

ორგანული სასოფლო-სამეურნეო წარმოება მართვის ერთიანი სრულყოფილი სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს აგროეკოსისტემების შენარჩუნებას, მათ სიჯანსაღეს,

<sup>11</sup> საქართველოსთვის იხ. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მიერ გამოცემული სტანდარტი ბიოწარმოების შესახებ ( მე-3 რედაქცია).

მოიცავს ბიომრავალფეროვნებას, ბიოლოგიურ ციკლებს და ნიადაგის ბიოლოგიურ აქტიურობას.

ქვეყნის ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ზემოქმედებს სამი მამოძრავებელი ძალა:

- ბაზარზე მოთხოვნა და მასზე ორიენტირებული ორგანული სოფლის მეურნეობა. ამ მიზნით წარმოებული პროდუქტები ექვემდებარება შესაბამის სერტიფიცირებას და შეფუთვისას.

- მომხმარებელზე ორიენტირებული ორგანული სოფლის მეურნეობა. ამ მიზნით ევროკავშირის მრავალ ქვეყანაში შექმნილია ფონდები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ორგანული სოფლის მეურნეობის სუბსიდირება. მაგალითად, ღონისძიებები გრუნტის წყლების დაბინძურების შესამცირებლად, ბუნებრივი ლანდშაფტების შექმნა და ა.შ.

- ფერმერებზე ორიენტირებული ორგანული სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ფერმერები ხშირად მიიჩნევენ, რომ პროდუქციის წარმოების ტრადიციული მეთოდები არაეფექტურია და ამუშავებენ ალტერნატიულ მეთოდებს.

თანამედროვე მსოფლიოს მრავალ განვითარებად ქვეყანაში წვრილი ფერმერები იყენებენ ორგანული სოფლის მეურნეობის მეთოდებს. ასეთი მეურნეობების პროდუქცია შესაძლებელია მოხვდეს ბაზარზე და გაიყიდოს უფრო იაფად, რადგან ის არ არის სერტიფიცირებული.

განვითარებულ ქვეყნებში კი წვრილ ფერმერებს საკუთარ ორგანულად წარმოებული, მაგრამ არასერტიფიცირებული პროდუქცია გააქვთ პირდაპირ მომხმარებელზე. მაგალითად, აშშ-ში წვრილი ფერმერების წარმოებული პროდუქტი სერტიფიცირებას არ ექვემდებარება.

ორგანული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიმართულეებია:

- ნიადაგის ბიოლოგიური აქტივობის გაზრდა;
- ნიადაგის ნაყოფიერებების ხანგრძლივი შენარჩუნება;
- მცენარეული და ცხოველური ნარჩენების რეციკლაცია;
- ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული სასოფლო-სამეურნეო წარმოება;

- ნიადაგის, წყლისა და ჰაერის ჯანსაღ გამოყენებაზე ორიენტირებული წარმოება;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებთან მიმართებით ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის სასიცოცხლო თვისებების შენარჩუნებას ყველა საფეხურზე.

მე-20 საუკუნის დასაწყისში სოფლის მეურნეობაში ქიმიური სასუქების და პესტიციდების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიების აქტიურ დანერგვას მოჰყვა პროდუქციის მოსავლიანობის ზრდა, ხელით შრომის შემცირება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. მართალია, ქიმიური სასუქების ინტენსიური გამოყენება ზრდის მოსავლიანობას, მაგრამ მეორე მხრივ ბინძურდება გარემო, უარესდება ნიადაგის ნაყოფიერება. ქიმიური საშუალებების მზარდი დოზებით გამოყენება მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და არღვევს ბუნებაში ეკოლოგიურ წონასწორობას, ასეთი სასურსათო პროდუქტის ყუათიანობა დაბალი ღირებულებით ხასიათდება.

ორგანული სოფლის მეურნეობის კონცეფციას მე-19 საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაუყარა შვეიცარიელმა მეცნიერმა ჰანს მიულერმა. 1921 წელს მან თავის ქვეყანაში დააფუძნა გლეხთა მოძრაობა, რომლის მიზანიც იყო გლეხთა ცნობიერების ამაღლება.



3. მიუღერის იდეები გამოიყენეს დასავლეთგერმანელმა ფერმერებმა და 1971 წელს შექმნეს გაერთიანება, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ორგანული მიწათმოქმედებისა და მებაღეობის ხელშეწყობა.

მე-20 საუკუნის ოციან წლებში ავსტრიელმა მეცნიერმა რუდოლფ შტაინერმა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემცირება და მავნე დაავადებათა მატება დაუკავშირა ხელოვნური სასუქებისა და შხამქიმიკატების ინტენსიურ გამოყენებას. მან ორგანულ სოფლის მეურნეობაში საფუძველი ჩაუყარა ბიოდინამიკური მეთოდების გამოყენებას, რომელიც ეფუძნება სპეციალური წესით დამზადებული პრეპარატების გამოყენებას და აძლიერებს მცენარეთა სასიცოცხლო ძალას.

სოფლის მეურნეობაში ქიმიური საშუალებებისა და შხამქიმიკატების გამოყენება დამღუპველად მოქმედებს არა მარტო მავნე, არამედ სასარგებლო ორგანიზმებზეც, რაც არღვევს ბუნებაში არსებულ წონასწორობას. ეს უკანასკნელი ზიანს აყენებს გარემოს, რომელიც იწვევს ნიადაგის გამოფიტვას, ეროზიას, დაავადებებს, მავნებლების „აფეთქებებს“ და სხვა პრობლემებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ორგანული სოფლის მეურნეობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს:

- ბუნებრივი კანონზომიერებების შესწავლა და მისი გამოყენება სოფლის მეურნეობაში;
- ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება და შენარჩუნება;
- ბუნებრივი რესურსებისადმი ფრთხილი დამოკიდებულება;
- მეურნეობაში ჩაკეტილი წრებრუნვის მიღწევა;
- მაღალი ღირებულების ყუათიანი პროდუქციის შექმნა.

ორგანული სოფლის მეურნეობის ძირითადი მეთოდებია:

- თესლბრუნვის გამოყენება;
- შეთესვა-მულჩირების გამოყენება;
- შერეული კულტურების თესვა;
- ნიადაგის მექანიკური გაფხვიერება;
- ნიადაგში ორგანული სასუქების შეტანა;
- ნიადაგში ბუნებრივი მინერალური სასუქების შეტანა;
- ცოცხალი ღობეების მოწყობა;
- მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური მეთოდების გამოყენება;
- აგროვადების ზუსტი დაცვა;
- შინაურ ცხოველთა საკვებად საკუთარ მეურნეობაში მოყვანილი საკვების გამოყენება.

აღნიშნული მეთოდები ორგანულ სოფლის მეურნეობაში ხელს უწყობს ჯანსაღი საკვების წარმოებას და ეკოსისტემის შენარჩუნებას, მაგრამ მას უარყოფითი შედეგებიც გააჩნია. მისი ერთ-ერთი ნაკლია დაბალი მოსავლიანობა და ამასთან ერთად წარმოების მაღალი ხარჯები, ამის გამო ორგანული პროდუქტი მომხმარებელს უფრო ძვირი უჯდება. ფერმერებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს ორგანული პროდუქციის წარმოების დაწყება, უნდა იცოდნენ, რომ მეტი დროისა და ენერჯის დახარჯვა მოუწევთ ჩვეულებრივ მეურნეობასთან შედარებით.

ორგანულ სოფლის მეურნეობაში თვალსაჩინოა ორი სახის წრებრუნვა: ადამიანი - ცხოველი, მცენარე - ადამიანი.

ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარება დაფუძნებულია ოთხ ძირითად პრინციპზე: ჯანმრთელობის, სამართლიანობის, ეკოლოგიისა და ზრუნვის.



ჯანმრთელობის პრინციპი ეფუძნება ცოცხალი ორგანიზმის მთლიანობას და ინტეგრაციას გარემოსთან. მისი ძირითადი მახასიათებლებია სასოფლო-სამეურნეო წარმოება, გადამუშავება, განაწილება და მოხმარება, ეკოსისტემისა და ჯანმრთელი ორგანიზმის შენარჩუნება ნიადაგში არსებულ მიკროორგანიზმებსა და ადამიანებში. ამ პრინციპის თანახმად თავიდან უნდა იქნეს აცილებული სასუქების, პესტიციდების, ცხოველური პრეპარატებისა და საკვები დანამატების გამოყენება.

სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს თანაბარი უფლებების განაწილებას ცოცხალ არსებებზე გარემოში. ამ პრინციპის თანახმად ორგანულმა სოფლის მეურნეობამ უნდა უზრუნველყოს ყველა, ვინც ჩართულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაღალი ხარისხით და ხელი შეუწყოს სიღარიბის შემცირებას. ბუნებრივი და გარემოსდაცვითი რესურსები სოციალურად და ეკოლოგიურად უნდა ექვემდებარებოდეს სამართლიანობის პრინციპის დაცვას, შესაბამისად წარმოების განაწილებისა და რეალიზაციის სისტემები უნდა ითვალისწინებდეს გარემოსდაცვით ხარჯებს.

ეკოლოგიის პრინციპი ეფუძნება ცოცხალი ეკოლოგიური სისტემის ურთიერთობის ციკლს, ანუ წარმოება უნდა ემყარებოდეს პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების ეკოლოგიურ პრინციპებს, რომლითაც საკვების მაღალი ხარისხი და კეთილდღეობა მიიღწევა. ორგანული სოფლის მეურნეობის გაძლიერება შესაბამისობაში უნდა იყოს ბუნების ბალანსთან. ორგანული მენეჯმენტი მორგებული უნდა იქნეს ადგილობრივ პირობებზე, ორგანული პროდუქტების წარმოების ხარჯები უნდა შემცირდეს ნარჩენების ხელახალი გადამუშავების გამოყენებით და ენერგოეფექტური მენეჯმენტით. ორგანულმა სოფლის მეურნეობამ უნდა უზრუნველყოს ეკოლოგიური ბალანსის მიღწევა ფერმერული სისტემების დაგეგმვა-დაპროექტებით, უნარ-ჩვევების დამკვიდრებითა და გენეტიკური და სამეურნეო მრავალფეროვნების შენარჩუნებით.

ზრუნვის პრინციპი ითვალისწინებს ორგანული სოფლის მეურნეობის გაძლიერებას, დღევანდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვას. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ ორგანული სოფლის მეურნეობის მენეჯმენტის, განვითარებისა და ტექნოლოგიების არჩევისას სიფრთხილით და პასუხისმგებლობით უნდა მივუდეთ მას.

თავის მხრივ მეცნიერება ვალდებულია უზრუნველყოს ორგანული სოფლის მეურნეობის უსაფრთხო, ჯანსაღი და ეკოლოგიურად გამართული განვითარება. ორგანულმა სოფლის მეურნეობამ უნდა აღკვეთოს რისკები შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით და არაპროგნოზირებადი ტექნოლოგიების უარყოფით, როგორცაა გენური ინჟინერია.

ორგანული სოფლის მეურნეობის თვისებათა გაანალიზების შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ორგანული სასოფლო-სამეურნეო წარმოება არის სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადობას და დამყარებულია ნიადაგის ნაყოფიერების, გარემოს დაცვისა და სურსათის უვნებლობის საფუძველზე.

სოფლის მეურნეობის ტრადიციული მეთოდებით გაძლიერების დროს სხვადასხვა ქიმიური ნივთიერების გადაჭარბებული და უკონტროლო გამოყენება ტოვებს დიდი რაოდენობით სახიფათო ნარჩენებს, რაც სერიოზული პრობლემაა ნიადაგისათვის. ორგანულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ეკოლოგიურ სისტემას აქვს საკუთარი მეთოდები მავნე ორგანიზმების და დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლის ფარგლებშიც მკაცრად აკრძალულია ქიმიური სასუქების, პესტიციდებისა და სხვადასხვა ზრდის მასტიმულირებელი პრეპარატების გამოყენება.

### ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების მსოფლიო გამოცდილება


ორგანული სოფლის მეურნეობა არის წარმოების ისეთი სისტემა, რომელიც ხელს უწყობს აგროეკოსისტემის კონსერვაციას, ბიოლოგიური ციკლებისა და ნიადაგის ბიოლოგიური აქტივობის აღდგენას. ორგანული სოფლის მეურნეობის ეს განმარტება ერთიანია მთელი მსოფლიოსათვის. იგი აღწერილია საბაზრო დოკუმენტებსა და სტანდარტებში, რომლის მესაკუთრედაც გვევლინება ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაცია (IFOAM). ის ასევე კოდიფიცირებულია საერთაშორისო დონეზე მთავრობათაშორისი ორგანიზაციის Codex Alimentarius კომისიის მეშვეობით, რომლის წევრია 188 ქვეყანა და ერთი წევრი ორგანიზაცია (EU), რომელიც არის FAO/WHO კვების სტანდარტების ერთობლივი პროგრამის ნაწილი.

თანამედროვე მსოფლიოში ორგანული კვების პროდუქტების ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად განვითარებული ბაზარია. 1999 წლიდან 2020 წლამდე ის 10-ჯერ გაიზარდა და 13,1 მილიარდი ევროდან 134,8 მილიარდი ევრო შეადგინა. ექსპერტების მონაცემებით ორგანული პროდუქტების ბაზარი გააგრძელებს წელიწადში 7-8 %-ით ზრდას და 2030 წლისთვის მიაღწევს 230 მილიარდ ევროს. ასევე 2030 წლისათვის მოსალოდნელია ორგანული პროდუქტების ბაზრის მოცულობამ მიაღწიოს გლობალური სოფლის მეურნეობის ბაზრის 5 %-ს [10].

ამერიკის შეერთებული შტატები 2022 წლისათვის რჩება მსოფლიოში წამყვან პოზიციაზე 58,6 მილიარდი ევროთი (გლობალური ორგანული პროდუქტების მოხმარების 43 %), შემდეგ მოდის გერმანია (15,3 მილიარდი ევრო, გლობალური მოხმარების 11%) და მესამე ადგილზე წარმოდგენილია ჩინეთი (12,4 მილიარდი ევრო, მოხმარების 9 %) (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1.

მსოფლიოს 10 ქვეყანა ორგანული პროდუქტის მოხმარების მოცულობის მიხედვით 2022 წელს (წყარო [10]).




მსოფლიოში ორგანული ბაზრის განვითარება 2022 წელს ხასიათდებოდა მთელი რიგი თავისებურებებით. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში შემცირდა ორგანული პროდუქტების მოხმარების მოცულობა, კერძოდ: იტალიაში - 0, 5%-ით, შვედეთში - 1,2%-ით, ბელგიაში - 2,5%-ით, დანიაში - 3,2%-ით, შვეიცარიაში - 3,3%-ით, საფრანგეთში - 6,0%-ით, მაშინ როდესაც ორგანული პროდუქტების საცალო მოხმარება კანადაში გაიზარდა 9,7%-ით,

იაპონიაში - 8,4%-ით, აშშ-ში - 4,3%-ით. ექსპერტები მსოფლიოში ორგანული პროდუქტები მომხმარებლის ცვლილებებს ხსნიან მსოფლიოში მიმდინარე პანდემიით.

მსოფლიოში ქვეყნები ერთ სულ მოსახლეზე ორგანული პროდუქტების მოხმარების მიხედვით შემდეგნაირად ჯგუფდება. პირველ ადგილზეა შვეიცარია 437 ევროთი, მეორეზე - დანია 365 ევროთი, მესამეზე - ავსტრია, 274 ევროთი (იხ.დიაგრამა 2).

**დიაგრამა 2.**

**მსოფლიოს 10 მოწინავე ქვეყანა მოსახლეობის ერთ სულზე ორგანული პროდუქციის მოხმარების მიხედვით 2022 წელს ევროპაში (წყარო [10]).**




თანამედროვე მსოფლიოში ორგანული სოფლის მეურნეობის სერტიფიცირებული პროდუქციის მწარმოებელი ქვეყნების პირველი ათეული ასე გამოიყრება (იხ.დიაგრამა 3).

პირველ ადგილზეა ინდოეთი (2,4 მილიარდი ევრო), მეორე ადგილზე - უგანდა (404,2 მილიონი ევრო), მესამე ადგილზე - ტაილანდი (121,5 მილიონი ევრო), მეოთხე ადგილზე - ეთიოპია (121,4 მილიონი ევრო), მეხუთე ადგილზე კი - კონგო (118,2 მილიონი ევრო).


**დიაგრამა 3.**

**მსოფლიოში ორგანული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი ქვეყნების ათეული 2022 წელს (მლნ. ევრო) (წყარო: [10]).**



მსოფლიოში ორგანული პროდუქციის მწარმოებლური რეგიონები შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დიაგრამა 4):


**დიაგრამა 4.**  
**ორგანული პროდუქციის მწარმოებლების განაწილება რეგიონების მიხედვით 2022 წელს (წყარო [10]).**



მე-4 დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ ორგანული პროდუქციის მწარმოებლები ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილი არიან აზიის რეგიონში (60,6%), შემდეგ მოდის აფრიკა (21,7%), მესამე ადგილზეა ევროპა 10,7%, ხოლო მეოთხე ადგილზე წარმოდგენილია ლათინური ამერიკა 6%.

2022 წელს მსოფლიოში რეგისტრირებულია 4,5 მილიონი ორგანული პროდუქციის მწარმოებელი, რაც თითქმის 26%-ით აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს. ზრდა ძირითადად განხორციელდა ინდოეთის ხარჯზე. ორგანული პროდუქციის მწარმოებლების მიხედვით ინდოეთი მსოფლიოში რჩება პირველ ადგილზე, 2022 წლისათვის კი ორგანული პროდუქციის მწარმოებელთა რაოდენობამ 2,5 მილიონი შეადგინა, მეტად საინტერესოა ორგანული პროდუქციის ერთ მწარმოებელზე დამაგრებული მიწის ფართობი (იხ.დიაგრამა 5).

**დიაგრამა 5.**  
**ორგანული პროდუქციის ერთ მწარმოებელზე დამაგრებული მიწის ფართობი (ჰა) 2022 წელს რეგიონების მიხედვით (წყარო: [10]).**




**ორგანული პროდუქციის ერთ მწარმოებელზე დამაგრებული მიწის ფართობი (ჰა) 2022 წელს რეგიონების მიხედვით (წყარო: [10]).**

მე-5 დიაგრამიდან ჩანს, რომ ოკეანეთის რეგიონში ორგანული პროდუქციის ერთ მწარმოებელზე მოდის საშუალოდ 2174 ჰა მიწა, ჩრდილოეთ ამერიკის რეგიონში – 150 ჰა, ხოლო ევროპაში საშუალოდ – 35-39 ჰა. მთელ მსოფლიოში 2022 წლისათვის ორგანულ წარმოებაში სერტიფიცირებული მიწის ფართობი 126 მლნ. ჰა-ს შეადგენს. ორგანულ წარმოებაში ჩართული მიწის ფართობი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დიაგრამა 6).

**დიაგრამა 6.**

**ყველა ორგანული წარმოებაში ჩართული მიწის ფართობების განაწილება სახეების მიხედვით 2022 წელს (წყარო: FIBL 2024).**



96,4 მლნ. ჰა მოქცეული იყო ორგანული სოფლის მეურნეობაში, რაც 20,3 მლნ. ჰა ანუ 26,6%-ით აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს. ორგანულ სოფლის მეურნეობაში ყველაზე დიდი ფართობი 53,2 მლნ. ჰა მოქცეულია ოკეანის რეგიონში, ანუ ორგანულ სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მიწის ნახევარზე მეტი (55%). ევროპის წილად მოდის 18,5 მლნ. ჰექტარი, რაც შეადგენს 19%-ს; შემდეგ მოდის ლათინური ამერიკა – 9,5 მლნ. ჰექტარი, ანუ 10%; აზია – 8,8 მლნ. ჰექტარი, ანუ 9,2%; ჩრდილოეთ ამერიკა – 3,6 მლნ. ჰექტარი, ანუ 3,8%; აფრიკა – 2,7 მლნ. ჰექტარი, ანუ 2,8%.

2022 წელს არსებითი ზრდა ქვეყნების მიხედვით აჩვენა ავსტრალიამ, რომლის წილი ქვეყანაში ორგანულ სოფლის მეურნეობის წარმოებაში შეადგენდა 53 მლნ. ჰექტარს, შემდეგ მოდის ინდოეთი 4,7 მლნ. ჰექტარით.


ველურად მზარდი მცენარეებით წარმოებული პროდუქციის ფართობი შეადგენს 34,5 მლნ. ჰექტარს, რომელიც თითქმის 5 მლნ. ჰექტარით აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს. აქ ძველებურად ლიდერობს ფინეთი 6,9 მლნ. ჰექტარით.

მსოფლიოში ორგანულ წარმოებაში ჩართული მიწის ფართობებით ქვეყნები ასე ნაწილდება (იხ. დიაგრამა 7).

დიაგრამათა ანალიზიდან ჩანს, რომ მსოფლიოში ორგანული მეურნეობების მიერ დაკავებული მიწების მიხედვით პირველ ადგილზეა ავსტრალია - 53,02 მლნ. ჰა; შემდეგ მოდის ინდოეთი, 4,73 მლნ. ჰა; არგენტინა - 4,06 მლნ. ჰა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ოკეანეთი ორგანულ მეურნეობაში ჩართული მიწების მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზეა 55%-ით, მაგრამ ამის მიუხედავად მას ორგანული პროდუქციის მწარმოებლის რაოდენობის მიხედვით უკავია ბოლო ადგილი (0,54%) და ბოლოს წინა ადგილი ორგანული პროდუქტების მომხმარებლის მიხედვით (1,12%). აფრიკას ორგანული პროდუქციის მწარმოებლების მიხედვით უკავია მსოფლიოში მეორე ადგილი (21,7%), ბოლო ადგილს იკავებს ორგანულ მეურნეობაში ჩართული მიწების მიხედვით (2,8%), ხოლო ორგანული პროდუქციის მომხმარებლების მიხედვით 0% აქვს.

დიაგრამა 7.


მსოფლიოში ქვეყნების პირველი ათეული ორგანული მიწების ფართობის მიხედვით (მლნ.ჰა) 2022 წელს (წყარო [10]).



ორგანულ სოფლის მეურნეობაში ჩართული მიწის რაოდენობასთან ერთად მნიშვნელოვანია ამ მიწების სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია მე-8 დიაგრამაზე.

დიაგრამა 8.

მსოფლიოში ორგანულ სოფლის მეურნეობაში ჩართული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა 2022 წელს (წყარო: [10]).




როგორც მე-8 დიაგრამის ანალიზიდან ჩანს, მსოფლიოში სერტიფიცირებული მიწების 70% მოდის სამოვრებზე, რომელთა სერტიფიცირება შედარებით მარტივია და ფინანსური

დანახარჯები მათ ორგანულ მდგომარეობაში შენარჩუნებაზე მინიმალურია. მეტად საყურადღებოა ასევე სახნავი, რომლის წილაც მოდის 16%. ამ კატეგორიაში ლიდერის პოზიცია უკავია აშშ-ს, რაც შეეხება მრავალწლიან ნარგავებს მათ წილად მოდის 7%, ხოლო დანარჩენი კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წილად წარმოდგენილია 7%.

მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ორგანულ სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მიწების შეფარდება მსოფლიოში მთლიან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობებთან (იხ. დიაგრამა მე-9).

**დიაგრამა 9.**

**მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში 2022 წელს ორგანული მიწების თანაფარდობა მთლიან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიწის ფართობთან, %-ით (წყარო [10]).**




2022 წელს მთელ მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 2% გამოიყენებოდა ორგანული პროდუქციის საწარმოებლად, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალ ქვეყანას გააჩნია ორგანულ წარმოებაში მაღალი მაჩვენებლები. მაგალითად, მსოფლიოს 21 ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 10%-ზე მეტია, 12 ქვეყანაში იგი 5-დან 10%-მდეა, 44 ქვეყანაში მერყეობს 1-დან 5%-მდე, ხოლო 100 ქვეყანაში 1%-ზე ნაკლებია.

მსოფლიოში ქვეყნების პირველი ათეული ორგანულ სოფლის მეურნეობაში ჩართული მიწის ფართობის ხვედრითი წილის მიხედვით ასე გამოიყურება (იხ. დიაგრამა 10).

როგორც მე-10 დიაგრამის ანალიზიდან ჩანს, ორგანულ სოფლის მეურნეობაში ჩართული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილია ლიხტენშტეინი - 43,0%, შემდეგ მოდის ავსტრია - 27,5%, ესტონეთი - 23,4% და მე-10 ადგილზეა საბერძნეთი - 17,6 %.



მსოფლიოს ქვეყნების ათეული, რომლებიც ხასიათდებიან ორგანულ სოფლის მეურნეობაში ჩართული სავარგულების ხვედრითი წილით მთლიან ფართობთან მიმართებაში, 2022 წელი (წყარო [10]).



მსოფლიოს 75 ქვეყანას გააჩია საუკეთესო საკანონმდებლო ბაზა ორგანული პროდუქციის წარმოებასა და გადამუშავების სფეროში, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს. 19 ქვეყანაში მიღებული კანონმდებლობა საჭიროებს დახვეწას, ხოლო 14 ქვეყანაში კანონმდებლობა შემუშავების პროცესშია.

IFOAM-ის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ რეგისტრირებულია საბაზო 50 ორგანული სტანდარტი, მათ შორის 5 მოქმედებს რამდენიმე ქვეყანაში (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1.

ორგანული კანონმდებლობა მსოფლიოს რეგიონების მიხედვით

რეგიონები	მიმდინარეობს შემუშავება	მთლიანობაში შესაბამისობაშია საბაზო მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია საბაზო მოთხოვნებთან	სულ
აფრიკა	5	1	4	10
აზია	7	11	10	28
ევროპა	-	40	2	43
ლათინური ამერიკა და კარიბების რეგიონი	2	16	3	2
ჩრდილოეთ ამერიკა		2		2
ოკეანეთი		4		4
სულ	14	75	19	108

(წყარო: [10]).



შედარებით სრულყოფილი ორგანული სოფლის მეურნეობის რეგულირების საკანონმდებლო ბაზა არსებობს ევროპაში, აშშ-ში, იაპონიაში, ინდოეთში, კანადასა და ჩინეთში.

მსოფლიოში ორგანული პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების გაანალიზების შედეგად ნათელი ხდება, რომ ორგანული პროდუქციის წარმოებით ლიდერობენ განვითარებადი ქვეყნები აზიისა და ოკეანეთის რეგიონიდან, ხოლო ორგანული პროდუქტების მოხმარების კუთხით ლიდერის პოზიცია უკავია აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებს.

ორგანული წარმოების განვითარების სახელმწიფო რეგულირების დიდი გამოცდილებაა დაგროვილი ევროკავშირში. აქ მოქმედებს მამულებური პროგრამები, რომლითაც შესაძლებელია ისარგებლოს ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ყველა მწარმოებელმა, კერძოდ ესაა ე.წ. კლიმატის პროგრამა, ანუ „ევროპის მწვანე გარიგება“, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს სტრატეგია „ფერმიდან ჩანგლამდე“, ანუ F2F.

„ევროპის მწვანე გარიგება“ წარმოადგენს გეგმას, რომელიც მოიცავს ნულოვან სათბურის გაზების ემისიას და ნულოვან ჯამურ დაბინძურებას გარემოს განახლებად ენერგომომცველ წყაროებზე დაყრდნობით ევროკავშირში 2050 წლისთვის. სტრატეგია „ფერმიდან ჩანგლამდე“, ანუ F2F პროგრამა მიზნად ისახავს ევროკავშირში ჯანსაღი და მდგრადი კვების სისტემის შექმნას.

ევროკავშირის კლიმატის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია, რომ 2050 წლისთვის არ იქნება სათბურის გაზების ემისია და ეკონომიკური ზრდა არ იქნება დაკავშირებული წიაღისეული რესურსების გამოყენებასთან. პროგრამა ძირითადად ეფუძნება ისეთი სექტორების განვითარებას, როგორცაა: ენერგეტიკა, ტრანსპორტი და აგროსასურსათო სექტორი.

F2F პროგრამის მიზნებს 2030 წლისთვის განეკუთვნება:

- პესტიციდების გამოყენების შემცირება, რომელიც მიწას, წყალს და ჰაერს აბინძურებს 50%-ით;
- სასუქების გამოყენების შემცირება 2%-ით;
- მიკრობების საწინააღმდეგო პრეპარატების გაყიდვების შემცირება ევროკავშირში 50%-ით;
- ფერმერულ მეურნეობებში მიწების გამოყენების გაზრდა ორგანული წარმოებისათვის 25%-მდე.

ევროკავშირის მდგრადი განვითარების „მწვანე კურსი“ ეფუძნება რამდენიმე მიმართულებას:

პირველი მიმართულებაა მოთხოვნის სტიმულირება და მოხმარებელთა ნდობის უზრუნველყოფა, მეორე მიმართულება – კონვერსიის სტიმულირება და ღირებულების შექმნის ჯაჭვში ყველა რგოლის განმტკიცება, ხოლო მესამე – ეკონომიკურ მდგრადობაში ორგანული მიწათმოქმედების წილის გაზრდა.

2022 წლის 18 თებერვლიდან ევროკომისიამ, ევროპის ეკონომიკურმა და სოციალურმა კომიტეტმა (EESC), ევროპის რეგიონების კომიტეტმა (CoK), COPA – COGECA და INFOAM Organics Europe დააწესეს ევროკავშირის ორგანული ჯილდოები, რომლებიც მიენიჭება ორგანული პროდუქციის წარმოების ღირებულების ჯაჭვში დაასაქმებულ საუკეთესო და გამორჩეულ მწარმოებლებს. ორგანული ჯილდოების სქემაში ევროკავშირის ჩართული აქვს 7 კატეგორია და 8 ჯილდო. აღნიშნული ჯილდოები თავისთავში არ გულისხმობს ფინანსურ წახალისებას, მისი მიზანი მხოლოდ დაჯილდოებულთა რეპუტაციის მხარდაჭერაა. დაჯილდოება მოხდება ყოველწლიურად ევროკავშირში დაწესებული ორგანული პროდუქციის დღეს, 23 სექტემბერს.

## Horizon Europe (ჰორიზონტი ევროპა)

Horizon Europe არის ევროკავშირის კვლევებისა და ინიცირების პროგრამა. 2021–2027 წლებში მისი ბიუჯეტი 100 მილიარდი ევრო. პროგრამა მოიცავს 5 კლასტერს: სურსათი, ბიოეკონომიკა, ბუნებრივი რესურსები, სოფლის მეურნეობა და გარემოს დაცვა, რომელთაგან თითოეულზე გამოიყოფა 10 მილიარდი ევრო. Horizon Europe მხარს უჭერს ორგანულ სოფლის მეურნეობას და აგროეკოლოგიას.

ორგანული კვლევები მოცავს:

- სასოფლო-სამეურნეო კულტურების სელექციის სტიმულირებას ორგანული სოფლის მეურნეობისათვის;

- კვების პროდუქტების ეტიკეტირებაში ფალსიფიცირებისა და გაყალბების თავიდან აცილების ღონისძიებებს. აქცენტი კეთდება ორგანულ კვების პროდუქტებზე და მათ გეოგრაფიულ ადგილწარმოებაზე.

- ევროკავშირში ფერმერების მიზნის მიღწევის, კვლევის სცენარებს განეკუთვნება ორგანული მეურნეობის და აკვაკულტურის განვითარების სტიმულირება.

- ეკოსქემის ფარგლებში სუბსიდირება.

2021 წლის 23 ნოემბრიდან ევროკავშირის პარლამენტმა მხარი დაუჭირა საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის რეფორმას, რომელიც მოიცავს ფერმერთა შესაძლებლობას 2023 წლიდან დამატებითი ფინანსური მხარდაჭერის მიღებისა „ეკოსქემების“ დანერგვის ხარჯზე. ეკოსქემების საჩვენებელ მაგალითებს განეკუთვნება: ორგანული მიწათმოქმედება, აგრომეტყვეობა და ა.შ.

ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებს შეუძლიათ თავისუფლად შეიმუშავონ საკუთარი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის დამახასიათებელი თვისებების გათვალისწინებით საკუთარი ეკოსქემები. მაგალითად: საფრანგეთში მიმდინარეობს საზოგადოებრივი დისკუსია სუბსიდირების მაღალი განაკვეთების დაწესების შესახებ ორგანული სოფლის მეურნეობის პროექტისთვის.

### ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებულ შტატებში ორგანული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა შესაძლებელია დაიყოს რამდენიმე მიმართულებად:

1. სერტიფიცირებაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურება.

იმის გათვალისწინებით, რომ გაიზარდა ინტერესი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებისა ორგანული წარმოების მიმართ, მთავრობამ დაიწყო სერტიფიცირებაზე გადახდილი ხარჯების 75%-ის ანაზღაურება მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ არაუმეტეს 750 აშშ დოლარისა. ამჟამად სუბსიდირების ოდენობა შეიცვალა და იგი ერთი წლის განმავლობაში პროდუქციის სერტიფიცირებაზე 50%-ია და არ აღემატება 500 აშშ დოლარს.

2. განათლება და ტექნიკური დახმარება.

ორგანულ წარმოებაზე მოთხოვნის გაზრდასთან ერთად ნაციონალურმა ორგანულმა პროგრამამ (NOP) უზრუნველყო მსურველების უფასო სწავლება სასწავლო ცენტრებში.

აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბუნებრივი რესურსების დაცვის სამსახური (NRCS) უზრუნველყოფს სასწავლო ონლაინ სემინარების ჩატარებას ორგანული და მდგრადი სოფლის მეურნეობის შესახებ შემდეგ თემებზე:

- ორგანული მეურნეობების შეფასება ნიადაგის ფიზიკური და ქიმიური თვისებებით;
- კლიმატის ცვლილებები და ორგანული სოფლის მეურნეობა;

- მრავალწლიანი ნარგავების ორგანულ წარმოებაზე გადაყვანის პრაქტიკა;
- ორგანული სოფლის მეურნეობის ეკოლოგიური უპირატესობები – წყლის ხარისხი;
- ორგანული სოფლის მეურნეობის ეკოლოგიური უპირატესობები – ენერგია და კლიმატის ცვლილება;
- სასარგებლო მწერების გამოზრდა – დამტვერავეების, მტაცებლებისა და პარაზიტების მჭამელების.

### 3. გარემოს დაცვა.

NRCS ახორციელებს პროგრამას გარემოს ხარისხის გაუმჯობესების შესახებ (EQIP), რომლის ფარგლებშიც ფინანსური და ტექნიკური დახმარება გაეწევა ორგანული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებს. ეს დახმარება ძირითადად შეეხება წყლისა და ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას, ნიადაგის ეროზიის შეჩერებას და ა.შ.

მწარმოებლები თხოვნით მიმართავენ NRCS-ის ადგილობრივ ოფისს, ამის შემდეგ გარემოს დაცვის სპეციალისტი ეწვევა ფერმას და ახორციელებს ბუნებრივი რესურსის შეფასებას. შემდგომ NRCS სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებს წარუდგენს ბუნებრივი რესურსების დაცვის მეთოდებს.

### 4. კვლევითი პროექტები.

აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი აფართოებს მთელი ქვეყნის მასშტაბით უნივერსიტეტების საქმიანობას, რომლებიც ფლობენ მიწის ფონდებს. მათ შორის მხარს უჭერენ და ფინანსდება ორგანული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდაზე მიმართული კვლევები.

აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ეროვნული ინსტიტუტი ახორციელებს ორ პროგრამას და ერთ საგრანტო ინიციატივას, რომელიც უშუალოდ შეეხება ორგანულ სოფლის მეურნეობას.

მდგრადი სოფლის მეურნეობის კვლევისა და განათლების პროგრამა (SARE) საკონკურსო საფუძველზე გასცემს გრანტებს მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით. პროგრამა ახალისებს ექსპერიმენტებს ორგანული წარმოების კონკრეტულ ნაკვეთებზე. აშშ-ში პროგრამა SARE ფინანსდება 1988 წლიდან. მისი საშუალებით რეალიზებულია 8042 პროექტი ჯამში 345 მლნ. აშშ დოლარის მოცულობით.

ორგანული სოფლის მეურნეობის სფეროში კვლევისა და ცოდნის გავრცელების ინიციატივის პროგრამა (OREI), უზრუნველყოფს ორგანული სოფლის მეურნეობის წარმოების პრობლემების მოგვარებას კვლევებისა და ცოდნის გავრცელების საშუალებით.

ორგანულ წარმოებაზე გადასვლების პროგრამა (ORG) მიმართულია ორგანული მეცხოველეობისა და მემცენარეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისაკენ და ეხმარება მათ, ვინც ნერგავს ორგანულ მეთოდებს და ავრცელებს ცოდნას ფერმერებში მის შესახებ.

## იაპონია

იაპონიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გეგმა ითვალისწინებს ორგანული პროდუქციის მწარმოებელი ფერმერების რაოდენობის გასამმაგებას 2030 წლისათვის. ასევე გათვალისწინებულია ორგანული კვების პროდუქტების ბაზრის გაზრდა 2030 წლისათვის 3,0 მლრდ. აშშ დოლარამდე.

### ორგანული მიწათმოქმედების ცენტრები

სახელმწიფო მხარს უჭერს ადგილობრივ ფერმერულ ჯგუფებს ორგანული მიწათმოქმედების ცენტრების შესაქმნელად მთელი ქვეყნის მასშტაბით. ცენტრების ამოცანებს განეკუთვნება:

- ორგანული პროდუქციის მწარმოებელთა ქსელის შექმნა;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წინ წაწევა მომხმარებლებისათვის;
- სასწავლო ფერმების შექმნა ახალბედა ფერმერებისათვის. მაგალითად, ტიბოს პრეფექტურის ქალაქ ისუმის ცენტრში ახალბედა ფერმერებს ორგანულ წარმოებაში დასაქმებული გამოცდილი ფერმერები ეხმარებიან მომავალი საქმიანობის შესწავლაში. შექმნილია ორგანული ბრინჯისა და ბოსტნეულის სკოლებისათვის მიწოდების სისტემა.

#### **სერტიფიცირების მხარდაჭერა**

სახელმწიფო მხარს უჭერს ფერმერებს ორგანული იაპონური სერტიფიკატების (JAS) მიღებაში. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით ამ კუთხით გამოყოფილია 1,3 მლნ. აშშ. დოლარი.

#### **ორგანული პროდუქციის მწარმოებელთა პირდაპირი მხარდაჭერა**

მხარდაჭერა მოიცავს სასოფლო-სამეურნეო დამატებით სამუშაოებს, რომელთა საშუალებითაც ეფექტურად იმართება გლობალური დათბობა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია.

#### **მხარდაჭერის ბენეფიციარები**

ფერმერების მიერ ორგანიზებული ჯგუფები და ფერმერები, რომლებიც პასუხობენ გარკვეულ პირობებს; კომპენსაციის სიდიდე \_ 65 აშშ დოლარი 0,13ა-ზე.

მოთხოვნები ფერმებისათვის, რომლებიც სარგებლობენ მხარდაჭერით:

- კულტურების წარმოება გაყიდვის მიზნით;
- GAP-ის პრინციპების დანერგვა;

GAP-ი არის სოფლის მეურნეობისათვის სერტიფიკატების სისტემა სათანადო პროცედურების მითითებით, რომლებიც რეალიზებული უნდა იქნეს წარმოების პროცესში.

#### **ავსტრალია**

ავსტრალიაში ორგანული პროდუქციის წარმოება დღეისათვის შეადგენს 1,34 მლრდ აშშ. დოლარს ანუ ქვეყნის მთლიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ღირებულების 3%-ს. 2024-2025 წლებში გათვალისწინებულია ავსტრალიის ორგანული მიწათმოქმედების ინდუსტრიის შემოსავლების ზრდა 2,75 მლრდ. აშშ დოლარამდე.

ავსტრალიას გააჩნია ორგანულ წარმოებაში ჩართული მთელ მსოფლიოში ყველაზე დიდი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რომელთა დიდი ნაწილი მოდის სამოვრებზე. ავსტრალიელი მწარმოებლები აქტიურად არიან ჩართული პირუტყვისთვის საკვების დამზადებაში და ბოსტნეულისა და ხილის წარმოებაში.

ავსტრალიის მდგრადი სოფლის მეურნეობის ეროვნული ასოციაცია ფუნქციონირებს 1986 წლიდან და დაკავებულია საგანმანათლებლო საქმიანობით ორგანული სოფლის მეურნეობის სფეროში. ასოციაციის შვილობილი კომპანიები ახორციელებენ მწარმოებელთა სერტიფიცირებას.

#### **კონსულტაციები ორგანული პროდუქტების ბაზრის რეგულირებისათვის**

2022 წელის 18 მარტიდან ავსტრალიის სოფლის მეურნეობის, წყლის რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო ატარებს კონსულტაციებს, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა ორგანული პროდუქტების წარმოების სფეროში. აღნიშნულმა სამინისტრომ 2021 წლიდან დააფუძნა საკონსულტაციო ჯგუფი ორგანული მრეწველობის შესახებ, რომელშიც შედიან ფერმერთა ბაზრები, საცალო მოვაჭრენი, სერტიფიკაციის ორგანოები, მომხმარებლები, იმპორტიორები და ექსპორტიორები.

## ისრაელი

ორგანული სასოფლო-სამეურნეო წარმოება ისრაელში შეადგენს მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 1,5%-ს და მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის დაახლოებით 13%-ს. ისრაელის ტერიტორიაზე ორგანულ სასოფლო-სამეურნეო მიწებს უკავია 6037 ჰა, რომელზეც მოჰყავთ ნათესი კულტურები – 44%, ბოსტნეული – 9%, ხილი – 28% და სხვა კულტურები – 19%.

პროექტი - Wooli Attiz”.

პროექტი - Wooli Attiz” არის ბედუინთა თემის ნოვატორული ინიციატივა ნეგევის უდაბნოში, რომელიც მიმართულია ტიპური მდგრადი ფერმის შექმნაზე და გამოყენებულია ბედუინების ტრადიციული გამოცდილება. პროექტში ჩართულია ორგანული მიწათმოქმედების საწარმოები, რომლებიც დაკავებული არიან მეცხოველეობით, რძის პროდუქტების წარმოებით, სამკურნალო მცენარეების მოვლა-მოყვანით. პროექტის ფარგლებში საქმიანობას ეწევა საგანმანათლებლო ცენტრი. ის დიდ ყურადღებას უთმობს ეკოლოგიისა და ინოვაციების მდგრად განვითარებას. პროექტის რეალიზაციაში ჩართულია სახელმწიფო ორგანოები, სამეცნიერო ორგანიზაციები, კიბუცები და კერძო სექტორი.

### ორგანული პროდუქციის მწარმოებელთა რეესტრი

ისრაელის სოფლის მეურნეობის სამინისტრო აწარმოებს ორგანული პროექტის მწარმოებელთა რეესტრს და აქვეყნებს მონაცემებს ორგანულ სოფლის მეურნეობაში ლიცენზიის მქონე პირთა შესახებ.

### ისრაელის ბიოორგანული სოფლის მეურნეობის ასოციაცია (IBOAA)

ბიოორგანული სოფლის მეურნეობის ასოციაციის ძირითადი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება ისრაელის გარემოს დაცვა. ასოციაცია თავისი დაფუძნების დღიდან აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროექტებში.

### განათლება და პროფესიული მხარდაჭერა

IBOAA ისრაელის ერთადერთი ასოციაციაა, რომელიც იმ ფერმერებს, ვისაც ორგანულ მიწათმოქმედებაში საქმიანობის სურვილი აქვს, სთავაზობს სწავლებას და პროფესიულ დახმარებას. IBOAA დიდ ყურადღებას უთმობს სოციალურ პროექტებს, რომლებიც განკუთვნილია ადამიანებისათვის განსაკუთრებული მოთხოვნებით. IBOAA არის მსოფლიო ორგანული მოძრაობის IFOAM-ის დამფუძნებელი. ასოციაცია წარმოადგენს ისრაელის სახელმწიფოს საერთაშორისო გამოფენებზე. მან ისრაელის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა კანონი, რომელიც არეგულირებს ორგანულ სოფლის მეურნეობას ისრაელში.

## კანადა

კანადის ორგანული სავაჭრო ასოციაციის თანახმად (COTA), ორგანული სასურსათო პროდუქტების გაყიდვის მოცულობებმა 2020 წელს გადააჭარბა 6,5 მლრდ დოლარს, ხოლო მოთხოვნილება ორგანულ კვების პროდუქტებზე დაჩქარებულად იზრდება.

COTA-მ 2019 წლიდან დაიწყო ორგანული წარმოების მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც ძირითადად შეეხება მარცვლეულისა და მეცხოველეობის მწარმოებელ ფერმერებს. დახმარება გულისხმობს მათ მხარდაჭერას ორგანული წარმოების ტექნოლოგიაზე გადასვლით. პროექტის ფარგლებში ხდება დოკუმენტების გაფორმებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება 800 აშშ დოლარის ოდენობით. პროგრამის ამოქმედების საბოლოო მიზანს წარმოადგენს კანადაში სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ფერმერებისთვის სახელმწიფო დახმარების გაწევა ახალ ფორმატზე გადასასვლელად. 2022

წლის 1 მარტიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრო ყოველწლიურად 600 ათას აშშ დოლარს გამოყოფს COTA-სთვის.

ამ ინვესტიციების დახმარებით COTA-მ შეიმუშავა ოთხმილიონიანი საცალო ვაჭრობისა და საგანმანათლებლო ვებინარის პროგრამა, ამასთან ერთად COTA არეგულირებს საგანმანათლებლო ვებინარების ჩატარებას როგორც ვირტუალურად, ისე ონლაინ რეჟიმში, ახორციელებს ორგანული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებს ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში შემავალ ქვეყნებში (EAEC).

### **სომხეთი**

სომხეთის რესპუბლიკაში 2008 წლის 5 მაისიდან მოქმედებს კანონი №23-H „ორგანული სოფლის მეურნეობის შესახებ“. ამ კანონის მე-11 მუხლი \_ „ორგანული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა“ \_ ითვალისწინებს:

- ინოვაციების მხარდაჭერას და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას;
- ორგანული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპერტიზის მხარდაჭერის მიზნით ბიზნესფორუმების გამოყენებას ბაზრობების მოწყობის გზით;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინფრასტრუქტურის სრულყოფას;
- კადრების სწავლებასა და გადამზადებას;

2015 წლიდან სომხეთში მოქმედებს ევროკავშირის ორგანული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ღირებულებაც შეადგენს 3,3 მილიონ ევროს. 2019 წელს ამოქმედდა ევროკავშირისა და ავსტრიის სააგენტოს ერთობლივი პროექტი მწვანე სოფლის მეურნეობის შესახებ, რომლის მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 11,7 მილიონი ევრო. პროექტი დასრულდა 2023 წელს. პროექტის ფარგლებში ტექნიკური დახმარება გაეწია ფერმერებს ინკლუზიური მწვანე სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში, კერძოდ, მოეწყო სასოფლო-სამეურნეო დრონების მუშაობის დემონსტრირება დაინტერესებულ ფერმერთათვის. სომხეთში წარმოებული ორგანული პროდუქციის სერტიფიცირებას ახორციელებს კერძო სექტორი \_ შპს „ეკოგლობი“, რომელიც დაფუძნდა 2022 წელს. შპს „ეკოგლობის“ საქმიანობა აღიარებულია და მხარდაჭერილია ევროკავშირისა და შვეიცარიის (Swiss Organic Forming Oralinance) სერტიფიცირების სისტემის მიერ. შპს „ეკოგლობის“ სერტიფიკატი ასევე აღიარებულია აშშ-ში, კანადასა და ევროკავშირის ქვეყნებში.

### **ბელორუსი**

ორგანული წარმოების განვითარების ხელმძღვანელობის მიზნით ბელორუსის რესპუბლიკაში 2018 წლის 9 ნოემბერს მიიღეს კანონი „ორგანული პროდუქციის წარმოებისა და მიმოქცევის შესახებ“. აგრეთვე შეიმუშავეს ეროვნული გეგმა 2021-2025 წლებში „მწვანე“ ეკონომიკის განვითარების შესახებ, რომელშიც მოცემულია განყოფილება „წარმოების განვითარება და ორგანული პროდუქციის მიმოქცევა“. მასში ასახულია სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებები ორგანული წარმოების შემდგომი განვითარების მიზნით, რაც ითვალისწინებს ორგანული პროდუქციის წარმოების გაორმაგებას.

სოფლის მეურნეობის ორგანული პროდუქციის წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის გაწევის მიზნით ცვლილებები შევიდა ბელორუსის პრეზიდენტის 2014 წლის 17 ივლისის №347 ბრძანებულებაში „სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შესახებ“. კერძოდ, დაკონკრეტდა საერთო სახელმწიფო ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც დაფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე. ამ მიზნით 2021-2025 წლებში გათვალისწინებულია 867 ათასი აშშ დოლარის გამოყოფა.

ბელორუსში აქტიურად ვითარდება ორგანული სასუქების ახალი თაობის – მიკროსასუქების წარმოება მცენარეთა ფურცლოვანი კვებისათვის. დიდი ყურადღება ექცევა თესლის თესვისწინა დამუშავებას, მაკრობიოლოგიური თხევადი ჰუმუსიანი სასუქების წარმოებას.

ორგანული სოფლის მეურნეობის წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის საერთაშორისო გამოცდილების გაანალიზების საფუძველზე ნათლად იკვეთება მისი ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფოთა დიდი გამოცდილება, რომელიც საქართველომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს საკუთარი ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესში.

### **ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების თავისებურებანი და პერსპექტივები საქართველოში**

ორგანული სოფლის მეურნეობა საქართველოში სათავეს იღებს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც მევენახეთა ჯგუფმა 1994 წელს ჩამოაყალიბა ბიომეურნეთა ასოციაცია „ელკანა“ ორგანული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის. „ელკანას“ მუშაობამ ქვეყანაში გამოიღო ორი მნიშვნელოვანი შედეგი:

- მიიღეს კანონი ბიოლოგიური აგროწარმოების შესახებ;
- დაარსდა შპს „კავკასსერტი“, პირველი კომერციული ორგანიზაცია საქართველოში სერტიფიცირების უფლებამოსილებით.

ამჟამად საქართველოში ორგანული აგროწარმოების განხორციელებაზე პასუხისმგებელია: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ასევე მის დაქვემდებარებაში არსებული სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს როგორც არასამთავრობო, ისე კერძო სექტორთან. საქართველოში ფუნქციონირებს რამდენიმე ინსპექტირების ორგანო: შპს „კავკასსერტი“ და KIWA BCS-ი.

შპს „კავკასსერტი“ 2005 წელს დაფუძნდა და მისი ძირითადი ფუნქციაა ორგანული პროდუქციის წარმოების კონტროლი და სერტიფიცირება. იგი ორგანული პროდუქტების სერტიფიცირებას ახორციელებს ოთხ საკონტროლო სფეროში:

- დაუმუშავებული მცენარეული პროდუქტები შეგროვებული ველური მცენარეების ჩათვლით;
- ცოცხალი ცხოველები ან დაუმუშავებელი ცხოველური პროდუქტები თაფლის ჩათვლით;
- გადამუშავებული სოფლის მეურნეობის პროდუქტები (საკვები) ღვინის ჩათვლით;
- ვეგეტატიური გამრავლების მასალა და თესლი კულტურებისათვის.

2020 წლის ბოლოს შპს „კავკასსერტმა“ გაიარა აკრედიტაცია გერმანული ISO–17065 სტანდარტის მიხედვით, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას გასცეს ორგანული წარმოების სერტიფიკატები.

საქართველოში ბიომეურნეობის სერტიფიცირებას ახორციელებს კომპანია KIWA BCS-ი, რომლის სათავე ოფისი მდებარეობს ნიდერლანდებში. იგი ოპერირებს 35 ქვეყანაში და შედის ტესტირების, ინსპექციებისა და სერტიფიკაციების 20 წამყვან გლობალურ პროვაიდერში.

ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2005 წლის 25 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2007 წლის 1 მარტიდან და ძალაში იყო 2011 წლის 03 იანვრამდე. კანონი აწესებდა საქართველოში ბიოლოგიური მეურნეობის

მოწყობის, მართვის, ბიოპროდუქციის წარმოების, გადამუშავების, რეალიზაციისა და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. აღნიშნული კანონი სრულყოფილად ვერ პასუხობდა ევროკავშირის ბიოწარმოების მოთხოვნებს და საქართველოს მთავრობამ 2013 წელის 30 ივლისს გამოსცა დადგენილება №198 „ბიოწარმოების შესახებ“. დადგენილებით 2014 წლის 1 იანვრიდან ქვეყანაში ამოქმედდა „ბიოწარმოების შესახებ“ წესები, რომელიც განსაზღვრავს ბიომეურნეობის მართვას, ბიოპროდუქციის წარმოებას, გადამუშავებას, ნიშანდებას, ეტიკეტირებას, დისტრიბუციას, რეალიზაციას და ნებაყოფლობით სერტიფიცირების წესსა და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

„ბიოწარმოების შესახებ“ წესების მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, გარემოს დაცვას, ბუნებრივი რესურსების ეფექტურ გამოყენებას, მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, ბუნებრივი რესურსების ეფექტურ გაზრდას. დადგენილებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ბიოპროდუქციის ეტიკეტირება/ნიშანდებას. სურსათი და ცხოველის საკვები მიიჩნევა ბიოპროდუქტად, თუ მის ეტიკეტზე აღნიშნულია ტერმინი „ბიოლოგიური“, „ორგანული“, „ეკოლოგიური“, „ეკოლოგიურად სუფთა“ და მსგავსი სიტყვების ნებისმიერი კომბინაცია. აღნიშნული ტერმინების ეტიკეტზე დატანა დასაშვებია სურსათისა და ცხოველის იმ საკვებზე, რომელიც შეიცავს მხოლოდ ისეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ინგრედიენტებს, რომლებიც ასევე „ბიო“ წარმოშობისაა და აკმაყოფილებს წესების მე-12 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ეტიკეტზე და მის თანმხლებ დოკუმენტებში მითითებული უნდა იყოს მასერტიფიცირებული ორგანოს დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი და ლოგო.

კონვერსიის ანუ გარდამავალ პერიოდში წარმოებულ პროდუქტზე აუცილებლად უნდა იქნეს დატანილი ტერმინი „ბიოწარმოებაზე გადასვლა“. კონვერსიის პერიოდი დასაშვებია მხოლოდ მემცენარეობის პროდუქტებზე და ეს წესები მეურნეობაში დაცული უნდა იქნეს 12 თვის განმავლობაში.

„ბიოწარმოების შესახებ“ მიღებული წესების თანახმად ხორციელდება ბიომეურნეობის სერტიფიცირება, რომელიც ნებაყოფლობითია და ხორციელდება მწარმოებლის ინიციატივით. სერტიფიკატის მიღებისათვის მეურნეობამ უნდა გაიაროს ინსპექტირება. ინსპექტირებას ექვემდებარება ბიოპროდუქტების წარმოება, დამზადება, დასაწყობება და რეალიზაცია. სერტიფიკაციას ახორციელებს აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანო. სასოფლო-სამეურნეო ბიოწარმოების სერტიფიცირება იწყება ნიადაგის, მათ შორის მინდვრისა და სამოვრების ინსპექტირებით. სერტიფიკაციის დადასტურება სავალდებულოა მოხდეს ყოველწლიურად.

მეურნეობისათვის სერტიფიკატის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს:

- ბიოწარმოების შესახებ წესებით განსაზღვრული ჩანაწერებისა და დოკუმენტების გაყალბება;

- ინსპექტირებისას აღნიშნულ წესებთან გამოვლენილი შეუსაბამობა.

ქვეყანაში ბიოწარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული და დამტკიცებულია ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 ივლისის №358 დადგენილება). პროგრამის ამოცანაა ბიოწარმოების მსურველი ბენეფიციარების ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამის განხორციელება დაევალოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს.

პროგრამა მოიცავს კონვერსიის პერიოდში გაწეულ შემდეგი მიზნობრიობების ანაზღაურებას: ა) ბიოწარმოების სერტიფიცირება; ბ) საკონსულტაციო მომსახურება; გ)



ორგანულ მეურნეობაში დაშვებული ორგანული სასუქების და მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ გამოყენებული პრეპარატების შეძენა; დ) ფუტკრის სამკურნალო ბიოპრეპარატებისა და ბიოფიჭის შეძენა; ე) თაფლისა და ცვილის ლაბორატორიული ანალიზის მომსახურება.

მაგალითად, ბენეფიციარისათვის ბიოწარმოების სერტიფიცირებისათვის და საკონსულტაციო მომსახურებისათვის, ასევე თაფლისა და ცვილის ლაბორატორიული ანალიზისათვის კონვერსიის პერიოდში ერთ ბენეფიციარზე სააგენტოს მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება შეადგენს 70%-ს, არაუმეტეს 7000 ლარისა. ბენეფიციარს თანამონაწილეობის წყაროს (დონორის) არსებობის შემთხვევაში ხარჯები უფინანსდება 40%-ით, არაუმეტეს 4000 ლარისა. კონვერსიის პერიოდში მევენახეობისა და საფუტკრე მეურნეობის შემთხვევაში, ერთი ბენეფიციარისათვის ორგანულ მეურნეობაში დაშვებული ორგანული სასუქისა და მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ გამოსაყენებელი ბიოპრეპარატების შეძენის ხარჯი ან ფუტკრის პრეპარატებისა და ბიოფიჭის შესაძენად გაწეული ხარჯი ანაზღაურდება სააგენტოს მიერ შემდეგი პირობებით:

- მევენახეობის შემთხვევაში 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით განისაზღვრება 70%-ით, არაუმეტეს 5100 ლარის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარს ჰყავს თანადაფინანსებელი (დონორი), ორგანიზაცია ხარჯების ანაზღაურებას განსაზღვრავს 40%-ით, არაუმეტეს 2900 ლარისა.

- საფუტკრე მეურნეობის შემთხვევაში თანადაფინანსება ბიოპროდუქტებისა და ბიოფიჭის შესაძენად განისაზღვრება 70%-ით, არაუმეტეს 5100 ლარისა. ბენეფიციარის თანადაფინანსებას (დონორი) ორგანიზაციის ყოლის შემთხვევაში ხარჯები ფინანსდება 40%-ით, არაუმეტეს 2900 ლარისა.

პროგრამით გათვალისწინებული თანადაფინანსების მისაღებად ბენეფიციარები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- პოტენციური ბენეფიციარი უნდა იყოს დაინტერესებული ბიოწარმოების დაწყებით ან იმყოფებოდეს კონვერსიის პერიოდში;
- ბენეფიციარის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი განახცადი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით განსაზღვრულ მიზნობრიობებს;
- ბენეფიციარი რეგისტრირებული უნდა იყოს სააგენტოს მიერ წარმოებულ ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის მიერ წარმოებულ რეესტრში.

პროგრამის გავრცელების არეალს წარმოადგენს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქი.

საქართველოში ბიოლოგიური წარმოების განვითარების, ხელშეწყობისა და დაჩქარების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ 2023 წლის 11 აპრილს მიღებული №149 დადგენილება. ამ დადგენილებით განისაზღვრა ტექნიკური რეგლამენტი ორგანული (ბიოლოგიური, ეკოლოგიური) პროდუქციის ეტიკეტირების შესახებ. ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს ორგანული წარმოების პრინციპებს, ადგენს ორგანულ წარმოებასთან, სერტიფიცირებასთან, ეტიკეტირებასა და რეკლამირებასთან, ორგანული წარმოებისა და ორგანული პროდუქტების კონტროლთან დაკავშირებულ წესებს. ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ცოცხალი და გადაუმუშავებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, მათ შორის თესლისა და მცენარის სხვა რეპროდუქციული მასალის, გადამუშავებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, რომელიც მოიხმარება როგორც სურსათი და ცხოველის საკვები, სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ

სურსათის ეროვნული სააგენტო ამ ტექნიკური რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, მათ შორის აკვაკულტურის, მეფუტკრეობის და ამ პროდუქტებისაგან წარმოებულ პროდუქტებზე, რომლებშიც ისინი გამოიყენება; ასევე ცოცხალ, გადაუმუშავებელ (მათ შორისაა თესლი და მცენარის სხვა რეპროდუქციული მასალა) ან გადამამუშავებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, რომლებიც მოიხმარება როგორც სურსათი და ცხოველთა საკვები.

ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება ასევე იმ სხვა პროდუქტებზე, რომლებიც კავშირშია სოფლის მეურნეობასთან იმ შემთხვევაში, თუ ეს პროდუქტი მზადდება, ეტიკეტირებულია ან ექვემდებარება დისტრიბუციას, განთავსებულია ბაზარზე, იმპორტირებულია ან ექსპორტირებულია როგორც ორგანული პროდუქტი. მათ განეკუთვნება: სურსათსა და ცხოველის საკვებში გამოყენებული საფუარები, მატე (პარაგვაული ჩაის გამხმარი ფოთლები), სიმინდის შაქარი, ვაზის ფოთლები, პალმის გული, მცენარის საჭმელად ვარგისი სხვა ნაწილები და მათგან წარმოებული პროდუქტები; სურსათისა და ცხოველთა საკვებისათვის განკუთვნილი ზღვის მარილი და სხვა მარილები; ამოსახვევად განკუთვნილი აბრეშუმის ჭიის პარკი; ბუნებრივი ფისები და გუმიფისები; ფუტკრის ცვილი; ეთერზეთები; ბუნებრივი კორპის საცობები, აგლომერაციის გარშე, რომლებიც არ შეიცავენ შემაკავშირებელ ნივთიერებებს; ბამბა – გაჩეჩილი, გაუპენტავი; მატყლი – გაუჩეჩავი, გაუპენტავი; პირველადი დამამუშავების ნედლი ტყავი და დაუმამუშავებელი ბეწვი; მცენარეული წარმოშობის ტრადიციული ბალახეული პრეპარატები.

ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საზოგადოებრივი კვების ობიექტების მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე, ასევე პირადი და საოჯახო წარმოებისათვის განკუთვნილ ორგანული პროდუქტების წარმოებაზე.

დაუშვებელია ორგანული წარმოების ნიშანდების (ლოგოს) გამოყენება საზოგადოებრივი კვების ობიექტებში დამზადებული პროდუქტების ეტიკეტირების, წარდგენისა და რეკლამისას, ხოლო ორგანული პროდუქტი, რომელზეც ვრცელდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები, უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკური რეგლამენტის „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ აღნიშნულ კოდექსს, ასევე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილებით და საქართველოს სხვა კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს.

ტექნიკური რეგლამენტის XVI თავი ეხება სახელმწიფო კონტროლს და სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებულ ქმედებებს. ტექნიკური რეგლამენტით სახელმწიფო კონტროლს განახორციელებს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო. ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე. მაკონტროლებელი ორგანოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პერსონალი, რომელიც სახელმწიფო კონტროლს და სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებულ პროცედურებს შეარულებს ეფექტურად.

ტექნიკური რეგლამენტის თანახმად კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია სახელმწიფო კონტროლისა და სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანების

დელეგირება მოახდინოს შესაბამის მაკონტროლებელ ორგანოზე. დადგენილებით განსაზღვრულია ტექნიკური რეგლამენტი – ორგანული (ბიოლოგიური, ეკოლოგიური) წარმოებს წესებისა და ორგანული (ბიოლოგიური, ეკოლოგიური) პროდუქტების ეტიკეტირების შესახებ. ამოქმედების ვადად განსაზღვრულია 2027 წლის 1 იანვარი. ამ პერიოდმდე ქვეყანაში მოქმედებს მთავრობის №198 დადგენილებით განსაზღვრული „ბიოწარმოების შესახებ“ წესები.

საქართველოში მთავრობის მიერ მიღებული ბიოწარმოების ტექნიკური რეგლამენტის მიუხედავად, ჯერჯერობით არ გვაქვს სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და მეწარმეებმა ბიოწარმოების დაწყების მიზნით უნდა მიმართონ კერძო სტანდარტის გამოყენებას. დღეისათვის საქართველოში მოქმედებს ბიოპროდუქტების წარმოების, გადამამუშავების, ნიშნდებისა და გასაღების სტანდარტი, რომელიც არის „გრინ კავკაზუსის“ ინტელექტუალური საკუთრება და ბიოსერტიფიცირებისათვის იყენებენ შპს „კავკასსერტი“ და შპს „ეკოგლობი“.

საქართველოში ამ სტანდარტის გამოყენებით ფასდება ევროკავშირის ორგანული სოფლის მეურნეობის კანონმდებლობასთან ეკვივალენტობა და ევროკავშირის ორგანული სოფლის მეურნეობის კანონმდებლობაში შესული ცვლილებების ასახვისათვის ამ სტანდარტის განახლება რეგულარულად მიმდინარეობს.

„გრინ კავკაზუსის“ წინამდებარე ვერსიას საფუძვლად უდევს:

- ევროგაერთიანების რეგულაციის (EEC) № 834/2007, 889/2008 და 1235/2008 დოკუმენტაცია,

რომელიც ძალაში შევიდა 2009 წლის 1 იანვრიდან;

- კოდექსი ალიმენტარიუსის სახელმძღვანელო ბიოპროდუქტების წარმოების, გადამამუშავების, ნიშნდებისა და მარკეტინგის შესახებ;

- IFOAM-ის (ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაცია) ძირითადი სტანდარტები ბიოაგროწარმოებისა და გადამამუშავებისათვის.

ბიოსტანდარტი არ ზღუდავს მწარმოებლებს იმისგან, რომ ბიოწარმოების სისტემის მართვაში გამოიყენონ საერთაშორისო სტანდარტები, როგორცაა: GAP, GMP, HACCP, ISO 9001, SQF 2000 (უსაფრთხო ხარისხის საკვები) და ISO14001 (გარემოსდაცვის მართვის სისტემები) მოცემული დაგეგმვის, შემოწმებისა და შეფასების სქემები.

„გრინ კავკაზუსის“ სტანდარტი წარმოადგენს იმ სერტიფიცირების ორგანოების ექსკლუზიურ საკუთრებას, რომლებიც მუშაობენ ამ სისტემის შესაბამისად. საქართველოში მოქმედი ფერმერებიდან, რომლებსაც სურვილი აქვთ აწარმოონ ბიოპროდუქცია, სერტიფიცირება უნდა განახორციელონ „გრინ კავკაზუსის“ სავაჭრო ნიშნის გამოყენებით. ამ დროს სერტიფიცირების ჩამტარებელი ორგანიზაცია უზრუნველყოფს შეტყობინებას ქვეყნის შესაბამის ორგანოს, ასევე ევროკავშირის შესაბამის ორგანოს და აკრედიტაციის ორგანოს.

„გრინ კავკაზუსის“ სტანდარტი განსაზღვრავს ბიოწარმოების პრინციპებს მეურნეობის, გადამამუშავებელი საწარმოს, დასაწყობების, ტრანსპორტირების, ნიშნდებისა და გასაღების ეტაპზე, ასევე გვთავაზობს იმ საშუალებების სიას, რომელთა გამოყენება ნებადართულია ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, ფიზიკური თვისებების გაუმჯობესებისათვის, მცენარეთა დაცვისათვის, დაშვებული საკვები დანამატებისა და გადამამუშავების დამხმარე საშუალებებისთვის.

ნიშნდებისას მითითება ბიოპროდუქციაზე შუძლიათ მხოლოდ იმ მწარმოებლებს, რომლებიც იმყოფებიან სერტიფიცირების ორგანოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ.

„გრინ კავკაზუსის“ სტანდარტი მოცავს ბიოწარმოებას, გადამუშავებას და გასაღების წესებს, რათა შენარჩუნდეს ბიოწარმოების პროცესის ერთიანობა. „გრინ კავკაზუსი“ ატარებს როგორც საინსპექციო, ასევე სასერტიფიკაციო სამუშაოებს. ორგანიზაციაში მკვეთრად არის გამიჯნული საინსპექციო და სასერტიფიკაციო ქმედებები.

„გრინ კავკაზუსი“ თავის საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს შემდეგი სავალდებულო კრიტერიუმებით:

- მომხმარებელთა დაცვა ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან;
- ბიოპროდუქციის მწარმოებლების დაცვა ფალსიფიკატორებისაგან;
- ბიოპროდუქციის წარმოების ყველა სტადიის (წარმოების, გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და გასაღების პროცესის) წინამდებარე სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

- ბიოპროდუქციის წარმოების, სერტიფიცირების, იდენტიფიცირების და ნიშნდების პირობების ჰარმონიზება „გრინ კავკაზუსის“ სამარკო ნიშნთან.

პროდუქციის სერტიფიცირების განუყოფელი ნაწილი არის ბიოწარმოების მარკის სისტემის ინსპექტირება. საწარმოს სერტიფიცირების პროცესები, უპირველეს ყოვლისა, დაფუძნებულია მეწარმის მიერ აღწერილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს წლიურ ციკლზე, რომელიც მომზადებულია სერტიფიცირების ორგანოსთან მისი თანამშრომლებით.

გადამუშავებაში სტანდარტი ისეა შემუშავებული, რომ შესაძლებელი გახდეს წარმოების პროცესის ინსპექტირება. იმ შემთხვევაში თუ ინსპექტირებას ატარებს სერტიფიცირების ორგანო, მაშინ ინსპექტირებასა და სერტიფიცირების ფუნქციები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს. სერტიფიცირების ორგანოს მომსახურება რომ ეფექტიანი იყოს, ამ უკანასკნელს არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი მეწარმესთან.

„გრინ კავკაზუსის“ სტანდარტის განახლება ხდება ყოველწლიურად საერთაშორისო კანონმდებლობასა და სტანდარტირებაში (როგორცაა ევრორეგულაცია (EEC), Regulation 834/2007, 889/2008 და /235/ Codex Alimentarius და სხვა) შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, რომელიც აისახება მიღებულ სტანდარტში. სტანდარტში შეტანილი ცვლილებების შესახებ „გრინ კავკაზუსის“ სერტიფიცირების ორგანოები ატყობინებენ ამის შესახებ მეწარმეებს და სტანდარტის ბოლო ვერსია ქვეყნდება მასერტიფიცირებელი ორგანოს ვებგვერდზე.

უკანასკნელ პერიოდში მთელი მსოფლიო აცნობიერებს ორგანული პროდუქტების სარგებლიანობას, რის გამოც სწრაფად იზრდება მოთხოვნა ორგანულ პროდუქტებზე. საქართველოს მოსახლეობის სულ უფრო დიდი ნაწილი აცნობიერებს ქიმიური ნივთიერებების გარეშე მოყვანილი პროდუქტების სიკეთეს.

საქართველოში ორგანული წარმოების სერტიფიკატს გასცემს „კავკასსერტი“. მისი სერტიფიკატი სამართლებრივად აღიარებულია საქართველოში, ევროკავშირის ქვეყნებსა და შვეიცარიაში.

The Business Research Company-ის კვლევის თანახმად ორგანული პროდუქციის ბაზრის მოცულობა 2023 წელს 245 მილიარდი აშშ დოლარიდან 2024 წელს 280 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს, ანუ ზრდის წლიური მაჩვენებელი 14%-ს გაუთანაბრდება და 2028 წლისთვის ეს მაჩვენებელი 480 მილიარდი აშშ დოლარი გახდება.

ქვეყანაში ორგანულ პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდა განაპირობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებამ. საქართველოში ორგანულ პროდუქტებს შორის მოთხოვნადია „ლურპაკის“ კარაქი, რომელიც ქსელურ მარკეტებშია ხელმისაწვდომი ქვეყნის მასშტაბით. დანიური ბრენდი „ლურპაკი“ ხარისხის უმაღლეს სტანდარტებს აკმაყოფილებს. კარაქის

წარმოების პროცესში იკრძალება ჰორმონებისა და ანტიბიოტიკების მიცემა ძროხებისათვის. „ლურპაკის“ კარაქი მცირე ორგანულ ფერმებში იწარმოება, სადაც არანაირი ქიმიური დანამატი არ ხვდება ძროხის საკვებში. ნიადაგი, რომელიც გამოიყენება საკვების მოსაყვანად, არ მუშავდება სასუქით, გამოიყენება მხოლოდ ბუნებრივი გასანოყიერებელი საშუალებები. ფერმის მდებარეობა ისეა შერჩეული, რომ ახლომდებარე ტერიტორიაზე არ იმყოფება ინდუსტრიული ზონა.

2019 წლისათვის საქართველოში 40-მდე კომპანია აწარმოებდა ბიოპროდუქტს. საუბარია ოფიციალურად სერტიფიცირებულ კომპანიებზე, რომლებსაც გავლილი აქვთ ყველა საჭირო პროცედურა და ფლობენ შესაბამის სერტიფიკატს.

ამ კომპანიებიდან 20 რეგისტრირებულია კახეთის რეგიონში, 4 – რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, 3 – იმერეთის რეგიონში, 1 – სამეგრელო-ზემო სვანეთში, 1 – აჭარის რეგიონში, 1 – გურიაში, 1 – შიდა ქართლში, 1 – ქვემო ქართლში, 6 – მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, 1 – სამცხე ჯავახეთში და 1 – თბილისში.

რაც შეეხება კომპანიებს პროდუქციის სახეების მიხედვით, ნაწილდება შემდეგნაირად:

20 კომპანია აწარმოებს ბიოღვინოს; 2 კომპანია – ეთერზეთებს; 14 კომპანია ეწევა ველური მცენარეების პროდუქტების შეგროვება/რეალიზაციას; 1 კომპანია აწარმოებს ორგანულ მარცვლეულს; 1 კომპანია – ორგანულ თხილს; 1 კომპანია – ორგანულ ჩაის; 1 კომპანია – ორგანულ კენკროვან ხილს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2019 წლისათვის ქვეყანაში 35-40 კომპანია არის კონვერსიის რეჟიმში, რომლებიც უახლოეს 1-2 წელიწადში იქნებიან ბიოსერტიფიკაციის მფლობელები.

„კავკასსერტის“ მონაცემებით, 2023 წელს საქართველოში ბიოპროდუქციას აწარმოებდა 150 კომპანია, ხოლო 90 მეურნეობა კონვერსიულ რეჟიმში იმყოფება და სერტიფიკატის ასაღებად ემზადება. საქართველოში დაახლოებით 1000-1500 ფერმერია ბიომიმართულების მიმდევარი, რომლებსაც არ გააჩნიათ ბიოწარმოების სერტიფიკატი და მათ მიერ წარმოებული პროდუქცია იყიდება ბაზარზე როგორც ბიოპროდუქტი.

გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციას (UNIDO) საქართველოში შემოაქვს ევროკავშირის „ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისათვის“ (SMGP) ინიციატივა, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის „ევროკავშირი გარემოსათვის“ ფარგლებში. პროგრამის მიზანია მწვანე და ცირკულარული ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერა საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორების ქვეყნებში.

ქართული კომპანიები, რომლებსაც სურთ, რომ თავიანთი პროდუქცია გაყიდონ როგორც ეკოპროდუქცია, აწყდებიან სირთულეებს, რადგან არ არსებობს მეთოდოლოგიისა და პროცედურების ერთიანი სისტემა.

2013-2018 წლებში ევროკომისიამ მხარი დაუჭერა ინიციატივას „ერთიანი მწვანე ბაზარი პროდუქციისათვის“. ამ ინიციატივის ფარგლებში 280-ზე მეტმა მოხალისე კომპანიამ მიიღო ინფორმაცია, თუ რა მოთხოვნების დაკმაყოფილებაა საჭირო გარემოს დაცვითი კვალის, კერძოდ, „პროდუქციის გარემოს დაცვითი კვალის“ (PEF) გამოსავლენად. PEF-ის მეთოდოლოგია კომპანიებს საშუალებას აძლევს გააუმჯობესონ მიწოდების ჯაჭვის მდგრადობა. PEF-ის კვლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ყველაზე დიდი ზემოქმედების მქონე ინგრედიენტებზე, გადამამუშავებისა და პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ეტაპებზე.

დღეისათვის საქართველოში სერტიფიკატების საკითხი რეგულირდება მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №198 დადგენილებით „ბიოწარმოების შესახებ“. ამ დადგენილების

თანახმად შესაბამის სერტიფიკატს გასცემს მხოლოდ ეროვნული ან საერთაშორისო აკრედიტაციის ორგანოს მიერ აკრედიტირებული სერტიფიკატების ორგანო. საქართველოში ამ ფუნქციას ასრულებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან არსებული სსიპ \_ „აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი“.

მწვანე პროდუქტების წახალისების სფეროში დაინტერესებული მხარეების ეკოსისტემა მოიცავს სახელმწიფო უწყებებს, ექსპერტულ ინსტიტუტებს, ექსპორტზე ორიენტირებულ მწარმოებლებს, ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქტების პოპულარიზაცია დინამიკური სამუშაოა. PEF-ის მეთოდების დანერგვა ქართველ მწარმოებლებს ხელს შეუწყობს საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდაში ეკოპროდუქტების მზარდ ბაზარზე.

საქართველოს მაღალთმიან რეგიონში ბიოპროდუქციის წარმოებას აქტიურად უჭერს მხარს ევროკავშირი, ავსტრია და შვედეთი. პროექტ „Greta“-ს ფარგლებში დაფინანსდა ბიოლოგიურად სუფთა ღვინის წარმოება, კერძოდ, ი.მ. „შორენა პატრიძე“, მცირე მეწარმე „ხომლის მარანი“. აღნიშნულ საწარმოს ბრიტანეთის ბაზარზე უსახელოურის ბიოღვინო გააქვს ექსპორტზე. ამ პროექტის ფარგლებში დაფინანსდა რაჭაში ზურაბ მისისაშვილის „ღვინუკა“, რომელსაც ბიოღვინო ევროპის ბაზარზე გააქვს.

საქართველოში ბიოპროდუქტის ძირითადი მომხმარებლები თავმოყრილი არიან სამ ქალაქში: თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. ბიოაგროსაწარმოებში წარმოებული პროდუქციის უმრავლესობა პირდაპირ შედის ბაზარზე სერტიფიცირებისა და ევროპული ბიოსტანდარტის მიღების გარეშე. აღნიშნული ასევე ეხება ასოციაცია „ელკანას“ და SEMA-ს წევრ ფერმერებს. სუფთა ნატურალური საკვების მაღაზიები, რომლებიც გერმანიაშია წარმოდგენილი, საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს. სუპერმარკეტებში კი ძირითადად იმპორტირებული ორგანული პროდუქტები გვხვდება. მაგალითად, SPAR-ის სავაჭრო ქსელში ძირითადად Edeka Bio ბრენდის ასორტიმენტი გვხვდება, გუდვილისა და კარფურის მარკეტებში განლაგებულია თაროები ორგანული პროდუქტებისათვის. პირველი „აგროჰაბის“ სუპერმარკეტი თბილისში 2016 წელს გაიხსნა, სადაც მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს ადგილობრივი წარმოების ახალი, ორგანული და ჯანსაღი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ბიოპროდუქტის წარმოების საუკეთესო მაგალითია ქართულ-გერმანული ჩირების მწარმოებელი კომპანია „კავკასუს ორგანიკ ფრუტს“, რომელიც 22 დასახელების გამშრალ ხილს ყიდის გერმანიასა და შრილანკაში. საწარმო მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელში და ყოველთვიურად 10-15 ტონა ჩირს აგზავნის ექსპორტზე. მათგან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ფეიხოა, კივი, ატამი, ქლიავი და ხურმა. კომპანია ფლობს „კავკასუსერტის“ ბიოსერტიფიკატს და სამომავლოდ აპირებს იმ სოფლების ბიოსერტიფიცირებას, საიდანაც ნედლეული შემოაქვს. ასევე კომპანია პარალელურად მუშაობს ტყის ხილზე (პანტა, მაჟალო, ბია და ა.შ.). საწარმო სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოს თანადაფინანსების პროექტის“ ფარგლებში დაფინანსდა და მის აშენებასა და აღჭურვაზე ჯამში 2 მილიონ დოლარამდე დაიხარჯა. საიდანაც 15% იყო გრანტი, 25% \_ შეღავათიანი აგროკრედიტი, ხოლო 60% \_ კომპანიის ინვესტიცია.

საქართველოს დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს ევროკავშირის 16-მილიარდიანი კოსმეტიკური ბაზარი. გლობალური მოთხოვნა ორგანულ კოსმეტიკაზე თანდათან იზრდება. ეს ტენდენცია აჩენს დიდ პერსპექტივებს საქართველოს ორგანული ბაზრისთვის. ქვეყანაში ეთერზეთებისა და კოსმეტიკური საშუალებების წარმოება ერთ-ერთ წარმატებულ

საქმიანობას წარმოადგენს. კერძოდ, ბაბუშერაში ეთერზეთების საწარმო 1932 წელს გაიხსნა და მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე ფუნქციონირებდა. ქარხანაში ძირითადად მანდარინისა და ციტრუსების ზეთებს ამზადებდნენ. ქართული ეთერზეთების პროდუქცია უჟანგავი ქილებით იგზავნებოდა ლენინგრადში, იქიდან კი – საფრანგეთში, ინგლისსა და გერმანიაში. დღეისათვის ევროპული კოსმეტიკური ბაზრით დაინტერესდა „აგროარომაჯგუფი“, რომელმაც პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში მოიპოვა დაფინანსება. თავდაპირველად ისინი ქინძის ეთერზეთს აწარმოებდნენ, სამომავლოდ კი გეგმავენ ყველა მცენარის ეთერზეთის წარმოების დაწყებას.

საქართველოში წარმოებული ორგანული პროდუქტებიდან დიდი საექსპორტო პოტენციალი გააჩნია ხმელ ხილს (ჩირს), ლურჯ მოცვს, კივს, ბროწეულს, კურკოვან კულტურებს, ვარდის ზეთს, დაფნას, სტაფილოს თესლის ზეთს, თხილს, ნუშსა და კაკალს, ჩაის, მწვანე ხილს, მატყლსა და თაფლს.

**ბიოპროდუქტების ბაზრის SWOT ანალიზი საქართველოში**

<b>ძლიერი მხარეები:</b>	<b>სუსტი მხარეები:</b>
ქართული სასურსათო პროდუქციის კარგი რეპურაცია	დაბალი მსყიდველობითუნარიანობა
ბიოპროდუქტისა და ტურიზმის დაკავშირება	გაუმართავი ინფრასტრუქტურა
ხილის, ბოსტნეულის ფართო ასორტიმენტი	ექსპორტისათვის საჭირო პროდუქტის სიმცირე
	კვალიფიციური კადრების სიმცირე
	კომპანიების ბიოსერტიფიკატების სიმცირე
<b>შესაძლებლობები:</b>	<b>რისკები:</b>
გაყიდვების დიდი ბაზარი	მოთხოვნები ნოუ-ჰაუს მიმართ
თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენება	დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების მდგრადობა
სუპერმარკეტებში ორგანული პროდუქტების თაროების განთავსება	ევროპული მაღალი ხარისხის სტანდარტები, რომელთა დაკმაყოფილება რთულია
ბიოპროდუქტების ონლაინ გაყიდვები	

**ლურჯი მოცვი**

ლურჯი მოცვის კომერციალიზაცია საქართველოში უკანასკნელ პერიოდში დაიწყო, მაგრამ ევროკავშირში მასზე მოთხოვნილება დიდია და მისი საექსპორტო მაჩვენებლები წლითიწლოებით იზრდება. 2023 წელს მოცვის მოსავალმა 4 000 ტონა შეადგინა, ხოლო 2027 წლისთვის გათვალისწინებულია მისი ზრდა 25000 ტონამდე. მოცვის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა 2023 წელს 18,5 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. ქართულ ლურჯ მოცვს ევროკავშირის ბაზარზე კონკურენტული უპირატესობაც გააჩნია, კერძოდ, ის მწიფდება რამდენიმე კვირით ადრე, ვიდრე ევროკავშირის მთავარ მწარმოებელ ქვეყნებში: პოლონეთში, ნიდერლანდებსა და ესპანეთში. ქართველ ფერმერებს შეუძლიათ მაისის ბოლოს საკუთარი პროდუქცია ევროპულ მომხმარებლებს შესთავაზონ. ამ დროს ევროპაში კენკროვანი კულტურების კრეფის სეზონი ჯერ კიდევ არ არის დაწყებული.

საქართველოში ლურჯი მოცვის ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელია „ვანრიკ აგრო გრუპი“, რომელსაც „გლობალ გეპის“ სერტიფიკატი გააჩნია. ევროპაში პარტნიორებს ეძებს შპს ვარციხის პლანტაციებიც, რომელსაც ბაღდადის რაიონში 12 ჰა-ზე მოცვისა და ჟოლოს პლანტაციები აქვს გაშენებული.

ამჟამად აღნიშნული პროდუქტის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენს ის, რომ ლურჯი მოცვის კომერციული კულტივაცია დაბალ დონეზეა, ნედლეულის ხარისხი კვლავ პრობლემატურ საკითხად რჩება. ნედლეულის მნიშვნელოვანი ნაწილი ტყეში შეგროვებული მოცვია. მეწარმეებს საერთაშორისო ბაზრებისა და ნიშური სეგმენტების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ, რითაც სარგებლობენ საერთაშორისო შუამავალი კომპანიები, დაბალ ფასს სთავაზობენ ქართველ მწარმოებლებს და შემდეგ ქართულ პროდუქტს ევროკავშირის ბაზრებზე ძვირად ყიდიან.

### **ბიოკვივი**

ახალი ზელანდიელების მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, კივის მოსაყვანად ყველაზე კარგი კლიმატი ახალი ზელანდიის შემდეგ საქართველოში, კერძოდ, ფოთი-ზუგდიდი-გალი-ოჩამჩირის ტერიტორიაზეა. ქართული კივის ერთ-ერთი უპირატესობა მაღალი შაქრიანობაა. იტალიური კივის შაქრიანობის მაჩვენებელია 13,9 %, ქართული კივის სიტკბოს შემცველობა კი 17,3%-ს შეადგენს.

ამჟამად კომპანია “ნერგეტა” ერთადერთია, რომელიც ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში მოწეულ კივის ევროკავშირში ყიდის. „ნერგეტას“ კივი უკვე მეორე წელია გერმანიაში Lidl-ის სუპერმარკეტებში – ბავარიაში, მიუნხენში, შტუტგარტში, დიუსელდორფში, დორტმუნდსა და სხვა ახლომდებარე ქალაქებში ბერძნული და იტალიური კივის გვერდით იკავებს ადგილს. კომპანიას გააჩნია „გლობალ გეპის“ სერტიფიკატი.

ბიოკვივის მოვლა-მოყვანაში სერიოზული პრობლემა უჩნდებათ მცირე მეწარმეებს, ისინი მცირე წარმოების გამო საკუთარი პროდუქტით კონტეინერს ვერ ავსებენ, სხვა კლიენტის ლოდინს დიდი დრო მიაქვს და პროდუქცია უხარისხო ხდება, საჭირო ტრანსპორტი პროდუქციას ძალიან აძვირებს და სექტიფიკატის მოპოვებაც მცირე მეწარმეებს ძვირი უჯდებათ.

### **ვარდის ზეთი**

ევროპაში 1კგ ბიოლოგიურად სუფთა ვარდის ზეთის ღირებულება, ადგილწარმოშობის მიხედვით, 7000-10000 აშშ.დოლარს აღწევს. ვარდის ათასობით სახეობიდან კომერციულად ღირებული მხოლოდ სამი ჯიშის ვარდია: *Rosa damascena* (დამასკოს ვარდი) , *Rosa centifolia* და *Rosa gallica* (მაისის ვარდი). „დამასკოს ვარდის“ კულტივაციას ბულგარეთსა და თურქეთში მისდევენ, „გალიკას“ კი – მაროკოში, ეგვიპტეში, ინდოეთსა და მცირე რაოდენობით – საფრანგეთში. თუმცა მსოფლიო ბაზარს, თითქმის 100%-ით, ორი ტრადიციული მწარმოებელი - ბულგარეთი (40%) და თურქეთი (60%) ინაწილებს. საქართველოში ვარდის ზეთის წარმოება ამჟამად არ არის განვითარებული. ერთ-ერთი კომპანია, რომელიც ვარდის ზეთის წარმოებას იწყებს კახეთში კომპანია „კახეთი ბიო“, რომელიც პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტსაც გეგმავს გერმანელი პარტნიორის დახმარებით.

### **სტაფილოს ზეთი**

ჰოლანდიური კვლევითი ცენტრის (CBI) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, მსოფლიო ბაზარზე ეკოლოგიურად სუფთა სტაფილოს თესლის ზეთის დეფიციტია და წარმოება ბაზრის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. სტაფილოს თესლის ზეთი ძირითადად



კოსმეტიკასა და თავის მოვლის სხვა საშუალებებში გამოიყენება. ევროპული ორგანიზაცია ევროპისა და აზიის ქვეყნებს მოუწოდებს, დაინტერესდნენ ამ საკითხით და დაიწყო სტაფილოს თესლის ზეთზე მუშაობა, რადგან ამით ევროპის ბაზარზე დამკვიდრების უნიკალური შესაძლებლობა ეძლევათ.

სტაფილოს თესლის ზეთი, ძირითადად, საფრანგეთსა და ინდოეთში იწარმოება, თუმცა ველური სტაფილოს მოყვანა ევროპის, აზიის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებშიც შესაძლებელია. საფრანგეთში წარმოებული ზეთის 80% შიდა ბაზარზე პარფიუმერიის დასამზადებლად გამოიყენება. რაც შეეხება ინდოეთს, ის სტაფილოს თესლის ზეთის ექსპორტს ევროპაში, აშშ-ში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკასა და იაპონიაში ახორციელებს. ევროპაში ძირითადი იმპორტიორები არიან იტალია, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო და სკანდინავიური ქვეყნები. დასავლეთ ევროპის ქვეყნებს სტაფილოს თესლის ზეთი კოსმეტიკის დასამზადებლად ყველაზე დიდი ოდენობით სჭირდებათ.

ექსპერტების აზრით, საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ სტაფილოს თესლის ზეთი ევროპაში გაიტანოს. თუმცა ამ ეტაპზე საქართველოში მოყვანილი პროდუქტი ადგილობრივ ბაზარსაც ვერ აკმაყოფილებს. ქვემო ქართლის და სამცხე ჯავახეთის რეგიონს გააჩნია დიდი ტრადიცია და პოტენციალი ამ კულტურის მოვლა მოყვანისათვის.

### **ბიოდაფნა**

ევროპის ბაზარი: Eurostat-ის მონაცემებით, თურქეთისა და ინდოეთის შემდეგ ევროკავშირის ბაზარზე განვითარებადი ქვეყნებიდან მე-3 ადგილს ქართული დაფნის ფოთოლი იკავებს. ექსპორტირებული 76%-დან 70% მხოლოდ თურქეთიდან შეტანილი დაფნის ფოთოლზე მოდის, თუმცა ხშირად ევროპის ბაზარზე თურქული პროდუქტის სახელით ქართული დაფნაც ხვდება. დაფნის კულტურა ძირითადად თურქეთის ანატოლიის რეგიონსა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში ხარობს. საქართველოში კი, ძირითადად, სამეგრელოში მოდის. ასევე მცირე რაოდენობითაა იმერეთში, გურიასა და აჭარაში. დაფნის ექსპორტზეა ორიენტირებული კომპანია „აგროლენდი“ რომელიც წელიწადში, საშუალოდ, 400-500 ტონა დაფნის ფოთოლს უკეთებს რეალიზაციას, აქედან ევროპის ქვეყნებზე მხოლოდ 10% (უნგრეთი, პოლონეთი, ესპანეთი, ბულგარეთი), დანარჩენი კი ყოფილი საბჭოთა ქვეყნების (უკრაინა, ბალტიისპირეთი, რუსეთი, ყაზახეთი) ბაზარზე მოდის.

ევროკავშირში ბიოდაფნის ექსპორტს ხელს უშლის თანამედროვე საშრობი დანადგარების და ტექნიკის არქონა, რის გამოც ვერ ხერხდება ევროსტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილება. დაფნის მწარმოებელ ფერმერებს არ გააჩნიათ ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ამის გამო ქართველი ფერმერები იძულებულნი არიან პროდუქცია მიყიდონ შუამავლებს. თურქეთს საქართველოდან დიდი ოდენობით დაფნა გააქვს, იქ ახარისხებენ და ყიდიან ევროპის ქვეყნებში.

### **თხილი და კაკალი**

საქართველო მსოფლიოში თხილის მწარმოებელი და ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულშია. ქართული თხილის 75%-ზე მეტის ექსპორტი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ხდება. ევროკავშირის ბაზრებზე ყველაზე ძლიერი კონკურენტი თურქეთია, თუმცა ქართული თხილის უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს მისი მაღალი ცხიმინაობა, რაც 7-8 %-ით მეტია თურქული თხილის სახეობებთან შედარებით. აღნიშნული უპირატესობის გამოყენება შესაძლებელია წარმატებული საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიის შემთხვევაში.

თხილთან ერთად მსოფლიო ბაზარზე კაკალსა და ნუშზე მოთხოვნაც ყოველწლიურად იზრდება. ევროკავშირში ყველაზე დიდი საექსპორტო ბაზარია გერმანია, რომელსაც ნუშს ვერ აწარმოებს და მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული. აქაც დაბრკოლებას ქართველი ფერმერებისათვის წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნის ნაკლებობა და GAP/HACCP-ის სტანდარტების არქონა.

### **თაფლი**

ევროკავშირი მსოფლიოში თაფლის მოხმარებით პირველ ადგილზეა, გაზრდილი მოხმარებისა და შიდა წარმოების შემცირების გამო იგი ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნას და მოხმარებული თაფლის დაახლოებით 40%-ს სხვა ქვეყნებიდან ყიდულობს. ეკოლოგიურად სუფთა ქართულ თაფლს აქვს დიდი პოტენციალი შევიდეს ევროპის ბაზარზე.

ევროკავშირს თაფლის ხარისხთან დაკავშირებით მკაცრი მოთხოვნები აქვს. ამ მოთხოვნებიდან მთავარი თაფლში ანტიობიოტიკებისა და პესტიციდების ნარჩენების კონტროლია. გარდა ამისა, მკაცრად არის გაწერილი თაფლში ზოგიერთი ნივთიერების დასაშვები რაოდენობები და საერთოდ აკრძალული ნივთიერებები. ამ მიზნით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მომქმედ ცენტრალურ ლაბორატორიაში 2017 წლიდან დაინერგა თაფლის პარამეტრების სრული კვლევა, რომელსაც აქვს საშუალება ქართველ ფერმერებზე გასცეს სერტიფიკატი.

### **მატყლი**

საქართველოში ევროკავშირმა მატყლის მწარმოებელი 2 კომპანია აღიარა: შპს „ჯორჯიან ვულ“ და შპს „ქართული მატყლის კომპანია“. შესაბამისად, ევროკავშირის ქვეყნებში დაუმუშავებელი (გაურეცხავი) მატყლის გატანა მხოლოდ ამ ორ კომპანიას შეუძლია. იმისთვის რომ ქართული მატყლი ევროკავშირის ბაზარზე შევიდეს, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს წარმოშობის სერტიფიკატი-EUR1. გარდა ამისა, უსაფრთხო უნდა იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის და შესაბამისი სერტიფიკატიც ჰქონდეს. კიდევ ორი მოთხოვნის შესრულებაა საჭირო: 1. მატყლი უნდა იყოს კარგად გამშრალი და უსაფრთხოდ შეფუთული; 2. გაიგზავნოს პირდაპირ იმ საწარმოში, სადაც მისი გადამამუშავება მოხდება. თუ ამ ორი მოთხოვნიდან რომელიმე არ სრულდება, მატყლი ჩაითვლება ჩვეულებრივი ცხოველური წარმოშობის პროდუქტად, რომელმაც შეიძლება მიმღებ ქვეყანაში ცხოველთა ჯანმრთელობას ზიანი მიაყენოს, შედეგად მას მიმღები ქვეყნის საბაჟო უკან დააბრუნებს.

### **ბიომწვანილი**

საქართველოში ბიოპროდუქტების წარმოების კუთხით მეტად საყურადღებოა ბიომწვანილი. მისი წარმოების კუთხით გამორჩეულია კომპანია „ჰერბია“, რომელსაც სასუქების გარეშე მოჰყავს მწვანილი და ბოსტნეული. იგი Global Group-ის სერტიფიკატის მქონე კომპანიაა, რომელმაც საქმიანობა დაიწყო 2006 წელს. იგი პირველი კომპანიაა საქართველოში, რომელიც პროდუქციას აფასობს. „ჰერბიას“ წყალტუბოში 3 ჰა-ზე აქვს გაშენებული სათბური. ყველა პროდუქტი, რომელიც მისი სავაჭრო ნიშნით იწარმოება, შეესაბამება სურსთის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტებს და გარემოს დაცვით მოთხოვნებს.

საქართველოში ორგანული წარმოების განვითარებისათვის ერთ-ერთი ხელსაყრელი გარემოა, მაგრამ მარტო გარემო არ არის საკმარისი პირობა იმისათვის, რომ ქვეყანაში ორგანული წარმოების სექტორმა წარმატებით იმუშაოს და ჰქონდეს წვდომა ევროპის ბაზარზე, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ბაზარია.

ევროკავშირმა ორგანული მეურნეობის ახალი რეგულაციები წევრ ქვეყნებში 2022 წლის იანვრიდან ოფიციალურად ამოქმედდა და დღის წესრიგში დადგა საჭიროება, რომ ქართული კანონმდებლობაც ჰარმონიზაციაში მოვიდეს ამ სიახლეებთან. ამ მიზნით ჯერ კიდევ 2020 წელს ახალი რეგულაციები ითარგმნა ქართულ ენაზე და მეწარმეთათვის შეიქმნა გამარტივებული გზამკვლევი.

ორგანული წარმოების ევროკავშირთან ჰარმონიზაციის მიზნით მნიშვნელოვანია დაიხვეწოს და გადამუშავდეს 2006 წელს მიღებული კანონი „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ“. კანონი ძალადაკარგულად გამოცხადა 2011 წლის მარტში და ახალი კანონმდებლობიდან გამომდინარე საჭიროა შემუშავდეს სათანადო კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც დაარეგულირებს ბიოწარმოების განვითარებას ქვეყანაში. ახალ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანია გაიზარდოს სახელმწიფო კონტროლის როლი, რომელიც მომხმარებელთა ნდობის ამაღლების საფუძველი გახდება. დღეისათვის ქვეყანაში მოქმედებს 2014 წლის აპრილში მიღებული კანონი – „სურსათის/ცხოველთა საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“, ამასთან ერთად 2014 წლის პირველი აგვისტოდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის დადგენილება „ბიოწარმოების შესახებ“, რომლის თანახმადაც დაუშვებელია სათანადო სერტიფიცირების არმქონე საქონლის ეტიკეტირების დროს გამოყენებული იქნეს ტერმინები: „ბიო“, „ორგანული“, „ეკო“.

ბიოწარმოების სფეროში ქართული ბიზნესისათვის მეტად მნიშვნელოვანია ასოცირებისა და ევროკავშირთან ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (OEFTA) შეთანხმებით გათვალისწინებული უპირატესობების სრულად გამოყენება. ამ მიზნით ბიზნესს უნდა მიეცეს ევროკავშირის ეკომარკის (EU Ecolabel) მინიჭების პროცედურებით სარგებლობის შესაძლებლობა. ევროკავშირის ეკომარკის მინიჭების შემთხვევაში ქართული პროდუქცია არა მხოლოდ ევროკავშირის ბაზარზე იქნება აღიარებული, როგორც მაღალი ხარისხის პროდუქტი, არამედ მთელ მსოფლიოში, რადგან ეკომარკის მიმართ არსებობს მაღალი ნდობა ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო ბაზარზე.

ევროკავშირის ეკომარკების მინიჭებისა და გამოყენებისათვის დადგენილია შვიდი ძირითადი ეტაპი:

1. უფლებამოსილ ორგანოსთან დაკავშირება. ქართული ბიზნესის წამომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ დაუკავშირდნენ იმ ქვეყნების უფლებამოსილ ორგანოებს, სადაც გამიზნულია პროდუქციის განთავსება;
2. პროდუქციისა და სერვისის რეგისტრაცია ევროკავშირის ეკომარკირების ონლაინ კატალოგში (ECAT);
3. პროდუქციისა და სერვისების ტესტირება აპლიკაციის შესავსებად;
4. აპლიკაციის წარდგენა და საფასურის გადახდა;
5. წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა;
6. აპლიკაციის დადასტურება და მარკირების მინიჭება;
7. კომუნიკაცია ევროკავშირის ეკომარკირების მინიჭების შესახებ.

საქართველოში დღეისთვის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან არსებულ აკრედიტაციის ცენტრს არა აქვს გაცემული აკრედიტაცია სერტიფიცირების ორგანოსთვის და შპს „კავკასსერტი“ სერტიფიცირებას ახორციელებს „გრინ კავკასუსის“ (მწვანე კავკასიის) მარკის მიხედვით. კომპანიას აკრედიტაცია მიღებული აქვს გერმანიის აკრედიტაციის ორგანოს მიერ.

საქართველოში ბიოწარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია მოხდეს ბიოწარმოების საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. პირველ რიგში აუცილებელია მომზადდეს ახალი კანონი „აგრო ბიოწარმოების განვითარების შესახებ“, რომელიც ჰარმონიზაციაში იქნება ევროკავშირში მომქმედ საკანონმდებლო დირექტივებთან. კანონის ამოქმედების შემდეგ აუცილებელია შემუშავდეს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ბიოწარმოების განვითარების დარეგულირებას. ამასთან ერთად აუცილებელია შემუშავდეს „ბიოპროდუქციის წარმოების, გადამუშავების, ნიშანდებისა და გასაღების სტანდარტი“, რომელიც დაარეგულირებს ბიოწარმოების გამოყენების სფეროს.

საქართველოში ორგანული პროდუქციის წარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილად გვესახება ორგანული პროდუქციის მწარმოებლების გადასახადებისაგან გათავისუფლება. ამ მიზნით აუცილებელია უახლოეს პერიოდში საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდეს სათანადო ცვლილებები და უფრო მეტიც, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაამუშაოს ამ მიმართულების ფერმერებისათვის ფინანსური სტიმულირების მექანიზმები და უახლოეს პერიოდში აამუშაოს იგი.

საქართველოში ორგანული წარმოების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზრის გაუმჯობესებასა და ევროკავშირთან შესაბამისობის მიზნით აუცილებელია, რომ ორგანული სერტიფიკატის მატარებელი პროდუქცია ტრანსპორტირებისას გათავისუფლდეს ინსპექტირებისაგან, კერძოდ, ორგანულმა პროდუქციამ საბაჟო საზღვარი გადაკვეთოს გამარტივებული პროცედურებით.

2017–2018 წლებში შემუშავდა და დამტკიცდა „ბიომეურნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ეს უნდა გახდეს ჩარჩო დოკუმენტი ბიომეურნეობათა სფეროში კომპეტენტური კადრების მომზადებისა, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით შეძლებენ ბიოპროდუქციის წარმოებას.

გარემოს დაცვის სფეროში საქართველო მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე მხარეა. საერთაშორისო შეთანხმებებიდან გამომდინარე საქართველოს არჩეული აქვს გზა, რომელიც გულისხმობს ქვეყნის კანონმდებლობის დაახლოებას საერთაშორისო გარემოს დაცვით სტანდარტებთან. კონკრეტულად, საქართველოს ეკომარკირებასთან დაკავშირებით აღებული აქვს ვალდებულება საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე.

ეკომარკირებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები საკმაოდ მწირია და საქართველოს კანონმდებლობა არ არეგულირებს აღნიშნულ საკითხს. თავდაპირველად „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის 1996 წლის 10 დეკემბერის ვერსიაში აღნიშნული საკითხი რეგულირდებოდა ცალკე მუხლით (მუხლი 19, ეკომარკირება). შემდგომ 2011 წლის 11 მარტს შეტანილი ცვლილებების შედეგად კანონიდან საერთოდ ამოიღეს მუხლი 19, რომელიც ეკომარკირებას ეხებოდა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის №2-742 ბრძანებით დამტკიცდა სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი გარემოს დაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის დებულება, რომლის მიხედვითაც ეკომარკირებასთან დაკავშირებული ფუნქციები დაეკისრა ცენტრის გარემოს საინფორმაციო სამსახურის სტრუქტურულ ერთეულს. სამწუხაროდ, დღემდე ეკომარკირების სისტემა, განსაკუთრებით პროდუქციის ეტიკეტირების მიმართულებით, ეფექტურად ვერ ფუნქციონირებს საქართველოში.

საქართველოში „პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ შესაბამისად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში შექმნილია „აკრედიტაციის ცენტრი“, რომელიც არ არის შემფასებელი ორგანიზაცია და გასცემს აკრედიტაციას ლაბორატორიებზე, სერტიფიცირებისა და ინსპექტირების ორგანიზაციებზე.

პირველ ეტაპზე საქართველოს მთავრობამ უნდა წაახალისოს ეკომარკირების სქემების დანერგვა, როგორცაა ხარისხის ნიშანი, ბიოპროდუქციის სერტიფიცირება, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია ეკომარკირების წამახალისებელი საინფორმაციო კამპანიის წარმოებით. ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების შედეგად ქართველი ფერმერები დაიწყებენ პროცედურების განხორციელებას, რათა მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას მიენიჭოს ეკომარკირება.

პროდუქციის ეკომარკირების სრულყოფის მიზნით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეროვნული ეკომარკის შექმნა და მისი მინიჭების სქემა სასურველია დაახლოებული იქნეს ევროკავშირის ეკომარკირების პრინციპებთან.

ეროვნული ეკომარკის შემოღება ორ მიზანს ემსახურება:

1. ეკომარკის დანერგვა უზრუნველყოფს პროდუქციის კონკურენტუნარიანობას და მის განთავსებას პროდუქციის შიდა ბაზარზე.

2. მომზადდება ნიადაგი ევროკავშირის ეკომარკის მოსაპოვებლად, რისთვისაც საწყის ეტაპზე სასურველია შედარებით მარტივი სტანდარტების დადგენა, რადგან თანდათან დამლეულ იქნეს გამოწვევები, რაც ახლავს ამ პროცესს.

ეკომარკის დანერგვის საბოლოო მიზანი უნდა გახდეს ქართული პროდუქციისათვის ევროკავშირის ეკომარკის მინიჭება. ამ მიზნით სახელმწიფომ უნდა შექმნას ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც დაეხმარება ქართველ მეწარმეებს (ფერმერებს) ევროკავშირის ეკომარკის მიღებაში. მართალია, იგი შედარებით რთული და ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ დიდ დახმარებას გაუწევს ქართველ ფერმერებს ევროკავშირის ბაზარზე გასვლაში და გაზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს.

საქართველოში ბიოწარმოების ხელშეწყობის მიზნით 2022 წლის 10 ივლისიდან მთავრობის №358 დადგენილებით ამოქმედდა „ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს მეურნეობათა კონვერსიის პერიოდში გაწეული შემდეგი მიზნობრივი მომსახურების ანაზღაურებას: ბიოწარმოების სერტიფიცირება; საკონსულტაციო მომსახურება; ორგანული სასუქების, მავნებლების და დაავადებების წინააღმდეგ გამოყენებული ბიოპრეპარატების შექმნა; ფუტკრის სამკურნალო პრეპარატებისა და ბიოფიჭის შექმნა; თაფლისა და ცვილის ლაბორატორიული ანალიზი.

პროგრამას ახორციელებს და კოორდინაციას უწევს სოფლის განვითარების სააგენტო. პოტენციური ბენეფიციარების სერტიფიცირებისა და საკონსულტაციო მომსახურებისათვის, თაფლის ლაბორატორიული ანალიზისათვის კონვერსიის პერიოდში გაწეული ხარჯის ანაზღაურება ერთ პოტენციურ ბენეფიციარზე განისაზღვრება მაქსიმუმ 7000 ლარით, ანუ არაუმეტეს 70%-ით.

კონვერსიის პერიოდში მევენახეობასა და საფუტკრე მეურნეობის ბენეფიციარებისათვის ორგანული სასუქის, მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ გამოყენებულ ბიოპრეპარატების შექმნის ხარჯი სააგენტოს მიერ განისაზღვრება შემდეგი პირობით:

- მევენახეობის შემთხვევაში 1 ჰა-ზე გაანგარიშებით განისაზღვრება არაუმეტეს 70-ით, ანუ 5100 ლარის ოდენობით;

- საფუტკრე მეურნეობის შემთხვევაში \_ ერთ სკაზე არაუმეტეს 50 ლარისა და ჯამურად 5100 ლარის ოდენობით;

დღეისათვის აღნიშნული ხარჯები ვერ ასტიმულირებს ბიომეურნეობების დაჩქარებული ფორმირების შესაძლებლობებს, რადგან კონვერსიის პერიოდში ბიომეწარმეობაზე გადასვლის ხარჯები გაცილებით მაღალია, ამდენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია სააგენტოს მხრიდან ერთ პოტენციურ ბიომეურნეობაზე ხარჯები ანაზღაურდეს 10-15 ათასი ლარის ფარგლებში.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილებით დამტკიცდა „აგროდაზღვევის პროგრამა“. პროგრამას ახორციელებს სოფლის განვითარების სააგენტო. პროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის სექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელშეწყობა, დასაქმებული პირებისათვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება.

ქვეყანაში ორგანული სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილად გვესახება ორგანული სასოფლო-სამეურნეო ნათესებისათვის (ხორბალი, ქერი) და მრავალწლიანი ნარგავებისათვის (ვენახი, ხეხილი, ციტრუსი) შემუშავდეს ორგანულ მეურნეობათა აგროდაზღვევის პაკეტი, რომელიც ორგანულ მეურნეობებს დაეხმარება მათ წინაშე მდგომი რისკების დაზღვევაში.

ქვეყანაში ბიოწარმოების სექტორში დასაქმებული მეწარმეების ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ამოქმედდა „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, რომელიც დასრულდა 2022 წელს. სასურველია ბიოწარმოების მიმართულებით მომზადდეს და ამოქმედდეს ახალი პროექტი 2025 წლის 1 იანვრიდან შემდეგი ქვეკომპონენტების ფარგლებში: ბიოყურძენის წარმოება; ბიომარცვლეულის წარმოება; ბიოხილის წარმოება; ბიოთხილის წარმოება; ბიოთაფლის წარმოება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ფერმერებს მიეცემათ სტიმული გადავიდნენ ბიოწარმოებაზე და ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების ფარგლებში მიიღონ შეღავათიანი კრედიტები, რომლებიც მნიშვნელოვნად გაზრდის უახლოეს პერიოდში ორგანულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია „დანერგე მომავლის“ პროექტის ფარგლებში წარმოდგენილ იქნეს ბიოწარმოების ხელშეწყობის კომპონენტი ბაღებისა და სანერგების განვითარების სექტორში.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების ჩამოყალიბებულ სტრატეგიულ სამ მიზანს უნდა დაემატოს მეოთხე მიზანი \_ ორგანული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სისტემების განვითარება და ამ მიზნიდან გამომდინარე ქვეყნისათვის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად ბიოწარმოების განვითარების გამოცხადება.

წარმოდგენილი სრულყოფის ღონისძიებების გათვალისწინება ურუნველყოფს ქვეყანაში ორგანული სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ხელშეწყობას და მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს ამ მიმართულებით.

### **დასკვნები და რეკომენდაციები**

საქართველოს ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. მსოფლიოში ორგანული პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების გაანალიზების შედეგად ნათელი ხდება, რომ ორგანული პროდუქციის წარმოებით ლიდერობენ განვითარებადი ქვეყნები აზიისა და ოკეანის რეგიონიდან, ხოლო ორგანული

პროდუქტების მოხმარების კუთხით ლიდერის პოზიციებზეა აშშ და ევროკავშირის ქვეყნები;

2. სოფლის მეურნეობის წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის საერთაშორისო გამოცდილების გაანალიზების საფუძველზე ნათლად იკვეთება აშშ-ში ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობისათვის სერტიფიცირებაზე, საზოგადოების განათლებაზე, ტექნიკურ დახმარებასა და გარემოს დაცვიაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურება. ასევე ევროკავშირში მოქმედებს მასშტაბური ორგანული წარმოების ხელშეწყობის პროგრამები, რომლითაც სარგებლობა შეუძლია ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ყველა მწარმოებელს. ევროკავშირში მოქმედებს ე.წ. კლიმატის პროგრამა, ანუ „ევროპის მწვანე გარიგება“, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ორგანული სტრატეგია „ფერმიდან ჩანგლამდე“. საქართველომ უნდა გაითვალისწინოს განვითარებულ სახელმწიფოთა დიდი გამოცდილება საკუთარი ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით;

3. დღეისათვის საქართველოში ორგანული აგროწარმოების განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები არიან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ასევე მის დაქვემდებარებაში არსებული სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. საქართველოში ფუნქციონირებს ორგანული წარმოების ინსპექტირების ორგანო: შპს „კავკასსერტი“ და KIWA BCS-ი. 2020 წლის ბოლოს შპს „კავკასსერტმა“ გაიარა აკრედიტაცია გერმანული ISO-17065 -ის სტანდარტის მიხედვით, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას გასცეს ორგანული წარმოების სერტიფიკატები. საქართველოში ბიომეურნეობის სერტიფიცირებას ახორციელებს KIWA BCS-ი, რომლის სათავე ოფისი მდებარეობს ნიდერლანდებში. აღნიშნული კომპანია ოპერირებს 35 ქვეყანაში, შედის ტესტირების, ინსპექციებისა და სერტიფიკაციების 20 წამყვან გლობალურ პროვაიდერში;

4. „კავკასსერტის“ მონაცემებით 2023 წელს საქართველოში ბიოპროდუქციას აწარმოებდა 150 კომპანია, ხოლო 90 მეურნეობა კონვენსიულ რეჟიმში იმყოფება და სერტიფიკატის ასაღებად ემზადება. საქართველოში დაახლოებით 1000-1500 ფერმერია ბიომომართულების მიმდევარი, რომლებსაც არ გააჩნიათ ბიოწარმოების სერტიფიკატი, მაგრამ მათ მიერ წარმოებული პროდუქცია იყიდება ბაზარზე ბიოპროდუქტის სახით. დღეისათვის საქართველოში სერტიფიცირების საკითხი რეგულირდება 2013 წლის 30 ივლისის მთავრობის №198 დადგენილებით „ბიოწარმოების შესახებ“. ამ დადგენილების თანახმად შესაბამის სერტიფიკატს გასცემს მხოლოდ ეროვნული ან საერთაშორისო აკრედიტაციის ორგანოს მიერ აკრედიტებული სერტიფიცირების ორგანო. საქართველოში ამ ფუნქციას ასრულებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან არსებული სსიპ – „აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი“, რომელიც ძირითადად დაკავებულია ლაბორატორიებისათვის ლიცენზიების გაცემით;

5. საქართველოში ბიოპროდუქტის ძირითადი მომხმარებლები თავმოყრილია სამ ქალაქში: თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. ბიოაგროსაწარმოებში წარმოებული პროდუქციის უმრავლესობა პირდაპირ შედის ბაზარზე სერტიფიცირებისა და ევროპული ბიოსტანდარტის მიღების გარეშე. სუფთა ნატურალური საკვების მაღაზიები, როგორებიც გერმანიაშია წარმოდგენილი, საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს. სუპერმარკეტებში კი ძირითადად იმპორტირებული ორგანული პროდუქტები გვხვდება. მაგალითად, SPAR-ის სავაჭრო ქსელში ძირითადად Edeka Bio ბრენდის ასორტიმენტი გვხვდება, გუდვილისა და კარფურის მარკეტებში წარმოდგენილია თაროები ორგანული პროდუქტებისათვის. პირველი „აგროჰაბის“ სუპერმარკეტი თბილისში 2016 წელს გაიხსნა, სადაც მომხმარებელს

შეუძლია შეიძინოს ადგილობრივი წარმოების ახალი ორგანული და ჯანსაღი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი;

6. ბიოპროდუქტების წარმოების კუთხით მეტად საყურადღებოა ბიომწვანილი. საქართველოში ბიომწვანილის წარმოების კუთხით გამორჩეულია კომპანია „ჰერბია“, რომელსაც სასუქების გარეშე მოჰყავს მწვანელი და ბოსტნეული. იგი პირველი კომპანიაა საქართველოში, რომელმაც დაიწყო ბიოპროდუქციის დაფასოება. კომპანიას წყალტუბოში 3 ჰა-ზე აქვს გაშენებული სათბური. ყველა პროდუქტი, რომელიც „ჰერბიას“ სავაჭრო ნიშნით იწარმოება, შეესაბამება სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტებს და გარემოს დაცვით მოთხოვნებს;

7. საქართველოში ბიოწარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია მოხდეს ბიოწარმოების საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. პირველ რიგში აუცილებელია მომზადდეს ახალი კანონი „აგრო ბიოწარმოების განვითარების შესახებ“, რომელიც ჰარმონიზაციაში იქნება ევროკავშირში მოქმედ საკანონმდებლო დირექტივებთან. კანონის ამოქმედების შემდეგ აუცილებელია შემუშავდეს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ბიოწარმოების განვითარების რეგულირებას. ამასთან ერთად აუცილებელია შემუშავდეს „ბიოპროდუქციის წარმოების, გადამამუშავების, ნიშანდებისა და გასაღების სტანდარტი“ ბიოწარმოების გამოყენების სფეროს დასარეგულირებლად;

8. საქართველოში ორგანული პროდუქციის წარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილად გვესახება ორგანული პროდუქციის მწარმოებლების გადასახადებისაგან გათავისუფლება. ამ მიზნით აუცილებელია უახლოეს პერიოდში საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდეს სათანადო ცვლილებები და უფრო მეტიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაამუშაოს ამ მიმართულების ფერმერებისათვის ფინანსური სტიმულირების მექანიზმები და უახლოეს პერიოდში აამუშაოს იგი;

9. საქართველოს მთავრობამ უნდა წაახალისოს ეკომარკირების სქემების დანერგვა, როგორცაა ხარისხის ნიშანი, ბიოპროდუქციის სერტიფიცირება, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია ეკომარკირების წამახალისებელი საინფორმაციო კომპანიის წარმოებით. მისი მიზანი იქნება ქართველი ფერმერების ცნობიერების ამაღლება, რაც მათ გაუღვიძებს ინტერესს, მიენიჭოს არსებული ეკომარკირება მათივე წარმოებულ პროდუქციას. ამ მიზნით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეროვნული ეკომარკის შექმნა და მისი მინიჭების სქემა დაუახლოვოს ევროკავშირის ეკომარკირების პრინციპებს.

## რეზიუმე

ნაშრომში განიხილება ორგანული სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები. ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარება ხელს შეუწყობს სამომავლოდ მდგრადი აგროსასურსათო სექტორის განვითარებას და სოფლად სიღარიბის დაძლევას.

საქართველოში მდგრადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ორგანული სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, რომელიც განპირობებულია ისეთი მნიშვნელოვანი საარსებო ფაქტორებით, როგორცაა: წყალი, ჰაერი, ბიომრავალფეროვნება, გენმოდირიცირებული ორგანიზმების შემცირება, უნარჩენო ტექნოლოგიების განვითარება, რომელიც გამორიცხავს ხელოვნური სასუქების, მხამქიმიკატების გამოყენებას.



ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარება დადებით გავლენას ახდენს გარემოზე, ხდება გარემოს ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნება და ბიოლოგიური პროცესების ოპტიმალური განვითარება. ნაშრომში განხილულია ორგანული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების საერთაშორისო გამოცდილება, კერძოდ, აშშ-სა და ევროკავშირში მოქმედი მასშტაბური ორგანული წარმოების ხელშემწყობი პროგრამები, რომლითაც სარგებლობს ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ყველა მწარმოებელი. საქართველომ სამომავლოდ უნდა გაითვალისწინოს განვითარებულ სახელმწიფოთა დიდი გამოცდილება საკუთარი ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით.

საქართველოში ორგანული აგროწარმოების განვითარების ხელშემწყობის მიზნით აუცილებელია განხორციელდეს ბიოწარმოების საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. პირველ რიგში უნდა მომზადდეს ახალი კანონი „აგრობიოწარმოების განვითარების შესახებ“, რომელიც ჰარმონიზაციაში იქნება ევროკავშირში მოქმედ საკანონმდებლო დირექტივებთან. კანონის ამოქმედების შემდეგ აუცილებელია შემუშავდეს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ბიოწარმოების განვითარების რეგულირებას. ახალ საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს „ბიოპროდუქციის წარმოების, გადამუშავების, ნიშანდებისა და გასაღების სტანდარტი“, რომელიც დაარეგულირებს ორგანული აგროწარმოების განვითარების სფეროს.

ქვეყანაში ორგანული პროდუქციის წარმოების განვითარების ხელშემწყობის მიზნით მიზანშეწონილად გვესახება ორგანული პროდუქციის მწარმოებლების გადასახადებისაგან გათავისუფლება, ამ მიზნით აუცილებელია საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდეს სათანადო ცვლილებები და უახლოეს პერიდში აამუშავდეს იგი.

საქართველოს მთავრობამ ორგანული წარმოების მიმართ ქართველი ფერმერების ინტერესის გაძლიერების მიზნით უნდა შექმნას ეროვნული ეკომარკა და მისი მინიჭების სქემა დაუახლოვოს ევროკავშირის ეკომარკირების პრინციპებს, რაც დიდ დაეხმარებას გაუწევს ქართველ ფერმერებს ევროკავშირის ბაზარზე გასვლაში და გაზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს.

## **Current status and prospects of the development of organic (ecological) agriculture in Georgia**

V.Zeikidze

**Abstract :** The article discusses current situation and prospects in the field of organic agricultural production. The development of organic agriculture will promote sustainable development of the agricultural sector and poverty reduction in rural areas in the future.

The promotion of organic agriculture is one of the important issues of the sustainable development of agricultural production in Georgia, since it is related to such essential vital activity factors as water, air, biodiversity, the reduction in numbers of genetically modified organisms, elaboration of efficient technologies to eliminate the use of synthetic fertilizers and chemical pesticides.

The development of organic agriculture has a positive impact on the environment, maintains an ecological balance and optimal progress of biological processes. The article examines international experience in manufacturing organic agricultural products, in particular, large-scale programs for the advancement of organic production acting in the USA and EU which are in use by all the agricultural producers in the EU countries. In the future, Georgia should take into

consideration a great experience of the developed countries in order to develop its own organic agriculture.

In order to advance the organic agricultural production in Georgia, it is necessary to complete the legislative framework for the bio-production. First of all, a new law "On the development of agro-bio-production" should be prepared to be harmonized with the legislative guidelines acting in the EU. After the adoption of the law, it is necessary to elaborate related by-laws, normative acts to ensure the management of the bio-production development in the country. On the basis of a new legislative framework, "The standard of bio-production manufacturing, processing, signs and key" should be elaborated to regulate the sphere of development of organic agricultural production.

Aiming to the promotion of manufacturing organic production it is reasonable to exempt organic agricultural producers from taxes for which purpose it is necessary to insert amendments in the Tax Code of Georgia and put them into practice in the nearest period of time.

With a view to arousing Georgian farmers' interest in organic production, the Government of Georgia should create a national eco-mark and make its awarding procedure near to the principles of eco-marking in the EU countries. This will help Georgian farmers in entering the EU market and increase the country's export potential.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კარბელაშვილი მერაბ, ბიომეურნეობების საფუძვლები „ელკანა“, თბილისი 2009;
2. პავლიაშვილი სოლომონ, გუბელაძე დავით, აგროეკოლოგიური სოფლის მეურნეობა და ორგანული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, ჟ. „მეცნიერება“, N3 2020;
3. წერეთელი გოჩა, ბიოლოგიური სოფლის მეურნეობა;
4. ანგარიში საქართველოში ბიოლოგიური აგროწარმოების და სასურსათო ინდუსტრიის შესახებ, „ელკანა“ თბ. 2021;
5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის ანგარიში. თბ. 2024;
6. საქართველოს მთავრობის დადგენილება №153, 2023 წლის 13 აპრილი, ქ. თბილისი, „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“;
7. საქართველოს მთავრობის დადგენილება №358, 2022 წლის 12 ივლისი, ქ. თბილისი, „ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“;
8. საქართველოს მთავრობის დადგენილება №149, 2023 წლის 11 აპრილი, ქ. თბილისი „ტექნიკური რეგლამენტი – ორგანული (ბიოლოგიური, ეკოლოგიური) წარმოების წესებისა და ორგანული (ბიოლოგიური, ეკოლოგიური) პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“;
9. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ (2017), ორგანული სოფლის მეურნეობა;
10. FIbl/IFOAM (The world of organic agriculture 2024).
11. FAO, WHO. (2007). Codex Alimentarius: organically produced food. Third edition. Rome, <http://www.fao.org/3/a1385e/a1385e00.pdf>;
12. Organic Food Market- Global Opportunity Analysis and Industry Forecast (2020-2027) report. (2020). <https://www.meticulousresearch.com/product/organic-food-market-5122>;
13. Okruashvili N., Paresashvili N. (2018). Production of Organic Products – Important Condition of Growth of Georgia's Export Potential, Journal of Management Policy and Practice, 19(2), pp. 144-152 [http://t.www.na-businesspress.com/JMPP/JMPP19-2/OkruashviliN\\_19\\_2.pdf](http://t.www.na-businesspress.com/JMPP/JMPP19-2/OkruashviliN_19_2.pdf);

14. Organic farming in Germany (2022).  
<https://www.bmel.de/SharedDocs/Downloads/EN/Publications/Organic-Farming-in->
15. Willer H., Trávníček J., Meier C. and Schlatter B. (2022) The World of Organic Agriculture. Statistics and Emerging Trends 2022 <https://www.fibl.org/fileadmin/documents/shop/1344-organic-world-2022.pdf>;
16. [http://caucascert.ge/files/Organic\\_Standard\\_GEO\\_18.03.2022\\_12.pdf](http://caucascert.ge/files/Organic_Standard_GEO_18.03.2022_12.pdf) ;
17. [https://www.eu4environment.org/app/uploads/2023/06/Ecolabelling-PPT\\_Georgia\\_GEO.pdf](https://www.eu4environment.org/app/uploads/2023/06/Ecolabelling-PPT_Georgia_GEO.pdf)
18. <https://agronews.ge/bioproductsiis-tsarmoebis-gadamushavebis-nishandebis-da-gasaghebis-standarti/>;
19. <https://srca.gov.ge/files/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf> ;
20. <https://eugeorgia.info/ka/article/608/evrokavshiri---sididit-meore-bio-bazari-msoflioshi/>;
21. [https://georgianhoneyworld.ge/ge/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98](https://georgianhoneyworld.ge/ge/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98;);
22. <https://jarabeekeepers.org/files/biobeekeeping/gemin.pdf>.

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი (ეად), სტუ-ის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მიწის, წყლისა და ტყის რესურსების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

## მიწის რესურსების მართვაში დაზღვევის სრულყოფის პრობლემები

### აგრარული დაზღვევის არსი, პრინციპები, მიზანი და თავისებურებები

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრარული სექტორის კომპლექსურ განვითარებას. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს აგროდაზღვევის ფორმირება და განვითარება.

აგროდაზღვევა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში რისკების მართვის მაღალეფექტიანი ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს აგრარულ სექტორში ჩართული პირების ინტერესების დაბალანსებას. კერძოდ, აგროდაზღვევა სოფლის მეურნეობაში უზრუნველყოფს ფერმერთა შემოსავლების დასტაბილურებას, საშუალებას აძლევს ფერმერებს მინიმუმამდე შეამცირონ დაზღვეული რისკით მიღებული დანაკარგები, დაიბრუნონ ხარჯები, რომელიც მათ ნარგავებისა და პირუტყვის მოვლა-პატრონობაზე გასწიეს, ამასთან ერთად გააგრძელონ საკუთარი საქმიანობა უწყვეტად მომდევნო წლების განმავლობაში. ამასთან სადაზღვევო კომპანიები სადაზღვევო პორტფელის სრულყოფილად დაბალანსების შედეგად იღებენ მოგებას, საბანკო ორგანიზაციებს ექმნებათ გაცემული კრედიტების დაბრუნების საფუძველი და საბოლოო ჯამში, რაც მნიშვნელოვანია, იზრდება აგრარული სექტორის დაფინანსების მოტივაცია.

აგროდაზღვევა ზრდის ფერმერების ხელმისაწვდომობას საკრედიტო რესურსებზე, რადგან სადაზღვევო ანაზღაურება პირველ რიგში კრედიტის გადაუხდელი ნაწილის დაფარვას ხმარდება. აგროდაზღვევა წარმოადგენს სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, იგი ხელს უწყობს ადგილობრივი სასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდას, ფერმერული მეურნეობების განვითარების სტიმულირებას და ამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას სასურსათო პროდუქტების იმპორტზე.

აგროდაზღვევა უზრუნველყოფს ფერმერული რისკების მართვის გაუმჯობესებას, რადგან სადაზღვევო კომპანიები დაინტერესებულნი არიან სადაზღვევო რისკების შემცირებით, ისინი ფერმერებს სთავაზობენ დაეუფლონ და გამოიყენონ თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიები (დათესონ ყინვა და გვალვაგამძლე ჯიშები, დაიცვან სანიტარიული ნორმები და ა.შ.) და ამით მაქსიმალურად შეამცირონ დანაკარგების რისკები.

თანამედროვე მსოფლიოში აგროდაზღვევის სამი მოდელი გამოიყენება და ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება სადაზღვევო სისტემაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხით.

#### 1. სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი მოდელი

მოდელში დომინანტი ფუნქცია სახელმწიფოს ეკუთვნის და სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია აგროსექტორის მხარდაჭერას ახორციელებს ფართოდ დივერსიფიცირებული სადაზღვევო პორტფელით. ამ შემთხვევაში მაღალია სადაზღვევო ბაზარზე სახელმწიფო აგროდაზღვევის წილი.

#### 2. სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობაზე დაფუძნებული მოდელი

მოდელის ფუნქციონირების პირობებში სახელმწიფო ახდენს დანახარჯების სუბსიდირებას, უზრუნველყოფს აგროდაზღვევის სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებას, ხოლო მოდელში ჩართული კერძო სადაზღვევო სექტორი ახდენს სოფლის მეურნეობაში ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირებას.

### 3. კერძო სექტორის მიერ კონტროლირებადი მოდელი

მოდელის ფუნქციონირების პირობებში მინიმალურია სადაზღვევო სექტორში სახელმწიფოს ჩართულობა, ანუ სახელმწიფო ფაქტიურად არ მონაწილეობს სადაზღვევო სექტორში და აგროდაზღვევის დონე განისაზღვრება კერძო მზღვეველთა ინტერესებით.

აგროდაზღვევა სადაზღვევო საქმიანობის სპეციფიკური სექტორია და ამდენად სახელმწიფოს ჩართულობა აგროდაზღვევის სექტორში გამართლებულია. კერძოდ, აგროდაზღვევაში სახეზე გვაქვს სისტემური რისკები, რომელთა ალბათობა საკმაოდ დიდია და თუ კერძო სადაზღვევო კომპანიებს სახელმწიფო გარანტიები არ გააჩნიათ, ისინი აწესებენ მაღალ განაკვეთებს. შესაბამისად, სადაზღვევო პროდუქტი ფერმერებისათვის მიუწვდომელი ხდება. აღნიშნულის გამო მიგვაჩნია, რომ აგროდაზღვევის ზემოხსენებულ მოდელებიდან, განვითარების სტაბილურობა უფრო მაღალია იმ მოდელებში, სადაც სადაზღვევო ბაზარზე სახელმწიფო წარმოდგენილია მნიშვნელოვანი წილით და ახდენს აგროდაზღვევის სფეროს სუბსიდირებას.

ქვეყანაში არსებული სადაზღვევო კულტურის დაბალი დონის, საერთაშორისო გადაზღვევის ბაზრებზე შეზღუდული წვდომის პირობებში სახელმწიფო ხშირად უზრუნველყოფს კერძო სადაზღვევო კომპანიებისათვის გადაზღვევაზე ხელმისაწვდომობას და ამით ამაღლებს სადაზღვევო საქმეში ფერმერთა ჩართულობის დონეს. აგროდაზღვევის სფეროში სახელმწიფოს ჩარევა ასევე მიზნად ისახავს საკანონმდებლო რეგულირების დახვეწას.

თანამედროვე სადაზღვევო საქმე სათავეს იღებს დიდი ბრიტანეთის ეგრეთ წოდებულ საზღვაო დაზღვევიდან. 1601 წელს ინგლისის დედოფალმა ელისაბედ I მიიღო კანონი, რომელიც არეგულირებდა დაზღვევის მექანიზმებს. ამ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე შეიქმნა სპეციალური სასამართლოები, რომლებიც საზღვაო დაზღვევის სფეროში დავების გარჩევას ახორციელებდა. 1689 წლიდან სათავეს იღებს ლოიდის ისტორია, კერძოდ ედვარდ ლოიდის ყავის მაღაზიის ბაზაზე შეიქმნა სადაზღვევო ბროკერების კორპორაცია, რომელიც 1774 წელს მეფის ბრძანებით ოფიციალურად დამტკიცდა. მე-17 საუკუნეში ლონდონის ცნობილი ხანძრის შემდეგ აქტუალური გახდა ქონების ხანძრისგან დაზღვევის სახეობაც და დაფუძნდა სპეციალური სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც ხანძრისაგან აზღვევდნენ შენობა-ნაგებობებს. XIX საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება მსხვილი სადაზღვევო კომპანიების წარმოქმნა, დაზღვევის საჭირო სახეების განვითარება და სპეციალური სადაზღვევო ფონდების შექმნა. XX საუკუნეში დაზღვევამ შეიძინა ეკონომიკური დატვირთვა და გახდა როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული ფინანსური სისტემის მნიშვნელოვანი, მთავარი სექტორი.

საქართველოში დაზღვევის განვითარება უკავშირდება რუსეთში დაზღვევის განვითარების ეტაპებს, ხოლო 1921 წლიდან საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სადაზღვევო საქმიანობა სახელმწიფომ თავის ხელში აიღო. 1991 წლამდე საქართველოს დაზღვევის სისტემა გლობალური საბჭოთა სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო. 1925 წლის 18 სექტემბრიდან საბჭოთა კავშირში სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებაზე მონაწილეა აღებული ჰქონდა დაზღვევის სახელმწიფო კომპანია „გოსსტრახს“. სადაზღვევო საქმიანობის ყველა ოპერაცია ხორციელდებოდა საბჭოთა დეკრეტით დამტკიცებული ერთიანი წესებისა და ტარიფების საფუძველზე. სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია „გოსსტრახის“ განკარგულებაში იყო მოკავშირე რესპუბლიკებში მოქმედი სახელმწიფო სადაზღვევო საბჭოები. საბჭოთა სისტემაში სადაზღვევო საქმე განიხილებოდა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შევსების წყარო და დაზღვევა მთლიანად დამოკიდებული იყო სახელმწიფო ფინანსურ პოლიტიკაზე. დაზღვევის სახეები არ გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით და ქონებრივი დაზღვევის სახეები წარმოდგენილი იყო სოფლის მეურნეობაშიც.

საბჭოთა სადაზღვევო ბაზარზე წარმოდგენილი იყო ორი მონოპოლისტი: „გოსსტრახი“ და „ინგოსსტრახი“. სადაზღვევო ბაზარი იყო მკვეთრად ცენტრალიზებული, ხოლო სადაზღვევო საქმიანობა სახელმწიფოს მხრივ მკაცრად რეგულირებადი.

1940 წლის 4 აპრილს საბჭოთა კავშირის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის შესახებ“, რომლის საფუძველზეც კოლმეურნეობებში გაიზარდა ცხოველთა და ნათესების დაზღვევის ნორმები (მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე – 2-ჯერ, სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე – 20%-ით).

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირში სადაზღვევო სისტემის გაძლიერებას. 1948 წელს დამტკიცდა დებულება „სსრკ სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს და მისი ორგანოების შესახებ“, ამის საფუძველზე გაიზარდა სახელმწიფო სადაზღვევო ინსპექტირების როლიც.

1958 წლის 1 აპრილიდან მოკავშირე რესპუბლიკებს უფლებების გაფართოების მიზნით მთავარი სადაზღვევო სამმართველოს რესპუბლიკური ორგანოები გადავიდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში სახელმწიფო დაზღვევის დეპარტამენტის სახით, რომლის მოვალეობაში შედიოდა რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევების საკითხებში წესებისა და ინსტრუქციების დამტკიცება, დაზღვევის საქმიანობის წარმართვა და კოორდინაცია.

1960-1980 წლებში საბჭოთა კავშირში არსებული სავალდებულო დაზღვევის სისტემამ ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაიცვას სტიქიური უბედურებებისგან.

1959 წლის 7 დეკემბერის სსრკ უზენაესი საბჭოს დადგენილებით „ნაწილობრივი ცვლილებების შესახებ“, 1940 წლის 4 აპრილს მიღებულ კანონში შევიდა ცვლილებები „ხელფასის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“. ამ დადგენილების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო კულტურების სავალდებულო დაზღვევის უზრუნველყოფის ოდენობა გაიზარდა სახელმწიფოში განსაზღვრული მოსავლის საშუალო ღირებულების 40%-მდე. მაგალითად საშემოდგომო ხორბლის ერთი ჰექტრის ნათესი ადრე დაზღვეული იყო 10 მანეთით, ხოლო ცვლილებების შემდეგ გახდა 41 მანეთი, სავალდებულო დაზღვევის დასაფარი თითოეულ ცხოველზე (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვზე) გაიზარდა 60 მანეთიდან – 80 მანეთამდე.

საბჭოთა კავშირში 1960 წლიდან 30 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა სახელმწიფო დაზღვევის სისტემა, რომელიც შედგებოდა სავალდებულო და ნებაყოფლობითი ქონებრივი და პირადი დაზღვევისაგან.

საბჭოთა სადაზღვევო სისტემასთან ერთად, საინტერესოა ევროკავშირის აგროდაზღვევის სისტემის გაანალიზება. ევროკავშირის ქვეყნებში აგროდაზღვევის სახელმწიფო მხარდაჭერა ხორციელდება, როგორც სახელმწიფოების ისე ევროკავშირის დონეზე.

ევროკავშირის ბიუჯეტიდან აგროდაზღვევის დაფინანსების პრინციპებს განსაზღვრავს ევროკავშირის საერთო აგრარული პოლიტიკის დოკუმენტი. ევროკავშირის ქვეყნებში აგროდაზღვევის მხარდაჭერა ხორციელდება რამდენიმე მოდელით, აქედან ყველაზე გავრცელებულია დაზღვევის სახელმწიფო მხარდაჭერა, ასევე არსებობს ურთიერთ დაზღვევის ფონდები. 2015 წლიდან აგროდაზღვევის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული იქნა აგრარიერების შემოსავლების სტაბილიზაციის მოდელი, რომელიც მუშაობს ურთიერთ დახმარების ფონდებთან და დანაკარგების გარკვეული ნაწილის კომპენსირების საშუალებას იძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფონდების მონაწილეთა შემოსავალი შემცირდება წინა სამი წლის პერიოდთან შედარებით 30%-ით.

იგი მიჩნეულია ევროკავშირის ქვეყნებში ერთ-ერთ ეფექტიურ მოდელად. 2015-2018 წლებში ესპანელმა აგროსაწარმოებმა ყოველწლიურად მიიღეს 700 მლნ ევროზე მეტი სადაზღვევო ანაზღაურება, ისეთი ბუნებრივი მოვლენების გავრცელების ხარჯზე, როგორცაა

წყინვები, გვალვები, ქარბორბალა და ა.შ. ესპანეთი არ იღებს ევროკავშირის ხაზით აგროდაზღვევის დაფინანსებას. ესპანელი ფერმერები დაფინანსებას იღებენ ესპანეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან (ENESA) და რეგიონული ბიუჯეტიდან. ესპანეთის აგროდაზღვევის მოდელის თავისებურება მდგომარეობს დაზღვევის პროგრამების მრავალფეროვნებაში. ესპანეთში სახელმწიფოს მიერ სუბსიდირდება 44 სადაზღვევო პროგრამა, აქედან 28 არის რისკების დაზღვევის პროგრამა, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან, 12 – ცხოველების დაზღვევის, 3 პროგრამა აზღვევს აკვაკულტურებს და 1 პროგრამა ტყის ფონდს.

აგროდაზღვევა მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკის აგროინდუსტრიული სექტორის სპეციფიკასთან და ასოცირდება მრავალფეროვან რისკებთან, რომელთა უმრავლესობა კავშირშია ადამიანის კონტროლის მიღმა არსებულ ფაქტორებთან (ბუნებრივი და კლიმატური პირობები, სტიქიური მოვლენები და ა.შ.). ყოველივე ეს კი განსაზღვრავს აგროდაზღვევის ისეთ თავისებურებებს, როგორცაა:

- არასაკმარისი საინფორმაციო ბაზა;
- სავარაუდო რისკების გაანგარიშების სირთულე;
- მზღვეველის მიერ ერთსა და იმავე ზონაში განლაგებული ყველა დაზღვეულის ზარალის ანაზღაურების აუცილებლობა. მაგალითად არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოუსავლიანობის შედეგად, რომელიც აისახება მზღვეველის გადახდების დონეზე;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოუსავლიანობაზე კონკრეტული ფაქტორების ზემოქმედების მკაფიო შეფასების სირთულე.

აქედან გამომდინარე, აგროდაზღვევას აქვს სპეციფიკური ხასიათი, როგორც სადაზღვევო ობიექტების სიმრავლის, ისე სადაზღვევო თანხებისა და სადაზღვევო ვალდებულებების გაანგარიშების თავისებურებების მხრივ.

ექსპერტთა შეფასებით ეფექტიანი აგროდაზღვევის სისტემა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. **ნებაყოფლობითობა**, ანუ სოფლის მეურნეობის რისკის დაზღვევა არ ემსახურება მესამე მხარის ინტერესებს და იგი ეხება მხოლოდ ფერმერების, მეწარმეების, ნათესი ფართობებისა და ფერმების მესაკუთრეთა სტატუსის მქონე პირთა რისკის მართვის სტრატეგიას. ამდენად სოფლის მეურნეობის დაზღვევა ეფუძნება ნებაყოფლობითობის პრინციპს. იმ ქვეყნებში, სადაც დაზღვევა თავიდან სავალდებულო იყო, განხორციელებული რეფორმების შედეგად იგი თანდათან გადავიდა ნებაყოფლობითობის პრინციპებზე;

2. **რისკების მართვა**. დაზღვევა უნდა გახდეს რისკების მართვის ელემენტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისათვის;

3. **მრავალფეროვნების პრინციპი**. ანუ მზღვეველს უნდა ჰქონდეს თავისუფლება აირჩიოს მისთვის შესაფერისი სადაზღვევო პროდუქტი დაზღვევის ღირებულების შესამცირებლად. ფერმერს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გამოირიცხოს ის რისკები, რომელიც შეუსაბამოა მისი რეგიონისათვის და რეგიონის სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის. ამასთან ერთად ფერმერებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად აირჩიონ კულტურათა მოსავლიანობის დონე, რომელზეც გავრცელდება დაზღვევა. სუბსიდირებული დაზღვევა ბანკების მიერ მიღებული უნდა იქნეს გირაოს სახით, ასევე აუცილებელია დაზღვევის განვითარება კლიმატის ინდექსის გათვალისწინებით, ანუ დაზღვევის სახის არჩევა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მინიმუმამდე დავიყვანოთ ზარალის ანაზღაურებებისათვის საჭირო ხარჯები;

4. **სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ეფექტიანი წარმოების სტიმულირების პრინციპი.** დაზღვევამ ხელი უნდა შეუწყოს ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას სოფლის მეურნეობაში, რომლებიც ამცირებენ მწარმოებელთა რისკებს, ხოლო მოუსავლიანობის დანაკლისის გამოთვლა უნდა განხორციელდეს საკუთარი მეურნეობის (ფერმის) მაჩვენებლების მიხედვით და არა რეგიონის საშუალო დონის მაჩვენებლებით;

5. **სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების სუბსიდირებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპი.** ფერმერებს შორის კონკურენციის შენარჩუნების მიზნით სახელმწიფო სუბსიდიები გაცემული უნდა იქნეს თანაბარი ოდენობით, მიუხედავად არსებული სუბიექტებისა და მეურნეობის ტიპისა;

6. **დაბალანსებულობის პრინციპი.** სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდირების ოდენობა პირდაპირ პროპორციული უნდა იყოს სოფლის მეურნეობის დაზღვევაზე მოთხოვნის სიდიდისა. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს სუბსიდირების დამატებითი განაწილების მექანიზმი, იმ შემთხვევაში როდესაც სუბსიდიებზე განაცხადები აღემატება გამოყოფილი თანხების მთლიან რაოდენობას;

7. **სუბსიდირების გამჭვირვალობის და გამართული ფუნქციონირების პრინციპი.** სუბსიდიების გაცემის მთელი მექანიზმი უნდა იყოს მარტივი და გამჭვირვალე. ასევე სანქციები უნდა იყოს გათვალისწინებული სუბსიდიების გაცემის ვადების დარღვევისათვის;

8. **სადაზღვევო დაცვის საიმედო და მრავალდონიანი სისტემის შექმნის პრინციპი.** სოფლის მეურნეობის დაზღვევის სპეციფიკა და მისი მაღალი სოციალური მნიშვნელობა, მოითხოვს ამ სფეროში მონაწილე სადაზღვევო კომპანიების სანდოობისათვის დამატებითი მოთხოვნების დაწესებას. სისტემის საიმედოობის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია აგროდაზღვევის მრავალდონიანი სისტემის შექმნა, გადაზღვევის პულის ორგანიზებით ან სახელმწიფო გადამზღვევი კომპანიის ჩართვით;

როგორც განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, სოფლის მეურნეობის დაზღვევის საწყის ეტაპზე სადაზღვევო კომპანიებს, როგორც წესი, უჭირთ მაღალი ხარისხის გადაზღვევის სისტემის დაცვა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო გვევლინება, როგორც გადამზღვევი. გარკვეული პერიოდის შემდეგ მზღვეველებისათვის უფრო მომგებიანი ხდება გადაზღვევა საერთაშორისო გადამზღვევ კომპანიებში;

**დამოუკიდებელი ექსპერტიზის ინსტიტუტის არსებობის სავალდებულო ხასიათი.** სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის და ზარალების გადახდის დარეგულირების ეს სისტემა დაფუძნებული უნდა იყოს დამოუკიდებელ ექსპერტიზაზე, რომლის მიზანია დავების რაოდენობის შემცირება და მზღვევლსა და დაზღვეულს შორის ნდობის გაზრდა.

საქართველოს აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა 2014 წლიდან დღემდე სისტემატურად იხვეწება და დღეისთვის საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული პროგრამა მაღალი შედეგიანობით მუშაობს. ამავე დროს, ჩნდება ახალი გამოწვევები და შესაძლებლობები, რომელთა გამოყენებითაც მიღწეული უნდა იქნეს აგროდაზღვევის მიმართულებით საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წ.წ. სტრატეგიით განსაზღვრული მთავარი მიზანი. კერძოდ, აგრარულ სექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა და სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რაც იმას ნიშნავს, რომ გაიზარდება დაზღვეული ფერმერების რაოდენობა და აგროკულტურების დაზღვეული ფართობები, ასევე დაზღვევა მოიცავს მეცხოველეობის დარგში არსებულ რისკებსაც.



კვლევის შედეგებიდან ნათელი ხდება, აგრარული დაზღვევის განვითარებაში სახელმწიფოს ჩარევის და მხარდაჭერის მნიშვნელობა, როგორც საკანონმდებლო, ასევე ფისკალურ დონეზე. ამასთან, აგროდაზღვევა მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკის აგროინდუსტრიული სექტორის სპეციფიკას და ასოცირდება მრავალფეროვან რისკებთან, რომელთა უმრავლესობა კავშირშია ადამიანის კონტროლის მიღმა არსებულ ბუნებრივ მოვლენებთან.

### **აგროდაზღვევის უცხოური გამოცდილების თავისებურებანი**

თანამედროვე მსოფლიოში მთელი რიგი ეკონომიკური ფაქტორების გამო მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო რისკების მრავალპროფილიანი დაზღვევა. სამწუხაროდ განვითარებად ქვეყნებში სახელმწიფო ჯერ-ჯერობით ვერ უზრუნველყოფს ფერმერთა საქმიანობის ფართო სპექტრით დაზღვევას. ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო აქტიურად არის ჩართული აგროდაზღვევის საქმიანობაში და დღეისათვის ევროპის ქვეყნებში დაზღვევის სამი მოდელი ფუნქციონირებს: პირველი სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი (საბერძნეთი), პარტნიორობაზე დაფუძნებული (ესპანეთი, პორტუგალია), კერძო სექტორის მიერ კონტროლირებადი (გერმანია, დიდი ბრიტანეთი).

აგროდაზღვევის (ისევე, როგორც დაზღვევის სხვა სახეობების) ხარისხი დამოკიდებულია რისკთან დაკავშირებული მონაცემებისა და არსებული ინფორმაციის ხარისხზე. ეს ეხება მოსავლის სიდიდეს, ფასთა დინამიკას, ამინდს, ტექნოლოგიებს და ფინანსურ მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. სანდო და საკმარისი მონაცემების/ ინფორმაციის გარეშე სადაზღვევო კომპანიები (და ვერც სახელმწიფო) ვერ შექმნიან რეალურ, ხარისხიან სადაზღვევო პროგრამას. აგროდაზღვევის განვითარებული სისტემის მქონე ქვეყნებში (ამათგან ყველაზე ძლიერად მიიჩნევა აშშ, კანადა და ესპანეთი) სახელმწიფო ხელს უწყობს სადაზღვევო კომპანიებს სათანადო მონაცემების/ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში, დაგროვებასა და ანალიზში. მაგალითად, კანადასა და ესპანეთში ყველა ფერმერი რომელიც იღებს სუბსიდიას სახელმწიფოსგან (დაზღვევის ნაწილში), ვალდებულია სახელმწიფოს და სადაზღვევო კომპანიებს მიაწოდოს დაწვრილებითი მონაცემები მოსავლიანობასთან დაკავშირებით. სადაზღვევო კომპანიებს აქვთ დაზღვეული ნათესების ნებისმიერ დროს დათვალიერების, ექსპერტიზისა და რისკების ადგილზე შეფასების უფლება. ამის მთავარი პრინციპი ისაა, რომ სადაზღვევო კომპანიამ ჯერ დეტალურად უნდა გაანალიზოს რისკი და მხოლოდ ამის მერე შეძლებს ის აგრომეწარმისათვის რეალური და საუკეთესო სადაზღვევო პირობების შეთავაზებას [საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აგროდაზღვევის განვითარების სტრატეგია 2021-2024 წლები].

კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა საქართველის მეზობელი ქვეყნის – თურქეთის აგროდაზღვევის გამოცდილება. თურქეთში აგროდაზღვევა რეგულირდება კანონით „სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის შესახებ“, აგროდაზღვევის დღეს მოქმედი სისტემა სათავეს იღებს 2005 წლიდან. დღეისათვის თურქეთში აგროდაზღვევას ახორციელებს აგროდაზღვევის პულის მართვის კომპანია – TARSIM, რომელიც არის სადაზღვევო კომპანიების ნებაყოფლობითი გაერთიანება. ამ გაერთიანებაში შედის 22 კომპანია. პულში შემავალი ყველა სადაზღვევო კომპანია რისკებსა და სადაზღვევო პრემიის 100% გადასცემს TARSIM-ს.

აგროდაზღვევის პულების მართვის კომპანია – TARSIM ფარავს შემდეგ რისკებს: სტიქიური უბედურებები (სეტყვა, ქარიშხალი, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, მეწყერი, ყინვა – მხოლოდ სოფლისათვის); მეცხოველეობაში დაზღვეულია ყველა რისკი ეპიდემიური დაავადებების გარდა; აგროდაზღვევა ვრცელდება მცენარეულ კულტურებზე; მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვზე; ფრინველზე; თევზსა და ფუტკარზე. თურქეთის მთავრობა უზრუნველყოფს

სადაზღვევო პრემიის 50%-იან სუბსიდირებას, ხოლო გვალვის რისკები დაფუძნებულია გვალვის რეგიონულ ინდექსზე და ხდება პრემიის 60%-ის სუბსიდირება. სუბსიდირება შეეხება მხოლოდ თურქეთის ფერმერთა სარეგისტრაციო სისტემაში რეგისტრირებულ ფერმერებს.

აგროდაზღვევის სისტემაში ზარალის ანაზღაურება ხდება დაზარალებული ფერმერების შეტყობინების საფუძველზე, ინდივიდუალურად ზარალის შეფასების გზით (ცხრილი 1).

**ცხრილი 1.**

**თურქეთის აგროდაზღვევის სტატისტიკური და ფინანსური მაჩვენებლები 2018 წელს**

მაჩვენებლები	სიდიდე ( აშშ დოლარი)
ჯამური სადაზღვევო თანხა	8,7 მლრდ აშშ დოლარი
ჯამური სადაზღვევო პრემია	423,6 მლნ აშშ დოლარი
მ.შ. სახელმწიფო თანადაფინანსება	212,3 მლნ აშშ დოლარი
ანაზღაურებელი ზარალი	220,0 მლნ აშშ დოლარი
პოლისების რაოდენობა	1 756 000 ერთეული

წყარო: [web.tarsim.gov.tr](http://web.tarsim.gov.tr)

სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის სქემები ევროპასა და აშშ-ში სათავეს იღებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან და შემდგომ იგი თანდათან იხვეწებოდა. აშშ-ს აგროდაზღვევაში სახელმწიფოს აქტიური თანამონაწილეობა დაიწყო 1938 წლიდან, როდესაც კანონში „სოფლის მეურნეობის საქმიანობის რეგულირების შესახებ“ შევიდა შესწორება, რომლითაც ნებადართული იქნა სახელმწიფოს ფედერალური მონაწილეობა მოსავლის დაზღვევაში.

ზოგიერთ ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობდა აგროდაზღვევის სავალდებულო სახით შემოღება, მაგრამ ამ სისტემამ არ გაამართლა და დღეისთვის მიჩნეულია, რომ აგროდაზღვევის ყველაზე მართებული ფორმაა – ნებაყოფლობითი, ანუ ფერმერს უნდა გააჩნდეს რისკების მართვის საკუთარი არჩევანი. მაგალითად, ახალ ზელანდიაში სავალდებულოა აგროდაზღვევა მხოლოდ კვიის მწარმოებლებისათვის, იაპონიაში სავალდებულოა ფერმერებისათვის, რომლებიც 4 აკრზე (16,19 მ<sup>2</sup>) მეტ მიწას ფლობენ. ინდოეთში, არგენტინასა და ბრაზილიაში დაზღვევა სავალდებულოა ფერმერებისათვის, რომლებიც აგრორისკებით სარგებლობენ.

თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ აგროდაზღვევის სისტემად მიჩნეულია ესპანური მოდელი. ეს აიხსნება იმით, რომ სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგს და კვლევაში ყურადღება გამახვილებული იქნა სწორედ ესპანური აგროდაზღვევის სისტემაზე.

პირველი პროგრამა მოიცავდა ვაზის, თამბაქოს, ვაშლის, ციტრუსების და ზამთრის მარცვლეულის დაზღვევას სეტყვისა და ყინვისაგან. დღეისათვის აგროდაზღვევის სისტემა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე ვრცელდება, სისტემა ასევე ფარავს პირუტყვის და ფრინველის დაზღვევას.

ესპანეთის აგროდაზღვევის ეროვნული სააგენტო (EWESA) წარმოადგენს სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და სურსათის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ უწყებას.

ესპანეთის აგროდაზღვევის სისტემა ეფუძნება სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობას. მის შემადგენლობაში შედიან:

1. სოფლის მეურნეობის, მეთევზეობის და სურსათის სამინისტრო, აგროდაზღვევის ეროვნული სააგენტო (EWESA), ავტონომიური თემების რეგიონული დეპარტამენტი, ეკონომიკის და მეწარმეობის სამინისტრო და დაზღვევისა და საპენსიო ფონდების გენერალური დირექტორატი;
2. დაზღვეულები, რომელთა ინტერესებსაც წარმოადგენს აგრარულ-პროფილური ორგანიზაციები და აგროსასურსათო კოოპერატივები;

3. კერძო სადაზღვევო კომპანიების გაერთიანება (პული), რომელიც იმართება კომბინირებული აგროდაზღვევის კომპანიების ასოციაციის AGROSEGURO-ს მიერ.

ესპანეთში სახელმწიფო ახდენს სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას, ხოლო დანარჩენ ნაწილს იხდის დაზღვეული, რომელიც სუბსიდიის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ (მინიმალური მოთხოვნები მოსავლისადმი) და ადმინისტრაციულ (საგადასახადო ვალდებულებების შესრულება) პირობებს. სადაზღვევო პრემიის სიდიდე საშუალოდ 29%-ია, მაგრამ ცალკეული კულტურების მიხედვით განსხვავებულია, მაგალითად ხილისათვის იგი შეადგენს 35%-ს, ბოსტნეულისათვის – 25%-ს, ციტრუსებისათვის – 40%-ს. ფრანშიზის სიდიდე სხვადასხვა ობიექტებისათვის სხვადასხვაა და მერყეობს 10-30%-ის ფარგლებში. ზარალების რეგულირება პოლისების სახეობების მიხედვით ხდება. ზარალის განსაზღვრა ხორციელდება როგორც ინდივიდუალური ზარალების შეფარდებით, ისე ინდექსების გამოყენებით.

AGROSEGURO-ს სტატისტიკურ მონაცემებზე წარმოდგენას გვამლევს ცხრილი 2.

**ცხრილი 2.**

**ესპანეთის აგროდაზღვევის სტატისტიკური და ფინანსური მაჩვენებლები (2018 წელი)**

მაჩვენებლები	სიდიდე
ჯამური სადაზღვევო თანხა	14 მილიარდი ევრო
ჯამური სადაზღვევო პრემია	800 მლნ. ევრო
მ.მ. სახელმწიფო თანადაფინანსება	230 მლნ. ევრო
ანაზღაურებელი ზარალი	705 მლნ. ევრო
პოლისების რაოდენობა	400 000

**წყარო:** AGROSEGURO-ს მასალები. [www.agroseguro.es](http://www.agroseguro.es)

აგროდაზღვევის სექტორში რისკების დაზღვევის საინტერესო გამოცდილება გააჩნია კანადას. კანადაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების მონიტორინგის მიზნით გამოიყენება კოსმოსური სატელიტური თანამგზავრებიდან გადაღებული ფოტოსურათები. სატელიტებიდან გადაღებული ფოტოსურათები საშუალებას იძლევა მივიღოთ სანდო ინფორმაცია ნათესი ფართობების შესახებ, თესვის აგროვადებსა და მოსავლიანობაზე. კანადაში ასეთი სახის დაზღვევაზე პირველი პროექტი სამოვრების დაზღვევა იყო. ამ ტექნოლოგიის ფართო გამოყენება დაიწყო ასევე განვითარებადმა ქვეყნებმაც. სატელიტური თანამგზავრებიდან გადაღებული ფოტოსურათებით ნათესი ფართობების მოსავლიანობის მონიტორინგი ასევე დაიწყო ყაზახეთმაც თავისი პირობებისათვის [Радшан Бокушево, Олаф Хаидельбах, Талгат Кусеипов - Страхование посевов в Казахстане. IАМО. 2007, сг.20].

აგროდაზღვევის უცხოური გამოცდილების კვლევამ დაგვანახა, რომ თანამედროვე მსოფლიოში უდიდესი ყურადღება ექცევა აგრარულ სექტორში არსებული რისკების მართვას და ამ საქმეში სადაზღვევო მექანიზმის გამოყენებას. საქართველომ ახლო მომავალში მიზანმიმართულად უნდა უზრუნველყოს წარმატებული უცხოური გამოცდილების დანერგვა საკუთარი აგრარული სექტორის გაძლიერების საქმეში.

**სადაზღვევო ბაზრის განვითარება საქართველოში**

სადაზღვევო ბაზრის განვითარება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ვინაიდან მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის საინვესტიციო მიმზიდველობა. სადაზღვევო ბაზრის განვითარების გარეშე საქართველოს ეკონომიკის ბევრი სექტორის განვითარება წარმოუდგენელია.

საქართველოს დამოუკიდებელი სადაზღვევო საქმიანობა სათავეს იღებს მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1997 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი „დაზღვევის შესახებ“, რომელიც მასში შეტანილი გარკვეული ცვლილებებით დღესაც მოქმედებს. კანონის შესაბამისად შეიქმნა სახელმწიფო სტრუქტურა „სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“. დროის ამ პეროდში დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა, რომლის მიზანი ქვეყანაში მდგრადი სადაზღვევო ბაზრის ფორმირებაა.


2007 წლის 23 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის №483-ე ბრძანებულების საფუძველზე ეროვნულ ბანკთან შეიქმნა საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო, რომლის ფუნქციასაც შეადგენდა სახელმწიფოს ზედამხედველობა საფინანსო სექტორის საქმიანობაზე. მის კომპეტენციაში შედიოდა სადაზღვევო ბაზრის რეგულირებაც. 2009 წლის 1 დეკემბერს განხორციელდა საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ლიკვიდაცია და მისი ფუნქცია გადაეცა საქართველოს ეროვნულ ბანკს. ეროვნულმა ბანკმა ვერ უზრუნველყო სადაზღვევო სექტორის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. სადაზღვევო ბაზრის ფორმირების პროცესში სახეზე იყო მთელი რიგი გადაუჭრელი პრობლემები, რომელიც ხელს უშლიდა სადაზღვევო საქმის განვითარებასა და საქართველოში მდგრადი სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში დაბალია სადაზღვევო კულტურა, რომელიც სადაზღვევო ბაზრის ფორმირებაში მრავალ პრობლემას ქმნის. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც სადაზღვევო კომპანიები არ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. აღნიშნული პრობლემების დარეგულირების მიზნით საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის №102 ბრძანებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახური“ [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2013 წ.], რომელიც წარმოადგენს ქვეყანაში სადაზღვევო ბაზარზე სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უმნიშველოვანეს ინსტრუმენტს. აღნიშნული სამსახურის ფუნქციებია: დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, სადაზღვევო ბაზრის ფუნქციონირების ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, მოქმედი სადაზღვევო კომპანიების ქმედითუნარიანობის გაზრდა და სადაზღვევო ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნა.

საქართველოში 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით რეგისტრირებულია 18 სადაზღვევო კომპანია, რომლებიც ფლობენ სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების მრავალფეროვან პროექტებს. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მათი ფუნქციონირების შედეგებზე წარმოდგენას გვაძლევს დიაგრამა 1. კერძოდ, პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ 2017 წელს 441,4 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 2021 წელს კი 772,7 მლნ ლარი ანუ გაიზარდა 175,0 %-ით.

ამავე პერიოდში მზღვეველის სადაზღვევო მოგებამ 2017 წელს შეადგინა (დიაგრამა 2) 20,3 მლნ ლარი, 2018 წელს 140,0 მლნ ლარი, ხოლო 2021 წელს 172,0 მლნ ლარი ანუ 2017 წელთან შედარებით სადაზღვევო მოგება გაიზარდა 8,5 ჯერ. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ყველაზე მაღალი სადაზღვევო მოგება მიღებული იქნა 2020 წელს და მან შეადგინა 172,5 მლნ ლარი. აქ მხედველობაში მისაღებია პანდემიის გავლენაც, რამაც გარკვეულწილად იმოქმედა 2021 წელს სადაზღვევო კომპანიების საქმიანობაზე, რის შედეგადაც 2021 წელს სადაზღვევო მოგება გაიზარდა უმნიშვნელოდ, ხოლო 2022 წლის 6 თვის შედეგების მიხედვით სადაზღვევო მოგებამ შეადგინა 91,8 მლნ ლარი.

დიაგრამა 1.


სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემიის დინამიკა (მლნ ლარი)



წყარო: დაზღვევის სახ. ზედამხედველობის სამსახურის მასალები (<http://insurance.gov.ge>)

დიაგრამა 2.

მზღვეველთა სადაზღვევო მოგება 2017 – 2021 წლებში



წყარო: დაზღვევის სახელმწიფო სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მასალები (<http://insurance.gov.ge>)

სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია სადაზღვევო აქტივების ჯამური მოცულობა, რომელზეც საკვლევ პერიოდში წარმოდგენას გვაძლევს ცხრ.3.

ცხრილი 3.

საქართველოს სადაზღვევო კომპანიების აქტივების ჯამური მოცულობა 2017 – 2021 წლებში

წლები	2017	2018	2019	2020	2021	2021 წლის 2017 წელთან, %
აქტივები						
მლნ ლარი	580.2	743.0	799.0	915.8	985.4	169. 8

წყარო: დაზღვევის სახელმწიფო სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მასალები

ცხრილის ანალიზიდან ჩანს, რომ საკვლევ პერიოდში სახეზე გვაქვს სადაზღვევო კომპანიების აქტივების ზრდის აღმავალი დინამიკა. იგი 2017 წელს 580.2 მლნ ლარიდან გაიზარდა და 2021 წლისათვის შეადგინა 985.4 მლნ ლარი, ანუ საკვლევ პერიოდში სახეზე გვაქვს აქტივების 169.8%-იანი ზრდა, რაც მეტად დადებითი მაჩვენებელია. სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების კუთხით დიდი მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო კომპანიების კაპიტალის მაჩვენებლების გაანალიზებას, რომელზეც წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 4.

**ცხრილი 4.**

**საქართველოს სადაზღვევო კომპანიების საკუთარი კაპიტალის მოცულობის დინამიკა  
2017 – 2021 წლებში**

წლები	2017	2018	2019	2020	2021	2021წლის 2017წელთან შედარებითი %-ბი
აქტივები						
მლნ. ლარი	154.2	222.0	235.0	279.1	324.1	2.1 ჯერ


წყარო: დაზღვევის სახელმწიფო სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მასალები

ცხრილი 4-ის ანალიზიდან ჩანს, რომ 2017-2021 წლების განმავლობაში საქართველოს სადაზღვევო კომპანიების საქმიანობაში სახეზეა კაპიტალის ზრდის დინამიკა. კერძოდ, 2017 წლისათვის საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების საკუთარი კაპიტალის მთლიანი ღირებულება შეადგენდა 154.2 მლნ ლარს, ხოლო 2021 წლისათვის მან შეადგინა 324.1 მლნ ლარი, ანუ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში კომპანიების საკუთარი კაპიტალი გაიზარდა 2,1 ჯერ.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვის პროცესში საინტერესოა მოზიდულ სადაზღვეო პრემიაში კომპანიების წილობრივი მონაწილეობა, რომელიც 2020-2021 წლებში ასე გამოიყურება (დიაგრამა 3).

**დიაგრამა 3.**

**მოზიდული სადაზღვევო პრემია კომპანიების მიხედვით (მლნ. ლარი)**



წყარო: დაზღვევის სახ. ზედამხედველობის სამსახურის მასალები <http://insurance.gov.ge>

მოზიდულ სადაზღვევო პრემიაში სადაზღვევო კომპანია „ჯიპიას“ წილმა 2020 წელს 128.9 მლნ ლარი, ხოლო 2021 წელს 140.4 მლნ ლარი შეადგინა. მეორე ადგილზე წარმოდგენილია „ალდაგი“, რომლის მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ 2020 წელს შეადგინა 106.9 მლნ ლარი, ხოლო 2021 წელს – 123.2 მლნ ლარი, მესამეზეა „თიბისი“ დაზღვევა, რომლის მიერ მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ 2020 წელს შეადგინა 89.3 მლნ ლარი, ხოლო 2021 წელს – 115.9 მლნ ლარი, მეოთხე ადგილზე წარმოდგენილია „იმედი-L“, რომლის მიერ მოზიდულმა პრემიამ 2020 წელს შეადგინა 71.7 მლნ ლარი, ხოლო მეხუთე ადგილზეა „არდი“, რომლის მიერ მოზიდულმა პრემიამ 2020 წელს შეადგინა 59.6 მლნ ლარი, ხოლო 2021 წელს კი – 67.4 მლნ ლარი.

საკვლევ პერიოდში სადაზღვევო ბაზრის შესწავლისას ასევე გაანალიზებული იქნა მოზიდული სადაზღვევო პრემია დაზღვევის სახეობების მიხედვით, რომლის პირველი ათეული ასე გამოიყურება (ცხრილი 5).

ცხრილი 5.

მოზიდული სადაზღვევო პრემია დაზღვევის სახეობების მიხედვით  
2020 -2021 წლებში (მლნ ლარი)

დაზღვევის სახეობები	პრემია მლნ ლარი	
	2020	2021
1. სამედიცინო(ჯანმრთელობის) დაზღვევა	267.6	305.5
2. სახმელეთო-სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა რკინიგზისა)	116.7	143.2
3. ქონების დაზღვევა	108.3	118.5
4. სიცოცხლის დაზღვევა	50.4	60.0
5.სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებისას სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	38.7	44.4
6. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	25.3	29.3
7. უბედური შემთხვევის დაზღვევა	14.2	14.4
8. ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	11.2	12.0
9. დაზღვევა საფინანსო დანაკარგებისგან	8.7	10.8
10. ტვირთების დაზღვევა	8.7	10.3

წყარო: დაზღვევის სახელმწიფო სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მასალები  
<http://insurance.gov.ge>.

პირველ ადგილზე წარმოდგენილია სამედიცინო დაზღვევა, რომლის მიერ მოზიდულმა პრემიამ 2021 წელს შეადგინა 305.5 მლნ ლარი, მეორე ადგილზეა სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა 143.2 მლნ ლარი, მესამე ადგილზე მოდის ქონების დაზღვევა 115.5 მლნ ლარი, მეოთხე ადგილი უკავია სიცოცხლის დაზღვევას 60.0 მლნ ლარი, მეხუთე ადგილზეა სახმელეთო ტრანსპორტზე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა 44.4 მლნ ლარით, მეექვსე ადგილზე – სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა 29.3 მლნ ლარი, მეშვიდე ადგილზე – უბედური შემთხვევის დაზღვევა 14.4 მლნ ლარი, მერვე ადგილზე – ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა 12.0 მლნ ლარით, მეცხრე ადგილზე მოდის საფინანსო დანაკარგების დაზღვევა 10.8 მლნ ლარით, ხოლო მეათე ადგილზე – ტვირთების დაზღვევა 10.3 მლნ ლარით.

აღნიშნულ პერიოდში მოზიდულ სადაზღვევო პრემიებში დაზღვევის სახეობების მიხედვით საერთოდ არ ფიგურირებს აგროდაზღვევა, მაშინ როდესაც დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებში დაფიქსირებულია დაზღვევის 18 სახე. აქვე უნდა დავძინოთ, რომ საქართველოში როგორც აგრარულ ქვეყანაში, ძალზე უმნიშვნელოდ არის

წარმოდგენილი სადაზღვევო საქმიანობაში აგროდაზღვევის ხვედრითი წილი და ფაქტიურად დაზღვევის ეს სახე დაზღვევის სახეობებშიც ვერ მოხვდა. მაშინ, როდესაც ცალკეულ სახეობებში სადაზღვევო კომპანიების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება (ცხრილი 6).

ცხრილი 6.

**სადაზღვევო კომპანიების ხვედრითი წილი მოზიდულ პრემიაში დაზღვევის სახეების მიხედვით. 2021 წელს (მლნ ლარი)**

დაზღვევის სახეობები	ჯიპიაი %	ალდაგი %	თიბისი %	უნისონი %	ირაო %	სხვა %
ქონების დაზღვევა	10	38.7	15	20	7	15
სიცოცხლის დაზღვევა	4.0	29	52.0	-	-	2.4
სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა	28	-	-	-	8	22.0

წყარო: დაზღვევის სახ. ზედამხედველობის სამსახურის მასალები <http://insurance.gov.ge>.

მაგალითად, ქონების დაზღვევის სიაში პირველ ადგილზეა ალდაგი – 38.7%, შემდეგ მოდის უნისონი – 20%, თიბისის დაზღვევა – 15% და ჯიპია – 10%. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ სადაზღვევო კომპანიებს გააჩნია ლიცენზია აგროდაზღვევის სექტორში, მათ მიერ მოზიდულ პრემიებში ძალზე უმნიშვნელოა აგროდაზღვევის ხვედრითი წილი, რაც დამაფიქრებელია, რადგან დაზღვევის ეს სფერო საქართველოსათვის მნიშვნელოვანი ღირებულების მატარებელია. თანდათან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დაზღვევის ამ სახეობის განვითარებას, ვინაიდან ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სწორედ აგრარულ სექტორში არსებული რისკების დაზღვევაზე, რადგან ფერმერული მეურნეობებისათვის ძნელია აგრარული წარმოების განვითარება ამ სექტორში არსებული რისკების დაზღვევის გარეშე.

**აგრარული დაზღვევა საქართველოში და მისი თავისებურებანი**

აგროდაზღვევა აგრორისკების მართვის მაღალეფექტიანი მექანიზმია, რომელიც აბალანსებს სისტემაში ჩართული პირების ინტერესებს, კერძოდ: ფერმერს უნაზღაურებს ზარალს და საქმიანობის გაგრძელების საშუალებას აძლევს; პორტფელის კარგად დაბალანსების შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიები ახორციელებენ დაზღვევას და იღებენ მოგებას; საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებს აქვთ გაცემული კრედიტების დაბრუნების საშუალება და დარგის სამომავლოდ დაფინანსების მოტივაცია; სახელმწიფო, ზარალის სრულად დაფარვის ნაცვლად, აფინანსებს რისკების მხოლოდ ნაწილს, რადგანაც სისტემის კარგად მოწყობის შემთხვევაში რისკები ნაწილდება სახელმწიფოს, სადაზღვევო კომპანიებსა და დაზღვეულებს შორის.

აგრარული სექტორის დაზღვევა დამოუკიდებელ საქართველოში სათავეს იღებს 2000-იანი წლებიდან და სამწუხაროდ დღეისთვისაც ვერ მიაღწია სათანადო განვითარებას, რასაც ემატება არასრული საკანონმდებლო ბაზა, აგროდაზღვევის სფეროში მომუშავე კომერციული სადაზღვევო კომპანიების ინტერესები, რომლებიც აგროდაზღვევის სექტორს არამიმზიდველად მიიჩნევენ, რადგან სოფლის მეურნეობა რისკებთანაა დაკავშირებული (საბაზრო, ინსტიტუციური და საწარმოო რისკები). სოფლის მეურნეობის განვითარებაში კლიმატურ-



გეოგრაფიული, ნიადაგობრივი პირობები დიდ როლს თამაშობს და ამასთან ერთად ამ ფაქტორების გაკონტროლება და მართვა აგრარული სფეროს უმთავრეს რისკს წარმოადგენს. საბოლოო ჯამში ქვეყანაში გამართული აგროდაზღვევის ბაზრის არ არსებობა უარყოფით გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

ბუნებრივ-კლიმატური მოვლენები (სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, ყინვა, გვალვა) სერიოზულ ზიანს აყენებს მოსავალის მოყვანას, რაც სოფლად არსებულ ფერმერულ და საოჯახო მეურნეობებს ფინანსურად მოწყვლადს ხდის. აგროდაზღვევის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით 2014 წლიდან სახელმწიფომ სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის პროექტი (აგროდაზღვევა) წამოიწყო. აღნიშნული პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ბაზრის მხარდაჭერა წარმოებაში არსებული რისკების შემცირების მიზნით და ფერმერების სტაბილური შემოსავლების უზრუნველყოფა. ამ პროგრამის ფარგლებში ფერმერებს საშუალება ეძლევათ დააზღვიონ მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომელთა ფართობები მაქსიმუმ 5 ჰა-ია, ხოლო მარცვლოვანი კულტურები მაქსიმუმ 30 ჰა-ზე. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, მათთვის სადაზღვევო ღირებულების მაქსიმუმი 50 000 ლარს შეადგენს და მათ მიწის ფართობზე შეზღუდვა არ გააჩნიათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014-2019 წლებში აგროდაზღვევას არეგულირებდა მთავრობის დადგენილება, რომელიც მოიცავდა შესაბამის მიმდინარე წელს. აქედან გამომდინარე, სადაზღვევო კომპანიები ფერმერებს აძლევდნენ მხოლოდ მიმდინარე წლის პოლისებს. 2020 წლის 10 აპრილს საქართველოს მთავრობის №236 დადგენილებით დამტკიცებული იქნა „აგროდაზღვევის პროგრამა“ და მისი განხორციელება დაევალა „ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის სააგენტოს“. პროგრამის განხორციელების მიზნით სააგენტო აფორმებდა/აფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებულ სადაზღვევო ორგანიზაციებთან, რომლებიც გამოთქვავენ სურვილს პროგრამაში მოაწილეობის მისაღებად.

პროგრამის ფარგლებში ერთწლიანი კულტურების დაზღვევისას გაიცემა სადაზღვევო პოლისები, რომლის ფარგლებშიც დაზღვეულია შესაბამისი კალენდარული წლის მოსავალი, ხოლო მრავალწლიანი კულტურების დაზღვევის შემთხვევაში გაიცემა ისეთი სადაზღვევო პოლისები, რომლის ფარგლებშიც დაზღვეულია მაქსიმუმ სამი კალენდარული წლის მოსავალი.

აღნიშნული დადგენილებით მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანისათვის გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურებების ოდენობა გამოიანგარიშება ორი მეთოდით, შემდეგნაირად:

ა) პირველის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება გამოითვლება ფორმულით: მისაღები მოსავლის ნამრავლი ზიანის პროცენტზე და ნორმატიულ და საბაზრო ფასს შორის უმცირესზე;

$$\text{სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა} = \text{რეალური ზარალი} \times \frac{\text{სადაზღვევო ლიმიტი}}{\text{მისაღები მოსავლის ღირებულება}}$$

ბ) მეორე შემთხვევაში რეალური ზარალი გამოითვლება ფორმულით:

რეალური ზარალი = მისაღები მოსავალი × სას.სამ.კულტურების ნორმატიულ ფასსა და საბაზრო ფასს შორის უმცირესზე (ლარი/კგ) × ზიანის %-ზე [საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის № 236 დადგენილება <http://www.matsne.gov.ge>].

2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს მთავრობის №387 დადგენილებით განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაზღვევის პირობები. მარცვლეულ კულტურებზე სააგენტოს თანამონაწილეობა განისაზღვრება 70%-ით, დამზღვეველის თანამონაწილეობა – 30%-ით, ხოლო სადაზღვევო ტარიფი 6,5%-ით, მრავალწლიან კულტურებზე ასევე განისაზღვრება სააგენტოს თანამონაწილეობა 70%-ით, მზღვეველის – 30%-ით, სადაზღვევო ტარიფი შეადგენს 8,0%-ს, გამონაკლისს წარმოადგენს ვაზი, სადაც სააგენტოს თანამონაწილეობა შეადგენს 50%-ს,

ხოლო მზღვეველისა 50%-ს, სადაზღვევო ტარიფი ტოლია 8,5%-ის. აგროდაზღვევის პროგრამის ბიუჯეტზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 7.

ცხრილი 7.

**აგროდაზღვევის პროგრამის ბიუჯეტი 2014 – 2021 წლებში ( მლნ ლარი)**

წლები	ბიუჯეტის გეგმა	ფაქტობრივი ათვისება
2014	10 000 000	872 649
2015	10 000 000	5 017 388
2016	9 000 000	8 470 018
2017	7 000 000	7 108 099
2018	9 000 000	4 787 468
2019	8 000 000	5 908 870
2020	9 000 000	8 421 407
2021	9 000 000	-

წყარო: გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014-2021 წლების მასალები.


როგორც ცხრილის ანალიზიდან ჩანს, აგროდაზღვევის პროგრამის გეგმიური ბიუჯეტი შესწავლილ პერიოდში 7-10 მლნ ლარის ფარგლებში მერყეობდა. სამწუხაროდ ფაქტიურად გამოყოფილი თანხებიდან არ ხდებოდა მათი სრული ათვისება. ცალკეულ წლებში, მაგალითად 2018 წელს, მისი ათვისება სანახევროდაც ვერ მოხდა, გამოყოფილი თანხების ათვისების ყველაზე მაღალმა პროცენტმა 2020 წელს შეადგინა 93,5%.

აგროდაზღვევის პირველი პროგრამის ფარგლებში (2014-2015 წ.წ.) სადაზღვევო პრემიის სახელმწიფო თანადაფინანსება შეადგენდა 92-95%-ს, 2015 -2016 წლებში 40-60%, 2016-2017 წლებში 50-80% და დამოკიდებული იყო სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე.

2018 წლიდან დღემდე თანადაფინანსება ვრცელდება მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მიწაზე და მისი სიდიდე ვაზისათვის შეადგენს 50%-ს, ხოლო სხვა კულტურებისათვის 70%-ს. წლების მიხედვით აგროდაზღვევის სექტორში სადაზღვევო პროგრამების რაოდენობაზე წარმოდგენას გვაძლევს მე-4 დიაგრამა.

დიაგრამა 4.

**სადაზღვევო პრემიები წლების მიხედვით**



წყარო: გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მასალები

დიაგრამაში წარმოდგენილი მონაცემების გაანგარიშებით ნათელი ხდება, რომ 2014-2020 წლებში აგროდაზღვევის პირველი პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პრემიის ჯამურმა ზრდამ შეადგინა 69 813 452 ლარი, აქედან ფერმერთა მიერ გადახდილია 21 535 989 ლარი ანუ 31%, ხოლო სახელმწიფოს მიერ გადახდილია 48 112 074 ლარი ანუ 69%.

აგროდაზღვევის პირველი პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ გადახდილი პრემიების ხვედრით წილზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 8.

**ცხრილი 8.**

**სახელმწიფოს მიერ აგროდაზღვევის პროგრამაში გადახდილი პრემიის წილი ჯამურ პრემიაში (%) 2014 – 2020 წლებში**

წლები	წილი პროცენტებში (%)
2014	94
2015	57
2016	69
2017	64
2018	63
2019	61
2020	63
<b>სულ საშუალოდ</b>	<b>69</b>

**წყარო:** გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მასალები

ცხრილის ანალიზიდან ჩანს, რომ ჯამური პრემიები სახელმწიფოს ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილი იქნა 2014 წელს - 94%, ხოლო მინიმალური წილით 2015 წელს - 57%. რაც შეეხება დანარჩენ წლებს, იგი 61-69%-ის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო პირველ აგროდაზღვევის პროგრამაში სახელმწიფოს თანამონაწილეობის საშუალო მაჩვენებლებმა 69% შეადგინა.

აგროდაზღვევის პირველი პროგრამის ფარგლებში 2014-2020 წლების განმავლობაში სულ გაცემულ იქნა 115 507 სადაზღვევო პოლისის და დაზღვეულ იქნა 103 442 ჰა მიწის ფართობზე განთავსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურები (ცხრილი 9).

**ცხრილი 9.**

**აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემული პოლისები და დაზღვეული ფართობები 2014-2020 წლები**

დასახელება წლები	პოლისების რაოდენობა (ათასი ცალი)	დაზღვეული ფართობები (ათასი ჰა)
2014	21,1	18,7
2015	7,6	4,9
2016	18,8	15,5
2017	21,4	20,7
2018	12,6	11,6
2019	16,5	13,9
2020	17,9	18,2
<b>სულ ჯამი</b>	<b>115 507</b>	<b>103 442</b>

**წყარო:** გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მასალები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2015 წელს 2014 წელთან შედარებით სადაზღვევო პოლისებისა და ფართობების მკვეთრი შემცირება გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ბენეფიციარებს 2014 წელს შეეძლოთ როგორც 2014 წლის, ისე 2015 წლის მოსავლის დაზღვევის წინასწარი შექმნა, ასევე მასზე გავლენა მოახდინა 2015 წელს სახელმწიფო თანადაფინანსების პროცენტის შემცირებამ.


რაც შეეხება 2018 წელს იგივე პარამეტრების შემცირებას, იგი გამოწვეული იყო არარეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე სადაზღვევო პრემიის სახელმწიფო თანადაფინანსების გაცემის აკრძალვით. რაც შეეხება 2021 წელს დაზღვეული იქნა 19,0 ათასი ჰა, ხოლო 2022 წელს საპროგნოზო მაჩვენებლის მიხედვით იგი შეადგენდა დაახლოებით 21,0 ათას ჰა-ს [საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების 2021-2027წლების სტრატეგიის 2021-2023წლების სამოქმედო გეგმა].

აგროდაზღვევის პირველი პროგრამის ფარგლებში დაზღვევა ძირითადად გავრცელდა ბაღჩეულ, ბოსტნეულ, კაკლოვან, კენკროვან, მარცვლეულ, პარკოსან და სუბტროპიკულ კულტურებზე, ვაზზე, ციტრუსებსა და ხეხილზე.

2014-2020 წლებში დაზღვეული ფართობების 70% მოდის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა 3 ჯგუფზე (დიაგრამა 5).

**დიაგრამა 5.**

**დაზღვეული ფართობები (ჰა) კულტურების მიხედვით და მათი წილი ჯამურად დაზღვეულ ფართებში (%) 2014-2020 წლებში**



**წყარო: გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მასალები.**

აგროდაზღვევის პირველი სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა 2014 წელს. 2014 წლამდე ქვეყანაში აგროდაზღვევის პოლისები ძირითადად გაიცემოდა ბანკების მიერ ფერმერების მხრიდან კრედიტის აღების მომენტში, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან ქმედით შედეგებს ადგილი არ ჰქონია.

მსოფლიო გამოცდილების თანახმად აგრორისკების დაზღვევა შეუძლებელია მხოლოდ კერძო სადაზღვევო კომპანიებისა და ფერმერთა ძალისხმევით. აუცილებელია მასში სახელმწიფოს აქტიური ჩართულობა. აგროდაზღვევის პირველი პროგრამის განხორციელების შედეგებზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 10.

პირველი აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში დაზღვეული ფართობების რაოდენობა უმნიშვნელოა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში აგროდაზღვევის ერთი პროგრამა მოქმედებს. მომავალში აუცილებელია მასში აგრარულ სექტორში მოქმედი

აქტუალური რისკების დამატება და შესაბამისად აგროდაზღვევის ახალი მიმართულებების შემუშავება.

ცხრილი 10.

**დაზღვეულ სასოფლ-სამეურნეო კულტურათა ფართობები  
2014-2020 წლებში (ჰა)**

წლები	დაზღვეული ფართობები (ჰა) <sup>1</sup>	სულ ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურებით დაზღვეული ფართობები საქართველოში (ჰა) <sup>2</sup>	დაზღვეული ფართობების წილი მთლიან ფართობებში (%)
2014	18 723	407 000	5,0
2015	4 944	389 400	1,0
2016	15 472	361 100	4,0
2017	20 718	344 400	6,0
2018	11 557	332 800	3,0
2019	13 852	331 900	4,0
2020	17 881	332 100	5,0

წყარო: 1. სოფლის განვითარების სააგენტო. 2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 2024 წლის 18 აპრილიდან ცვლილებები შევიდა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში, რომლის თანახმად, გაიზარდა დასაზღვევი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის ფართობი. კერძოდ, 10 ჰექტარის ნაცვლად ფერმერები უკვე შეძლებენ არაუმეტეს 20 ჰექტარის დაზღვევას. მარცვლეული კულტურის დაზღვევის შემთხვევაში კი, ნაცვლად 50 ჰექტარისა, უკვე შეძლებენ მაქსიმუმ 100 ჰექტარის დაზღვევას.

მრავალწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემთხვევაში შემცირდა ზარალის შეფასების ვადებიც და ნაცვლად 21 დღისა, განისაზღვრება 15 დღით. ასევე, სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების ნაწილში შეიცვალა დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის სატელეფონო შეტყობინების ვადა და ნაცვლად 24 საათისა, განისაზღვრება 72 საათით; აღნიშნული ცვლილება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ფერმერებს უფრო მეტი დრო ჰქონდეთ სადაზღვევო შემთხვევის დროს შეტყობინების განხორციელებისათვის.

ასევე შეიცვალა სადაზღვევო ტარიფებიც. კერძოდ, ფიქსირებული სადაზღვევო ტარიფის ნაცვლად, დაწესდა სადაზღვევო ტარიფის ქვედა და ზედა ზღვარი. აღნიშნული ცვლილებების შედეგად სადაზღვევო კომპანიებს საშუალება მიეცათ მომხმარებელს შესთავაზონ რისკზე დაფუძნებული ტარიფი და, მეორე მხრივ, დამზღვევებს მიეცათ საშუალება სადაზღვევო პრემიის ოდენობის მიხედვით შეარჩიონ სადაზღვევო კომპანიები. აღნიშნული ცვლილება მომავალში ხელს შეუწყობს პროგრამაში ჩართულ სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციის გაზრდას. აგროდაზღვევის ახალი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი ფარავს ისეთ სადაზღვევო რისკებს, როგორებიცაა სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის – 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში). თითოეული დამზღვევი სადაზღვევო პოლისის პრემიის 70%-იან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე.

2014 წლამდე არ არსებობდა მექანიზმი, რომლითაც ფერმერებს შეეძლოთ კლიმატური რისკებისგან დაეცვათ საკუთარი მოსავალი. აგროდაზღვევის ახალი პროგრამის ამოქმედებით დაზღვევა იმ ფერმერებისთვის გახდა ხელმისაწვდომი, ვისაც მცირე მეურნეობა აქვს და ყველაზე მეტად სჭირდება სახელმწიფო თანადგომა. აგროდაზღვევის ამ ახალი პროგრამით უფრო მიმზიდველი გახდა დარგის ინვესტირება.

### **დაზღვევის როლი მიწის რესურსების ეფექტიანობის ამაღლებაში**

უკანასკნელ პერიოდში ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გამოყენების გაზრდამ მიგვიყვანა ბუნებრივად ჩამოყალიბებული ეკოსისტემების დისბალანსთან და შესაბამისად ამან გამოიწვია უნიკალური ეკოსისტემების შემადგენელი ელემენტების სასარგებლო თვისებების დეგრადაცია. უარყოფითი ანთროპოგენური ზეგავლენის ქვეშა მოქცეული მიწის რესურსები, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. სახეზე გვაქვს ტექნოლოგიური პროცესების ზეგავლენის უარყოფითი შედეგებიც, რის გამოც ყოველწლიურად მცირდება ნიადაგის ნაყოფიერება და შესაბამისად ნაყოფიერი ნიადაგების ფართობებიც. სამწუხაროდ დღეისათვის ქვეყანაში არ არსებობს ამ ზარალის ადექვატური აღთქმისა და კომპენსაციის მექანიზმი. საქართველოში დღეს მოქმედი სადაზღვევო სქემები მხოლოდ ნაწილობრივ ანაზღაურებს მოსავლის ფორმირების ხარჯებს, რეალურად შეუქცევადია ნიადაგის ნაყოფიერების შემცირების პროცესები და კულტივირებული მიწის ფართობების მიმოქცევიდან გამოსვლა.

სამომავლოდ აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მიწის პროდუქტიული ნაწილის დაზღვევის ამოქმედება, რომელიც უნდა გახდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უნიკალური რესურსების ეკონომიკური დაცვის ეფექტიანი მექანიზმი.

მიწის რესურსების და საადგილმამულო ურთიერთობის დაზღვევა კერძო ქონების დაზღვევის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სამწუხაროდ საადგილმამულო/მიწათმოქმედებითი ურთიერთობების დაზღვევა საქართველოში მეცნიერულად ნაკლებად არის შესწავლილი. იგი პერსპექტიული კომპლექსური დაზღვევის ნაწილია და ამჟამად ამ სფეროს განუვითარებლობა გამოწვეულია თავისუფალი მიწის ბაზრის აუმოქმედებლობით. მხოლოდ ახლა იწყება მიწის იპოთეკურ და ფინანსურ ბრუნვაში ჩართვა და სამწუხაროდ, ეს უზარმაზარი საინვესტიციო რესურსი ჯერ-ჯერობით კვლავ გამოუყენებელი რჩება.

საქართველოში მოქმედი მიწის კანონმდებლობის მიხედვით მიწის [საქართველოს კანონი „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“, 25 ივნისი 2019წ. #4849-III] რესურსები შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა;
2. დასახლებული ტერიტორიების მიწა;
3. სამრეწველო, ენერგეტიკის, გზებისა და კომუნიკაციების ობიექტების ქვეშ მოქცეული მიწის ფართობები;
4. დაცული ტერიტორიებისა და ობიექტების მიწა;
5. ტყის ფონდის მიწები;
6. წყლის ფონდის მიწები;
7. სარეზერვო მიწები.

მიწის რესურსების კატეგორიებიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, სახეზე გვაქვს განსხვავებულ ფაქტორთა ქვეჯგუფები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ მიწის რესურსების მდგომარეობაზე. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსებს, დიდი

მნიშვნელობა აქვს მათ კულტურულ-ტექნიკურ მდგომარეობას, რომელიც უარესდება გავლურების, გაუდაბნობების, დაჭაობების, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისა და სხვადასხვა სახის დეგრადაციის გამომწვევი ფაქტორების ზეგავლენით. ქალაქების, დაბებისა და სოფლის ადმინისტრაციების საკუთრებაში არსებული მიწების დეგრადაციის გამომწვევი ფაქტორებიდან აღსანიშნავია; მეწყერები, ზვავები, ღვარცოფები, ეროზიის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზები და სხვა.

ამრიგად, ყველა კატეგორიის მიწა პრაქტიკულად ამა თუ იმ რისკის მატარებელია. აღნიშნული გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მიწაზე ფასის დადგენის დროს და მიწის ბაზრის მონაწილეთა ქონებრივი ინტერესების დაცვის მექანიზმის ფორმირებისას.

საქართველოში უძრავი ქონების დაზღვევის წესი განსაზღვრული და დადგენილია კანონით „დაზღვევის შესახებ“. მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაზღვევა შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც უძრავი ქონების დაზღვევის ნაირსახეობა. საქართველოში დღეისათვის მოქმედ მიწის კანონმდებლობაში ჩადებული არ არის მიწის, როგორც უმნიშვნელოვანესი და უნიკალური რესურსის დაზღვევის პრინციპები. ამდენად მიზანშეწონილია ქვეყნის მიწის კანონმდებლობის დახვეწა, „მიწის კოდექსის“ შემუშავება, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს მიწის რესურსების სადაზღვევო მექანიზმის ფორმირების პრინციპებს.

თანამედროვე მსოფლიოში მიწის დაზღვევა ხორციელდება მიუნხენის გადამზღვეველთა საზოგადოების პირობების შესაბამისად. აღნიშნული წესის საფუძველზე დაზღვევას ექვემდებარება შემდეგი კატეგორიის მიწები: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, არასასოფლო დანიშნულების მიწები, ტყის ფონდის მიწები, დასახლებული პუნქტების მიწები, მრეწველობის, ენერგეტიკის, სატრანსპორტო გზების მიწები და სხვა სპეციალური კატეგორიის მიწები. სადაზღვევო კომპანიები მიწის ნაკვეთის დაზღვევას ახორციელებენ ხანძრის, აფეთქების, სტიქიური უბედურების, მესამე მხარის უკანონო მოქმედების, ტექნოგენური უბედური შემთხვევების, ნიადაგის დაბინძურების შემთხვევების გათვალისწინებით.

სადაზღვევო ბაზრის ექსპერტების ანალიზის საფუძველზე კლასიკური დაზღვევის ვარიანტად განიხილება მიწის მფლობელის ან მისი მოიჯარისგან მიწის ნაკვეთის დაზღვევა სტიქიური უბედურებებისა (წყალდიდობა, წყლის და ქარისმიერი ეროზია, ხანძრები, ნაყოფიერი ფენის განადგურება-დაბინძურება და ა.შ.) და ანთოპოგენური ფაქტორების ზემოქმედებისაგან. მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებს შორის ხშირად ჩნდება დავა და ორმხრივი მოთხოვნები მიწის არასათანადო განკარგვის გამო. ამ სახის ზიანის შესამცირებლად გამოყენებული უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის როგორც სავალდებულო ისე ნებაყოფლობითი დაზღვევის მექანიზმი. იჯარით აღებისას, მიწის მფლობელს უფლება აქვს მოითხოვოს საიჯარო ხელშეკრულებაში სპეციალური სადაზღვევო პუნქტის დამატება, რომელშიც შედის დამქირვებლის პასუხისმგებლობა მიწის ნაკვეთის გამოყენების შედეგად მიყენებული ზიანისათვის, როგორცაა ქიმიური ნივთიერებებით ან ნარჩენებით მიწის ნაყოფიერი ფენის განადგურება/ დაზიანება და ა.შ.

მიწის რესურსების დაზღვევა სადაზღვევო საქმიანობის ახალ სახეს განეკუთვნება, რომელიც დამატებით იმპულსს აძლევს ქვეყანაში სადაზღვევო საქმის განვითარებას.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დაზღვევის სისტემის ფორმირება-ამოქმედება საჭიროებს სახელმწიფოს ორგანიზაციულ ჩართულობას, კერძოდ ამ კუთხით აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. აუცილებელია შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო ფართობებზე საშიში ბუნებრივი და ტექნოგენური პროცესების ზემოქმედების მონაცემთა ბანკი (გავრცელების არეალი, მათი

ინტენსივობა, საფრთხის ხარისხი), რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება სადაზღვევო განაკვეთების დადგენა;

2. სახელმწიფო მიწის კადასტრი ფოკუსირებული უნდა იყოს მიწის დაზღვევის საინფორმაციო მხარდაჭერაზე;
3. აუცილებელია სადაზღვევო კომპანიებში სასოფლო-სამეურნეო მიწის დაზღვევას სპეციალიზირებული სტრუქტურების შექმნა;
4. უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მიწის დაზღვევის სპეციალისტების გადამზადება;
5. ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დაზღვევის დაფინანსირების პროცედურა განისაზღვროს მიზნობრივი საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე.

მიწის რესურსების დაზღვევის თანამედროვე მექანიზმის ფორმირება ქვეყნისათვის მეტად აქტუალურია და მისი ამოქმედება შესაბამისი ორგანოების მხრიდან დაჩქარებას საჭიროებს, რადგან ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორებით მიყენებული ზარალი მიწათმოსარგებელთა ურთიერთობებში მეტად დიდია და მისი დარეგულირება უნდა მოხდეს შესაბამისი სადაზღვევო მექანიზმის გამოყენების გზითაც.

### **დასკვნები და რეკომენდაციები**

მიწის რესურსების მართვაში დაზღვევის სრულყოფის პრობლემების კვლევის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნებისა და რეკომენდაციების გაკეთება:

1. სათანადო კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ დღეისათვის მსოფლიოში დაზღვევის სამი მოდელი გამოიყენება და ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სადაზღვევო სისტემაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხით. ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს დაზღვევის კერძო სექტორის მიერ კონტროლირებადი მოდელი. ამ მოდელის პირობებში მინიმალურია აგროსადაზღვევო სექტორში სახელმწიფოს ჩართულობა და აგროდაზღვევის წარმართვა განისაზღვრება უპირატესად კერძო მზღვეველთა ინტერესებით;

2. აგროდაზღვევა მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკის აგროინდუსტრიული სექტორის სპეციფიკას და ასოცირდება მრავალფეროვან რისკებთან, რომელთა უმრავლესობა კავშირშია ადამიანის კონტროლის მიღმა არსებულ ფაქტორებთან (ბუნებრივი და კლიმატური პირობები, სტიქიური მოვლენები და ა.შ.). ყოველივე ეს განსაზღვრავს აგროდაზღვევის სპეციფიკურ მახასიათებლებს, რომელსაც უკავშირდება სადაზღვევო ობიექტების სიმრავლე, სადაზღვევო თანხების და სადაზღვევო ვალდებულებების გაანგარიშების სპეციფიკა;

3. სადაზღვევო ბაზრის განვითარება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რადგან მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის საინვესტიციო მიმზიდველობა. მიუხედავად ასეთი მნიშვნელობისა, გაანალიზებული პერიოდისათვის სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდულ სადაზღვევო პრემიებში დაზღვევის სახეობების მიხედვით საერთოდ არ ფიგურირებს აგრო დაზღვევა, მაშინ როდესაც დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებში დაფიქსირებულია დაზღვევის 18 სახე. კვლევიდან ჩანს, რომ საქართველოში, როგორც აგრარულ ქვეყანაში, ძალზე უმნიშვნელოდ არის წარმოდგენილი აგროდაზღვევის ხვედრითი წილი სადაზღვევო საქმიანობაში და ფაქტიურად დაზღვევის ეს სახე დაზღვევის სახეობაშიც ვერ მოხვდა;

4. თანამედროვე მსოფლიოში ფართოდ გამოიყენება აგროდაზღვევის სქემები. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ესპანეთის გამოცდილება, რომლის შესწავლამაც დაგვანახა, რომ ესპანეთის აგროდაზღვევის ეროვნული სააგენტო (EWESA) წარმოადგენს სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და სურსათის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ უწყებებს. ესპანეთის აგროდაზღვევის სისტემა აგებულია სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობის



საფუძველზე. ესპანეთში სახელმწიფო ახდენს სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას, ხოლო დანარჩენ ნაწილს იხდის დაზღვეული სუბიექტი. სადაზღვევო პრემიის სიდიდე საშუალოდ 29%-ია, მაგრამ ცალკეული კულტურების მიხედვით იგი მერყეობს 25-40%-ის ფარგლებში;

5. მიზანშეწონილია გაღრმავდეს მიწის სავარგულების დაზღვევის ორგანიზაციულ-მმართველობითი პრობლემების კვლევა და მომზადდეს შესაბამისი რეკომენდაციები დაზღვევის ამ სახის ეტაპობრივად ამოქმედების მიზნით.

### რეზიუმე

სადაზღვევო საქმე თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი სეგმენტია, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ეკონომიკური პროცესების შეუფერხებლად განვითარებას. მსოფლიო გლობალიზაციის ფონზე ნათლად გამოიკვეთა სოფლის მეურნეობის, სასურსათო უსაფრთხოების და მასთან დაკავშირებული სადაზღვევო რისკების მართვის მნიშვნელობა და აუცილებლობა.

წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში განხილულია დაზღვევის, მათ შორის აგროდაზღვევის არსი, სახეები, ფუნქციები და თავისებურებები, დასაბუთებულია აგროდაზღვევის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის განვითარებაში, შესწავლილია საქართველოს აგროდაზღვევის ბაზარზე არსებული სიტუაცია, გაანალიზებულია აგროდაზღვევის სექტორში განხორციელებული რეფორმების შედეგები. თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სადაზღვევო საქმიანობის მოწინავე გამოცდილების გაცნობის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები საქართველოს აგროდაზღვევის ბაზარზე გამოვლენილი პრობლემების მოგვარებისა და აგროდაზღვევის ბაზრის განვითარებისთვის.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული სიტუაციის შესწავლა, ქვეყნის სოფლის მეურნეობაში სადაზღვევო პრინციპების პერსპექტიული მიმართულებების კვლევა და დანერგვა, რისთვისაც აუცილებელია შემდეგი ამოცანების დასახვა:

- აგროდაზღვევის მექანიზმის უცხოური გამოცდილების შეწავლა-განალიზება;
- საქართველოს აგროდაზღვევის ბაზარზე არსებული პრობლემების გამოვლენა;
- სოფლის მეურნეობაში დაზღვევის პროგრესული ფორმების და მეთოდების დანერგვისთვის სათანადო რეკომენდაციების მომზადება.

მსოფლიოში გავრცელებულ აგროდაზღვევის სქემებზე დაყრდნობით ნათელი ხდება სადაზღვევო სქემების მართვაში სახელმწიფოს ჩარევისა და მხარდაჭერის აუცილებლობა, ამასთან ერთად აუცილებელია ზომიერების დაცვა, რადგან წინასწარი შესწავლის და გაანალიზების გარეშე გადადგმულმა ნაბიჯებმა შესაძლებელია ხელი შეუშალოს ქვეყანაში სრულყოფილი სადაზღვევო ბაზრის ფორმირება-განვითარების პროცესს.

მსოფლიოში აგრარულ სექტორში მიმდინარე ცვლილებებისა და გადატანილი პანდემიების ფონზე კიდევ უფრო გამოიკვეთა აგრარულ სექტორში სადაზღვევო საქმის განვითარების მნიშვნელობა, რომლის კვლევასაც ეხება წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი.

### Problems of improving insurance in land resource management

V.Zeikidze

**Abstract:** The insurance business is an important segment of modern market-based economy which facilitates a smooth development of economic processes in the country. Against the background of globalization, the importance and necessity of agriculture and food security management as well as related insurance risks management have become obvious.

The article discusses the essence, types, functions and peculiarities of insurance including agricultural insurance, substantiates the importance of the development of agro-insurance, examines the current situation in the market of agricultural insurance in Georgia, analyzes results of the reforms implemented in the agro-insurance sphere. Based on the familiarization with the advanced experience in the insurance activities in the world's major countries, recommendations are worked out on solving existing problems in the Georgian agro-insurance market and developing this market.

The aim of the work is to study the current situation in the Georgian insurance market, to research and introduce promising trends of insurance principles in the country's agriculture for which purpose the following tasks should be set:

- to study and analyze foreign experience in agro-insurance mechanism;
- to detect problems in the Georgian agricultural insurance market;
- to prepare relevant recommendations on the introduction of advanced forms and methods of insurance in agriculture.

On the basis of the analysis of agro-insurance schemes all over the world, the necessity of the state to be involved in the insurance schemes becomes evident; at the same time, one should be reasonable, not to take steps without preliminary study and analysis, not to stand in way of the process of forming and development of the full-value insurance market in the country.

Against the background of changes taking place in the agrarian sector and in view of the consequences of pandemic, the importance of the insurance business development in the agrarian sector to which this article is dedicated, has become still more evident.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, საქართველოს პარლამენტი 1997 წლის 2 მაისი.
2. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 აგვისტოს განკარგულება №1462 „აგროდაზღვევის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“, თბ., 2014;
3. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილება „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბილისი, 2020;
4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აგროდაზღვევის განვითარების სტრატეგია 2021-2024 წლები;
5. ი.ახალბედაშვილი „სოფლის მეურნეობის დაზღვევის განვითარება საქართველოში“. ჟურნალი „ბიომეურნე“, 2011, №1 (16), 12-22;
6. თ.ვერულავა, ნ.ობგაძე „აგროდაზღვევის პრობლემები საქართველოში“. ჟურნალი „ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა“, 2015, №2;
7. გ.თეთრაძე, კ.კოლუაშვილი „აგრარული რისკები, აგროდაზღვევისა და აგროდაკრედიტების პრობლემები“. ჟურნალი „ეკონომიკა“, 2017, №1, 153-160;
8. გ.მუშკუდიანი „პარლამენტში აგროდაზღვევის ესპანურ მოდელზე მუშაობენ“. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, თბილისი, 2014;
9. ჯ.შათირიშვილი, ნ.კაკაშვილი „სადაზღვევო საქმე“ თბილისი, 2012;
10. ე.შატერაშვილი, ბ.ალასანია „აგროდაზღვევისა და აგროდაკრედიტების სისტემები და სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგადი კონტექსტი საქართველოში“. ჟურნალი „ბიომეურნე“, 2011 წ., №1 (16), 4-11;
11. ნ.ლეჟავა „სადაზღვევო ბაზარი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში“. თბილისი, 2006;

12. Agricultural Insurance: Products and Schemes. Atlas Magazine, 14.06.2017. <https://www.atlas-mag.net/en/article/agricultural-insurance-products-and-schemes>
13. A.Boissonnade. New Frontiers in Agricultural Insurance. The Actuary, 27.02.2015. <https://www.theactuary.com/features/2015/03/2015/02/27/new-frontiers-agricultural-insurance>
14. D.Funa. Profiling Global Agricultural Insurance. 14.08.2018. <https://businessmirror.com.ph/2018/08/14/profiling-global-agricultural-insurance/>;
15. M.Meuwissen, Y.Mey, M.Asseldonk. Prospects for Agricultural Insurance in Europe. Agricultural Finance Review, 2018, Vol. 78, Issue: 2, 174-182;
16. C.M.Reyes, A.D.Agbon, C.D.Mina, A.B.Gloria Reneli. Agricultural Insurance Program: Lessons from Different Country Experiences. PIDS Discussion Paper Series, January 2017, №2, <https://www.econstor.eu/bitstream/10419/173579/1/pidsdps1702.pdf> ;
18. А.Р.Зыбалова Страхование земельных участков существенные особенности и методы расчетов. ბაშკირეთის აგრარული უნივერსიტეტი. 2016, №44;
19. Р.Бокушево, О.Хаидельбах, Т.Кусеипов - Страхование посевов в Казахстане. IAMO. 2007, ст.20;
20. Ю.А.Сплетунов. Сельскохозяйственное страхование в России и за рубежом: сравнительная характеристика. Финансовый журнал, 2018, №1, 87-99;
21. И.Смирнова. Страхование – инструмент защиты земель сельскохозяйственного назначения Москва, 2002;
22. <http://insurance.gov.ge>;
23. **[web.tarsim.gov.tr](http://web.tarsim.gov.tr)**;
24. [www.statiastic.ge](http://www.statiastic.ge);
25. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge);
26. <http://www.moa.gov.ge>.

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი (ეად), სტუ-ის ი.ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მიწის, წყლისა და ტყის რესურსების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

**რუსუდან ფირცხალავა**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სტუ-ის ი.ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მიწის, წყლისა და ტყის რესურსების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

**სამოვრების მართვის ორგანიზაციული სისტემის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები**

**საქართველოს ბუნებრივი სათიბ-სამოვრები, როგორც უნიკალური ბუნებრივი რესურსი**

საქართველოს ტერიტორია არის 69,7 ათასი კმ<sup>2</sup>, აქედან სასოფლო-სამეურნეო მიწებს უჭირავს ქვეყნის მთლიანი ფართობის 40% (3,025 მლნ ჰა), სასოფლო-სამეურნეო მიწებიდან ბუნებრივ სათიბ-სამოვრებზე მოდის 1,940 მლნ ჰა [2014-2017 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება. 2019. გვ. 101]. აქედან სამოვრებზე მოდის 1,796 მლნ ჰა, ხოლო სათიბებზე \_ 143 800 ჰა [საქსტატი. სტატისტიკური პუბლიკაცია საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა]. სამოვრებზე მიმდინარე ბუნებრივი და ანთროპოლოგიური ზემოქმედების შედეგად ქვეყანაში თვალსაჩინოა ნიადაგის დეგრადაციის პროცესი. ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწების 35% დეგრადირებულია და ამ პროცესის ყველაზე გავრცელებული ფორმა არის ნიადაგის ეროზია, რომლის მთავარი გამომწვევი ფაქტორია სამოვრების არამდგრადი მართვა, გადაჭარბებული ძოვება, ხელოვნური ხანძრები, სასუქების უკონტროლოდ გამოყენება და სხვ. [2014 -2017 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება. 2019.გვ.101]. სათიბ-სამოვრების ძირითადი ნაწილი განლაგებულია აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში. საქართველოში რეგიონების მიხედვით სათიბ-სამოვრების რაოდენობაზე წარმოდგენას გვამღვეს ცხრილი 1.

საბჭოთა პერიოდში ქვეყნის სამოვრების მართვის პოლიტიკამ და ინდუსტრიულ სოფლის მეურნეობაზე გადასვლის პროცესმა გამოიწვია აგრარული ეკოსისტემების სერიოზული დეგრადაცია და მცენარეთა გენოფონდის შემცირება. უსისტემო ძოვებამ განსაკუთრებით ინტენსიური სახე გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მიიღო. საქართველოში პირუტყვის უსისტემო ძოვება ხორციელდება სუბალპური და ალპური სამოვრების 50%-ზე და არიდული და სემიარიდული ეკოსისტემების 60%-ზე, რამაც მძიმე ანთროპოგენური ზემოქმედება იქონია ბუნებრივ სამოვრებზე. დღესაც ბუნებრივი ეკოსისტემების დეგრადაციის ტემპი მნიშვნელოვანწილად აღემატება მათი აღდგენის სისწრაფეს, ხშირ შემთხვევაში გამოირიცხება მდელოთა მცენარეული საფარის თვითაღდგენის შესაძლებლობაც კი. ამასთან ერთად უკიდურესად მძიმე სიტუაციაა შექმნილი კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონში მდებარე ზამთრის სამოვრებზე, სადაც გადამძოვების საფრთხესთან ერთად აშკარაა გაუდაბნოების აქტიური პროცესიც. ამასთან ერთად გლობალური დათბობის პირობებით გამოწვეული კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, როგორც ალპურ და სუბალპურ, ისე სემიარიდული სარტყლის სამოვრებზე. გლობალური დათბობისა და გარემოს ტემპერატურის მომატების კვალობაზე მგრძობელობით გამოირჩევა მაღალი მთის დაბალ ტემპერატურულ გარემოს შეგუებული მცენარეთა სახეობები. უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა მათი თერმოფილური (სითბოს მოყვარული) სახეობებით ჩანაცვლება.

საქართველოში მეურნეობების სარგებლობაში არსებული ბუნებრივი სათიბ-სადოვრების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	სასოფლო-სამეურნეო სავარგული (ათასი ჰა)	ბუნებრივი სათიბ - სადოვრები (ათასი ჰა)	სათიბ სადოვრების წილი (%) სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებში
ქ. თბილისი	2817	385	13,7
აჭარა	19731	4653	23,5
გურია	26909	1060	3,9
იმერეთი	65737	5400	8,2
კახეთი	315499	149230	47,3
მცხეთა-მთიანეთი	20829	7313	35,1
რაჭა-ლეჩხუმი			
ქვემო სვანეთი	5757	2156	37,4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	66662	3027	4,5
სამცხე-ჯავახეთი	76057	46742	61,5
ქვემო ქართლი	122316	70043	57,3
შიდა ქართლი	65400	9983	15,3
სულ საქართველო	787714	300004	38,9

წყარო: საქსტატი. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა.

საქართველოს სუბალპური და ალპური სადოვრები მდებარეობს რთულ და ციცაბო 15-30°-იან დაქანების ფერდობებზე და ინტენსიური ნალექების პირობებში ვითარდება ნიადაგის წყლისმიერი ეროზიული პროცესები.

ბუნებრივ სათიბ-სადოვრებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბუნებრივი საკვები ბაზის ფორმირება-განვითარების საკითხში. მასზე მოდის მეცხოველეობის დარგის საჭიროებისათვის წარმოებული სადოვრული საკვების ნახევარი და თივის ¾. საქართველოს ბუნებრივი სათიბ-სადოვრებისათვის დამახასიათებელია ვერტიკალური ზონალობა. იკვეთება შემდეგი ზონები: დასავლეთ საქართველოში \_ კოლხეთის დაბლობზე განლაგებული სათიბ-სადოვრები; აღმოსავლეთ საქართველოში \_ ელდარ-სამუხის ველისა და ალაზნის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთით განლაგებული სადოვრები; სადოვრების შემდეგი ზონა წარმოდგენილია მთისწინების სახით და დასავლეთ საქართველოში იგი მოიცავს მასივებს ზღვის დონიდან 100-700 მ-მდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში \_ 200-დან 900 მ-მდე განლაგებულ ვერტიკალურ სივრცეს.

საშუალო მთისწინეთის სარტყელში განლაგებული სადოვრები დასავლეთ საქართველოში მერყეობს ზღვის დონიდან 700-დან 1800 მეტრამდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში \_ 900-დან 1900 მეტრამდე. შემდეგ მოდის სუბალპური სადოვრები, რომელიც დასავლეთ საქართველოში განლაგებულია ზღვის დონიდან 1800-2400 მეტრამდე, აღმოსავლეთ საქართველოში კი 1900-2500 მეტრამდე. ამის შემდეგ წარმოდგენილია ალპური სადოვრები, რომელიც დასავლეთ საქართველოში მერყეობს ზღვის დონიდან 2400-3000 მეტრის ფარგლებში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში \_ ზღვის დონიდან 2500-3200 მეტრის ფარგლებში (ცხრილი 2).

ცხრილი 2.

საქართველოს ბუნებრივი სათიბების განლაგება ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, % -ით.

ვერტიკალური სარტყელები	% -ით სათიბების მთლიან ფართობში
დაბლობის და მთისწინების სარტყელი	10,8
საშუალო მთის (ზეგანის) სარტყელი	29,2
სუბალპური სარტყელი	55,0
ალპური სარტყელი	5,0
სულ საქართველოში	100

წყარო: რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის გაძლიერების სისტემების შესახებ. თბილისი, 1971 წ.

ცხრილის ანალიზიდან ჩანს, რომ ბუნებრივი სათიბების ნახევარზე მეტი განლაგებულია სწორედ სუბალპურ ზონაში. პირუტყვის ზამთრის სამოვრები ძირითადად წარმოდგენილია ქვეყნის დაბლობ ზონაში და მათი სტრუქტურა ნაწილდება შემდეგნაირად (ცხრილი 3): დაბლობის ზამთრის სამოვრებზე მოდის 12,7%, დასავლეთ საქართველოში იგი წარმოდგენილია კოლხეთის დაბლობზე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – დედოფლის წყაროს და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. მთისწინების სარტყელში წარმოდგენილი ზამთრის სამოვრების წილად მოდის 87 %, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში საშუალო მთის (ზეგანის) ფერდობებზე - 0,3%.

ცხრილი 3.

საქართველოს ზამთრის სამოვრების განლაგება ვერტიკალური ზონალობის მიხედვით

ვერტიკალური ზონები	%-ობით სამოვრების მთლიან ფართობში
დაბლობი	12,7
მთისწინები და დაბლობები	87
საშუალო მთის (ზეგანის) ზონა	0,3
სულ	100

წყარო: რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის გაძლიერების სისტემების შესახებ. თბ., 1971 წ.

საქართველოში პირუტყვის საზაფხულო სამოვრები განლაგებულია დიდი კავკასიონის და მცირე კავკასიონის ფერდობებზე (ცხრილი 4).

ცხრილი 4.

საქართველოს საზაფხულო სამოვრების განლაგება ვერტიკალური ზონალობის მიხედვით

ვერტიკალური ზონები	%-ობით სამოვრების მთლიან ფართობში
მთისწინების ზონა	10,5
საშუალო მთის (ზეგანის) ზონა	14,8
სუბალპური ზონა	51,8
ალპური ზონა	22,9
სულ	100

ცხრილიდან ნათლად იკვეთება, რომ საზაფხულო სამოვრების ძირითადი ნაწილი განლაგებულია სუბალპურ ზონაში. საქართველოში მკვეთრი განსხვავება არსებობს საზაფხულო

და ზამთრის საძოვრების პირუტყვის კვებით ღირებულებებს შორის. საზაფხულო საძოვრების პროდუქტიულობა შეადგენს 10774,7 ათას ცენტნერ მშრალ მასას, რაც საკვებ ერთეულებში გადაყვანას უტოლდება 8474,5 ათას ცენტნერს. რაც შეეხება ზამთრის საძოვრებს, მათი პროდუქტიულობა შეადგენს 2935,5 ათას ცენტნერს მშრალ მასაზე გადაანგარიშებით, რასაც საკვებ ერთეულებში თუ გადავიყვანთ, 1080,2 ათასი ცენტნერი საკვები ერთეულის ტოლფასი იქნება. წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ პირუტყვისთვის საზაფხულო საძოვრებიდან მიღებული საკვები მასის რაოდენობა თითქმის 3,6-ჯერ აღემატება ზამთრის საძოვრებიდან მიღებულ საკვებ მასას.

ზამთრის საძოვრებზე საკვები მასის დანაკლისი საბჭოთა პერიოდში კომპენსირდებოდა საქართველოს რესპუბლიკისათვის დადესტინის ავტონომიური რესპუბლიკის მიწის ფართობიდან დროებით სარგებლობაში გადმოცემული 323,3 ათასი ჰექტარი საძოვარის ხარჯზე. დღეისათვის ძირითადი დატვირთვა მოდის ივრისა და ალაზნისპირეთში განლაგებულ ზამთრის საძოვრებზე, რაც მაღალი დატვირთვის გამო იწვევს საძოვრების დეგრადაციას, ნიადაგის ეროზიული პროცესების განვითარებას და ნათლად იკვეთება მათი გაუდაბნოების კვალი.

საქართველოს ბუნებრივ სათიბ-საძოვრებზე აგროტექნიკით გათვალისწინებული ღონისძიებების დაცვის პირობებში შესაძლებელია წლიურად მივიღოთ 1 ჰა ბუნებრივი სათიბებიდან 3,5-4,5 ტონა თივა, ხოლო საძოვრებიდან \_ 2,5-3,5 ათასი საკვები ერთეული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ბუნებრივ სათიბ-საძოვრებზე ფართოდ არის გავრცელებული სარეველა და შხამიანი მცენარეები (ბალახები). კერძოდ, 100 ათას ჰა-ზე მეტი ფართობი უკავია ძიგვას, 19 ათასზე მეტი ჰა \_ შხამას, საძოვრებზე ხშირია ასევე სხვა უხეშლეროიანი მცენარეები (ნარი, ღოღო, მარმუქი, ფესვმაგარა და ა.შ.).

საქართველოს სახელმწიფო მიწის ფონდში 2018 წლის მდგომარეობით სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობი შეადგენდა 2336,0 ათას ჰა-ს. მათ შორის კერძო საკუთრებაში იყო 1039,0 ათასი ჰა, ანუ 45,6% [ნ. ჭითანავა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენების პრობლემები. ბიზნესი და კანონმდებლობა, 2019 აგვისტო, [www.B-K.GE](http://www.B-K.GE)]. აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან სათიბებზე მოდიოდა 135,6 ათასი ჰა, მათ შორის კერძო სექტორზე \_ 75,7 ათასი ჰა, ანუ 55,9%, საძოვრებზე მოდის 1271,1 ათასი ჰა. მათ შორის კერძო სექტორზე მოდის 178,3 ათასი ჰა, ანუ 14%. წარმოდგენილი მონაცემების გაანალიზების შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ 2018 წლის მდგომარეობით სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება სათიბების 44,1% და საძოვრების 86%.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ამ უნიკალური ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით აუცილებელია შემუშავდეს ბუნებრივი სათიბ-საძოვრების მართვის ეფექტური მექანიზმი.

### **სათიბ-საძოვრების მართვის უცხოური გამოცდილება**

ქვეყნის ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ეფექტიანი მართვის სრულყოფისა და განვითარების მიზნით მეტად მნიშვნელოვანია უცხოური გამოცდილების გაცნობა. ამ მიზნით შეისწავლეს და გაანალიზეს პირუტყვის მომთაბარეობის პროცესში გამოყენებული ძოვების სისტემები, რომელთაგანაც მეტად მნიშვნელოვანია თურქმენეთში გამოყენებული ცხვრის ძოვების გამოცდილება.

თურქმენეთში განსაკუთრებით აქტუალურია საძოვრების გაუდაბნოების პროცესებთან ბრძოლა. ამ მიზნით 1996 წელს რატიფიცირებულ იქნა გაეროს კონვენცია „გაუდაბნოების პროცესთან ბრძოლის შესახებ“. უკანასკნელ პერიოდში თურქმენეთში განხორციელდა გაუდაბნოების პროცესებთან ბრძოლის მთელი რიგი ღონისძიებები.

თურქმენეთში ბუნებრივი საძოვრების მართვის პროცესში ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე აქტიურადაა ჩართული სახელმწიფო მართვის სტრუქტურები. თურქმენეთის „მიწის კოდექსის“ თანახმად, მინისტრთა კაბინეტი უზრუნველყოფს მიწათმოწყობის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, ამტკიცებს ეფექტური მიწათმოქმედების მიზნობრივ პროგრამებს და კოორდინაციას უწევს მიწათმოწყობის ერთიანი პოლიტიკის გატარებას ქვეყნის სხვადასხვა უწყებებს შორის. ბუნებრივი საძოვრების ეფექტიან მართვას კომპლექსურად ახორციელებს თურქმენეთის სოფლის მეურნეობის, წყალთა მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროების შესაბამისი სახელმწიფო უწყებები.

ადგილობრივ დონეზე საძოვრების მართვა ხორციელდება ვილაიეთებში, რომელებიც უშუალოდ პრეზიდენტს ექვემდებარება. ვილაიეთები ლეზულობენ გადაწყვეტილებას ადგილზე ბუნებრივი რესურსების (მიწის, წყლის, ტყის, ატმოსფერული ჰაერის, ფლორისა და ფაუნის) რაციონალური გამოყენების შესახებ [О. Аннамухамедов, Х. Ханчаев и другие. Природные пастбища и развитие отгонного животноводства в Туркменистане. Ашхабад, 2014 г.]. თურქმენეთის „მიწის კოდექსის“ (2004 წ.) თანახმად ვილაიეთები განსაზღვრავენ მიწათმოწყობის სახელმწიფო პოლიტიკას, იცავენ მიწათმესაკუთრეთა უფლებებს და ახორციელებენ მიწის რესურსების გამოყენების მონიტორინგს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (გენგემი) გენგემები უზრუნველყოფენ ქალაქის, დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და დაცვას, ასევე აკონტროლებენ ტყით სარგებლობას, გამწვანების საკითხებს და სხვ. გენგემების როლი მიწათმოწყობის საკითხებში „მიწის კოდექსით“ განისაზღვრება.

ვილაიეთებში ცენტრალურ სამინისტროებსა და უწყებებს ქვედანაყოფების სახით გააჩნიათ აგრარული რეფორმის, მიწათმოწყობის კომიტეტები, გარემოს დაცვის სამმართველოები, რომელებიც ადგილზე ახორციელებენ ცენტრალური უწყებების პოლიტიკას. ქვეყანაში ბუნებრივი საძოვრების რაციონალურად გამოყენებისა და ეფექტიანი მართვის მიზნით ადგილობრივ თვითმმართველობათა დონეზე ხდება საძოვრებით მოსარგებლეთა ასოციაციების ჩამოყალიბება, სადაც გაერთიანებულია მეცხოველეობის მეურნეობები და პირუტყვის მესაკუთრე ფერმერები.

აღნიშნული ასოციაციების შექმნა უზრუნველყოფს საძოვრების რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ამასთან ერთად ხორციელდება ფერმერთა კოოპერირება საძოვრების რაციონალურად გამოყენების მიზნით, ხოლო ასოციაციებს ვილაიეთების ფარგლებში ევალებათ ბუნებრივი საძოვრების გამოყენების მონიტორინგი და საძოვრებით მოსარგებლეთა ინტერესების დაცვა.

საძოვრების ეფექტიანად გამოყენებასა და მართვის საქმეში მნიშვნელოვანია საძოვრებით სარგებლობისათვის გადასახადების თანხის სწორად განსაზღვრა. აღნიშნული საკვანძო საკითხები უნდა იქნეს განხილული და დაკონკრეტებული საქართველოს კანონში „საძოვრების მართვის შესახებ“.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საძოვრების მართვამ და გამოყენებამ არსებითი ცვლილებები განიცადა ყირგიზეთშიც. ყირგიზეთის რესპუბლიკისათვის საძოვრები წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს და მასზე მოდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 85%. მომთაბარე მესაქონლეობა ყირგიზეთის მოსახლეობის ყოფის ტრადიციული ფორმაა. ამჟამად ყირგიზეთისათვის მეცხოველეობის დარგი მნიშვნელოვანი შემოსავლების წყაროს წარმოადგენს და მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებრივი საძოვრების ეფექტიან გამოყენებასთან. ამ მიზნით ყირგიზეთში 2009 წელს მიიღეს კანონი „საძოვრების შესახებ“, ხოლო საძოვრების მართვის პასუხისმგებლობა გადაეცა საძოვრით



მოსარგებლეთა ასოციაციას და მის აღმასრულებელ ორგანოს – სამოვრების მართვის კომიტეტს. ამ კანონიდან გამომდინარე, ქვეყანაში სამოვრების მართვა ხორციელდება სამ დონეზე. პირველ დონეს განეკუთვნება სოფლის მიმდებარე სამოვრები, რომლის მართვასაც ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. მეორე დონეზე წარმოდგენილია ინტენსიური გამოყენების სამოვრები, რომლის მართვაც ხორციელდება იჯარით რაიონული ადმინისტრაციის მხრიდან, ხოლო მესამე დონეზე მომთაბარე პირუტყვის სამოვრები რეგიონული სახელმწიფო ადმინისტრაციის მმართველობაში იმყოფება. მართვის ასეთმა სისტემამ ხელი შეუწყო სამოვრების დეგრადაციის პროცესების შემცირებას და მათ რაციონალურ გამოყენებას.

2013-2017 წლებში სამოვრების მდგრადი გამოყენების მიზნით ყირგიზეთში განხორციელდა რიგი რეფორმები, რის შედეგადაც ქვეყანა პირველად ცენტრალურ აზიაში გადავიდა ბუნებრივი სამოვრების მდგრადი გამოყენების პრინციპებზე. ეს სისტემა ეფუძნება სამოვრების მართვის და მონიტორინგის ფუნქციის დელეგირებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე (გარდა ტყის ფონდში შემავალი სამოვრებისა). თავის მხრივ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სამოვრების მართვისა და მდგრადი გამოყენების ფუნქციის დელეგირებას ახდენენ ადგილებზე შექმნილ სამოვრით მოსარგებლეთა გაერთიანებებზე და მათ აღმასრულებელ ორგანოებზე – სამოვრების კომიტეტზე, რომელთა არჩევა ხდება ადგილობრივი თემებიდან დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე.

კანონი „სამოვრების შესახებ“ დიდ დახმარებას უწევს სამოვრებით მოსარგებლეთა გაერთიანებებს დარგის განვითარებაში. საკონონმდებლო კოლიიზის თავიდან აცილების მიზნით ყირგიზეთის „მიწის კოდექსში“ შეიტანეს რიგი ცვლილებები კანონებში: „სასოფლო-სამეურნეო დანაშაულების მიწის მართვის შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციის შესახებ“. ასევე ცვლილებები იქნა შეტანილი საგადასახადო და საბაჟო კოდექსებში.

სამოვრების მართვის კუთხით ასევე საინტერესოა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების გამოცდილება. ამ რესპუბლიკებისათვის სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგი მომთაბარე მესაქონლეობაა, რომელიც იყენებს საზაფხულო და ზამთრის სამოვრებს. საბჭოთა პერიოდში საზაფხულო და ზამთრის სამოვრები იყო სახელმწიფოს საკუთრებაში, შემდეგ სახელმწიფომ ის მუდმივ სარგებლობაში გადასცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. საბჭოთა პერიოდამდე ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში პირუტყვის სამოვრები ადგილობრივი ფეოდალებისა და სასოფლო თემების საკუთრება იყო, ხოლო მათი მართვა ხორციელდებოდა სათემო ადათ-წესების თანახმად. სამოვრების ეფექტიანი მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სამოვრების იჯარით გაცემის ვადები. ნიადაგურ-კლიმატური ზონების გათვალისწინებით სასურველია იჯარის ვადა 10 წელზე ნაკლები არ იყოს. სამოვრების 2-3 წლიანი იჯარა უარყოფითად მოქმედებს მათ გამოყენებაზე, რადგან შეუძლებელია ეფექტური მონიტორინგის განხორციელება. მაგალითისათვის, რუსეთის ფედერაციის სტავროპოლის მხარის ადმინისტრაცია რეგიონის სამოვრებს გაცემს ხუთწლიანი იჯარით დაღესტანის რესპუბლიკის მესაქონლეებზე, ხოლო საკუთარი მხარის მესაქონლეებზე – უვადოდ.

ბუნებრივი სამოვრების მოკლევადიანი იჯარის პირობებში გადამოვებისა და დეგრადაციის სოციალ-ეკოლოგიური მექანიზმის არსს ნათლად ცხადყოფს ამერიკული ექსპერიმენტი. სამხრეთ დაკოტის შტატში შეირჩა ბუნებრივი სამოვრების ორი იდენტური ნაკვეთი, რომელიც ზაფხულის პერიოდში გამოიყენებოდა მსხვილი რქოსანი პირუტყვის (მოზვრების) მოსასუქებლად. პირველ ნაკვეთზე წლის განმავლობაში პირუტყვს ზომიერად ამოვებენ და მათთვის გამოიყენებოდა სამოვრების ბიომასის 37%. ამ ნაკვეთზე ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ გაიზარდა ბალახის სახეობრივი შემადგენლობა, ხარისხი, სამოვრის პროდუქტიულობა და სეზონის ბოლოს ამ

ნაკვეთზე თითოეული მოზერის ცოცხალი წონა 10%-ით მეტი იყო, ვიდრე მოზერებისა, რომლებიც მეორე ნაკვეთზე იკვებებოდნენ. მეორე ნაკვეთზე ძოვება ხორციელებოდა სეზონურად 2-ჯერ მეტი პირუტყვის რაოდენობით, რის გამოც ჭარბი ძოვების გამო ხდებოდა სამოვრების გადამოვება და პირუტყვი იყენებდა სამოვრული ბიომასის 63%. ამან კი მე-9 წელს გამოიწვია სამოვრების მთელი ტერიტორიის დეგრადაცია, შეუძლებელი გახდა ზაფხულის პერიოდში პირუტყვის ძოვება და მასზე წონამატის მიღება.

ბუნებრივი სათიბ-სამოვრების გამოყენებისა და ეფექტიანი მართვის თვალსაზრისით გასათვალისწინებელია შვეიცარიის სამთო მეცხოველეობის პირობებში ფერმერების მიერ ალპური სამოვრების გამოყენების გამოცდილება. ალპური სამოვრებით მოსარგებლე ფერმერებმა სამთო მეცხოველეობის პირობებში შეძლეს საკუთარი სტრატეგიის შემუშავება. მათ ძირითადი ყურადღება გადაიტენეს ისეთ ეკონომიკურ საქმიანობაზე, როგორცაა მთის სამოვრების მოწყობა, ძოვებისა და შრომის ორგანიზება, სამოვრებზე (ადგილზე) რძის გადამამუშავება და ყველის დამზადება. შვეიცარიაში უკანასკნელ პერიოდში ფართოდ ინერგება პროგრამა „ALPFUTUR: შვეიცარიის ალპური მდელოების მომავალი“, რომლის მიზანი სამთო მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრაა. ამ პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს დარგის არსებული მდგომარეობის შესწავლა. ძირითადი ყურადღება ეთმობა ალპური მეურნეობების ფორმირების ეკოლოგიურ საფუძვლებს, მათ სოციალურ-ეკონომიკურ მნიშვნელობას სამთო მეცხოველეობას პროდუქციის ბაზრის ფორმირებაში. მომთაბარე მეცხოველეობის სისტემამ ფართოდ მოიკიდა ფეხი შვეიცარიის ალპურ სამოვრებზე. პირუტყვის საზაფხულო ძოვების პერიოდი მოიცავს მაისიდან სექტემბერ-ოქტომბრამდე პერიოდს. ალპური სამოვრებით მოსარგებლე ფერმერულ მეურნეობებში ძირითადად ჭარბობს მერძეული მიმართულება, წარმოებული რძის ძირითადი ნაწილის გადამამუშავება ხდება სამოვრებზე, შემდგომ მზადდება პროდუქტი – შვეიცარული ყველი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელ მსოფლიოში.

ალპური მეურნეობების პირობებში ტრადიციულად ჩამოყალიბდა ალპური სამოვრებით სარგებლობის კოლექტიური/კოოპერაციული სისტემა. სამოვრები, რძის მიმღები და გადამამუშავებელი ინვენტარი ხშირად წარმოადგენს ალპური პარტნიორების (ამხანაგობის/კოოპერაციის) საკუთრებას, რომელშიც გაერთიანებულია ერთი თემის მაცხოვრებლები.

ალპურ სამოვრებზე მეპატრონეები პირუტყვის მოვლა-შენახვის მიზნით იყენებენ დაქირავებულ მუშახელს. 2011 წლისათვის შვეიცარიაში ფუნქციონირებდა 7100 ალპური მეურნეობა, რომელიც დაკავებული იყო მომთაბარე მეცხოველეობით. ალპურ სამოვრებზე პირუტყვის ძოვების პერიოდი საშუალოდ შეადგენს 100 დღეს.

შვეიცარიაში მოქმედებს 1300 ალპური ამხანაგობა, რომლებიც სამოვრების სარგებლობის რეგულირებას ახორციელებს. მომთაბარე მეცხოველეობის სუბსიდირდება ხდება ფედერალური ბიუჯეტიდან. მაგალითად, დოტაციის რაოდენობა 2000\_2011 წლებში გაიზარდა 81,2 მლნ შვეიცარული ფრანკიდან 101,5 მლნ შვეიცარულ ფრანკამდე. უკანასკნელ პერიოდში შვეიცარიაში აქტიურად ვითარდება ეკოლოგიურად სუფთა (ორგანული) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და მისი მოხმარების ბაზარი. ბიოპროდუქტის წარმოება ეფუძნება მკაცრ საკანონმდებლო მოთხოვნებს, როგორცაა პირუტყვის შენახვა, სასუქების გამოყენება, გარემოს დაცვის სტანდარტები და სხვა.

შვეიცარიის თანამედროვე ალპური მეურნეობა არის ტრადიციული სისტემის ინტეგრაცია გარემოს მენეჯმენტთან და სრულადაა ადაპტირებული საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან. ალპური მომთაბარე მეცხოველეობის მიმდევარი შინა მეურნეობები (ამხანაგობები) ახდენენ საკუთარი ეკონომიკური საქმიანობის რესტრუქტურირებას ახალი ტენდენციების

გათვალისწინებით. შვეიცარიის მომთაბარე მეცხოველეობის მიმდევარი თემები სამოვრების გამოყენების ტრადიციებს ინარჩუნებენ ინოვაციური მეთოდების/ ტექნოლოგიების გამოყენების გზით და ამით ახდენენ ალპურ სამოვრებზე შვეიცარული ყველის დამზადების პოპულარიზაციას.

საქართველომ სამომავლოდ უნდა გაითვალისწინოს მომთაბარე მეცხოველეობის განვითარების შვეიცარიის ალპური მეურნეობების გამოცდილება, რომელიც სასურველია საფუძვლად დაედოს კავკასიონის მთიანეთში განლაგებული სუბალპური და ალპური სამოვრების რაციონალური გამოყენების პროცესს. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შვეიცარიის მსგავსად, საქართველოშიც ზაფხულის სამოვრებზე ტრადიციულად ხორციელდება რძის პროდუქციის წარმოება და გადამამუშავება (ყველისა და სხვა პროდუქტების დამზადება). მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ალპურ სამოვრებზე დამზადებული გუდის ყველი, ხოლო დასავლეთ საქართველოში – ალპურ სამოვრებზე დამზადებული სულგუნი (ლეზარდე, საირმე).

### **საქართველოს სათიბ-სამოვრების ბალახნარის რაციონალური გამოყენების მიზნით ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების აქტუალური პრობლემები**

საქართველოს ბუნებრივი სათიბ-სამოვრების ეფექტური მართვის მნიშვნელოვანი პირობა არის ბალახნარის მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გრძელვადიანი პერიოდით შენარჩუნება და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის უზრუნველყოფა.

წლების განმავლობაში სამოვრების უსისტემო გამოყენების შედეგად მნიშვნელოვნადაა გააუარესებული ბალახნარის ბოტანიკური შემადგენლობა, სამოვრული საკვებისა და თივის ხარისხი. პირუტყვის მიერ სამოვრების მუდმივად ინტენსიური გამოყენების პროცესი აუარესებს ბალახნარის ბიომრავალფეროვნებას და ამცირებს პირუტყვისათვის საკვებად ვარგისი ბალახის გამოსავლიანობას, ამიტომ ბუნებრივი სამოვრების გამოყენების დროს აუცილებლად უნდა იქნეს დაცული სამოვრების გამოყენების დასაშვები ნორმები.

ძოვების პროცესში თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებისას მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს აღმოსავლეთ საქართველოს არიდულ და სემიარიდულ ზონაში გაზაფხულისა და შემოდგომის ეფემერების 2-3 სმ-ის სიმაღლეზე, ზამთრის პერიოდში – ავშნიანების გამოვება 3-6 სმ-ზე, ასევე ხურხუმო-ჩარანის ერთწლიანი ყლორტების, ვაციწვერას, ველის წივანას, უროიანი ველებისა და მსგავსი დაჯგუფების ბალახნარების გამოვება 4-6 სმ-ზე.

მთის შუა ზონის, მთა ველის და მთა-მდელოს სამოვრებისათვის გამოვების სიმაღლე უნდა შეადგენდეს 4-6 სმ. სუბალპური და ალპური ზონებისათვის ბალახნარის გამოვება უნდა მოხდეს 3-6 სმ-ის სიმაღლეზე.

სამოვრების გამოყენების ოპტიმალური ჯერადობის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამოვრების პროდუქტიულობისა და ძოვების პერიოდში პირუტყვის მწვანე მასით უზრუნველყოფის საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძოვების ციკლებს შორის პერიოდის დაცვას, რათა მცენარეს საშუალება მიეცეს აღიდგინოს ფოთლები და დააგროვოს ფესვებში სამარაგო საყუათო ნივთიერება. გამოვილი ბალახნარის სრულ აღდგენას ესაჭიროება 3-4 კვირა. ძოვების ციკლებს შორის პერიოდი სამოვრების ადგილმდებარეობისა და სამოვრების ტიპის მიხედვით მერყეობს. ზაფხულის ბუნებრივ სამოვრებზე პირველი და მეორე გამოვებას შორის პერიოდი 20-25 დღეა, მეორე და მესამე გამოვებას შორის კი – 30-40 დღე სამოვრული სეზონის დასასრულს.

საქართველოს ტყე-ველის ბუნებრივი სამოვრები შესაძლებელია გაიძოვოს 2-4-ჯერ, მთისწინებში 3-4-ჯერ, სუბალპებში 2-3-ჯერ, ხოლო ალპებში 1-2-ჯერ. აღმოსავლეთ

საქართველოში არიდულ და სემიარიდულ ზონაში საძოვრების გამოყენება შესაძლებელია ერთხელ.

მომთაბარე მეცხვარეობის პირობებში მეტად მნიშვნელოვანია შემოდგომის ძოვების ვადების დაცვა, რადგან ამ პერიოდში მცენარე თანდათან აჩერებს თავის ვეგეტაციას და შემოდგომის ბარტყობის პროცესში მეცხვარეებმა არ უნდა დაუშვან ბალახნარის გამოვება. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატურ ზონებში რეკომენდებულია ძოვება შეწყდეს მცენარეთა ვეგეტაციის დამთავრებამდე 3-4 კვირით ადრე.

ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ეფექტიანი მართვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს საძოვრებზე პირუტყვის სწორი დატვირთვის დადგენა. მეცნიერულად უნდა იყოს დასაბუთებული, ბუნებრივი საძოვრების 1 ჰა-ზე პირუტყვის რა რაოდენობის გამოვებაა დასაშვები. საძოვრების დატვირთვის ნორმებთან ერთად დასადგენია საძოვარზე პირუტყვის სიმჭიდროვეც. ბუნებრივ საძოვრებზე პირუტყვის დატვირთვის დასადგენად აუცილებელია დადგინდეს პირუტყვის საძოვარზე ყოფნის პერიოდი. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის იგი სეზონზე საშუალოდ შეადგენს 150-180 დღეს; აქვე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პროდუქტიულობა. საშუალოდ ერთ ფურს დღე-ღამეში ესაჭიროება საზაფხულო საძოვარზე 40-75 კგ მწვანე მასა, ხოლო ცხვარს – 6-8 კგ. ზამთრის საძოვრებზე არიდული და სემიარიდული ზონის პირობებში ბალახნარის სიმშრალის გამო ცხვარს გაცილებით ნაკლები ბალახი ესაჭიროება და იგი შეადგენს 2,0-5,0 კგ-ს. საზაფხულო საძოვრებზე ბალახნარის ძოვადობის კოეფიციენტი ტოლია 80-85%-ის, ხოლო ნახევრად უდაბნოსა და ველის პირობებში – 60-70%-ისა. საძოვრებზე პირუტყვის დატვირთვის ნორმების დადგენისას ასევე მხედველობაშია მისაღები საძოვრის პროდუქტიულობა. რაც უფრო მაღალია საძოვრის პროდუქტიულობა, მით უფრო მეტია დატვირთვის ნორმა. ძოვების ნორმების არ დაცვა იწვევს საძოვრების ბალახნარის ბიომრავალფეროვნების დეგრადაციას და ბალახნარში პირუტყვის საკვებად ვარგისი ბალახების თანდათან გაქრობას.

ბუნებრივ საძოვრებზე პირუტყვის დატვირთვის ნორმის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ საძოვრების ყუათიანობა, ერთი პირუტყვის სადღეღამისო საჭიროება საძოვრულ საკვებზე და საძოვრული პერიოდის ხანგრძლივობა დღეების მიხედვით. საძოვრების დატვირთვის განგარიშება ხორციელდება შემდეგი ფორმულის გამოყენებით [სოფლის მეურნეობის ნორმატიულ-საცნობარო მასალების კრებული, თბ., „მეცნიერება“, 1971]:

$$H = \frac{y}{K \cdot D},$$

სადაც H არის 1 ჰა-ს დატვირთვა (პირუტყვის სულადობა);

Y - საძოვრების მოსავლიანობა შესაბამის პერიოდში (ბალახის ან მშრალი მასა კგ-ით);

K - არის დღე-ღამეში ერთ სულზე საჭირო საკვების რაოდენობა (მწვანე ან ხმელი საკვები კგ-ში);

D - საძოვრული პერიოდის ხანგრძლივობა დღეების მიხედვით.

საქართველოში ბუნებრივი საძოვრების უსისტემო გამოყენების შედეგად აშკარად ვითარდება ეროზიული პროცესები და ხდება ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია. აღნიშნული პროცესების შეკავების მიზნით მიზანშეწონილია საძოვრების ამ უბნებზე დაჩქარებული გამდებლობის ტექნოლოგიის გამოყენება. დამრეც ფერდობებზე განლაგებულ ბუნებრივ საძოვრებზე უპირატესობა უნდა მიენიჭოს დაჩქარებულ გამდებლობას. დაზიანებული საძოვრების ფერდობებზე ნიადაგი მიზანშეწონილია დამუშავდეს შემოდგომით და დაითესოს მრავალწლიანი ბალახები. წვრილი თესლის მქონე ბალახების თესლი მოიზნევა ნიადაგზე, ხოლო მსხვილი თესლის მქონე მცენარეების დასათესად გამოყენებული უნდა იქნეს ჩამთესები.

ჩათესვის სიღრმე უნდა შეადგენდეს 2-4 სმ-ს. პარკოსანი და მარცვლოვანი ბალახების თანაფარდობა ბალახნარევიში სასურველია შეადგენდეს  $1 : 2$ , სათიბების შესაქმნელად კი უნდა გაიზარდოს პარკოსნების წილი.

პირუტყვის მიერ საკვებად ვარგისი ბალახის ათვისების მიხედვით საძოვრები ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით: პარკოსანი ბალახი - 90-95%; მარცვლოვანი ბალახი - 50-90%; ნაირბალახი - 30-70%; ისლი - 20-40%.

ბუნებრივი საძოვრების რაციონალური გამოყენების მიზნით მეტად მნიშვნელოვანია ძოვების ვადების დაცვა. ძოვების ადრე ან გვიან დაწყებას ახლავს უარყოფითი შედეგები. ძოვების გვიან დაწყების დროს მრავალი მარცვლოვანი ბალახი (შვრიელა, სათითურა და სხვა) უხეშდება და მათი ათვისება მცირდება, მისი ადრე დაწყების დროს (თივის აღებიდან რამდენიმე დღეში) კი პირუტყვი აზიანებს მცენარის ყლორტებს და გვიანდება ახალი ყლორტების აღმოცენება, რაც საბოლოო ჯამში იწვევს საძოვრის პროდუქტიულობის შემცირებას. ამიტომ საძოვრებზე ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების პირობებში დაცული უნდა იქნეს ბალახნარის გაძოვების ვადები, ძოვების ოპტიმალური სიმაღლე და გაძოვების რეკომენდებული რიცხვი. ბუნებრივი საძოვრების ეფექტური მართვის მიზნით მიზანშეწონილია დამუშავდეს საძოვრების ნაკვეთიმომარაგებითი ძოვების სანიმუშო სქემა ბუნებრივ-კლიმატური სარტყლების გათვალისწინებით.

არიდულ ზონაში (გარდაბანი, საგარეჯო, სიღნაღი, დედოფლის წყარო) ნაკვეთიმომარაგების ძოვებისათვის მიზანშეწონილია 4-მინდვრიანი სქემის დამუშავება. აქედან 1 მინდორი ძოვების სეზონის განმავლობაში გაიძოვება 3-ჯერ, 2 მინდორი - ასევე 3-ჯერ, 3 მინდორი თესლის მომწიფების შემდეგ გაიძოვება ერთხელ, 4 მინდორი კი - 3-ჯერ.

ამავე ზონაში დაბალპროდუქტიულ და დეგრადირებულ საძოვრებზე მიზანშეწონილია დაემატოს მე-5 მინდორი, რომელზეც წლის განმავლობაში მოხდება საძოვრის დასვენება და მისი გაუმჯობესების მიზნით გატარდება შესაბამისი ღონისძიებები.

საქართველოსათვის ბუნებრივი სათიბების ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა გათიბვის დაწყებისა და სიმაღლის ოპტიმალური პარამეტრების დადგენა. გათიბვის ვადების განმსაზღვრელია მცენარის განვითარების ფაზები, რომლის დროსაც მცენარის მწვანე მასის მაქსიმალურ გამოსავლიანობასთან ერთად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ყუათიანი ნივთიერებების მაქსიმალური გამოსავლიანობა ფართობის ერთეულიდან. მარცვლოვნებში ასეთ ფაზად მიჩნეულია ყვავილობის დასაწყისი, ხოლო პარკოსნებში – დაკოვრება. ბუნებრივი სათიბებიდან მიღებული თივის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბალახის გათიბვის სიმაღლეზე. ბალახის დაბალ სიმაღლეზე გათიბვა ასუსტებს მცენარეს და ჯამში ამცირებს თივის გამოსავლიანობას, ხოლო მაღალი გათიბვა (12\_15 სმ) განაპირობებს მასის დანაკლისს. ბუნებრივ საძოვრებზე ბალახნარის ოპტიმალურ გათიბვად მიჩნეულია 6-7 სმ. სათიბების ინტენსიური გამოყენების მიზნით სასურველია 4-6 წელიწადში ერთხელ მოხდეს სათიბი ნაკვეთის გაძოვება, რაც მომავალში ხელს შეუწყობს ბალახნარის ბოტანიკური შემადგენლობის გამრავალფეროვნებას და შესაბამისად თივის მოსავლის გადიდებას.

ძლიერად ეროზირებულ ფერდობებზე უპირატესობა უნდა მიენიჭოს ფესვიანი ბალახების შეთესვას, როგორებიცაა: წითელწვერა, ურო, მხოხავი ჭანგა, ვაციწვერა, ესპარტეტი, შვრიულა, მაღალი კონდარი და ა.შ.

ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და კონსერვაციის მიზნით აუცილებელია საძოვრებზე მცენარეული მასის ოპტიმალური რაოდენობის შენარჩუნება, გაძოვებისაგან დაცვა, ძოვების რეჟიმის კალენდრის შედგენა.

სამოვრების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია მონიტორინგის სისტემის შემუშავება. პირობითად, საქართველოში სამოვრების მდგომარეობის შეფასება უნდა განხორციელდეს 5 წელიწადში ერთხელ კომპეტენტური ექსპერტების ჩართულობით. შეფასება უნდა ხდებოდეს სამოვრების პასპორტიზაციის საფუძველზე. კერძოდ, სამოვრების მონიტორინგის პროცესში უნდა შეფასდეს მიწის ეროზიის რისკები, სამოვრების ბიომასა და მცენარეული საფარის მრავალფეროვნება, ბუნებრივი სამოვრებსა და ტყის საზღვრების ცვლილებების ტენდენციები.

ბუნებრივი სათიბ-სამოვრების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია ორგანული სასუქების პერიოდული შეტანა. ამ კუთხით პირუტყვის სადგომებზე დაგროვილი ნაკელი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ორგანული სასუქია. ნაკელის შეტანა საჭიროა იმ სამოვრებზე, რომლებიც დაბალი ყუათიანობით გამოირჩევა. საქართველოში ბუნებრივ სამოვრებს უმეტესად ცხვრისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლისთვის იყენებენ, სადაც უმეტესად მათი ნაკელი გროვდება. სამოვრის ბალახნარზე მოქმედების მიხედვით უკეთესი შედეგი აღენიშნება ცხვრის ნაკელს. 1 ჰა-ზე ცხვრის ნაკელის შეტანა ბალახნარის მშრალი მასის რაოდენობას ზრდის 84 კგ-ით. ბუნებრივ სამოვრებზე ორგანული სასუქების შეტანის საუკეთესო მეთოდია პირუტყვისათვის გადასატანი სადგომების მოწყობა. ერთი ცხვარი დღე-ღამეში გამოყოფს 2,2 კგ მკვრივ და 0,7 კგ თხევად ექსკრემენტებს. ცხვრის სადგომების მონაცვლეობით შესაძლებელია მნიშვნელოვანი დანახარჯების გარეშე გავაუმჯობესოთ ბუნებრივი სამოვრების მნიშვნელოვანი ფართობი.

### **ბუნებრივი სამოვრების მართვის ორგანიზაციული სისტემის განვითარების მიზნით საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის სრულყოფა**

საქართველოს ბუნებრივი სათიბ-სამოვრების ეფექტური მართვის განვითარების საქმეში მეტად მნიშვნელოვანია არსებული საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის სრულყოფა-დახვეწა. ქვეყნის სამოვრების ექსპლუატაციის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს გამართული საკანონმდებლო (საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტები) ბაზა, რომელიც გავრცელდება ყველა ტიპის სამოვარზე (სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო). სამოვრების ეფექტიანი მართვა უნდა ხორციელდებოდეს სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების მიერ ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში.

საკანონმდებლო ბაზის ფორმირების პროცესში დაცული ტერიტორიებისა და ტყის ფონდის მიწების ფარგლებში გათვალისწინებული უნდა იქნეს სამოვრებით სარგებლობის სპეციფიკური პირობები და შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს დაცული ტერიტორიებისა და ტყის მართვის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებშიც.

სამოვრების მართვის პროცესში საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სამოვრების მდგრად მართვას. აქედან აღსანიშნავია:

1. ქვეყანაში ერთიანი კონსოლიდირებული ნორმატიული საკანონმდებლო აქტის არარსებობა, რომელიც დაარეგულირებს სამოვრების მდგრად მართვას;
2. სამოვრების მართვის რეგულაციები გაზნეულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში;
3. არაერთი საკანონმდებლო აქტი მიღებულია 90-იან წლებში და მათში ინფორმაციის განახლება არ მომხდარა;
4. ქვეყანაში არ არის ჩამოყალიბებული მიწის მართვის ერთიანი პოლიტიკა.

საკანონმდებლო ხარვეზების შესახებ ნათლად მიუთითებს 2014 წლის 29 დეკემბრის მთავრობის № 742 დადგენილება „გაუდაზნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული

პროგრამის დამტკიცების შესახებ“, რომელშიც თვალნათლივია მითითებული, რომ საქართველოს არ გააჩნია სოფლის მეურნეობის დარგში კონსოლიდირებული ჩარჩო კანონის ტიპის საკანონმდებლო აქტი, რომელიც დაარეგულირებდა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმატივების გამოყენებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიღებულ იქნეს ჩარჩო ტიპის კანონი მიწის რესურსების მდგრადი მართვის სფეროში (მიწის კოდექსი). სამწუხაროდ, აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზები დღემდე არ არის გამოსწორებული.

ქვეყანაში ასევე არასახარბიელო მდგომარეობაა შექმნილი მიწის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პოლიტიკით განსაზღვრულ ეროვნულ და რეგიონულ დოკუმენტებს არ გააჩნიათ მჭიდრო კავშირი მიწის რესურსების მდგრად მართვასთან, ამიტომ აუცილებელია შემუშავდეს პოლიტიკის განმსაზღვრელი კომპლექსური ხასიათის დოკუმენტი, რომელშიც კონკრეტულად იქნება გაწერილი საძოვრების მდგრადი მართვის ღონისძიებები.

საკანონმდებლო ბაზის ნაკლოვანებაა ისიც, რომ საძოვრების მართვის რეგულაციები გაბნეულია სხვადასხვა ნორმატიულ საკანონმდებლო აქტებში და არ არის მითითებული კონკრეტული ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები.

საქართველოს კანონში „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ ჩამოთვლილ ღონისძიებებში კვლავ ვაკუუმი რჩება საძოვრების მდგრად მართვასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ორგანული კანონი უნდა არეგულირებდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის მდგრად მართვას, მასში არაფერია ნათქვამი საძოვრების მართვასა და ტრადიციულ ძოვებასთან დაკავშირებით.

კანონმდებლობის ნაკლს წარმოადგენს ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის განმარტება სხვადასხვა ინტერპრეტაციით ხდება. აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდა 2019 წლის 25 ივნისის მიღებული კანონით „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, რომელშიც სასოფლო-სამეურნეო მიწა განმარტებულია, როგორც „საძოვრის, სათიბის, სახნავისა და საკარმიდამო კატეგორიის მიწა, რომელიც გამოიყენება ან რომლის გამოყენებაც შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად 2019 წელს მიღებული ახალი ნორმატიული საკანონმდებლო აქტებისა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ და „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო მიწის მდგრადი მართვის შესახებ“, კვლავ ზოგადი დარჩა არასასოფლო-სამეურნეო მიწის განმარტება, რომელიც ფაქტობრივად მექანიკურადაა გადმოტანილი საგადასახადო კოდექსიდან.

ქვეყნისათვის მიწის მდგრადი მართვის საკითხში უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ის, რომ დღემდე არ არსებობს დაზუსტებული მონაცემები სახელმწიფო ან კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის განაწილებაზე, რაც მნიშვნელოვნად ართულებს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვას, ამასთან ქვეყანაში დღეისათვის არ არსებობს სახელმწიფო უწყება, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების მდგრად გამოყენებაზე იქნება პასუხისმგებელი.

საქართველოში ამჟამად არ მოქმედებს ნორმატიული საკანონმდებლო აქტი, რომელიც უშუალოდ საძოვრების მდგრად მართვას დაარეგულირებს. კერძოდ, ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო აქტებში: „ნიადაგის დაცვის შესახებ“, „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“, წარმოდგენილი არ არის ის აუცილებელი ნორმები, რომელთაც უნდა უზრუნველყონ კანონმდებლობით დასახული მიზნების მიღწევა.

აღსრულების თვალსაზრისით კი აღნიშნული საკანონმდებლო ნორმატიული აქტები ფაქტობრივად უმოქმედოა.

დასახვეწია საკანონმდებლო ჩარჩო მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილებების შესახებ. სასოფლო-სამეურნეო მიწის, არასასოფლო-სამეურნეო მიწის კატეგორიაში გადაყვანა იწვევს სასოფლო-სამეურნეო მიწის შემცირებას (დანაკარგს), რაც საძოვრებსაც ეხება.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №487 ბრძანება [საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება 31. 12. 2019 №487 „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე (<https://bit.ly/135ZD8Pt>) „საჯარო რეესტრის შესახებ“ განსაზღვრავს მიწის მიზნობრივი სტატუსის შეცვლის საკითხს. მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლას ახორციელებს „სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“. სასოფლო-სამეურნეო მიწის მიზნობრივი სტატუსი შეიძლება შეიცვალოს ორ შემთხვევაში: ა) როდესაც დგება საზოგადოებრივი საჭიროება ან ბ) სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში. აღნიშნულ საკანონმდებლო აქტში დაკონკრეტებული არ არის, თუ რას ნიშნავს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება, ამიტომ ხშირად ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ხდება სასოფლო-სამეურნეო მიწის კატეგორიის შეცვლა, ეს ეხება საძოვრებსაც.

საქართველოს საკანონმდებლო აქტების ნაკლოვანებად უნდა იქნეს მიჩნეული ის გარემოება, რომ ქვეყანაში არ არსებობს პასუხისმგებელი უწყება (სახელმწიფო დაწესებულება), რომელიც პასუხისმგებელია ამ კანონის აღსრულებაზე, რაც ართულებს საკანონმდებლო აქტის მოქმედების ეფექტურობას. კერძოდ, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გარემოზე დატვირთვის ნორმები 5 წელიწადში ერთხელ უნდა გადაიხედოს (ხელახლა შემუშავდეს) და დამტკიცდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულებით „გარემოზე დატვირთვის ნორმების შესახებ“. სამწუხაროდ, დღემდე არ არის შემუშავებული დებულება „გარემოზე დატვირთვის ნორმების შესახებ“, ამიტომ საძოვრებით სარგებლობა ყოველგვარი ნორმატივების გარეშე გრძელდება.

საძოვრების მდგრადი მართვის კუთხით დასახვეწია კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, ანუ კანონის 45-ე მუხლში განსაზღვრულ ჩამონათვალს უნდა დაემატოს ბუნებრივი სათიბ-საძოვრები, რადგან ბუნებრივი სათიბ-საძოვრები უნიკალური ბუნებრივი ეკოსისტემაა და მათი დეგრადაციისა და ეროზიის პროცესები ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

საძოვრების მდგრადი მართვის კუთხით დახვეწას საჭიროებს საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემების შესახებ“. კანონში მითითებულია დაცული ტერიტორიები, სადაც დაუშვებელია საძოვრებით სარგებლობა. კერძოდ, კანონის მე-5 მუხლის თანახმად ეროვნული პარკებისა და აღკვეთილების ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებულია ადგილობრივი მოსახლეობისათვის საძოვრების გათიბვა, პირუტყვის ძოვება, ასევე საძოვრების მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემა და ა.შ., მაგრამ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 იანვრის №2-4 ბრძანების „საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ თანახმად გადასახედია (დასახვეწია) საძოვრების მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის პროცედურის ინსტიტუციური ჩარჩო.

ასევე გადასახედია საქართველოში საძოვრების მართვის კანონმდებლობა საძოვრების მართვაში მესაკუთრეთა და ადგილობრივ მოსარგებლეთა ჩართულობის კუთხითაც. ქვეყანაში არ არსებობს საკანონმდებლო ნორმატივები მუნიციპალიტეტების და საძოვრებით უშულო



მოსარგებლებების მიერ საძოვრების ერთობლივი მართვის თაობაზე, მაშინ როდესაც ასეთი მექანიზმი აპრობირებულია მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში.

საქართველოს საკანონმდებლო ბაზში გადასახედია საძოვრებით მდგრადი სარგებლობის და მათი ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები, როგორც ეროვნულ, ასევე მუნიციპალურ დონეზე. ეროვნულ დონეზე უნდა განისაზღვროს საძოვრების მართვაზე (კოორდინაციაზე) პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების მართვაზე პასუხისმგებელი ორგანო/დაწესებულება. საკანონმდებლო დონეზე უნდა ჩამოყალიბდეს საძოვრების მართვის მექანიზმის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მარეგულირებელი ნორმატივები. ბუნებრივი სათიბ-საძოვრების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენებისათვის გაწერილი უნდა იყოს კონკრეტული განსახორციელებელი ქმედებები. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობაში შესატანი იყო ცვლილებები, რომლის საფუძველზეც განსაზღვრული იქნებოდა საძოვრების მდგრად მართვაზე პასუხისმგებელი ორგანო. სამწუხაროდ, ეს 2015 წლიდან დღემდე არ განხორციელებულა.

საქართველოში საძოვრების მდგრადი მათვის სრულყოფისა და განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრატეგიის ფორმირების და მისი შესრულების მონიტორინგი. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის დადგენილება №343-ით დამტკიცდა „2014-2020 წლების საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმა“. სტრატეგიაში განსაზღვრული ორივე მიზანი კავშირშია ბუნებრივ სათიბ-საძოვრებთან.

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვაა, ამასთან 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმაში გაწერილია საძოვრებთან დაკავშირებული მხოლოდ ერთი აქტივობა – მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების რაციონალურად გამოყენება.

საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წლის 20 დეკემბერს მიღებული იქნა განკარგულება №265, რომლის საფუძველზეც დამტკიცდა „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“. აღნიშნულ სტრატეგიაში სასოფლო-სამეურნეო მიწის, საძოვრების და სათიბების ფართობებზე მიჩნეულია 2004 წლის მიწის ბალანსის მონაცემები, რაც ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანაში არსებულ მიწის რესურსებზე არ ვფლობთ უახლეს მონაცემებს და შესაბამისად, სტრატეგიული გეგმა ეყრდნობა მოძველებულ ინფორმაციას.

2021-2027 წლების სტრატეგიის სამი მიზნიდან ერთ-ერთი დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასთან, ეკოსისტემების შენარჩუნებისა და კლიმატის ცვლილებებზე ადაპტაციის საკითხებთან. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გადასაწყვეტია შემდეგი ამოცანები: გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატოკონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება და ბიოორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა; ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება; ენერგოეფექტური და განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა; აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

სამწუხაროდ, 2021-2023 წლებში განხორციელებული ქმედებები არ არის დაკავშირებული საძოვრების მდგრად მართვასთან [საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა ( <https://bit.ly/2L2dliu> )].

სამოვრების მდგრადი მართვის საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის გაანალიზების შედეგად დღეისათვის მიზანშეწონილია „სამოვრების მართვის შესახებ“ ახალი ჩარჩო საკანონმდებლო პაკეტის მომზადება, რომელიც დაარეგულირებს ყველა კატეგორიის სამოვრების ეფექტური მართვის პრობლემებს. ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შემთხვევაში აუცილებელი გახდება ცვლილებების შეტანა ისეთ საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებში, როგორიცაა:

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „მიწის მიწნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო მიწის მდგრადი მართვის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემების შესახებ“;
- საქართველოს ტყის კოდექსი;
- საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

„სამოვრების მართვის შესახებ“ ახალი კანონპროექტი უნდა მოიცავდეს სამოვრების მდგრადი მართვის ყველა ასპექტს, კერძოდ, მართვის საკითხებს, სარგებლობასა და კონსერვაციას. აღნიშნული კანონპროექტით უნდა დარეგულირდეს ყველა კატეგორიის სამოვარი. უნდა დაჩქარდეს „სამოვრების მართვის შესახებ“ კანონპროექტის მიღება საქართველოს პარლამენტის მიერ, რომელზე დაყრდნობითაც უნდა ჩამოყალიბდეს კანონქვემდებარე აქტები (დებულებები) სამოვრების იდენტიფიცირების, კლასიფიკაციისა და ზონირების შესახებ. კანონპროექტში უნდა განისაზღვროს სამოვრების განკარგვაზე, მართვასა და დაგეგმვაზე, მონიტორინგსა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანოები (უწყებები) სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეზე.

კანონით „სამოვრების მართვის შესახებ“ უნდა დარეგულირდეს პირუტყვის გადასარეკი ტრასების სამართლებრივი სტატუსი და აგრეთვე მის მართვაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს სახელმწიფო უწყება.

„სამოვრების მართვის შესახებ“ კანონის მოქმედების სამართლებრივი რეგულირება მოითხოვს შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებას, რითაც უნდა განისაზღვროს მუნიციპალურ დონეზე სამოვრების მართვის დაგეგმვის პროცედურები, იჯარით გაცემის დროს მათი საიჯარო ხელშეკრულების ფორმა და სხვ.

სამოვრების ეფექტური მართვის ახალი კანონმდებლობის შემუშავებითა და მისი აღსრულებით გამჭვირვალე გახდება სამოვრების მდგრადი მართვა, ამ პროცესში ჩართულ მოსარგებლეთა აქტიურობა და მათი ანგარიშვალდებულება.

### **სათიბ-სამოვრების მდგრადი მართვის ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფის შესახებ**

სამოვრების მდგრადი მართვა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამოვრებზე საკუთრებითი ურთიერთობების მოწესრიგება, სამოვრების შეფასება, დაგეგმვა და მონიტორინგი. მდგრადი მართვის ეს კანონზომიერები განხორციელებული უნდა იქნეს სისტემურად სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეზე.

ბუნებრივი სათიბ-სამოვრების ეფექტიან მართვაში დიდი პოტენციალი გააჩნია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემავალ „სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს“. სააგენტო დიდ სამუშაოს ეწევა დაცული ტერიტორიების ფარგლებში არსებული სამოვრებით სარგებლობის დაგეგმვის საკითხებში. მას რეგიონებში გააჩნია დაცული ტერიტორიების მართვის საკუთარი ქსელი, მაგრამ თვით სააგენტოს ინსტიტუციური მოწყობის კუთხით ესაჭიროება სამოვრების მდგრადი მართვისათვის აუცილებელი სტრუქტურის დახვეწა და

რეგიონული სამსახურების მაღალკვალიფიციური პროფესიონალი სპეციალისტებით დაკომპლექტება, რათა მათ მომავალში შეძლონ დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში არსებული სათიბ-სადოვრების მდგრადი მართვის დაგეგმვა და შემდგომი განხორციელება.

ბუნებრივი სათიბ-სადოვრების მდგრადი მართვისა და პირუტყვის გადარეკვის მაღალ დონეზე ორგანიზების მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია მომთაბარე მესაქონლეობაში პირუტყვის გადასარევი ტრასების გამართული ფუნქციონირება. დღეისათვის პირუტყვის გადარეკვის კალენდრის შედგენას და გადარეკვის ორგანიზებას „გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს“ სისტემაში შემავალი „სურსათის ეროვნული სააგენტო“ ახორციელებს. მიზანშეწონილია აღდგეს „გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს“ სტრუქტურაში პირუტყვის გადასარევი ტრასების მომსახურე რაზმი, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელი იქნება გადასარევი ტრასების გამართულ ფუნქციონირებასა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაზე.

ბუნებრივი სათიბ-სადოვრების მართვა მოიცავს ისეთ კომპონენტს, როგორცაა სადოვრებით მდგრადი სარგებლობა, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, ქვეყნის მასშტაბით სადოვრების ზონირება და იდენტიფიკაცია ბუნებრივი გეოგრაფიული ნიშნით, მათი მცენარეული საფარისა და საკვები რესურსების შეფასება, პირუტყვის როტაციული ძოვების და სადოვრით ბრუნვის სქემების დამუშავება რეგიონების მიხედვით. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით სასურველია გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემავალმა სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელმა ცენტრმა ურთიერთკოორდინაციის პირობებში უზრუნველყონ ბუნებრივი სათიბ-სადოვრების მდგრადი მართვისა და გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების დამუშავება და მათი პრაქტიკაში დანერგვა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემავალი უწყებები: დაცული ტერიტორიების სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო, სოფლის განვითარების სააგენტო და მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად (კოორდინაციის გარეშე) ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ბუნებრივი სათიბ-სადოვრების განკარგვას. მაგალითისათვის, 2017 წლის 29 მაისს დამტკიცდა მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სადოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა, რომლის განხორციელებაც დაევა „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს“; 2022 წლის 22 მაისს ცვლილებები შევიდა 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებაში და „სოფლის განვითარების სააგენტოსთან“ ერთად მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სადოვრების რაციონალური გამოყენების სახელმწიფო პროგრამაში ჩართული იქნა „საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო“, „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“, „სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო“ და „სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო“.

2021 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის №497 დადგენილებით დამტკიცდა „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სადოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამა“. ამ პროგრამის ფარგლებში „მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოს“ დაევა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სადოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება „სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოსთან“ ერთად.

ორივე დადგენილებაში გაწერილია სამოვრების იჯარით გაცემისა და სამოვრებით სარგებლობის კონკრეტული მასტიმულირებელი ღონისძიებები. სამოვრების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილების ასეთი დაქსაქსვა სახელმწიფო უწყებებს შორის იწვევს განსახორციელებელი ღონისძიებების არათანმიმდევრულობას და გარკვეულ გაუგებრობებს უწყებათა შორის კომუნიკაციის (კოორდინაციის) პროცესში. სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი სააგენტოების ჩართულობით და „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მონაწილეობით პერმანენტულად ტარდება აუქციონები მოსარგებლებზე სამოვრების იჯარით გაცემის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია სამოვრების მდგრადი და ეფექტური მართვის მიზნით „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს“ შემადგენლობაში „სამოვრების მართვის საკოორდინაციო ცენტრის (საბჭოს)“ შექმნა, რომელიც საკუთარ თავზე აიღებს სამოვრების მართვის სახელმწიფო უწყებების არსებულ ფუნქციებს, სამოვრების განკარგვის ღონისძიებებზე პასუხისმგებლობას და უფრო თანმიმდევრულს გახდის ქვეყანაში სამოვრების მართვის, იჯარით გაცემისა და მოსარგებლეთა მიერ სამოვრების განკარგვის საკითხებს.

საქართველოში ინსტიტუციურ სრულყოფას საჭიროებს სათიბ-სამოვრების მართვა მუნიციპალურ დონეზეც. „მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულმა სააგენტომ“ უნდა უზრუნველყოს ბუნებრივი სათიბ-სამოვრებით სარგებლობის, დაგეგმვის ერთიანი მეთოდოლოგიური და სახელმძღვანელო დოკუმენტაციის შემუშავება.

მუნიციპალურ დონეზე სამოვრებით სარგებლობის დაგეგმვის და მართვის მონიტორინგში ჩართული უნდა იქნეს მუნიციპალიტეტების მართვის (აღმასრულებელი) ორგანოები. აღნიშნულის ეფექტიანად განსახორციელებლად და „მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სააგენტოს“ ჩართულობით, თითოეული მუნიციპალიტეტის დონეზე უნდა შეიქმნას სამოვრების მართვის კომიტეტები, რომელთა დაკომპლექტება მოხდება ლოკალურ დონეზე (მუნიციპალიტეტის ორგანოების და სააგენტოს წარმომადგენლობით). სამოვრების მართვის კომიტეტების წარმომადგენლობაში უნდა შევიდნენ მუნიციპალიტეტების მფლობელობაში არსებული სამოვრების მართვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები (დაცული ტერიტორიების სააგენტო, სატყეო სააგენტო, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, სოფლის განვითარების სააგენტო, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტი). ამ მიზნით უნდა მოხდეს სპეციალისტების მომზადება და გადამზადება მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის, დაცული ტერიტორიების, სატყეო და სოფლის განვითარების სააგენტოებისათვის და მუნიციპალიტეტებისათვის, რათა მათ შეძლონ მუნიციპალურ დონეზე სამოვრების მართვის კომიტეტებში საქმიანობა და სამოვრების მართვის და მონიტორინგის განხორციელება.

მუნიციპალიტეტებში სამოვრების მართვის კომიტეტის ფუნქციები იქნება:

- მუნიციპალიტეტებში შემავალი სამოვრების იდენტიფიცირება, ზონირება და საზღვრების დადგენა;
- სამოვრების სამეურნეო გამოყენების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავება;
- სამოვრებით მოსარგებლეთა მოთხოვნების გათვალისწინება და იჯარით გაცემის პროცესებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

სამოვრების მართვის კომიტეტები აქტიურად უნდა იქნენ ჩართულები ადგილობრივ (მუნიციპალურ) დონეზე სამოვრებით მოსარგებლეთა გაერთიანებების (ასოციაციების) ფორმირებასა და განვითარებაში. ფორმირების პროცესი უნდა განხორციელდეს სამოვრების მართვის კომიტეტებთან კოორდინაციის გზით, რაშიც მიზანშეწონილია ჩაერთონ „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს“ დაქვემდებარებაში

არსებული საინფორმაციო-საკონსულტაციო ტერიტორიული ცენტრების ექსპერტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამოვრებით მოსარგებლეთა გაერთიანებებისათვის, იჯარით მოსარგებლეთათვის და სამოვრების კერძო მესაკუთრეთათვის სამოვრების მართვის საკითხებზე მეთოდოლოგიურ მხარდაჭერასა და შესაბამისი ტრენინგების ორგანიზებას.

სამოვრების მართვის საკითხებზე ტექნიკური დახმარების გაწევის მიზნით რეგიონებში ამ სფეროში საჭიროა „სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ და „სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის სპეციალისტების“ ჩართულობა, რომლებიც ადგილზე კონსულტაციას გაუწევენ სამოვრების მართვის კომიტეტების სპეციალისტებს სამოვრების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების საკითხებზე.

სამოვრების მდგრადი მართვის შესახებ ახალი კანონმდებლობა უნიფიცირებული უნდა იყოს ყველა სამოვრისათვის, მიუხედავად მისი საკუთრების ფორმისა (სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო). საკანონმდებლო აქტებში ფიქსირებული სპეციფიკური პირობები უნდა აისახოს შესაბამის ხელშეკრულებებში, სამოვრებით მოსარგებლეთა გაერთიანებების (ასოციაციების) წესდებებსა და რეგულაციებში. მესაკუთრეებისათვის დადგენილი უნდა იქნეს ტექნიკური ნორმატივები და ისინი აქტიურად უნდა ჩაერთონ სამოვრების მდგრადი მართვის პროცესში.

საქართველოში სამოვრების მდგრადი მართვის სრულყოფის მიზნით დასარეგულირებელია სამოვრების მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის ფორმირების საკითხიც. მიზანშეწონილია ციფრული საინფორმაციო ბაზის ფორმირება, რომელიც მიაწვდის მომხმარებელს სამოვრების შესახებ მუდმივად განახლებად ინფორმაციას. კერძოდ, საკუთრების ფორმების მიხედვით სამოვრების ფართობების, საიჯარო ურთიერთობების, საიჯარო ხელშეკრულებების, ძირითადი მოთხოვნების შესახებ და სხვ. მიზანშეწონილია ცვლილებები შევიდეს სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაციის პროცედურულ სპეციფიკაში და საჯარო რეესტრმა საკუთარ მონაცემთა ბაზაში სასოფლო-სამეურნეო მიწის რეგისტრაცია განახორციელოს კატეგორიების მიხედვით, მაგალითად, სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბ-სამოვარი და ა.შ. აღნიშნული ცვლილება დაგეგმვარება შედარებით მარტივად დავადგინოთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში სამოვრების რეალური რაოდენობა მესაკუთრეებისა და მოსარგებლების დაკონკრეტებით. ამასთან ერთად ეს მონაცემები დიდ დახმარებას გაუწევს სახელმწიფო და მუნიციპალურ სტრუქტურებს სამოვრების ეფექტური მართვის პროცესში.

დასარეგულირებელია სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული სამოვრების სტატუსიც. ამ ტიპის სამოვრები არ უნდა დაექვემდებაროს პრივატიზაციის პროცესებს და მას უნდა მიენიჭოს საჯარო, საზოგადოებრივი ღირებულების მატარებელი სტატუსი, რომელიც მომავალში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აგროტურიზმის, რეკრეაციული და სხვა სამეურნეო მიზნებისათვის.

სახელმწიფო უწყებებმა ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე ხელი უნდა შეუწყონ ამავე დროს კერძო საკუთრებაში არსებული სამოვრების მართვის გადაყვანას მდგრადი გამოყენების პრინციპებზე.

სამოვრებით სარგებლობის სისტემის ფორმირების პროცესში დახვეწას საჭიროებს მათი იჯარით გაცემის კრიტერიუმები. ეს განსაკუთრებით ეხება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სამოვრებს, რადგან სამომავლოდ ქვეყანაში დასანერგია ისეთი სისტემა, რომელიც სამოვრების გამოყენების შესაძლებლობას მისცემს როგორც ტრადიციულ მოსარგებლებს, ასევე ახალ დაინტერესებულ პირებს. ამიტომ მიზანშეწონილია საქართველოში შემუშავდეს და ამოქმედდეს

სამოვრების იჯარით გაცემის უნიფიცირებული წესები, რომელიც გამოყენებული იქნება იჯარით გასაცემ ყველა სამოვართან მიმართებით (მიუხედავად იმისა თუ რომელი სახელმწიფო უწყება განკარგავს სამოვარს).

მეცნიერულ კვლევასა და ანალიზს მოითხოვს სამოვრით სარგებლობის საიჯარო საფასურის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის პრინციპები საერთო უნდა იყოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყველა სამოვრის მიმართ. სამოვრების ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონალობის, ბალახნარის შემადგენლობის და როტაციული ძოვების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს სამოვრების იჯარით გაცემის ხანგრძლივობა და საიჯარო ვადის ამოწურვის შემდეგ საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელების პირობები.

### **დასკვნები და რეკომენდაციები**

საქართველოს ბუნებრივი სათიბ-სამოვრების პრობლემების შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნებისა და რეკომენდაციების გაკეთება:

1. ბუნებრივი სათიბ-სამოვრები წარმოადგენს უნიკალურ ბუნებრივ ეკოსისტემას, რომლის კონსერვაციის ხელშეწყობა და მდგრადი მართვა თანამედროვე ეტაპზე განეკუთვნება ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გადასაჭრელ ამოცანას. ამ უნიკალური სისტემის მდგრად მართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ეროზიული პროცესების შეჩერების და ქვეყანაში კლიმატის ცვლილების შედეგად დაწყებული გაუდაბნოების პროცესის შეჩერების საქმეში.

2. ბუნებრივი სათიბ-სამოვრების მართვის უცხოური გამოცდილების შესწავლა-ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანია მათი გამოცდილების გათვალისწინება და სამომავლოდ სამოვრების ეფექტიანი მართვის პრაქტიკაში დანერგვა. ამ მხრივ ქვეყნის მთიან მუნიციპალიტეტებში საზაფხულო სამოვრების მდგრადი მართვის პროცესის უზრუნველსაყოფად გასათვალისწინებელია შვეიცარიის მთიან კანტონებში სამთო მეცხოველეობის გაძღოლის პრაქტიკა.

3. ბუნებრივი საზაფხულო და ზამთრის სამოვრების მდგრადი მართვის უზრუნველყოფის მიზნით აქტუალურია თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, რაც საშუალებას მოგვცემს შეიცვალოს ქვეყანაში ბუნებრივი სამოვრების გამოყენების ამჟამად არსებული ექსტენსიური სისტემა. ეს შესაძლებელია სამოვრების ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მოწინავე მეთოდების დანერგვით, სამოვრებზე პერუტყვის დატვირთვის პროგრესული ნორმატივების დამუშავება-დადგენით, სამოვრების ბუნებრივი ზონალობის გათვალისწინებით, პირუტყვის ძოვების როტაციული სქემების დამუშავება-დანერგვით, სამოვრების გამოვება-გათიბვის ციკლებს შორის ჯერადობის ოპტიმალური პარამეტრების დაცვით და სხვ.

4. ქვეყანაში ბუნებრივი სათიბ-სამოვრების მდგრადი მართვის ორგანიზაციული სისტემების სრულყოფის მიზნით მნიშვნელოვანია მოქმედი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის დახვეწა. დღეისათვის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს სამოვრების მდგრადი მართვის განხორციელებას. ამ მიზნით უნდა დაჩქარდეს ახალი კანონპროექტის „სამოვრების მართვის შესახებ“ მიღება, რომელიც დაარეგულირებს სათიბ-სამოვრების საკუთრებით ურთიერთობებს სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეზე, სამოვრებით მოსარგებლეთა ორგანიზაციული ფორმების ფორმირების და მართვის სპეციფიკას. კანონქვემდებარე აქტებით დარეგულირდება სათიბ-სამოვრების იჯარით გაცემის წესები, საიჯარო ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა და პირობები, დამუშავდება საიჯარო გადასახადის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც საერთო იქნება ყველანაირი კატეგორიის სამოვრებისათვის. „სამოვრების მართვის შესახებ“ ახალი კანონის ამოქმედების შედეგად შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს ისეთ საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებში,

როგორებიცაა: საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო მიწის მდგრადი მართვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „საქართველოს ტყის კოდექსი“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

5. ქვეყანაში ბუნებრივი სათიბ-სამოვრების მართვაში ჩართული სახელმწიფო და ადგილობრივი უწყებების სტრუქტურების მართვის ფუნქციების შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფის აუცილებლობა. კერძოდ, „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში“ შემავალ სახელმწიფო უწყებებს (სააგენტოებს) შორის დაქსაქსულია სამოვრების მართვისა და მათი იჯარით გაცემის ფუნქციები, ამდენად სახელმწიფო უწყებებს შორის სამოვრების მართვის კოორდინაციის გასამარტივებლად, მიზანშეწონილია „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს“ შემადგენლობაში დაფუძნდეს „სამოვრების მართვის ცენტრი (საკოორდინაციო საბჭო)“, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სამოვრების მდგრად მართვაზე და უზრუნველყოფს სამოვრების მართვის პოლიტიკისა და მეთოდოლოგიურ-ნორმატიული მასალების დამუშავებას. ამ ცენტრში შემავალი სახელმწიფო უწყებები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინირებულად უზრუნველყოფენ საკუთარი ფუნქციების შესრულებას სამოვრების მდგრადი მართვის პროცესში.

6. საქართველოში ინსტიტუციურ სრულყოფას საჭიროებს სათიბ-სამოვრების მართვა მუნიციპალურ დონეზე. ამ მიზნით თითოეულ მუნიციპალიტეტში უნდა შეიქმნას სამოვრების მართვის კომიტეტები, რომლებიც ადგილზე დაკომპლექტდება მუნიციპალიტეტისა და მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენლობით. სამოვრების მართვის კომიტეტებში წარმომადგენლობით შევლენ ასევე მუნიციპალიტეტის ფარგლებში სამოვრების მართვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები (დაცული ტერიტორიების სააგენტო, სატყეო სააგენტო, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, სოფლის განვითარების სააგენტო, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტი).

7. მუნიციპალიტეტებში სამოვრების მართვის კომიტეტები აქტიურად უნდა ჩაერთონ ადგილებზე სამოვრებით მოსარგებლეთა გაერთიანებების (ასოციაციების) ფორმირებასა და შემდგომ განვითარებაში. თემებში სამოვრებით საერთო მოსარგებლეთა გაერთიანებების (ასოციაციების) ფორმირების პროცესი უნდა განხორციელდეს სამოვრების მართვის კომიტეტებთან კოორდინაციის გზით.

8. მოსარგებლეთათვის (ასოციაციებისათვის) სამოვრების მართვის საკითხებზე ტექნიკური დახმარების გაწევის მიზნით ადგილებზე (მუნიციპალიტეტებში) აქტიურად უნდა იქნენ ჩართულნი სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის და სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის სპეციალისტები (ექსპერტები), რომლებიც კონსულტაციას გაუწევენ სამოვრების მართვის კომიტეტების სპეციალისტებს სამოვრების კონსერვაციისა და მათი მდგრადი გამოყენების საკითხებზე.

9. გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს საქართველოს ბუნებრივი სათიბ-სამოვრების მდგრადი მართვისა და გამოყენების პროგრამის დამუშავება 2030 წლამდე პერიოდისათვის.

## რეზიუმე

საქართველოს ბუნებრივი სათიბ-სამოვრები უნიკალური ეკოსისტემაა, რომლის მდგრადი მართვა უზრუნველყოფს ქვეყნის სამოვრებით სარგებლობის ტრადიციებისადმი დაბრუნებას.

ბუნებრივი საძოვრებით სარგებლობის და მათი მცენარეული საფარის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ერთიანი თანმიმდევრული მიდგომებით თავიდან ავიცილებთ საძოვრების გამოყენების პროცესში ადამიანის ურბანული ზემოქმედების შედეგად მიმდინარე დეგრადაციულ პროცესებს. სათიბ-საძოვრების ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია მთლიანობაში ხელს შეუწყობს საძოვრების ბუნებრივი ნაყოფიერების ამაღლებას, მეცხოველეობის დარგის მდგრად განვითარებას და ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ხორცისა და რძის პროდუქციაზე.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია საძოვრების მდგრადი მართვის ორგანიზაციული სისტემის ღონისძიებათა ეფექტიანობის ამაღლებაზე; ჩამოყალიბებულია მისი მიმართულებები და პრინციპები; ხაზგასმულია საძოვრების საკუთრებისა და მოსარგებლეთა მხრიდან საძოვრებით სარგებლობის სამართლებრივი საკითხები, ქვეყანაში მათი მდგრადი მართვის ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფა როგორც საერთო სახელმწიფო, ისე მუნიციპალურ დონეზე, რომელიც საბოლოოდ უზრუნველყოფს საძოვრების ეფექტიანი მართვის ეკონომიკურ და ფისკალურ ასპექტებს, მდგრადი გამოყენების დაგეგმვისა და სრულყოფილი მონიტორინგის საკითხებს.

ნაშრომში გაანალიზებულია საძოვრების მართვის უცხოური გამოცდილება, კერძოდ, განხილულია შვეიცარიის მთიანი კანტონების სამთო მეცხოველეობის გაძლიერების მეთოდები; ჩრდილოეთ კავკასიის მთიან რეგიონებში გამოყენებული მომთაბარე მეცხოველეობის პირობებში საძოვრების მართვის არსებული ტრადიციები და ცენტრალური აზიის თურქმენეთისა და ყირგიზეთის რესპუბლიკებში პირუტყვის მომთაბარეობის პროცესში საძოვრების მართვის ტრადიციული მიდგომების სისტემები. მათი გამოცდილების ანალიზის საფუძველზე და საქართველოში საძოვრების გამოყენების ისტორიულ ტრადიციებზე დაყრდნობით დამუშავდა საქართველოს პირობებისათვის საძოვრების მდგრადი მართვის სისტემები.

### **Measures to improve the efficiency of the pasture management organizational system**

V.Zeikidze, R.Pirtskhalava

**Abstract:** Georgia's natural pastures are a unique ecosystem, the sustainable management of which ensures a return to the country's pasture use traditions. With a unified and consistent approach to the use of natural pastures and the conservation of their vegetation biodiversity, we will avoid the degradation processes occurring as a result of human urban impact on pasture use. Conservation of pasture biodiversity as a whole will contribute to increasing the natural fertility of pastures, sustainable development of the livestock sector, and meeting the needs of the country's population for meat and dairy products.

The paper focuses on increasing the effectiveness of the measures of the organizational system for sustainable pasture management; its directions and principles are established; The legal issues of ownership of pastures and use of pastures by users are emphasized, the improvement of the institutional arrangement of their sustainable management in the country at both the general state and municipal levels, which ultimately ensures the economic and fiscal aspects of effective pasture management, sustainable use planning and comprehensive monitoring issues. The paper analyzes foreign experience in pasture management, in particular, discusses the methods of mountain livestock management in the mountainous cantons of Switzerland; the existing traditions of pasture management in the conditions of nomadic livestock farming used in the mountainous regions of the North Caucasus, and the systems of



traditional approaches to pasture management in the process of livestock nomadism in the Central Asian republics of Turkmenistan and Kyrgyzstan. Based on the analysis of their experience and the historical traditions of pasture use in Georgia, sustainable pasture management systems were developed for Georgian conditions.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. წლიური ანგარიში 2021. თბილისი, 2022;
2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. წლიური ანგარიში 2022. თბილისი, 2023;
3. საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა. <https://bit.ly/2L2dliu>;
4. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება 31.12.2019 №487 „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე. <https://bit.ly/35ZD8Pt> ;
5. სოფლის მეურნეობის, მიწისა და წყლის მართვის პოლიტიკა საქართველოში მდგრადი აგროსასურსათო სისტემის მასშტაბის გაზრდის მიზნით. მსოფლიო ბანკის შემაჯამებელი ანგარიში; <https://documents1.worldbank.org/curated/en/099025005202233164/pdf/P175705085b3840390a8600c43c0db74a03.pdf>;
6. ბალახნარის გამოვების ჯერადობა და მასზე მოქმედი ფაქტორები. ფერმერთა სკოლა, 2023;
7. გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა. 2014-2022 წლები;
8. ვაშლოვნის დაცული ტერიტორიების სამოვრების მენეჯმენტის გეგმა. 2015;
9. ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკის სამოვრების მდგრადი მართვის სახელმძღვანელო. თბილისი, 2020;
10. ა. კორახაშვილი. საკვებწარმოება და ცხოველთა კვება. თბილისი, 2009;
11. ლაგოდების დაცული ტერიტორიების სამოვრების მენეჯმენტის გეგმა. თბილისი, 2016;
12. სათიბ-სამოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა. თბილისი, 2023;
13. ზურმუხტის ქსელი - ინსტრუმენტი ევროპის ბუნებრივი ჰაბიტატის დასაცავად;
14. სამოვრების მდგრადი მართვის ეროვნული კონცეფცია. თბილისი, 2022;
15. თუშეთის ეროვნული პარკის მდგრადი მართვის სახელმძღვანელო ნაკრები;
16. ნ. ჭითანავა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენების პრობლემები. ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2019 წლის აგვისტო, [www.B-K.GE](http://www.B-K.GE);
17. ნ. ჭითანავა მიწის რესურსების მართვის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ფორმირების თავისებურებანი საქართველოში. ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ 2020 [www.B-K.GE](http://www.B-K.GE);
18. О.Аннамухамедов, Х.Ханчаев и др. Природные пастбища и развитие отгонного животноводства в Туркменистане. Ашхабад. 2014;
19. R.Kruwinus, A.Salzer, J.Etzold and G.Mikeladze. 2019. Assessment of Pasture Condition in Sagarejo Municipality, Georgia. Regional Environmental Centre for the Caucasus;
20. R.Neudert., A.Salzer, N.Allahverdiyeva, J.Etzold and V.Beckmann. 2019. Archetypes of Common Village Pasture Problems in the South Caucasus: Insights from Comparative Case Studies in Georgia and Azerbaijan. Ecology and Society 24 (3): 5;
21. Sabuko. 2019. Pasture Management Plan for the Chachuna Managed Reserve;
22. J.Shigaeva, S.Hagerman, H.Zerriffi, C.Hergarten, A.Isaeva, A.Mamadaliyeva and M.Foggin. 2016; Decentralizing Governance of Agropastoral Systems in Kyrgyzstan: An Assessment of Recent Pasture Reforms. Mountain Research and Development 36 (1): 91-101;
23. V.Westerberg, S.Robinson, E.Stebbing, L.Costa and P.Visetti. 2021. Economics of Land Degradation Initiative: The Economics of Pasture Management in Georgia. GIZ: Bonn, Germany.

## **ნოდარ ჭითანავა**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი  
სტუ-ის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების  
შემსწავლელი ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

## **რუსუდან ფირცხალავა**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი  
სტუ-ის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების  
შემსწავლელი ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

### **სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების პრობლემები საქართველოში (კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომა)**

#### **სივრცითი დაგეგმვა, არსი, მიზანი, ამოცანები, პრინციპები**

საქართველოს ტერიტორია მოიცავს უნიკალურ ბუნებრივ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, სოციალურ, ისტორიულ-კულტურულ პოტენციალს, რომლის რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებაზე არსებითად დამოკიდებული მდგრადი განვითარება, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში გაძლიერდა ყურადღება სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებისადმი, სასოფლო ტერიტორიების განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზა შექმნის პროცესშია.

არსებული მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასოფლო ტერიტორიების განვითარების პროცესი მართებულია განვიხილოთ, როგორც ინტეგრირებული სისტემა, რაც მოგვცემს საშუალებას პროცესის შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები) წარმოვიდგინოთ, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ურთიერთგანპირობებულობის დონის (ხარისხის) თვალსაზრისითაც. ამ კონტექსტში მიზანშეწონილია სასოფლო ტერიტორიების ფუნქციონირების ობიექტური ანალიზი-შეფასება დავიწყოთ „სივრცითი დაგეგმვის“ (მოწყობის) როლის განსაზღვრით.

„სივრცითი მოწყობა“ მოიცავს სივრცით დაგეგმვას, მიწათსარგებლობის დაგეგმვას, მონიტორინგს, განხილვის პროცესებს და ზოგადად ეხება საჯარო სექტორის მიერ გამოყენებულ მეთოდებსა და მიდგომებს, რათა გავლენა მოახდინოს მოსახლეობის საქმიანობის განაწილებაზე სხვადასხვა მასშტაბის ტერიტორიაზე. სივრცითი დაგეგმვა შეიძლება განისაზღვროს, როგორც პრაქტიკისა და რეგულაციების კოორდინაცია, რომელიც გავლენას ახდენს სივრცით მოწყობაზე (განვითარებაზე).

დაგეგმვა აუცილებელია მუნიციპალიტეტის მომავლის განჭვრეტისათვის, რადგან იგი უდიდეს გავლენას ახდენს იქ მცხოვრებ ადამიანებზე, უფრო მეტიც, სივრცითი დაგეგმვა არის ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სექტორისა და მიწათსარგებლობის პროცესის ინტეგრაცია, ასევე საზოგადოებაში ინტერესთა თანხვედრა, რაც სივრცით დაგეგმვას საკვანძო ინსტრუმენტად გადააქცევს ქვეყნის (რეგიონის), თემის საზოგადოებრივი კეთილდღეობის უკეთესი სასიცოცხლო სივრცეებისა და ჯანსაღი გარემოს შექმნაში [1, გვ. 13].

სივრცითი დაგეგმვის პროცესი საქართველოში დაიწყო საქართველოს კანონის „სივრცითი მოწყობისა“ და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ (2005წ.) შესაბამისად. იგი შემდგომში ჩანაცვლა - საქართველოს კანონმა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ (მიღებული იქნა 2018 წელს) და ძალაში შევიდა 2019 წელის 3

ივნისიდან. აღსანიშნავია, რომ კოდექსში შეიცვალა კანონით განსაზღვრული ტერმინი „სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვა“ „სივრცის დაგეგმარებით“, ასევე „მიწათსარგებლობის დაგეგმვა“ – „ქალაქმშენებლობითი დაგეგმვით“, „სივრცითი მოწყობის (გენერალური) სქემა“ – „სივრცის დაგეგმარების გეგმით“, „მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა“ – „გენერალური გეგმით“. „ტრანსმუნიციპალური/ მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა“ – „ მულტიმუნიციპალური/მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმით“, „განაშენიანების რეგულირების გეგმა“ „განაშენიანების გეგმით“, „კვალიფიციური განაშენიანების რეგულირების გეგმა“ – „განაშენიანების დეტალური გეგმით“ [2, ტომი 3, გვ. 30].

პრინციპული მნიშვნელობა აქვს აღნიშნული კოდექსის 141 მუხლით (4 ნაწილი) ჩანაწერს: ყველა მუნიციპალიტეტი ვალდებულია 2028 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს შესაბამისი სივრცითი გეგმების შემუშავება [3, გვ.79].

კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრულია სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების სისტემა, მათი იერარქია და თავსებადობა. იერარქია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- ა) სივრცის დაგეგმარების გეგმები: მათ მიეკუთვნება:
  - ა.ა) საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმა;
  - ა.ბ) ავტონომიური რესპუბლიკის სივრცის დაგეგმარების გეგმა;
  - ა.გ) მუნიციპალური (მუნიციპალიტეტის) სივრცის დაგეგმარების გეგმა;
- ბ) ქალაქმშენებლობითი გეგმები. მათ მიეკუთვნება:
  - ბ.ა) გენერალური გეგმა;
  - ბ.ბ) განაშენიანების გეგმა;
  - ბ.გ) განაშენიანების დეტალური გეგმა.

როგორც ჩანს „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გეგმებით ხორციელდება ტერიტორიების სივრცითი განვითარება, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტით - განაშენიანების მართვა.

სივრცითი დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს იერარქიულად ქვემდგომი გეგმების ზემდგომ გეგმებთან თავსებადობა. ამასთან გათვალისწინებულია, რომ იერარქიულად ზემდგომი გეგმის ცალკეული ნაწილების არ არსებობა არ აფერხებს იერარქიულად ქვემდგომი გეგმის შემუშავებას. ამ ნიუანსს პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრული გეგმები მიჩნეულია, როგორც ინტეგრირებული გეგმები. ინტეგრირებული გეგმა კი აერთიანებს სივრცის დაგეგმარების ყველა ძირითად საკითხს (კომპლექსურობის პრინციპი) და აყალიბებს სივრცითი განვითარების ძირითად მიმართულებებს შესაბამისი ტერიტორიისათვის.

ასევე კოდექსით განსაზღვრულია ინტეგრირებულ გეგმებთან დარგობრივი გეგმიური თავსებადობის აუცილებლობა. განმარტებულია, რომ დარგობრივი გეგმა (გარემოს დაცვის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ენერგეტიკის განვითარების, სოფლის მეურნეობის განვითარების, სატრანსპორტო სისტემის განვითარების და სხვა) არის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული დოკუმენტი, რომლის შინაარსთან, შემუშავებასა და დამტკიცებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება შესაბამისი სფეროს კანონმდებლობით და რომელიც რელევანტურია სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობის გეგმებისათვის. დარგობრივი გეგმების ძირითადი ასპექტები შეტანილი და ჰარმონიზებული უნდა იქნეს საქართველოს სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების სისტემაში. თუ როგორ უნდა იყოს თავსებადი დარგობრივი გეგმა ინტეგრალურ გეგმასთან განსაზღვრულია კოდექსის მე-7 მუხლით: **დარგობრივი გეგმა უნდა შესაბამებოდეს სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების მოთხოვნებს** [3].

კოდექსის 8 პუნქტი განმარტავს, რომ დაგეგმვა ემყარება მდგრადი განვითარების პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისი ტერიტორიის გამოყენებისა და განვითარების ეკონომიკური და სოციალური წინაპირობების თავსებადობას საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირებისა და გარემოს-დაცვით მოთხოვნებთან. დაგეგმვა, როგორც წესი ხორციელდება შემდეგი პრინციპების დაცვით: როგორც დასახლებულ ტერიტორიაზე ისე დაუსახლებელ ტერიტორიაზე ადამიანისთვის ღირსეული საარსებო პირობების შექმნა და შენარჩუნება სოციალურ ეკონომიკის მიზნის მიღწევით განსაზღვრულია შესაბამისი ფუნქციების შესრულებაც (სრულად მოცემულია მე – 8 მუხლში). განმარტებულია ისიც, რომ გეგმებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის (მუხლი 14) შესაბამისად შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო (შემდგომში სააგენტო). მისი მიზნებია:

ა) სივრცითი დაგეგმვის და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმარების პოლიტიკის განსაზღვრა და გატარება;

ბ) ტერიტორიების გამოყენებისა და განვითარების მოწესრიგების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება;

გ) კომპეტენციის ფარგლებში სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი დაგეგმვის მიმართულებით ღონისძიებების გატარება.

შესაბამისად განსაზღვრულია სააგენტოს [4, გვ.2] ფუნქციებიც.

როგორია სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი დაგეგმვის ამოცანები? მათ განსაზღვრავს კოდექსის მე-4 მუხლი „საქართველოს მთელი ტერიტორიის და მისი ნაწილების, დასახლებების მოწესრიგება, განვითარება და სათანადო უზრუნველყოფა, განსხვავებული დარგობრივი ინტერესების შეჯერება და დაგეგმვის სხვადასხვა დონეს შორის შესაძლო წინააღმდეგობების დაძლევა, ადამიანის საარსებო გარემოს ჰარმონიული განვითარებისათვის პირობების შექმნა. ამასთან საქართველოს ტერიტორიის ცალკეული ნაწილების განვითარება უნდა შეესაბამებოდეს სივრცის დაგეგმარების ძირითად პრინციპებს, ხოლო საქართველოს მთელი ტერიტორიის სივრცის დაგეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი ცალკეული ნაწილების განვითარების ძირითადი მოთხოვნები. აქვე განმარტებულია, რომ საქართველოს სივრცის დაგეგმარების ძირითადი მიზნები ხელს უნდა უწყობდეს მის სრულფასოვან ინტეგრაციას ევროპული და საერთაშორისო განვითარების ძირითად მოთხოვნებთან.

ამრიგად, ქვეყნისა და მისი კონსტიტუციური ავტონომიური რესპუბლიკების სივრცითი მოწყობა (განვითარება) ხორციელდება 3 დონიანი სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვის სისტემით, ე.ი. **ქვეყნის სივრცითი მოწყობა; ავტონომიური რესპუბლიკების/ დაგეგმარებითი რეგიონების სივრცითი მოწყობა (ასეთის არსებობის შემხვევაში) და მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობა.** ეს იმას ნიშნავს, რომ სივრცითი მოწყობის დაგეგმვას გააჩნია ვერტიკალური და ჰორიზონტალური ჰარმონიზაციის (თავსებადობის) პრინციპი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონების განვითარების პროგრამის (2018-2021წწ.) მე-4 პრიორიტეტი მიეძღვნა ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკას, რომელშიც იგულისხმება სივრცითი დაგეგმვის სტიმულირებაც (მხარდაჭერა) [5].

ამჟამად ქვეყანაში არ არის შედგენილი სივრცითი მოწყობის გეგმა. რაც შეეხება რეგიონებს, მხოლოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს შემუშავებული სათანადო დოკუმენტი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სივრცითი მოწყობის სქემა (2013 წ.), რომელიც

აღიარებულია ფუნდამენტურ დოკუმენტად [2, ტომი 2, გვ.43]. ექსპერტების აზრით ამ დოკუმენტის ღირსებად მიჩნეულია, რომ იგი ხშირად დადის მუნიციპალურ დონეზე, რაც დიდად უწყობს ხელს დაინტერესებული მუნიციპალიტეტების სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმების შესრულებას. ეს კარგი მაგალითია მომავალში რეგიონული სქემების დამუშავების პროცესში გათვალისწინებისათვის, რაც შეეხება ცალკეული მუნიციპალიტეტების ძირითადად, თვითმმართველ ქალაქებს, და სათემო მუნიციპალიტეტებში მათი სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვის საკმაოდ კარგი მაგალითები გვაქვს.

ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია (2018-2022) შემუშავდა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (EWARD II) და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს პროექტის: „სოფლის განვითარებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტის“ ფარგლებში.

სტრატეგია უზრუნველყოფს კონცეპტუალურ სქემას მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერისა და მისი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. საერთო მიზანია – ხელი შეეწყოს სიღარიბის დაძლევის. კერძოდ, მუნიციპალიტეტში დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციის გზით [6]. სტრატეგია ხელს უწყობს ადგილობრივი თემების დაინტერესებას, ჩართვას, მათთვის რესურსებისა და საშუალებების უზრუნველყოფასა და უფლებამოსილების მინიჭებას, რომ თავის თავზე აიღონ საკუთარი ტერიტორიის (ადგილობრივი) განვითარება. ამ მიზნის მიღწევისათვის ევროკავშირის ინიციატივით გამოიყენება მიდგომა (მეთოდი) – LEADER, რაც აღნიშნავს კავშირს სოფლის ეკონომიკის განვითარების მიზნით დაგეგმილ ქმედებებს შორის [6, გვ.7]. ეს მეთოდი გულისხმობს იმას, რომ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიები უფრო ეფექტურია და ქმედითი, თუ დაგეგმილია და ხორციელდება ადგილობრივ დონეზე და ადგილობრივი მოთამაშეების მიერ.

ეს პრინციპი საფუძვლად უნდა დაედოს სასოფლო ტერიტორიების კომპლექსური განვითარების პროგრამას.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს შორის არის „მუნიციპალიტეტის სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამისი სფეროს ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის დასახელებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების [7] დამტკიცება“.

#### **ადგილობრივი თვითმმართველობის როლი სასოფლო ტერიტორიების განვითარებაში**

2014 წლის კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით თვითმმართველობას ხორციელდება მუნიციპალიტეტებში – თვითმმართველ ქალაქებსა და თვითმმართველ თემებში. თვითმმართველ ქალაქებად მოიაზრება ქალაქის კატეგორიის ის დასახელებები, რომელთაც ამ კოდექსის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი. 2017 წელს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი ჰქონდა 5 ქალაქს. თვითმმართველი თემი არის რამდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი. ამჟამად მუნიციპალიტეტის სტატუსი მინიჭებული აქვს 64 ერთეულს. კოდექსის მიხედვით დადგენილია მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეულის და ადმინისტრაციული ერთეულის ცნებები. პირველადი ტერიტორიულ ერთეულად ითვლება დასახლების შემდეგი კატეგორიები: სოფელი, დაბა, ქალაქი. მათ აქვთ სახელწოდება, ადმინისტრაციულ საზღვრები, ტერიტორია და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა.

დადგენილია დასახლების კატეგორიები:

ა) სოფელი-დასახლება, რომლის საზღვრებშიც ძირითადად მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები და რომლის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე;

ბ) დაბა-დასახლება, რომლის ტერიტორიაზეც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები ან/და ტურისტული და საკურორტო დაწესებულებები, ან/და სამკურნალო და სოციალურ-კულტურული დაწესებულებები და, რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. დაბის ინფრასტრუქტურა ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. დაბის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, თუ იგი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა.

გ) ქალაქი-დასახლება, რომლის ტერიტორიაზეც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები, ტურისტულ-სამკურნალო და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი, რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. ქალაქის ინფრასტრუქტურა ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეობათა რაოდენობა 5000-ზე ნაკლებია, ქალაქის კატეგორია შეიძლება მიენიჭოს თუ იგი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა, ან/და ამ კანონის მიხედვით განსაზღვრულია, როგორც თვითმმართველი ქალაქი.

დადგენილია, რომ მართვის ოპტიმიზაციისათვის მუნიციპალიტეტი შეიძლება დაიყოს ადმინისტრაციულ ერთეულებად. თვითმმართველ თემში ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია ერთი ან რამდენიმე დასახლების ტერიტორიას ემთხვევა. თვითმმართველ ქალაქში ადმინისტრაციული ერთეული დასახლების ნაწილია. აქვე აღვნიშნავთ, რომ კოდექსის მოთხოვნები სოფლების ადმინისტრაციული საზღვრების ნაწილში დღესაც შესრულებული არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლების გარკვეული ნაწილი ამოვარდნილია სამართლებრივი სივრციდან. ეს მნიშვნელოვანწილად აფერხებს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, კერძოდ მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმების, გენერალური გეგმებისა და განაშენიანების გეგმების/განაშენიანების დეტალური გეგმების შემუშავებას და დამტკიცებას [7].

საქართველოში რეგიონულ დონეზე არსებობს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ინსტიტუტი, რომელსაც აქვს საკონსულტაციო საბჭო. იგი არ ჩაითვლება მართვის სრულფასოვან დონედ, რადგან არ არის იურიდიული პირი, არ ყავს არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანო, არ გააჩნია საკუთარი შემოსავლები [2, ტომი 3, გვ.43].

### **სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები**

ქართული სოფელი სისტემურ კრიზისშია: დემოგრაფიული სიტუაცია გამწვავდა, დაქვეითდა ცხოვრების დონე, უმუშევრობა სახეზეა, სიღარიბე მწვავე პრობლემად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში გაძლიერდა ყურადღება სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებისადმი, სოფლის, როგორც ტერიტორიის მდგრადი განვითარების სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ბაზა შექმნილიც არ არის. სოფელს (თემს) სტატუსიც არა აქვს. ამასთან მოქალაქეთა ინიციატივაზე დაფუძნებული თვითრეგულირების ფორმები (მექანიზმი) განუვითარებელია.

ღრმად გაანალიზებული არ არის სოფლის (ტერიტორიის) ბუნებრივ-საწარმოო და სოციალურ-დემოგრაფიული პირობების დიფერენციაციის პროცესები და მათი განვითარების შესაძლებლობები. ფაქტობრივად სოფლის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა ხდება სპონტანურად (შესაბამისი კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომების (ბაზის) გარეშე), ცხოვრება ადასტურებს, რომ ასე მუშაობის გაგრძელება კონტრპროდუქტიულია.

გარდამავალ პერიოდში, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ქვეყნის ტერიტორიის (რეგიონი, სოფელი) განვითარების პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყნის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილების სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების კომპლექსურობა. ამიტომ ახლებურად გააზრებას მოითხოვს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საკითხები. განსაკუთრებით აღსანიშნავია სასოფლო ტერიტორიების განვითარების საკითხი. ტერიტორიის განვითარების პროცესი უნდა განვიხილოთ როგორც ინტეგრირებული სისტემა, რომლის მდგრადი კომპონენტებია: მოსახლეობა (საზოგადოება), მეურნეობა (ეკონომიკა), ტერიტორია (გარემოს დაცვა). განვითარება უნდა წარიმართოს ეკონომიკურად, სოციალურად და ეკოლოგიურად დასაბუთებული, სოციალურად ორიენტირებული აღწარმოების პრინციპებით. ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომა აფართოებს მმართველობით ზემოქმედებას, გამოყავს პროცესი უწყებრივი (დარგობრივი) მიდგომებიდან და წარმოადგენს საფუძველს ტერიტორიის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნისათვის.

ტერიტორიის წარმატებული განვითარებისათვის აუცილებელია მისი მდგრადობა, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება სტაბილურად ფუნქციონირებს და ადაპტირებადია გამოწვევების მიმართ, რაც არსებითია, პოტენციალის აღწარმოება ფართოვდება, კერძოდ, ნიადაგის ნაყოფიერება იზრდება, წარმოების საშუალებები ეფექტიანად გამოიყენება, მოსახლეობა მრავლდება და ა.შ. განვითარების ასეთ პროცესს გარედან მხარდაჭერა სჭირდება. მთავარი როლი ამ საქმეში ეკისრება სახელმწიფოს, რომელიც შესაბამისი ღონისძიებათა სისტემის (პოლიტიკის) განხორციელებით უზრუნველყოფს ქვეყნის (მთელის) და მისი ნაწილის (რეგიონის, სოფლის) მდგრად და დაბალანსებულ განვითარებას. ტერიტორიის განვითარების ინტეგრაციული ხასიათი თავად განსაზღვრავს იმის აუცილებლობას, რომ გამოყენებულ იქნას ამ სფეროში არსებული გამოცდილება და ადგილობრივ პირობებთან შეჯერებით განისაზღვროს მიდგომათა მთლიანობითი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს არსებული პრობლემების გადაწყვეტას, ცენტრისა და ქვეყნის ტერიტორიის ნაწილების ორგანულ ერთიანობას.

პრაქტიკაში „სასოფლო ტერიტორიის“ განვითარების პრობლემების განხილვისას დამკვიდრებული ტრადიციისამებრ ყურადღება გადატანილია ძირითად სასურსათო პროდუქციის წარმოებაზე. ამიტომ ტერმინ „სასოფლო ტერიტორიას“ მნიშვნელოვანწილად უკავშირებენ მხოლოდ იმ ადგილს, სადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაა უპირატესად განვითარებული (აგრარულის პრიორიტეტი). თანამედროვე პირობებში გლობალურ პროცესებთან რეგიონული თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე ტერიტორიის მდგრადი განვითარების სტრატეგიამ არ უნდა გამორიცხოს აგრარული სფეროს გარდა სხვა დარგების განვითარება (ეს პროცესი რეალურად მიმდინარეობს). უფრო მეტი, დღის წესრიგში დგას ტერიტორიის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების საკითხი.

„სასოფლო ტერიტორიის“ განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას ამოსავალი არ უნდა იყოს მხოლოდ აგრარული რაკურსით მიდგომა. სასოფლო ტერიტორიაზე (სივრცეში) მოსახლეობა არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაშია დასაქმებული, არამედ,

რესურსების მოპოვებაში, ტურიზმში, მომსახურების სფეროში, მრეწველობაში, მშენებლობაში და ა.შ.

შესაბამისი მაგალითების დასახელება შეგვიძლია სოციალისტური მეურნეობრიობის პრაქტიკიდანაც. მაგალითად, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ზესტაფონის, ტყიბულის, ტყვარჩელის და სხვა ქალაქების, ასევე რაიონული ცენტრების მცხოვრებთა ნაწილი, რომელიც ცხოვრობდა სოფლად, გააჩნდა საკარმიდამო მეურნეობა (აწარმოებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას), სამრეწველო საწარმოებში, სამშენებლო ორგანიზაციებში და სხვ. მაღალი თანრიგის პროფესიონალები იყვნენ.

ამჟამადაც, სასოფლო ტერიტორია ადგილობრივი პირობების მიხედვით ასრულებს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის, ტყის, თევზისა და სამონადირეო რეწვის და სხვა არა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით უზრუნველყოფის, სოციალურ-დემოგრაფიულ (ქვეყნის მოსახლეობისა და შრომითი რესურსების პოტენციალის შევსების, კულტურული ტრადიციების (ხელოვნების, სამხატვრო სარეწების შენარჩუნების), ბუნება-დაცვითი (ეკოლოგიური წონასწორობის, ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნების, ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების მოვლის), რეკრეაციული (მოსახლეობის ჯანმრთელობის, გაჯანსაღების, დასვენების უზრუნველყოფის) და სხვა ფუნქციებს.

აქედან გამომდინარეობს, რომ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოება არ არის სასოფლო ტერიტორიის ერთმნიშვნელოვნად განმსაზღვრელი ტერმინი. იგი, როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპლექსურია, რაც უფრო სრულად გამოჩნდა გარდამავალ პერიოდში. სასოფლო ტერიტორიის განვითარება უფრო მრავალვექტორული გახდა: იზრდება არა აგრარული პროფილის სასოფლო დასახლებები, რომლებიც დაკავშირებული არიან მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციასთან, ტურიზმთან, სპორტთან. მათ შორის ერთ-ერთი მიმართულებაა შერეული ტიპის დასახლებები (აგროსამრეწველო, აგრარულ-რეკრეაციული ობიექტები და ა.შ.), მაგალითად, ენგურჰესისა და სხვა მსგავსი ობიექტების დასახლებები.

ამიტომ მომავალში პრიორიტეტი მიეცემა მრავალფუნქციონალურ (ლიტერატურაში მას პოლიფუნქციონალურსაც ეძახიან და გულისხმობს ერთდროულად რამდენიმე ფუნქციის შესრულებას) მიდგომას. ეს ლოგიკურია რიგი გარემოებების გამო: **პირველი** – მრავალფუნქციონალური განვითარება ხელს უწყობს უფრო სრულად ათვისებულ იქნას ბუნებრივ-რესურსული, სოციალურ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული პოტენციალი და ა.შ. და შესაბამისად ოპტიმალური გახდეს ტერიტორიის სტრუქტურა. **მეორე** – ტერიტორიის განვითარების ფუნქციები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული (ფაქტობრივად ინტეგრირებული სისტემაა). ამიტომ მათი ურთიერთკავშირების სისტემური ანალიზი-შეფასებაც აუცილებელია. პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს რესურსულ ფუნქციას (მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები, ადამიანები), როცა იგი შეერწყმება ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის ფუნქციას და ორიენტირებული იქნება მდგრადი განვითარების პრინციპების გამოყენებით მოსახლეობის კეთილდღეობაზე, ე.ი. ასრულებს სოფლის განვითარების რესურსული ბაზის სტაბილური აღწარმოების ფუნქციას.

ანგარიშგასაწევია შემდეგი თავისებურებაც – ფუნქციები გაერთიანებულია ჯგუფებში: ეკონომიკური, სოციალური, გარემომემქმნელი, რომლებიც წარმოადგენს ბაზისს ტერიტორიული სტრუქტურის ოპტიმიზაციის მექანიზმის შექმნისათვის. რესურსული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებისას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საშუალებით გამონთავისუფლდება შრომითი რესურსები, რომლებსაც არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმის ახალი შესაძლებლობები ექნებათ (არ დასჭირდებათ საცხოვრებლის შეცვლა).



ამჟამადაც, სასოფლო ტერიტორიების მართვას უდგებიან რეგიონული დიფერენციაციის კონტექსტში (პოზიციებიდან), რომელიც ვერ მოიცავს სასოფლო ადგილების მთელ მრავალფეროვნებას, მის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ ასპექტებს, შრომით ტრადიციებს და ა.შ. ამ რთული ამოცანის გადაწყვეტისათვის რიგ ქვეყნებში გამოიყენება ტიპოლოგია, რომლის განსაზღვრის საფუძველია პრობლემური მიდგომა, ე.ი. დაჯგუფება მოხდეს პრობლემების მიხედვით და შესაბამისად გამოყენებულ უნდა იქნას პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომა. ამასთან იგულისხმება, რომ განისაზღვროს ისეთი ინდიკატორები, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, ინტენსიფიკაცია, პირადი დამხმარე მეურნეობის განვითარება, დემოგრაფიული განვითარება, სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა და სხვ. გასათვალისწინებელია, რომ თითოეული ტერიტორიული ერთეული არაერთგვაროვანია, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით და პოტენციალით. ეს საქართველოს ბუნებრივ-საწარმოო პირობებით აიხსნება. ამიტომ ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების ზონალური სპეციალიზაციის სქემა [8, გვ.11] დაედება საფუძველად პროგრამულ მიდგომებს და ამის შესაბამისად განისაზღვრება მრავალდარგობრივი სოფლის მეურნეობის მიმართ სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმებიც.

ისე, როგორც სხვაგან, საქართველოშიც სოფლის სოციალურ სფეროში კრიზისის შეჩერება ვერ ხერხდება. წლების განმავლობაში შექმნილი სოციალური პოტენციალი ფაქტობრივად მიღვევადია. საბჭოთა პერიოდში სოფლად აშენებულმა კულტურის სახლებმა, ბიბლიოთეკებმა, საბავშვო დაწესებულებებმა, რომლებიც ადგილობრივ ორგანოებს გადაეცათ, ფაქტობრივად შეწყვიტეს ფუნქციონირება.

ამიტომ საბაზრო ურთიერთობების განვითარების დღევანდელ ეტაპზე ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა სოციალური პრობლემები. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაც ადასტურებს, რომ საბაზრო სისტემა ავტომატურად ვერ წყვეტს სოციალურ პრობლემებს, იგი ხელს უწყობს შემოსავლების ზრდას, ხოლო მათი განაწილების მექანიზმი ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას განეკუთვნება, რომელიც უპირატესად ეყრდნობა ეკონომიკური პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპებს.

საქართველოს ტერიტორიის განვითარების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღევანდელი სოფელი (ტრანსფორმაციის შედეგად) ფაქტობრივად წარმოადგენს დეპრესიულ სოციალურ გარემოს, რომლის განმსაზღვრელი არის მწვავე დემოგრაფიული მდგომარეობა და სიღარიბე.

სასოფლო ტერიტორიის განვითარების მიმართულებათა განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მუნიციპალიტეტები (სოფლები) ერთმანეთისაგან განსხვავდებიან – მოსახლეობის სიმჭიდროვით, ინფრასტრუქტურის განვითარების დონით, საკადრო პოტენციალით და სხვ.

ეს თავისებურება მოითხოვს სოფლების (ტერიტორიების) განვითარების ვარიანტული მიდგომების გამოყენებას (ზოგიერთი მაჩვენებლის ტიპიზაცია). აუცილებელია საქართველოს სოფლების (როგორც ტერიტორიების) კომპლექსური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება შემდეგი ამოცანების გადაწყვეტისათვის:

- დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღება და ქალაქიდან სოფლის დასახლებებში გადასვლის (დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში რურალიზაციის პრაქტიკა) სტიმულირება. მნიშვნელოვან წილად უნდა შეიზღუდოს ურბანიზაციის პროცესი. ქართულ სოფელს (თემს) განესაზღვროს პოლიტიკური სტატუსი, სოფელს (თემს) უნდა გადაეცეს მუდმივ სარგებლობაში ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი (სამოვარი, სათიბი, წყლის ფონდი, ტყის ფონდი და სხვ.).

- განხორციელდეს სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია და სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდის წყაროების გაფართოება (ეკოლოგიური პროდუქციის წარმოებასთან ერთად სამკურნალო მცენარეების მოშენება, დეკორატიული მცენარეულობის განვითარების, ტყის ნობათის წარმოების, ტრადიციული სარეწეების (ხის დამუშავება, მეთუნეობა, კალათების წარმოება, ავეჯის წარმოება, საოჯახო ინვენტარის წარმოება), სასოფლო და სამრეწველო ნედლეულის გადამუშავება (ხორცისა და რძის პროდუქციის, ღვინის, არყის, მცენარეული ზეთის, თევზის, ხილის წარმოება და ა.შ.), სერვისული მომსახურების (მექანიზაციის, ზოოვეტ და მცენარეთა დაცვის საშუალებებით) გაფართოება. ფართოდ დაინერგოს დასახლებულ ტერიტორიაზე მიწის დამუშავების, აგროტექნიკური სამუშაოების, მცენარეთა და ცხოველთა დაცვის და სხვა სახის მომსახურების გაწევის პრაქტიკა.

- სოფლად თანამედროვე სოციალური, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა.

- სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ძირითად ინსტრუმენტებად უნდა იყოს გამოყენებული სოფლის (ტერიტორიის) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მონიტორინგი და მიზნობრივი პროგრამა. შესაბამისად უნდა განისაზღვროს მდგრადი განვითარების ინდიკატორები, როგორცაა ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ინსტიტუციონალური ინდიკატორები.

- სასოფლო ტერიტორიის (მუნიციპალიტეტის) კომპლექსური განვითარების პროგრამაში უნდა აისახოს არსებული ეკონომიკური, სოციალური, საკადრო, ბუნებრივ-კლიმატური პოტენციალის ამოქმედების დასახული მიზნები და ეტაპობრივი ამოცანები, დაფინანსების წყაროები და მართვის მექანიზმები. იგულისხმება, რომ პროგრამა უნდა დაეფუძნოს ტერიტორიაზე მიწის ინვენტარიზაციის შედეგად ჩამოყალიბებულ მიწათმოწყობის სქემას.

- გასათვალისწინებელია რიგი სხვა ტიპის თავისებურებებიც. კერძოდ, სასოფლო ტერიტორია გეოგრაფიულ კონტექსტში გარკვეულ წილად მოწყვეტილია ქალაქს, რაც სოფლის ცხოვრების წესსა და შესაბამისად ფუნქციებზე აისახება. თანამედროვე პირობებში სოფლის ტერიტორიები წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების რესურსულ ბაზას, ბუნებრივი პოტენციალის ძირითად მოსარგებლეს, ამავდროულად სამუშაო ძალას აწვდის ქალაქს. ამასთან, სოფლად მცხოვრებთა მზარდი სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიურ მოთხოვნათა (განათლება, კულტურა, მედიცინა, სპორტი და ა.შ.) დაკმაყოფილების ხელშემწყობი გარემოს შექმნა – აუცილებელი პირობაა განვითარებისათვის. ეს მხოლოდ მხარდაჭერის ტრადიციული ფორმების გამოყენებით ვერ მიიღწევა. სოციალური ინფრასტრუქტურა თანამედროვე მატერიალურ და ორგანიზაციულ საფუძველზე უნდა ფუნქციონირებდეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შესაბამისი კადრებით უზრუნველყოფას. მწვავედ დგას ეს საკითხი განსაკუთრებით მთის ზონაში. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნიშნავს, რომ სახელმწიფომ დღევანდელ ეტაპზე თავის თავზე უნდა აიღოს სასოფლო ტერიტორიების მიზნობრივი პროგრამებით კომპლექსური განვითარების მხარდაჭერის ფუნქცია. მხარდაჭერის ფორმების (მექანიზმის) გამოყენება განისაზღვრება სასოფლო ტერიტორიების განვითარების თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გავეცნოთ სასოფლო ტერიტორიების განვითარების ცალკეული ქვეყნების გამოცდილებას.

### **სოფლის (ტერიტორიის) განვითარების ევროკავშირის და სხვა ქვეყნების გამოცდილება**

უკანასკნელ პერიოდში სოფლის, როგორც ტერიტორიის განვითარების მიმართ ევროკავშირის ქვეყნებში სამი კონცეფციაა ცნობილი. პირველი კონცეფციის მიხედვით სოფლის განვითარების უმთავრეს პირობად მიჩნეულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოდერნიზაცია.

ასეთი მიდგომის (პოლიტიკის) მიზანია საწარმოო სტრუქტურების კონკურენტუნარიანობის ზრდა, განსაკუთრებით წარმოების გაფართოების გზით. ასეთ მოდელში იგულისხმება, რომ მამოძრავებელ როლს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო საწარმო, მისი კონკურენტუნარიანობის ზრდა დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიების გამოყენებასთან. ამიტომ მას მუდმივად საკრედიტო რესურსების დეფიციტი უჩნდება. სწორედ ამ დროს სჭირდება მას გარედან მხარდაჭერა (იგულისხმება სახელმწიფო). ეს მიდგომა დომინირებადი იყო 1980-იანი წლების პირველ ნახევარში.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში იგი ვრცელდება მხოლოდ აგროსამრეწველო კომპლექსზე. ხოლო სოფლის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც აგროსამრეწველო კომპლექსში არ მუშაობს, ბუნებრივია, შესაბამისი მხარდაჭერით ვერ ისარგებლებს. ამ მოდელის გამართლებისათვის გამოიყენებოდა შემდეგი არგუმენტები: სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა ევროკავშირის ტერიტორიის 80%; სოფლის მეურნეობა არა მხოლოდ საწარმოო ფუნქციას, არამედ გარემოს დაცვის, ტერიტორიის ლანდშაფტის გამოყენების და სხვა ფუნქციასაც ასრულებს; სოფლის მეურნეობა განიცდის საერთაშორისო სცენარების გავლენას და ამიტომ საჭიროებს სტრუქტურულ ადაპტაციას. ამასთან, ამ მოდელს მხარს უჭერენ დარგობრივი კავშირები, ასოციაციები, როგორც ევროპულ, ასევე ნაციონალურ და რეგიონულ დონეზე.

აღნიშნულთან ერთად ევროკავშირის ქვეყნებში გამოიყენება მექანიზმი, რომელიც ცნობილია **გადანაწილებითი მოდელის** სახით. ეს მოდელი სოფლის (ტერიტორიის) განვითარებას განიხილავს, როგორც უფრო ჩამორჩენილი სოფლის რაიონებისა და ეკონომიკის სხვა დარგებს შორის გარღვევის დაძლევის (თუ შემცირების) ხერხს. მოდელის მიხედვით სოფლის განვითარება ორი პოზიციიდან ხასიათდება:

**პირველი.** სოფლის რაიონები (ტერიტორიები) უფრო მეტად სუსტად განვითარებული არიან. ისინი სტრუქტურულად ჩამორჩებიან განვითარებულ ქალაქებს (რაიონებს) არახელსაყრელი ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების არსებობის გამო. ამიტომ ასეთი ტერიტორიები საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას სახელმწიფოსგან. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, აღნიშნული მოდელის ძირითადი მიზანია მიღებულ იქნას გადანაწილების მექანიზმის ეფექტი, როგორც პირდაპირი კომპენსაციების, ასევე სტრუქტურული მხარდაჭერის ფორმით.

**მეორე.** სოფლის მეურნეობა არ არის ერთადერთი ბერკეტი, რომ განვითარების დონეებს შორის გარღვევა დაძლეულ იქნას. აღნიშნულ მოდელს ის ახსნა აქვს, რომ იგი ძირითადად ეხება მთის რაიონების განვითარებას და მათ მოთხოვნილებებს. ეს მოდელი უპირატესად 1970-1980-იან წლებში გამოიყენებოდა და აისახა კონცეფციაში „სოფლის მომავალი განვითარება“ (1988, ევროპული კომისია) და სხვადასხვა პროგრამებში. დარგობრივი მოდელისაგან განსხვავებით, ეს მოდელი ითვალისწინებს მხარდაჭერას პირველადი ტერიტორიებისადმი.

ასევე გამოიყენება **ტერიტორიული მოდელი**, რომელიც გულისხმობს სოფლის განვითარებას, როგორც ლოკალური ეკონომიკის შიდა ურთიერთკავშირების ფორმირებას. მოდელი განიხილავს ტერიტორიას, როგორც ერთობლიობას და არა აგრარული სექტორის, როგორც სოფლის განვითარების ერთადერთ მიმართულებას.

ნორვეგიაში ხელისუფლება აბსოლუტურ ფასეულობად თვლის სოფლის მცხოვრებს. ამიტომ სახელმწიფო პოლიტიკით გლახობას განიხილავს როგორც „ერის ძირეულ სისტემას“. შვედეთში სოფლის მეურნეობის განვითარება განუყრელად დაკავშირებულია კოოპერატივებთან.

საფრანგეთის აგრარული მოდელის საფუძველი ოჯახური მეურნეობებია. ე.ი. გლეხური მეურნეობა, რომელიც ეფუძნება საოჯახო კოოპერაციის შრომას. აგრარული კოოპერატივები –

სოფლის მეურნეობის საფუძველია. ფერმერები კოოპერატივის წევრები არიან, ისინი გავლენას ახდენენ განაწილებაზე და გავლენას ახდენენ ფასწარმოქმნაზე.

ახალზელანდიაში ფერმერები გაერთიანებული არიან კოოპერატივებში. განვითარებულ ქვეყნებში დაფიქსირდა ტენდენცია, როცა აგრარული სექტორის რესტრუქტურის დროს აქტიურად იწვევება აგროტურიზმი. ეს იძლევა საშუალებას შრომითი რესურსები გადაიყვანონ წარმოების ალტერნატიულ სექტორში და შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები. დიდ ბრიტანეთში მიღებულია სოფლის მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურების (განათლება, ჯანდაცვა, ტრანსპორტი, ფოსტა და სხვ.) სტანდარტი. როცა იგი დაცული არ არის, სოფლის მცხოვრებს უფლება აქვს მთავრობას უჩივლოს სასამართლოში [9, გვ.18-19].

მსოფლიოში სასოფლო ტერიტორიების განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის ორი კონცეპტუალური მოდელი გამოიყენება. პირველი მოდელის მიხედვით (ევროკავშირი, რუსეთის ფედერაცია, კანადა, თურქეთი) მხარდაჭერის პირობები და მექანიზმი განსაზღვრულია ერთიანი საკანონმდებლო აქტით. მეორე მოდელის მიხედვით მხარდაჭერა ხორციელდება სხვადასხვა პროგრამებით, რომელთა რეალიზაცია ხშირად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ხდება [10]. ასეთი მოდელი გამოიყენება აშშ, მექსიკაში, ახალზელანდიაში (პირობითად მათი ანალოგიურია საქართველოში გამოყენებული რეგიონული და დარგიბრივი განვითარების სტრატეგიები). მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასოფლო ტერიტორიების განვითარების მხარდაჭერის ძირითადი ფორმებია:

- სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ოპტიმალური პირობების შექმნა და მწარმოებელთა შემოსავლების მხარდაჭერა (სუბსიდები, დოტაციები, ფასების პირდაპირი რეგულირება, გირაოსთან დაკავშირებული ოპერაციები);
- რისკების შემცირების მხარდაჭერა დაზღვევის, კრედიტებისა და გადასახადების საშუალებით;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საგარეო ბაზარზე გასვლა;
- ისეთი მექანიზმების გამოყენება, რომლებიც მთავრობას უქმნის შესაბამის პირობებს განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვანი რაოდენობით შესყიდვა და გადანაწილება სასურსათო ბაზარზე ფასების რეგულირების მიზნით;
- სასოფლო ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის მრავალფეროვანი სახეების სტიმულირება;
- ნიადაგის დაცვისა და გარემოს დაცვის ღონისძიებების შემუშავება-განხორციელება და სხვ.

ყოველთვის აღნიშნული უშუალოდ ეხება სოფლის მეურნეობის, როგორც დარგის განვითარების სტიმულირებას, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, ინოვაციური მიდგომებით მის მოდერნიზაციას. სასოფლო ტერიტორიის გარდა ზემოთ აღნიშნული ფორმებისა გამოიყენება სხვა ფორმებიც. მაგალითად, გზების და კომუნიკაციების, კულტურის სფეროს, ისტორიული ძეგლების დაცვის, განათლების, ტურიზმის და სხვა მიმართულებებით.

ჩინეთის გამოცდილების მიხედვით დიდი ყურადღება ექცევა სასოფლო ინფრასტრუქტურის განვითარებას. ინფრასტრუქტურული პროექტები მოიცავს წყალმომარაგებას, ელექტრომომარაგებას, ირიგაციას, ტრანსპორტს, ტელეკომუნიკაციების სისტემას. სილარბესთან ბრძოლის მიზნით სასოფლო ტერიტორიებზე გამოიყენება პროგრამები: სასოფლო და სამრეწველო საქმიანობის განვითარება; დარიბი ოჯახების შემოსავლების ზრდა ეკოლოგიური კომპენსაციის მეშვეობით; საბაზო სოციალური პირობების (განათლება, ჯანდაცვა, საცხოვრებელი) უზრუნველყოფა; პარტნიორული ურთიერთობების განვითარება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან [11].

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოფლად სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარება არის სოფლის განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

ამრიგად, საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სასოფლო ტერიტორიების განვითარებაში ძირითადად გამოიყენება შემდეგი პრიორიტეტები: სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება; ქალაქებისა და სოფლის მოსახლეობის, სოფლის ტერიტორიებსა და სხვა ეკონომიკის დარგებს შორის განსხვავების გამოთანაბრება; ტერიტორიული განვითარება და ადგილობრივი რესურსების გამოყენება.

როგორც ჩანს, სასოფლო ტერიტორიების მხარდაჭერის ფორმები შინაარსით (მიზნებით, განხორციელების ინსტრუმენტებით) ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ ადასტურებს, რომ სოფელსა და სოფლის მეურნეობას (საერთოდ სასოფლო ტერიტორიას) ნებისმიერ ქვეყანაში სახელმწიფოსაგან აქტიური მხარდაჭერა სჭირდება. ეს საყოველთაო ისტორიული ტრადიციაა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ბუნებრივ-საწარმოო და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებებით არის განპირობებული.

ამასთან ტერიტორიების განვითარების კომპლექსურ პროგრამაში გასათვალისწინებელია ის შესაძლებლობები (პოტენციური), რომელიც შეიქმნა ღია ეკონომიკის პირობებში გლობალური განვითარების პროცესების განვითარების ტენდენციებით. მხედველობაშია მისაღები, რომ ბუნების მიერ ბოძებული რესურსების ეფექტიანად გამოყენებით სასოფლო ტერიტორიებს ექმნებათ საშუალება (პოტენციალი) ქვეყნის ან მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრდნენ.

სასოფლო ტერიტორიების განვითარება მკაფიოდ უნდა აისახოს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაზე. საერთაშორისო გამოცდილებიდან ჩანს, რომ დეცენტრალიზაციის **3 გზა** შეიძლება იქნას განხილული. **პირველი** – სახელმწიფო სერვისების განხორციელებაში ადგილობრივი ხელისუფლების როლის ზრდა. **მეორე** – კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, სათემო ორგანიზაციების მიერ სერვისების გაწევა, **მესამე** – მოქალაქეების, სხვა დაინტერესებული ჯგუფების ჩართვა ტერიტორიის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. ასევე გამოიყენება შერეული მიდგომა (თითოეული ტერიტორიის ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებათა გათვალისწინებით).

სასოფლო ტერიტორიის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისას ბუნებრივია წამოიჭრება ადგილობრივი, რეგიონული და ქვეყნის განვითარების ინტერესების გადაკვეთა. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

გვმართებს სწორი დასკვნები გავაკეთოთ ახლო წარსულში დაშვებული შეცდომებიდან. მხედველობაში გვაქვს 90-იანი წლების ნეგატიური მოვლენები, რაც გამოიხატა იმაში, რომ საზოგადოებრივი განვითარების (შრომის საზოგადოებრივი დანაწილების) ერთიანი პროცესის ეკონომიკური და სოციალური შემადგენლები ერთმანეთს მოწყდა (უფრო სწორად, მათი მიზნების დაპირისპირებამ განსაკუთრებული შინაარსი შეიძინა). საერთოდ, ეკონომიკური გარდაქმნების (ფორმითა და შინაარსით სრულიად ახალი ისტორიული მოვლენა-პროცესის) სტიქიურად წარმართვამ ეროვნული ეკონომიკა ღრმა კრიზისში შეიყვანა და დააჩქარა ქვეყნის საწარმოო და არასაწარმოო სფეროების გათიშვის პროცესი. საბოლოოდ, სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები მოიშალა, განვითარების ეკონომიკური და სოციალური მიზნები ერთმანეთს დაუპირისპირა (ეს ტენდენცია განსაკუთრებით სახელმწიფო საკუთრების საყოველთაო დატაცების შედეგებში გამოიხატა). ასეთ პირობებში, პოლიტიკური არასტაბილურობისა და სხვა ნეგატიურ ფაქტორთა გავლენით სახელმწიფომ (ცენტრმა) ქვეყნის (მისი შემადგენელი ტერიტორიის) არამც თუ სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, არამედ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მართვაც ვერ უზრუნველყო. ამიტომ ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები მკვეთრად გაუარესდა. სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული ადგილობრივი თავისებურებანი, მეურნეობრიობის ტრადიციების, ეკონომიკის ტერიტორიული სტრუქტურა, შრომითი რესურსების მდგომარეობა. ამასთან

**ზოგიერთი რეგიონი (მხარე) იჩენდა თვითნებობას, ყველაზე მეტად ეს გამოჩნდა საგადასახადო პოლიტიკაში.**

შექმნილი მდგომარეობის ანალიზი იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ ცენტრმა უნდა შექმნას სათანადო პოლიტიკური, სამართლებრივი, ორგანიზაციული საფუძვლები მისი ნაწილის (მხარის, მუნიციპალიტეტის, სოფლის თემის) ინტერესების დასაცავად. ეროვნული ეკონომიკა ქვეყნის რეგიონების (მხარეების, მუნიციპალიტეტების) ეკონომიკის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების შედეგია, მათი თავისებურებების, ტენდენციების, კანონზომიერებათა, სამეურნეო-ორგანიზაციული პრინციპების ერთობლიობაა. ამიტომ აუცილებელია საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი პირობების, ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებათა სრულად გათვალისწინება. თითოეულ რეგიონს (მხარეს) აქვს თავისი სოციალური, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური ინტერესი. მათი საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან ოპტიმალური შეხამებით ყალიბდება ორმხრივი ინტერესების ერთიანი პროცესით საერთო-ეროვნული მიზნების განხორციელების პირობები. **ამრიგად, ორივე მოქმედებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგიით, ქვეყნის და მისი ტერიტორიული ერთეულების ინტერესების შეხამებით და ერთიანი პოლიტიკური სქემით: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარება წარიმართოს ერთიან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სივრცეში.**

სამეცნიერო ლიტერატურაში სასოფლო ტერიტორიის მდგრადი განვითარება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ეკოლოგიური - ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება, ეკონომიკურად უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენება, სურსათის უსაფრთხოება.
  - აღწარმოების პროცესების მდგრადობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა, სოფლის მოსახლეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ურთიერთმოქმედების/თანამშრომლობის გაუმჯობესება, მეწარმეობის განვითარება, მომიჯნავე დარგების ინტეგრაცია.
  - ტერიტორიის თვითგანვითარების მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლების მომზადება. ამ მიზნით მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ინტეგრაცია მცირე მეწარმეობის სუბიექტებთან, მათ შორის წვრილ ოჯახურ მეურნეობებთან. სასოფლო ტურიზმის და სხვა **სოფელწარმომქმნელი დარგების** განვითარების სტიმულირება.
  - ტერიტორიის რეკრეაციული რესურსების (საკურორტო მეურნეობა, სასოფლო ტურიზმი და სხვა) რაციონალური გამოყენება ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციების, ტერიტორიის თვითმყოფადობის შენარჩუნებას და სხვა არამატერიალურ ფასეულობათა დაცვას, ასევე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომიჯნავე დარგების (ინფრასტრუქტურა) განვითარებას. რაც არსებითია განვითარების მასშტაბი გამოიწვევს სასურსათო პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდის შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდით დაინტერესებას.
- პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, როგორც კომპლექსური პროცესი ინტეგრირებული უნდა იყოს ტერიტორიის განვითარების ყველა მიმართულებასთან, რათა დაბალანსდეს ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური პრიორიტეტები. ამით უფრო გაფართოვდება დროის ჰორიზონტი და პროცესი მაქსიმალურად ინტეგრირებული გახდება სახელმწიფოს გრძელვადიან სტრატეგიასთან. უფრო მოხერხდება სტრატეგიული (სამოქმედო) გეგმების, პროგრამების, პროექტების კონცენტრაცია და რეალიზაცია, ეკონომიკური განვითარების პროცესების დაბალანსება და ტექნოლოგიური წყობების ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ტერიტორიის მდგრადი განვითარების პირობების მომზადებას.

უნდა გავითვალისწინოთ მწარე გამოცდილების შედეგებიც. კერძოდ, საქართველოში ეკონომიკური რეფორმები, განსაკუთრებით აგრარულ სექტორში დიდ წინააღმდეგობებს წააწყდა

(იგულისხმება საბაზრო პრინციპებზე გარდამავალი პერიოდი). ეკონომიკის ტრანსფორმაციას ახალი მიდგომები დასჭირდა. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხო პროგნოზირებასა და სტრატეგიულ დაგეგმვას. გასაგები მიზეზებით იგი „სოციალიზმის გადმონაშთად“ მიიღო საზოგადოებამ, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა საბაზრო ეკონომიკაზე. იმპლავრა პრიმიტიულმა შეხედულებამ: **რომ საბაზრო ეკონომიკა – თავისუფლებაა და იგი დაგეგმვას არ ექვემდებარება.** ასეთი „შეხედულების“ ფონზე წარიმართა რადიკალური რეფორმები. მძიმე შედეგებიც მივიღეთ. დაგეგმვის იგნორირებამ ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და პრივატიზაციის პირობებში, გამოიწვია შიდასამეურნეო კავშირების რღვევა, პროცესების სტიქიურად განვითარება, რამაც, ბუნებრივია, ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების კატასტროფულ დაცემას, კვალიფიციური კადრების მომზადების სისტემის მოშლას, სამეცნიერო სიახლეთა დანერგვის უგულვებელყოფას, სამუშაო ძალის მიგრაციას, სოფლად ცხოვრების დონის მკვეთრად დაცემას და სხვ.

### **სასოფლო ტერიტორიების განვითარების ინდიკატიური დაგეგმვის სისტემის ფორმირების საკითხები**

თანამედროვე პირობებში, როცა საბაზრო სისტემა ჩამოყალიბებულია სოფლის მეურნეობის დეპრესიული მდგომარეობის შეცვლის ერთ-ერთ განმსაზღვრელ მიმართულებას წარმოადგენს ტერიტორიის განვითარების ინდიკატიური დაგეგმვის სისტემის ფორმირება (მოიცავს პროგნოზირებას, მიზნობრივი პროგრამების დამუშავება-განხორციელებას და ა.შ.).

ეს განპირობებულია თანამედროვე პირობებში ეკონომიკური დაგეგმვის როლის უფრო ზრდის აუცილებლობით. ამასთან თვისებრივად შეცვლილია სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური დაგეგმვის მიზანი და ამოცანებიც, ფორმები და მეთოდებიც, საგეგმო გადაწყვეტილებების მიღების კატეგორიებიც. ეროვნულ ეკონომიკაში ფორმირებადი მრავალწყობიანობის (წვრილი სასაქონლო წყობა, კერძო, სახელმწიფო, შერეული და ა.შ.), ე.ი. პლურალიზმის პირობებში ეკონომიკური დაგეგმვა განიხილება, როგორც ერთი მხრივ, სახელმწიფოს მეორე მხრივ, პროდუქციის (მომსახურების) მწარმოებლების და მესამე მხრივ, ტერიტორიის კომპლექსური განვითარების ინტერესების კოორდინაციის მექანიზმი. დაგეგმვის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია **მიზნობრივი პროგრამა**, რომელშიც კონცენტრირებულად იქნება წარმოდგენილი მატერიალური, ფინანსური, შრომითი რესურსები, მათი ეფექტიანად გამოყენების მექანიზმი.

**ინდიკატიური დაგეგმვის არსი ისაა, რომ განისაზღვროს განვითარების მიზნობრივი და ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის ორიენტირები, სახელმწიფოსა და კერძო კაპიტალის კონსოლიდაციით მიღწეულ იქნას სასურველი შედეგები. ინდიკატიურ დაგეგმვაში პრიორიტეტები განისაზღვრება საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივებში.**

იმისათვის, რომ დაინერგოს სასოფლო ტერიტორიების (სათემო მუნიციპალური) განვითარების ინდიკატიური დაგეგმვის პრინციპები (სისტემა), აუცილებელია: **პირველი** – მოსამზადებელ ეტაპზე სამართლებრივი ბაზის ფორმირება, მეთოდური რეკომენდაციების და ინდიკატორთა სისტემის დამუშავება და მონიტორინგი. **მეორე** – ინდიკატიური დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბება (მოიცავს პროგნოზირებას, ბიუჯეტური და ინვესტიციური პროცესების მართვას, სახელმწიფო დაკვეთას, მიზნობრივი პროგრამების ფორმირებას და ინდიკატიური გეგმის შემუშავებას). **მესამე** – ინდიკატიური მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს ტერიტორიის განვითარების მართვის ყველა ციკლს.

**აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერიტორიის განვითარების დაგეგმვა-მართვის თანამედროვე ფუნქცია – არა მხოლოდ ორიენტირებს ადგენს, არამედ ამასთან ერთად განსაზღვრავს მეთოდებს, რომ დასახული მიზანი მიღწეული იყოს. მოკლედ რომ ვთქვათ, ინდიკატიური გეგმა –**

განვითარების კომპასის ფუნქციას ასრულებს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მუნიციპალიტეტებს, როგორც ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს უნდა ჰქონდეთ ინდიკატური დაგეგმვისა და მართვის სისტემა, რომელსაც აქვს ინფორმაციულ-საორიენტაციო ხასიათი (და არა დირექტიული).

მოცემული ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ინდიკატურ გეგმაში მკაფიოდ უნდა აისახოს გარდამავალი პერიოდის თავისებურება – ექსტენსიური და ინტენსიური მეთოდების შეხამების აუცილებლობა. ექსტენსიური განვითარება დაკავშირებულია არსებული რესურსების გამოყენებასთან, რაც დასაქმების პრობლემების კომპლექსურად განხილვას საჭიროებს. რაც შეეხება განვითარების ინტენსიურ გზას – იგი განიხილება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით, შრომის საზოგადოებრივი დანაწილება-დიფერენციაციის კონტექსტში და გულისხმობს სპეციალიზაციის დონის ამაღლებას და შესაბამისად სამეურნეო კავშირების კომპლექსურობას. ამიტომ აუცილებელია განვითარება წარიმართოს ექსტენსიური და ინტენსიური მეთოდების ერთიანობით. აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტორი მუდმივმოქმედი არ არის. იგი კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაში ადეკვატურად გამოვლინდება, განსაკუთრებით განვითარების გარდამავალ ეტაპზე. ეს ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებრივ წარმოებასა და გეოგრაფიულ გარემოს შორის ჩამოყალიბებული რთული ურთიერთკავშირები სიტუაციის შესაბამისად დიფერენცირებულ მიდგომას საჭიროებს. იმის გათვალისწინებით, რომ მთელი ყურადღება გადატანილი იქნება ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაზე ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების ინკლუზიურ გეგმაში უნდა განისაზღვროს ადგილზე არსებული რესურსული პოტენციალის (ბუნებრივი, შრომითი, საწარმოო, რეგიონთაშორისი კოოპერაცია, საგარეო-ეკონომიკური კავშირები, კვალიფიკაციის დონე და სხვ.) ამოქმედების ღონისძიებანი.

თანამედროვე პირობებში ინდიკატური დაგეგმვის უპირატესობა ისაა, რომ განვითარების პროცესის დაგეგმვა ხდება „ქვევიდან“, ეფუძნება კონსულტაციების, შეთანხმების პრინციპს და ითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვა ფენის (საკუთრების ფორმის მიუხედავად) ინტერესებს, ამასთან ასრულებს საზოგადოებისათვის აუცილებელი და სასარგებლო ინფორმაციის მიწოდების ფუნქციას.

სასოფლო ტერიტორიების განვითარების ინდიკატური დაგეგმვის ამოცანაა ხელი შეუწყოს მთავრობის მიმდინარე და საშუალო ვადიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებას, პრიორიტეტების და მათი მიღწევის გზების ძიებას, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის, დარგისა და სოციალური ჯგუფის ინტერესების კოორდინაციას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს პარლამეტმა 2006 წელს გააუქმა „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ“ კანონი, რამაც გააღრმავა და დააჩქარა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებიდან სახელმწიფოს თანდათანობით ჩამოცილების პროცესი.

აღნიშნული კანონი გაუქმდა „რეფორმატორთა“ სუბიექტური მოსაზრებების გავლენით, როგორც „სოციალიზმის გადმონაშთი“, მაშინ, როცა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ამ სტრიქონების ავტორის უშუალო მონაწილეობით) მიერ მომზადებული საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის მეთოდიკა 2003 წელს დაამტკიცა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ. მეთოდიკით, რომელიც პირველი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში, ინდიკატური დაგეგმვა განისაზღვრა განსაკუთრებულ, წინასწარ დაგეგმილი წესით კოორდინირებულ მეცნიერულ-ანალიტიკურ და პროგნოზული დამუშავების სისტემად. მისი მიზანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამის რეალურ მისაღწევ



ინდიკატორთა (მაჩვენებელთა) ჩამოყალიბება და მათი უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შემუშავება. პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ აღნიშნული კანონის გაუქმებამ ქვეყანაში სტრატეგიული დაგეგმვის იგნორირება გამოიწვია. ეს მაშინ, როცა მსოფლიო გამოცდილება, ასევე საქართველოს და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტრანსფორმაციული პროცესების თანმდევი ტენდენციები ადასტურებს, რომ ეკონომიკური დაგეგმვა განვითარების ნებისმიერ ეტაპზე სახელმწიფო იერარქიის ყველა დონეზე აქტიური ინსტრუმენტია. ფორმითა და შინაარსით კოორდინაციის ყოვლისმომცველი მექანიზმია. სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფოს, ბიზნესისა და საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ისიც ცხადია, რომ საბაზრო სუბიექტები უნდა იცნობდნენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ეტაპობრივ ორიენტირებს, რათა ობიექტურად განსაზღვრონ საკუთარი საქმიანობა, კონკრეტული გარემოს მოთხოვნები და მის შესაბამისად მოსალოდნელ სიტუაციებთან ადაპტირების პირობები.

განვიხილო პერიოდში ინდიკატიური გეგმის განსაკუთრებული ფუნქციაც გამოვლინდა: სახელმწიფო და საზოგადოება მუდმივად გრძნობს ქვეყნის განვითარების მაჯისცემას და ამასთან დაგეგმილ პროცესში დროულად შესაბამისი კორექტივების შეტანის საშუალება აქვს. ამასთან ეკონომიკური დაგეგმვა თვითმიზანი არ არის. იგი სტრატეგიული მიზნის – მთელი საზოგადოების მზარდი მატერიალური და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ერთ-ერთი, მაგრამ ჩაუნაცვლებელი საშუალებაა (ინსტრუმენტი). თანამედროვე სახელმწიფოს ეკსკლუზიური ფუნქციაც სწორედ ეს არის.

ამრიგად, ინდიკატიური დაგეგმვა არის გლობალიზაციის და რეგიონალიზაციის ერთიან სივრცეში შერეული ეკონომიკის ფუნქციონირების ობიექტური პროცესი, ეყრდნობა საკუთრების ფორმებისა და კოორდინაციის მექანიზმების შეთანწყობილ მოქმედებას, ეკონომიკის განვითარების პროგნოზებს, მრავალვარიანტულობას, განსაზღვრავს მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე ეკონომიკის განვითარების მაჩვენებელთა სისტემის ინდიკატორებს, ინტეგრაციული პროცესების მიმართულებებს, პროპორციებს, ტემპებს. ინდიკატიური გეგმა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესის მორგანიზებელი, მაკოორდინირებელი მექანიზმია ინტერესების სისტემის: (პიროვნება-კოლექტივი-საზოგადოება-სახელმწიფო) უკეთ შეხამებისა და მაკროეკონომიკური წონასწორობისათვის განსაზღვრულ დროში ეკონომიკის სასურველ მდგომარეობამდე მიყვანისათვის. ამასთან ინდიკატიური გეგმა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების საფუძველია.

იმათ საყურადღებოდ, ვინც უგულებელყოფს სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობას (საბაბით, რომ იგი თითქოს დირექტიულია) შევახსენებთ, რომ გეგმის, პროგნოზის, პროგრამის პროექტები, ანუ დაგეგმვის შედეგად წარმოებული პროდუქცია არ ყალიბდება, როგორც დირექტიული. ამ სტატუსს (საჭიროებისამებრ) მას ანიჭებს შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილება.

გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე პირობებში ეკონომიკური დაგეგმვის ამოსავალი საწყისი (ორიენტირი) უნდა იყოს „სამუშაო ადგილი“ და ბაზარი (წარმოებითი ურთიერთობების მექანიზმი) კონკურენტუნარიანობის გარემო („უხილავი ხელი“), როცა ეკონომიკური პროცესის მოქმედების სივრცე განისაზღვრება „ხილული ხელის“ (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება) მონაწილეობით და მათ შორის კოორდინაციის ფუნქციები სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის (საბაზრო ლოგიკა) საფუძველზეა განაწილებული.

შერეულ ეკონომიკაში, ასევე ბაზრების გლობალიზაციის პირობებში ინდიკატიური დაგეგმვის ტრანსფორმირება ხდება სტრატეგიულ ფორმაში, რაც მოითხოვს სუბიექტების

ინტერესების შეთანხმებას. ყველაზე გაშლილ და სრულყოფილ ფორმად მიჩნეულია ინდიკატიური დაგეგმვის სტრუქტურული ფორმა, რაც გულისხმობს დაგეგმვის პრინციპების გავრცელებას განვითარების ყველა დონეზე – საწარმო (დარგი), მუნიციპალიტეტი, რეგიონი (ტერიტორია), სახელმწიფო (ტერიტორია).

დღეს მთავარია ინდიკატიური დაგეგმვის რეგიონული (მუნიციპალიტეტების) მოდელის ჩამოყალიბება, მისი მეთოდოლოგიური, მეთოდური და ინფორმაციული უზრუნველყოფა.

### დასკვნები და რეკომენდაციები

1. სასოფლო ტერიტორია ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სივრცე-რესურსია, რომლის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებაზე არსებითად დამოკიდებული მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოება (ეროვნული უსაფრთხოების ჩაუნაცვლებელი ნაწილი), ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა (აუცილებელი პირობა საზოგადოების განვითარებისათვის), ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება. ამიტომ, რომ სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების ამოცანა. ცნება „მდგრადი განვითარება“ დამკვიდრდა 1992 წლიდან და გულისხმობს ეკონომიკის ისეთ განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას როგორც მოკლე, ასევე საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. იგი ეფუძნება აღიარებულ პრინციპს, რომლის შესაბამისად საზოგადოების დღევანდელი მოთხოვნილებები ისე უნდა დაკმაყოფილდეს, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. მდგრადი განვითარების პროცესი უნდა ეფუძნებოდეს ინოვაციურ მიდგომებს. მდგრადი განვითარების პრინციპი პრიორიტეტს ანიჭებს ღარიბებს, მათი შესაძლებლობების გაფართოებას. უფრო მეტიც, სიღარიბის აღმოფხვრა აღიარებულია მდგრადი განვითარების აუცილებელ პირობად;

2. საერთო აღიარებით, სასოფლო ტერიტორია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ერთიან ტერიტორიულ სივრცეს (კომპლექსს), რომელიც ასრულებს საწარმო-ეკონომიკურ, სოციალურ-დემოგრაფიულ, კულტურულ, ბუნება დამცველ, რეკრეაციულ და სხვა ეროვნულ (სახელმწიფოებრივ) ფუნქციებს. ამრიგად იგი (ტერიტორია) რთული ბუნებრივ-სამეურნეო ინტეგრირებული სისტემაა, რომელიც ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ქვესისტემებით ასრულებს შესაბამის ფუნქციებს. კერძოდ, **საწარმო** – იგულისხმება საზოგადოების სურსათით დაკმაყოფილება და ეკონომიკის სხვა დარგებისათვის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მიწოდება; **დემოგრაფიული** – სოფლის მოსახლეობის აღწარმოება; **სოციალური** – სასოფლო წყობის, სოფლის (თემის) ცხოვრების წესის შენარჩუნება; **ბუნება-დაცვითი (ეკოლოგიური)** – ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა; **კულტურულ-ეთნიკური** – კულტურის ტრადიციების დაცვა, ნაკრძალების, პარკების, ლანდშაფტების მოვლა-პატრონობა; **სივრცითი კომუნიკაციები** – გზების, ელექტროგადამცემი ხაზების, კავშირგაბმულობის, წყალსადენებისა და სხვა საინჟინრო კომუნიკაციების მოვლა. **რეკრეაციული** – დასვენების, სპორტის, ჯანმრთელობის პირობების შექმნა; **ზნეობრივი** – ზნეობრივი პოტენციალის შენარჩუნება და განმტკიცება და სხვ.;

3. ტერიტორიის სივრცითი დაგეგმვა ემყარება მდგრადი განვითარების აღიარებულ პრინციპებს და ხორციელდება სამ დონიანი სივრცითი დაგეგმვის სისტემით (**ქვეყნის სივრცითი მოწყობა, ავტონომიური რესპუბლიკების/ რეგიონების სივრცითი მოწყობა, მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობა**). იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყნის სივრცითი მოწყობის გეგმის შედგენა მომავალში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერიოდამდე გადადებულია, უნდა დაჩქარდეს მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმის ფორმირების პროცესი. ეს პრინციპული საკითხია და დაკავშირებულია სასოფლო ტერიტორიების მდგრად

განვითარებასთან და ითხოვს სახელმწიფოს ადეკვატური რეგიონული პოლიტიკის განხორციელებას. ამისათვის საჭიროა სასოფლო ტერიტორიების (მუნიციპალიტეტების მიხედვით) განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ობიექტური შეფასება, განვითარების ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრის საფუძველზე სპეციალიზებული მაღალ-ტექნოლოგიური წარმოების ფორმირება, რეგიონთა შორის გაცვლის (რეგიონთაშორისი კოოპერაცია, ფრანჩაიზინგის სისტემა, ერთობლივი საწარმოები და სხვ.), სრულყოფილი ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის გამოყენება და სხვ.;

4. აუცილებელია სასოფლო ტერიტორიების განვითარების პროგრამების სინქრონიზაცია. იგულისხმება სახელმწიფო, დარგობრივი, მუნიციპალური, ინვესტიციური (ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების პროგრამები, გზების, გაზსადენების, წყალმომარაგების ქსელების მშენებლობის პროექტები და სხვა). სახელმწიფო პროგრამაში სასოფლო ტერიტორიების კომპლექსური მხარდაჭერის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიების გამოყოფა ტელეკომუნიკაციების, ინფორმაციის გადამცემი ხაზების მშენებლობისათვის (იგულისხმება „ინტერნეტთან“ წვდომა);

5. დღემდე დამკვიდრებული ტრადიციისამებრ „სასოფლო ტერიტორიას“ მნიშვნელოვანწილად უკავშირებენ მხოლოდ იმ ადგილს, სადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოება განვითარებული (აგრარული სექტორი სისტემა შემქმნელი ფაქტორი). თანამედროვე პირობებში, როცა გლობალური პროცესები მასშტაბურად და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სწრაფად ვითარდება, სასოფლო ტერიტორიის მდგრადი განვითარების სტრატეგიამ არ უნდა გამორიცხოს აგრარული სფეროს გარდა სხვა დარგების განვითარება. კერძოდ, დღის წესრიგში დგას ტერიტორიის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების საკითხი. ანალიზით მტკიცდება, რომ ტერიტორიის განვითარებას უნდა მივუდეთ კომპლექსურად, განვიხილოთ როგორც ინოვაციური სისტემა, მისი ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციური ქვესისტემებით. მომავალში პრიორიტეტი მიეცემა მრავალფუნქციურ მიდგომას. რაც ხელს შეუწყობს უფრო სრულად იქნეს ათვისებული ბუნებრივ-რესურსული, სოციალურ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული პოტენციალი და შესაბამისად ოპტიმალური გახდეს ტერიტორიის მართვის სისტემა, ამასთან უფრო მოხერხდება ტერიტორიის რესურსული ბაზის სტაბილური აღწარმოება;

6. პრინციპული მნიშვნელობა აქვს ტერიტორიის განვითარების ინდიკატორების შერჩევას. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციის წარმოება, დემოგრაფიული განვითარება, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა და ა.შ.;

7. საბაზრო ურთიერთობების განვითარების დღევანდელ ეტაპზე სოფლად ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა სოციალური პრობლემებია. დღევანდელი სოფელი ფაქტობრივად წარმოადგენს დეპრესიულ სოციალურ გარემოს, რომელსაც არსებულად მწვავე დემოგრაფიული მდგომარეობა და სიღარიბე განსაზღვრავს. ამიტომ სასოფლო ტერიტორიების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება უნდა მოხდეს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტისათვის;

8. დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღების კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელება და ქალაქიდან სოფლის დასახლებებში გადასვლის (დასავლეთის ქვეყნებში ამ პროცესს რურალიზაციას ეძახიან) მატერიალური და მორალური სტიმულირება. შესაბამისი კანონმდებლობით, უნდა შეიზღუდოს ურბანიზაციის პროცესი. სოფელს (თემს) ადგილობრივი პირობების შესაბამისად უნდა განესაზღვროს სტატუსი. მას უნდა გადაეცეს პირველ ეტაპზე მუდმივ სარგებლობაში ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი (სამოვარი, სათიბი, წყლის ფონდი, ტყის ფონდი);

9. მიზნობრივად განხორციელდეს ეკონომიკის დივერსიფიკაცია, თანამედროვე სოციალური, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა და სხვ. ტერიტორიის (მუნიციპალიტეტის) კომპლექსური განვითარების პროგრამაში უნდა აისახოს ეკონომიკური, სოციალური, ბუნებრივ-კლიმატური, საკადრო პოტენციალის ამოქმედების მიზნები და ეტაპობრივი ამოცანები, დაფინანსების წყაროები და მართვის მექანიზმები. სახელმწიფომ თავისთავზე უნდა აიღოს სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების მხარდაჭერის ფუნქცია;

10. ტერიტორიების კომპლექსური განვითარების პროგრამის კონცეპტუალური საწყისი უნდა იყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრინციპი, ქვეყნის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილების სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების კომპლექსურობა. ამიტომ თვისებრივად განსხვავებული მიდგომაა საჭირო რეგიონული განვითარების პოლიტიკის ფორმირების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ბაზის განსაზღვრისადმი. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტების ტერიტორიის განვითარების პროცესი განვიხილოთ როგორც ინტეგრირებული სისტემა, რომლის მდგრადი კომპონენტებია: მოსახლეობა (საზოგადოება), მეურნეობა (ეკონომიკა), ტერიტორია (გარემო). მათი განვითარება უნდა წარიმართოს ერთიან კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიურ საფუძველზე. ამით მიიღწევა ტერიტორიაზე მმართველობითი ზემოქმედების ეფექტიანობა, რომელიც დააჩქარებს მდგრადი განვითარების გარემოს შექმნას;

11. სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტია ტერიტორიის განვითარების მონიტორინგი და მიზნობრივი პროგრამა, რომელშიც შესაბამისი ინდიკატორები, როგორც მიზანი და ამოცანები განსაზღვრულია. ასეთი პროგრამის ფორმირება უნდა მოხდეს ტერიტორიის სივრცის დაგეგმარების გეგმისა და მიწის ინვენტარიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული მიწათმოწყობის სქემის საფუძველზე. საქართველოს სივრცის დაგეგმარების „არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141 მუხლით (4 ნაწილი) განსაზღვრულია, რომ ყველა მუნიციპალიტეტს 2028 წლის 1 იანვრამდე უნდა ჰქონდეს ტერიტორიის სივრცის გეგმა (კოდექსი, გვ.79). რაც შეეხება მიწების ინვენტარიზაციას, მის ჩატარებას საქართველოს ოფიციალურ სტრუქტურებში რატომღაც მიზანშეწონილად არ თვლიან. ხშირად არგუმენტად მოჰყავთ მიწის რეფგისტრაციის შედეგების საკმარის ინფორმაციულ წყაროდ აღიარება. ზოგიერთის აზრით, მისი ჩატარება მიზანშეუწონელია იმის გამო, რომ დიდ მატერიალურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ქვეყნის განვითარების ანალიზი გვჩვენებს, რომ მიწის სრული ინვენტარიზაცია და მის საფუძველზე მიწათსარგებლობის სქემის შედგენა აუცილებელია. **ჯერ ერთი**, თანამედროვე პირობებში საგანგებო ყურადღება სჭირდება მიწის ნაკვეთების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციას. კონსოლიდაციას, რაც გულისხმობს ახალი მიწების ათვისებას, დარღვეული მიწების რეკულტივაციას, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას, დაჭაობებული მიწების დაშრობას, მიწების გასარწყავებას, სავარგულების ინტენსიფიკაციას, ცალკეულ კულტურათა გაადგილებას და სხვ. ეს ნიშნავს იმას, რომ მიწათმოწყობის სამუშაოებს მრავალფუნქციური მნიშვნელობა აქვს. **მეორე**, ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა სოფლებისა და დასახლებების საზღვრების დადგენა, სასაზღვრო დავების გადაწყვეტა. არასრული ინფორმაციით ქვეყანაში მიწის ნაკვეთების რაოდენობა მრავალჯერ გაიზარდა (მიახლოებით 3-3,5 მლნ ნაკვეთს შეადგენს). თითოეულ მათგანს შესაბამისი დოკუმენტის შედგენა სჭირდება. ეს და სხვა გარემოებებიც ადასტურებს იმას, რომ მიწის ინვენტარიზაცია, რომლის მიზანია მოამზადოს მიწის რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველი, გარდაუვალია (ცნობისათვის, 1990 წლის შემდეგ საქართველოში მიწის

ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა). ესაა მთავარი მიზეზი იმისა, რომ მიწათსარგებლობაში მოუგვარებელია აღრიცხვა, მიწის დეგრადაციის პროცესი ღრმავდება, მიწის კატეგორიების შეცვლის გამოყენებული წესი ასტიმულირებს სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების არა დანიშნულებისამებრ გამოყენებას. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში მიწათმოწყობის ერთიანი სამსახურიც არ არსებობს (აშშ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შექმნილია მიწათმოწყობის ბიურო, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ ატარებს მიწის ინვენტარიზაციას). მიზანშეწონილია 2028 წლამდე მუნიციპალიტეტების ტერიტორიის სივრცის დაგეგმარების გეგმის შედგენასთან ერთად მომზადდეს საფუძველი სახელმწიფო მიწის ფონდის სრული ინვენტარიზაციის ჩასატარებლად.

**12.** სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა. თუმცა დღეს ამ პროცესის მართვის ერთიანი სისტემური მიდგომა არ გამოიყენება. სახელმწიფო, რეგიონული, დარგობრივი სტრატეგიები (რაც რეფორმებში წინადადებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს) უფრო მეტად დეკლარაციული ხასიათისაა. დასახული მიზნები და ამოცანები არ ემყარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით შემოთავაზებულ სიახლეებს (ეს უფრო მეტად ეხება მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებას), ასევე ეკონომიკის დივერსიფიკაციის, საწარმოო და შრომითი რესურსების აღწარმოების, ცხოვრების დონის (ხარისხის) ამაღლების საკითხებს. ეს იმიტომ ხდება, რომ „სტრატეგიები“ მოწყვეტილია რეალობას, არ მოიცავს მექანიზმებს, რომელთა გამოყენებით განვითარების პროცესი მიზნობრივად უნდა წარიმართოს. ამჟამად ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა რთულ კვანძებად ფორმირებულ პრობლემათა ერთობლიობაა, რომელთა გადაწყვეტა მოკლე პერიოდში შეუძლებელია. იგი ეტაპობრივად და კომპლექსურად მოითხოვს ქვეყნის მატერიალური და სულიერი პოტენციალის ამოქმედებას. ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ პრობლემების გადაწყვეტას მართო ვერ შევძლებთ, აუცილებელია მსოფლიო თანამეგობრობის (მხედველობაში გვაქვს საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურების) მხარდაჭერა, ინვესტიციები, პოლიტიკური და ეკონომიკური დემოკრატიის შემდგომი განვითარება, ზოგად საკაცობრიო ფასეულობებთან ეროვნული ფენომენის თავსებადობა, რაც მთავარია, ყოველივე ამის ფონზე საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვის უნარი უნდა გვქონდეს. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ რთული პროცესების მართვა მხოლოდ პროგრამული მიდგომებით არის შესაძლებელი. ეკონომიკური დაგეგმვისა (პროგრამების) და საბაზრო მექანიზმების თანაარსებობა აუცილებელია. ისინი ანტიპოდები არ არიან, არამედ ერთმანეთს ავსებენ და ამით (ურთიერთხემოქმედებით) აღწევენ ეფექტიანობას.

**13.** პროგრამულ-მიზნობრივ მიდგომას ის უპირატესობა აქვს, რომ მასში აისახება ლოგიკური კავშირი დასახულ მიზანსა და მისი მიღწევის რესურსულ და პოლიტიკურ-ორგანიზაციულ ფაქტორებს შორის, რეალურად განისაზღვრება ადგილობრივი, ბუნებრივი და საწარმოო პირობების, ფაქტორების, რეზერვების კომპლექსურად გამოყენების გზები და საშუალებები, რაც ხელს უწყობს რესურსების მიზნობრივ კონცენტრაციას.

როგორც წესი, ტერიტორიის მდგრადი განვითარების პროგრამაში სამ მთავარ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი.

**პირველი** – ტერიტორია (ჩვენს შემთხვევაში სასოფლო მუნიციპალიტეტი) განვითარების რომელ საფეხურზეა, როგორია მისი ფუნქციონირების ბუნებრივ-საწარმოო, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური თავისებურებები, ტენდენციები. ეს გვჭირდება იმისათვის, რომ ვიცოდეთ როგორია განვითარების სასტარტო ბაზა, საზოგადოების ქცევის მოტივაცია, გლობალურ პროცესებთან ადაპტირების დონე, ინტეგრაციული პროცესების განვითარების

ხარისხი, სივრცობრივი ასპექტები, ცხოვრების დონე და ა.შ., რაც საფუძვლად უნდა დაედოს განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივის პროგნოზირებას. ეს ნიშნავს იმას, რომ ობიექტურად და ერთიან კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომებით შეფასდეს არსებული მდგომარეობა.

**მეორე** – როგორია ტერიტორიის განვითარების სტრატეგიული მიზანი. ამ შემთხვევაში საკმარისი არ იქნება ვიცოდეთ მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობები, აუცილებელია გარემო და სხვათა ინტერესების (მომიჯნავე ტერიტორიების) შესწავლა-შეფასება, მათი თანხვედრის, თუ დაპირისპირების, მოსალოდნელი გამოწვევების პროგნოზირება (ეს ძირითადად ეხება ბუნებრივი რესურსული პოტენციალის გამოყენებას), რათა განვითარების ოპტიმალური მიმართულებები განისაზღვროს.

**მესამე** – როგორ, რომელი რესურსებით (ნიადაგი, წყალი, წიაღისეული, შრომითი და სხვა) და რა პერიოდში ვგეგმავთ დასახული სტრატეგიული მიზნის მიღწევას. ამისათვის საჭიროა სწორად განისაზღვროს განვითარების ადეკვატური ფორმები და მექანიზმები, დაფინანსების წყაროები. ასეთი მიდგომებით შედგენილი პროგრამის პროექტს იხილავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. მისი განხორციელებისათვის განისაზღვრება მონიტორინგის შესაბამისი ფორმა.

**სასოფლო ტერიტორიის განვითარების პროგრამის ძირითადი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:**

- ქვეყნის, კერძოდ, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება-მოდერნიზაცია ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობა-ფაქტორია. იგი არა მხოლოდ ეკსკლუზიური როლით (ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფა) განისაზღვრება, არამედ იმიტაც, რომ მისი განვითარების მასშტაბებსა და ეფექტიანობაზე დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკის ახალი (საბაზრო პრინციპებზე) დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებაც. სასოფლო წარმოება ამოსავალი საბაზრო საწყისია მომიჯნავე დარგების განვითარებისათვის, კერძოდ ნედლეულის გადამამუშავებელი, ქიმიური, სასოფლო მანქანათმშენებლობისა და სხვა დარგების განვითარებისათვის.
- გეოეკონომიკის, როგორც განვითარების სტრატეგიული რესურსის ეფექტიანი გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყნის ევროპისა და აზიის ქვეყნების ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის პროცესში აქტიური როლის შესრულებაში. გაიზრდება მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, განსაკუთრებით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე, ახალ ტექნოლოგიებზე, კვალიფიციურ მუშახელზე და ა.შ. ინტეგრაციული პროცესების გადრმავეებით გაძლიერდება წვდომა რესურსებზე, კაპიტალის, პროდუქციისა და სამუშაო ძალის უფრო ეფექტიანად გამოყენებაზე.
- სასოფლო ტერიტორიის მდგრადი განვითარების ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში განსაკუთრებული როლი აკისრია მიწათმოწყობას. მისი ახალი სისტემის შექმნის რთული ამოცანა მოიცავს პრობლემათა ფართო სპექტრს, კერძოდ, საკანონმდებლო ბაზის, მართვის ორგანიზაციული სისტემის, ეკონომიკური მექანიზმის ახალ პრინციპებზე ფორმირებას. მწვავედ დგას მიწების კონსოლიდაციის საკითხი. სოფლების, მუნიციპალიტეტების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიწის ნაკვეთების, სამოვრების, განსაკუთრებით სახელმწიფო საზღვრების პრობლემა გადაწყვეტილი არ არის. გასათვალისწინებელია ის თავისებურებაც, რომ მიწათმოწყობა, როგორც მიწის მდგომარეობის შესწავლის მიზნით ჩამოყალიბებული სამართლებრივი, ეკონომიკური, საინჟინრო-ტექნიკური და სხვა სამუშაოთა თანმიმდევრული და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სისტემა, ქვეყნის მიწის რესურსების (მიწის სახელმწიფო ფონდის) მიზნობრივად და რაციონალურად

გამოყენების მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც სახელმწიფოს აძლევს საშუალებას უზრუნველყოს მიწის რესურსების გამოყენების და დაცვის სისტემური მართვა. ამიტომ, რომ მიწათმოქმედება სახელმწიფო მართვის მეთოდად (ინსტრუმენტად) არის მიჩნეული და სახელმწიფო პოლიტიკით ხორციელდება. მიწათმოქმედების ჩანაცვლება სხვა მეთოდებით გამორიცხებულია. ქვეყანაში უნდა ჩამოყალიბდეს მიწათმოქმედების ერთიანი (დარგთაშორისი ფუნქციებით) სამსახური. დღევანდელ პირობებში მიზანშეწონილია მისი ფუნქციონირება მიწის ეროვნული სააგენტოს ორგანიზაციულ სისტემაში.

- სასოფლო ტერიტორიის კომპლექსურ განვითარებაში ფაქტობრივად არ მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია. ფერმერები ნდობით არ ეკიდებიან კოოპერატივის შექმნის იდეას (იგი ასოცირდება საბჭოთა კოლმეურნეობებთან). საპილოტე კოოპერატივები ქვეყანაში არ შექმნილა. მიწის ფართობების სიმცირე (საოჯახო მეურნეობებზე მოდის 1.3 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი) მნიშვნელოვნად ზღუდავს მასშტაბის ეფექტს. პრობლემებს ქმნის კვალიფიციური ცოდნის დიდი დეფიციტი და ნაჩქარევად ჩამოყალიბებული კოოპერატივების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაბალი დონე. კოოპერაციას სახელმწიფო ორგანოებიდან საჭირო მხარდაჭერა არა აქვს.
- სასოფლო ტერიტორიის განვითარებაში კოოპერაციის როლის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილია: სპეციალური პროგრამით განხორციელდეს ღონისძიებანი კოოპერაციის უპირატესობის პოპულარიზაციისათვის, გათვალისწინებულ იქნეს ინვესტიციების ზრდა, ჩამოყალიბდეს კვალიფიციური კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, უპირატესობა მიეცეს მეორე დონის კოოპერატივებს, რაც ხელს შეუწყობს კონკურენტული გარემოს შექმნას, ვერტიკალური ინტეგრაციის შემდგომ გაღრმავებას. კოოპერატივების განვითარება წარმართოს მიზნობრივი პროგრამებით. სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერაციის საქმიანობის ინსტიტუციური მოწყობა მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. კოოპერაციული მოძრაობის მიზანმიმართულად რეგულირებისათვის მიზანშეწონილია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციულ სისტემაში შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების სააგენტო, შემდგომში მისი გარდაქმნით წევრობაზე დაფუძნებულ იურიდიულ პირად. კოოპერაციის განვითარების დაჩქარების მიზნით მიზანშეწონილია შეიქმნას კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკი.
- სასოფლო ტერიტორიების მდგრად განვითარებაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის როლის განსაზღვრას. FAO-ს მიერ მიწის რესურსების გამოყენების დაგეგმვა აღიარებულია მდგრადი განვითარების მართვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. ქვეყანაში მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით აუცილებელია: ქვეყნის ტერიტორიის განვითარების ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებების (ვერტიკალური ზონალობა, ნიადაგის ტიპების მრავალფეროვნება, დარგობრივი სპეციალიზაციის დონე და სხვ.) გათვალისწინებით განისაზღვროს გრძელვადიანი პერსპექტივა. იგულისხმება მიწაზე ყველა დარგის მოთხოვნილებათა გაცნობიერება, მიწის კატეგორიების შესაბამისად დაბალანსების ოპტიმალური სქემის შედგენა, მიწის იმ ფართობების გამოვლენა, რომლებიც მომავალში შეიძლება გამოყენებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში (ათვისება, არსებულის გაუმჯობესება, მელიორაცია და სხვ.). მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა გეგმა განხორციელდება მიზნობრივი პროგრამებით (პროექტებით).
- პროგნოზირებისა და დაგეგმვის ობიექტია ტერიტორიის მიწის ფონდი (მიუხედავად საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმისა). პირველ ეტაპზე უნდა შეფასდეს მიწის

რესურსების გამოყენების დონე (მისი სამეურნეო, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური, ორგანიზაციულ-მმართველობითი ასპექტები) და ამის შესაბამისად პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით გაკეთდეს მაჩვენებელთა პროგნოზული გაანგარიშებები. მხედველობაში უნდა მივიღოთ მიწის რესურსების ისეთი თავისებურებები, როგორცაა – მრავალფეროვნება, რომელიც ინდივიდუალურ მიდგომებს მოითხოვს. როგორც წესი, დაგეგმვისას დაცული უნდა იყოს კომპლექსურობა. განისაზღვროს დაგეგმვის იერარქიული დონეც. იგი უნდა იყოს ორ საფეხურიანი – ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის დონეზე. მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის პროგნოზირებისა და დაგეგმვის სამსახური დღევანდელ ეტაპზე მიზანშეწონილია ფუნქციონირებდეს მიწის მართვის ცენტრალურ ორგანოში (ამჟამად მიწის მართვის სააგენტოში).

- როგორც წესი, ტერიტორიის განვითარების პროგრამაში უნდა განისაზღვროს სასოფლო-სამეურნეო მიწის რეზერვიც (სახელმწიფო მარაგი). ის, რომ ტერიტორიის განვითარებაში უპირატესობა ენიჭება მიწის სასოფლო-სამეურნეო ათვისებას, არ ნიშნავს იმას, რომ სხვა (არასასოფლო კატეგორიის მიწების) ფართობების გამოყენება მიზნობრივად არ განისაზღვროს. მაგალითად, რეკრეაციული რესურსების, მრეწველობის და სხვა დარგების განვითარების შესაძლებლობები. ასეთი მიდგომა გვაძლევს მყარ საფუძველს განისაზღვროს მიწის რეზერვი (სახელმწიფო მარაგი).
- სასოფლო ტერიტორიის განვითარების უპირობო პრიორიტეტად კვლავაც დარჩება სასოფლო-სამეურნეო ათვისება, რომ მისი მდგომარეობა პასუხობდეს მდგრადი განვითარების მოთხოვნებს. ეს რთული ამოცანაა იმ პირობებში, როცა ჯერ კიდევ მოუგვარებელია მიწის აღრიცხვაც, დაბალ დონეზეა თესლის წარმოება, სანაშენო საქმის ორგანიზაცია, თანმიმდევრულად არ ხორციელდება ნიადაგის დეგრადაციის საწინააღმდეგო ღონისძიებანი, კვალიფიციური კადრების დიდი დეფიციტია. მთავარ საბაზრო სუბიექტებს წვრილი ოჯახური მეურნეობები წარმოადგენენ. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სუსტია. ასეთ პირობებში საჭიროა საგანგებო ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელება. გარდამავალ ეტაპზე დაშვებული შეცდომებით გამოწვეული ჩამორჩენის დაძლევისათვის დიდი ძალისხმევაა საჭირო. განვითარების კომპლექსურ პროგრამაში უნდა აისახოს სახელმწიფო მხარდაჭერის კონკრეტული ფორმები და მეთოდები (მათ შორის არაორდინალურიც). აგრარული სექტორის კომპლექსური განვითარების უზრუნველსაყოფად რეალურად მიგვაჩნია „გარღვევის სტრატეგიის – მობილიზაციური მოდელის“ გამოყენება. იგი ეფუძნება განვითარების სტრატეგიული მიზნისა და მისი მიღწევის ძირითადი საშუალების (რგოლის) შერჩევის პრინციპს, რაც გულისხმობს რგოლის ამოწვევით მთლიანი ჯაჭვის ამოწვევის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას.
- მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების პრობლემა არსებითად წყდება ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიულ საზღვრებში. სწორედ აქ უნდა შეიქმნას ხელსაყრელი პირობები ბუნებრივი რესურსების თანამედროვე ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სიახლეების გამოყენებისათვის. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ტერიტორიაზე არსებული „ნივთებისა და ძალების კომბინაციით“ (რასაც ი.შუმპეტერი ინოვაციას უწოდებს) განვითარების პერსპექტივის განსაზღვრა.
- ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურის ფორმირების საფუძველია შემდეგი პრინციპები: მიზნობრივი ორიენტაციის პრინციპი, ფუნქციების ჰორიზონტალური დანაწილების პრინციპი, ფუნქციების ვერტიკალური დანაწილების პრინციპი, კომპლექსურობის პრინციპი. ადგილობრივი მმართველობის მართვის საგანია მის ტერიტორიაზე მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების პროცესების ფორმირება და მიზნობრივად და ეტაპობრივად რეგულირება.



- ადგილობრივი მმართველობის სუბიექტებია: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, შიდამეურნეობრივი მართვის – მიწის ნაკვეთების მესაკუთრენი, მიწათმოსარგებლები, არენდატორები.  
მუნიციპალური წარმონაქმნი, რომელიც რთული ინტეგრირებული სისტემაა, როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი ფაქტორების არსებით გავლენას განიცდის და დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკური განვითარების კონიუნქტურაზე. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობების „საქმიანობა“ იმის ნათელი მაგალითი იყო, რომ მათ, თვითრეგულირების რეჟიმში ფუნქციონირების უნარი არ აღმოაჩნდა. ეს გამოცდილება იმას გვიჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განვითარება არსებითად დამოკიდებულია ზემდგომი ორგანოების საქმიანობაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიის მართვის სისტემაზე ერთდროულად მოქმედებს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, საბაზრო, ეკოლოგიური და სხვა ფაქტორები.
- ადგილობრივი თვითმმართველობა მიზანშეწონილია ორ დონიანი იყოს: სოფელი, როცა მას საზღვრებით, მოსახლეობით, რესურსებით ნორმალური ფუნქციონირებისათვის პირობები გააჩნია და თემი, რომელიც მოიცავს რამდენიმე დასახლებას. თვითმმართველობის პირველ საფეხურზე მართვის ორგანოს შექმნის ორი ვარიანტი შეიძლება განვიხილოთ. პირველი – მოსახლეობა კრებაზე ან ყრილობაზე ირჩევს გამგეობას, რომლის შემადგენლობიდან აირჩევა გამგებელი (მამასახლისი) და მდივანი. ან როცა სოფლის მოსახლეობა პირდაპირი და დახურული კენჭისყრით ირჩევს სასოფლო (სათემო) საბჭოს (პროპორციული ან მაჟორიტარული წესით), რომელიც ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარეს და მდივანს. პირველი საფეხურის თვითმმართველობას გადაეცემა მუდმივ სარგებლობაში ამჟამად სახელმწიფო (რეგიონულ) საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი (სათიბი, სამოვარი, ტყე, წყლის ფონდის მიწა და სხვ.). ასეთი სისტემა ხელს შეუწყობს ტერიტორიის კომპლექსურ განვითარებას. სოფელს (თემს) უნდა ჰქონდეს განვითარების გეგმა (მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის ნაწილი), რომელშიც ჩამოყალიბდება პრიორიტეტები (მოსახლეობის უშუალო ჩართულობით), განისაზღვრება განვითარების ფონდი, რომელშიც აკუმულირებული იქნება როგორც შიდა წყაროებიდან (მიწის (ქონების) გადასახადის, ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი საწარმოების, ვაჭრობის ობიექტების და სხვა ორგანიზაციების შემოსავლების გარკვეული ნაწილი (საბიუჯეტო ფედერალიზმის პრინციპების გათვალისწინებით), ასევე სხვადასხვა დონიანი ორგანიზაციებიდან მიღებული სახსრები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მთის რეგიონების (მუნიციპალიტეტების), სოფლების (თემების) მდგრად განვითარებას. ამჟამად მოქმედი კანონი ვერ უზრუნველყოფს მთის მწვავე პრობლემების გადაწყვეტას.

### **რეზიუმე**

სტატიაში განხილულია საქართველოს სასოფლო ტერიტორიების განვითარების თანამედროვე პრობლემები. ნაჩვენებია, რომ ყველა ქვეყანას განვითარების ერთმანეთისაგან განსხვავებული ბუნებრივ-საწარმოო, ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების, შრომითი ტრადიციების, დარგობრივი სტრუქტურების და სხვ. თავისებურებები და ტენდენციები გააჩნია. აღნიშნული და სხვა პრობლემების თეორიულად გააზრება, მით უფრო პერსპექტივაში მათი განვითარების კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრა ურთულესი ამოცანაა. მით უფრო საქართველოში, რომლის ტერიტორია მოიცავს უნიკალურ ბუნებრივ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, სოციალურ, ისტორიულ-კულტურულ პოტენციალს, რომელიც თანამედროვე პირობებში შესაბამისი მეთოდოლოგიური მიდგომებით უნდა იქნეს შესწავლილი და შეფასებული.

განალოზებულია გარდამავალ პერიოდში საქართველოში ეკონომიკური გარდაქმნების რთული პროცესების შედეგები, ახალი გამოწვევების მიზეზები. კერძოდ, როგორ მოიშალა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ორგანიზაციულ-მმართველობითი მექანიზმი, რამ გამოიწვია ეკონომიკური და სოციალური სფეროს განვითარების ერთიანი პროცესიდან ამოვარდა, მიგრაციული პროცესების გაძლიერება, სოფლად მთავარ საბაზრო სუბიექტებად წვრილი ოჯახური მეურნეობების ჩამოყალიბება, ნიადაგის დეგრადაციის გაღრმავება, კვალიფიციური კადრების დეფიციტი, სარწყავი ფართობების მკვეთრად შემცირება და სხვა.

ქვეყანაში დაფიქსირდა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კლების ტენდენცია, ასევე რეგიონების მიხედვით მოსახლეობის რიცხოვნობის კლების დონის განსხვავება. მაღალია შიდა მიგრაციისა და ემიგრაციის დონე. სოფლის ტერიტორიიდან მიგრაციის ძირითადი მიზეზი ზოგადად უმუშევრობა და სიღარიბეა. ამასთანავე ქვეყნის რეგიონები (მხარეები) განსხვავდება მოსახლეობის სიმჭიდროვით, დასახლებების სიდიდით, ურბანული და სასოფლო დასახლებების ტიპებით.

სოფლად შექმნილი მძიმე მდგომარეობის რამდენიმე გამომწვევი მიზეზი არსებობს. დღევანდელ ეტაპზე სოფელს არ გააჩნია სამართლებრივი სტატუსი, მას არა აქვს საკუთრება და მუდმივი შემოსავალი. ამიტომაცაა, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობა ასეთ გაურკვეველ ვითარებას ცდილობს განერიდოს, ტოვებს სამკვიდროს და მიდის ქალაქში, ან კიდევ უფრო შორს, საზღვარგარეთ.

ასეთ ფონზე მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების თავისებურებების ჩვენი ქვეყნის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებთან შეჯერებით უნდა შედგეს სასოფლო ტერიტორიების განვითარების მიზნობრივი პროგრამა, რომელშიც უნდა აისახოს ტერიტორიის განვითარების არსებული მდგომარეობა, შრომითი რესურსების, ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, ისტორიულ-კულტურული ტრადიციები და ა.შ.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ეფექტიანი მექანიზმის ფორმირება-ამუშავებით შესაძლებელი გახდება ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების, ეკოლოგიის გაჯანსაღების პროცესში მოსახლეობის სრულად ჩართვა. არაურბანული ტერიტორიების/სოფლის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისათვის თანამშრომლობის ფორმატში უნდა გაერთიანდეს სამოქალაქო სექტორი, ცენტრალური ხელისუფლება, ბიზნეს ჯგუფები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რათა ტერიტორიის/დასახლების განვითარება მოხდეს შიგნიდან, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებისა და ტრადიციების, აგრეთვე არსებული რისკების გათვალისწინებით.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ ღრმად შესწავლას მოითხოვს:

ეკოლოგიურ-ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების, აღწარმოების პროცესების მდგრადობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, სოფლის მოსახლეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ურთიერთმოქმედების/თანამშრომლობის გაუმჯობესების, მეწარმეობის განვითარების, მომიჯნავე დარგებთან ინტეგრაციის გაღრმავების, სასოფლო ტერიტორიების განვითარების საკითხები.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, როგორც კომპლექსური პროცესი ინტეგრირებული უნდა იყოს ტერიტორიის განვითარების ყველა მიმართულებასთან, რათა დაბალანსდეს ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური პრიორიტეტები. რაც გულისხმობს ტერიტორიაზე არსებული სუბიექტების ინტერესების შეთანხმებას. ამ შემთხვევაში უფრო მოხერხდება სტრატეგიული (სამოქმედო) გეგმების, პროგრამების, პროექტების რეალიზაცია, ეკონომიკური განვითარების პროცესების დაბალანსება და ტექნოლოგიური წყობების

ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფა. ამით მომზადდება ტერიტორიის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი პირობები.

დასაბუთებულია მუნიციპალიტეტის (როგორც ტერიტორიის) განვითარების ინდიკატიურ დაგეგმვაზე გადაყვანის აუცილებლობა, რომ ტერიტორიის მდგრადი განვითარების დაგეგმვისას არა მხოლოდ ორიენტირები განისაზღვრება, არამედ ამასთან ერთად – მეთოდებიც, რომ დასახული მიზანი მიღწეული იყოს. ინდიკატიური დაგეგმვის უპირატესობა ისაა, რომ დაგეგმვა იწყება „ქვევიდან“, ეფუძნება კონსულტაციების, შეთანხმებების პრინციპს და ითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვა ფენის (საკუთრების ფორმის მიუხედავად) ინტერესებს, ამასთან ასრულებს საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების ფუნქციას. სტატიაში წარმოდგენილი დასკვნები, რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების მომზადებასა და შემდგომ სრულყოფას.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმვის სახელმძღვანელო. ტ. I ძირითადი გზამკვლევი;
2. საქართველოს მუნიციპალიტეტების სივრცითი დაგეგმვის სახელმძღვანელო, ტომი 1, 2, 3. თბილისი 2019;
3. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი;
4. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს დებულება;
5. საქართველოს რეგიონების განვითარების პროგრამა 2018-2021წლები;
6. ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2018-2022. თბილისი, 5 ივნისი, 2018;
7. საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
8. ო.ქეშელაშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის განახლებული ზონალური სქემა. თბილისი, 2009;
9. Развитие сельских территорий. Иновации, диверсификация. Калуга, ЗАО «Типография флагоман», 2011;
10. Развитие сельских территорий: зарубежный опыт;
11. Зарубежный опыт развития социальной инфраструктуры села. Журнал “Russian Journal of Management”. Том II, N4, 2023.

## **ნოდარ ფოფორაძე**

გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტუ-ს ი. ჟორდანიას საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

## **ხათუნა ლეჟავა**

ინჟინერიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სტუ-ის ი. ჟორდანიას საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

## **გელა ლობჯანიძე**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სტუ-ის ი. ჟორდანიას საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

## **გოჩა ნანიტაშვილი**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სტუ-ის რექტორის მრჩეველი, თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ხელმძღვანელის მოადგილე

### **საქართველოს ეკონომიკაში რეგიონული და სამთოსამრეწველო კლასტერების ფორმირებისა და ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებები**

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ თანამედროვე დროსა და პირობებში სწორედ კლასტერული მიდგომა არის ეროვნული ეკონომიკის რაციონალური სტრუქტურული ცვლილებების, რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, კონკურენტუნარიანობის და დასაქმების, შრომის ანაზღაურების, სხვადასხვა დონეზე საბიუჯეტო ვალდებულებების ზრდის და მოსახლეობის მნიშვნელოვანი კეთილდღეობის მყარი საფუძველი, რაც თავის მხრივ, აძლიერებს რეგიონების ინოვაციურ მიმზიდველობას და მიმართულებებს, წარმოადგენს ძლიერ ინსტრუმენტს ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარების სტიმულირებისათვის, ინდუსტრიული სექტორის მდგრადობისა და ეფექტიანობის ამაღლების თვალსაზრისით. კლასტერის ცნების სხვადასხვა განმარტება არსებობს. წარმოგიდგინოთ რამდენიმეს:


- კლასტერი ეს არის გარკვეული საქმიანობის პროფილის მქონე საწარმოების ძლიერი და მეტად კონკურენტული გაერთიანება, რომელსაც თან ახლავს სხვადასხვა სახის ინსტიტუციები (სამეცნიერო, მომსახურების, ადმინისტრაციული). კლასტერების ძირითად ბირთვს წარმოადგენენ ფირმები, თუმცა კლასტერების და კლასტერული ინიციატივების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ასევე სხვადასხვა ინსტიტუციების არსებობა, რომლებსაც შეუძლიათ საწარმოების განვითარების ხელშეწყობა (მათ შორის კვლევებისა და განვითარების სფეროში), ასევე სათანადო საზოგადოებრივი პოლიტიკა, ბიზნესწრეების, მეცნიერების და ადმინისტრაციის მზაობა;

- კლასტერები მაღალტექნოლოგიური პარკებია (მათ ტექნოპარკებსაც უწოდებენ), რომლებიც უდიდეს როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში;

- კლასტერი ანუ სამრეწველო ჯგუფი, გეოგრაფიულად მეზობელი ურთიერთდაკავშირებული კომპანიების ჯგუფი და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციებია, რომლებიც მოქმედებენ განსაზღვრულ სფეროში და ხასიათდებიან საქმიანობის ერთიანობითა და ერთმანეთის ურთიერთშეესებით (იხ. ნახ. 1). ცნება „კლასტერი“ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც ანალიზის მიზნებში, ასევე პრაქტიკულ საქმიანობაში. პირველ შემთხვევაში, ის ცალკეული საწარმოს ან ორგანიზაციის როგორც კვლევის ობიექტის ალტერნატივას, კერძოდ

პროგნოზირების სფეროს წარმოადგენს. მეორე შემთხვევაში, კი – ის რეგიონული განვითარების სტრატეგიის ფარგლებში მხარდაჭერის ობიექტია, რომლის შემუშავებლები არც თუ ისე იშვიათად კლასტერის ფორმირების აუცილებლობას, კონკრეტულ რეგიონში, მწარმოებლურობის, ინოვაციურობის, კონკურენტუნარიანობის, შემოსავლიანობისა და დასაქმების ტემპების ზრდით ხსნიან.

კლასტერი დროსა და სივრცეში პარალელურად ვითარდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი სივრცითი შეფასება, - თუ როგორია სივრცითი მოცემულობა. ნახ.1-ზე წარმოდგენილია კლასტერის მონაწილე სტრუქტურული სახეების გრაფიკული სქემა.



ნახ. 1. კლასტერის მონაწილე სტრუქტურული სახეები

ადგილობრივი წიაღისეული რესურსების ბაზაზე სამთო წარმოებების შექმნა რეგიონების ინდუსტრიული განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ გზას წარმოადგენს. სწორედ, ამის საფუძველზე შესაძლებელია მოხდეს კლასტერული ცალკეული სტრატეგიული და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, უკვე მოქმედ კომპანიებზე ან სამრეწველო ათვისებისათვის პოტენციურად პერსპექტიულ მინერალურ რესურსებზე, ჩვენს შემთხვევაში - ქვანახშირის რესურსზე, რეგიონულ (მუნიციპალურ) და დარგობრივ (სამრეწველო) კლასტერებად.

მსოფლიო საზოგადოებრიობის განვითარების თანამედროვე გლობალური ეკონომიკური ტენდენციები და პრიორიტეტები ნათელყოფს, რომ ქვეყნის სამრეწველო და რეგიონული მდგრადი სტრატეგიული პერსპექტივის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ინოვაციური კლასტერიზაციის პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებაზე, რომელიც თავის მხრივ, მიმართულია მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ოპტიმალურ გადაჭრაზე. ამასთან დაკავშირებით, ძალზე აქტუალურია ეკონომიკის კლასტერიზაციის უცხოური გამოცდილების შესწავლა და გაზიარება, როგორც მრავალმა ქვეყანამ კლასტერული პოლიტიკის განხორციელებისას, შესაბამისი შემუშავებული მექანიზმების გამოყენებით მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას სამრეწველო და რეგიონული ინოვაციური კლასტერების ჩამოყალიბებაში, რომლის ძირითადი მიმართულებები მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1.

ეკონომიკის კლასტერიზაციის ძირითადი დარგობრივი მიმართულებები მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყანაში [2]

საბაზისო დარგები საწარმოო კლასტერების შექმნისათვის	ძირითადი ქვეყნები, სადაც შექმნილია დარგობრივი კლასტერები
ნახშირის მრეწველობა	ჩინეთი, გერმანია, რუსეთი, უკრაინა
სამთომოპოვებითი	ფინეთი, შვედეთი, კანადა, ავსტრალია, რუსეთი
ბიოტექნოლოგია და ბიორესურსები	გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, ნორვეგია
ელექტრონიკა	ნიდერლანდები, იტალია, გერმანია, ნორვეგია, ირლანდია, შვეიცარია
ფარმაცევტიკა და კოსმეტიკა	დანია, შვედეთი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია
სოფლის მეურნეობა და საკვების წარმოება	ფინეთი, ბელგია, საფრანგეთი, იტალია, ნიდერლანდები
ნავთობგაზის კომლექსი და ქიმია	შვეიცარია, გერმანია, ბელგია, სინგაპური (ნავთობქიმია)
ელექტრონული ტექნოლოგიები და კავშირი, საინფორმაციო ტექნოლოგიები	შვეიცარია, გერმანია, ფინეთი
მანქანათმშენებლობა და რემონტი, ელექტროტექნიკა	ნიდერლანდები, იტალია, გერმანია, ნორვეგია, ირლანდია, შვეიცარია
ჯანმრთელობის დაცვა	შვედეთი, დანია, შვეიცარია, ნიდერლანდები
ხეცის-ქაღალდის კომლექსი	ფინეთი
კომუნიკაციები და ტრანსპორტი	ნიდერლანდები, ნორვეგია, ირლანდია, დანია, ფინეთი, ბელგია
სამშენებლო სფერო	ფინეთი, ბელგია, ნიდერლანდები
განათლება, ტექნოპარკები	გერმანია, საფრანგეთი, ფინეთი, ავსტრია
მსუბუქი მრეწველობა	შვეიცარია, ავსტრია, იტალია, შვედეთი, დანია, ფინეთი
ენერჯეტიკა	ნორვეგია, ფინეთი

ბოლო წლებში, მართალია საქართველოში განხორციელდა მთელი რიგი რეფორმები (სავიზო რეჟიმის გამარტივების, ზოგიერთი საგადასახადო შეღავათის, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნის, დაიხვეწა ლოგისტიკის სისტემების დახვეწის თვალსაზრისით), თუმცა, მიუხედავად ამისა, ქვეყანა კვლავ სოციალური განვითარების სტადიაში იმყოფება. როგორც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს, ჯერ კიდევ მძიმეა მთელ რიგ დარგებსა და რეგიონებში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა. მოქმედი კანონმდებლობა ჯერ კიდევ ვერ უწყობს ხელს არსებული მდგომარეობის სწრაფ და ეფექტიან გამოსწორებას, არასრულყოფილი, დაბალეფექტიანი და არასაკმარისია მენეჯმენტი და მართვის სისტემების კადრების კვალიფიციურობა ადგილობრივ დონეებზე. ასევე არასათანადოდ ეფექტიანია ადგილობრივი რესურსების (ბუნებრივი, ფინანსური, ადამიანური, ინფორმაციული და სხვა) პოტენციალის შესახებ ინფორმაციის გამოყენება და მათი ინოვაციურ საქმიანობაში რეგიონული მთავრობის ფუნქციონირება, არარაციონალურია რეგიონებში

ბიზნესის განვითარებისთვის არსებული მინერალური რესურსების ათვისება და სხვ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ მიღებული და რეალიზებული იქნეს ისეთი კანონები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციური პროექტების მხარდაჭერას, რაც განპირობებული იქნება ქვეყნის ეფექტიანი ტექნიკურ-ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიით [2,3]. ცხადია, ყოველივე ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დარგებისა და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და უზრუნველყოფს მათ მდგრად განვითარებას. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადგილობრივმა ორგანოებმა სრულად გაიაზრონ და გაითვისონ ამგვარი ეკონომიკური წარმონაქმნების სიკეთე და აუცილებლობა ქვეყნის კონკურენტუნარიანი ბიზნესის განვითარების საქმეში.

ამასთან, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს უმეტესწილად განაპირობებს ინოვაციები, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიკური მოთხოვნების გაერთიანების შედეგია. სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მაღალტექნოლოგიური მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა. ამისათვის შექმნილია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები (ეკონომიკური განვითარების ოფისი, ინოვაციური ცენტრი, ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტო და სხვ.), რომელთა საქმიანობა მიმართულია ახალი კომპანიების დაარსებისა და მათი წარმატებული საქმიანობის ხელსაყრელი პირობების ხელშეწყობისათვის, რომლებიც თავის მხრივ, ქმნიან სამუშაო ადგილებს და აწარმოებენ კონკურენტულ პროდუქციას.

როგორც ცნობილია, საქართველო ტრადიციულად რეგიონული მოწყობის ქვეყანაა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეგიონი განიხილება როგორც სოციუმი, ინფორმაციული საზოგადოების ქვესისტემა, ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის უშუალო მონაწილე. რაც მთავარია, რეგიონი ეკონომიკური ინტერესების მქონე სუბიექტი და პროდუქტის, მომსახურებისა და კაპიტალის ბაზარზე კონკურენტული ბრძოლის მონაწილეა. დღესდღეობით საქართველოს რეგიონებს შორის არსებული ურთიერთობები უპირატესად სავაჭრო-ეკონომიკური ხასიათისაა, თუმცა რეგიონული სტრუქტურების ტრანსფორმაცია მსოფლიო გლობალური კონკურენტუნარიანობის პირობებში მიმდინარეობს.

გლობალური პროცესების ანალიზი აჩვენებს, რომ ინოვაციები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს რეგიონებში კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოების პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ დღემდე კონკურენტუნარიანობის ძირითად ფაქტორად ითვლებოდა მხოლოდ მდიდარი ბუნებრივი რესურსები, ამჟამად მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორებად მასთან ერთად მიჩნეულია: სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა, თანამედროვე ტექნოლოგიები, კომუნიკაციის საშუალებები, ინოვაციური კულტურის განვითარება და სხვა.

აღსანიშნავია, რომ კონკურენტული კლასტერი დიდ როლს ასრულებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, რაც ევროპაში განიხილება, როგორც სამუშაო ადგილების შექმნის მნიშვნელოვანი წყარო, სადაც არსებობს სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების ინფრასტრუქტურის ეფექტიანი კავშირების გამოყენების შესაძლებლობა. კლასტერთან დაკავშირებულ და კოოპერაციაში მყოფ მსხვილ კომპანიებთან კოორდინაციით მცირე და საშუალო სიდიდის კომპანიებს, შესაძლებლობა ეძლევა, დაიკავონ საკუთარი ნიშა საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამის ინოვაციურ-ტექნოლოგიურ ხაზში.

კლასტერის ფორმირების და ფუნქციონირებისას, მინერალური რესურსების რაციონალური და ეფექტიანი ათვისების მიზნით გასათვალისწინებელია, სხვადასხვა ახალი

ინდუსტრიების, კერძოდ, ქვანახშირის მრეწველობაში ნახშირის გაზიფიცირების, მისგან საწვავის წარმოების, ნახშირბადის მასალების, კოქსის ქიმიური პროდუქტების, საწვავი ბრიკეტების და სხვათა წარმოება. ამისათვის აუცილებელია, მაღალი ტექნოლოგიური დონის ახალი წარმოებების ფორმირება საკუთარი და შეძენილი ინოვაციური დამუშავებების საფუძველზე, აგრეთვე მინერალური ნედლეულის გადამუშავების სფეროში ძირითადი მაკოორდინირებელი ცენტრების ჩამოყალიბება ე. წ. სამრეწველო და რეგიონული კლასტერების სახით და სხვ..

მინერალური ნედლეულისა და სამრეწველო ნარჩენების ინტეგრირებული გადამუშავებისას კლასტერში შემავალი მსხვილი საწარმოების კვალდაკვალ მნიშვნელოვანია, ინოვაციების ინიციატორების, მცირე და საშუალო საწარმოების უფრო აქტიური ჩართულობა, რათა ღირებულების ჯაჭვის ზრდამ სრულად დააკმაყოფილოს კლასტერის ძირითადი მახასიათებლები, რისთვისაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კვალიფიციური და ხარისხიანი კლასტერული პოლიტიკის, საკანონმდებლო ბაზის და სახელმწიფოებრივი პრიორიტეტების განსაზღვრა-განხორციელება, სახელმწიფო-კერძო სექტორის თანამშრომლობის ეფექტიანი ინიციატივების, კლასტერების განვითარების მხარდაჭერი მექანიზმების დანერგვა, სპეციფიური პროექტების ფინანსური მხარდაჭერა, ადმინისტრაციული პროცედურების განხორციელების უზრუნველყოფა, ცოდნისა და ინფრასტრუქტურის სხვა კომპონენტების მიწოდება, კვლევების და ინოვაციების ხარჯებზე გადასახადების შემცირება, ინფორმაციის გადაცემის უზრუნველყოფა ბაზრის მდგომარეობისა და მოთხოვნების ახალი წესების შესახებ, ინოვაციური ინფრასტრუქტურის სახეების (სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკები, ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრები, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები და სხვ.) განვითარების და სახელმწიფო მხარდაჭერის სხვა აქტივობებით ხელშეწყობა.

კლასტერული პოლიტიკა როგორც რეგიონებისა, დარგების განვითარების ერთ-ერთი ეფექტიანი ინსტრუმენტი, კლასტერებისა და კლასტერული ინიციატივების სახელმწიფო და საზოგადოებრივი ღონისძიებებისა და მექანიზმების სისტემა, ტრადიციული „სამრეწველო პოლიტიკის“ კონკურენციის ღონისძიებების ალტერნატივა, უზრუნველყოფს კლასტერში შემავალი რეგიონების, საწარმოების და ინსტიტუტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ინოვაციების დანერგვას და კლასტერების ფორმირების მხარდაჭერას და სტიმულირებას.

კლასტერული პოლიტიკა, ჩვეულებრივ, ლიბერალური და დირიჟისტული მოდელების ჩარჩოში ხორციელდება. ამ ორი მოდელის პრინციპული თავისებურებები დაახასიათებულია ცხრილში 2.

კლასტერი, როგორც ფირმათაშორისი ურთიერთობის ქსელური ორგანიზაციის ფორმა, იძლევა გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას. იგი ითვალისწინებს შემოქმედებითი, ტექნოლოგიური და ფინანსური რესურსების გაერთიანებას ტერიტორიულად ლოკალიზებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული საწარმოებისა და დაწესებულებების დაჯგუფებით, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობისა და კონკურენციის საფუძველზე აძლიერებენ როგორც საკუთარ, ისე მთელი კლასტერის კონკურენტულ უპირატესობებს. კლასტერის მთავარი თავისებურებაა ერთიანი დინამიკური სისტემის (უნიფიკაციის გარეშე) შექმნა, მაქსიმალური ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის მისაღწევად.

ცხრილი 2.

კლასტერული პოლიტიკის მოდელები [2]



დირიჟისტული მოდელი	ლიბერალური მოდელი
<b>ქვეყნები</b>	
იაპონია, კორეის რესპუბლიკა, სინგაპური, შვედეთი, საფრანგეთი, ფინეთი, სლოვაკეთი	აშშ, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, კანადა
<b>თავისებურებანი</b>	
კლასტერების განვითარებაში დიდ როლს ასრულებს აქტიური სახელმწიფო (ფედერალური) პოლიტიკა	კლასტერი განიხილება როგორც საბაზრო ორგანიზმი. სახელმწიფო (ფედერალური) ხელისუფლების როლი განიხილება ბარიერების მოხსნაში მისი ბუნებრივი განვითარებისათვის
<b>პრიორიტეტები</b>	
სახელმწიფოს დონეზე დარგობრივი და რეგიონული პრიორიტეტების არჩევის გათვალისწინება	ბაზრის ზემოქმედებით ფორმირებული კლასტერების შექმნა-განვითარება
<b>ინფრასტრუქტურა</b>	
სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობს პრიორიტეტული კლასტერების ინფრასტრუქტურის შექმნას	სახელმწიფოს იშვიათად მონაწილეობა
<b>რეგიონის როლი</b>	
სახელმწიფოს მხრიდან განისაზღვრება კლასტერისთვის რეგიონის დაფინანსების მოცულობა	სახელმწიფოს მხრიდან შესაქმნელი კლასტერის რეგიონული ხელმძღვანელობისათვის სხვადასხვა სახის სტიმულების გათვალისწინება

ლიბერალური კლასტერული პოლიტიკის ძირითადი მიმდევრები არიან: აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი; დირიჟისტულის – საფრანგეთი, ფინეთი, იაპონია, კორეა, შვედეთი.

ჩვენი აზრით, თანამედროვე ეტაპზე საქართველოში მიზანშეწონილია როგორც დირიჟისტული, ასევე ლიბერალური კლასტერული პოლიტიკის გამოყენება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რეგიონისა და დარგის სპეციფიკური დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთან, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველოსა და მისი რეგიონების განვითარებისათვის პერსპექტიული კლასტერების შერჩევასა და ჩამოყალიბებას, ამ რეგიონებში არსებული მინერალური რესურსების ბაზაზე. მათი ადექვატური რეგიონული განვითარების სტრატეგიების შემუშავებას. ცნობილია, რომ კლასტერი ქვეყნისა და ბიზნესის განვითარების საშუალებაა და არა მიზანი.

საინოვაციო სისტემების გამოყენებისა და რეგიონების კონკურენტული უპირატესობების გამოსავლენად და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, მდგრადი და გრძელვადიანი ეფექტების გენერირებისათვის მასტიმულირებელი როლი სწორედ ინოვაციურმა ფაქტორებმა უნდა შეასრულოს, რადგან სწორედ ეს გამოიწვევს რეგიონული საინოვაციო სისტემის, როგორც რეგიონული განვითარების ახალი მოდელის ფორმირებას, რომელიც შესაძლოა იქცეს ქვეყნის დაბალანსებული და დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების ახალ ინსტრუმენტად. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია წარმოების ტრადიციულ ფაქტორებთან შეთანაწყობით

ინოვაციებზე ორიენტირებული ეკონომიკური სტიმულების გამოვლენა და მის საფუძველზე რეგიონული განვითარების შედარებითი უპირატესობების დადგენა. რეგიონული საინოვაციო სისტემა არის რეგიონის შედარებითი უპირატესობების ნიშნით, სამეწარმეო სუბიექტებისა და სხვადასხვა ინსტიტუციების გაერთიანებისა და თანამშრომლობის მოდელი, რომლის უმთავრესი მიზანია მოცემულ რეგიონში არსებული ფიზიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის, ბუნებრივი და სხვა მატერიალური რესურსების ეფექტიანი ათვისება.

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია ტერიტორიული და დარგთაშორისი განვითარების სრულყოფა სახელმწიფო და რეგიონების ინტერესების გათვალისწინებით, რამდენადაც სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკურ განვითარებაზე დამოკიდებული ადგილებზე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ეფექტიანად გადაწყვეტა, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, რეგიონების საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა და საერთო ჯამში, რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

კლასტერული პოლიტიკის განხორციელების ძირითადი მექანიზმებს წარმოადგენს:

✚ კლასტერული პოლიტიკის განსახორციელებლად სამართლებრივი ჩარჩოს ფორმირება, კლასტერების ფორმირებისა და განვითარების პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრის ჩათვლით;

✚ კლასტერების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა, კლასტერული პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად სპეციალური ინფრასტრუქტურის შექმნის ჩათვლით.

✚ კლასტერის განვითარების დაგეგმვის, კლასტერის წევრებს შორის ეფექტური ინფორმაციული ურთიერთქმედების დამყარების და მათ შორის თანამშრომლობის განმტკიცების ღონისძიებების სტიმულირება;

✚ მთელი რიგის ღონისძიებების განხორციელება კლასტერების განვითარების ხელსაყრელი ინფრასტრუქტურული პირობების შექმნის მიზნით;

✚ კლასტერული პოლიტიკის განსახორციელებლად საკადრო უზრუნველყოფის სისტემის შექმნა.

საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნესისთვის კლასტერები განვითარების რეალური და ეფექტიანი საშუალებაა, ამიტომ მათ ფორმირებასა და განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. ამასთან, უნდა განმტკიცდეს თანამშრომლობა განათლებას, მეცნიერებას, ბიზნესს, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. ბიზნესის სტიმულირება, სტრუქტურული რეფორმები, მაღალი ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება ქვეყნის განვითარების ის ძირითადი მიმართულებებია, რომლებიც ეროვნული ბიზნესის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში გამოიხატება. კლასტერის ყველა მონაწილე მოგებული რჩება მყარი ურთიერთქმედებით და თითოეული მათგანი ღებულობს უპირატესობას სხვა ორგანიზაციებთან შედარებით [2, 3].

თანამედროვე პერიოდში, ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების უმრავლესობა ხელს უწყობს ეროვნული კონკურენტუნარიანობის ზრდაზე ორიენტირებული სამრეწველო და რეგიონული ინოვაციური სისტემისა და კლასტერების განვითარების პოლიტიკას, როგორც საშუალებას ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის. ასეთ პირობებში, საერთაშორისო ინტეგრაციულმა პროცესებმა ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში კლასტერული განვითარების შესაძლებლობების გამოვლენას და პერსპექტივების გონივრულ განსაზღვრას, სადაც მნიშვნელოვანია საკვლევ დარგსა და სამიზნე რეგიონში კლასტერის ფორმირება და განვითარება, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს დამატებითი ღირებულების

ზრდა რეგიონულ და ადგილობრივ ინდუსტრიულ სექტორში, ხელი შეუწყოს სიღარიბის აღმოფხვრას, შექმნას დამატებითი სამუშაო ადგილები, მოიზიდოს მეტი ინვესტიცია, განავითაროს ინფრასტრუქტურა და ა.შ.

სამრეწველო და რეგიონული კლასტერების ფორმირებისა და განვითარების ეფექტიან საშუალებებს წარმოადგენს მიზნობრივი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციულ პროცესებში ურთიერთობების გააქტიურება, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრირებული ფორმალური ინსტიტუციონალური სტრუქტურების ეფექტიანი გაერთიანება, მათი სპეციალიზირებული მომსახურებით და მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, ერთობლივი სტრატეგიული და პრიორიტეტული პროექტების განხორციელება, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების სრულყოფა, საგადასახადო სტიმულების უზრუნველყოფა, საჯარო-კერძო სექტორს შორის ეფექტიანი თანამშრომლობა-თანამონაწილეობა, რომლებიც ორიენტირებულია საკვლევ სამრეწველო და მასთან დაკავშირებულ სექტორებში ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდაზე.

კლასტერული პოლიტიკა, რომლის საფუძველია თანმიმდევრულობა, გახსნილობა, სისტემურობა, ეფექტიანობა, ხელმისაწვდომობა, მიზნობრიობა და ნებაყოფლობითობა კლასტერის მონაწილეებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით, უნდა ითვალისწინებდეს დარგებისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობის ზრდას, შიგა და გარე რესურსების მობილიზებას, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის, ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციების, ტექნოლოგიების, ექსპორტის, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურის სხვა მდგენელების განვითარებას, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს, როგორც სამიზნე ინდუსტრიების და რეგიონების დამატებითი ღირებულების და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, ასევე, მათ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ეკონომიკური ურთიერთობების გლობალური ინტეგრაციისა და პოსტინდუსტრიული ცვლილებების პირობებში, ტერიტორიული განვითარების ამოცანებს შორის წინა პლანზე გამოდის რეგიონული ეკონომიკური სისტემების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. მოცემული მდგომარეობა აქტუალურს ხდის ახალი კონკურენტული უპირატესობების ძიებას და, მათ შორის, რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურულ ორგანიზაციაში.

კლასტერებმა საკუთარი თავი გამოავლინეს რეგიონის შიდა ურთიერთობების ორგანიზების ერთერთ საუკეთესო ფორმად, ეკონომიკურ თეორიაში და რეგიონული განვითარების პრაქტიკაში კლასტერული მიდგომა ერთერთ საუკეთესოდაა აღიარებული. ამასთანავე, რეგიონულ ეკონომიკაში კლასტერულ წარმონაქმნთა ფორმირება წინ წევს შვილობილი-კლასტერული და მშობლიური-რეგიონული სისტემების ფუნქციური ურთიერთქმედების ამოცანებს [14].

კლასტერული მიდგომა უფრო მეტად პერსპექტიულად გვესახება რეგიონულ დონეზე. პირველ რიგში, ასეთი დებულება განპირობებულია რეგიონული ასპექტებით, ანუ უფრო მეტად მჭიდრო და ეფექტური კავშირი ხორციელდება კლასტერების მონაწილეთა შორის რეგიონ-სუბიექტების ფარგლებში, რაც ნახსენებია კლასტერის კონცეფციის ფუძემდებლის, მ. პორტერის კლასიკურ განმარტებაში.

თუ საუბარია თანამედროვე ქართულ ეკონომიკაზე, კლასტერების შექმნაზე კურსი ქვეყანამ 2005 წელს აიღო. სწორედ ამ პერიოდიდან კლასტერების შექმნის საკითხი იქცევა, როგორც ცენტრალური, ისე რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების ლაიტმოტივად, სადაც დადგენილი იყო წინმსწრები ეკონომიკური ზრდის ზონები, რომლებსაც შეუძლიათ გახდნენ პლაცდარმები ტერიტორიულ-მწარმოებლობითი კლასტერების

წარმონაქმებისთვის და მაღალი, გაზრდილი ღირებულების პროდუქციის წარმოების ერთიანი ტექნოლოგიური ჯაჭვებისთვის, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ანუ, დასახულ იქნა ეგრეთ ტექნოლოგიური პლატფორმები, რომელთა საფუძველზე რეგიონში უნდა განვითარებულიყო კლასტერი. დღეს კლასტერები იქმნება ისეთ დარგებში, როგორებიცაა ქიმია, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ტურიზმი, ტექნოლოგიების ტრანსფერი, ფარმაცია და მედიცინა, სხვა (ცხრილი 3) [15].

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა ჯერ არ მოუცვია ეკონომიკის კლასტერიზაციის უცხოურ ტენდენციებს საჭირო დონეზე, კლასტერული მიდგომის გამოცდილება მაინც არსებობს. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სხვადასხვა რეგიონებში არსებული და პერსპექტიული კლასტერების ცხრილში 3 მოყვანილი ჩამონათვალი.

**ცხრილი 3.**

**ტერიტორიულ და დარგობრივ ჭრილში განხილული კლასტერები  
(ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ)**

რეგიონები	კლასტერიზაციის დარგები
თბილისის რეგიონი	ბიოტექნოლოგიური და ფარმაცევტული კლასტერი ინფორმაციული ტექნოლოგიების კლასტერი კვების ინდუსტრიის კლასტერი ტურისტულ-ბალნეოლოგიური კლასტერი სამშენებლო კლასტერი სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კლასტერი სასწავლო კლასტერი
აფხაზეთის ა. რ.	სათბობ-ენერგეტიკული კლასტერი სამთო-მეტალურგიული კლასტერი სამთო-ქიმიური ინდუსტრიის კლასტერი სამშენებლო ინდუსტრიის კლასტერი ტურისტულ-ბალნეოლოგიური კლასტერი
აჭარის მხარე	სამთო-მეტალურგიული კლასტერი სამშენებლო ინდუსტრიის კლასტერი კულტურული და შემოქმედებითი კლასტერი ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერი
გურია	სათბობ-ენერგეტიკული ინდუსტრიის კლასტერი სამთო-ქიმიური ინდუსტრიის კლასტერი სამშენებლო ინდუსტრიის კლასტერი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება- გადამუშავების კლასტერი ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერი
სამეგრელო & ზემო სვანეთი	სათბობ-ენერგეტიკული ინდუსტრიის კლასტერი სამშენებლო ინდუსტრიის კლასტერი სამთო-მეტალურგიული ინდუსტრიის კლასტერი სამთო-ქიმიური ინდუსტრიის კლასტერი ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერი
იმერეთის მხარე	სათბობ-ენერგეტიკული ინდუსტრიის კლასტერი სამთო-ქიმიური ინდუსტრიის კლასტერი შავი მეტალურგიის ინდუსტრიის კლასტერი სამშენებლო ინდუსტრიის კლასტერი ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერი კულტურული და შემოქმედებითი კლასტერი

	ტურისტულ-ბალნეოლოგიური და სარეკრეაციო კლასტერი სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კლასტერი სასწავლო კლასტერი
რაჭა-ლეჩხუმი & ქვემო სვანეთი	სამთო-მეტალურგიული ინდუსტრიის კლასტერი სამთო-ქიმიური ინდუსტრიის კლასტერი სამშენებლო ინდუსტრიის კლასტერი ტურისტულ სარეკრეაციო კლასტერი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავების კლასტერი
შიდა ქართლის მხარე	კვების მრეწველობის კლასტერი ტექნოლოგიების ტრანსფერის კლასტერი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავების კლასტერი ღვინის კლასტერი
სამცხე-ჯავახეთი	სამთო-ქიმიური ინდუსტრიის კლასტერი სამშენებლო ინდუსტრიის კლასტერი ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერი ტურისტულ-ბალნეოლოგიური კლასტერი
მცხეთა-მთიანეთი	სამთო-ქიმიური კლასტერი სამშენებლო ინდუსტრიის კლასტერი ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერი ტურისტულ-ბალნეოლოგიური კლასტერი
ქვემო ქართლის მხარე	შავი მეტალურგიის კლასტერი ქიმიური მრეწველობის კლასტერი აგრო-სამრეწველო წარმოების კლასტერი კვების მრეწველობის კლასტერი კულტურული და შემოქმედებითი კლასტერი ტურისტული კლასტერი სამშენებლო ინდუსტრიის კლასტერი
კახეთის მხარე	სათბობ-ენერგეტიკული კლასტერი სამთო-ქიმიური ინდუსტრიის კლასტერი სამშენებლო ინდუსტრიის კლასტერი აგრო-სამრეწველო წარმოების კლასტერი კვების მრეწველობის კლასტერი ღვინის კლასტერი ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერი კულტურული კლასტერი

თუმცა, ქართული კლასტერების რუკაზე რეგიონებში ბაზირებული კლასტერები სხვაგვარად გამოიყურება. რეალურად კლასტერიზებულია ძალზე ცოტა სუბიექტი, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებთან შედარებით. კლასტერები მდებარეობენ შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, თბილისისა და აჭარის რეგიონებში და მოიცავენ ეკონომიკის შემდეგ დარგებს: ბიოტექნოლოგია და ფარმაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიები, კვების მრეწველობა, ტურისტულ-ბალნეოლოგიური მიმართულება, მშენებლობა, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, სწავლება, შავი მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, აგრო-სამრეწველო წარმოება, კვების მრეწველობა, კულტურა და შემოქმედება, ტურიზმი და რეკრეაცია, ტექნოლოგიების ტრანსფერი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავება, ღვინის წარმოება.

საქართველოში კლასტერული პოლიტიკის მნიშვნელოვანი შეზღუდვა არსებობს, რადგან საბჭოთა პოლიტიკის შედეგად მწარმოებლობითი ძალების შენებამ ქვეყანაში არ ჩამოაყალიბა პრაქტიკულად არც ერთი კონკურენტუნარიანი კლასტერი. ქვეყნის რეგიონების დაახლოებით მეოთხედს გააჩნია მონოპროფილური ეკონომიკა, სადაც ბიუჯეტის ძირითად დონორს წარმოადგენენ მსხვილი კორპორაციები.

საქართველოში კლასტერების რეალიზაციის შემაკავებელ ფაქტორთა შორის არსანიშნავია კიდევ შემდეგი:

- ნედლეულისკენ მიმართული პრიორიტეტი, ქართული მრეწველობის სუსტი ინოვაციური პოტენციალი;
- კლასტერული ტექნოლოგიების გავრცელების დაბალი ტემპი და, შედეგად, – კლასტერული კონცეფციის დაბალი პოპულარიზაცია;
- კლასტერული წარმონაქმების ურთიერთობათა არასათანადო გამჭირვალობა ან რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში მისი არარსებობა;
- თანამედროვე ქართული ეკონომიკის სოციალური და კულტურული თავისებურებები, რაც დაკავშირებულია ეკონომიკური ნდობის დაბალ დონესთან კლასტერულ წარმონაქმში ბიზნესის მონაწილეთა შორის;
- ინსტიტუციური დისბალანსი: რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში ინსტიტუტების როლების დისბალანსური გადანაწილება, მცირე ბიზნესის და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების არასათანადო განვითარება, განსაკუთრებით განუვითარებელი ინფრასტრუქტურული და ორგანიზაციული პირობები და სხვა;
- რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში კლასტერების განვითარებული ინფრასტრუქტურის არქონა;
- კლასტერების განვითარების ხელშესაწყობად ფუნქციებისა და როლების გადანაწილების გაურკვეველობა კლასტერების მონაწილეთა და მართვის ტერიტორიული ორგანოებს მიერ;
- ფაქტორული პირობების განხილვა (ძირითადად იაფი რესურსების წვდომის შესახებ), როგორც ძირითადი დეტერმინანტი კლასტერების წარმატებული განვითარებისთვის;
- საინფორმაციო ღიაობის კულტურის არქონა, რაც იწვევს კლასტერის პოტენციურ მონაწილეთა უნდობლობას და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფორმირებას;
- წარმოების დაბალი კულტურა, აუთსთორინგის საფუძველზე მართვის გამოცდილების არქონა;
- ბიზნეს-კლიმატის დაბალი დონე;
- ასოცირებული სტრუქტურების განვითარების დაბალი დონე (სავაჭრო პალატები, სამრეწველო ასოციაციები), რომლებიც ვერ უმკლავდებიან გამომუშავების ამოცანას და რეგიონული ბიზნესის პრიორიტეტებისა და ინტერესების წინ წაწევას;
- დაგეგმვის მოკლევადიანი ჰორიზონტი – კლასტერების განვითარებისგან რეალური მოგება ჩნდება მხოლოდ 5-7 წელიწადში.

ზემოაღნიშნული პირობების განზოგადება გვამღვეს საშუალებას, ჩამოვაყალიბოთ კლასტერების განვითარების ძირითადი ამოცანები საქართველოს რეგიონულ ეკონომიკურ სისტემებში:

1. კლასტერის და კერძოდ კლასტერის მონაწილე კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
2. რეგიონული ეკონომიკური სისტემების პოტენციალისა და კონკურენტული უპირატესობების გამოვლენა, რეგიონის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური კურსის დასადგენად;

3. ტერიტორიის ინვესტიციური მიმზიდველობის გაზრდა უცხოური და ეროვნული, პირდაპირი ინვესტიციების უფრო ფართო მასშტაბის მოზიდვით;
4. ეროვნული კლასტერებისა და კლასტერებში მონაწილე კომპანიების პოზიციების გამაგრება მსოფლიო ბაზარზე, აგრეთვე ექსპორტის განვითარება;
5. კავშირის სისტემური ხარისხის განვითარება ობიექტების სტრუქტურას, რეგიონულ ეკონომიკურ სისტემას, მთავარ კომპონენტებსა და სუბიექტებს შორის;
6. მწარმოებელი პროცესების ინტელექტუალური შესრულება ანუ კლასტერული მიდგომის გამოყენება, ინოვაციური განვითარების სტადიაზე გადასასვლელად;
7. რეგიონთაშორისი და დარგთაშორისი კავშირების გაფართოება;
8. ტერიტორიის შეზღუდული რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყენების ეფექტურობის გაზრდა, კლასტერული პროცესებისგან სინერგეტიკული ეფექტის წარმოშობის პირობებში;
9. ინფრასტრუქტურის განვითარება და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში;
10. მთლიანი რეგიონული პროდუქტის ბიუჯეტური გაზრდა და შევსება;
11. რეგიონის შიგნით ეკონომიკური აქტიურობის გაზრდა და სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის ეკონომიკურ პროცესებში ჩართვა;
12. რეგიონის ტერიტორიაზე მწარმოების გასავითარებლად განსაკუთრებული პირობებისა და ფორმების შექმნა.

სამრეწველო პროცესების რეგიონალიზაცია, რომელიც დაიწყო ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ გეგმიური ეკონომიკური სისტემის დროს, საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმირების თანამედროვე პირობებში გაძლიერდა და ახალი ფუნქციური ხასიათი შეიძინა.

რეგიონული ეკონომიკური სისტემის ფუნქციური შემადგენლობა ვითარდება სისტემასთან ერთად, როგორც ევოლუციური პროცესის სუბი-ექტი და ობიექტი. რეგიონული ეკონომიკური სისტემების განვითარება განპირობებულია ფუნქციების შემადგენლობის ზრდით, რომლებიც რე-ალიზდებიან მოცემული სისტემებით. ეროვნული მრეწველობის სუბიექტის ინტეგრალური სტატუსი და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობენ რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში ისეთი ფუნქციების ფორმირებას, რომლებიც ორიენტირებული იქნება სუბიექტურ-ობიექტურ ზემოქმედებაზე. მაგალითად, საწარმოო პროცესების რესურსების, ფაქტორებისა და შედეგების ანგარიში, ანალიზი, პროგნოზირება, პროექტირება და დაგეგმვა [16].

თუ განვიხილავთ კლასტერებს, როგორც ეკონომიკურ ინსტიტუტს, მაშინ მათი განვითარების ფუნქციები რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში გვევლინება იმ როლის სახით, რომელსაც ისინი ასრულებენ მშობლიური, ანუ მათი არსებობის საწყისი სისტემის (რეგიონის) მოთხოვნებში. ესე იგი, ფუნქცია სახეს უცვლის სისტემას, რომლის ფარგლებშიც ის რეალიზდება.

ამავდროულად რეგიონული ეკონომიკური სისტემის მოთხოვნები პირდაპირ კავშირშია მის ფუნქციებთან ნაციონალური ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით. რეგიონულ ეკონომიკურ სისტემას გააჩნია ორსახოვანი ბუნება:

🚩 **ერთის მხრივ**, ის მდებარეობს სამრეწველო ურთიერთობების გარკვეულ იერარქიაში, ანუ სუბორდინირებულია თავის ფუნქციონირებაში და ნაციონალური სამრეწველო სისტემის განვითარებაში,

🚩 **მეორეს მხრივ**, დამოუკიდებელი, ზოგჯერ კი თვითმყოფადი სისტემაა, რომელიც გახსნილია ინტეგრაციული ურთიერთქმედებებისთვის სხვა ეკონომიკურ სისტემებთან, რომელთა შედარებითი პოზიციონირება შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით „მასზე მაღლა“/„მასზე დაბლა“ [17].



რეგიონული ეკონომიკური სისტემების ფუნქციების შესახებ ქართველი და უცხოელი მეცნიერების შეხედულებათა განზოგადების საფუძველზე, შევიმუშავეთ ფუნქციების შემდეგი გაერთიანებული კლასიფიკაცია [18]:

### **1. ეკონომიკური ბლოკი მოიცავს:**

ა) მიზნის დასახვის ფუნქციას (ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება, რეგიონის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების შემუშავება), რომლის რეალიზაცია განპირობებულია რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეცნიერული პროგნოზირების აუცილებლობით და რეგიონული ერთობლივი პროგრამების შემუშავებით, მიზნის დასახვის ფუნქცია რეალიზდება რეგიონის მრეწველობის ეკონომიკური და სოციალური ფუნქციის რეალიზაციის პროცესში;

ბ) რეგიონული სისტემის სამართლებრივ ფუნქციას, რომელიც მდგომარეობს მოცემული სისტემის ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნასა, განვითარებასა და მხარდაჭერაში (მომხმარებლის ინტერესების, საკუთრების უფლებების დაცვა; არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შეზღუდვა);

გ) გარე ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია რეგიონული ეკონომიკის ინტეგრირებასთან ეროვნულ და მსოფლიო ეკონომიკაში, გარე ინვესტიციების სტიმულირებასთან;

დ) ფინანსურ ფუნქციას, რომელიც მიმართულია შემდეგი ამოცანების გადაჭრისკენ: დაბეგრვა, გადასახადების შეგროვება; დაფინანსება და დაკრედიტება; სახელმწიფო ბიუჯეტის რეგიონული სტრუქტურის ფორმირება და მისი შესრულება;

ე) მწარმოებლურ ფუნქციას, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის არსებობას ცვალებად გარემოში, ის განივთებულია ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში, როცა იქმნება სხვადასხვა საქონელი და მომსახურება, რომელიც მოიხმარება მოსახლეობის მიერ მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

### **2. განმანაწილებელ-სტაბილიზაციური ბლოკი მოიცავს:**

ა) განმანაწილებელი ფუნქცია მდგომარეობს რესურსების გამოყოფაში, რათა მოხდეს ბაზრის დისბალანსის კომპენსაცია, საზოგადოებრივი სიკეთის წარმოების ორგანიზებისთვის, გარეგანი ეფექტების რეგულირებისთვის და სხვა;

ბ) გადანაწილების შემდგომი დაყოფის ფუნქცია მდგომარეობს იმ შემოსავლისა და სიმდიდრის პროპორციების ცვლილებაში, რომლებიც ლაგდება საბაზრო სისტემის ფარგლებში, ეს ფუნქცია საჭიროა სოციალური სამართლიანობისთვის (კონკურენცია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოადგენს მიუკერძოებელ მექანიზმს, ხოლო ამის საფუძველად შექმნილმა შემოსავლის გადანაწილებამ შესაძლოა გამოიწვიოს უფრო დიდი უთანასწორობა, ვიდრე ეს სასურველი იქნებოდა საზოგადოებისთვის);

გ) რეგიონული სისტემის მასტაბილიზებელი ფუნქცია მდგომარეობს სისტემის ეკონომიკის ძირითადი პარამეტრების (წარმოების მოცულობა, ინვესტიციები, ფულადი მასა და სხვა.) მდგრადობის მხარდაჭერაში სახელმწიფო და რეგიონული რესურსების ხარჯზე [19].

### **3. ტრანსფორმაციული პროცესების დასრულებაზე გამიზნული ბლოკი მოიცავს:**

ა) საბაზრო ცვლილებებისა და ნაციონალური ეკონომიკის ინტეგრირებას მსოფლიო გლობალურ ქსელში;

ბ) ინოვაციური მწარმოებლობის ფუნქცია, რომელიც ორიენტირებულია ინოვაციური ტიპის გაფართოებული წარმოების განმტკიცებაზე სამრეწველო სისტემაში;



გ) ინტეგრაციული განმავითარებელი ფუნქცია, რომელიც ორიენტირებულია ძველი სისტემების სხვადასხვა რესურსებისა და ფაქტორების ურთიერთქმედებიდან სინერგეტიკული ეფექტის ამოგდებაზე;

დ) რეგიონული მენეჯმენტის მასტიმულირებელი ფუნქცია აძლევს მართვის სუბიექტებს ძლიერ საშუალებებს რეგიონის, მუნიციპალური წარმონაქმნების, ორგანიზაციების, სოციალური ჯგუფების ინტერესების რეალიზაციისთვის [20].

#### **4. სოციალურ ბლოკში შემავალი:**

ა) სოციალური ფუნქცია გვამლევს საშუალებას, კონკრეტული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროგრამები და რეგიონის ცხოვრების სხვადასხვა მიმართულების გაუმჯობესების ინოვაციური პროექტები გავაერთიანოთ მოსახლეობის ცხოვრების სტილის მახასიათებლებთან;

ბ) სოციალური სტაბილიზირების ფუნქცია, გამიზნულია სამრეწველო სისტემის სოციალური ეფექტიანობისა და მდგრადობის უზრუნველყოფაზე და აგრეთვე საზოგადოებრივი ურთიერთქმედების ჰარმონიზაციაზე.

#### **5. დამცავი ბლოკი მოიცავს:**

ა) დამცავი ფუნქცია, გამიზნულია სამრეწველო სისტემის განვითარების პროცესის დამაბრკოლებელი საშიშროებების აღმოფხვრაზე;

ბ) სადარაჯო სისტემა გულისხმობს მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების, წესრიგის დაცვას, დანაშაულთან ბრძოლას და კონსტიტუციური სამართლიანობის მხარდაჭერას რეგიონის ტერიტორიაზე.

**6. ეკოლოგიური ფუნქცია** მოწოდებულია, დაარეგულიროს ადამიანისა და სხვადასხვა ორგანიზაციის საქმიანობა ბუნებრივი გარემოს გამოყენების სფეროში [20].

კლასტერების ფუნქციით დადგენისას ჩვენ ვმსჯელობთ იქედან გამომდინარე, რომ ახალი მმართველობითი მიდგომები გულისხმობს ბიზნესის მონაწილეთა უშუალო ჩართულობას რეგიონულ ეკონომიკურ განვითარებაში, რათა მათ შექმნან განსაკუთრებული პირობები და ფორმები მეწარმეობის განსავითარებლად. აქვე გასათვალისწინებელია, რომ კლასტერების ფუნქციები განპირობებულია ორი გარემოებით: პირველია რეგიონის მოთხოვნები, ხოლო მეორე – პოტენციალით, რომელიც გააჩნია კლასტერებს.

მოცემული ამოცანის გადაჭრისას, ჩვენ ვეყრდნობით იმას, რომ რეგიონული ხელისუფლების კლასტერული პოლიტიკა ორგანულად არის ჩასმული საქართველოს რეგიონების პოსტინდუსტრიული ტრანსფორმაციის კონტექსტში, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების სექტორის ეკონომიკური როლის ზრდასთან, ძირითადი საწარმო პროცესების, მოპოვებისა და გადამუშავების, მობილობის, ინტელექტუალობის ამაღლებასთან. ის ორიენტირებულია წინა ინდუსტრიული კომპლექსის უმტკივნეულო ტრანსფორმაციის უზრუნველყოფაზე, რომელიც საქართველოს ბევრ რეგიონში საბჭოთა პერიოდში იყო შექმნილი. ეს სისტემური ამოცანა მოითხოვს მოდერნიზებადი კომპლექსებისა და მათი დისლოკაციის ტერიტორიის ურთიერთადაპტაციას.

მართლაც, კლასტერები, მათი ინოვაციური ორიენტირების გამო, წარმოადგენენ თანამედროვე ქართული ეკონომიკის პოსტინდუსტრიული გარდაქმნის ერთერთ მექანიზმს. როგორც წესი, კლასტერების სხვა დანარჩენ ფუნქციებს შორის, რეგიონულ ეკონომიკაში გამოყოფენ შემდეგს:

- თავად კლასტერებისა და იმ ტერიტორიის კონკურენტუნარიანობის ზრდა, რომელზეც ისინი არის განლაგებულნი;
- რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის გაზრდა;

- რეგიონული ეკონომიკის ინოვაციური შემადგენლის გაძლიერება;
  - სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია, მდგომარეობს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და დონის ამაღლებაში და ადამიანისეული კაპიტალის წარმოების გაფართოებაში [21, 22].
- კლასტერული მიდგომა მაქსიმალურად პასუხობს ტერიტორიის კონკურენტუნარიანობის იდეის ამაღლებას. ეს, პირველ რიგში, დაკავშირებულია კლასტერული კონცეფციის მაღალ შეთანხმებულობაზე კონკურენციულ ხასიათთან.

კონკურენტული უპირატესობის თეორიის მიმართ კლასტერული მიდგომის ფუძემდებლის, მ. პორტერის კვლევების თანახმად, დარგობრივი ფირმები, რომელთაც გააჩნიათ უეჭველი კონკურენტული უპირატესობა ქვეყნის შიგნით ან საერთაშორისო მასშტაბით, ჩვეულებრივ, უსისტემოდ კი არ არიან გადანაწილებულნი ქვეყნის ტერიტორიაზე, არამედ ახასიათებთ კონცენტრირების უნარი ქვეყნის ერთსა და იმავე რეგიონში. კონკურენტუნარიანი ფირმები ავრცელებენ საკუთარ გავლენას ბაზრის იმ სუბიექტებზე, რომლებთანაც ურთიერთქმედებენ: მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან და კონკურენტებთან. სანაცვლოდ, ამ ფირმების კონკურენტუნარიანობის გაზრდა დადებითად მოქმედებს ლიდერი ფირმის კონკურენტობის სტატუსსა და საქმიანობაზე. ასეთი ურთიერთქმედების შედეგს წარმოადგენს კლასტერის ფორმირება, ანუ მჭიდროდ დაკავშირებულ დარგებში მოქმედი ფირმების ურთიერთქმედება, რომლებიც ხელს უწყობენ ერთმანეთის კონკურენტუნარი-ანობის გაზრდას. ცალკეული კლასტერები ხელს უწყობს რეგიონის ცალკეული დარგების კონკურენტუნარიანობის გაზრდას ეროვნულ და მსოფლიო ბაზრებზე.

ზემოთ განხილულ კლასიკურ ნააზრევს დავამატებდით შემდეგს:

- ❖ რეგიონის ეკონომიკური სისტემის კონკურენტული უპირატესობების ფორმირების მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია კლასტერული წარმონაქმნების მოქმედების ძირითადი მიმართულებების დადგენა;
- ❖ რეგიონისთვის პრიორიტეტული სფეროებისა და საქმიანობის დარგების ინვესტიციური მიმზიდველობის გაზრდა; პირდაპირი ეროვნული და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის აქტივიზაციის ზრდა.

კლასტერული მიდგომა გვადლევს საშუალებას, გავაანალიზოთ მრავალი უკუკავშირი და სინერგეტიკული ეფექტი, კლასტერები ახდენენ ახალი კომბინაციების გაჩენის სტიმულირებას, რომელთაც მოჰყვება ეკონომიკის ახალი მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარება. რეგიონის კლასტერიზაციის მთავარ ელემენტს წარმოადგენს პროცესის ყველა სუბიექტს შორის კონსტრუქტიული დიალოგის წარმოება ისეთ სფეროებში, რო-გორებიცაა: ბიზნესი, ხელისუფლება, სერვისული და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, მედია და სხვა [23].

საქართველოს თანამედროვე ეკონომიკური სისტემის რეგიონული განვითარების და ეროვნული ეკონომიკის ორიენტირების ნედლეულის ექსპორტიდან ინოვაციურისკენ ცვლილების გამო, ჩნდება ახალი პრიორიტეტებიც. მხედველობაში გვაქვს კლასტერების ძირითადი ფუნქციების გამოყოფა რეგიონულ ეკონომიკაში [24].

გამოვყოთ კლასტერების ახალი ფუნქციები დაჩქარებული პოსტინდუსტრიული ტრანსფორმაციის პირობებში:

- ✓ რეგიონული ეკონომიკური სისტემის წარმოების პროცესის ინტელექტუალიზაციის ფუნქცია;
- ✓ რემარკაციული ფუნქცია, რომელიც მდგომარეობს ცალკეული ორგანიზაციებისა და რეგიონული ეკონომიკის ინსტიტუტების როლისა და ადგილების გადაფასებაში პოსტინდუსტრიული ცვლილებების პროცესში;

✓სტრატეგიული კორექციის ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონული ეკონომიკური სისტემის განვითარების ვექტორისა და მასში მომსახურების სფეროს მაღალტექნოლოგიური სექტორების სასარგებლოდ სტრუქტურულ ცვლილებას.

✓გავხსნათ კლასტერული წარმონაქმნების პოტენციალის კომპონენტები რეგიონული ეკონომიკური სისტემის პოსტინდუსტრიული ტრანსფორმაციის პირობებში:

✓მწარმოებლობითი პროცესების ინტელექტუალური შევსება;

✓რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში ვექტორული გადახრების შექმნა იმ სფეროების მიმართ, რომლებიც ორიენტირებულია პოსტინდუსტრიულ ცვლილებებზე.

კლასტერების ძირითადი ფუნქციების გამოყოფა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში მეზო-დონეზე საჭიროა განიხილებოდეს კომპლექსურად, რადგან ისინი მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან. რეგიონული ეკონომიკის წარმოების პროცესის ინტელექტუალიზაციას მიყვავართ რეგიონული ეკონომიკის ცალკეული მეცნიერულ-კვლევითი და საგანმანათლებლო ინსტიტუტების ადგილისა და როლის გადაფასებამდე და, შედეგად, რეგიონის ეკონომიკური განვითარების კურსის თანმიმდევრულ ცვლილებამდე მომსახურების სფეროს მაღალტექნოლოგიური სექტორების სასარგებლოდ. გარდა ამისა, ზოგიერთი ავტორი გამოყოფს კლასტერების რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაზე გავლენის სხვა ფორმებსაც [24].

კლასტერული მიდგომა სხვადასხვანაირად მოქმედებს რეგიონულ ეკონომიკაზე:

ა) რეგიონულ პოლიტიკაში – იგი ხელს უწყობს ტრადიციული მიდგომიდან (ანუ რესურსების წამყვანი რეგიონებიდან ჩამორჩენილებზე გადანაწილება) ახალზე (ანუ კონკურენტუნარიანი რეგიონების შექმნა ადგილობრივი სუბიექტებისა და აქტივების გაერთიანებით) გადასვლას. კლასტერული პროგრამა ხასიათდება შემდეგი საბაზისო პირობებით:

- ❖ ძირითადი მიზანი – წამყვანი რეგიონები;
- ❖ მსხვილ კომპანიებზე მეტი ყურადღება ექცევა მცირეს;
- ❖ სექტორისა და, მათ შორის, ინოვაციური მიზნებისადმი ფართო მიდგომა;
- ❖ „მოთამაშეთა“ ურთიერთქმედებაზე ორიენტირება.

ბ) სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკაში – ცალკეული ერთსექტორიანი პროექტების დაფინანსებიდან გადასვლა ერთობლივი კვლევების დაფინანსებაზე, რომელიც მოიცავს კავშირს მრეწველობასა და კომერციალიზაციას შორის. კლასტერული პროგრამის მახასიათებლები ამ მიმართულებისთვის არის:

- ✓ აქცენტი მაღალ ტექნოლოგიებზე;
- ✓ ტერიტორიული გავლენების გამაგრება და კვლევებში ინვესტირებისათვის გამოყენება;
- ✓ ერთობლივი კვლევებისა და ინსტრუმენტების დაწინაურება კომერციალიზაციის მხარდასაჭერად;
- ✓ მუშაობა, როგორც მსხვილ ისე მცირე კომპანიებთან;
- ✓ შვილობილი და ახალი პროექტების მხარდაჭერის შესაძლებლობა.

გ) სამრეწველო პოლიტიკაში – წამყვანი კომპანიებისთვის სუბსიდიებიდან გადასვლა კომპანიის ჯგუფების გავრცელებული საჭიროებების მხარდაჭერაზე, ტექნოლოგიების ათვისება (განსაკუთრებით მცირე ბიზნესის შემთხვევაში). კლასტერული პროგრამები ხშირად ირჩევენ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მიდგომას:

✚ იმ კომპანიებთან მუშაობა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ ეროვნული პროდუქტის ზრდაში;

- ✚ გარდამავალ პროცესში მყოფი დარგების მხარდაჭერა;

მცირე კომპანიების დახმარება ზრდის ბარიერების გადასალახად და ტექნოლოგიების ასათვისებლად;

კონკურენტული უპირატესობების შექმნა ინვესტიციების მოსაზიდად და საექსპორტო პროდუქციის შესაქმნელად [25].

ამასთან, აღსანიშნავია, რომ თვითმყოფად ეკონომიკურ სისტემაში კლასტერული ტექნოლოგიები, როგორც მექანიზმი, ვერ უზრუნველყოფენ დოტაციური რეგიონების გარდაქმნას კონკურენტუნარიანად. შეუძლებელია, ვაიძულოთ თითოეული რეგიონი, აარჩიოს განვითარების კლასტერული გზა და ავამუშაოთ ამა თუ იმ ტერიტორიაზე კლასტერული ტექნოლოგიები განვითარებული ინფრასტრუქტურის არქონისა და საკმარისი წინაპირობების გარეშე. შესაბამისად, კლასტერები ვერ იქნებიან პირველადი სახელმწიფო ინსტრუმენტები თითოეული რეგიონის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად, რადგან ჩვენი ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის დიდი სხვაობა შეიმჩნევა.

კლასტერების ფუნქციები ბევრი მიმართულებით მხარს უჭერს რეგიონული სისტემის ფუნქციებს. კერძოდ, წარმატებით ფუნქციონირებადი კლასტერები ამაღლებენ ტერიტორიის ინვესტიციურ მიმზიდველობას და აძლიერებენ რეგიონის კონკურენტულ პოზიციებს, როგორც საერთო-ქართულ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე, ანუ პასუხობენ რეგიონული ეკონომიკური სისტემის უმნიშვნელოვანეს კითხვას – რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება. გარდა ამისა, კლასტერები თავისი ინოვაციური მდგენელის ხარჯზე ავითარებენ რეგიონის ეროვნულ კურსს პოსტინდუსტრიული ცვლილებების ეკონომიკაში.

კლასტერული ურთიერთქმედების ქსელური ხასიათი ხელს უწყობს სინერგიას, რაც აისახება რეგიონული მენეჯმენტის ეფექტურობის ზრდაში. დაბოლოს, კონკურენტუნარიანი, ძლიერი კლასტერები ქმნიან რეგიონში ზონებს, როლმებიც წინ უსწრებენ განვითარებას – ზრდის წერტილები რეგიონულ ეკონომიკაში. კლასტერების და რეგიონული ეკონომიკური სისტემის ფუნქციების უკუკავშირი და ურთიერთ რეალიზაციის შესაძლებლობი წარმოდგენილია ნახაზზე 2.

რეგიონული ეკონომიკური სისტემის ფუნქციები	• კლასტერების ფუნქციები
კვლავწარმოება	• რეგიონის უზრუნველყოფა ხარისხობრივად ახალი პროდუქციისა და მომსახურებით
საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა	• წარმატებული კლასტერი გადის მსოფლიო დონეზე
გარე ინვესტიციების სტიმულირება	• კლასტერები ზრდის ტერიტორიების საინვესტიციო მიმზიდველობას
ფინანსური ფუნქცია	• სახელმწიფო ბიუჯეტის რეგიონული მდგენელი
ინტეგრაციული ფუნქცია	• კლასტერების სინერგიულობა მათი კონსოლიდაციური ბუნებიდან გამომდინარე
სოციალური და მასშტაბილიზებული ფუნქცია	• ადამიანური კაპიტალის გაფართოებული კვლავწარმოება
ეკოლოგიური ფუნქცია	• ბუნებრივ-სარესურსო პოტენციალის რაციონალური გამოყენება

ნახ. 2. რეგიონული ეკონომიკური სისტემისა და კლასტერების ფუნქციების ურთიერთკავშირი (შედგენილია ავტორების მიერ)

რეგიონული მართვის თეორიისა და პრაქტიკისთვის საჭიროა კლასტერების განვითარების ახალი ინსტრუმენტები, რომლებიც ადაპტირებული იქნება რეგიონთაშორის კონკურენციის ამალგების პირობებთან და აგრეთვე არამატერიალური ინოვაციური აქტივებისა და ადამიანისეული კაპიტალის გარდაქმნასთან თანამედროვე განვითარების შესაბამისად. მოცემული ინსტრუმენტები უნდა პასუხობდეს კლასტერების მთავარ ფუნქციებს რეგიონულ ეკონომიკაში.

დასასრულ, გამოვყოთ თანამედროვე საქართველოს რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაზე კლასტერების დადებითი ზემოქმედების ძირითადი წერტილები:

1. როგორც რეგიონული, ისე ეროვნული ეკონომიკური სისტემის პოსტინდუსტრიული გარდაქმნის პროცესის დაჩქარება;
2. ტერიტორიის კონკურენტუნარიანობის და ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლება;
3. რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში წარმოების პროცესების ინოვაციური და ინტელექტუალური შევსება;
4. ადამიანისეული კაპიტალის განვითარება და მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის ზრდა.

კლასტერები როგორც საბაზრო ფორმა, არ იქმნება დირექტიული გზით. დღეისთვის ცნობილი კლასტერების უმრავლესობა ფორმირდებოდა ქვემოდან წამოსული ინიციატივის საფუძველზე. თუმცა, რეგიონულ განვითარებაზე მათი შესამჩნევი დადებითი გავლენის გამო, მთავრობას უჩნდება გარკვეული სურვილი, მხარი დაუჭიროს კლასტერების განვითარებას სპეციალური ხერხებით. ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკური რეალობა მდგომარეობს სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე კლასტერებში და კლასტერული ტექნოლოგიების დაბალ პოპულარიზაციაში. აქედან გამომდინარე, რეგიონში კლასტერების განვითარებით სახელმწიფო უნდა იყოს დაკავებული არა მხოლოდ მათი ფორმირების საწყის ეტაპზე, არამედ ნულოვანზეც კი, ანუ კლასტერების შესაქმნელად საჭიროა წინაპირობებისა და ხელსაყრელი გარემოს შექმნა. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს რეგიონში კლასტერული განვითარების ინსტრუმენტული უზრუნველყოფის შემუშავების თანმიმდევრობასა და კომპლექსურობას.

კლასტერული განვითარების მხარდასაჭერად აუცილებელია დეტალურად დამუშავებული ინსტრუმენტები, რომლებიც საჭირო დონეზე ითვალისწინებენ კლასტერების ყველა მოთხოვნას და რეგიონული ეკონომიკური სისტემის სპეციფიკურ თავისებურებებს. ინსტრუმენტების შემუშავებისას შესაძლებელია მნიშვნელოვანწილად დავეყრდნოთ უცხოურ გამოცდილებას. ზოგიერთ უცხოურ ქვეყანას გააჩნია წარმატებული მრავალწლიანი გამოცდილება კლასტერულ მიდგომასთან დაკავშირებით. შევავსოთ რამდენიმე მათგანის პოზიციები.

განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში კლასტერული ტექნოლოგიების გავრცელება, ცხადია, დაიწყო ბევრად ადრე, ვიდრე ჩვენთან. ამიტომ, ზოგიერთი უცხოური განვითარებული ქვეყნის გამოცდილება საინტერესოა შესასწავლად და მომავალში გამოსაყენებლად საქართველოს ეკონომიკურ თავისებურებებთან ადაპტაციის შემდეგ.

განვითარებულ ქვეყნებში რეგიონის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა თავიდანვე უზრუნველყოფილი იყო ცალკეული განვითარებული კლასტერებით (ცხრილი 4) [26]:

უცხოური კლასტერების განვითარების ინსტრუმენტების შედარებითი ანალიზი

ევროპა	ჩრდილოეთ ამერიკა
<p><b>ნიდერლანდები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შექმნა;</li> <li>- საკომერციო ინვესტიციური ზონის შექმნის საპილოტე პროექტის რეალიზაცია</li> <li>- მაღალტექნოლოგიური დარგებისა და ინოვაციური კლასტერების მხარდაჭერის შექმნა ინოვაციური პლატფორმის ნაციონალურ დონეზე.</li> </ul>	<p><b>აშშ:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ტექნოპარკების შექმნა;</li> <li>- რეგიონული ტექნოლოგიური ალიანსების შესაქმნელად წამახალისებელი პროგრამების რეალიზაცია და შემუშავება;</li> <li>- ინოვაციებისა და ინოვაციური კლასტერების საინვესტიციო მხარდაჭერა;</li> <li>- მაღალტექნოლოგიური ინოვაციური ზონის შექმნა კალიფორნიაში.</li> </ul>
<p>განსაკუთრებული მაღალტექნოლოგიური რეგიონის ბრენდინგის შექმნა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სასოფლო-სამეურნეო და კვებითი დარგების (კვების ველი) ინოვაციური კომპანიებისთვის მიმზიდველი პირობების შექმნა;</li> <li>- სამედიცინო ტექნოლოგიებისთვის და ფარმაცევტული მრეწველობისთვის ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნა. (ჯანმრთელობის ველი)</li> </ul> <p><b>გერმანია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სახელმწიფო-კერძო თანამშრომლობა;</li> <li>- ხელსაყრელი ინფრასტრუქტურის შექმნა (წარმოების დაბალი ხარჯები გერმანიის აღმოსავლეთ მიწებზე, დასავლეთთან შედარებით);</li> <li>- მოცემული ტერიტორიის ეკონომიკაში მცირე და საშუალო კომპანიების სიმრავლე მცირე პერსონალით;</li> <li>- ადამიანისეული კაპიტალის განვითარება (კვალიფიკაციის დონის ამაღლება);</li> <li>- საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება.</li> </ul>	<p><b>კანადა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ქვეყნის ნაციონალური ინოვაციური სტრატეგიის შემუშავება ფედერალურ დონეზე;</li> <li>- ფედერალურ და რეგიონულ დონეებზე ხელისუფლების მაკოორდინებელი ორგანოების შექმნა (ნაციონალური კვლევითი საბჭო და ნაციონალური ინოვაციური სისტემის რეგიონული ოპერატორები);</li> <li>- ტექნოლოგიური კლასტერული ინიციატივების შემუშავება და დანერგვა;</li> <li>- ინვესტიციების მოზიდვისთვის პოლიტიკის რეალიზება სახელმწიფო მხარდაჭერით;</li> <li>- გარე ბაზრებზე კომპანიების პროდუქციის რეალიზაციის მხარდაჭერა;</li> <li>- სამუშაო ძალის ბაზრის რეგულირება;</li> <li>- ინვესტირება პერსპექტიულ სამეცნიერო კვლევებში;</li> <li>- საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა;</li> <li>- ფინანსური მხარდაჭერა;</li> </ul> <p>ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.</p>

❖ კლასტერული მიდგომა ფართოდ გამოიყენება ფინურ და სკანდინავიურ მრეწველობაში. ასე, ცელულოზისა და ქაღალდის წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და განვითარების მცდელობას შვედეთში მოყვანოგადად ხის დამამუშავებელი წარმოების განვითარება (ხის მასალა, მასალის გადამამუშავება, ასანთის წარმოება);

❖ გერმანიაში სინერგეტიკული ეფექტი მანქანათმშენებლობაში მიიღწევა რეგიონში ამ დარგისთვის საჭირო ნაწილების მაღალგანვითარებული წარმოების ხარჯზე;

❖ ამერიკაში კომპანიების უმრავლესობა გაერთიანებულია კლასტერულ წარმონაქმნში, ამასთანავე მაქსიმალურად დაცულია ტერიტორიული ლოკა-ლიზაციის პრინციპი, რის გამოც კლასტერი მდებარეობს ერთ რეგიონში და მაქსიმალურად გამოიყენება მისი ბუნებრივი, საკადრო და ინტეგრაციული პოტენციალი. როგორც წესი, კლასტერების მიერ წარმოებული პროდუქცია ორიენტირებულია ექსპორტზე ან იმპორტის ჩანაცვლებაზე;



❖ კლასტერის იტალიური მოდელი ხასიათდება განსაკუთრებული შიდაკლასტერული ურთიერთქმედებების თავისებურებებით, როგორც წესი, კლასტერების მონაწილეკომპანიებს შორის თანამშრომლობა აიგება თანასწორობის პრინციპზე, იქნება ეს მცირე, საშუალო თუ მსხვილი ბიზნესი. კომპანიონთა შორის არსებულ კავშირებს გააჩნია მოქნილობა. იტალიაში სპეციალური კლასტერები ჩამოყალიბდა სამრეწველო რეგიონებში, რომლებშიც აეწყო დარგობრივი კომბინაციები: ლითონის გადამამუშავება – ბასრი ინსტრუმენტები, მოდა – დიზაინი, ტყავი – ფეხსაცმელი, ხის დამამუშავება – ავეჯი;

❖ ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში მუშაობს კლასტერების შოტლანდიური მოდელი, რომელშიც საერთო წარმოების ბირთვს წარმოადგენს მსხვილი დაწესებულება მის გარშემო გაერთიანებული მცირე ფირმებით;

❖ ურთიერთდაკავშირებული ქვედარგების წარმომადგენელი ტერიტო-რიული კლასტერების ფორმირების გამოცდილების მაგალითს წარმოადგენს დანია. დანიაში არსებობს კონკურენტუნარიანი დარგების კლასტერები, რომლებიც დაკავშირებულია სახლისათვის საჭირო საქონლის წარმოებასთან და ჯანდაცვასთან (ფარმაცევტიკა, სამედიცინო დანადგარები და სხვა). ჯანდაცვის დარგის კლასტერი, თავის მხრივ, ტექნოლოგიების მეშვეობით და ნედლეულზე მოთხოვნით დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის კლასტერთან;

❖ არსებობს კლასტერები კავშირგაბმულობისა და ტელეკომუნიკაციის (ჰელსინკი); კინოწარმოების (ჰოლივუდი, აშშ); საფრანგეთის, გერმანიისა და შვეიცარიის საზღვრების კვეთაზე განლაგებული კლასტერი „ბიოველი“ და მრავალი სხვა [27].

ეკონომიკის კლასტერიზაციის უცხოური გამოცდილების ანალიზის პროცესში შეგვიძლია გამოვავლინოთ ერთგვარი კანონზომიერება. კლასტერების უფრო დიდი კონცენტრაცია გვხვდება განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ასეთ ქვეყნებში დარგობრივი კლასტერების კონცეფცია წარმოადგენს მთავარ ელემენტს ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში, ეფექტურ რეგიონულ ეკონომიკურ და სამრეწველო პოლიტიკაში.

ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის კლასტერების სახელმწიფო მხარდაჭერის ინსტრუმენტების შედარებისას, შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ ევროპის კურსი მიმართულია კლასტერებისთვის ხელსაყრელი ინფრასტრუქტურის შესაქმნისაკენ, მაშინ როცა ამერიკაში კლასტერების განვითარების ინსტრუმენტები რეალიზდება ძირითადად ინოვაციური პროექტებისა და ინოვაციებზე ორიენტირებული კლასტერების მხარდაჭერაში.

კლასტერების განვითარების ინსტრუმენტების ზოგადი მიმოხილვა მსოფლიო პრაქტიკაში მოცემულია ცხრილში 5.

აღსანიშნავია აგრეთვე უცხოური კლასტერული პოლიტიკის კიდევ ერთი კანონზომიერება. განვითარებულ ქვეყნებში კლასტერული პროექტების დაფინანსების ძირითადი წილი მოდის სახელმწიფოზე (ნახ. 3 და 4). ამასთანავე სახელმწიფოს ორგანიზაციული ფუნქცია აქ შესამჩნევად ნაკლებია. ტერიტორიის ეკონომიკის კლასტერიზაციის კონცეფციის რეალიზაციაში ან კონკრეტული კლასტერების მხარდაჭერაში სწორედ დაფინანსება წარმოადგენს ერთერთ უმთავრეს ამოცანას სახელმწიფოსთვის.

დაფინანსების საშუალებები შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც ცენტრალური, ისე რეგიონული ბიუჯეტებიდან თანადაფინანსების პრინციპით. თუმცა საჭიროა შევიტანოთ შესწორება: სახელმწიფო უნდა იყოს მთავარი ინვესტორი კლასტერის განვითარების საწყის სტადიაზე, ხოლო შემდეგ სასურველია შერეული (სახელმწიფო-კერძო) დაფინანსება, წარმატებით განვითარებადი კლასტერული სტრუქტურებისთვის კი – თვითფინანსირება. სახელმწიფო მხარდაჭერა უნდა წარმოადგენდეს სტიმულს ორგანიზაციების მოსაზიდად კლასტერში იმ ეტაპზე, როცა საჭიროა ორგანიზაციებისთვის კლასტერული უპირა-ტესობების


გააზრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების არარსებობისას, შესაძლოა კლასტერული მიდგომა არ დაფასდეს სათანადოდ [27].

**ცხრილი 5.**


**კლასტერების განვითარებისა და მხარდაჭერის ინსტრუმენტების კომპლექსი საქართველოში და საზღვარგარეთ (შედგენილია ავტორების მიერ)**

კლასტერული განვითარების ინსტრუმენტები	ქვეყანა											
	საქართველო	აშშ	საფრანგეთი	იაპონია	შვედეთი	ინგლისი	გერმანია	შვეიცარია	ნიდერლანდები	ავსტრია	ავსტრალია	კანადა
პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერა	+	+	+									+
გადასახადების პრეფერენციები				+								
სესხების წარმოდგენა, მათ შორის პროცენტების გადახდის გარეშე					+							
ინოვაციების დანერგვის ფონდები	+					+	+	+	+			
უსასყიდლო სესხები სიახლეების დასაწერად							+					
სახელმწიფო მოვალეობების შემცირება ინდივიდუალური გამომგონებლებისთვის და საგადასახადო სარგებლის წარდგენა.		+		+			+			+		
სპეციალური ინფრასტრუქტურა ინდივიდუალურ გამომგონებელთა მხარდასაჭერად და მათი დაზღვევისთვის				+								
გადასახადების გადახდის გადავადება ან მათგან გათავისუფლება, თუ გამოგონება ეხება ენერჯის ეკონომიას										+		
ინდივიდუალური გამომგონებლებისთვის უფასო საქმის წარმოების უზრუნველყოფა, უფასო დაპატენტება, გადასახადებისგან გათავისუფლება							+		+			
რისკების შემცირებისთვის და რისკებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურების სახელმწიფო პროგრამები				+								
უცხოური სპეციალისტების მოძიების და მოზიდვის პროგრამები		+		+			+				+	
გრანტის შემქმნელი ფონდები			+									
ქსელური სტრუქტურების ასაშენებელი და გასავითარებელი სპეციალური სტრუქტურები		+										
მთავრობის მაკოორდინირებელი ორგანოები		+										+
მიზნობრივი დოტაციები სამეცნიერო-კვლევით ნამუშევრებზე	პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში											
საზოგადოებრივი ღონისძიებების ორგანიზება	პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში											
ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვა	პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში											





ნახ. 3. კლასტერების მხარდაჭერის ეკონომიკური და ადმინისტრაციული მეთოდები (შედგენილია ავტორების მიერ)



ნახ. 4. მსოფლიოს კლასტერული განვითარების დაფინანსების წყაროების შედარება (შედგენილია ავტორების მიერ)

აღსანიშნავია კლასტერული განვითარების თავისებურების კიდევ ერთი თვისება მსოფლიო პრაქტიკაში. კომპანია Oxford Research, Europe INNOVA Cluster Mapping Project პროექტის ფარგლებში, რომელიც ფინანსდება ევროპული კომისიის მიერ, მოყვანილი იყო ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კვლევა – „კლასტერული პოლიტიკა ევროპაში“, რომლის ფარგლებში მოხდა კლასტერული პროგრამებისა და ინიციატივების ანალიზი 31 ევროპულ ქვეყანაში. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკვლეულ კლასტერთა უმრავლესობა ფორმირდებოდა ქვემოდან, თუმცა რეგიონულ განვითარებაზე მათი აშკარად დადებითი გავლენის გამო, სახელმწიფოს უჩნდება დიდი სურვილი შეურთდეს კლასტერების განვითარებას სპეციალური ზომებით, რომელიც წარმოადგენს ზოგად პრაქტიკას [28].

ევროპაში კლასტერების განვითარების ნაციონალური პროგრამები გააჩნია 26 სახელმწიფოს, ამასთანავე პროგრამების სრული ოდენობა წარმოადგენს 69-ს (საშუალოდ, 1-2 პროგრამა თითოეულ ქვეყანაზე). ევროპის დეკლარაციაში ეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცების შესახებ და მოქმედების გეგმაში, რომელიც ახდენს მის დეტალიზირებას, ახალი საწარმო სისტემების ფორმირება კლასტერებისა და ქსელების ბაზისზე, წარმოადგენს საკმაოდ აქტუალურ საკითხს ევროპული თანამშრომლობის განვითარებისთვის. ქსელურ გაერთიანებებში მონაწილეობა გახდა კლასტერების წარმატებული არსებობის აუცილებელი პირობა. ქსელები აერთიანებენ კლასტერების საიტებს სხვადასხვა პრინციპით: შექმნის მიზეზების, მრეწველობის დარგების, რეგიონების, ქვეყნების მიხედვით. ქსელი, როგორც წესი, იქმნება წარმატებული გამოცდილების გასაცვლელად, ნოუ-ჰაუს განსავითარებლად, ინფორმაციის გასაზიარებლად. გარდა ამისა, ქსელის არსებობა ამარტივებს კლასტერების მონიტორინგს იმ ორგანოების მხრიდან, რომლებიც პასუხსმგებელნი არიან კლასტერების განვითარებაზე სახელმწიფოში თუ რეგიონში. დღეს, ევროპაში ფუნქციონირებს უამრავი მსგავსი სახის ქსელი, შექმნილი სახელმწიფო დონეზე, აგრეთვე ევროკავშირის დონეზე და მისი ინიციატივით.

უცხოურ პრაქტიკაში მეტად საინტერესოა სპეციალური ინფრასტრუქტურის ფორმირების გამოცდილება, რომლის ელემენტებს შესაძლოა წარმოადგენდნენ:

✚ ინოვაციური ინფრასტრუქტურის და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ორგანიზაციები: ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნო-პარკები, სამეწველო პარკები, საწარმო ფონდები, ტექნოლოგიების ტრანსფერების ცენტრები, დიზაინის განვითარების ცენტრები, ენერგომომარაგების ცენტრები, სუბ-წესრიგის (სუბკონტრაქტის) მხარდაჭერის ცენტრები;

✚ მეწარმეობის განვითარების, რეგიონული და მუნიციპალური განვითარების, ინვესტიციების მოზიდვის, საქონლის ექსპორტის მხარ-დამჭერი სააგენტოების, მეწარმეობის მხარდამჭერი სახელმწიფო და მუნიციპალური ფონდების, დაკრედიტების ურთიერთქმედი ფონდები (საგარანტიო ფონდები), სააქციო საინვესტიციო ფონდები და დახურული საინვესტიციო ფონდები, რომლებიც იზიდავენ მცირე და საშუალო ბიზნეს-სუბიექტებს, განვითარების ცენტრები და სააგენტოები. [29]

კლასტერული მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის სპეციალური ინფრასტრუქტურის სახით შეგვიძლია განვიხილოთ ევროპასა და აშშ-ში არსებული კლასტერული ქსელები, რომელთა შექმნა დღესაც აქტიურად გრძელდება – კლასტერების, სახელმწიფოს და საზოგადოების ურთიერთქმედების online სივრცე. კლასტერული ვირტუალური ქსელის შექმნის მთავარ მიზანს წარმოადგენს – კომუნიკაციური კავშირების გაფართოება (წარმატებული გამოცდილების გაზიარება, ნოუ-ჰაუს განვითარება, კლასტერების მონაწილეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, კლასტერების განვითარების მონიტორინგი ტერიტორიულ წარმონაქმნში, მთავრობის ორგანოებისა და კლასტერების დირექციის მიერ), როგორც კლასტერების შიგნით, ისე გარე სამყაროსთან. ასეთი სივრცეების წარმატებულ მაგალითებს წარმოადგენენ:

- 1) ევროპული კლასტერული ობსერვატორია (European Cluster Organisation Directory);
- 2) კლასტერული ინოვაციური პლატფორმა (Cluster-IP);
- 3) კლასტერული თანამშრომლობის ევროპული პლატფორმა European Cluster CollaboratioinPlatform (ECCP);
- 4) სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტის პროექტი ჰარვარდის უნივერსიტეტში USAClusterMappingProject.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ევროპული კლასტერული ობსერვატორიის მიერ შედგენილ კლასტერული ორგანიზაციების ჩამონათვალში, რომელიც წარმოადგენს ონლაინ პლატფორმას და ევროპული კლასტერების მონაცემთა ბაზას, ინტერაქციულ სივრცეს მათი


ურთიერთქმედებებისთვის, შვეიდა რამოდენიმე უკვე რალიზებული ქართული კლასტერული პროექტი.

გამოვყოთ კლასტერების განვითარებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის შემდეგ მიმართულებებს (ცხრილი 6) დაკლასტერული პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის მექანიზმის ეტაპებს ინსტიტუტების, პრინციპების, მეთოდების და ინსტრუმენტების გათვალისწინებით (ნახ. 7.).

**ცხრილი 6.**

**კლასტერების განვითარებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის მიმართულებები და ინსტრუმენტული უზრუნველყოფა**

<b>მხარდაჭერის მიმართულება</b>	<b>ინსტრუმენტული უზრუნველყოფა</b>
სახელმწიფო დონეზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, ტერიტორიული სამრეწველო კლასტერების განვითარების კონცეფციის კლასტერული პოლიტიკის მიღება საქართველოში	მოიცავს სამ ძირითად ბლოკს: - კლასტერების განვითარების ინსტიტუციონალური მხარდაჭერა; - კლასტერების მონაწილეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება; - კლასტერების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა
განვითარების საინვესტიციო ფონდისა და ბანკის ფორმირება	ფონდის მხარდაჭერა, მიმართული მსხვილი სახელმწიფო და კერძო ბიზნესის პროექტების თანადაფინანსებაზე;
საწარმოებში ინვესტირება	ახალი სახის საქმიანობისა და ახალი ბიზნეს იდეების დაფინანსება, რომლებიც ტრადიციულად ითვლებიან მაღალი რისკის მატარებლებად, რაც წარმოადგენს დაბრკოლებას მათი დაფინანსებისთვის საბანკო კრედიტის სახით და სხვა მიღებული წყაროების მეშვეობით
კლასტერების განვითარებისთვის სპეციალური ინფრასტრუქტურის შექმნა	განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების, ტექნო-პარკების და ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა
ინფორმაციულ-კონსულტაციური მხარდაჭერა	კლასტერული მიდგომების რეალიზაციის მეთოდური ინსტრუქციის გამოცემა რეგიონებში
ადმინისტრაციული ბარიერების დაწევა	„ერთი ფანჯრის“ პრინციპის რეალიზება
სახელმწიფო პროგრამები	მიზნობრივი ფედერალური პროგრამები, ფედერალური მიმართული ინვესტიციური პროგრამები; უწყებრივი მიზნობრივი პროგრამები
საკონკურსო მხარდაჭერა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამა კლასტერული პროექტების კონკურენტუნარიანობის მხარდასაჭერად; კონკურსის საფუძველზე საპილოტე, ინოვაციური ტერიტორიული კლასტერების მხარდაჭერა
ვირტუალური კომუნიკაციური ქსელების შექმნა	საქართველოს კლასტერული ობსერვატორია და მისი მსგავსი წარმონაქმნები რეგიონში – მაგალითად, კლასტერების განვითარების ცენტრი
სახელმწიფო-კერძო თანამშრომლობა	კონცესიური ხელშეკრულებების შეჯამება



ნახ. 7. კლასტერული პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის მექანიზმის ეტაპები

რეგიონული ეკონომიკის კლასტერიზაციის ეროვნული პრაქტიკისა და რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში კლასტერული განვითარების პერსპექტიული ინსტრუმენტების

კომპლექსების დანერგვისმიმართ უნდა აღინიშნოს შემდეგი სავარაუდო ბარიერები და თანამედროვე საქართველოს შემდეგი ეკონომიკური თავისებურებები:

✚ ნედლეულის გაყიდვის მიმართულების უპირატესობა მის გადამუშავებასთან შედარებით, ქართული მრეწველობის სუსტი ინოვაციური პოტენციალი;

✚ თანამედროვე ქართულ ეკონომიკაში კლასტერული ტექნოლოგიების გავრცელების დაბალი ტემპი, შედეგად, – კლასტერული კონცეფციის არასაკმარისი პოპულარობა ჩვენს ქვეყანაში;

✚ კლასტერული წარმონაქმნების, რეგიონულ ეკონომიკურ სისტემასთან ურთიერთქმედების არასაკმარისი გამჭირვალობა ან მისი არქონა;

✚ თანამედროვე ქართული ეკონომიკის სოციოკულტურული თავისებურებები, დაკავშირებული ეკონომიკური ნდობის დაბალ დონესთან ბიზნეს პროცესების მონაწილეებს შორის, კლასტერულ წარმონაქმნთა მონაწილეებს შორის;

✚ ინსტიტუციური დისბალანსი – ინსტიტუტების როლების დისბალანს-სური გადანაწილება რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში (მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტებისა და მცირე წარმოების არასაკმარისი როლი);

✚ რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში კლასტერებისთვის განვითარებული ინფრასტრუქტურის არქონა;

✚ კლასტერების განვითარებისთვის, კლასტერული წარმონაქმნების მონაწილეებსა და მთავრობის ტერიტორიულ ორგანოებს შორის ფუნქციებისა და როლების გაურკვეველი გადანაწილება.

ამრიგად, ჩამოთვლილი ფაქტორები გვკარნახობს კლასტერების განვითარების ისეთი ინსტრუმენტების დანერგვას, რომლებიც საქართველოს რეგიონულ და სამრეწველო ეკონომიკურ სისტემაში სრულად აგვარებენ ხსენებულ პრობლემებს.

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია ტერიტორიული და დარგთაშორისი განვითარების სრულყოფა სახელმწიფო და რეგიონების ინტერესების გათვალისწინებით, რამდენადაც სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკურ განვითარებაზე დამოკიდებული ადგილებზე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ეფექტიანად გადაწყვეტა, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, რეგიონების საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა და საერთო ჯამში, რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

კლასტერული პოლიტიკა, რომლის საფუძველია თანმიმდევრულობა, გახსნილობა, სისტემურობა, ეფექტიანობა, ხელმისაწვდომობა, მიზნობრიობა და ნებაყოფლობითობა კლასტერის მონაწილეებთან თანამშრომლობის თვალ-საზრისით, უნდა ითვალისწინებდეს დარგებისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობის ზრდას, შიგა და გარე რესურსების მობილიზებას, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის, ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციების, ტექნოლოგიების, ექსპორტის, საგანმანათლებლო, სამეცნი-ერო-კვლევითი, სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურის სხვა მდგენელების განვითარებას, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს, როგორც სამიზნე ინდუსტრიების და რეგიონების დამატებითი ღირებულების და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, ასევე, მათ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

### რეზიუმე

თანამედროვე პერიოდსა და პირობებში, მსოფლიოში გამოკვეთილია რეგიონების როლი და მნიშვნელობა სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სხვადასხვა ამოცანების ეფექტიანად გადაწყვეტის თვალსაზრისით, სადაც მნიშვნელოვანია ცალკეულ



ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მიმდინარე სამრეწველო-ეკონომიკური პროცესების ეფექტიანი დაგეგმვა, განვითარების პერსპექტივებისა და ძირითადი მიმართულებების მეცნიერული განსაზღვრა და მათი რეალიზება, რაც თავის მხრივ, დადებითად მოქმედებს როგორც ცალკეული რეგიონის და სხვადასხვა ინდუსტრიის სწორი მიმართულებით განვითარებაზე, ისე მათი პოზიციების გაუმჯობესებაზე კონკურენციულ ბრძოლაში. რეგიონის შესაძლებლობა მდგომარეობს იმაში, რომ შექმნას ისეთი ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრესულ განვითარებას, საინვესტიციო რესურსების მოზიდვას, მოსახლეობის შემოსავლების მაღალ და სტაბილურ დონეს, სადაც მნიშვნელოვანია რეგიონის მინერალურ-სანედლეულო ბაზის რაციონალური ათვისებას და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებას შორის ოპტიმალური ურთიერთობების ბალანსის დაცვა.

ეკონომიკური ურთიერთობების გლობალური ინტეგრაციის და პოსტინდუსტრიული გარდაქმნების პროცესში ტერიტორიული განვითარების სხვა ამოცანათა შორის წინა პლანზე წამოიწია რეგიონის ეკონომიკური სისტემების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის პრობლემებმა. ეს გარემოება აქტუალურს ხდის ახალი კონკურენტული უპირატესობის ძიებას, მ. შ. რეგიონული და სამრეწველო კლასტერების ეკონომიკის სტრუქტურულ ორგანიზაციის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, რეგიონული და სამრეწველო კლასტერების ფუნქციების გახსნისა და მათი სხვა სუბიექტებთან ურთიერთქმედების ინსტრუმენტების პრობლემათა სიღრმისეული შესწავლის აუცილებლობა, თანამედროვე საქართველოს შესაბამის ეკონომიკურ სისტემებში კლასტერების შექმნისა და განვითარების უპირობო აუცილებლობით არის განპირობებული.

რეგიონების და ინდუსტრიის შიგა სტრუქტურულ განვითარებაში კლასტერებმა გამოავლინეს საკუთარი თავი როგორც ეკონომიკური ორგანიზაციის ერთ-ერთმა ეფექტურმა ფორმამ, ამდენად, რეგიონული და სამრეწველო ეკონომიკური განვითარების თეორიასა და პრაქტიკაში კლასტერული მიდგომა დომინირებს. ამასთან ერთად, რეგიონულ ეკონომიკაში კლასტერების რიგის ფორმირება წარმოშობს „სათაო“ რეგიონული ეკონომიკისა და „შვილობილი“ კლასტერების ურთიერთქმედების პრობლემებს. რეგიონული და სამრეწველო ეკონომიკური სისტემის მიერ წარმოქმნილი კლასტერების თვით წარმოქმნელ სისტემებთან ურთიერთობის ბევრი საკითხი ჯერჯერობით არაა სათანადოდ გამოკვლეული, ვინაიდან ბევრი მათგანი ურთიერთობის პროცესში იბადება და მხოლოდ პოსტინდუსტრიული გარდაქმნების პირობებში იჩენს თავს.

საქართველოს ეკონომიკურ სისტემაში, რომელიც გამოირჩევა საინვესტიციო მიმზიდველობით, განვითარების დივერსიფიკაციითა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებით, უნდა წარმოიშვას მნიშვნელოვანი პირობები კლასტერული განვითარებისათვის, ხოლო პროდუქტიული სტრატეგიის შემუშავება გულისხმობს იმ ფუნქციების ზუსტ შეფასებას, რომლის რეალიზებაც შესაძლებელია რეგიონული და სამთო-სამრეწველო კლასტერების ეფექტიანი ფუნქციონირებით, სადაც მნიშვნელოვანია კლასტერების განვითარების ახალი ინსტრუმენტების შემუშავება, რომელიც რეგიონთაშორის და დარგთაშორის კონკურენციასთან იქნება ადაპტირებული და, რომელიც შეძლებს ინოვაციური არამატერიალური აქტივების და ადამიანური კაპიტალის თანამედროვე განვითარების საკვანძო ფაქტორებად გარდაქმნას, სადაც ეს ინსტრუმენტები რეგიონული და სამრეწველო კლასტერების განვითარების ძირითად მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკის და ბიზნესის განვითარებაში სამთო-სამრეწველო კლასტერების ფორმირება საკმაოდ ნიშანდობლივი და აქტუალურია იმ მიმართულებებით, რომლებიც დაკავშირებულია დასახელებულ რეგიონში

მნიშვნელოვანი მინერალური რესურსების არსებობასთან, კერძოდ: მეტალურგიული (მანგანუმის მადნის მოპოვებაგადამუშავება, კონცენტრატების და ფეროშენადნობების წარმოება) და სათბობ-ენერგეტიკული პროდუქციის (ტყიბულის ქვანახშირის მოპოვება-გადამუშავება), ქიმიური მრეწველობის ნედლეულის (ბარიტი, დიატომიტი, ბენტონიტური თიხების (გუმბრინი)), სამშენებლო მასალების (თიხები, მ. შ. სააგურე თიხა), კერამიკის წარმოებისათვის ნედლეულის (კერამიკული თიხა), მეტალურგიისათვის დამხმარე ნედლეულის (ცეცხლგამძლე თიხები), მოსაპირკეთებელი ქვების (მარმარილო, მარმარილოსებრი კირქვები, ტემენიტი, ბაზალტი) და სხვა მნიშვნელოვანი მინერალური ნედლეულის ადგილობრივი მოხმარების და საექსპორტო პროდუქციის წარმოება.

## **The Main Directions Of Formation And Functioning Of Regional And Mining-Industrial Clusters In The Georgian Economy**

N.Poporadze, K.Lezhava, G.Lobjanidze, G.Nanitashvili

**Abstract:** In the modern period and conditions, the role and importance of regions in the world in terms of effectively solving various socio-economic and socio-political tasks are highlighted, where effective planning of industrial-economic processes taking place in a separate administrative-territorial unit, scientific determination of development prospects and main directions and their realization are important, which in turn has a positive effect on both the development of a separate region and various industries in the right direction, and their positions in the competitive struggle for the improvement. The region's ability lies in creating such an economic potential that ensures progressive development, attraction of investment resources, high and stable level of incomes of the population, where it is important to maintain a balance of optimal relations between the rational use of the region's mineral and resource base and the socio-economic development of society.

In the process of global integration of economic relations and post-industrial transformations, the problems of ensuring the competitiveness of the region's economic systems have come to the fore among other tasks of territorial development. This circumstance makes the search for new competitive advantages relevant, including in terms of the structural organization of the economy of regional and industrial clusters. Therefore, the need for an in-depth study of the problems of opening the functions of regional and industrial clusters and the tools of their interaction with other entities is conditioned by the unconditional necessity of creating and developing clusters in the relevant economic systems of modern Georgia.

In the internal structural development of regions and industry, clusters have shown themselves to be one of the effective forms of economic organization, therefore, the cluster approach dominates in the theory and practice of regional and industrial economic development. At the same time, the formation of a series of clusters in the regional economy gives rise to problems of interaction between the "main" regional economy and "subsidiary" clusters. Many issues of the relationship between clusters formed by the regional and industrial economic system and the self-generating systems have not yet been adequately investigated, since many of them are born in the process of interaction and appear only in the conditions of post-industrial transformations.

In the Georgian economic system, which is distinguished by its investment attractiveness, development diversification and high rates of economic growth, significant conditions for cluster development should arise, and the development of a productive strategy implies an accurate

assessment of the functions that can be realized through the effective functioning of regional and mining-industrial clusters, where it is important to develop new cluster development tools that will be adapted to the interregional and inter-sectoral competition and that will be able to transform innovative intangible assets and human capital into key factors of modern development, where these tools should respond to the main requirements for the development of regional and industrial clusters.

Taking into account the above, the formation of mining-industrial clusters in the development of the economy and business of Georgia is quite significant and relevant in the areas related to the presence of important mineral resources in the named region, namely: metallurgical (manganese ore extraction-processing, production of concentrates and ferroalloys) and heating and energy products (mining and processing of Tkibuli coal), chemical raw materials for industry (barite, diatomite, bentonite clays (gumbrin)), building materials (clays, etc., brick clay), raw materials for the production of ceramics (ceramic clay), auxiliary raw materials for metallurgy (refractory clays), paving stones (marble, marble-like limestones), teschenite, basalt) and other important mineral raw materials for local consumption and export production.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., ბერიკაშვილი ლ., ოთინაშვილი რ., აბრალავა ა. ბიზნესის ქსელური ორგანიზაცია: კლასტერული მენეჯმენტი და უსაფრთხოება. სტუ-ის და სსუ-გამომცემლობა, თბილისი, 2013, 208 გვ.;
2. Производственные кластеры и конкурентоспособность региона. Монография, колл. авт. под рук. Т.В. Усковой. Ин-т социально экономического развития территорий РАН, Вологда, 2010. 246 с.
3. ა. აბრალავა. ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები. თბილისი: უნივერსალი, 2014, გვ. 84-87;
4. რ. ასათიანი. საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2012, 308 გვ.;
5. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. „ნეკერი“, თბილისი. 2011, გვ. 29-64;
6. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ. საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2007, 636 გვ.;
7. ბარათაშვილი ე., გეგია ბ., ლლონტი ვ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 208 გვ.;
8. ბარათაშვილი ე., არაბული კ., გალახვარიძე ნ., გრძელიშვილი ნ. საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2012, 462 გვ.;
9. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია და საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001, 457 გვ.;
10. გაგნიძე ი. ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და კლასტერები: ისტორია და თანამედროვეობა. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 120 გვ.;
11. ლობჯანიძე გ., მდინარაძე ქ., ხეცურიანი გ., ბუტულაშვილი თ., ლაბაძე დ. კლასტერების ფორმირების პერსპექტივები საქართველოს მინერალური რესურსების ათვისებაში. ჟურნალი „სამთო ჟურნალი“, № 1 (38), 2017, გვ. 57-70;
12. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება). ნაწილი II. თბ., „ესპსკ“-ის გამომცემლობა, თბილისი, 1999, 263 გვ.;
13. Сутырин С. Ф., Филиппов П. Н.. Кластеры конкурентоспособности Финляндии. Вестник Санкт-Петербургский Университета, Сер. 5. Вып. 1 (№ 5), Мировая Экономика. Санкт-Петербург. 2004, с.71-79;
14. Lundvall B.A. The Learning Economy – Challenges to Economic Perspectives on Markets, Firms and Technology. New York: 2018, 423 p.;



15. ყორღანაშვილი ლ. კლასტერები, ქართული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის საშუალება. ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №13-14, 2008. 7 გვ.;
16. Enright M. Regional Clusters: What we know and what we should know, paper presented for the Kiel Institute International Workshop, November 12–13, 2011;
17. Humphrey J., Schmitz H. Governance and Upgrading Linking Industrial Cluster and Global Value Chain Research. IDS Working Paper №120, 2015;
18. Miles, I. April, 2001. „Services Innovation: A Reconfiguration of Innovation Studies“, Discussion Paper Series, The University of Manchester;
19. Maskell P., Larenzen M. The Cluster as Market Organization. DRUID Working Paper 03-14, 2013;
20. Dunning J. H. The globalization of business: the challenge of the 2009; New York: Routledge, 2013;
21. Sirilli, G. and Evangelista, R., 1998. Technological innovation in services and manufacturing: results from Italian surveys, Research Policy, 27;
22. Bergman E. M., Feser E. J. 2000. National industry cluster emplates: a framework for applied regional cluster analysis// Regional studies. 34(1). pp. 1-19;
23. Enright, Michael J. “Regional Clusters: What We Know and What We Should Know.” May 2002.
24. გრძელიძევილი ნ. რეგიონული კლასტერები და საქართველო. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2014. გვ. 413-417;
25. Pechlaner, H.A., Smeral, E.B. and Matzler, K.C., 2002. “Customer Value Management as a determinant of the competitive Position”, Vol. 57, No 4;
26. ელექტრონული რესურსი: The European Cluster Collaboration Platform (ECCP) URL: <http://www.clustercollaboration.eu/map>;
27. ელექტრონული რესურსი: ინოვაციური კლასტერების მიმოხილვა უცხოურ ქვეყნებში; URL: <http://www.economy.gov.ru/minec/main>;
28. Simmie J, Sennet J. 1999. October. Innovative clusters: global or local linkages? // National Institute Economic Review. No. 170. p. 87;
29. Ketels, Christian, Göran Lindqvist and Örjan Sölvell. “Cluster Initiatives in Developing and Transition Economies.” 2005. <http://www.cluster-research.org/devtra.htm>;
30. Martin, Ron and Peter Sunley. “Deconstructing Clusters: Chaotic Concept or Policy Panacea. June 2002. [http://www.gees.bham.ac.uk/research/neweconomy/discussiongroup/Seminar2/Papers/Deconstructing\\_Clusters\\_Jun.pdf](http://www.gees.bham.ac.uk/research/neweconomy/discussiongroup/Seminar2/Papers/Deconstructing_Clusters_Jun.pdf).

**ქეთევან ვეზირიშვილი-ნოზაძე,**  
ტ.მ.დ., ასოც. პროფ., სტუ-ის ი.ჟორდანიას საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი  
რესურსების შემსწავლელი ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი  
**ნათია არაბიძე**

აკად. დოქტ., პროფ., სტუ-ის თბოენერგეტიკის, ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და  
ენერგოაუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი  
**ნოდარ მირიანაშვილი**

ტ.მ.დ., სტუ-ის ი.ჟორდანიას საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების  
შემსწავლელი ცენტრის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

**საქართველოს განახლებადი ენერგორესურსები. ენერგეტიკული სექტორის განვითარების  
ეროვნული სამოქმედო გეგმები და მათი მხარდაჭერის სქემები. სტრატეგია და გამოწვევები**

### **შესავალი**

საქართველოში ელექტროენერგეტიკის სექტორის განვითარება დაიწყო XIX საუკუნის 80-  
იან წლებში, როდესაც 1898 წელს პირველი ჰიდროელექტროსადგური აშენდა ბორჯომში და მისი  
დადგმული სიმძლავრე შეადგენდა 290 ცხენის ძალას (დაახლოებით 213 კვტ-ს). 1905 წლისთვის  
ქვეყანაში უკვე არსებობდა 70 ელექტროსადგური ჯამური დადგმული სიმძლავრით 8 მეგავატი.  
1922 წელს დაიყო ზაჰესის მშენებლობა დადგმული სიმძლავრით 36,8 მგვტ. ის იყო პირველი  
წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში. სადგური საბოლოო მშენებლობა  
დასრულდა 1934 წელს. იმავე წელს ექსპლუატაციაში შევიდა რიონჰესის ბოლო მეოთხე  
აგრეგატი. აღსანიშნავია ისიც, რომ ზაჰესისა და რიონჰესის დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის  
ხაზის მშენებლობა დაიწყო 1932 წელს, რითაც ფაქტიურად დასაბამი მიეცა ქვეყნის  
ელექტროგადამცემი ქსელის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს.

1940 წელს შევიდა ექსპლუატაციაში თბილისის თეცი და ქვანახშირზე მომუშავე  
ტყვარჩელის თბოელექტროსადგური, ხოლო 1959 წელს დაიწყო თბილისის რაიონული  
თბოელექტროსადგურის (თბილსრესი) მშენებლობა 1250 მგვტ დადგმული სიმძლავრით,  
სადგურის ბოლო აგრეგატი ექსპლუატაციაში შევიდა 1972 წელს. ამიერკავკასიაში უმსხვილესი  
ჰესის - ენგურჰესის მშენებლობა გრძელდებოდა 1961-1978 წლებში, რომლის დადგმული  
სიმძლავრე 1300 მგვტ-ის ტოლია. 1991 წელს საქართველოს ჯამური დადგმული სიმძლავრე იყო  
4130 მგვტ-ზე მეტი, საიდანაც 1550 მგვტ მოდიოდა თესებზე, ხოლო 2542 მგვტ ჰესებზე.

საქართველოს ენერგეტიკული სექტორისთვის კრიტიკული იყოს საბჭოთა კავშირის  
დაშლის შემდეგი ათწლეული, რაც გამოწვეული იყო ეკონომიკური კრიზისით,  
ენერგორესურსების მიწოდების არასტაბილურობით, ინფრასტრუქტურის მარცვით,  
ელექტროენერჯის სერიოზული დეფიციტით და სხვა.

2000 წლიდან დაიწყო დამოუკიდებელი საქართველოს ენერგეტიკული სექტორის  
განვითარების პირველი ეტაპი. ამ დროს მოხერხდა ენერგეტიკული საქმიანობის დაყოფა სამ  
ძირითად მიმართულებად: ელექტროენერჯის გამომუშავება, გადაცემა-დისპეტჩერიზაცია და  
განაწილება. ამავე პერიოდში შეიქმნა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული  
კომისია (სემეკი) და ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი (ახლა ესკო). ასევე არსებული  
რესურსებით მოხდა ენერგოსისტემის განახლება და გაუმჯობესება, რაც არ იყო საკმარისი,  
რადგან ყველაზე კრიტიკულ პერიოდად კვლავ რჩებოდა შემოდგომა-ზამთრის პერიოდი, როცა  
მოხმარება საგრძნობლად იზრდება, ხოლო ქვეყანაში არ იყო საკმარისი ენერგორესურსი, რის  
გამოც ხდებოდა ელექტროენერჯის მიწოდების ხშირი შეზღუდვა და მისი გრაფიკით მიწოდება.  
2004 წლიდან იწყება ენერგეტიკის სექტორის უფრო აქტიური განვითარების პერიოდი.

აღნიშნულის მნიშვნელოვანი ეტაპებია: ელექტრული ქსელის სრული პრივატიზაცია, ელექტროენერჯის ხარისხიანი და უწყვეტი მიწოდების მიღწევა, ელექტროსადგურებისა და ელექტრული ქსელის განვითარება, ქვეყნის სატრანზიტო და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა და სხვა.

საქართველოს ენერჯეტიკის სექტორის განვითარების შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება 2014 წელს, როდესაც ხელი მოეწერა ევროკავშირ-საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებას, რომელიც ძალაში 2016 წლის 1 ივლისიდან შევიდა. ხოლო 2016 წლის 14 ოქტომბერს საქართველომ ხელი მოაწერა „ენერჯეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმს.

ენერჯეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება ქვეყნისთვის სამართლებრივი ვალდებულებების აღებასა და საკანონმდებლო ჰარმონიზაციას გულისხმობს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველომ უნდა მოახდინოს ადგილობრივ კანონმდებლობაში ევროკავშირის ენერჯეტიკის სფეროში მოქმედი იმ დირექტივებისა და რეგულაციების ასახვა, რომლებიც ასოცირების ხელშეკრულებაში არის მოცემული. ენერჯეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების განხორციელება ხელს შეუწყობს ენერჯეტიკული ბაზრის ტრანსფორმაციას, რასაც განახლებადი ენერჯის განვითარებაზე პირდაპირი და ირიბი ზეგავლენა ექნება.

2019 წლის 26 დეკემბერს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“, რომელიც სრულად შეესაბამება ევროკავშირის განახლებადი ენერჯის დირექტივას (2009/28/EC). კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობა ვალდებულია დაამტკიცოს განახლებადი წყაროების მხარდაჭერის სქემები. თავის მხრივ, მხარდაჭერის სქემა არის გარკვეული ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის გამოყენებას მისი ღირებულების შემცირებით, გასაყიდი ფასის ან განახლებადი ენერჯის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებების მემუვობით ამ ენერჯის რაოდენობის შეძენის გაზრდით. აღნიშნული სქემა შეიძლება აგრეთვე მოიცავდეს სხვა ტიპის დახმარებას.

## **ენერჯეტიკის განვითარების ტენდენციები მსოფლიოსა და საქართველოში**

### **1. ენერჯეტიკული სექტორის ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციები**

ადამიანის მიერ ენერჯის მოხმარებამ დროში რამდენიმე თვისობრივი ცვლილება განიცადა. პირველი მოხდა მაშინ, როცა ენერჯის მისაღებად ბიომასის, ძირითადად შუშის, ნაცვლად გამოყენებულ იქნა ნახშირი. ხოლო მეორე ასეთი რადიკალური ცვლილება მოხდა, როცა მოხმარების უმრავლეს სფეროში ნახშირი ნავთობმა და გაზმა ჩაანაცვლა. ახლა უკვე საფუძველი ეყრება მესამე რადიკალურ გარდაქმნას, როდესაც ნავთობისა და გაზის მაგივრად ხდება ეკოლოგიურად სუფთა განახლებად ენერჯიაზე გადასვლა.

აღნიშნულ გარდაქმნას ლოგიკური ახსნა გააჩნია. პირველყოფილი ადამიანებისთვის მთავარი მოთხოვნილება იყო გათბობა და საკვების მომზადება, რაც მარტივად ხერხდებოდა ადვილად მოსაპოვებელი ხე-ტყის დაწვით. BP-ის „მსოფლიო ენერჯეტიკის სტატისტიკური მიმოხილვის“ თანახმად, მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე ენერჯის ძირითადი წყარო იყო ტრადიციული ბიომასა (განსაკუთრებით შუშა), ასევე გამოიყენებოდა ნახშირი.

ენერჯეტიკული სექტორის განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა იყო XVIII-XIX საუკუნეების ინდუსტრიული რევოლუცია და გაზრდილი მოთხოვნა ორთქლზე, ხოლო შემდეგ ელექტროენერჯიაზე. 1769 წელს ჯეიმს ვატმა გამოიგონა ორთქლის ძრავა, ხოლო 1875 წელს ფრანგებმა ააშენეს მსოფლიოში პირველი ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგური. ტექნოლოგიურმა პროგრესმა დააჩქარა ნახშირის ინდუსტრიის განვითარება, რის შედეგად მე-19 საუკუნეში ნახშირს ეჭირა უდიდესი წილი პირველადი ენერჯის მოხმარებაში. ეს იყო პირველი

გარდაქმნა ბიომასიდან ქვანახშირზე. 1910 წელს პირველად ნახშირისგან წარმოებული ენერგია გახდა ენერჯის მიღების წამყვანი წყარო, იმ წელს საერთო ენერჯის 55% მოდიოდა ნახშირზე, აღნიშნული პერიოდი არის გარდამტეხი ნახშირის ენერჯის განვითარების ისტორიაში.

1886 წელს დაიმლერმა გამოიგონა შიდა წვის ძრავა, რამაც დიდი გავლენა იქონია ნავთობისა და გაზზე მოთხოვნის გაზრდაზე, როგორც ეფექტურ ენერჯორესურსზე. ამ ენერჯორესურსებმა ჩაანაცვლა ნახშირი, როგორც ენერჯის უდიდესი წყარო მსოფლიოში. ეს იყო მეორე გარდაქმნა ნახშირიდან ნავთობსა და გაზზე.

ბოლო წლებში, ქვანახშირის, ნავთობის და სხვა მაღალი ნახშირბადის მქონე ენერჯეტიკული რესურსების გამოყენებით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები სულ უფრო მკვეთრი გახდა. ქვანახშირისა და სხვა წიაღისეული ენერჯეტიკული რესურსების ინტენსიური გამოყენება არის გარემოს დაბინძურებისა და კლიმატის ცვლილების ძირითადი მიზეზი. მოსახლეობაში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს მოთხოვნილებასთან ერთად, საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნა ბუნებრივ გაზსა და სუფთა ენერჯის წყაროებზე. ამდენად, გარდაუვალი იქნება მესამე მნიშვნელოვანი გარდაქმნა ტრადიციული წიაღისეული საწვავიდან სუფთა და მწვანე ენერჯიაზე.

1950 წლიდან ექსპონენციურად იზრდება ენერჯის მოხმარება მსოფლიოში, მაგალითად, თუ 1950 წელს ენერჯის ჯამური მოხმარება შეადგენდა 28500 ტვტ.სთ-ს, 1960 წელს აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა 41700 ტვტ.სთ-მდე. ენერჯეტიკულ ბალანსში ატომური ენერჯია პირველად გამოჩნდა 1965 წელს 71 ტვტ.სთ მოხმარებით. ამავე წელს ნავთობიდან მოხმარებულმა ენერჯიამ გაასწრო ნახშირის ენერჯიას და აღმოჩნდა მოხმარებული ენერჯის სათავეში. 1987 წელს სტატისტიკაში პირველად გამოჩნდა ქარის სადგურების მიერ გამომუშავებული 1 ტვტ.სთ. ორი წლით დაგვიანებით, პირველადი ენერჯის მოხმარების სტატისტიკაში გამოჩნდა ასევე მზის ენერჯის 1 ტვტ.სთ. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს მსოფლიოში პირველადი ენერჯის მოხმარება 6-ჯერ მეტი იყო ვიდრე 1950 წელს. გაიზარდა იმ ტექნოლოგიათა მრავალფეროვნება, რომელიც ახლა კაცობრიობას გააჩნია. 1800-2023 წლებში მსოფლიოში პირველადი ენერჯის მოხმარება რესურსების მიხედვით მოცემულია ცხრილში 1.

**ცხრილი 1.**

**მსოფლიოში პირველადი ენერჯის მოხმარება რესურსების მიხედვით (1800-2023 წწ.), ტვტ.სთ.**

წლები	1800	1850	1900	1950	2000	2023
<b>ენერჯის სახეობები</b>						
ტრადიციული ბიომასა	5556	7222	6111	7500	12500	11111
ნახშირი	97	569	5728	12603	27441	45565
ნავთობი	0	0	181	5444	42983	54564
ბუნებრივი აირი	0	0	64	2094	23994	40102
ატომური ენერჯია	0	0	0	0	7323	6824
ჰიდროენერჯია	0	0	47	925	7826	11014
ქარის ენერჯია	0	0	0	0	93	6040
მზის ენერჯია	0	0	0	0	3	4264
თანამედროვე ბიოსაწვავი	0	0	0	0	133	1318
სხვა განახლებადები	0	0	0	0	572	2428
<b>სულ</b>	<b>5653</b>	<b>7791</b>	<b>12131</b>	<b>28564</b>	<b>122868</b>	<b>183230</b>

## 2. მსოფლიოს ენერგეტიკული სექტორის სტრუქტურა და მისი მოკლე ანალიზი

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ენერგეტიკული სექტორის სტრუქტურა განსხვავებულია და იგი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე. აღნიშნული ფაქტორები გამოწვეულია რეგიონში არსებული ბუნებრივი რესურსებით, შესაბამისი ენერგეტიკული და გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობით, რეგიონში არსებული ქვეყნების შესაბამისი სტრატეგიებით და საერთაშორისო ვალდებულებებით.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA) მონაცემების თანახმად, 2020 წელს მსოფლიოში წარმოებული ელექტროენერგია მიღებული იყო შემდეგი წყაროებიდან: ნახშირი - 36%, ბუნებრივი გაზი - 24%, ჰიდრო - 16%, ატომური ენერგია - 10%, ქარი-6%, მზე PV – 3%, სხვა არაგანახლებადები - 2.5% და სხვა განახლებადები- 2,5% (ცხრილი 2.).

ცხრილი 2.

ელექტროენერგიის მიწოდების ბალანსი რეგიონების მიხედვით (2020 წ.), %.

ენერგიის სახეები	ატომ- ური	ნახშირი	გაზი	სხვა არაგანახლ- ებადები	ჰიდრო	ქარი	მზე PV	სხვა განახლ- ებადები
<b>რეგიონები</b>								
<b>მსოფლიო</b>	10	36	24	2,5	16	6	3,0	2,5
აზია- ოკეანეთი	4,5	57,5	13	1,5	12,5	3,5	4,2	3,3
ევროპა	20	15	22	1,2	16,4	15,0	4,2	6,2
ჩრდ. ამერიკა	18	18	38	1,6	12,4	8	2	2
ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა	1,8	4,2	18	6	57	5	1,8	6,2
ახლო აღმოსავლეთი	0,5	1,2	70,1	26	1,3	0	0,9	0
სამხრეთ- აღმოსავლეთი აზია	0	45	34	1,5	12,5	0,5	0,6	5,9
აფრიკა	1,5	29,5	41	6,5	16,5	1,8	1,7	1,5
ევრაზია	19	19	43	1	17	0	1	0

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ელექტროენერგიის გენერაციის კუთხით სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულია. მაგალითად, აზიისა და ოკეანეთის რეგიონში, ასევე როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ელექტროენერგიის წარმოების ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგია არის ნახშირისგან მიღებული ენერგია. ახლო აღმოსავლეთში დამაჯერებლად ლიდერობს გაზის ტექნოლოგია, რომელიც საერთო გენერაციის დაახლოებით 70%-ს შეადგენს. აფრიკაში ყველაზე მეტად გავრცელებული ელექტროენერგიის წყარო - ნახშირი და გაზია. ჩრდილოეთ ამერიკაში პირველობა უჭირავს გაზის ტექნოლოგიას, თუმცა ატომური და ნახშირის ტექნოლოგიებიც საგრძნობლად განვითარებულია. რაც შეეძლება სამხრეთ ამერიკას, აღნიშნულ რეგიონში ელექტროენერგიის მისაღებად ძირითად გამოიყენებენ ჰიდროელექტროსადგურებს. ევროპაში ელექტროენერგიის გენერაციის წყაროები საგრძნობლად დივერსიფიცირებულია, აქ

თითქმის თანაბრადაა განვითარებული შემდეგი ტექნოლოგიები: ატომური, ნახშირი, გაზი, ჰიდრო, ქარი და მზე.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიური 2020 წელი საკმაოდ რთული აღმოჩნდა ენერგეტიკის სექტორის განვითარებისთვის, ვინაიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შემოდებული იყო სხვადასხვა სიმკაცრის შეზღუდვები, ელექტროსადგურების მშენებლობის პროცესი მაინც არ შეჩერდა. მაგალითად, 2020 წელს ექსპლუატაციაში შევიდა მზის PV სადგურები საერთო დადგმული სიმძლავრით 107 გიგავატი. რაც შეეხება ქარის ელექტროსადგურებს, მათი დადგმული სიმძლავრე გაიზარდა 65 გიგავატით, საიდანაც 5 გიგავატი მოდის ე.წ. „offshore“-ის ტიპის ქარის სადგურებზე. აქვე აღსანიშნავია, რომ ჰესების განვითარება აქტიურად მომდინარეობდა აზიის რეგიონში. 2020 წელს მსოფლიოში, დიდ წილად კი აზიაში, ექსპლუატაციაში შევიდა 18 გიგავატი ჯამური დადგმული სიმძლავრის მქონე რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური. ატომური სადგურების დადგმული სიმძლავრე 2020 წელს გაიზარდა 8 გიგავატით. ქვანახშირზე მომუშავე ელექტროსადგურების სიმძლავრე 2020 წელს არ გაზრდილა. აქ პირიქით შეინიშნება სიმძლავრის შემცირების ტენდენცია. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ნახირზე მომუშავე ექსპლუატაციიდან გამოსული სადგურების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ახალაშენებული სადგურების რაოდენობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2020 წელს გაზზე მომუშავე ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე გაიზარდა 40 გიგავატით. აღნიშნული ტექნოლოგიის მქონე სადგურები ძირითადად აშენდა ჩინეთში, აშშ-სა და ახლო აღმოსავლეთში.

2020 წელს მსოფლიოში განახლებადი ენერჯის წილი ელექტროენერჯის გენერაციაში შეადგენდა 28%-ს, რაც 2%-ით მეტია 2019 წელთან შედარებით. აქედან 16% მოდის ჰიდროენერგეტიკაზე, რომელიც კვლავ არის წამყვანი განახლებადი ენერჯის ტექნოლოგია მსოფლიოში. რაც შეეხება ქარისა და მზის ტექნოლოგიებს, მათი წილი ელექტროენერჯის საერთო გენერაციაში 9%-ია.

პანდემიამ დადებითი როლი ითამაშა განახლებადი ენერჯიების უფრო ფართოდ გამოყენების წახალისების კუთხით. ცხრილში 3 მოცემულია ელექტროენერჯის გენერაციის ცვლილება პირველადი ენერჯის ტიპის მიხედვით.

### ცხრილი 3.

#### მსოფლიოში ელექტროენერჯის გენერაციის ცვლილება ტექნოლოგიების მიხედვით, 2020 წ.


ტექნოლოგია	ცვლილება
ატომური	-109 ტვტ.სთ
ნახშირი	-519 ტვტ.სთ
გაზი	-117 ტვტ.სთ
ქარი	178 ტვტ.სთ
მზე	158 ტვტ.სთ
ჰიდრო	84 ტვტ.სთ

### 3. საქართველოს ენერგეტიკული სექტორის მიმოხილვა: არსებული სიტუაცია და განვითარების ტენდენციები

საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორი ხასიათდება ადგილობრივი განახლებადი ენერგორესურსების სიუხვით (გრაფიკი 1). მოხმარებული ელექტროენერჯის დაახლოებით 80% იფარება ადგილობრივი წარმოებით, ხოლო დარჩენილი 20%-ის შემოტანა გვიწევს მეზობელი ქვეყნებიდან. ძირითადად ზაფხულის თვეებში გვაქვს ჭარბი გამოიმუშავება ჰესების ხარჯზე, ხოლო დეფიციტური პერიოდია ზამთარი. ჰესების ძირითადი ნაწილი დასავლეთ



საქართველოში განლაგებული, ხოლო თბოსადგურების უმრავლესობა აღმოსავლეთ საქართველოში.



გრაფიკი 1. საქართველოს 2019 წლის ელექტროენერჯის ბალანსი


აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საქართველოში აშენდა რამდენიმე ახალი ტიპის სადგური, მაგალითად, 2015 წელს ექსპლუატაციაში შევიდა პირველი 231 მგვტ სიმძლავრის მქონე გაზის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგური ქალაქ გარდაბანში. აღნიშნული სადგურის დანიშნულებაა გარანტირებული ბაზისური სიმძლავრის უზრუნველყოფა და სისტემის საიმედოობის გაზრდა.

გარდა ამისა, 2016 წელს ექსპლუატაციაში შევიდა საქართველოში პირველი საპილოტე ქარის ელექტროსადგური „ქართლი“ დადგმული სიმძლავრით 20,7 მგვტ., რაც შეეხება მაღალი ძაბვის ელექტროენერჯის გადამცემ ქსელს იგი მოიცავს 500, 400, 330 და 220 კილოვოლტიან ძაბვის ხაზებს, ხოლო საქართველოს გამანაწილებელი ქსელი მოიცავს 110, 35, 10,6 და 0.4 კილოვოლტიან ძაბვის ხაზებს. ქვეყნის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების საერთო სიგრძე 434 კილომეტრია. საქართველოს ელექტროენერჯეტიკული ქსელი სქემატურად მოცემულია ნახაზზე 1.



ნახ. 1. საქართველოს ელექტროენერჯის გადამცემი ქსელი და განვითარების გეგმები 2031 წლამდე.

საქართველოს ენერგეტიკული სექტორის ძირითადი მოთამაშეების ვინაობა ნაჩვენებია ნახაზურ 2. მათი ძირითადი ფუნქციებია:



ნახაზი 2. ენერგეტიკული სექტორის ძირითადი მოთამაშეები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის, სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი; საქართველოს ენერგეტიკის დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედებების განხორციელება და ა.შ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემევი) - ენერგეტიკული სექტორის მარეგულირებელი ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია ბაზრის მონიტორინგზე; ადგენს ტარიფებს და გამოსცემს ლიცენზიებს, არეგულირებს ურთიერთობებს მომხმარებელსა და ლიცენზიანტს შორის და ა.შ.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა - არის გადამცემი სისტემის ერთადერთი ოპერატორი.

ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი (ესკო) - ახორციელებს საბალანსო ელექტროენერგითა და გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობას, სეზონური საჭიროების მიხედვით, ელექტროენერგიის იმპორტსა და ექსპორტს და ა.შ.


საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა (სენბი) - დღით ადრე ბაზრის ოპერირება; დღიური ბაზრის ოპერირება; ორმხრივი ხელშეკრულებების (ფორვარდული) ბაზრის ოპერირება და ა.შ.

გენერაცია: 105 ჰესი, 6 თბო და 1 ქარის სადგური.

გამანაწილებელი კომპანიები - „თელასი“ და „ენერგო-პრო ჯორჯია“ (კერძო საკუთრებაში არსებული კომპანიები).

მიმწოდებელი კომპანიები - „თელმიკო“ და "ეპ ჯორჯია მიწოდება" (კერძო საკუთრებაში არსებული კომპანიები).






**გრაფიკი 2. ენერგეტიკული სისტემის დადგმული სიმძლავრე 2020 წლის ბოლოს**

მე-2 გრაფიკიდან ჩანს, რომ 2020 წლის მონაცემებით დადგმული სიმძლავრის 74% მოდის ჰესებზე, 25,5% თესებზე, ხოლო 0,5% ქარის სადგურზე. საქართველოს ენერგეტიკული სექტორის საერთო დადგმული სიმძლავრეა 4 524,7 მგვტ. აქედან:

- ✓ 105 ჰიდროელექტროსადგურია, რომელთა დადგმული სიმძლავრეა - 3350 მგვტ;
- ✓ 1 ქარის სადგურია, რომლის დადგმული სიმძლავრეა – 20,7 მგვტ;
- ✓ 6 თბოელექტროსადგურია, რომელთა დადგმული სიმძლავრეა – 1154 მგვტ.




**გრაფიკი 3. ელექტროენერჯის მოხმარება 2012-2020 წწ.**

განვიხილოთ ელექტროენერჯის მოხმარების ტენდენციები. როგორც მე-3 გრაფიკიდან ჩანს, ელექტროენერჯის მოხმარებას მზარდი ხასიათი გააჩნია. მაგალითად, 2019 წელს მოხმარებული ელ. ენერჯის რაოდენობა 12774,2 მილიონი კვტ.სთ იყო, რაც 36%-ით მეტია ვიდრე 2012 წელს.

რაც შეეხება დანაკარგებს ქსელში, აღნიშნული მაჩვენებელი საგრძნობლად გაუმჯობესდა. თუ 2001 წელს დანაკარგების მაჩვენებელი იყო 18,53%, 2006 წელს აღნიშნული შემცირდა 16,2%-მდე, ხოლო 2018 წელს ქსელში დანაკარგების მაჩვენებელი გაუტოლდა 6,48%. ქსელის ინფრასტრუქტურის განახლებასა და განვითარებაში სერიოზული ინვესტიციების ჩადებით გაუმჯობესდა როგორც დანაკარგების მაჩვენებელი (2018 წელს აღნიშნული შემცირდა 65%-ით 2001 წელთან შედარებით), ასევე მიწოდების ხარისხი.

ვინაიდან საქართველოს ელექტროენერჯის სექტორი საგრძნობლად დამოკიდებულია ჰიდროელექტროსადგურებზე, რომლებიც თავის მხრივ ხასიათდებიან სეზონურობით (წყალუხვი ზაფხული და წყალმცირე ზამთარი) ზაფხულის თვეებში საჭირო ხდება ჭარბი ელექტროენერჯის ექსპორტი, ხოლო ზამთარში დეფიციტის დასაფარად საჭიროა მეზობელი ქვეყნებიდან განხორციელდეს ელექტროენერჯის იმპორტი. ბოლო 9 წლის განმავლობაში განხორციელებული იმპორტისა და ექსპორტის მოცულობები ნაჩვენებებია გრაფიკზე 4.




**გრაფიკი 4. ელექტროენერჯის ექსპორტისა და იმპორტის სტატისტიკა 2012-2020 წლებში.**

როგორც უკვე ითქვა, ბოლო წლების განმავლობაში ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა სტაბილურად იზრდება. აქვე ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ 2013 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა ელექტროენერჯის იმპორტი, თუ 2012 წელს იმპორტირებულ იქნა 615 მილიონი კვტ.სთ, აღნიშნული მაჩვენებელი 2020 წელს გაიზარდა 1610 მილიონ კვტ.სთ-მდე. რაც შეეხება ექსპორტის მაჩვენებელს, 2012 წელს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანილი იყო 528 მილიონი კვტ.სთ, ხოლო 2020 წელს ეს რიცხვი შემცირდა 154 მლნ. კვტ.სთ-მდე. სხვა ფაქტორებთან ერთად ამის მიზეზია ელექტროსადგურების უფრო ნელი მშენებლობა, ვიდრე მოხმარების ზრდის ტენდენციაა. 2019 წელს სექტორების მიხედვით ელექტროენერჯის მოხმარება შემდეგნაირად გამოიყურებოდა.

როგორც მე-5 გრაფიკიდან ჩანს, 2019 წელს ელექტროენერჯიაზე ყველაზე დიდი მოთხოვნა იყო კერძო და სახელმწიფო მომსახურების სექტორში, სადაც მოხმარებულ იქნა 3 785,8 გვტ.სთ, მეორე ადგილზეა მრეწველობის სექტორი - აქ მოხმარებული ელექტროენერჯის მოცულობა

შეადგენს 3 252,8 გვტ.სთ-ს, ასევე ელექტროენერჯის მოხმარებაში დიდი წილი უჭირავს შინა მეურნეობებს, ამ სექტორმა მოიხმარა 2 461 გვტ.სთ.

რაც შეეხება ენერგეტიკული სექტორის განვითარებას, 2021-2031 საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის თანახმად 2030 წელს ქვეყანაში არსებული ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე გაიზრდება 10396 მგვტ-მდე, რაც 2,23-ჯერ მეტია არსებულ სიმძლავრეზე. გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის აშენდება 3ესეები (მარეგულირებელი და სეზონური) – 3865 მგვტ, ქარის სადგურები- 1309 მგვტ, გარდა ამისა 520 მგვტ სიმძლავრის მქონე მზის სადგურები. თესების დადგმული სიმძლავრე კი გაიზრდება 169 მეგავატით.



**გრაფიკი 5. ელექტროენერჯის მოხმარება სექტორების მიხედვით 2019 წელს**

აქვე, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ქვეყნის ელექტრომოხმარების ოპტიმალური სცენარის (5% ზრდა) პირობებშიც კი 2030 წელს მნიშვნელოვნად იზრდება მოხმარების მოცულობა. მაგალითად, თუ 2020 წელს მოხმარებულ იქნა 12 616 მლნ. კვტ.სთ, აღნიშნული რიცხვი 2030 წელს იქნება 20 400 მლნ. კვტ.სთ ( ზრდა 162%). რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ენერგორესურსების ათვისება.

საქართველოს ენერგეტიკის სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ასევე სრულყოფილი და თანამედროვე საკანონმდებლო ბაზის არსებობა. ქვემოთ მოცემულია ის ძირითადი საკანონმდებლო აქტების, გეგმების და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც ფუნქციონირებენ სექტორში.

ანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ წარმოადგენს ენერგეტიკული სექტორის ძირითად კანონს, რომელიც დამტკიცდა 2019 წლის დეკემბერში და რომელიც მომზადდა ევროკავშირის სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე. კანონი მიზნად ისახავს საქართველოში ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზით ვაჭრობის სფეროში თავისუფალი და კონკურენტული ურთიერთობების ხელშეწყობას და ბაზრების გახსნას, ამავე დროს მიწოდების უსაფრთხოების მოთხოვნათა სათანადოდ დაცვის გათვალისწინებით და სხვ.

**ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია** არის „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ კანონის საფუძველზე 2020 წლის აპრილში დამტკიცებული

დოკუმენტი, რომელიც საქართველოში აყალიბებს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის ორგანიზებისა და ფუნქციონირების სახელმძღვანელო პრინციპებს.

საქართველოს კანონი „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“, მომზადდა ევროკავშირის N2009/28/EC დირექტივის საფუძველზე. აღნიშნული კანონი დამტკიცებული იყო 2019 წლის დეკემბერში და იგი ქმნის განახლებადი წყაროებიდან ენერჯის გამომუშავებისა და ამ ენერჯის გამოყენების ხელშემწყობ მარეგულირებელ ჩარჩოს და ადგენს სავალდებულო სამიზნე მაჩვენებლებს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის საერთო წილისთვის ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში და ა.შ.

კანონი „ენერგოეფექტურობის შესახებ“ დამტკიცდა პარლამენტის მიერ 2020 წლის მაისში. აღნიშნული კანონი არის მომზადებული შესაბამისი ევროდირექტივის საფუძველზე, და მიზნად ისახავს ქვეყანაში ენერგოეფექტურობის ხელშეწყობას შესაბამისი პოლიტიკისა და ღონისძიებების ჩატარებით და ა.შ.

„შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ კანონი ასევე დამტკიცდა პარლამენტის მიერ 2020 წლის მაისში და მისი მიზანია ენერგორესურსების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა, შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს დამტკიცდა ორი მნიშვნელოვანი სამოქმედო გეგმა, კერძოდ განახლებადი ენერჯის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა (2019-2020) და საქართველოს ენერგოეფექტურობის 2019-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, სადაც მოხდა კონკრეტული ღონისძიებების ჩამოწერა როგორც ენერგოეფექტურობის, ასევე განახლებადი ენერჯის სექტორების უკეთესი განვითარებისთვის.

„ნეტო აღრიცხვა“. ეს პროგრამა დანერგილ იქნა 2016 წელს სემეკის მიერ და ის განახლებადი ენერჯის მხარდაჭერის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს. აღნიშნული მექანიზმი გულისხმობს მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელში ჩართვას და მიზნად ისახავს განახლებადი ენერჯის განვითარებას შინამეურნეობებსა და მცირე საწარმოებში. საწყის ეტაპზე დადგმული სიმძლავრის ზედა ზღვარი იყო 100 კვტ, თუმცა 2020 წელს შევიდა ცვლილება და აღნიშნული ზღვარი გაიზარდა 500 კვტ-მდე.

„საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“ დამტკიცდა 2015 წელს. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია ქვეყანაში არსებული ენერგეტიკული რესურსების მაქსიმალური ათვისებისა და იმპორტირებული ენერგომატარებლების მოწოდების წყაროების დივერსიფიკაცია, ენერგეტიკული სექტორის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა მიღწევა და ა.შ.

„საქართველოს გადამცემა ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2015-2025“ პირველად მომზადდა და შემდეგ დამტკიცდა 2015, ხოლო ბოლო ვერსია არის მომზადებული 2021-2031 წლებისთვის. აღნიშნული დოკუმენტი არის ქვეყნის გადამცემა ქსელის ინფრასტრუქტურის გაძლიერების დროში გაწერილი პროგრამა. დოკუმენტის ერთ-ერთი საკითხი არის ცვალებადი განახლებადი ენერჯის წყაროების ქსელში ინტეგრირება.

საქართველოს მთავრობის №515 დადგენილება არეგულირებს ყველა ტიპის ელექტროსადგურის პროექტის განხორციელების წესს, რომელიც არ წარმოადგენს კერძო და საჯარო თანამშრომლობის პროექტს.

საქართველოს კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ ძალაში შევიდა 2018 წელს, რომელიც ადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივ საფუძველებს. ამ კანონის საფუძველზე შესაძლებელია განახლებადი ენერჯის პროექტების განვითარებაც.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №426 არის შემუშავებული „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ კანონის საფუძველზე. აღნიშნული დადგენილება ენერგეტიკის

სექტორში არეგულირებს იმ პროექტებს, რომლებიც ითვალისწინებს ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებს და წარმოადგენს კონცესიას.

## განახლებადი ენერჯის ათვისება XX და XXI საუკუნეებში

### 1. განახლებადი ენერჯის მოხმარების განვითარების მიზნები

ბოლო ათწლეულებია საუბარი მიდის კლიმატის ცვლილებაზე და იმ გზებზე თუ როგორ უნდა შენელებს ან მოგვარდეს კლიმატის ცვლილების საკითხი. ამ მიმართულებით საქართველოც აქტიურად მუშაობს.

კლიმატის ცვლილების საკითხის მოსაგვარებლად ერთერთ მექანიზმს წარმოადგენს, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDG), საიდანაც VII მიზანი ეხება ხელმისაწვდომ და მდგრად ენერჯიას. აღნიშნულ მიზანს გააჩნია სამი ამოცანა, კერძოდ:

**ამოცანა 1:** 2030 წლისთვის საქართველო მიაღწევს მნიშვნელოვან პროგრესს ხელმისაწვდომ, საიმედო და თანამედროვე ენერჯომომსახურებაზე ქვეყნის მასშტაბით წვდომის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ინდიკატორი:

- მოსახლეობის თითქმის 100%-ს 2030 წელს ექნება წვდომა ელექტროენერჯიაზე;
- მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელსაც ხელი მიუწვდება საიმედო და თანამედროვე ენერჯომომსახურებაზე.

**ამოცანა 2:** 2030 წლისთვის მნიშვნელოვნად გაიზრდება საქართველოში არსებულ სხვადასხვა ენერჯიებს შორის განახლებადი ენერჯის წილი.

ინდიკატორი:

განახლებადი ენერჯის (ჰიდრო, გეოთერმული, ქარის და მზის, ბიოსაწვავი და ნარჩენები) წილი სხვა სახის ენერჯიებს შორის 2030 წელს დაახლოებით 30%-ს დაიკავებს.

**ამოცანა 3:** 2030 წლისთვის საქართველოში ენერჯოეფექტურობის გაუმჯობესების მაჩვენებლის მნიშვნელოვნად გაზრდა.

ინდიკატორი:

2030 წელს ენერჯის მოხმარების ინტენსიურობა, რომელიც იზომება პირველადი ენერჯისა და მშპ-ს მიხედვით (ენერჯის ინტენსიურობა ანუ მთლიანი შიდა მიწოდება მილიონ ლარზე 2014 წლის ფასებით იყო 6,43 ტჯ (ტერაჯოული)/მშპ) იქნება 5,787 ტჯ/მშპ (2014 წლის ფასებით და ენერჯის მოხმარების საბაზისო მაჩვენებლის ინტენსიურობას მინუს 10%).

გარდა ამისა, განახლებული, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტის თანახმად საქართველო გეგმავს 35%-ით შეამციროს სათბურის აირების ემისიები 2030 წლისთვის, ბიზნესის ტრადიციული გზით განვითარების სცენარით გათვალისწინებულ მონაცემთან შედარებით, ხოლო საერთაშორისო მხარდაჭერის შემთხვევაში იღებს ვალდებულებას 2030 წლისთვის 50-57%-ით შეამციროს ეროვნულ დონეზე სათბურის აირების ემისიების ჯამური მაჩვენებელი 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით. აქვე უნდა ითქვას, რომ 50%-იანი შემცირება იქნება საჭირო, თუ მსოფლიო გაჰყვება გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 2,0°C სცენარს, ხოლო 1,5°C-მდე ტემპერატურის შეზღუდვის სცენარის შემთხვევაში, საჭირო იქნება 57%-ით შემცირება 1990 წლის დონესთან შედარებით. ემისიების შეზღუდვა კონკრეტულ სამიზნე მაჩვენებლებამდე მოიცავს შვიდ სექტორს, ესენია: ტრანსპორტი, შენობები, ენერჯის წარმოება და გადაცემა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ნარჩენების მართვა და სატყეო სექტორი. კონკრეტულად, ენერჯის გენერაციისა და გადაცემის სექტორში 2030 წლისათვის საბაზისო სცენართან შედარებით ემისიების შემცირება იგეგმება 15%-ით.

ენერჯის გენერაციისა და გადაცემის სექტორი სათბურის აირების ერთერთი ყველაზე დიდი ემიტორია. 2015 წლის მონაცემებით ამ სექტორის წილი დაახლოებით 21% იყო რაც შეადგენს 3,65 მგტ (მეგატონა) CO<sub>2</sub> ეკვ. ნავთობისა და გაზის გადაცემისა და განაწილების ემისიები 56%-ს შეადგენდნენ, ხოლო ელექტროენერჯის გენერაციისთვის საწვავის წვის წილი კი 44%-ს.

როგორც ცნობილია, ელექტროენერჯის მოხმარება ქვეყანაში დაახლოებით 5%-ით იზრდება, შესაბამისად საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის თანახმად, 2015 წლის დონესთან შედარებით, 2030 წელს ენერჯის გენერაციისა და გადაცემის სექტორის ემისიებს 77%-ანი ზრდა ექნება და იგი მიაღწევს 6,69 მგტ CO<sub>2</sub> ეკვ.-ის ნიშნულს.

სექტორში დასახული მიზნის მისაღწევად გათვალისწინებული არის შემდეგი ღონისძიებების ჩატარება:

- განახლებადი ენერჯის (ქარის, მზის, ჰიდრო, ბიომასის) წარმოების ხელშეწყობა.

აღნიშნული იქნება მიღწეული 2030 წლისთვის თუ ელექტროენერჯის წარმოებაში განახლებადი ენერჯის (ქარის, მზის, ჰიდროს) წილი გაიზრდება 87%-მდე.

საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად 2023 წლის ჩათვლით, იგეგმებოდა 9 ქარის, 7 მზის და 10 ჰიდრო (13 მგვტ-ზე ზემოთ) სადგურების მშენებლობა, რის შედეგაც საბაზისო სცენართან შედარებით, ემისიები შემცირდება 399 კტ (კილოტონა) CO<sub>2</sub> ეკვ.-ით, 5 კტ CO<sub>2</sub> ეკვ.-ითა და 146 კტ CO<sub>2</sub> ეკვ.-ით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მიზნის მისაღწევად გარდა დაგეგმილი პროექტების განხორციელებისა საჭირო იქნება დამატებითი მხარდაჭერის ზომების გატარება.

- თბოელექტროსადგურების ეფექტურობის გაზრდა;
- გადამცემ ქსელში განახლებადი ენერჯის ინტეგრაციის შესაძლებლობების გაძლიერება;
- ენერჯეტიკის სფეროში ახალი პოლიტიკის დოკუმენტების და კანონმდებლობის შემუშავება და ამოქმედება.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებისა, განახლებადი ენერჯის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როცა ქვეყნის ენერჯეტიკის მდგრადობა დამოკიდებულია მეზობელ ქვეყნებზე. განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენება საგრძნობლად გაძლიერებს ქვეყნის ენერჯოუსაფრთხოებასა და შეამცირებს იმპორტზე დამოკიდებულებას.

შესაბამისად, გონივრულად და შეძლებისდაგვარად გარემოზე მინიმალური ზეგავლენით უნდა განვავითაროთ ადგილობრივი განახლებადი რესურსები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 2030 წლისთვის ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილი უნდა იყოს 35%, რაც დღესდღეისობით მხოლოდ 22-24%-ის ფარგლებშია. ეს არის კიდევ ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომაა საჭიროა სპეციალური მხარდაჭერი მექანიზმების შემოღება განახლებადი ენერჯის წყაროებისთვის.

## 2. მსოფლიოში განახლებადი ენერჯის ათვისების მიმდინარე სიტუაცია


2020 წელს მსოფლიოში განახლებადი ენერჯის განვითარების მდგომარეობა ნაჩვენებია ცხრილში 4. ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგია არის ჰიდროენერჯეტიკა, რომლის დადგმული სიმძლავრე აღწევს 1,2 ტერავატს, თითქმის თანაბარი დადგმული სიმძლავრე გააჩნია მზის PV და ქარის (onshore) სადგურებს 707.5 გიგავატი (გვტ) და 699 გიგავატი შესაბამისად, შემდეგი ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგია კი არის ბიოენერჯია 126 გიგავატით და ა.შ. პროცენტული მაჩვენებელი კი შემდეგნაირად გამოიყურება:

ჰიდროენერჯია- 41,6%, მზის PV- 24,3%, ქარის სადგური (onshore)- 23,9%, ბიოენერჯია- 4,3%, ჰიდრომაკუმულირებელი - 4,2%, ქარის სადგური (offshore)- 1,2% და ბოლოს არის გეოთერმია 0,5%-ით (გრაფიკი 6).

ცხრილი 4.

განახლებად ენერჯიაზე მომუშავე ელექტროსადგურების სიმძლავრე მსოფლიოში 2020 წლის მონაცემებით, (მგვტ)

ძირითადი ტექნოლოგია	მგვტ
ჰიდროენერჯია	1 210 616
ჰიდრომაკუმულირებელი სადგური	121 273
ქარის სადგური (onshore)	698 909
ქარის სადგური (offshore)	34 367
მზის PV სისტემა	707 495
კონცენტრირებული მზის სადგური	6 475
ბიოენერჯია	126 557
გეოთერმია	14 050
<b>სულ</b>	<b>2 919 742</b>




გრაფიკი 6. განახლებადი ენერჯიის განვითარება მსოფლიოში 2020 წლის მონაცემებით, (%)

ცალსახაა, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს განახლებადი ენერჯიის აქტიური განვითარება (ცხრილი 4). მაგალითად, თუ 2010 წელს მსოფლიოში განახლებადი ენერჯიის საერთო დადგმული სიმძლავრე იყო 1224 გვტ, 2020 წელს აღნიშნული რიცხვი გაიზარდა 2,38-ჯერ და გადააჭარბა 2900 გიგავატთან ნიშნულს. 2020 წელს დადგმული სიმძლავრის სიდიდის მიხედვით განახლებადი ენერჯიის ტექნოლოგიებთა ხუთეულში შედიოდა: ჰიდროენერჯია - 1330 გვტ, ქარი




(ორივე ტექნოლოგია) – 733 გვტ, მზე (ორივე ტექნოლოგია) – 714 გვტ, ბიოენერჯია - 126.6 გვტ და გეოთერმია 14 გვტ.

რაც შეეხება იმას, თუ რომელია ყველაზე სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგია ბოლო ათწლეულში, აქ სიტუაცია ასე გამოიყურება: მზის PV – გაზრდილია 667 გვტ-ით, ქარი (onshore) - გაზრდილია 521 გვტ-ით, ჰიდროენერჯია- გაზრდილია 306 გვტ-ით, ქარი (offshore) – 31 გვტ-ით არის გაზრდილი და ა.შ. (გრაფიკი 7).



გრაფიკი 7. განახლებადი ენერჯიის განვითარების ტენდენციები (2010-2020)<sup>1</sup>  
(ფერები: მუქი ლურჯი- ჰიდროენერჯია, ნაცრისფერი -ქარი (onshore), ყვითელი - მზის PV, მწვანე - ბიოენერჯია)



გრაფიკი 8. განახლებადი ენერჯიის განვითარების ტენდენციები

<sup>1</sup> <https://www.irena.org/Statistics/View-Data-by-Topic/Capacity-and-Generation/Statistics-Time-Series>



მსოფლიოში განახლებადი ენერჯის განვითარება სხვადასხვა ტემპებით მიმდინარეობს. 2020 წელს დადგმული სიმძლავრის სიდიდის მიხედვით განახლებადი ენერჯია ყველაზე მეტად განვითარდა აზიაში, სადაც საერთო დადგმული სიმძლავრე იყო 1286 გვტ-ის ტოლი. სხვა რეგიონებში კი სიტუაცია ასე გამოიყურება: ევროპა - 609 გვტ, ჩრდილოეთი ამერიკა - 421 გვტ, სამხრეთი ამერიკა - 233 გვტ, ევრაზია- 110 გვტ , აფრიკა- 53 გვტ, ოკეანეთი - 44 გვტ, ახლო აღმოსავლეთი - 24 მგვტ და ბოლო ადგილზეა ცენტრალური ამერიკა და კარიბები, სადაც განახლებადების საერთო დადგმული სიმძლავრე - 16 გვტ-ია (გრაფიკი 8).

**რეგიონების მიხედვით (2010-2020)<sup>1</sup>**

ბოლო ათწლეულში ყველაზე მეტი განახლებადი ენერჯია კვლავ აზიაში იყო ათვისებული, სადაც თითქმის 900 გვტ-ით გაიზარდა განახლებადების დადგმულის სიმძლავრე. მეორე ადგილზე ევროპაა, სადაც 300 გვტ-ზე ოდნავ ნაკლები დადგმული სიმძლავრის მქონე განახლებადი ენერჯის სადგურები შევიდნენ ექსპლუატაციაში 2010 წლიდან 2020 წლამდე. სხვა რეგიონებში კი სიტუაცია ასე გამოიყურება: ჩრდილოეთი ამერიკა - 180 გვტ, სამხრეთი ამერიკა - 86 გვტ, ევრაზია - 40 გვტ, აფრიკა - 26 გვტ, ოკეანეთი - 25 გვტ, ახლო აღმოსავლეთი - 12 გვტ, ხოლო ცენტრალურ ამერიკასა და კარიბებზე ბოლო ათი წლის განმავლობაში 8,5 გვტ დადგმული სიმძლავრის მქონე განახლებადების სადგური შევიდა ექსპლუატაციაში.

ასევე, საინტერესოა თუ რომელი ქვეყნები ლიდერობენ სხვადასხვა განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების ათვისების კუთხით 2020 წლის მონაცემებით.

**1) ჰიდროენერჯია (გარდა ჰიდრომაკუმულირებელი სადგურებისა)**

**ცხრილი 5.**

**ქვეყნების სია, სადაც ყველაზე მეტად ათვისებულია ჰიდროენერჯია, (2020 წელი)**

ქვეყანა	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)
ჩინეთი	340 000
ბრაზილია	109 000
აშშ	84 000
კანადა	81 000
რუსეთი	50 000

**2) ქარის ენერჯია**

**ცხრილი 6.**

**ქვეყნების სია, სადაც ყველაზე მეტად ათვისებულია ქარის ენერჯია, (2020 წელი)**

ქვეყანა	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)
ჩინეთი	282 000
აშშ	118 000
გერმანია	62 000
ინდოეთი	38 000
ესპანეთი	27 000

**3) მზის ენერჯია**

**ცხრილი 7.**

**ქვეყნების სია, სადაც ყველაზე მეტად ათვისებულია მზის ენერჯია, (2020 წელი)**

ქვეყანა	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)
ჩინეთი	254 000
აშშ	75 000
იაპონია	67 000
გერმანია	54 000
ინდოეთი	39 000

<sup>1</sup> <https://www.irena.org/Statistics/View-Data-by-Topic/Capacity-and-Generation/Regional-Trends>

4) გეოთერმული ენერჯია

ცხრილი 8.

ქვეყნების სია, სადაც ყველაზე მეტად ათვისებულია გეოთერმული ენერჯია, (2020 წ.)

ქვეყანა	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)
აშშ	2 600
ინდონეზია	2 100
ფილიპინები	1 900
თურქეთი	1 600
ახალი ზელანდია	984

5) ბიოენერჯია

ცხრილი 9.

ქვეყნების სია, სადაც ყველაზე მეტად ათვისებულია ბიოენერჯია, (2020 წელი)

ქვეყანა	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)
ჩინეთი	18 600
ბრაზილია	15 600
აშშ	12 300
ინდოეთი	10 500
გერმანია	10 300

2. განახლებადი ენერჯია და საქართველო: არსებული სიტუაცია და განვითარების შესაძლებლობები

როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებას ხელი მოეწერა 2014 წლის ივნისში, რომელიც ძალაში 2016 წლის 1 ივლისს შევიდა. 2016 წლის 14 ოქტომბერს კი საქართველომ ხელი მოაწერა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმს. ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებით ნაკისრი ვალდებულებები გულისხმობს ადგილობრივ კანონმდებლობაში ევროკავშირის ენერგეტიკის სფეროში მოქმედი დირექტივებისა და რეგულაციების ასახვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს როგორც ზოგადად ენერგეტიკული ბაზრის გარდაქმნას, ასევე პირდაპირ და ირიბად განახლებადი ენერჯიის განვითარებას.


„განახლებადი ენერჯიის წყაროებიდან ენერჯიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ“ N2009/28/EC დირექტივა აწესებს სავალდებულო ეროვნულ სამიზნე მაჩვენებლებს განახლებადი ენერჯიის საერთო წილისთვის ენერჯიის მთლიან საბოლოო მოხმარებაში და სამიზნე მაჩვენებლებს განახლებადი ენერჯიის წილისთვის ტრანსპორტში.

2018 წლის ენერგეტიკული ბალანსის თანახმად, ქვეყანაში წარმოებულ ელექტროენერჯიაში განახლებადი ენერჯიის წილი 76%-ია, ხოლო მთლიანი პირველადი ენერჯიის მოწოდებაში - მხოლოდ 24%. მათ შორის, ჰიდროენერჯიის წილი 17.7%-ია, ბიოსაწვავი (ძირითადად შუშა) და ნარჩენები - 5.6%, გეოთერმული, მზე და სხვა - 0.6% (გრაფიკი 9).

გარდა ამისა, განახლებადი ენერჯიის სექტორის გასაძლიერებლად შესაძლოა აშენდეს შემნახველი ბატარეების სისტემა, ასევე ჰიდრომაკუმულირებელი სადგურები, ამის განხორციელების შედეგად უფრო მარტივი იქნებოდა ქარისა და მზის სადგურების ქსელში ინტეგრირება.

### ჰიდროენერჯია

საქართველოში არსებული 26000 მდინარიდან ენერგეტიკული პოტენციალი გააჩნია 319 მდინარეს. მათი ეკონომიკური პოტენციალია დაახლოებით 40 ტვტ.სთ, აქედან ამ ეტაპზე ათვისებულია დაახლოებით 27% (2022 წლის მონაცემებით).



გრაფიკი 9. მთლიანი პირველადი ენერჯის მიწოდება, 2018 წ.

### ქარის ენერჯია

საქართველოს გააჩნია ქარის ენერჯის მნიშვნელოვანი პოტენციალი. ქარის ელექტროსადგურებისთვის ყველაზე ხელსაყრელი ტერიტორიები მდებარეობს კავკასიის მაღალმთიან ზონაში, რიკოთის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე (მთა საბუეთი), ჯავახეთის ზეგანზე და ქვეყნის შავი ზღვისპირეთის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილებში. ამ ტერიტორიებზე ქარის მუშა სიჩქარეები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან გეოგრაფიული მდებარეობისა და სეზონების მიხედვით, ხოლო საერთო ხანგრძლივობა წელიწადში 1400-დან 7100 საათამდე ფარგლებში მერყეობს.

ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილია ქარის ელექტროსადგურების მშენებლობის რამდენიმე პერსპექტიული მოედანი, რომლებიც განთავსებულია ფოთის, ქუთაისის, რუსთავის, თბილისის, რიკოთის უღელტეხილისა (მთა საბუეთი) და მდინარე ჭოროხის მიმდებარე ტერიტორიებზე. მუშა სიჩქარის მქონე ქარების ჯამური წლიური პოტენციალი 4,5 ტვტ.სთ-ია, დადგმული სიმძლავრით - 1500 მგვტ, საიდანაც მხოლოდ 2%-მდე არის ათვისებული.

ვინაიდან ქარის სადგურებისათვის დამახასიათებელია არასტაბილური, ძნელად პროგნოზირებადი გამომუშავება, აღნიშნული გარკვეულ ტექნიკურ პრობლემებს უქმნის ენერგოსისტემის მდგრადობას, რისთვის საჭიროა სიმძლავრის სარეზერვო წყაროების არსებობა. საქართველოს პირობებში ამ შემთხვევაში ყველაზე ოპტიმალური არის მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა და გამოყენება.

## **მზის ენერჯია**

საქართველოს უმეტეს ნაწილში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა დაახლოებით 1900-2000 საათია. მზის წლიური ჯამური რადიაცია რეგიონების მიხედვით 1300-1800 კვტ.სთ/მ<sup>2</sup> დიაპაზონში მერყეობს. მზის ენერჯიის სრული წლიური ეკონომიკური პოტენციალი საქართველოში წლიურად 34 ათასი ტონა პირობითი სათბობის ეკვივალენტურია. მზის ენერჯიის ეფექტური ათვისების თვალსაზრისით ყველაზე პერსპექტიულია იორის ზეგანი, ხოლო ყველაზე ნაკლებ პერსპექტიული - შავი ზღვის სანაპირო.

საქართველოს მთიან რეგიონებში განლაგებული მზის PV მიკროელექტროსადგურები ძნელად მისასვლელი და მცირედ დასახლებული სოფლების ენერჯიით მომარაგების ერთ-ერთ ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს. პერსპექტიულად არის მიჩნეული აგრეთვე მზის კოლექტორების გამოყენება ცხელწყალმომარაგებისათვის საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე, თუმცა, ფაქტობრივად ათვისებულია ქვეყნის მზის პოტენციალის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი.

სოფელ უდაბნოში დაგეგმილია მზის ელექტროსადგურის პირველი საპილოტე პროექტის განხორციელება, სავარაუდო დადგმული სიმძლავრით 5 მგვტ-მდე და საშუალო წლიური გამომუშავებით - დაახლოებით 8,2 მლნ. კვტ.სთ.

ასევე, განიხილება ქალაქ გარდაბნისა და სოფელ კალინინის ტერიტორიაზე 50 მგვტ-მდე სიმძლავრის მზის ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობა.

მზის ელექტროსადგურების ფართო გავრცელების შემთხვევაში, საქართველოში საჭირო იქნება სარეზერვო ელექტროგენერაციის სიმძლავრეების ან თანამედროვე ენერჯიის შემნახველი ბატარეების დამონტაჟება, რადგან მზის ელექტროსადგურის გამომუშავების პროგნოზირება თითქმის შეუძლებელია. მზის ელექტროსადგურების მშენებლობა ჰიდრომაკუმულირებელ სადგურებთან სინქრონულ რეჟიმში მუშაობის უზრუნველყოფით ან ენერჯიის შენახვით ხელს შეუწყობს ქვეყნის იმპორტირებულ ენერჯომემცველებზე დამოკიდებულების შემცირებას.

## **გეოთერმული ენერჯია**

საქართველოს ტერიტორიაზე გეოთერმული რესურსების საერთო პროგნოზული მარაგი წელიწადში დაახლოებით 250 მლნ. მ<sup>3</sup>-ს შეადგენს. ქვეყნის გეოთერმული წყლების ტემპერატურა 30-110°C-ის ფარგლებში მერყეობს.

დღეისათვის ცნობილი 250-ზე მეტი ბუნებრივი და ხელოვნური ჭაბურღილი, რომლებიც დაჯგუფებულია 44 გეოთერმულ საბადოდ, აქედან 80%-ზე მეტი დასავლეთ საქართველოშია. გეოთერმული წყლების სამრეწველო მარაგები დაახლოებით 80 ათას მ<sup>3</sup>-ს შეადგენს დღე-ღამეში. გეოთერმულ წყლები დღეისათვის ძირითადად საყოფაცხოვრებო ან სოფლის მეურნეობის (ძირითად სათბურებში) მიზნებისათვის გამოიყენება. ქვეყნის ენერგეტიკულ ბალანსში გეოთერმული ენერჯიის წილი უმნიშვნელოა.

საქართველოს გეოთერმული ენერჯიის პოტენციალის ათვისების მიზნით გათვალისწინებულია ინვესტორების მოზიდვისა და ზოგადად დარგის განვითარების ხელშეწყობა. ასე მაგალითად, „მერების შეთანხმების“ ინიციატივის ფარგლებში განიხილება მუნიციპალურ შენობების (საბავშვო ბაღები, სკოლები) გათბობა-ცხელწყალმომარაგების მიზნით გეოთერმული ენერჯიის გამოყენება სახელმწიფო ან საგრანტო დაფინანსებით.

## **ბიომასა**

საქართველოს ტყეების 1 ჰექტარზე მერქნის საშუალო რაოდენობა ოდნავ აღემატება 100 მ<sup>3</sup>, მერქნის საერთო წლიური ნამატი კი დაახლოებით 3,6 მლნ მ<sup>3</sup>-ს შეადგენს. ექსპერტული შეფასებით ენერგეტიკული მიზნებისთვის შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას სრული ტყის

მერქნის წლიური ნამატის არაუმეტეს 15-20%. შესაბამისად, საქართველოს ყველა ტყის ენერგეტიკული პოტენციალი დაახლოებით 550 ათას მ<sup>3</sup>-ს შეადგენს.

საქართველოში დღეისათვის უკვე დასრულებულია ან მიმდინარეობს სხვა სახის ბიომასის გამოყენების მცირემასშტაბიანი საპილოტე პროექტები (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაჭახელას ხეობაში და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში თხილის ნაჭუჭის, ხოლო თელავის მუნიციპალიტეტის ბაღებში - ვაზის ნასხლავის გამოყენება), ძირითადად დონორი ორგანიზაციების ფინანსური ხელშეწყობით.

## ბიოგაზი

### ბიოგაზის დანადგარების გამოყენება ფერმერულ მეურნეობაში

საქართველოში აგრარული სექტორის განვითარება ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშველოვანი დარგია. აღნიშნული სექტორის განვითარების ხელშეწყობისათვის სხვადასხვა დარგებთან ერთად, ერთ-ერთი პრიორიტეტულია ბიოტექნოლოგიების, კერძოდ კი ბიოგაზის დანადგარების დანერგვა-გავრცელება.

ბიოგაზი ეკოლოგიურად სუფთა ბიოსაწვავია, რომელიც შეიძლება ვაწარმოოთ ჩვენი ხელით. ის ბუნებრივი აირის მსგავსია. ბიოგაზი მიიღება ანაერობული ბაქტერიების მიერ ცხოველური ნარჩენების (ნაკელის ანუ ექსკრემენტის) გადამუშავების გზით. დუღილი მიმდინარეობს მოცულობის უჟანგბადო სივრცეში, რომელსაც ბიორეაქტორს უწოდებენ. ბიოგაზის გამომუშავების სიჩქარე დამოკიდებულია ბიორეაქტორში ჩატვირთული ნარჩენების რაოდენობაზე. ბაქტერიების გავლენის შედეგად ნედლეულიდან (ნარჩენებიდან) გამოიყოფა მეთანისა და ნახშირორჟანგის ნარევი სხვა აიროვან მინარევებთან ერთად (ცხრილი 10). წარმოშობილი აირი გაიყვანება ბიორეაქტორიდან, გაიწმინდება და შეიძლება გამოყენებული იყოს საკუთარი საჭიროებისათვის.

### ცხრილი 10.

#### ბიოგაზის საორიენტაციო შემადგენლობა.

(შემადგენელი ნივთიერების კონცენტრაცია დამოკიდებულია გამოყენებულ ნედლეულზე და ტექნოლოგიაზე)

დასახელება	ამიაკი NH <sub>3</sub>	გოგირდწყალბადი H <sub>2</sub> S	წყალბადი H <sub>2</sub>	ნახშირორჟანგი CO <sub>2</sub>	მეთანი CH <sub>4</sub>
პროცენტი	1%	2%	1%	26-36%	60-70%

ბიოგაზის დანადგარის მუშაობის შედეგად მიიღება მაღალი ხარისხის ეკოლოგიურად სუფთა სასუქი, რომელიც შეიცავს ყველა საჭირო კომპონენტს - აზოტს, ფოსფატს, კალიუმს, მიკრო და მაკრო ელემენტებს. არ შეიცავს პათოგენურ მიკროფლორას, გელმიტების კვერცხებს, სარეველა მცენარეების თესლს, ნიტრიტებს და ნიტრატებს, სპეციფიკურ ფეკალურ სუნს. ასეთი თხევადი სასუქები უზრუნველყოფენ მოსავლიანობის გაზრდას 2-3 ჯერ მცენარეთა სახეობების მიხედვით, აუმჯობესებს ნიადაგის მდგომარეობას, ამცირებს ნიადაგის მჟავიანობას, ზრდის მცენარეების მდგრადობას გარემოს ზეგავლენის მიმართ, განსაკუთრებით გვალვის დროს. მათი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ კლიმატურ ზონაში ყველა სახის ნიადაგისათვის.

ბაქტერიები, რომლებიც გამოყოფენ მეთანს, მიძინებულ მდგომარეობაში იმყოფებიან უშუალოდ ნედლეულში. მათი აქტიურობა იზრდება გარკვეული ტემპერატურის დროს. ტემპერატურული რეჟიმი, რომლის დროსაც მიმდინარეობს მეთანური დუღილი, დაყოფილია სამ ტიპად. ფსიქოტროპული ტემპერატურული რეჟიმი ხორციელდება დიაპაზონში 20°C -დან 25°C -მდე, მეზოფილური 25°C -დან 40°C -მდე, თერმოფილური 40°C -ზე მეტი ტემპერატურის დროს. ფსიქოტროპული რეჟიმი არ მოითხოვს დამატებით შეთბობას. მიმდინარეობს დამატებითი ტემპერატურული კონტროლის გარეშე და გამოიყენება ისეთ კლიმატურ ზონებში, სადაც საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს არა ნაკლებ 18-20°C. მეზოფილური და

თერმოფილური პროცესები მოითხოვენ გარე სითბოს წყაროს არსებობას და ტემპერატურის კონტროლს. რაც უფრო მაღალია ტემპერატურა მით უფრო მეტი წარმადობით მიმდინარეობს ბიოგაზის წარმოშობა, მაგრამ მაღალი ტემპერატურის დროს მეთანის შემცველობის პროცენტი ბიოგაზში შეიძლება შემცირდეს. ამის გარდა გადამუშავებულ პროდუქტში ნაკლები იქნება აზოტის შემცველობა. თერმოფილური რეჟიმის გამოყენებისას ნარჩენებისა და ფეკალური მასების გაუფნებლობა მიმდინარეობს უკეთესი ხარისხით, ვიდრე მეზოფილური რეჟიმის დროს. ამდენად, თერმოფილური რეჟიმის გამოყენება მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როცა უმთავრესია სანიტარული დამუშავების უზრუნველყოფა. პრაქტიკაში ძირითადად გამოიყენება ბიოგაზის მიღების მეზოფილური რეჟიმი.

სოფლის კერძო და ფერმერული მეურნეობების ხელშეწყობისათვის აჭარის რეგიონში განხორციელდა პროექტი „ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიები აჭარის მაღალმთიანეთში“. პროექტი განხორციელდა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირის მიერ აშშ საელჩოს დემოკრატიის კომისიის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ძირითადი მიზანი იყო მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის თემის მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდა ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების დანერგვის საშუალებით. პროექტი განხორციელდა ქედის მუნიციპალიტეტში, სადაც ოთხ თემში (დაბა ქედი - სოფელი კორმოხედი; მერისის თემი - სოფელი მერისი; ცხმორისისთემი - სოფელი კოკოტაური; პირველი მაისის თემი - სოფელი კოლოტაური) აშენდა საცდელ-სადემონსტრაციო სათბური და ბიოგაზის მისაღები დანადგარი.

ნაკელის ის რაოდენობა, რომელიც მიიღება საძოვრებზე გასული ერთი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისაგან, იანგარიშება ფორმულით:

$$H = [(C_{შპრ} - A) \cdot \frac{100 - k}{100} + A] \cdot 10 + P$$

- სადაც  $C_{შპრ}$  პირუტყვის რაციონში მშრალი ნივთიერების რაოდენობაა, ტ;
- $A$  - საკვების მშრალი ნივთიერების დანაკარგები, რომელიც გადადის ნაკელში, ტ;
- $k$  - რაციონის მშრალი ნივთიერების გადამუშავების კოეფიციენტი (მსხვილი რქოსანი პირუტყვისათვის 55%);
- $P$  - პირუტყვის საფენის რაოდენობა, ტ.

ზამთრის პერიოდში, სადგომში მდგარი პირუტყვისათვის ნაკელის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$H = 4 \left( \frac{K_{შპრ}}{2} + P \right)$$

სადაც  $K_{შპრ}$  პირუტყვის რაციონში მშრალი ნივთიერების რაოდენობაა, ტ.

კერძო სასოფლო მეურნეობაში (თუ ეს არ ეხება მსხვილ და საშუალო სიდიდის ფერმებს) ასეთი ფორმულებით ნაკელის რაოდენობის გაანგარიშება გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს ფერმერისათვის. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ფორმულებში შემავალი სიდიდეები განსხვავდებიან იმის და მიხედვით, თუ როგორია პირუტყვის შენახვის პირობები და მათი რაციონი. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნაკელის რაოდენობის გაანგარიშებისათვის ვისარგებლოთ ნორმატიული დოკუმენტებით (ცხრილი 11.).

ცხრილი 11.

ნაკელის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები

პირუტყვის ჯგუფი	მაჩვენებლები	ექსკრემენტის შემადგენლობა		
		ექსკრემენტი	მათ შორის	
			განავალი	შარდი
ხარი	მასა, კგ	40,0	30,0	10,0
	ტენიანობა, %	86,0	83,0	95,0
მეწველი ძროხა	მასა, კგ	55,0	35,0	20,0
	ტენიანობა, %	88,4	85,2	94,1
ხზო				
3 თვემდე	მასა, კგ	4,5	1,0	3,5
	ტენიანობა, %	91,8	80,0	95,1
6 თვემდე. სახორცე გამოკვებამდე 4 თვემდე	მასა, კგ	7,5	5,0	2,5
	ტენიანობა, %	87,4	83,0	96,2
სახორცე გამოკვებამდე 4-დან 6 თვემდე	მასა, კგ	14,0	10,0	4,0
	ტენიანობა, %	87,2	83,5	96,5
ნაზარდი				
6-12 თვე	მასა, კგ	14,0	10,0	4,0
	ტენიანობა, %	87,2	83,5	96,5
12-18 თვე	მასა, კგ	27,0	20,0	7,0
	ტენიანობა, %	86,7	83,5	96,0
გამოკვებაზე				
6-12 თვე	მასა, კგ	26,0	14,0	12,0
	ტენიანობა, %	86,2	79,5	94,1
12 თვეზე მეტი	მასა, კგ	35,0	23,0	12,0
	ტენიანობა, %	84,9	80,1	94,2
შენიშვნა: ექსკრემენტების მშრალი ნივთიერების სიმკრივე მიიღება 1250 კგ/მ <sup>3</sup> , მშრალი ნივთიერების ნაცრიანობა - 16%				

როგორც მე-11 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, მერძევე ძროხა იძლევა 88,4% ტენიანობის 55 კგ ექსკრემენტს. ეს კი შეესაბამება 12,5 კგ 20%-იან მშრალ ნაკელს.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 100 კგ მშრალი ნივთიერება იძლევა 2,5-5,0 მ<sup>3</sup> ბიოგაზს. 6-10 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისაგან დღე-ღამეში საშუალოდ ვლბულობთ 75-125 კგ ნაკელს, რაც გვაძლევს 3,0-5,0 მ<sup>3</sup> ბიოგაზს. სხვადასხვა საქონლის ექსკრემენტების გამოყენების შემთხვევაში ცხრილში 12 მოყვანილია ბიოგაზის გამოსავლიანობა კილოგრამ მშრალ ნივთიერებაზე.

ცხრილი 12.

ბიოგაზის გამოსავლიანობა კილოგრამი მშრალი ნარჩენებიდან

საქონელი	ბიოგაზის გამოსავლიანობა ლ/კგ-მშრ. ნივთიერება
ღორი	340-550
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	90-310
ქათამი	310-620
ცხენი	310-620
ცხვარი	90-310

მიღებული ბიოგაზის რაოდენობის 2/3 არის მეთანი, რომლის კალორიულობა შეადგენს 4500-6000 კკალ/მ<sup>3</sup>. ოჯახში რვა მერძევე ძროხის ყოლის შემთხვევაში დღე-ღამეში მივიღებთ საშუალოდ 100 კგ ნაკელს, მისგან კი 3,0-5,0 მ<sup>3</sup> ბიოგაზს, თბოუნარიანობით 13500-30000 კკალ/დღე-ღამე., ან 0,65-1,45 კვტ.სთ/დღე-ღამეში.

ასეთი რაოდენობის ენერგია სავსებით საკმარისია ოჯახის ენერგეტიკული უზრუნველყოფისათვის საჭმლის მომზადებისა და ცხელი წყალმომარაგების პროცესების განსახორციელებლად, გარდა საცხოვრებელი შენობის გათბობისა. ბიოგაზის დანადგარის მოცულობები საქონლის რაოდენობის მიხედვით მოცემულია ცხრილში 13.

**ცხრილი 13.**

**ბიოდანადგარის მოცულობა და საქონლის რაოდენობის თანაფარდობა**

ბიოდანადგარის მოცულობა / შინაური ცხოველები	4,6 მ <sup>3</sup>	8 მ <sup>3</sup>	12 მ <sup>3</sup>	16 მ <sup>3</sup>
მერძევე ძროხა	2	3	5	8
მეხორცული ძროხა	3	6	12	18
ხარი	2	3	8	13
ღორი	10	15	25	38

ბიოდანადგარი წარმოადგენს საკმაოდ მარტივ ბეტონის კონსტრუქციას დახურულს ლითონის ზარხუფით. ტიხრის ქვედა ნაწილში დატოვებულია ნახვრეტი ფართობით 0,5 მ<sup>2</sup>. კონსტრუქციის ორივე მხრიდან მიერთებულია მილები: პირველი - ბიოდანადგარში საქონლის ექსკრემენტების მისაწოდებლად, მეორე - გადამუშავებული ნაკელის ბუნკერში მისაწოდებლად. კონსტრუქციული ელემენტების ზომების გათვალისწინებით, ბიოგაზის დანადგარის ზომები და მოცულობა შეიძლება მიღებული იყოს შემდეგი თანაფარდობის მიხედვით (ცხრილი 14). დანადგარის ირგვლივ სასურველია თიხის 150-200 მმ გარსაცმის (ფენის) მოწყობა.

**ცხრილი 14.**

**ბიოგაზის დანადგარის საორიენტაციო ზომები**

სიმაღლე, მ	შიდა რადიუსი, მ	გარე რადიუსი, მ	ბიოგაზის დანადგარის მოცულობა, მ <sup>3</sup>
2,1	1,15	1,45	4,6
2,3	1,46	1,76	8,0
2,42	1,70	1,99	12,0
2,46	1,94	2,24	16,0
2,72	2,43	2,73	30,0

მოყვანილი რეკომენდაციების და მონაცემების მიხედვით კერძო პირს შეუძლია დამოუკიდებლად ააგოს ბიოგაზის დანადგარი მსხვილი რქოსანი პირუტყვის (ან სხვა საქონლის) რაოდენობის მიხედვით და მიიღოს როგორც ბიოგაზი ასევე მაღალი ხარისხის ორგანული სასუქი.

**ბიოაირული ტექნოლოგიების გამოყენების ეკოლოგიური და ეკონომიკური ასპექტები**

ორგანული ნარჩენების ანაერობული გადამუშავება (რომლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ბიოპოლიმერები) ბიოაირის ენერჯისა და სასუქების მიღებით, მიეკუთვნება რესურსულ და ენერგოდამზოგავ ტექნოლოგიებს. ელექტროენერჯის მისაღებად, ცხელი წყლით



მომარაგებისათვის და შენობის გასათბობად იწვება ორგანული სათბობის უზარმაზარი რაოდენობა. ეს, გარდა ბუნებრივი რესურსების ერთ-ერთი სახეობის ამოწურვისა, იწვევს ატმოსფეროს გაჭუჭყიანებას, ნიადაგის ზედაპირისა და მიწისქვეშა წყლების დაბინძურებას. შესაბამისად, ენერგოეფექტურობის ზრდის ერთ-ერთი უპირატესობაა გარემოს დაბინძურების დონის შემცირება.

ბიოაირის წარმოებას და უტილიზაციას როგორც გლობალური, ასევე ლოკალური ხასიათის ეკოლოგიური უპირატესობები გააჩნია. გლობალურ უპირატესობებს განეკუთვნება:

- წიაღისეული სახეობის საწვავის მოხმარების შემცირება და ამით მათი ამოწურვის ვადის გახანგრძლივება;

- ენერჯის პრაქტიკულად ამოწურავი წყაროს მიღება, ვინაიდან ბიომასის (ბიოორგანული ნარჩენების ჩათვლით) აღდგენა ხდება მუდმივად;

- სათბურის აირების დაგროვების არარსებობა და ამით ჰავის დაცვა.

ბუნებაში მეთანოგენეზი როგორც მეთანის ბიოსინთეზის პროცესი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნახშირბადის გამოყენებისას. ანთროპოგენული ორგანული ნარჩენების შეგნებულად ამ პროცესში ჩართვით და შემდგომ მიღებული ბიოაირის უტილიზირებით, ჩვენ ვამცირებთ გარემოზე ზემოქმედებას როგორც ნარჩენების დაშლის დაჩქარებითა და რაოდენობისა და მოცულობის შემცირებით, ასევე ნახშირორჟანგზე გაცილებით ძლიერი აირის - მეთანის გაფრქვევის შემცირებით.

თუ ჩვენ ორგანული სუბსტანციის სახით ნაკელს გამოვიყენებთ, მაშინ საერთოდ შევწყვეტთ მეთანის ემისიას. გარდა ამისა, ნაკელის გამოყენება ბიოაირის საწარმოებლად ამცირებს ორგანული სათბობის დაწვის შედეგად მიღებული ნახშირორჟანგის, როგორც წვის პროდუქტის ემისიას გარემოში ჯერ ერთი იმის გამო, რომ ნახშირბადის დიდი რაოდენობა გარდაიქმნება მეთანად და, მეორეც, ხდება წიაღისეული სახეობების საწვავის ჩანაცვლება. ტრანსპორტირებისას, სატრანსპორტო საშუალებების გადასვლა ბენზინიდან და დიზელის საწვავიდან ნაკელის ბიოაირზე CO<sub>2</sub>-ის გარემოში ემისიას ამცირებს 180%-ით. ეს კი იძლევა მნიშვნელოვან ეკოლოგიურ ეფექტს, განსაკუთრებით კი მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სხვა დამაბინძურებელი ნივთიერებების (წვის პროდუქტების) რაოდენობის შემცირების ხარჯზე, რომელიც თან სდევს თხევადი სახის ორგანული საწვავის დაწვას უფრო მეტად, ვიდრე ელექტროენერჯის გამოსამუშავებლად ბიოაირის გამოყენებას.

ბიოაირული ტექნოლოგიების გამოყენებისას კონკრეტული ტერიტორიებისათვის ძირითადი ეკოლოგიური უპირატესობებია:

- ნარჩენების რაოდენობის, მათი დაგროვების მოცულობისა და, შესაბამისად, გარემოს დაბინძურების შემცირება;

- წიაღისეულ საწვავთან შედარებით ნაკლები რაოდენობის მავნე ნივთიერებებით ადგილობრივი გარემოს (ჰაერის) დაბინძურების შემცირება;

- აგროსამრეწველო კომპლექსების საწარმოების უშუალო სიახლოესთან მდებარე სივრცის ეკოლოგიური უსაფრთხოება;

- ჩამდინარე წყლებში ორგანული ნივთიერებების შემცველობის შემცირება;


- ნარჩენების შესანახად და დასამარხად გამოყოფილი ტერიტორიების შემცირება, ხოლო სოფლების ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაცილებით რაციონალური გამოყენება;

- მეცხოველეობის ნარჩენების უტილიზაციის ვადების შემცირება;

- რიგი სანიტარულ-ჰიგიენური ამოცანების გადაჭრა, ისეთების, როგორცაა: გარემოს ეპიდემიოლოგიური გაუმჯობესება ნარჩენებში არსებული პათოგენური მიკროფლორის მოსპობის შედეგად, უსიამოვნო სუნის შემცირება და ა.შ.

ნაკელი, ორგანული ნარჩენების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილტონაჟიანი სახეობაა. იგი მიეკუთვნება არასტაბილურ ორგანულ კონტამინანტებს და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით ადამიანებსა და ცხოველებში 100-ზე მეტი სხვადასხვა დაავადების გადადების ფაქტორია. ამის გარდა, ნაკელი გამოირჩევა ეკოლოგიურად საშიში ნივთიერებების: ამიაკის, გოგირდწყალბადის, მერკაპტანის, ფენოლის, მძიმე მეტალების, მარილებისა და ა.შ. მაღალი შემადგენლობით. გარემოს ქიმიური დაბინძურების დონით იგი 10-ჯერ უფრო სახიფათოა მყარ საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან შედარებით. მეცხოველეობის კომპლექსებში ნაკელი, იმის გამო, რომ მას სასუქად არ იყენებენ, გროვდება დიდი რაოდენობით. ნაკელის ბიოაირად გადამუშავებისას, სასაქონლო პროდუქციის მიღების გარდა, ხდება აგრეთვე პროდუქციის გაწმენდა, რამდენადაც ანაერობული დუღილი უზრუნველყოფს დეჰერმიტიზაციას, სარეველების თესლის აღმოცენების უნარის დაკარგვას, მიკროორგანიზმების პათოგენური ფორმების დათრგუნვას, გადამუშავებული პროდუქტის ღირებულების ზრდას და ბიოაირის მიღებას (გრაფიკი 10).

ჩამდინარე წყლების ანაერობული მეთოდით გაწმენდისას წარმოიქმნება გაცილებით ნაკლები ნალექი, რამდენადაც მეთანოგენები, აერობული მიკროორგანიზმებისაგან განსხვავებით, მატულობს ძალიან ნელა და მცირე ბიომასას აგროვებს, იმიტომ რომ წყალბადისა და ნახშირორჟანგისგან მეთანის წარმოქმნის მექანიზმები, თუმცა კი ეზოთერმულია, მაგრამ ენერჯის გამოყოფა მცირეა. 1 კგ სუბსტრატის გადამუშავებისას აერობულ პირობებში წარმოიქმნება 0,5 კგ ხოლო ანაერობულში - 0,1 კგ ლამი. ზედმეტი აერობული აქტიური ლამი ნარჩენია, რომელიც საჭიროებს შემდგომ უტილიზაციას და ჩამარხვას, ხოლო ანაერობული აქტიური ლამი ფასეული სასაქონლო პროდუქტია.



გრაფიკი 10. ცხოველთა ნაკელისაგან ნახშირბადის განაწილება ბიოაირის წარმოებისას და ნაკელის ტრადიციული მეთოდით გადამუშავებისას

ბიოაირის წარმოების ეკონომიკური ასპექტები ასეთია. დღეს ბიოაირისაგან ელექტროენერჯის წარმოებაზე ხვედრითი ხარჯები 4-5-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ბუნებრივი აირისაგან ელექტროენერჯის წარმოებაზე, მაგრამ ბიოაირის დანადგარების ნაზღაურობის ვადა შედარებით ნაკლებია. ეკონომიური ფაქტორები როგორც მასტიმულირებელ, ასევე შემაკავებელ ზემოქმედებას ახდენენ ქვეყანაში ბიოაქტიური ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობაზე. თანაც ეს ფაქტორები შეიძლება იყოს სახელმწიფო, რეგიონული ან ადგილობრივი მასშტაბის.

ბიოაირულ დანადგარებზე ნარჩენების გადამუშავებისას მიიღება რამდენიმე სახის სასაქონლო პროდუქცია:

- ბიოაირი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც საწვავი უშუალოდ დაწვისას, ნაცვლად ჩვეულებრივი ბუნებრივი აირისა, ან ელექტროენერჯისა და თბური ენერჯის გამოსამუშავებლად. ბიოაირი შეიძლება დავაგროვოთ, შევკუმშოთ, გადავტუმხოთ და გაწმენდის შემდეგ გამოვიყენოთ:  $H_2S$ -გან ელექტროენერჯის მისაღებად,  $CH_4$ -გან ავტოტრანსპორტის გასაწყობად. ბიოაირის ეფექტური წარმოება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აირის ჯამური ენერჯია მნიშვნელოვნად მეტი იქნება მის წარმოებაზე ენერჯის ხარჯებისა;

- ბიოსასუქები. იგი წარმოადგენს ანაერობული დუდილის შემდგომ ნარჩენებისგან მიღებულ, ეკოლოგიურად სუფთა, აგრონომიულად მაღალეფექტურ მყარი სასუქს, რომელიც მოსავლიანობას 40-50%-ით ზრდის.

- ნახშირორჟანგის აირი, გამოყოფილი ბიოაირისაგან მისი გაწმენდისას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ან ნახშირორჟანგის საწარმოებლად ან სათბურებში მცენარეთა საკვებად. იქ, სადაც გამოიყენება კვოტები სათბური აირების გამოფრქვევაზე,  $CO_2$ -ის ატმოსფეროში ემისიის შემცირების ეფექტი ორგანული ნარჩენების გამოყენების პროექტს რაციონალურს ხდის. კერძოდ (საქონლის ნაკელის გამოყენება). ორხუსის (დანია) უნივერსიტეტის მკვლევარებმა გამოიანგარიშეს საბაზრო ფასი ატმოსფეროში  $CO_2$ -ის გამოფრქვევის შესამცირებლად, რამაც შეადგინა 10-12 ევრო 1 ტ  $CO_2$ -ზე.

ბიოაირული ტექნოლოგიების დადებით ეკონომიკურ ასპექტებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- საწვავითა და ენერჯით თვითუზრუნველყოფა;
- იაფი (თითქმის უფასო) და საკმაო რაოდენობის საწყისი ნედლეული (ნარჩენები);
- საწვავის და ენერჯის მიწოდებისას წყვეტის არარსებობა;
- რთული კომუნიკაციების არარსებობა მათი ტექნიკური მომსახურეობისათვის;
- ენერგოდამოუკიდებლობა;
- მუდმივი, თანაც დაბალი ტარიფი ენერჯიაზე (მხოლოდ საექსპლუატაციო დანახარჯები);
- წარმოების ინტენსიფიკაცია;
- დანადგარის ღირებულების სწრაფი ანაზღაურება;
- სამეურნეო ხარჯების შემცირება ნარჩენების გასუფთავებასა და უტილიზაციაზე;
- სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდა ბიოსასუქების გამოყენების ხარჯზე;
- ტერიტორიების (სასოფლო სამეურნეო და ქალაქის) ეფექტური გამოყენება;

მეურნეობაში ბიოაირული ტექნოლოგიების გამოყენების მინუსებია საგრძნობლად მაღალი კაპიტალური, მაგრამ ერთჯერადი (ხარჯი) დაბანდება. ამ დაბანდების რაოდენობა დამოკიდებულია მოწყობილობის სიმძლავრეზე, ავტომატიზაციისა და კონტროლის თანამედროვე საშუალებებით აღჭურვაზე. სპეცდანადგარების მაღალი ღირებულება გამოწვეულია იმითაც, რომ საკმარისი მოთხოვნის არარსებობისას ის მცირე რაოდენობით იწარმოება.

ენერგოდამზოვი პოლიტიკის რეალიზებისას, რომელიც ბაზირებული იქნება ბიოაირების ტექნოლოგიაზე, სახელმწიფო მიიღებს შემდეგ ეკონომიკურ უპირატესობებს:

- განსხვავებული სიმჭიდროვით დასახლებულ უბანთა ენერგომომარაგების გათანაბრება;
- სატრანსპორტო გადაზიდვებისა (ბოლო მომხმარებლამდე ენერგომატარებლების მიწოდებისას) და ძნელად მისასვლელ რეგიონებში საწვავის მიწოდებაზე გაწეული ხარჯების შემცირება;
- საწვავის დამატებითი წყაროების გაჩენა, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ საწვავისა და ენერჯის სხვა სახეობებს;
- ავტონომიური ენერგოწყაროების წარმოქმნა;
- ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში განთავსების შესაძლებლობა;
- სიმძლავრისა და ენერჯის დეფიციტის შემცირება დეფიციტურ ენერგოსისტემებში ბიოენერგეტიკის მსხვილი ობიექტების ხარჯზე;
- დანახარჯების შემცირება ენერგოგამყვანი გზების აგებაზე, რომლებიც გადასცემენ და ანაწილებენ სიმძლავრეებს;
- ხარჯების შემცირება ჯანდაცვაზე, მოსახლეობის სანჰიგიენური პირობების გაუმჯობესების შედეგად;
- ახალი საწარმოების შექმნით სახელმწიფოს შემოსავლების ზრდა;
- მომიჯნავე დარგების განვითარება;
- მეცნიერებადტევადი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების განვითარება;
- მანქანათმშენებლობის ნაკეთობათა ბაზრის გაფართოება;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;

ამგვარად, ბიოაირული ტექნოლოგიების განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგო და რესურსების დაზოგვის რეალიზების კურსს.

მსოფლიოში ამჟამად ბიოგაზის მისაღებად დაახლოებით 60-ზე მეტი სახის ტექნოლოგია გამოიყენება. ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდია ორგანული ნივთიერებების დახურულ ავზში ანაერობული (უჰაერო) ფერმენტაცია. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს შორის, ბიოგაზის წარმოებისა და გამოყენების მხრივ წამყვანი ადგილი დანიას უჭირავს, სადაც ქვეყნის მთლიან ენერგობალანსში ბიოგაზს 18% უკავია. არსებული მაჩვენებლის თანახმად, დასავლეთ ევროპის მეფრინველეობის ფაბრიკების ნახევარზე მეტი სათბობად ბიოგაზს იყენებს.

საქართველოში აგრარული სექტორის განვითარება ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხია. აღნიშნული სექტორის განვითარების ხელშეწყობისათვის სხვადასხვა დარგებთან ერთად, ერთ-ერთი პრიორიტეტულია ბიოტექნოლოგიების, კერძოდ ბიოგაზის დანადგარების დანერგვა-გავრცელება. მისი განვითარებისათვის მრავალი ხელშემწყობი ფაქტორია, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ყოველწლიურად განახლებადი ბიომასის რესურსები, რომლის ათვისებითაც შესაძლებელია სოფლის მეურნეობის ენერგომოთხოვნილების 14-17%-ით უზრუნველყოფა. საქართველოში მარცვლოვანი კულტურების წარმოების შედეგად ნარჩენი ბიომასა ყოველწლიურად დაახლოებით 1,6 მლნ. მ<sup>3</sup>-ია.

დღეისათვის, მსხვილფეხა პირუტყვის ჯამური რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 0,87-0,88 მილიონ სულს. ყოველწლიურად საქართველოს ფერმებში 2,0 მლნ. ტ-მდე ნარჩენი ბიომასა გროვდება, რაც მნიშვნელოვანი რესურსია ქვეყნისთვის, როგორც ენერგეტიკისა და ეკონომიკის, ასევე გარემოსდაცვითი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ნარჩენების სრული ენერგეტიკული პოტენციალი დაახლოებით 6,9

მლრდ.კვტ.სთ-ის ან 734,0 მლნ.მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირის ეკვივალენტურია. სხვადასხვა სახის ბიომასის ნარჩენების რაოდენობა, მათი ენერგეტიკული პოტენციალისა და დაზოგილი თანხების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 15.

ეს ცხრილი იძლევა წარმოდგენას, რომ ბიომასის ენერგეტიკის განვითარება გვაძლევს საქართველოში ძვირადღირებულ იმპორტირებულ ენერგეტიკულ რესურსებში დახარჯულ ფულში 450-500 მლნ აშშ დოლარის ეკონომიას. გარდა არსებული პოტენციალისა, საქართველოს სოფლის მეურნეობაში გამოყენებულ ტერიტორიებზე შესაძლებელია ენერგეტიკული პლანტაციების აშენება, რომელიც დადებითად აისახება ქვეყნის ბიოენერგეტიკული რესურსის ზრდაზე.

**ცხრილი 15.**

**საქართველოს ბიომასის ნარჩენების ენერგოპოტენციალი**

ბიომასის სახეობა	რაოდენობა (10 <sup>3</sup> ტონა)	ენერგია (10 <sup>9</sup> კვტ.სთ)	ღირებულება (10 <sup>6</sup> აშშ დოლარი)
მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების ნარჩენები	870	1,3	80
მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ნარჩენები	1670	6,9	176
საყოფაცხოვრებო ნარჩენები	900	0,6	14
ნარჩენები თბილისის კანალიზ. წყლის გამწმენდი მოწყობილობებიდან	250	1,0	57
ხე-ტყე და მისი ნარჩენები	700	2,7	125
<b>ჯამი</b>	<b>4390</b>	<b>12,5</b>	<b>452</b>

საქართველოში ამჟამად მოქმედი ყველა ბიოდანადგარი აშენებულია საერთაშორისო დონორების ხელშეწყობით 1994-2022 წწ. სულ დღეისათვის ექსპლუატაციაშია 400-ზე მეტი დანადგარი. იმისთვის, რათა შევამციროთ საერთო ეროვნული და კერძო ხარჯები ბიოაირული ტექნოლოგიების საყოველთაო სარგებლობისთვის, აუცილებელია ღონისძიებათა მთელი კომპლექსი: სპეციალისტების მომზადება ბიოენერგეტიკის სფეროში; განმარტებითი და სარეკლამო კამპანიის ჩატარება როგორც გადაწყვეტილების მიმღებ, ასევე პროდუქციის მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის; ახალი (პერსპექტიული) ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების სადემონსტრაციო პროექტების შექმნა.

სოფელ კრწანისში განიხილება ბიოგაზზე მომუშავე ელექტროსადგურის პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობა. სადგურის სავარაუდო დადგმული სიმძლავრე იქნება 2 მგვტ-მდე, 3 მგვტ-მდე გაზრდის პერსპექტივით. მისი საშუალო წლიური გამომუშავება უნდა იყოს 26 მლნ კვტ.სთ ფარგლებში. საწვავის მისაღებად გამოყენებული იქნება მარცვლოვანი კულტურა - ამარანტი. გარდა ამისა, გათვალისწინებულია შინაური ცხოველის ნაკვლის, ყურძნის ჭაჭისა და სხვა ორგანული ნარჩენების გამოყენებაც.

2020 წელს საქართველოში მუშაობდა 106 განახლებადი ენერჯის სადგური. კერძოდ 105 ჰესი და 1 ქარის სადგური, რაც მთლიანი დადგმული სიმძლავრის დაახლოებით 74%. 2012 წელთან შედარებით განახლებადების დადგმული სიმძლავრე გაიზარდა 25%-ით. ბოლო 10 წელიწადში, კერძოდ კი 2010-2020 წლებში განახლებადი ენერგეტიკის კუთხით ექსპლუატაციაში შესულია 46 ჰიდროელექტროსადგური დადგმული სიმძლავრით 675.7 მგვტ და 1 ქარის

ელექტროსადგური დადგმული სიმძლავრით 20.7 მგვტ, რაც ჯამში 47 ელექტროსადგურია დადგმული სიმძლავრით - 696.4 მგვტ. რაც შეეხება არსებულ პროექტებს (ჰიდრო, მზე, ქარი) ამჟამად მიმდინარეობს 160 პროექტზე მუშაობა, რომელზეც უკვე გაფორმებულია მემორანდუმი. ასევე დაახლოებით 137 პროექტზე მიმდინარეობს მემორანდუმის გაფორმებაზე მუშაობა.

2016 წლიდან ქვეყანაში წარმატებით ფუნქციონირებს ნეტო აღრიცხვის მექანიზმი, რომლის კოორდინატორია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი). საწყის ეტაპზე მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მაქსიმალური დადგმული სიმძლავრე იყო 100 კვტ, აღნიშნული ზედა ზღვარი 2020 წელს გაიზარდა 500 კვტ-მდე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ცვლილებები ასევე შევიდა სხვა მიმართულებითაც. მაგალითად, ახალი ცვლილებების თანახმად მიკროსადგურის ადგილი და მოხმარების წერტილი შეიძლება იყოს სხვადასხვა ადგილებში. აღნიშნული უფრო გაამარტივებს და წაახალისებს ნეტო აღრიცხვაში ჩართვას. არსებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე ნეტო აღრიცხვაში ჩართულია 262 მონაწილე, რომელთა მიკროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 5 მგვტ-ზე მეტია. აქედან 2 მიკროსადგური შედარებით მძლავრია, მათი სიმძლავრე თითოეულის 500 კილოვატია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ენერგოსისტემა არც ისე მძლავრია და ამავდროულად სინქრონულად სრულად არ არის დაკავშირებული მეზობელ ქვეყნებთან. ამდენად, ცვალებადი განახლებადი ენერჯის წყაროების (ქარი, მზე) ქსელზე მიერთება დაკავშირებულია გარკვეულ შეზღუდვებთან აღნიშნული ტიპის წყაროების სამუშაო რეჟიმების არასტაბილურობისა და დამატებითი მარეგულირებელი სადგურების საჭიროების გამო. სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად ქარის და მზის ენერჯის ქსელში ინტეგრაცია დაშვებულია გარკვეული პირობების დაცვით.

2020 წელს უპირობოდ შესაძლებელი იყო 333 მგვტ სიმძლავრის ქარისა და 130 მგვტ სიმძლავრის მზის ელექტროსადგურების ინტეგრირება, ხოლო გარკვეული ღონისძიებების გატარებით აღნიშნული მაჩვენებელი შეიძლება გაზრდილიყო ორჯერ (ქარი: 665 მგვტ და მზე: 260 ). ეს არის ის ზედა ზღვარი რაც იყო დადგენილი 2020 წლისათვის.

რაც შეეხება 2030 წელს, ამ დროისათვის არსებული გათვლებით უპირობოდ შესაძლებელი იქნება ქსელზე ცვალებადი განახლებადი წყაროების 75%-ის ინტეგრირება, რაც რიცხობრივად ტოლია: მზე - 390 მგვტ და ქარი - 1000 მგვტ. გარკვეული ღონისძიებების გატარების შემთხვევაში კი შესაძლებელი გახდება პოტენციალის 100% მიერთება, ანუ მზე - 520 მგვტ და ქარი - 1330 მგვტ.

### **3. მხარდაჭერის სქემები და პერსპექტივები საქართველოს ენერგოსისტემისათვის**

#### **1. მხარდაჭერის სქემების საჭიროება და არსი**

პარიზის შეთანხმების მიზანია კლიმატის ცვლილების შენელება, მათ შორის ორგანული სათბობის წვის პროდუქტებით გამოწვეული ემისიების შემცირებით, რაც ხელს შეუწყობს ტემპერატურისა და შესაბამისად სათბურის ეფექტის შემცირებას დედამიწაზე. აღნიშნული მიზნების მისაღწევად მოცემულია კონკრეტული გზები. აღნიშნული გულისხმობს, მსოფლიოში პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით გარემო ჰაერის საშუალო ტემპერატურის ზრდის 2,0°C-მდე შეზღუდვას, და ტემპერატურის ზრდის 1,5°C-მდე შეზღუდვის მცდელობას. აღნიშნული საგრძნობლად შეამცირებს კლიმატის ცვლილების რისკებს და შედეგებს. 2030 წლისათვის ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იქნება 2010 წელს არსებული ემისიების შემცირება 48%-ით, ხოლო 2050 წლისთვის ემისიები უნდა შემცირდეს თითქმის ნულამდე. სამწუხაროდ, ემისიების რაოდენობას ბოლო წლებში მხოლოდ ზრდის ტენდენცია ახასიათებს.

ენერგეტიკის მიმართულებით აღნიშნული ვალდებულებების მისაღწევად საჭირო იქნება: განახლებადი ენერჯის წყაროების უფრო ფართოდ ათვისება; ენერჯის საბოლოო მოხმარების

სექტორების მაქსიმალური ელექტრიფიკაცია (როგორცაა ინდუსტრია, ტრანსპორტი, შენობები და ა.შ); ენერგოეფექტურობის და ცირკულარული ეკონომიის (მაგალითად, ნამუშევარი ჩამდინარე წყლის ხელახლა გამოყენება წრიული სისტემების დახმარებით) უფრო აქტიური განვითარება და დანერგვა; ასევე მწვანე წყალბადისა და სხვა სინთეტიკური საწვავის გამოყენება.

განახლებადი ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მიერ მომზადებული სცენარის მიხედვით, რომელიც ეყრდნობა პარიზის შეთანხმებას, 1,5% მიზნის მისაღწევად ენერჯეტიკის სექტორში უნდა მოხდეს ტრანსფორმაცია. გრაფიკზე 11 ნაჩვენებია, რომ 2018 წელს მსოფლიო სერიოზულად იყო დამოკიდებული წიაღისეულ ენერჯიაზე. კერძოდ, საბოლოო ენერჯის ჯამური მოხმარების 37% მოდიოდა ნავთობზე, 16% ბუნებრივ აირზე, ხოლო 11% ნახშირზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ელექტროენერჯის მოხმარების წილი იყო 21%, საიდანაც მხოლოდ მეოთხედი მოდიოდა განახლებადების ენერჯიაზე, თანამედროვე ბიომასის წილი კი მხოლოდ 3%-ს შეადგენდა. ამ მონაცემებიდან ნათელია თუ რა ზეწოლაა გარემოზე სათბურის აირების გამოყოფის შედეგად და რამხელა პოტენციალია მწვანე ენერჯის განვითარების კუთხით.




გრაფიკი 11. საბოლოო ენერჯის მოხმარება 2018 წელს.

მოდელირების შედეგად დადგინდა (გრაფიკი 12), რომ პარიზის შეთანხმების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად 2050 წელს საბოლოო ენერჯის ჯამური მოხმარების 51% იქნება დამოკიდებული ელექტროენერჯიაზე. ამ ეტაპზე აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს მხოლოდ 21%-ს. გარდა ამისა, ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მოხმარებული ელექტროენერჯის 90% მიწოდებული იქნება განახლებად ენერჯიაზე მომუშავე სადგურების მიერ. გარდა ამისა საგრძნობლად გაიზარდება თანამედროვე ბიომასის მოხმარება (15%-ით) და წყალბადის



(დაახლოებით 12%-ით). აღსანიშნავია, რომ მოხმარებული წყალბადის 66% იქნება განახლებადი ენერჯის წყაროებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულის პერიოდში ცვალებადი განახლებადი ენერჯის წყაროებიდან გამომდინარე ელექტროენერჯის ფასი საგრძნობლად შემცირდა, კერძოდ, მზის PV ტექნოლოგია - 85%-ით, კონცენტრირებული მზის ტექნოლოგია - 68%-ით, ქარის (onshore) - 56%-ით, ხოლო ქარის (offshore) კი 48%-ით და უახლოვდება ტრადიციული (წიაღსეული) ტექნოლოგიებიდან მიღებული ენერჯის გენერაციის ფასს, აღნიშნული ტექნოლოგიების განვითარება კვლავ მიმდინარეობს ნელი ტემპებით, კლიმატის ცვლილების შემცირებისთვის საჭირო ტემპებთან შედარებით.



გრაფიკი 12. საბოლოო ენერჯის მოხმარება 2050 წელს 1,5°C მიზნის მისაღწევად.

რაც შეეხება განახლებადი ენერჯიდან ელექტროენერჯის წარმოების დაყვანილ ღირებულებას (LCOE), აღნიშნული მაჩვენებელი 2010 წელთან შედარებით ასე შეიცვალა: როგორც ცხრილიდან 16 ჩანს, 2020 წელს ჰიდროენერჯის 1 კვტ.სთ ღირდა დაახლოებით 4.4 აშშ ცენტი, მზის PV სადგურების ენერჯია - 5.7 აშშ ცენტი, ქარის (onshore) კი 3.9 აშშ ცენტი. რაც საკმაოდ კონკურენტული ფასია.

თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ზოგადი სურათია და მათი კონკურენტუნარიანობა განსხვავებულია. აღნიშნული დამოკიდებულია როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონალურ პირობებზე.



საერთაშორისო ენერჯის სააგენტოს (IEA) თანახმად, ბუნებრივ გაზზე მომუშავე ელექტროსადგურებიდან მოღებული ელექტროენერჯის წარმოების მინიმალური დაყვანილი ღირებულება არის დაახლოებით 0,042 აშშ დოლარი/კვტ.სთ-ზე, ხოლო ნახშირზე მომუშავე სადგურისა - 0.075 აშშ დოლარი/კვტ.სთ-ზე.

უნდა აღნიშნოს, რომ აღნიშნული ღირებულება არ ითვალისწინებს ნახშირბადის დაჭერას და შენახვას (CCS), რაც უფრო მნიშვნელოვანი ხდება ემისიებზე და კერძოდ ნახშირბადზე შესაბამისი გადასახადების დაწესებით. აღნიშნული გასაფილტრი ტექნოლოგიების დანერგვით წიაღისეულ საწვავზე მომუშავე სადგურების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის ღირებულება საგრძნობლად იზრდება.

**ცხრილი 16.**

**განახლებადი ტექნოლოგიის მიხედვით ელექტროენერჯის წარმოების დაყვანილი ღირებულება (LCOE) და ცვლილება 2010-2020 წწ<sup>3</sup>**

	აშშ დოლარი/კვტ.სთ (2020)		
	2010	2020	ცვლილება, %
ბიოენერჯია	0.076	0.076	0 %
გეოთერმია	0.049	0.071	45 %
ჰიდროენერჯია	0.038	0.044	18 %
მზის PV სადგური	0.381	0.057	-85 %
კონცენტრირებული მზის სადგური	0.340	0.108	-68 %
ქარი (onshore)	0.089	0.039	-56 %
ქარი (offshore)	0.162	0.084	-48 %

ევროკავშირში წარმატებულად მუშაობს ემისიებით ვაჭრობის სისტემა (EU ETS), რომლის მიზანია რეგიონში კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა სათბური აირების შემცირების გზით. ევროკავშირში არსებული გეგმების თანახმად, 2030 წელს მოსალოდნელია ემისიების შემცირება 55%-ით, ხოლო 2050 წლისთვის კი იქნება კლიმატ-ნეიტრალური გარემო. EU ETS სისტემა საკმაოდ მსხვილია და მუშაობს რეგიონის ყველა ქვეყანაში. აღნიშნულ სისტემაში ჩართულია დაახლოებით 10 ათასი დანადგარი როგორც ენერჯეტიკის, ასევე ინდუსტრიისა და ავიაციის სექტორში. შედეგად, ევროკავშირის სათბური აირების მონაცემთა დაახლოებით 40% აქ არის წარმოდგენილი.

აღნიშნული სისტემა საკმაოდ წარმატებულად ფუნქციონირებს, რის შედეგადაც ბოლო დროს დაფიქსირდა ნახშირბადზე დაწესებული გადასახადის ზრდის ტენდენცია. მაგალითად, თუ 2019 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის გაზაფხულამდე 1 ტონა ნახშირბადის გამოყოფის შემთხვევაში ორგანიზაცია იხდიდა დაახლოებით 25 ევროს, 2020 წლის ნოემბრიდან აღნიშნულმა გადასახადმა დაიწყო ზრდა, 2021 წლის მაისში გასცდა 50 ევროიან ნიშნულს და კვლავ განაგრძობს ზრდას (გრაფიკი 13).

საქართველოც აქტიურად მუშაობს კლიმატის ცვლილების შემცირების კუთხით. მაგალითად, 1994 წელს ქვეყანამ ხელი მოაწერა „კლიმატის ცვლილების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციას (UNFCCC). გარდა ამისა, 2017 წელს საქართველომ დაამტკიცა პარიზის კონვენციის შეთანხმება. აქვე აღსანიშნავია 2021 წელს მიღებული ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, კერძოდ საქართველოს განახლებული ეროვნულ

დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტი და საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია თავისი 2021-2030 წლების სამოქმედო გეგმით.

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული დოკუმენტის თანახმად, 1990 წელთან შედარებით სათბურის აირების ემისიების 35%-იანი უპირობო შემცირება მოხდება 2030 წელს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იქნება საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა აღნიშნული მაჩვენებელი შეიძლება გაიზარდოს 50-57%-მდე.

დოკუმენტში, ასევე მოცემულია ცალკეული ვალდებულებები კონკრეტული სექტორებისთვის, მათ შორის არის ენერგეტიკის სექტორი. კერძოდ, მოსალოდნელია ენერჯის გენერაციისა და გადაცემის სექტორის ემისიების 15%-იანი შემცირება 2030 წლისთვის. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში, საჭიროა განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების უფრო სწრაფი განვითარება. ამ ტექნოლოგიების წახალისების კუთხით მსოფლიოში არსებობს მრავალი მექანიზმი.



**გრაფიკი 13. ნახშირბადის გადასახადი (ევრო/ტონა) ევროკავშირის ემისიების ვაჭრობის სისტემის ფარგლებში (2019-2021 წწ.)<sup>1</sup>**

ევროკავშირში განახლებადი ენერჯის მხარდაჭერის სქემების განვითარების კუთხით პირველი მნიშვნელოვანი დოკუმენტი მიიღეს 2001 წელს, რომელიც არეგულირებდა შიდა ელექტროენერგეტიკულ ბაზარში განახლებადი ენერჯის წახალისების შესახებ საკითხებს (დირექტივა 2001/77/EC) და სადაც ხაზგასმულია მათი მნიშვნელობა. ასევე ნათქვამია რომ წევრ ქვეყნებში არსებობს სხვადასხვა მხარდაჭერის სქემა, როგორცაა მწვანე სერტიფიკატი, საინვესტიციო დახმარება, გადასახადებისგან გათავისუფლება, ასევე ფასის დანამატები, თუმცა მომავალში შესაძლებელი იქნება რეგიონალური სისტემის შემუშავება. 2009 წელს მოხდა ზემოხსენებული დირექტივის ჩანაცვლება „განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ენერჯის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ“ 2009/28/EC დირექტივით. ამ დოკუმენტში უფრო ვრცლადაა მოცემული მხარდაჭერის სქემების შესახებ ინფორმაცია და ხაზგასმულია თუ რამდენად მნიშვნელოვანია მსგავსი სქემების არსებობა ენერჯის საერთო მოხმარებაში, კერძოდ განახლებადების 20%-იანი და ტრანსპორტის სექტორში 10%-იანი წილის მიღწევა 2020 წლისთვის.

<sup>1</sup> <https://ember-climate.org/data/carbon-price-viewer/>

2014 წლის ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში და „ენერგეტიკული გაერთიანების“ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს დაევალა 2009/28/EC დირექტივის გადმოტანა ეროვნულ კანონმდებლობაში. აღნიშნული შესრულდა 2019 წლის 26 დეკემბერს და „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონი შევიდა ძალაში. აღნიშნულ კანონში პირველად ჩნდება მხარდაჭერის სქემის განმარტება და იგი განიმარტება როგორც ინსტრუმენტი, სქემა ან მექანიზმი, რომელსაც საქართველო იყენებს დამოუკიდებლად ან ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეშეკრულ ერთ ან რამდენიმე მხარესთან ერთად. ეს მექანიზმი ხელს უწყობს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის საქართველოში გამოყენებას მისი თვითღირებულების შემცირებით, გასაყიდი ფასის გაზრდით, ან განახლებად ენერჯისთან დაკავშირებული ვალდებულების მეშვეობით სხვაგვარად ზრდის ამ ენერჯის შეძენილ მოცულობას.

აღნიშნული სქემა აგრეთვე მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) საინვესტიციო დახმარებას, გადასახადისგან გათავისუფლებას ან მის შემცირებას, გადასახადის დაბრუნებას, განახლებად ენერჯისთან დაკავშირებული ვალდებულების მხარდაჭერის სქემებს, მათ შორის, იმ სქემებს, რომლებიც იყენებენ მწვანე სერტიფიკატებსა და პირდაპირი ფასის მხარდამჭერ სქემებს, რომლებიც სპეციალურ მწვანე ტარიფსა და პრემიალურ ტარიფს მოიცავს.

2015 წლის მონაცემებით ევროპაში განახლებადი ენერჯის წახალისებისთვის არსებობდა 1300-ზე მეტი მხარდაჭერის ფორმა, როგორც ეკონომიკური, ასევე ფინანსური, ადმინისტრაციული, მარეგულირებელი და ა.შ. ამ დროს ყველაზე მეტად გავრცელებული მხარდაჭერის სქემა იყო სპეციალური მწვანე და პრემიალური ტარიფები, რომლებიც დანერგილი იყო ევროკავშირის 25 ქვეყანაში. ზოგ ქვეყანაში კი ტენდერების შემოღებით საგრძნობლად შემცირდა იქ წარმოებული განახლებადი ენერჯის ფასი (ცხრილი 17).

ცხრილი 17.

**განახლებადი ენერჯის გამოყენების მხარდამჭერი სქემების ძირითადი კლასიფიკაცია**

		პირდაპირი		ირიბი
		ფასზე ორიენტირებული	რაოდენობაზე ორიენტირებული	
მარეგულირებელი	დაფუძნებული ინვესტიციაზე	*საინვესტიციო მხარდაჭერა *საგადასახადო მხარდაჭერა	*ტენდერები	*გარემოსდაცვითი გადასახადი
	დაფუძნებული გამომუშავებაზე	*სპეციალური მწვანე ტარიფი *ფასზე დამოკიდებული მხარდაჭერა	*ტენდერები *კვოტების სისტემა	
ნებაყოფლობითი	დაფუძნებული ინვესტიციაზე	*აქციების ფლობის პროგრამა *წვლილის შეტანის პროგრამა		
	დაფუძნებული გამომუშავებაზე	*მწვანე ტარიფი		

გასულ წლებში ევროპაში ყველაზე პოპულარული მხარდაჭერის სქემა იყო: **სპეციალური მწვანე ტარიფი** (feed-in tariff) და **კვოტებზე** დაფუძნებული სისტემა.

**სპეციალური მწვანე ტარიფის** შემთხვევაში მხარდაჭერა სტანდარტულია და დამოკიდებულია გამომუშავებული ენერჯის რაოდენობაზე, ასევე ის არის ფასზე ორიენტირებული. ამ სქემის პირობებში სახელმწიფო ან შესაბამისი კომპანია ვალდებულია იყიდოს ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია წინასწარ განსაზღვრული ტარიფით და პერიოდით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტარიფი აღემატება ელექტროენერჯის საშუალო ტარიფს და ტარიფის დამატებული ოდენობა თანაბრად ნაწილდება მომხმარებლებზე. სპეციალური მწვანე ტარიფი კონკრეტული ტექნოლოგიისთვის არის რეგულირებული მთავრობის მიერ და არის დაფუძნებული ამა თუ იმ ტექნოლოგიისთვის მომგებიანი ოპერირების უზრუნველსაყოფად. გარდა სპეციალური მწვანე ტარიფისა არსებობს ასევე **პრემიალური ტარიფი**. ამ შემთხვევაში ელექტროსადგური წინასწარ შეთანხმებული ტარიფის ნაცვლად, იღებს ე.წ. პრემიუმს, რომელიც ფაქტობრივად არის დანამატი, რომელიც ემატება საბაზრო ფასს. მოქმედების პერიოდი შეიძლება იყოს 10-დან 25 წლამდე.

დადებითი და უარყოფითი თვისებები:

**დადებითი:**

- ამ მექანიზმის დროს მხარდაჭერა გარანტირებულია სხვადასხვა ზომის და ტექნოლოგიის მქონე ტექნოლოგიებისთვის;
- სქემას გააჩნია გამჭვირვალე წესები და პირობები, რაც ამცირებს რისკებს ყველა დაინტერესებული მხარისთვის;
- სქემაში მოსახლეობის ჩართულობით იზრდება ცნობიერება განახლებადი ენერჯების დადებითი თვისებების შესახებ და ა.შ.

**უარყოფითი:**

- ნაკლებად არის თავსებადი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან;
- წარმოებული პროდუქციის ღირებულების არასწორი დადგენის შემთხვევაში უფრო დიდი ფინანსური ზეწოლა შეიძლება მოხდეს მოსახლეობაზე. ასევე საჭიროებს ხშირ კორექტირებას ტექნოლოგიებისა და ბაზარზე არსებული ფასების ცვლილების გამო და ა.შ.

**კვოტების სისტემა** არის გამომუშავებაზე დაფუძნებული და რაოდენობაზე ორიენტირებული მექანიზმი. ამ შემთხვევაში მთავრობა ადგენს თუ განახლებადების რა წილი უნდა იყოს ქსელში და ჩართულ მხარეებს (შეიძლება იყოს მწარმოებელი, გამანაწილებელი, მომხმარებელი ან სხვა) ავალდებულებს აღნიშნული მიზნის მიღწევას. საწყის ეტაპზე აღნიშნული სამიზნე მაჩვენებელი შეიძლება იყოს მინიმალური, თუმცა დროდადრო იზრდებოდა კონკრეტული მიზნის მისაღწევად. სამიზნე მაჩვენებლის დადგენის მერე იქმნება ბაზარი მწვანე სერტიფიკატებისთვის, რომელთა ღირებულება არის დამოკიდებული მოთხოვნა-მიწოდებაზე. აღნიშნული სერტიფიკატი არის იმის დასტური, რომ ენერჯის კონკრეტული რაოდენობა არის წარმოებული განახლებადი ენერჯიდან. შედეგად, ელექტროენერჯის მწარმოებელი ფინანსურ სარგებელს იღებს, როგორც ელექტროენერჯის ვაჭრობის შედეგად, ასევე მწვანე სერტიფიკატების გაყიდვითაც.

**დადებითი თვისებები:**

- ზრდის კონკურენციას და არის ხარჯთ-ეფექტური მექანიზმი;
- ახალისებს ტექნოლოგიების ფასის შემცირებას;
- კარგად ორგანიზებულ სისტემებში მიზანი მარტივად შეიძლება იყოს მიღწეული, შედეგად კი გაზრდილი ნდობაა სამომავლო მიზნის მისაღწევად და ა.შ.

## უარყოფითი თვისებები :

- არ ახალისებს ნაკლებად განვითარებული ტექნოლოგიების დანერგვას, გარდა ამისა არსებობს მხოლოდ იაფი ტექნოლოგიების მხარდაჭერის რისკი;
- დამატებითი დანახარჯები მწვანე სერტიფიკატების სქემის ოპერირებისთვის გრძელვადიან ჭრილში და ა.შ.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, გამოიყენება აგრეთვე განახლებადი ენერჯის მოხმარების მხარდაჭერის შემდეგი მექანიზმები:

**ტენდერები** - აღნიშნული მექანიზმი რაოდენობაზეა დამოკიდებული და ფინანსური მხარდაჭერა შეიძლება კონცენტრირებული იყოს ინვესტიციებზე ან გამომუშავებაზე. ინვესტიციებზე ფოკუსირების შემთხვევაში ტენდერი კონკრეტულ სიმძლავრეზე არის გამოცხადებული და გამარჯვებულს ექნება შეთავაზებული ხელშემწყობი საინვესტიციო პირობები. გამომუშავებაზე ორიენტირებულ ტენდერში კი ხელშემწყობი საინვესტიციო პირობების მაგივრად შემოთავაზებულია კონკრეტული ტარიფი ყოველ 1 კვტ.სთ-ზე გარკვეული პერიოდით.

**ნეტო აღრიცხვა** - არის სპეციალური მწვანე ტარიფის ნაირსახეობა, როდესაც შესაძლებელი ხდება ელექტროენერჯის გადადინება როგორც ქსელიდან მომხმარებელამდე, ასევე მომხმარებლიდან ქსელში (მომხმარებელთან დადგმული მცირე ზომის ელ. სადგურების მიერ გამომუშავებული ელ. ენერჯის ხარჯზე). ამ შემთხვევაში არსებობს ანგარიშსწორების რამდენიმე ვარიანტი, მაგალითად მომხმარებელი იხდის მხოლოდ იმ ელექტროენერჯის საფასურს, რომელიც არის მოხმარებული ქსელიდან, ან მომხმარებელს უხდის ქსელში მიწოდებული ჭარბი ელექტროენერჯის საფასურს.

**ფინანსური და საგადასახადო მხარდაჭერა** - აღნიშნული მხარდაჭერის მიზანია განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიის ღირებულების შემცირება და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წახალისება აღნიშნული ტექნოლოგიების დასაწერად. ფინანსური მხარდაჭერა ზოგადად გამოისახება სხვადასხვა სუბსიდიების გაცემის სახით, რათა მოხდეს კონკრეტული ტექნოლოგიების აქტიური დანერგვა. საგადასახადო მხარდაჭერის პირობებში კი ხდება ცალკეული გადასახადების შემცირება ან გაუქმება, გადახდილი გადასახადების დაბრუნება, დღგ-ს შემცირება კონკრეტულ დანადგარებზე და ა.შ.

გარდა ამისა, ბოლო დროს ასევე ვითარდება ნებაყოფლობითი მხარდაჭერის სქემები, რომლებიც ძირითადად დამოკიდებულნია მოსახლეობის სურვილზე, წახალისონ რომელიმე განახლებადი ენერჯის წყარო.

ზოგადად მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკაა, რომ განახლებადი ენერჯის წარმატებული განვითარებისთვის უნდა არსებობს მინიმუმ რამდენიმე მხარდაჭერის სქემა, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით მოახდენს წახალისების უზრუნველყოფას.

როგორც უკვე ითქვა, ევროპაში დიდი ხანია აქტიურად ოპერირებს მრავალი მხარდაჭერის სქემა, ამავდროულად ენერგეტიკული სექტორის განვითარებასთან ერთად იცვლება მხარდაჭერის სქემის ტიპიც. მაგალითად, 2014-2020 წლების გარემოსა და ენერგეტიკის სექტორისთვის ევროკავშირის სახელმწიფო მხარდაჭერის პრინციპების (State aid guidelines) თანახმად წარმოების მხარდაჭერის მაგივრად აქცენტი უნდა გაკეთდეს პრემიალურ ტარიფზე და განახლებადი ენერჯის ტენდერებზე. რასაკვირველია, გარდამავალი პერიოდი საჭიროა, რათა არ შეიქმნას დაბნეულობა და ბაზრის ყველა მონაწილისთვის იყოს საკმარისი დრო ცვლილებაზე მოსარგებად. აღნიშნულ პროცესში საინტერესოა, რომ როცა განახლებადი ენერჯის წყაროები სპეციალური მწვანე ტარიფიდან (feed-in tariff) გადადიან ბაზრის პრემიალურ ტარიფზე მათ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ენიჭებათ, მაგალითად ენერჯის მიწოდების დაუზღავანებლობის შემთხვევებში.




ამ გზით, განახლებადი ენერჯის მწარმოებელი უფრო მოტივირებულია გააუმჯობესოს ამინდის პროგნოზის მონაცემები, ასევე ყურადღება მიაქციოს მოხმარების ხასიათს და მთარგოს მას ენერჯის მიწოდება. აღნიშნული შესაძლებელია, მზის PV სისტემების ოპტიმალური ადგილმდებარეობის შერჩევით, მსხვილი და პატარა სიმძლავრის მქონე ქარის ტურბინების შერევით, ასევე რესურსების ეფექტური გამოყენებით ჰესებზე, ბიომასის სადგურზე და ა.შ.

მთავარი მიზეზი, რის გამოც ევროკავშირში ხდებოდა მხარდაჭერის სქემის პრინციპის გარდაქმნა, იყო ქსელში მნიშვნელოვანი რაოდენობის განახლებადი ენერჯის არსებობა და აღნიშნული ტექნოლოგიების ღირებულების მუდმივი შემცირება. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ არ არსებობს ისეთი მექანიზმი, რომელიც შეიძლება აკმაყოფილებდეს ყველა ტექნოლოგიის ყველა ტიპს და ზომას. მიუხედავად ამისა, მოსალოდნელია, რომ ტენდერი იქნება ევროპაში მხარდაჭერის სქემების ძირითადი მექანიზმი და იგი ვერ გახდება ხელმისაწვდომი ყველა ტექნოლოგიისთვის კონკურენციის პრინციპის საფუძველზე. თუმცა, მცირე ზომის პროექტებისთვის შეიძლება იყოს მხარდაჭერის სხვა მექანიზმები. ასევე, ქვეყნის სურვილის შემთხვევაში იგი თავისუფალია ჩაატაროს ტენდერი ყოველი კონკრეტული ტექნოლოგიისთვის.

## 2. მხარდაჭერის სქემების საუკეთესო მაგალითები მსოფლიოში

როგორც უკვე ითქვა, ევროპაში არსებობდა და არსებობს განახლებადი ენერჯის მხარდაჭერის მრავალი სახეობა. განვიხილოთ რამდენიმე საუკეთესო მაგალითი. ტექნოლოგიების მიხედვით ვითარება ასეთია.

### ჰიდროენერჯეტიკა



ნახ. 3. მხარდაჭერის სქემები ევროპაში - ჰიდროენერჯეტიკა

როგორც მე-3 სურათზეა ნაჩვენები, ევროპაში ჰიდროენერგეტიკის მხარდაჭერის ძირითადი მექანიზმი არის სპეციალური მწვანე ტარიფი და პრემიალური ტარიფი. კვოტებისა და სერტიფიკატების გზით ხდება ჰესების განვითარების წახალისება შვედეთში, ბელგისა და რუმინეთში. ესპანეთში ამისთვის გამოყენებულია სუბსიდიები, ხოლო იტალიაში როგორც სპეციალური მწვანე ტარიფი, ასევე მწვანე ბონუსები. დიდ ბრიტანეთში უფრო კომპლექსურია მიდგომა და აქ გამოყენებულია პრემიალური ტარიფი, სპეციალური მწვანე ტარიფი და განახლებადი ენერჯის ვალდებულებები. უფრო დეტალური სურათისთვის განვიხილოთ სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები.

**ესტონეთში** ჰესების პრემიალური ტარიფის ოდენობა შეესაბამება 0,0537 ევროს/ კვტ.სთ-ზე. ტარიფი ხელმისაწვდომი იქნება ექსპლუატაციაში შესვლიდან 12 წლის განვალობაში.

**რუმინეთში** ჰესების წახალისება ხორციელდება მწვანე სერტიფიკატების საშუალებით. აღნიშნული ხელმისაწვდომია 10 მგვტ-მდე სადგურებისთვის. 2017 წლიდან 2032 წლამდე რუმინეთში მწვანე სერტიფიკატის ღირებულება უნდა იყოს 29,4 - 35 ევროს საზღვრებში. თუ მიმწოდებელი ან მწარმოებელი არ დააგროვებს ან ვერ გამოიმუშავებს მათთვის დავალებული სერტიფიკატების რაოდენობას, ის ვალდებულია იყიდოს დარჩენილი სერტიფიკატები და თითოს ღირებულება იქნება 110 ევრო. სერტიფიკატების რაოდენობა სხვადასხვა ტიპის ჰესებისთვის განსხვავებულია. მაგალითად, 10 მგვტ-მდე სიმძლავრის ახალი ჰესებისთვის საჭიროა 3 სერტიფიკატი, 10 მგვტ-მდე სიმძლავრის გარემონტებული ჰესებისათვის 2 სერტიფიკატი, ხოლო სხვა ჰესებისთვის კი 1 სერტიფიკატი ყოველ 2 მგვტ.სთ-ზე.

2013 წლამდე **იტალიაში** განახლებადი ენერჯის (გარდა მზის PV სისტემისა) მხარდაჭერა ხორციელდებოდა მწვანე სერტიფიკატების მეშვეობით. ჰესის მიერ გამოიმუშავებული ყოველ 1 მგვტ.სთ-ზე მოდიოდა 1 სერტიფიკატი. 2010-2014 წლებში სერტიფიკატების ღირებულება იცვლებოდა 80-დან 97.5 ევრომდე. 1 მგვტ-მდე სიმძლავრის ჰესებისთვის ასევე ხელმისაწვდომი იყოს სპეციალური მწვანე ტარიფი, როგორც მწვანე სერტიფიკატების ალტერნატივა. აღნიშნული მექანიზმის ხანგრძლივობა იყო 15 წელი, ხოლო 1 კვტ.სთ-ის ღირებულება კი 0,22 ევრო. 2013 წლიდან სიტუაცია შეიცვალა, 1 მგვტ-მდე სიმძლავრის სადგურებისთვის ხელმისაწვდომი გახდა როგორც სპეციალური პრემიალური ტარიფი, ასევე პრემიალური ტარიფი, ხოლო 1 მგვტ-ზე ზემოთ მხოლოდ პრემიალური ტარიფი (ცხრილი 18).

**ცხრილი 18.**

**ჰესების პრემიალური ტარიფი იტალიაში**

ტიპი	მოდინებაზე	მოდინებაზე	მოდინებაზე	მოდინებაზე	კაშხლიანი
სიმძლავრე (კვტ)	1-250	250-500	500-1000	1000-5000	
პრემიუმი (ევრო/კვტ.სთ)	0,21	0,195	0,15	0,125	0,101

როგორც უკვე ითქვა, **დიდ ბრიტანეთში** წახალისება ხორციელდება 3 მექანიზმის საშუალებით. მწვანე სერტიფიკატების სქემა (განახლებადი ენერჯის ვალდებულებები) დაინერგა 2002 წელს და 2017 წლის 31 მაისიდან აღარ ამატებდა გენერაციის ახალ ობიექტებს, რაც ფაქტიურად ნიშნავს ამ ტიპის მხარდაჭერის გაუქმებას. აღნიშნული სქემა ხელმისაწვდომი იყო ყველა ტიპის განახლებადებისათვის. 2017 წელს დიდი ბრიტანეთში ელექტროენერჯის მიწოდების დაახლოებით 40% დაფარული იყო ამ სქემით. ჰესებისათვის 1 სერტიფიკატის მისაღებად საჭირო იყო 1 მგვტ.სთ ელექტროენერჯის გამოიმუშავება. 2010 წლიდან 5 მგვტ სიმძლავრის განახლებადი ენერჯის წყაროების მხარდაჭერისთვის დაინერგა სპეციალური მწვანე ტარიფი. 2018 წელს ტარიფი ჰესებისთვის მოყვანილია ცხრილში 19.

2014 წელს შემოვიდა მესამე მხარდაჭერის სქემა - ფასთა სხვაობის ხელშეკრულება (ან პრემიალური ტარიფი). აღნიშნული ხელშეკრულება მოქმედებს 15 წელი და ამ სქემის ფარგლებში ელექტროენერჯის მწარმოებელი დამატებით მიიღებს პრემიას, რომელიც დამოკიდებულია სხვაობაზე ბაზარზე არსებულ და წინასწარ შეთანხმებულ (strike price) ფასს შორის. აღნიშნული სქემა მოქმედებს 5 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის ჰესებისთვის.

**ცხრილი 19.**

**სპეციალური მწვანე ტარიფი ჰიდროენერჯისათვის, დიდი ბრიტანეთი, 2018 წელი**

სიმძლავრე	<100 კვტ	100 კვტ-500 კვტ	500 კვტ- 2 მგვტ	> 2 მგვტ
ევრო/კვტ.სთ	0,091	0,073	0,07	0,053

**უკრაინაში** 2012 წლამდე 10 მგვტ სიმძლავრის ჰესებისათვის ხელმისაწვდომი იყო სპეციალური მწვანე ტარიფი, ხოლო 10 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის სადგურები სარგებლობდნენ პრემიალური ტარიფით. 10 მგვტ-მდე სიმძლავრის სადგურებისთვის პირველ 25 წლიწადში ტარიფი შეადგენს 0,0825 ევრო/კვტ.სთ, ხოლო შემდეგ 25 წლიწადში კი- 0,0742 ევრო/კვტ.სთ. 10 მგვტ-ზე ზემოთ კი პრემიალური ტარიფი იყო შემდეგნაირი: პირველი 25 წელი - 0,022 ევრო/კვტ.სთ, ხოლო შემდეგი 25 წელი - 0,014 ევრო კვტ.სთ. 2012 წლიდან ახალი სადგურების მხარდაჭერა შეწყდა და 2013 წლიდან შემოღებულ იქნა სუბსიდიების მექანიზმი, რომელიც ფარავდა იმ საინვესტიციო დანახარჯებს რომელთა ანაზღაურება ვერ ხორციელდებოდა ელექტროენერჯის რეალიზაციის პირობებში, ასევე რათა დაფარულ იქნეს სხვაობა საოპერაციო ხარჯებსა და საბაზრო ხარჯებს შორის.

**ქარის ენერჯია**

როგორც ჰესების შემთხვევაში, ქარის სადგურებისთვისაც ძირითადი მხარდაჭერის სქემებია სპეციალური მწვანე და პრემიალური ტარიფები. მწვანე სერტიფიკატები (კვოტები) დანერგულია შვედეთში, ბელგიასა და რუმინეთში. იტალიაში გამოიყენება როგორც კვოტები, ასევე სპეციალური მწვანე ტარიფი. ზოგ ქვეყანაში გამოიყენება ტენდერები მცოცავი პრემიალური ტარიფებით. გარდა ამისა, ქარის ენერჯის წახალისებისთვის ასევე გამოიყენება ფიქსირებული პრემიალური ტარიფი და ა.შ. (ნახაზი 4).



**ნახ. 4. მხარდაჭერის სქემები ევროპაში - ქარის ენერჯია<sup>1</sup>**

<sup>1</sup> Renewables in the EU: an overview of support schemes and measures, EUR 29100 EN, Publication



**შვედეთში** ქარის ტექნოლოგიების განვითარება ხორციელდება როგორც კვოტის სისტემის გამოყენებით, ასევე გადასახადების რეგულირების მექანიზმის გამოყენებით. სერტიფიკატების რაოდენობა თანაბარია ყველა ტექნოლოგიისთვის და 1 სერტიფიკატის მისაღებად საჭიროა 1 მგვტ.სთ ენერჯის გამომუშავება. კვოტის ვალდებულება ყოველ 1 მგვტ.სთ გაყიდულ/მოხმარებულ ელექტროენერჯიაზე მოყვანილია ცხრილში 20.

**ცხრილი 20.**

**კვოტის ვალდებულება ყოველ 1 მგვტ.სთ გაყიდულ/მოხმარებულ ელექტროენერჯიაზე, შვედეთი, 2020-2028 წწ.**

წელი	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028
კვოტა	0,288	0,263	0,267	0,271	0,27	0,272	0,28	0,293	0,298

კვოტის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა შეადგენს კვოტის 150%-ს (გამოიყენება ვალდებულების პერიოდში კვოტის საშუალო ღირებულება). 2016 წლიდან **იტალიაში** (offshore) ქარის სადგურებისთვის 5 მგვტ-მდე მოქმედებს ტენდერების სქემა, სადაც ელექტროენერჯის ზედა ზღვარი განსაზღვრულია 0,165 ევრო/კვტ.სთ-ით, ხოლო ტენდერით დადგენილი ტარიფი მოქმედი იქნება 25 წლის განმავლობაში. ქარის სადგურებისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი მექანიზმები (ცხრილი 21):

**ცხრილი 21.**

**ქარის სადგურების მხარდაჭერა იტალიაში**

მექანიზმი	სპეც. მექანე ტარიფი	ბაზრის პრემიუმი	ტენდერის პრემიუმი
სიმძლავრე	1 კვტ -0,5 მგვტ	1 კვტ-5 მგვტ	>5 მგვტ
მხარდაჭერა (ევრო/კვტ.სთ)	0,14-0,25	0,135-0,291	0,11

**ჩეხეთში** ქარის პროექტებისთვის სპეციალური მწვანე ტარიფის ოდენობა დამოკიდებულია სადგურის ექსპლუატაციაში შესვლაზე და შემდეგნაირად გამოიყურება (ცხრილი 22):

**ცხრილი 22.**

**სპეციალური მწვანე ტარიფი ქარის სადგურებისათვის, ჩეხეთი**

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ფასი (ევრო/კვტ.სთ)	0,092	0,085	0,082	0,079	0,077	0,076	0,074

აღნიშნული ტარიფი ქარის სადგურებისთვის ხელმისაწვდომია 20 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ხელმისაწვდომია პრემიალური ტარიფი (მწვანე ბონუსი), აღნიშნული ასევე დამოკიდებულია სადგურის ექსპლუატაციაში შესვლის წელზე (ცხრილი 23).

## პრემიალური ტარიფი ქარის სადგურებისათვის, ჩეხეთი

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ფასი (ევრო/კვტ.სთ)	0,059	0,053	0,05	0,046	0,045	0,043	0,042

**ესტონეთში** როგორც ქარის, ასევე სხვა განახლებადი ენერჯის პროექტებისთვის ბონუსი შეადგენს 0,0537 ევროს/კვტ.სთ-ზე.

**დანიაში** ქარის სადგურების მხარდაჭერა ხორციელდება პრემიალური ტარიფით და ტენდერებით (offshore ქარის სადგურებისათვის). 2014 წლამდე ქარის სადგურების პრემიალური ტარიფი იყო ფიქსირებული, ხოლო 2014 წლიდან მცოცავი პრემიუმია დანერგილი. (onshore) ქარის სადგურების მხარდაჭერა:

2014 წლიდან 2018 წლის თებერვლამდე ექსპლუატაციაში შესული (onshore) და ტენდერებს გარეთ დარჩენილი (offshore) ქარის სადგურები იღებენ:

- გარანტირებულ ბონუსს 0,03 ევრო/კვტ.სთ-ის ოდენობით, თუმცა მაქსიმალური სუბსიდია არ უნდა იყოს 0,08/კვტ.სთ-ზე მეტი 20 წლის განმავლობაში.


25 კვტ-მდე ქარის სადგურებისთვის, რომლებიც გამოიყენება საკუთარი მოხმარების დასაფარად და რომელიც დაკავშირებულია ქსელთან შემდეგი ოდენობის მხარდაჭერა ხელმისაწვდომი:

- 10 კვტ-მდე სიმძლავრის სადგურებისთვის 0,28 ევრო/კვტ.სთ 12 წლის განმავლობაში;
- 10 კვტ-დან 25 კვტ-მდე სიმძლავრის სადგურებისთვის აღნიშნული მხარდაჭერა იქნება 0,18 ევრო 12 წლის განმავლობაში.

2005-2010 წლებში ჩატარდა რამდენიმე ტენდერი ქარის (offshore) სადგურების გასანვითარებლად. მაგალითად, 2005 წელს ჩატარებული ტენდერის შედეგად 1 კვტ.სთ ელექტროენერჯის ფასი იყო 0,069 ევრო. აღსანიშნავია, რომ სადგურის დადგმული სიმძლავრე იყო 200 მგვტ, ხოლო მისაწოდებელი ელექტროენერჯის რაოდენობა უნდა ყოფილიყო 10 ტვტ.სთ/წ. 2008 წელს ჩატარებული ტენდერის შედეგად “ Rødsand 2“ სადგურის მიერ წარმოებული ელექტროენერჯის ფასი იყო 0,085 ევრო/კვტ.სთ. სადგურის დადგმული სიმძლავრე იყო 200 მგვტ, ხოლო მისაწოდებელი ელექტროენერჯის მოცულობა 10 ტვტ.სთ/წ.

**პოლონეთში** ქარის სადგურების განვითარება უზრუნველყოფილია მწვანე სერტიფიკატების გზით. აღსანიშნავია, რომ სერტიფიკატებს არ გააჩნიათ მინიმალური ფასი, ასევე ტექნოლოგიების მიხედვით სერტიფიკატების რაოდენობა არ არის განსხვავებული და იგი არის დამოკიდებული მხოლოდ გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობაზე. კვტის რაოდენობა მუდმივად იზრდება, მაგალითად თუ 2016 წელს მთლიანი გაყიდული ენერჯის 15% უნდა ყოფილიყო განახლებადი, ანუ ჰქონოდა სერტიფიკატი, 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 20%-მდე. 2016 წლიდან ქარის პროექტების მხარდასაჭერად აქტიურად გამოიყენება ტენდერები, რის შედეგად დადგინდება სპეციალური მწვანე ტარიფის ოდენობა, რომელიც მოქმედი იქნება 15 წლის განმავლობაში.

## მზის PV სადგური



ნახ. 5. მხარდაჭერის სქემები ევროპაში - მზის PV სადგურები <sup>1</sup>

როგორც მე-5 ნახაზზე ჩანს, ევროკავშირის 16 ქვეყანაში მზის ენერჯის განსავითარებლად გამოყენებულია სპეციალური მწვანე და პრემიალური ტარიფები, რაც ყველაზე გავრცელებული მექანიზმია. **რუმინეთში** გამოიყენება მწვანე სერტიფიკატების სისტემა, ხოლო სხვა ქვეყნებში ტარიფის სუბსიდიები, კვოტები და საინვესტიციო მხარდაჭერა.

**ბელგიაში** კვოტების სისტემა მზის ენერჯის სადგურებისთვის მოქმედებს 10 წლის განმავლობაში. რეგიონების მიხედვით კვოტების რაოდენობა განსხვავებულია. მაგალითად, ბრიუსელში კვოტების რაოდენობა შემდეგნაირია (ცხრილი 24):

ცხრილი 24.

კვოტების წილი მზის PV სადგურისათვის, ბელგია, ბრიუსელი, 2020-2025 წწ.

წელი	2020	2021	2022	2023	2024	2025
კვოტა, %	10	10,8	11,5	12,3	13,1	14

ვალონიის რეგიონში აღნიშნული მაჩვენებელი საგრძნობლად დიდია და იმ შემთხვევაში თუ ამ ქსელის ოპერატორები არ შეიძენენ მწვანე სერტიფიკატებს მწარმოებლებისგან მათ

<sup>1</sup> Renewables in the EU: an overview of support schemes and measures, EUR 29100 EN, Publication Office of the European Union, Luxembourg, 2017

დაეკისრება ჯარიმა 100 ევროს ოდენობით თითო ასეთ სერტიფიკატზე (ცხრილი 25). ბელგიაში გამოიმუშავებულ ენერგიაზე კვოტების რაოდენობა განსხვავებულია რეგიონების მიხედვით.

**ცხრილი 25.**

**კვოტების წილი მზის PV სადგურისათვის, ბელგია, ვალონიის რეგიონი, 2020-2024 წწ.**

წელი	2020	2021	2022	2023	2024
კვოტა, %	37,9	34,03	35,65	37,28	37,9

**ლატვიაში** მზის მიკროსადგურებისათვის მოქმედებს მცოცავი პრემიალური ტარიფი. 10 კვტ-მდე მზის სადგურებისათვის, რომლებიც ინტეგრირებულია შენობაში ტარიფი იქნება 0,169 ევრო/კვტ.სთ. სხვა მიკროსადგურებისთვის იგივე სიმძლავრით აღნიშნული მხარდაჭერა იქნება 0,136 ევრო/კვტ.სთ.

**გერმანიაში** პრემიალური ტარიფი შენობაში ინტეგრირებული სისტემებისთვის არის 0,127 ევრო/კვტ.სთ.

**ჩეხეთში** კი მზის PV სისტემებისთვის პრემიალური ტარიფი ხელმისაწვდომია მხოლოდ 2014 წლამდე აშენებულ პროექტებისთვის და იგი შემდეგნაირად გამოიყურება (ცხრილი 26):

**ცხრილი 26.**

**პრემიალური ტარიფი (მწვანე ბონუსი) მზის PV სისტემებისთვის, ჩეხეთი**

ექსპლუატაციაში შესვლის წელი	2010		2011			2012	2013 იანვარი-ივნისი		2013 ივლისი-დეკემბერი	
	სიმძლავრე (კვტ)	<30	>30	<30	30÷100	>100	<30	<5	5÷30	<5
ტარიფი (ევრო/კვტ.სთ)	0,517	0,519	0,292	0,226	0,208	0,226	0,102	0,077	0,084	0,06

**შვეიცარიაში** კი მოქმედებს სპეციალური მწვანე ტარიფი მზის PV სადგურებისთვის და იგი შემდეგნაირად გამოიყურება (ცხრილი 27):

**ცხრილი 27.**

**სპეციალური მწვანე ტარიფის ოდენობა მზის PV სადგურებისთვის, შვეიცარია**

ტარიფი	ექსპლუატაციაში შესვლა 1 ოქტომბერი 2016-31 მარტი 2017 (ევრო/კვტ.სთ)	ექსპლუატაციაში შესვლა 1 აპრილი 2017-31 დეკემბერი 2017 (ევრო/კვტ.სთ)	ექსპლუატაციაში შესვლა 2018 წლის 1 იანვრიდან (ევრო/კვტ.სთ)
სიმძლავრე ≤ 100 კვტ	0,117	0,107	0,097
≤ 1000 კვტ	0,108	0,102	0,097
> 1000 კვტ	0,108	0,103	0,97

უნგრეთში მზის სადგურებისთვის 0,5 მგვტ-მდე სპეციალური მწვანე ტარიფის ოდენობა შეადგენს 0,099 ევრო/კვტ.სთ.

**ბიომასა (ელექტროენერჯია)**



**ნახ. 6. მხარდაჭერის სქემები ევროპაში - ბიომასა (ელექტროენერჯია)<sup>1</sup>**

ევროკავშირში ელექტროენერგეტიკული დანიშნულების ბიომასის წახალისება ძირითადად ხორციელდება სპეციალური მწვანე და პრემიალური ტარიფებით, თუმცა კვოტებისა და სერტიფიცირების მექანიზმები გამოიყენება შვედეთში, ბელგიასა და რუმინეთში. ავსტრიასა და იტალიაში დანერგილია სპეციალური მწვანე ტარიფი მწვანე ბონუსებთან ერთად.

**სლოვაკეთში** ბიომასის მხარდაჭერა ხორციელდება სპეციალური მწვანე ტარიფის საშუალებით. 2017 წლიდან აღნიშნული ტარიფი შემდეგნაირია:

- ბიომასა, გარდა ჩალისა - 0,07 ევრო/კვტ.სთ
- სხვა ბიომასა ნარჩენებისგან - 0,074 ევრო/კვტ.სთ
- ჩალის ბიომასა - 0,082 ევრო/კვტ.სთ
- ბიოსაწვავი - 0,081 ევრო/კვტ.სთ

**პორტუგალიაში** არსებული ბიომასის სადგურებისთვის არსებობს შემდეგნაირი სპეციალური მწვანე ტარიფი: 0,119 ევრო/კვტ.სთ ტყის ბიომასისთვის, ხოლო ცხოველური ბიომასისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 0,102-0,104 ევრო/კვტ.სთ-ის ფარგლებშია.

**ლიეტუვაში** არსებობს ბიომასის მხარდაჭერის რამდენიმე მექანიზმი. მაგალითად, აღნიშნული ტიპის სადგურებისთვის 2014 წელს დადგენილი იყო შემდეგი ტარიფი:

<sup>1</sup>Renewables in the EU: an overview of support schemes and measures, EUR 29100 EN, Publication Office of the European Union, Luxembourg, 2017

- 10 კვტ-მდე - 0,087 ევრო/კვტ.სთ
- 10 კვტ-დან 5 მგვტ-მდე - 0,075 ევრო/კვტ.სთ
- 5 მგვტ-ის ზემოთ კი 0,067 ევრო/კვტ.სთ

ბიომასის რეკონსტრუირებული სადგურებისთვის კი ტარიფი ოდნავ შეცვლილია:

- 10 კვტ-მდე - 0,072 ევრო/კვტ.სთ
- 10 კვტ-დან 5 მგვტ-მდე - 0,064 ევრო/კვტ.სთ
- 5 მგვტ-ის ზემოთ კი 0,055 ევრო/კვტ.სთ

**ლატვიაში** კი 10 კვტ-მდე სიმძლავრის ბიომასის სადგურებისთვის მოქმედებს მცოცავი პრემიალური ტარიფი, რომლის ოდენობა ახალაშენებული სადგურისთვის არის 0,066 ევრო/კვტ.სთ, ხოლო რეკონსტრუირებული სადგურისთვის აღნიშნული ტარიფი მცირდება 0,046 ევრო/კვტ.სთ-მდე.

**ჩეხეთში** ბიომასაზე მომუშავე სადგურების პრემიალური ტარიფი (მწვანე ბონუსი) ცვალებადია და არის დამოკიდებული გამოყენებულ ტექნოლოგიაზე. მაგალითად, წლების მიხედვით ახალაშენებული სადგურებისთვის ტარიფი იქნება შემდეგნაირი (ცხრილი 28):

**ცხრილი 28.**

**ბიომასის ახალი სადგურების პრემიალური ტარიფი (მწვანე ბონუსი), ჩეხეთი**

ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი, წელი	2008-2012	2013	2014	2015-2019
ფასი (ევრო/კვტ.სთ)	0,058-0,133	0,036-0,10	0,007-0,085	0,004-0,082

ქვემოთ მოცემულია ევროპის სამ ქვეყანაში არსებული **ტენდერების** მექანიზმის მოკლე მიმოხილვა.

**ნიდერლანდები:** ტენდერი ტარდება რამდენიმე ეტაპად, სადაც წინასწარ განსაზღვრულია ფასი, რაც შეეხება ტექნოლოგიებს, აქ ტენდერები ტარდება როგორც კონკრეტული ტექნოლოგიისათვის, ასევე ღიაა ყველა დაინტერესებული ტექნოლოგიისათვის, ე.წ (technology-neutral). ასევე განსაზღვრულია ფასის ზედა ზღვარი. ტენდერში მონაწილეობისთვის საჭიროა გარემოსდაცვითი დასკვნის, წყლის რესურსების გამოყენების ნებართვის (საჭიროების შემთხვევაში) და მიწის მფლობელის თანხმობის არსებობა. პროექტის არ განხორციელების შემთხვევაში განსაზღვრულია ჯარიმები, იმ პროექტებისთვის, რომელთა საინვესტიციო მოცულობა აჭარბებს 400 მილიონ ევროს. რაც შეეხება მხარდაჭერის ხანგრძლივობას, იგი დამოკიდებულია ტექნოლოგიებზე და შეიძლება გრძელდებოდეს 5, 12 ან 15 წელი. აღსანიშნავია, რომ ტენდერები ტარდება ყოველწლიურად წინასწარ განსაზღვრული ბიუჯეტით.

**დანია:** დანიაში ტენდერები ტარდება კონკრეტული ტექნოლოგიისთვის და ის ეხება ქარის ენერჯის (onshore). რაც შეეხება ფასის ზედა ზღვარს, ზღვაში მდებარე სადგურებისთვის ის არ არსებობს. ფასის ზედა ზღვარი განსაზღვრულია სანაპიროსთან ახლოს დაგეგმილი პროექტებისათვის. ტენდერში გამარჯვებულს ევალება შესაბამისი საბანკო გარანტიების უზრუნველყოფა შესაძლო ჯარიმების დასაფარად. მხარდაჭერის ხანგრძლივობა გრძელდება ქარის სადგურის სრული დატვირთვით მუშაობის 50 000 საათის ან 12-14 წლის განმავლობაში. ტენდერები ტარდება წინასწარ განსაზღვრული განრიგის თანახმად.

**საფრანგეთი:** აქ ტენდერები ტარდება მხოლოდ მზის PV სისტემებისთვის და არ არსებობს ფასის ზედა ზღვარი. ასევე აღსანიშნავია, რომ მცირე ზომის პროექტებისთვის ტარდება ონლაინ ტენდერი. მშენებლობის ხანგრძლივობის დარღვევის შემთხვევაში, მხარდაჭერა მცირდება



დაგვიანების პერიოდის ორმაგი სიდიდით. მხარდაჭერის ხანგრძლივობა გრძელდება 20 წელი, თუმცა აღსანიშნავია, რომ შეზღუდულია წლიური ოპერირების საათების მხარდაჭერის რაოდენობა, მაგალითად კონტინენტალური საფრანგეთისთვის აღნიშნული ლიმიტი შეესაბამება 1580 საათს წელიწადში. ყოველწლიურად ტარდება 5-6 ტენდერი.

ენერგეტიკულ გაერთიანებაში, რომლის სრულუფლებიანი წევრიც არის საქართველო მხარდაჭერების სქემის მიმართულებით ასეთია სიტუაცია: განახლებადი ენერჯის წყაროებისთვის ადმინისტრაციულად დადგენილი ტარიფების ეტაპი ნელ-ნელა მთავრდება, ვინაიდან ენერგეტიკული გაერთიანების ბევრი წევრი ქვეყანა გადადის საბაზრო მხარდაჭერის სქემებზე. მიმდინარე რეფორმა ძალიან მნიშვნელოვანი მამოძრავებელია განახლებადი ენერჯის წილის მდგრადი გაზრდისთვის და ინვესტიციების ჩადების საჭირო პირობების უზრუნველსაყოფად. მაგალითად, **ალბანეთსა და ჩრდილოეთ მაკედონიაში** უკვე ჩატარდა პირველი ტენდერები. **ალბანეთში** 2021 წლის მარტში 100 მგვტ მზის PV სადგურისთვის ჩატარებული ტენდერის შედეგები ასეთაა: 0,03 ევრო/ კვტ.სთ, 15 წლის განმავლობაში. **ჩრდილოეთ მაკედონიაში** ტენდერი ჩატარდა ფიქსირებული პრემიალური ტარიფისთვის, რომელიც დაემატება ბაზარზე გაყიდულ ელექტროენერჯიაზე.

### 3. ოპტიმალური მხარდაჭერის სქემები საქართველოსთვის

წინა ქვეთავებში განხილული განახლებადი ენერჯის მხარდაჭერის სქემების ანალიზის შედეგად საქართველოსთვის შეირჩა ყველაზე მორგებული მხარდაჭერის სქემა, სადაც დეტალურად არის აღწერილი ის პირობები, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული მექანიზმის ეფექტურ დანერგვას.

როგორც უკვე ითქვა, აქტიურად მიმდინარეობს ენერგეტიკული სექტორის საკანონმდებლო ბაზის დახვეწის პროცესი და ევროპულ რეგულაციებთან ჰარმონიზაცია. ერთერთი ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოების წახალისებისა და გამოყენების ევროკავშირის #2009/28/EC დირექტივის გადმოტანა ეროვნულ კანონმდებლობაში „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის სახით. აღნიშნული კანონი ქმნის სამართლებრივ საფუძვლებს განახლებადი ენერჯის წარმოების მხარდაჭერის სქემების შემუშავებისათვის.

აღსანიშნავია, რომ მხარდამჭერი სქემების განვითარების კუთხით ქვეყანაში არსებობს დადებითი ტენდენციები, ვინაიდან 2020 წლის 2 ივლისს დამტკიცდა განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემა 5 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის მქონე ჰიდროელექტროსადგურებისთვის, ხოლო 2021 წლის 29 იანვარს აღნიშნულ სქემაში შევიდა ცვლილება და იგი გავრცელდა ენერჯის ყველა წყაროზე 5 მგვტ-ზე ზემოთ.

ამ ეტაპზე აღნიშნული მექანიზმის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი. რაც შეეხება მხარდაჭერის პერიოდს, ყველა სადგურისთვის იგი იქნება 10 წლის განმავლობაში, ხოლო წელიწადში მხოლოდ 8 თვის განმავლობაში იქნება ხელმისაწვდომი ( მაისი-აგვისტოს გარდა). რაც შეეხება თვითონ ფინანსურ მხარეს, პრემიის მაქსიმალური დანამატი 1 კვტ.სთ-სთვის არის 1,5 აშშ დოლარ-ცენტ. აქვე აღსანიშნავია, რომ თუ ბაზარზე დაფიქსირებული 1 კვტ.სთ ელექტროენერჯის ფასი 5,5 აშშ დოლარ-ცენტზე მეტი იქნება პრემიალური ტარიფი არ იქნება გადახდილი ელექტროსადგურისთვის. იმ შემთხვევაში თუ კონკრეტულ პერიოდში ბაზარზე ელექტროენერჯის ფასი იქნება 5,5 აშშ დოლარ-ცენტზე ნაკლები, მაგრამ მეტი 4 აშშ დოლარ-ცენტზე, მაშინ გადახდილი იქნება მხოლოდ 5.5 აშშ დოლარ-ცენტისა და ბაზარზე დაფიქსირებული ფასის სხვაობა. უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის მხარდაჭერის სისტემის

ამოქმედება შესაძლებელია საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის პირობებში, რაც დაგეგმილი იყო 2022 წლის 1 იანვრიდან.

გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში უკვე დანერგულია განახლებადი ენერგეტიკის მხარდაჭერის ერთ-ერთი მექანიზმი, ე.წ. „ნეტო აღრიცხვა“. ნეტო აღრიცხვის სისტემაში ჩართული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურების დადგმული ჯამური სიმძლავრე 4,0 მგვტ-მდეა. დღეისათვის ქვეყნის ელექტროდისტრიბუციის ქსელებში ჩართულია ნეტო აღრიცხვის პრინციპზე მომუშავე დაახლოებით 240 მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური.

მიუხედავად ამისა, კიდევ ბევრი რამე არის გასაკეთებელი მხარდამჭერი მექანიზმების განვითარების კუთხით საქართველოში. როგორც წინა ნაწილში აღინიშნა, ევროპაში დიდი ხანის მიმდინარეობს ამ ტიპის სქემების განვითარება, აქვე ცალსახაა მხარდაჭერის სქემების ევოლუცია. თუ საწყის ეტაპზე მთავარი მიზანი იყო ამა თუ იმ ტექნოლოგიის განვითარება და მხარდაჭერა იყო მომართული ამ კუთხით, შემდეგ ეტაპზე აღნიშნული მიდგომა შეიცვალა და ევროპის ქვეყნების დიდმა ნაწილმა დაიწყო გადასვლა ენერგეტიკულ ბაზარზე ორიენტირებულ მხარდაჭერის სქემებზე. როგორც აღინიშნა, ევროკავშირში არ არის ერთიანი მიდგომა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ტიპის მექანიზმი უნდა განვითარდეს განახლებადი ენერჯის უფრო სწრაფი ათვისებისთვის.

აქედან გამომდინარე, საწყის ეტაპზე სასურველია **სპეციალური მწვანე ტარიფის ან პრემიალური ტარიფის** განვითარება, რა დროსაც ნათელი გახდება თუ როგორი დამოკიდებულება ექნებათ ინვესტორებს ან სხვა დაინტერესებულ მხარეებს და რამდენად კარგი პირობებია შექმნილი განახლებადი ენერჯის განვითარებისთვის. აღნიშნული მექანიზმი არის ნაკლებად სასურველი ლიბერალური ბაზრისთვის ტარიფის ხელოვნურად დადგენის გამო, თუმცა აღნიშნული მნიშვნელოვანია საწყის ეტაპზე მიმზიდველი გარემოს შექმნისთვის და სექტორის გაძლიერების კუთხით. საკმარისი რაოდენობის განახლებადი ენერჯის პროექტების და გამოცდილების შეძენის შემდეგ დადგება განვითარების შემდეგი ეტაპი რა დროსაც მხარდაჭერის სქემა უნდა გადავიდეს საბაზრო პირობებზე.

ამ მხრივ ძალიან პერსპექტიული მხარდაჭერის სქემა არის განახლებადი ენერჯის **ტენდერი**, რომელიც ჯერჯერობით არ ჩატარებულია საქართველოში, თუმცა მას გააჩნია დიდი პოტენციალი, ვინაიდან ის შეიძლება იყოს როგორც კონკრეტულ ტექნოლოგიაზე მორგებული, ასევე ღია ნებისმიერი ტექნოლოგიისთვის; გარდა ამისა არის უფრო ხარჯთეფექტური. მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ჩატარებული ტენდერების შედეგებმა აჩვენა, რომ ის საგრძნობლად ეფექტურია, ასევე აჩვენებს საკმაოდ დაბალ ტარიფს კონკურენტული ტენდერის პირობებში, რაც რასაკვირველია მხოლოდ მისაღებია როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე მოსახლეობისთვის უფრო დაბალი ფინანსური ვალდებულებების გამო.

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ სასურველია ტენდერები იყოს შემდეგისდაგვარად **არადისკრიმინაციული და ნაკლებად ბიუროკრატიული**. ყველა სახის ინვესტორს და დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს სქემაში, რის შედეგადაც შეიძლება გაიზარდოს როგორც პროექტების განვითარების შესაძლო არეალი, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობაც შეიძლება გახდეს უფრო აქტიური. გარდა ამისა, აღნიშნული ზრდის კონკურენტულობას. რასაკვირველია, ამავდროულად უნდა არსებობდეს ზომიერი მოთხოვნები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება პროექტის დროულად და ხარისხიანად განხორციელების უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, უფრო ეფექტური ტენდერების განსახორციელებლად, იგი შეიძლება ჩატარდეს, როგორც დიდი, ასევე საშუალო და მცირე სიმძლავრის პროექტებისთვის. საქართველოში ენერგეტიკული რესურსების არათანაბარი გეოგრაფიული განაწილების გამო,



სხვადასხვა ტექნოლოგიების უფრო აქტიური განვითარების მიზნით, შესაძლებელია ტენდერების გამოცხადება რეგიონების მიხედვით. ზოგადად ტენდერის დაგეგმვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც სხვადასხვა რესურსების მიმართ ხელმისაწვდომობა, ასევე ეროვნული პოლიტიკით განსაზღვრული მიზნები. საქართველოს შემთხვევაში, როცა 2024 წლისათვის ჰიდროენერგეტიკული რესურსების ტექნიკური პოტენციალის მხოლოდ 16-18% არის ათვისებული, საწყის ეტაპზე შეიძლება უფრო დიდი აქცენტი გაკეთდეს ამ ტექნოლოგიის განვითარებისათვის, რაც დიდ სარგებელს მოუტანს როგორც ქვეყანას, ასევე კონკრეტულად ენერგეტიკის სექტორს. მათი გაძლიერების გზით, უფრო მეტ შესაძლებლობას გააჩენს ცვალებადი განახლებადი ენერჯის განვითარების კუთხით, ქსელში არსებული შეზღუდვების გაუმჯობესების გზით. გარდა ამისა, გაცილებით ნაკლები ზეწოლა იქნება ტარიფზე და უზრუნველყოფილი იქნება ქსელის სტაბილურობა. აქვე მნიშვნელოვანია კონკრეტული ტენდერის შემდეგ შედეგების ანალიზი, რათა შემდგომში მოხდეს პირობების ან მოთხოვნების გაუმჯობესება. აღნიშნული უნდა მიმდინარეობდეს მუდმივად.

წარმოდგენილ ნაწილში განხილულ იქნა განახლებადი ენერჯის წახალისების მექანიზმების შესახებ ჩატარებული კვლევის ანალიზი ელექტროენერჯისთვის, თუმცა მნიშვნელოვანია, აღნიშნული სექტორის შემოღება ასევე სხვა მიმართულებებითაც, როგორცაა გათბობა-გაგრილებისა და ტრანსპორტის სექტორი, სადაც განახლებადების წილი კვლავ საკმაოდ დაბალია და მნიშვნელოვანი იქნება ამ სექტორებში განახლებადი ენერჯის განვითარების კუთხით.

### **პროგნოზები, მიზნები და პოლიტიკა ენერჯის განახლებადი წყაროების მოხმარების სტიმულირებისათვის საქართველოში**

#### **გათბობა და გაგრილება**

განახლებადი ენერჯის გამოყენებით გათბობა-გაგრილების ოფციების რანჟირების თანმიმდევრობა ასე გამოიყურება:

##### **• გათბობა**

- ენერგოეფექტურობისა და კონსერვაციის ოფციები შენობებისა და მრეწველობის სექტორებში;

- შენობების მზით პასიური გათბობის დიზაინი;

- გეოთერმული გათბობა;

- მზის, თერმული ან გეოთერმული გათბობა, სადაც არის საკმარისი რესურსი;

- გეოთერმული თბური ტუმბო, რომლის მუშაობისათვისაც, სადაც ეს შესაძლებელია, მაქსიმალურად იქნება გამოყენებული განახლებადი ენერჯის წყაროდან მიღებული ელექტროენერჯია;

- ბიომასა, რომელიც გამოყენებულ იქნება ინტეგრირებულ ბიოენერგეტიკულ სისტემაში ელექტრო და თბური ენერჯის კოგენერაციისათვის (სითბოსა და ელექტროენერჯის კომბინირებული გამომუშავება, CHP);

- თბური ენერჯის გამომუშავება ბიომასის დაწვით (ანაერობული გზით ბიოგაზის მიღება და დაწვა);

##### **• გაგრილება**

- ენერგოეფექტურობისა და კონსერვაციის ოფციები შენობებისა და მრეწველობის სექტორებში;

- პასიური გაგრილების ოფციები (მაგ.: შენობების პასიური გაგრილების დიზაინი; ზაფხულში შენობების ვენტილაცია დამატებითი ენერჯის გამოყენების გარეშე და სხვ.);

- მზის ენერჯიაზე, ან მიწის ზედა ფენების გეოთერმულ ენერჯიაზე მომუშავე გაგრილების აქტიური სისტემები;

- თბური ტუმბოს თბოსიცივით მომარაგების სისტემები.

გათბობა-გაგრილების სისტემებში ენერჯიის განახლებადი წყაროების სტიმულირებისათვის აუცილებელია შესწავლილ იქნას:

- საპროგნოზო მოთხოვნები;

-ენერჯიის განახლებადი წყაროების გამოყენების არსებული დონე გათბობა-გაგრილების სისტემებში და საპროგნოზო მოთხოვნები გათბობა-გაგრილებაზე, მათ შორის ენერგოეფექტურობის გათვალისწინებით. ენერჯიის საპროგნოზო მოხმარება გათბობა-გაგრილების სისტემებში ენერგოეფექტურობის გათვალისწინებით მოყვანილია ცხრილში 29.

**ცხრილი 29.**

**საპროგნოზო ენერგომოხმარება გათბობა-გაგრილების სისტემებში, (ათასი გვტ.სთ)**

დასახელება	წლები								
	2014	2016	2018	2020	2022	2024	2026	2028	2030
საბოლოო ენერგომოხმარება	22,0	22,5	23,0	25,0	27,0	29,0	32,0	33,5	36,5
საბოლოო ენერგომოხმარება ენერგოეფექტურობის ღონისძიებათა გათვალისწინებით	22,0	22,5	22,0	23,5	25,0	27,4	28,5	30,0	32,0

2014 წელს, ქვეყანაში არსებული გათბობა-გაგრილების სისტემების მიერ მოხმარებულ იქნა განახლებადი ენერჯიის 25,6%, თუმცა 2030 წლისათვის მოსალოდნელია ამ წილის 21,5%-მდე შემცირება ბუნებრივი აირის მოხმარების ზრდის გამო.

საქართველოში მზის წყალგამაცხელებლების დამონტაჟებაზე 2020 წლამდე განხორციელდა 3,5 მლნ ევროს ჯამური ინვესტიცია (აქედან დაახლოებით 1,4 მლნ ევრო სუბსიდიების სახით). დამონტაჟებულ იქნა 9200 მზის წყალგამაცხელებელი პანელი, რის შედეგადაც გამოიმუშავდა 26,0 გვტ.სთ თბური ენერჯია.

გარკვეული დადებითი ძვრებია გეოთერმული სითბოს (თერმული წყლების) მოხმარების ზრდის კუთხითაც. 2014 წელს მოხმარებულმა გეოთერმულმა სითბომ შეადგინა 93,0 გვტ.სთ, ხოლო 2020 წელს კი მოხმარებულ იქნა 308,0 გვტ.სთ გეოთერმული ენერჯია.

2014 წელს გათბობა-გაგრილებაზე მოხმარებულ იქნა ბიომასიდან მიღებული 5,4 ათასი გვტ.სთ თბური ენერჯია (400 ათასი შინა მეურნეობიდან მიღებული 1,4 მლნ ტონა ანუ 2,1 მლნ კუბური მეტრი ბიომასა).

2015 წელს მოხმარებულ იქნა 4,6 ათასი გვტ.სთ (14,4%-იანი შემცირება 2014 წელთან შედარებით), ხოლო 2016 წელს 4,5 ათასი გვტ.სთ (16,8%-იანი შემცირება 2014 წელთან შედარებით) ბიომასიდან მიღებული თბური ენერჯია, რაც სავარაუდოდ გამოწვეული უნდა იყოს ბუნებრივი აირის მოხმარების ზრდის გამო.

საქართველოს სატყეო სააგენტოს შეფასებით, შეშის წლიური ხელმისაწვდომი განახლებადი რესურსი შეადგენს 600 ათას კუბურ მეტრს. შეშის საშუალო წლიური ჯამური მოხმარება კი შეადგენს 2,1-2,5 მლნ კუბურ მეტრს, რაც დიდად არის გაცდენილი მდგრადობის ფარგლებს.

## ტრანსპორტი

ტრანსპორტში ენერჯის განახლებადი წყაროების სტიმულირებისათვის აუცილებელია შესწავლილ იქნეს:

- ტრანსპორტში ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების არსებული დონე;
- საპროგნოზო მოთხოვნები (მათ შორის ენერგოეფექტურობის გათვალისწინებით);
- ენერჯის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის მოხმარების საკითხები ტრანსპორტისათვის;
- ბიოსაწვავის, როგორც ენერჯის განახლებადი წყაროს გამოყენების საკითხები ტრანსპორტისათვის.

ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების შესახებ ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებებით (ევროკავშირის დირექტივა 2009/28/EC), ტრანსპორტში მოხმარებული საწვავის 10% უნდა მოდიოდეს ენერჯის განახლებად წყაროებზე.

ტრანსპორტში ენერჯის განახლებადი წყაროების მოხმარების წილის გაზრდა შესაძლებელია:

- ენერგოეფექტურობის ღონისძიებების ზრდით (შედეგი - ენერჯის (საწვავის) შემცირებული მოხმარება);
- ელექტროტრანსპორტის დანერგვით;
- ბიოსაწვავის გამოყენებით.

ენერჯის საპროგნოზო მოხმარება ტრანსპორტში ენერგოეფექტურობის ღონისძიებათა გათვალისწინებით მოყვანილია ცხრილში 30. ენერგოეფექტურობის ღონისძიებები მოიცავს: ავტოტრანსპორტის გაუმჯობესებას; საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესებას და საზოგადოების განათლებას მოცემულ სეგმენტში.

2014 წელს ტრანსპორტმა (მეტრო, რკინიგზა) მოიხმარა 266,8 გვტ.სთ ელექტროენერჯია. მოხმარებული ელექტროენერჯის 80% მიღებული იყო ენერჯის განახლებადი წყაროებიდან.

2020 წელს ქვეყანაში არსებული ავტოტრანსპორტი დაახლოებით მოიცავდა - 650 ათას კერძო ავტომობილს, 72 ათას ტაქსს, 2,1 ათას ავტობუსს, 8 ათას მიკროავტობუსს, 14 ათას მსუბუქ სატვირთო მანქანას, 40 ათას მძიმე სატვირთო მანქანას, რომლებიც მოიხმარენ საწვავის შემდეგ სახეობებს: დიზელი, ბენზინი, შეკუმშული ბუნებრივი აირი (CNG), გათხევადებული ნავთობის აირი (LPG).

### ცხრილი 30.

#### საპროგნოზო ენერგომოხმარება ტრანსპორტში, (ათასი გვტ.სთ)

დასახელება	წლები								
	2014	2016	2018	2020	2022	2024	2026	2028	2030
საბოლოო ენერგომოხმარება	15,5	17,5	18,5	21,0	23,0	26,0	27,5	29,0	32,0
საბოლოო ენერგომოხმარება ენერგოეფექტურობის ღონის-ძიებათა გათვალისწინებით	15,5	17,5	17,0	18,0	20,0	22,0	23,0	25,0	27,0

ტრანსპორტში ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების სტიმულირების მიზნით ამჟამად ელექტროტრანსპორტისათვის აქციზის გადასახადი გაუქმებულია (0,00%). ელექტროტრანსპორტისათვის იგეგმება დასამუხტი ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელსაც მნიშვნელოვანი ინვესტიციები ესაჭიროება.

ერთი დასამუხტი სადგურის ინფრასტრუქტურის მოწყობის ხარჯი 4 ათას ევროს შეადგენს. 2025 წლის ბოლოსათვის 850-900 ასეთი ტიპის დასამუხტი სადგურის მოწყობა იქნება საჭირო. ცხრილში 31. მოყვანილია ელექტრომობილების მიერ მოხმარებული ენერჯისა და ელექტროდასამუხტი სადგურების ინფრასტრუქტურის მოსაწყობად საჭირო ჯამური საინვესტიციო ღირებულების მაჩვენებლები.

**ცხრილი 31.**

**ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენება ელექტრომობილებში**

ლონისძიება	ენერჯის მოხმარება, 2018-2020 წწ. (ათასი ტ.ნ.ე.)	საინვესტიციო ღირებულება 2018-2020 წწ. მლნ. ევრო
ელექტრომობილების წახალისება	14,7	3,44

ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების შესახებ ევროკავშირის მიერ 2015 წლის 5 ოქტომბერს მიღებულ დირექტივაში შეტანილ იქნა გარკვეული ცხილებები და დამტკიცდა ახალი დირექტივა (EU) 2015/2013, რომლის მიხედვითაც დაწესდა:

- 7%-იანი ზედა ზღვარი სასურსათო პროდუქტებისგან მიღებულ (ჩვეულებრივი) ბიოსაწვავზე;

- 0,5%-იანი არასავალდებულო ეროვნული სამიზნე მაჩვენებელი არასასურსათო პროდუქტებისგან მიღებულ (მაღალტექნოლოგიურ) ბიოსაწვავზე.

2016 წლის 30 ნოემბერს ევროკომისიამ გამოაქვეყნა (RED II) - ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების შესახებ დირექტივა II, რომელიც წარმოადგენს საკანონმდებლო წინადადებას. ამ დირექტივის მიხედვით RED II 2020-2030 წლების პერიოდისათვის აწესებს:

- ჩვეულებრივი ბიოსაწვავისათვის 7%-იან წილს (ზედა ზღვარი) 2021 წელს, მისი შემდგომი თანდათანობითი შემცირებით 3,8%-მდე 2030 წელს;

- 1,5%-იან წილს მაღალტექნოლოგიური ბიოსაწვავისათვის 2021 წელს და ამ წილის ზრდას 6,8%-მდე 2030 წლისათვის.

საქართველოს ამ ეტაპზე ამ დირექტივის შესრულება არ ევალეა. ამჟამად, ევროპაში ყველაზე გავრცელებული ბიოსაწვავია რაფსის ზეთის პირველი თაობის ბიოდიზელი, რომლის გაზავებაც შესაძლებელია ნავთობისაგან წარმოებული დიზელით. საქართველოში იმპორტირებული ბიოდიზელის ოდენობა წელიწადში აჭარბებს 100 მლნ. ლიტრს, რაც (0,76 ევრო \* 100 მლნ. ლტ) აღწევს 76 მლნ. ევროზე მეტს. საქართველოში მისი წარმოება გაცილებით მეტი (100 მლნ. ევრო) დაჯდება.

რაფსის ზეთისაგან წარმოებული ბიოდიზელისაგან განსხვავებით ბიოეთანოლი თანამედროვე ბიოსაწვავის ერთ-ერთი სახეობაა, რომლის გაზავება შეიძლება ბენზინით. ბიოეთანოლის პირველი თაობის წარმოებისათვის ძირითადად გამოიყენება ხორბალი. ბიოეთანოლის 1 ლიტრის საბითუმო ფასია 0,85 ევრო. საქართველოში მისი წარმოება 2017-2030 წლებში დაჯდება 50-60 მლნ. ევრო წელიწადში. ასეთი წარმოებისათვის საჭირო იქნება დაახლოებით 100 ათას ჰექტარზე მოყვანილი ხორბალი.

თანამედროვე ბიოსაწვავის წარმოება შესაძლებელია სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებით ბიომასის სხვადასხვა სახეობიდან:

- სასოფლო-სამეურნეო და ტყის ნარჩენებიდან, ენერგეტიკული კულტურებიდან და სხვა. ამდენად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სპეციალურად მის საწარმოებლად გამოყოფა არ არის საჭირო. ამ ტიპის ბიოსაწვავის თანდათანობითი დანერგვა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის სავალდებულოა. თანამედროვე ბიოსაწვავის კომერციული წარმოება ჯერჯერობით სამრეწველო დონეზე არ არის აყვანილი.

ინვესტიციების განხორციელება ელექტროტრანსპორტში გამოიწვევს ელექტრომობილების რაოდენობის ზრდას ქვეყანაში. მათი ოდენობამ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში 2020 წლისათვის მიაღწია 1%-ს. შესაბამისად, ტრანსპორტის მიერ მოხმარებული ენერჯის 2,6% (462 გვტ.სთ) იქნება განახლებადი ენერჯის წყაროს წილი, ტრანსპორტის მიერ ენერჯის ჯამური მოხმარებიდან (18,1 ათასი გვტ.სთ). 2030 წლისათვის ქვეყანაში ელექტრომობილების ბაზრის წილი გაიზრდება 11%-მდე. შესაბამისად, ტრანსპორტის მიერ მოხმარებული ენერჯის 10,4% (2712 გვტ.სთ) იქნება განახლებადი ენერჯის წყაროს წილი, ტრანსპორტის მიერ ენერჯის ჯამური მოხმარებიდან (26,1 ათასი გვტ.სთ).

პერსპექტივაში ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს კიდევ უფრო მეტი რევოლუციური ძვრები ტრანსპორტის მიერ მოხმარებული ენერჯის სახეობებში (წყალბადი, თბური ელემენტი და სხვ.).

### ელექტროენერჯია

ელექტროენერჯის წარმოებაში განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების არსებული დონე ასეთია: ჰიდროელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე შეადგენს ქვეყნის ენერჯოსისტემაში არსებული ყველა ტიპის ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრის 75%-ს, ხოლო ჰესების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის წილი კი - მთლიანად ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერჯის 80%-ს. 2017 წელს ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 20,7 მგვტ. სიმძლავრის გორის ქარის ელექტროსადგური.

2020 წლის ბოლომდე განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისებაში განხორციელდა 861 მლნ. ევროს ინვესტიცია. 2030 წლისათვის განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისებაში მოსალოდნელია განხორციელდეს დაახლოებით 3,4 მილიარდი ევროს ინვესტიცია. ნავარაუდებია, რომ ქვეყანაში არსებული ყველა თბოელექტროსადგური გამოყენებული იქნება ადგილობრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. 2030 წლისათვის საქართველოში განახლებადი ენერჯის წყაროების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯია დააკმაყოფილებს ქვეყანაში მოხმარებული ელექტროენერჯის (გარდა ტრანსპორტის სექტორისა) 80-83%-ს. ელექტროენერჯის საპროგნოზო მოხმარება 2014-2030 წლებში ენერგოეფექტურობის ღონისძიებათა გათვალისწინებით მოყვანილია ცხრილში 32.

### ცხრილი 32.

#### ელექტროენერჯის საპროგნოზო მოხმარება (ათასი გვტ.სთ)

დასახელება	წლები								
	2014	2016	2018	2020	2022	2024	2026	2028	2030
საბოლოო ენერგომოხმარება	9,5	10,1	10,9	11,7	12,5	13,4	14,2	15,2	16,5
საბოლოო ენერგომოხმარება ენერგოეფექტურობის ღონისძიებათა გათვალისწინებით	9,5	10,1	10,8	11,3	11,9	12,4	13,1	13,9	15,0

თბოელექტროსადგურებიდან ელექტროენერჯის მიწოდების საპროგნოზო მონაცემები მოყვანილია ცხრილში 33.

**თბოელექტროსადგურებიდან ელექტროენერჯის მიწოდების  
საპროგნოზო მონაცემები**

დასახელება	წლები					
	2020	2022	2024	2026	2028	2030
თბოელექტროსადგურების მოსალოდნელი დადგმული სიმძლავრე, მგვტ	1050	1050	1050	1450	1450	1450
თბოელექტროსადგურების მიერ ელექტროენერჯის გამომუშავება, გვტ.სთ	2375	2570	2750	2900	3125	3300

საქართველოს ეროვნული ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმაში (NEEAP) გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიება ელექტროენერჯის მოხმარების შესამცირებლად:

- ენერგოეფექტურობის ღონისძიებების გატარება ყოფაცხოვრებაში (ნათურები, მოწყობილობები, ტექნიკა);

- ენერგოეფექტურობის ღონისძიებების გატარება მრეწველობაში;

- ენერგოეფექტურობის ღონისძიებების გატარება გარე განათებაში.

ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გათვალისწინების მიუხედავად, ელექტროენერჯის საპროგნოზო მოხმარება წელიწადში საშუალოდ მაინც გაიზრდება 3,4%-ით. ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაციაში მიღებისა და ელექტროენერჯის წარმოების გაზრდის მონაცემები 2025 წლისათვის და შემდგომი პერიოდისათვის მოყვანილია ცხრილში 34.

**ჰიდროელექტროსადგურები**

პროექტის სტატუსი	პროექტ- ბის რაოდ.- ობა	დადგმუ- ლი სიმძლავ- რე, მგვტ	გამომუშავე- ბული ელექტრო- ენერჯია, გვტ.სთ/წელი	ინვესტი- ცია, მლნ. ევრო	ექსპლუა- ტაციაში მიღების ალბათობა, %
1	2	3	4	5	6
NEEAP-ის ღონისძიება E-2 პოლიტიკა და ინვესტიციები ჰესების რეაბილიტაციისათვის	-	131,0	218,1	97,0	-
ჰესები მშენებლობის ეტაპზე, რომელთაც გაფორმებული აქვთ მემორანდუმი	19	734,4	2912,6	1583,0	100
ჰესები, რომლებზეც ინვესტორს გამოხატული აქვს დაინტერესება და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა დასრულებულია	3	1035,0	2823,1	1140,0	50
ჰესები წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე	98	2489,9	11149,8	3604,0	25
ჯამი	130	4390,3	17103,6	6424,0	-
შეწონილი ჯამი	-	2005,1	7329,7	3150,82	-

**ქარის ენერჯია**

ქარის ელექტროსადგურების ექსპლუატაციაში მიღებისა და ელექტროენერჯიის წარმოების გაზრდის მონაცემები 2023 წლისათვის და შემდგომი პერიოდისათვის მოყვანილია ცხრილში 35.

„ენერჯოპლატფორმის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2024 წლის აპრილში, გარდაზნის მუნიციპალიტეტის სოფელ ლემშენიერაში ამოქმედდა ტბის ზედაპირზე მოტივტივე ტიპის მზის ფოტოელექტრო გარდამქმნელებიანი (PV სისტემა) საპილოტე ელექტროსადგური. პროექტის ღირებულებაა 177 ათასი აშშ დოლარი, რომელიც განხორციელდა USAID-ის მიერ გამოყოფილი ინვესტიციით. მზის ელექტროსადგურის სიმძლავრეა 216 კვტ, გამომუშავებული ელექტროენერჯია - 300 ათასი კვტ.სთ/წ, CO<sub>2</sub>-ის ემისია - 31,2 ათასი კგ/წ, მიღებული ეკონომია კი - 32,4 ათასი აშშ დოლარი წელიწადში.

**ცხრილი 35.**

**ქარის ელექტროსადგურები**

პროექტის სტატუსი	პროექტების რაოდენობა	დადგმული სიმძლავრე, მგვტ	გამომუშავებული ელექტროენერჯია, გვტ.სთ/წელი	ინვესტიცია, მლნ. ევრო	ექსპლუატაციაში მიღების ალბათობა, %
დაგეგმილი	18	1157	4503	1727	10÷30
შეწონილი ჯამი	-	217	850	287	-

**მზის ენერჯია**

მზის ფოტოელექტრო გარდამქმნელების გამოყენებით (PV სისტემა) დაგეგმილია სოფ. უდაბნოში მზის საპილოტე (დადგმული სიმძლავრე 5 მგვტ) ელექტროსადგურის აგება. პოტენციური მზის ელექტროსადგურების ექსპლუატაციაში მიღებისა და ელექტროენერჯიის წარმოების გაზრდის მონაცემები 2020 წლის შემდგომი პერიოდისათვის მოყვანილია ცხრილში 36.

**ცხრილი 36.**

**მზის ელექტროსადგურები (PV სისტემა)**

პროექტის სტატუსი	პროექტების რაოდენობა	დადგმული სიმძლავრე, მგვტ	გამომუშავებული ელექტროენერჯია, გვტ.სთ/წელი	ინვესტიცია, მლნ. ევრო	ექსპლუატაციაში მიღების ალბათობა, %
დაგეგმილი	11	505	675	422	20
შეწონილი ჯამი	-	105	142	88,5	-

2025 წლისათვის გარდაზნში იგეგმება ბიოგაზის 3 მგვტ-იანი სადგურის ექსპლუატაციაში მიღება, წელიწადში 24,0 გვტ.სთ ენერჯიის გამომუშავებით, ექსპლუატაციაში მიღების ალბათობა 50%-ია.

ამრიგად, განახლებადი ენერჯიის ეროვნული სამოქმედო გეგმის (გეესგ) პოლიტიკის ღონისძიებების სავარაუდო ხარჯები და შედეგები 2020 წლისა და შემდგომი პერიოდისათვის ასე გამოიყურება (ცხრილი 37).

CO<sub>2</sub>-ის ემისიები სხვადასხვა ტიპის ელექტროსადგურების მიერ გამოშვებული ელექტროენერჯის მიხედვით ტოლია:

- ჰიდროელექტროსადგური = 24 გრამი(გ)CO<sub>2</sub>-ეკვ/კვტ.სთ
- ქარის ელექტროსადგური = 48 გCO<sub>2</sub>-ეკვ/კვტ.სთ,
- მზის ელექტროსადგური (PV სისტემა და კონცენტრირებული) = 98 გCO<sub>2</sub>-ეკვ/კვტ.სთ,
- ბუნებრივ აირზე მომუშავე თბოელექტროსადგური (თესი) = 490 გCO<sub>2</sub>-ეკვ/კვტ.სთ,
- თხევად სათბობზე (მაზუთზე) მომუშავე თესი = 980 გCO<sub>2</sub>-ეკვ/კვტ.სთ.

**ცხრილი 37.**

**გეესგ-ს პოლიტიკის ღონისძიებების სავარაუდო ხარჯები და შედეგები (2020 წ და შემდგომი პერიოდი)**

№	ღონისძიება	განახლებადი ენერჯის მოსალოდნელი მოხმარება, ათასი ტ.ნ.ე.	მოსალოდნელი ხარჯი, ათასი ევრო
1.	მზის წყალგამაცხელებლების სტიმულირება	5,2	1 384,0
2.	ელექტრომობილების სტიმულირება	14,7	3 440,0
3.	ჰიდროელექტროენერჯის წარმოების მხარდაჭერა	516,9	984 782,0
4.	ქარის ელექტროენერჯის წარმოების მხარდაჭერა	25,2	70 500,0
5.	მზის ელექტროენერჯის წარმოების მხარდაჭერა	0,7	4 903,0
6.	გეოთერმული სითბოს წარმოების მხარდაჭერა	61,6	არ არის გაანგარიშებული

**4. ენერგოსექტორის როლი საქართველოს სტრატეგიული განვითარების ჭრილში**

კავკასია და მაშასადამე საქართველოც მრავალი ევროპული თუ აზიური ქვეყნების გზაჯვარედინზე მდებარეობს. ესენია: ირანი, ყაზახეთი, თურქმენეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, უკრაინა და ევროკავშირის სახელმწიფოები.

საქართველო გააჩნია შესაძლებლობა გახდეს ირანული და თურქმენული გაზის, რუსეთის, ყაზახეთისა თუ აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის მიმწოდებელი სატრანზიტო ქვეყანა მთლიანად ევროპისა და მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებისათვის. იმ შემთხვევაში თუ კავკასია გახდება ამ ენერგობაზრის ერთ-ერთი მთავარი რგოლი, ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ წინსვლას. ცხრილიდან 38 ნათლად ჩანს, რომ საქართველო მდებარეობს რეგიონში, სადაც განლაგებულია ბუნებრივი აირის მსოფლიო მარაგების თითქმის 50% და ნავთობის მსოფლიო მარაგების თითქმის 20%.

საქართველოსა და მთლიანად კავკასიის რეგიონში კარგად არის განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა: სარკინიგზო და საავტომობილო ქსელი, ნავთობსადენებისა და გაზსადენების სისტემა, რომელიც ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც თავად კავკასიისთვის, ასევე ევროპისათვის. ამ პირობებში ჩვენს ქვეყანას აქვს უნიკალური შესაძლებლობა შექმნას სასაქონლო ბირჟა, სადაც შესაძლებელი იქნება, საქართველოს



ტერიტორიაზე ნახშირწყალბადების გადაზიდვასთან ერთად, ივაჭრონ მსოფლიოს უმნიშვნელოვანესმა ქვეყნებმა და უმსხვილესმა კომპანიებმა ამ და სხვა ნედლეულებით.

**ცხრილი 38.**

**ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგები და მათი წილი მსოფლიო ნავთობისა და გაზის მარაგებში, 2018 წ.**

ქვეყანა	ნავთობის მარაგები, მლრდ ტონა	ნავთობის მსოფლიო მარაგების წილი, %	გაზის მარაგები, ტრლნ მ <sup>3</sup>	გაზის მსოფლიო მარაგების წილი, %
რუსეთი	14,6	6,1	38,9	19,8
ყაზახეთი	3,9	1,7	1,0	0,5
აზერბაიჯანი	1,0	0,4	2,1	1,1
თურქმენეთი	0,1	<0,05	19,5	9,9
უზბეკეთი	0,1	<0,05	1,2	0,6
ირანი	21,4	9,7	31,9	16,2
სულ	41,1	17,9	94,6	48,1

შედგენილი, წყარო: BP Statistical review of world energy, ( 05.10. 2019)

2018 წელს აზერბაიჯანმა გამოიმუშავა ნავთობის მსოფლიო წარმოების მოცულობის 0,3% (39,2 მლნ ტონა) და ბუნებრივი აირის მსოფლიო წარმოების მოცულობის 0,5% (18,8 მლრდ მ<sup>3</sup>). სწორედ ამ მახასიათებლების გამო, ის ითვლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთამაშედ მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზარზე.

ირანში ბუნებრივი აირის წარმოების გარანტირებული ხანგრძლივობა არის 133 წელი, რუსეთსა და აზერბაიჯანში 58-112 წელი. თუ ირანი ბუნებრივ აირს მიაწვდის ევროკავშირს, მაშინ ირანის მიერ ბუნებრივი აირის გარანტირებული წარმოების ვადა შემცირდება მხოლოდ 121 წლამდე, ხოლო აზერბაიჯანისა 48 წლამდე.

კავკასიის რეგიონში გადის რამდენიმე საერთაშორისო მილსადენი (ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კორპორაცია, 2019). ნავთობსადენებთან შედარებით უფრო განვითარებულია ბუნებრივი აირის მილსადენთა სისტემა (ცხრილი 39).

**ცხრილი 39.**

**მილსადენების სიგრძე დანიშნულებისა და ქვეყნების მიხედვით**

ქვეყანა	მილსადენების სიგრძე, კმ			
	ნავთობი	ბუნებრივი აირი	კონდენსატი	სულ
სომხეთი	0	2233	0	2233
აზერბაიჯანი	1424	3361	1	4785
საქართველო	1258	1596	0	2854
სულ	2682	7190	1	9872

შედგენილი, წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019

**საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენებია:** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (Baku-Tbilisi-Geyhan – BTC); დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი (West Root Export Pipeline–WREP);

**საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენებია:** სამხრეთ-კავკასიური (South Caucasus Pipeline – SCP); ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი (North-South Gas Pipeline – NSGP).

✓ **ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი** (Baku-Tbilisi-Ceyhan – BTC) – 1999 წლის 18 ნოემბერს ხელი მოეწერა შეთანხმებას „ნედლი ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მთავარი საექსპორტო ნავთობსადენის საშუალებით“ (Socar midstream, 2019). მისი მშენებლობა დაიწყო 2005 წლიდან, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია. აზერბაიჯანისა და თურქეთის ტერიტორიაზე მილსადენის დიამეტრი არის 42 ინჩი, ანუ 106,68 სმ, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე - 116,84 სმ, თუმცა თურქეთში, ზღვის ტერმინალში მილსადენის დიამეტრი შედარებით მცირეა - 34 ინჩი, ე. ი. 86,36 სმ.

აზერბაიჯანული ნავთობი მილსადენის საშუალებით გადაიზიდება თურქეთის მიმართულებით, აზერი-ჩირად-გიუნეშელის საბადოდან ჯეიჰანის პორტისკენ. ეს მილსადენი ერთმანეთს აკავშირებს სანგაჩალის ტერმინალს, ჯეიჰანის საზღვაო ტერმინალსა და თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს (BP, 2019). ის მსოფლიოში სიგრძით მეორე ნავთობსადენია - 1768 კმ, საიდანაც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადის 443 კმ, თურქეთზე 1076კმ, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე - 229 კმ, მას გააჩნია 8 სატუმბო სადგური, საიდანაც 2 მათგანი საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს. საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მილსადენს მართავს ბიპის (BP) კომპანია, ხოლო თურქეთისაზე - ბოტასის (BOTAS) საერთაშორისო ფირმა (BP, 2019).

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დამფუძნებლები არიან: ბიპი (გაერთიანებული სამეფო) – 30,1%, სოკარი (AzBTC) – 25% (აზერბაიჯანი), Chevron – 8,9% (აშშ), Statoil – 8.71%, TPAO – 6,53%, eni – 5%, Toal – 5%, Itochu – 3,4%, INPEX – 2,5%, ExxonMobil – 2,5%, ONGC VIDESH – 2,36% (Socar midstream, 2019) (Chevron, 2019).

2006 წლის ივნისიდან მილსადენი ამუშავდა. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით გადაიზიდება ნავთობი თურქმენეთიდან, რუსეთიდან და 2013 წლის ოქტომბრიდან თენგიზის ველიდან (ყაზახეთი); 2006-2009 წლებში მილსადენის სიმძლავრე იყო 1 მლნ ბარელი დღეში, ანუ 49,8 მლნ ტონა წელიწადში, ხოლო 2009 წლის შემდეგ ის გაიზარდა 1,2 მლნ ბარელამდე დღეში, ანუ 59,76 მლნ ტონამდე წელიწადში (BP Statistical review of world energy, 2019) (BP, 2019). 2014 წლის 11 აგვისტოსთვის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანს სულ 2 მლრდ ბარელი ჰქონდა გადაზიდული, ანუ 273 მლნ ტონა (BP, 2019). 2006-2018 წლებში სულ გადაიზიდა 3,12 მლრდ ბარელი, ანუ 426 მლნ ტონა ნავთობი, საიდანაც ექსპორტზე გავიდა - 34 მლნ ტონა (BP, 2019).

✓ **დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი** (West Root Export Pipeline – WREP) - მას უწოდებენ ბაქო-სუფსის მილსადენსაც, რომლის დიამეტრია 53 სმ, ხოლო სიგრძე - 829 კმ. მშენებლობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა 1996 წლის აპრილში, რომელიც დასრულდა 1998 წლის ნოემბერში. 1999 წლის თებერვლიდან მილსადენი შევიდა ექსპლუატაციაში, ხოლო სუფსის ტერმინალი აშენდა და გაიხსნა ამავე წლის 17 აპრილს (BP, 2019).

დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენის დამფუძნებლებია: BP – 35,8%, Socar – 11,6, Chevron – 11,3%, INPEX – 11%, Statoil – 8,6%, ExxonMobil – 8%, TPAO – 6,8%, Itochu – 4,3%, ONGC – 2,7% (Socar midstream, 2019).

აღნიშნული ნავთობსადენით ჩირალის ველიდან, აზერბაიჯანი, ნავთობის გადაზიდვა დაიწყო სუფსის ტერმინალში, საქართველო (BP, 2019), მისი ტევადობა არის 120 ათასი ტონა. საქართველოდან ტანკერების საშუალებით ნავთობი ტრანსპორტირდება თურქეთისა და ბოსფორის ზღვის გავლით ევროპის მიმართულებით (BP, 2019). ნავთობსადენის სიმძლავრე არის დღეში 100 ათასი ბარელი, ე. ი. წელიწადში 4.98 მლნ ტონა (BP, 2019). ამ ნავთობსადენს ფლობს და ამუშავებს The Azerbaijan International Operating Company (AIOC) (BP, 2019). მილსადენს სარემონტო სამუშაოები ჩატარდა 2007-2008 წლებში. 2018 წელს სანგაჩალის ტერმინალიდან დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენის საშუალებით გადაიზიდა 28 მლნ ბარელი, ე. ი. 3,82 მლნ ტონა ნავთობი (BP, 2019). მას სულ 6 სატუმბი სადგური გააჩნია, სამი მათგანი საქართველოს ტერიტორიაზეა.

♣ **სამხრეთ-კავკასიური** (South Caucasus Pipeline – SCP) - მას უწოდებენ ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენსაც, რომელიც იწყება აზერბაიჯანში. ამ საბადოს ასევე უწოდებენ „შაჰ-დენიზის“ საბადოს ანუ „ზღვების მეფეს“. ეს საბადო იწყება აზერბაიჯანში და საქართველოს გავლით მთავრდება თურქეთში. აღნიშნული საბადო აღმოჩენილია კასპიის ზღვაში, ბაქოს სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამ საბადოზე, სადაც მოპოვება დაიწყო 2006 წელს, მოდის აზერბაიჯანის ბუნებრივი აირის მარაგის ნახევარზე მეტი. გაზსადენის სიგრძეა 692 კმ, აქედან 249 კმ გადის საქართველოს ტერიტორიაზე. გაზსადენს შეუძლია წელიწადში 20-25 მლრდ. მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირის გატარება. აღნიშნული გაზსადენი ძირითადად გაყვანილია ბაქო-თბილისი ჯეიჰანის ნავთობსადენის პარალელურად.

♣ **ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი** (North-South Gas Pipeline – NSGP) - არის სატრანზიტო მილსადენი, რომლის საშუალებითაც გაზი რუსეთიდან საქართველოს გავლით მიეწოდება სომხეთს. მისი სიგრძეა 234 კმ და სიმძლავრე - 12 მლრდ მ<sup>3</sup>. მის 2009 წლიდან ტრანსპორტირებას ახორციელებს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“, რომელიც სახელმწიფოს ექვემდებარება.

ამგვარად, კავკასიის რეგიონში გამავალი რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო მილსადენი კიდევ უფრო ზრდის კავკასიის როლს საერთაშორისო ენერგობაზარზე, ეკონომიკასა და პოლიტიკაში.

**კავკასიის რეგიონში არსებული პორტები და ტერმინალები**, - რომელთა მუშაობაზეც არის დამოკიდებული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დატვირთვა და გადაზიდვა კავკასიისა და ევროპის ქვეყნების მიმართულებით.

● **აზერბაიჯანი-სანგაჩალის ტერმინალი** - მდებარეობს გარადახის რაიონში, სადაც ინახება ნავთობი და ბუნებრივი აირი. ის განთავსებულია 542 ჰექტარზე, მისი გადამამუშავების სიმძლავრეა - 1,2 მლნ ბარელი დღეში, ანუ წელიწადში 59,76 მლნ ტონა ნავთობი და 49,3 მლნ მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირი დღეში, ანუ წელიწადში 17,995 მლრდ მ<sup>3</sup>. მისი საცავის მაქსიმალური სიმძლავრეა 4,0 მლნ ბარელი, ე. ი. 545,703 ათასი ტონა, ხოლო მისი სამუშაო სიმძლავრე - 3,2 მლნ ბარელი, ანუ 437,0 ათასი ტონა (BP, 2019). სანგაჩალის ტერმინალიდან ნავთობი მიეწოდება ბაქო-თბილისი ჯეიჰანის ნავთობსადენს, ხოლო ბუნებრივი აირი სამხრეთ კავკასიის გაზსადენს. აღნიშნული ტერმინალი ნავთობს აგრეთვე იღებს ყაზახეთიდან და თურქმენთიდან.

● **სანგაჩალის ტერმინალს** - მსოფლიოს ნავთობისა და გაზის ტერმინალებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თავისი მასშტაბიდან გამომდინარე. ზოგადად, ეს ტერმინალი 2 ნაწილისგან შედგება - EOP-ისა (Early Oil Project) და STEP-გან (Sangachal Terminal Expansion Programme) (BP, 2019). EOP - ნაწილის მიზანია, გადამამუშაოს, შეინახოს და ექსპორტზე გაიტანოს ჩირალის საბადოდან (კასპიის ზღვა) მოპოვებული ნავთობი. მას გააჩნია ნედლი ნავთობის 4 საცავის ტანკერი, თითოეულის სიმძლავრეა 25,5 ათასი ბარელი, ე. ი. 3,48 ათასი ტონა, ე. ი. სულ

13,92 ათასი ტონა, ამ შესაძლებლობებით EOP ტერმინალს შეუძლია ექსპორტზე გაიტანოს 6,0 მლნ ტონა ნედლეული წელიწადში (BP, 2019); TEP - ნაწილის მიზანია მიიღოს, შეინახოს და გადაამუშაოს ნავთობი, აზერი-ჩირადი-გიუნინშელის ველიდან, და ბუნებრივი, აირი შაჰ-დენიზის ველიდან. მას გააჩნია 3 ნედლი ნავთობის საცავის ტანკერი, თითოეული 880 ათასი ბარელის სიმძლავით, ე. ი. 120,055 ათასი ტონა, ე. ი. სულ - 360,165 ათასი ტონა (BP, 2019). ორივე ტერმინალის მუშაობას ხელმძღვანელობს ბიპის კომპანია.

2018 წლის სანგაჩალის ტერმინალიდან გადაიზიდა 284 მლნ ბარელი ნავთობი, ე. ი. 38,74 მლნ ტონა, საიდანაც 255 მლნ ბარელი, ანუ 34,78 მლნ ტონა ნავთობი განკუთვნილი იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისათვის, 28,0 მლნ ბარელი, ანუ 3,82 მლნ ტონა ნავთობი დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენისთვის, ხოლო 1,3 მლნ ბარელი, ე. ი. 177,353 ათასი ტონა ნავთობი ცალკე კონდენსატის საექსპორტო ხაზით (BP, 2019).

ბუნებრივი აირი გადაიზიდება სამხრეთ კავკასიისა და სოკარის გაზსადენით, რომელიც უკავშირდება ტერმინალს აზერიგაზის ეროვნული სისტემის საშუალებით. შაჰ-დენიზიდან, 2018 წლის განმავლობაში, დღეში 28,4 მლნ მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირი გადაიზიდებოდა, ანუ წელიწადში 10,366 მლრდ მ<sup>3</sup> (BP, 2019). გარდა ამისა, სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოების პროექტის ფარგლებში იგეგმება სანგაჩალის ტერმინალიდან დამატებით 16 მლრდ მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირის გადაზიდვა წლის განმავლობაში (BP, 2019).

● **ბათუმის პორტი** - გაიხსნა 1878 წელს პორტო ფრანკოს სახელწოდებით, მისი გაფართოების პროექტი შეიქმნა 1884 წელს, რომლის ავტორი იყო პორტის პირველი მმართველი ადმირალი გრივი და ინჟინერი ჯორჯ ალკოვიჩი; პორტის განვითარება დაიწყო 1885 წლიდან, რაც განპირობებული იყო აზერბაიჯანული ნავთობის ბათუმის პორტისთვის მიწოდებით; ნავთობი კი უნდა გადაზიდულიყო ბაქო-ბათუმის რკინიგზით (Batumi Sea Port, 2019).

ბაქოში ნავთობის წარმოების მიზნით, ჩავიდა ემანუელ ნობელის შვილი, რობერტი 1873 წელს, იქ მან დააარსა ნავთობის პირველი საწარმო, ხოლო ბარონ როტმილდის თაოსნობით შექმნეს ნავთობის ტანკერი. 1883 წელს პირველად გადაიზიდა 3 მლნ ფუნტი ნავთობი, ანუ 1 360,777 ტონა. ამ დროისათვის ბათუმის პორტი ყველაზე მძლავრი იყო მსოფლიოში; 1892 წელს უკვე ბათუმის პორტში შემოვიდა ნავთობის პირველი ინგლისური ტანკერი (Convert Units - Measurement Unit Converter, 2019) (Batumi Sea Port, 2019). 1900-იან წლებში ბათუმის პორტში მსოფლიო ნავთობის 26% იტვირთებოდა, რომელიც ხმელთაშუა ზღვისკენ მიემართებოდა. საქართველოს გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე ბათუმის პორტის მნიშვნელობა უფრო მეტად იზრდება. 2008 წელს ექსკლუზიური უფლება გადაეცა KazTransOil-ს, რომელიც ყაზახეთის ნავთობისა და გაზის ეროვნული კომპანიის KasMunayGas-ის შვილობილი კომპანიაა (Batumi Sea Port, 2019). ბათუმის ტერმინალის საშუალებით 2018 წელს გადაიზიდა 1,023 მლნ ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები. ამჟამად, ბათუმის ნავთობის ტერმინალს გააჩნია 5 სატანკერო ადგილი, სადაც არის 135 ტანკი, მათ აქვთ სულ 597 ათასი მ<sup>3</sup> სიმძლავრე, (513,42 ათასი ტონა). სამი მათგანი განკუთვნილია ნავთობის რეზერვების შესანახად, ესენია: Kapreshumi, Kholodnaya Sloboda და Main Territory, მათ გააჩნიათ 37 ტანკი 287 ათასი მ<sup>3</sup> სიმძლავრით, ე. ი. (246,82 ათასი ტონა); ნავთობის გადასატვირთად კი სამი სადგომია გამოყოფილი, რომელთა ჯამური სიმძლავრეა 101 ათასი ტონა (დედვეითი) (Batumi Oil Terminal, 2019). (1<sup>მ</sup> ნავთობი უდრის 6,2898 აშშ ბარელს).

● **ყულევის ნავთობტერმინალი** - ყულევი, როგორც ციხესიმაგრე შავი ზღვის სანაპიროზე ხობისწყლის მდინარესთან რუსებმა ააშენეს 1804 წელს, თუმცა მანამდე ყულევის ქალაქი დაუარსებია სამეგრელოს მთავარს, ჯაიანს (Kulevi Oil Terminal, 2013-2014). 1821 წელს ყულევის პორტის მნიშვნელობა გაიზარდა, რადგან ტვირთი გადაიზიდებოდა კავკასიის, ხმელთაშუა

ზღვის, აზოვისა და შავი ზღვების გავლით სხვადასხვა ქვეყნის მიმართულებით. 1846 წელს ყულევს საპორტო ქალაქის სტატუსი მიენიჭა. ყირიმის ომის დროს, თურქებმა ყულევი დაბომბეს, რის გამოც მისი მნიშვნელობა შემცირდა და სამაგიეროდ გაიზარდა ფოთისა და სოხუმის პორტების დატვირთვა. 1998 წელს ისევ გაჩნდა იდეა ყულევის ნავთობის ტერმინალის აღდგენის თაობაზე და 1 წლის შემდეგ ხელი მოეწერა ბრძანებას ნავთობის ტერმინალისა და პორტის მშენებლობის შესახებ (Kulevi Oil Terminal, 2013-2014). პროექტი განხორციელა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო კომპანიამ, SOCAR-მა, 2006 წლის დეკემბერში. ტერმინალმა მუშაობა დაიწყო 2008 წლის მაისში, მას შემდეგ 24 მლნ ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები გადაიზიდა (Kulevi Oil Terminal, 2013-2014). ყულევის ტერმინალის მუშაობამ და წარმატებამ მიიქცია Tengizchevroil-ის ყურადღება და 2010 წლის მაისიდან დაიწყო ნედლი ნავთობის გადაზიდვა. ყულევის ტერმინალს გააჩნია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების 21 ტანკერული საცავი 402 ათასი მ<sup>3</sup> სიმძლავით (Kulevi Oil Terminal, 2019). ტერმინალს აქვს 1000-4000 მ<sup>3</sup> სიმძლავრის სატუმბო სადგურები. მას, ასევე, აქვს 3 სატუმბო სადგური ნავთობისთვის, რომლის სიმძლავრე 40 ათას ტონას აღემატება; 2017-2018 წლებში 450-500 ათასი ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები გადაიზიდა ყულევის პორტის საშუალებით (Kulevi Oil Terminal, 2019).

- **სუფსის ტერმინალი** - მდებარეობს ლანჩხუთის რაიონში, შავი ზღვის სანაპიროზე, ის უზრუნველყოფს დასავლეთ საექსპორტო ნავთობის მილსადენის საშუალებით აზერბაიჯანიდან ნავთობის ტრანსპორტირებას (BP, 2019). შემდეგ ეს ნავთობი გადაიზიდება ევროპის ქვეყნებში ტანკერებით ბოსფორის სრუტის გავლით. აღნიშნული მილსადენით გადაზიდული ნავთობი ინახება ნავთობის ტანკერების საცავში, რომელთა რაოდენობაც არის 4 და თითოეულის სიმძლავრე - 40 ათასი ტონა (BP, 2019). სუფსის ტერმინალს გააჩნია 3 სატუმბო სადგური, რომლებიც უზრუნველყოფენ ნავთობის საცავიდან საექსპორტოდ გადატუმბვას შესაბამის ტანკერებში. სუფსის ტერმინალი არის სახელმწიფო საკუთრება, რომელიც ამუშავდა 1999 წლის იანვარში; ნავთობის პირველი ტანკერი დაიტვირთა ამავე წლის აპრილში, მას შეკეთებითი სამუშაოები ჩაუტარდა 2010 წელს (BP, 2019).

- **თურქეთი - ჯეიჰანის ტერმინალი** - არის საზღვაო ტერმინალი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, რომელიც ნახშირწყალბადებს იღებს კასპიის ზღვიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საშუალებით და, რომელიც შემდეგ ტანკერებით გადაიზიდება ევროპის მიმართულებით. ჯეიჰანის ტერმინალს გააჩნია ნედლი ნავთობის შვიდი ლოჯისტიკური ტანკერი, რომელმაც მუშაობა დაიწყო 2006 წლის მაისიდან (BP, 2019). თითოეული ტანკერის მოცულობაა 1 მლრდ ბარელი, ანუ 136 მლნ ტონა, სულ 952 მლნ ტონა (7\*136 მლნ ტონა). ტერმინალს გააჩნია 2 პირსი, სადაც მდებარეობს 2 ტანკერი, თითოეული 300 ათასი (Deadweight) ტონა მოცულობის (BP, 2019). თითოეული ლოჯისტიკური ტანკერი ერთმანეთს უკავშირდება 6 კმ-იანი მილსადენით. ტერმინალის წლიური საექსპორტო სიმძლავრეა 50 მლნ ტონა ნავთობი, მის მუშაობას ხელმძღვანელობს BOTAS-ის კომპანია, რომელიც ასევე, ამუშავებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის იმ ნაწილს, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. BOTAS არის თურქეთის სახელმწიფო კომპანია (BP, 2019).

მამასადამე, კავკასიაში მდებარე ქვეყნებში ნავთობსადენისა და გაზსადენის სისტემა არის მნიშვნელოვნად მოწესრიგებული, რაც ყურადსაღები პირობაა დამატებითი, ალტერნატიული ირანული გაზისა და ნავთობის მიწოდების მხარდასაჭერად.

**რეკომენდაცია:** ჩინური პროექტის განხორციელების შედეგად, საქართველოს უნიკალური შესაძლებლობა ეძლევა იყოს ნავთობპროდუქტების არა მარტო სატრანზიტო ქვეყანა, არამედ გახდეს ეკონომიკური ჰაბი სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში. აღნიშნული კუთხით,

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პროექტის განხორციელებას, როგორც ჩინეთსა და ევროკავშირს შორის დამაკავშირებელ კვანძს. მიიჩნევა, რომ სწორედ ანაკლიის პორტი შეასრულებს ჩინეთიდან ევროპულ ბაზარზე სატრანზიტო გადაზიდვების ფუნქციას. მეორე მხრივ, აღნიშნული მნიშვნელოვნად<sup>197</sup> გაზრდის საქართველოს სანდობას გლობალური მასშტაბით და დადებით ზეგავლენას მოხდენას ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებაზე გრძელვადიან პერსპექტივაში, უცხოური კაპიტალის შემოდინებისა და საქართველოში ბიზნეს-საქმიანობის წარმოების კუთხით. ასევე, ჩინეთის გლობალურ პროექტში ჩართვამდე, მივიჩნევთ, რომ უმჯობესია კომუნიკაცია ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან - აშშ-სთან.

**რეკომენდაცია:** საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თურქეთთან ურთიერთობაში პოზიტიური დინამიკის შენარჩუნება. თურქეთი საქართველოს უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორსა და კასპიის ზღვის ენერგორესურსების ევროპულ ბაზარზე ტრანსპორტირების უმთავრეს აქტორს წარმოადგენს. საქართველოს გადმოსახედიდან, თურქეთი მოიაზრება, როგორც გზა ევროპისკენ, საიდანაც პატარა ქვეყნისთვის დიდი შესაძლებლობები და პერსპექტივები ჩნდება. პოლიტიკურ კონტექსტში, თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას და რეგიონში რუსეთის საპირწონედ მოქმედებს. ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებულია.

**რეკომენდაცია:** გეოპოლიტიკურ ჭრილში, ირანის ერთ-ერთ უმთავრეს საგარეო პოლიტიკურ ამოცანას საქართველოსთან მიმართებით, ენერგორესურსების ინდუსტრიალიზაცია და ქართული პორტების გავლით ბუნებრივი აირის ევროპულ ბაზარზე წვდომა წარმოადგენს. ეკონომიკის დივერსიფიკაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც, რომელიც ბუნებრივი აირის უმთავრეს მარაგს აზერბაიჯანისგან იღებს. აზერბაიჯანის მიერ ნავთობისა და ბუნებრივი აირის ტარიფის ზრდამ კი, შესაძლებელია, მნიშვნელოვნად დააზარალოს საქართველოს ეკონომიკა. ამასთან, საქართველოს ხელისუფლებას განსაკუთრებული სიფრთხილე, დაბალანსებული და პრაგმატული პოლიტიკა მართებს ირანთან დაახლოების კუთხით, რათა არ გამოიწვიოს ერთი მხრივ, აშშ-ის, ხოლო, მეორე მხრივ, ისრაელის გაღიზიანება, ვინაიდან აღნიშნული ქვეყნები აქტიურად იბრძვიან ირანის ისლამური რესპუბლიკისა და იმ ტერორისტული ორგანიზაციებისა თუ დაჯგუფებების წინააღმდეგ, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოების მტკიცებით, სწორედ თეირანისგან ფინანსდება.

### **დასკვნები და რეკომენდაციები**

**1. მომავალში** საქართველოს ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების ინტერესები მოითხოვს, რომ ენერგეტიკული ბალანსის შემდგომი სრულყოფა მოხდეს უპირატესად ადგილობრივი რესურსების გამოყენების გაზრდის გზით. ენერგეტიკული ბალანსის სრულყოფის თვალსაზრისით დიდი როლი უნდა შეასრულოს ენერგოეფექტურობის როლის წინა პლანზე წამოწევამ. აუცილებელია ენერჯის განახლებადი წყაროების ფართო მასშტაბით ათვისება, რათა ამ უკანასკნელმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭიროს საქართველოს ენერგეტიკულ ბალანსში.

**2. გამოკვლევამ აჩვენა,** რომ ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის საქართველო, ისევე როგორც გარდამავალი ეკონომიკის სხვა ქვეყნები, საჭიროებს იაფ ენერგეტიკულ რესურსებზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რაც შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს იმპორტულ სათბობზე დამოკიდებულების შემცირებით, ახალი ენერგოდამზოგი და განახლებადი რესურსების ათვისებაზე დაფუძნებული ტექნოლოგიების გამოყენებით.

**3. აუცილებელია** ამოქმედდეს ეკონომიკურად და ეკოლოგიურად დასაბუთებული ახალი თბო და ჰიდროსიმბლავრები. ჰიდროენერგეტიკული რესურსები იძლევა მცირე ჰესების აშენების დიდ პოტენციალს. მათი ფართომასშტაბიანი მშენებლობა შესაძლებელია თითქმის ყველა რაიონში იქ არსებული საწარმოო პოტენციალის, ფინანსური რესურსებისა და კერძო კაპიტალის მოზიდვის ხარჯზე.

**4. ქვეყნის** ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გაზის სახელმწიფო რეზერვების შექმნას. მიღებულია, რომ ქვეყანას ასეთი რეზერვი წლიური მოთხოვნილების დაახლოებით 20-30%-ის მოცულობით უნდა გააჩნდეს. მიწისქვეშა გაზსაცავების მშენებლობის საკითხი, ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტუალურია.

**5. ენერგეტიკული** უსაფრთხოების ამაღლების თვალსაზრისით დიდი პერსპექტივა აქვს ქვეყნის ეკონომიკაში ენერჯის ადგილობრივი არატრადიციული სახეების (ქარი, მზე, თერმული წყლები) ფართოდ გამოყენებას. განისაზღვრა, რომ უახლოესი პერსპექტივისათვის საქართველოში მზის ენერჯის გამოყენებით შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად დაიზოგოს დაახლოებით 40-50 ათასი ტონა პირობითი სათბობი.

**6. განისაზღვრა** ენერგოეფექტურობის ძირითადი ღონისძიებები, რომლის მიხედვითაც იგი ზოგავს მომხმარებლის ფინანსურ რესურსებს, ამცირებს რა მოხმარებული ენერჯის რაოდენობას და შესაბამისად ამ ენერჯის ჯამურ ღირებულებას. ამავდროულად ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელება და მიღებული დანაზოგი ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. საექსპერტო გათვლებით ენერგოეფექტურობის გამოუყენებელი ტექნოლოგიური პოტენციალი ქვეყნის მთლიანი ენერგომომარაგების დაახლოებით ერთი მეოთხედის ტოლია. ამდენად იგი შეიძლება თამამად ჩაითვალოს ახალ ენერგეტიკულ რესურსად.

**7. საქართველოსა და ევროკავშირის შორის** დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმების საფუძველზე დამუშავებულ საქართველოს ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ენერგოეფექტურობის ღონისძიებების გატარება ყოფაცხოვრებაში, მრეწველობაში და გარე განათებაში. საექსპერტო გათვლების შედეგად დადგინდა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გათვალისწინების მიუხედავად ელექტროენერჯის საპროგნოზო მოხმარება წელიწადში საშუალოდ მაინც გაიზრდება დაახლოებით 3,5%-ით.

**8. მიუხედავად იმისა,** რომ საქართველოს ენერგეტიკულ ბალანსში განახლებად ენერჯებს დიდი წილი უკავია, მათი განვითარების კუთხით არსებობს გარკვეული შეფერხებები, მაგალითად ელექტროენერჯის გენერაციის ობიექტების ექსპლოატაციაში შესვლა ვერ ეწევა მოხმარებას, რის შედეგადაც იზრდება იმპორტირებული ელექტროენერჯის რაოდენობა და ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება რისკის ქვეშ დგება. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ ენგურჰესის გეგმიურმა გაჩერებამ რემონტზე ცხადყო თუ რამდენად მნიშვნელოვანია მძლავრი და დივერსიფიცირებული ენერგეტიკული სექტორის არსებობა. აღნიშნული სისტემის განვითარება შესაძლებელია ადგილობრივი განახლებადი ენერჯის რესურსების ოპტიმალური ათვისებით, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი მხარდაჭერი სქემების არსებობა, რათა შედარებით სწრაფად მოხდეს განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისება. აღნიშნული სქემების შემოღებით მთავრობა აჩვენებს ინვესტორებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული სისტემის ვარგისიანობას.

**9. ანალიზის შედეგად ნათელია,** რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ჯერ იყო ადმინისტრაციულად რეგულირებადი მხარდაჭერის სქემები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ღია ბაზრის მიდგომებს, რის შედეგად ქვეყნების უმრავლესობა გადავიდა საბაზრო მხარდაჭერის

სქემებზე, როგორც არის ფასთა სხვაობა, კონტრაქტი, პრემიალური ტარიფი და ა.შ. საქართველომაც უნდა გაიაროს ეს ეტაპები. ბაზრის გახსნის პერიოდში სასურველია იყოს ნაწილობრივ მაინც ადმინისტრაციულად რეგულადი სქემები, მაგალითად სპეციალური მწვანე ტარიფი. ბაზრის განვითარებასთან და განახლებადი პროექტების ზრდასთან ერთად საქართველოც უნდა გადავიდეს საბაზრო მხარდაჭერის სქემებზე, როგორცაა, პრემიალური ტარიფები ან ტენდერები. ამით ნაკლები ზეწოლა იქნება მოსახლეობაზე და მექანიზმი სრულ შესაბამისობაში იქნება ღია ბაზრის პრინციპებთან და ბოლოს, განახლებადი ენერჯის ათვისება და გამოყენება უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და გეგმების მიხედვით.

### რეზიუმე

განახლებადი ენერჯის მოხმარების განვითარება და მათი მხარდაჭერა საკმაოდ აქტუალური საკითხია საქართველოს ენერგეტიკული სექტორისთვის. 2020 წლამდე საქართველოში არ არსებობდა განახლებადი ენერჯის კლასიკური მხარდაჭერის მექანიზმები, გარდა ნეტო აღრიცხვისა (ე.წ. PPA მექანიზმი), ხოლო არსებული გამოირჩეოდა გაუმჭვირვალობით და აჩენდა ბევრ შეკითხვას საზოგადოებაში. აქვე უნდა ითქვას, რომ მხარდაჭერის სქემებს გააჩნია მნიშვნელოვანი როლი საქართველოში მიმდინარე ენერგეტიკული სექტორის ლიბერალიზაციის პროცესში, რაც გამოიხატება ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებაში ადგილობრივი განახლებადი ენერჯის ათვისების მეშვეობით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის დადებითი ეფექტი, რომელიც მოაქვს განახლებად ენერჯის სათბური აირების შემცირებით და შესაბამისად კლიმატის ცვლილების (კლიმატზე უარყოფითი ზემოქმედების) შერბილებით.

ამჟამად, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ენერგეტიკულ სექტორში მხარდაჭერის სქემების მიმართულებით ცალსახად დადებითი ცვლილებებია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 2016 წლიდან მოქმედებს 500 კვტ-მდე მიკროსიმძლავრის სადგურებისთვის ნეტო აღრიცხვის სქემა, ხოლო 2020 წელს დამტკიცებულია განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემა 5 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის მქონე სადგურებისთვის (ჰიბრიდულ ფასთა სხვაობის ხელშეკრულება (CFD)), განვითარებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობა ამ მიმართულებით ნამდვილად არის. თავისუფალი ენერგეტიკული ბაზრის პირობებში, რომელმაც საქართველოში სრულად დაიწყო ოპერირება 2022 წლის 1 იანვრიდან საჭირო გახდა გადასვლა ბაზარზე ორიენტირებულ მხარდაჭერის სქემებზე, ვინაიდან ისინი შედარებით ხარჯთეფექტური არიან და ნეგატიურ გავლენას არ ახდენენ ენერგეტიკულ ბაზარზე, მაგალითად, სტანდარტულ მწვანე ტარიფთან შედარებით. მხარდაჭერის სქემებს ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მწვანე ენერჯის პროექტების მიმართულებით, რის შედეგადაც საგრძნობლად მცირდება სათბური აირების ემისიები და უფრო მარტივად მიიღწევა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) ვალდებულებები. საქართველოს შემთხვევაში, აღნიშნული მექანიზმები კრიტიკულად მნიშვნელოვანია ადგილობრივი განახლებადი ენერჯის ათვისების კუთხით.

აქვე უნდა ითქვას, რომ განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის მხარდაჭერის სქემების განვითარებასთან ერთად უნდა დაიწყოს მუშაობა მხარდაჭერის სქემების შემუშავების კუთხით განახლებადი ენერჯორესურსებიდან ენერჯის მიღების მიზნით გათბობა-გაგრილებისა და სატრანსპორტო სექტორებისათვის.



## Renewable energy resources of Georgia. National action plans for the development of the energy sector and their support schemes. Strategy and challenges

K.Vezirishvili-Nozadze, N.arabidze, N.Mirianashvili

**Abstract:** The development of renewable energy and its support is a very relevant issue for the Georgian energy sector, as until 2020 there were no classical renewable energy support mechanisms in Georgia (except net metering), and the existing one (PPA) was opaque and raised many questions in society. It should also be noted that support schemes play an important role in the ongoing liberalization of the energy sector in Georgia, as well as in terms of strengthening the country's energy security through the use of local renewable energy sources. In addition, the renewable energy brings positive effect by reducing greenhouse gases and mitigates climate change issues.

As for the key findings of the thesis, it can be said with certainty that there are very positive changes in terms of support schemes in the energy sector. However, despite the fact that Georgia has a net metering scheme for power plants up to 500 kW since 2016, and in 2020 a scheme to support the production and use of energy from renewable sources for plants with a capacity of more than 5 MW (Contract for Difference (CFD)) has been approved, the opportunity for development and improvement in this direction is significant. In the conditions of free energy market, which is fully operational in Georgia from January 1, 2022, it will be necessary to switch to market-based support schemes, as they are relatively cost-effective and do not have a negative impact on the energy market, for example compared to the Standard FiT. Support schemes are also of great importance in the direction of green energy projects, as a result of which greenhouse gas emissions are significantly reduced and Nationally Determined Contribution (NDC) commitments are more easily met. In the case of Georgia, these mechanisms are critical for the use of local renewable energy.

It should be noted that along with the development of renewable energy support schemes for electricity, work should begin on the development of support schemes for the heating and cooling and transport sectors.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟორდანია ი., მირიანაშვილი ნ., ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., არველაძე რ., ჩომახიძე დ., ჯიშკარიანი თ. საქართველოს ენერგეტიკული რესურსები (სამსახურებრივი სარგებლობისათვის). მონოგრაფია „საქართველოს ბუნებრივი რესურსები“ (ორტომეული), ტომი II, თავი VI, საქართვე. მეცნ. ეროვნული აკადემია, სტუ, საქართვე. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი, თბილისი, 2015 წ. გვ. 543-792;
2. დ. ჩომახიძე, ნ. მირიანაშვილი, ქ. ვეზირიშვილი-ნოზაძე. ენერგეტიკის განვითარების ტენდენციები, გამოწვევები და პერსპექტივა. სტუ-ის ი.ჟორდანიას სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი. „საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები“. რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი, N1 (3), თბილისი 2023 წ. ISSN-2720-7919. გვ. 224-260;
3. <https://www.irena.org/Statistics/View-Data-by-Topic/Capacity-and-Generation/Statistics-Time-Series> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.10.2024);
4. <https://www.irena.org/Statistics/View-Data-by-Topic/Capacity-and-Generation/Regional-Trends>. (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 11.09.2023);
5. <https://ember-climate.org/data/carbon-price-viewer/> (უკანასკნელად გადამოწმდა - 18.06.2024);

6. გ. აბულაშვილი, მ. გაიშაკი, ს. ლანდაუ, ნ. სუმბაძე. განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების საშუალებით განახლებადი ენერჯის შესახებ ცოდნისა და შესაძლებლობების განვითარება საქართველოში. ენერჯოეფექტურობის ცენტრი. თბილისი, 2014;
7. [http://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP\\_GE-2019-2029\\_GEO.pdf](http://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2019-2029_GEO.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 09.08.2024);
8. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო [http://moe.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=44](http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=44) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 09.08.2024);
9. ბ.ჩხაიძე. საქართველოს ტყის მერქნული რესურსის ენერჯეტიკული პოტენციალი, სტუ, 2012;
10. CENN. საქართველოს მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის პროგრამა, 2016;
11. „მწვანე კლიმატის ფონდის“ მიერ ინიცირებული ენერჯოეფექტური ღუმელების გამოყენების ხელშეწყობის პროექტი გურიის, კახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში;
12. [https://eeas.europa.eu/delegations/georgia/9740/eugeorgia-association-agreement\\_en](https://eeas.europa.eu/delegations/georgia/9740/eugeorgia-association-agreement_en) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 17.07.2024);
13. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის დადგენილება N 107: განახლებადი ენერჯის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია: [http://esco.ge/files/data/Legislation/Energy\\_2008\\_geo.pdf](http://esco.ge/files/data/Legislation/Energy_2008_geo.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.09.2024);
14. ენერჯეტიკის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის ბრძანება N 40;
15. არაბიძე გ., არაბიძე ნ. და სხვ. ნარჩენი ბიომასის ენერჯეტიკული პოტენციალი საქართველოში (კადასტრი). მონოგრაფია. თბილისი. 2013. 225 გვ.;
16. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., ფანცხავა ე. არატრადიციული განახლებადი რესურსების ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის ალტერნატივა/IVსაერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. ქუთაისი. 2016. გვ. 140-142;
17. ნ.მირიანაშვილი, ზ.ლომსაძე, ნ.გძელიშვილი, ქ.კვირიკაშვილი, ვ.ხათაშვილი. საქართველოში განახლებადი, არატრადიციული ენერჯორესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა და ქვეყნის სათბობ-ენერჯეტიკულ კომპლექსში მათი ჩართვის პერსპექტივები. ქ.თბილისი, „ენერჯია“. #3(91), ტომი 2, 2019 წ. გვ.126-128;
18. ქ.ვეზირიშვილი, გ.დაჭავა, ბ.ილურიძე, მ.ჯიხვაძე, ე.ფანცხავა. „ბიოენერჯეტიკა საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები“. თბილისი. მეცნიერება და ტექნოლოგიები. 2019. №2(731). გვ.16-19;
19. [http://www.energy.gov.ge/energy.php?id\\_page=558&land=geo](http://www.energy.gov.ge/energy.php?id_page=558&land=geo) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 03.05.2023). საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო. ნავთობი;
20. <http://www.moe.gov.ge/ka/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%W1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E183%91%E83%98/2058-dohashi-klimatis-cvlilebis-konferencia-gaimata> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 03.05.2023). საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
21. <http://www.energy.gov.ge/projects/pages/Energodaijesti%202015%201029%20geo.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 03.05.2023). ენერჯოდაიჯესტი, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო, ანალიტიკის დეპარტამენტი, №6, 2015;
22. <http://matsne.gov.ge/ka/dokuments/view/6700> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 30.04.2023). საქართველოს მთავრობის დადგენილება №107, 2008 წლის 18 აპრილი. თბილისი. სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“ - საქართველოში

- განახლებადი ენერჯის ახალი წყაროები მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ;
23. <http://weg.ge./sites/default/files/weg-book-with-cover-page-geo.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 30.11.2023). საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში. თბილისი, 2015;
  24. <http://weg.ge./sites/default/files/energoefekturoba-shenobebshi.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.06.2024). ენერგოეფექტურობა შენობებში, ევროდირექტივების ძირითადი მოთხოვნები და საქართველოში არსებული ვითარება. თბილისი, 2017;
  25. [http://weg.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP\\_GE-2018-2028\\_GEO.PDF](http://weg.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2018-2028_GEO.PDF) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.06.2024). „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2018-2028“. თბილისი, 2017;
  26. მირიანაშვილი ნ., გძელიშვილი ნ., ხათაშვილი ვ. თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენების პერსპექტივები საქართველოს ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. #19, თბილისი, 2015, გვ.80-84;
  27. ნ.მირიანაშვილი, ნ.გძელიშვილი, ქ.კვირიკაშვილი, ვ.ხათაშვილი. აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებში არსებული მეორეული ენერგორესურსების მოხმარება თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენებით. სტუ-ის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. თბილისი. #23, 2019 წ. გვ.85-90;
  28. საქართველოს კანონი განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ. 2019წ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4737753?publication=1> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06 .07.2023);
  29. <http://www.eiec.gov.ge/getattachment/30bb3f45-7d2e-442d-8b47-26bd650e72db/CSAP-01-12-2020.pdf.aspx> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06 .07.2024);
  30. <https://mepa.gov.ge/En/Files/ViewFile/35777> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული-04. 07.2023);
  31. [http://www.economy.ge/uploads/files/2017/energy/samoqmedo\\_gagma/ganakhlebadi\\_energiis\\_erov\\_nuli\\_samoqmedo\\_gagma\\_2020.pdf](http://www.economy.ge/uploads/files/2017/energy/samoqmedo_gagma/ganakhlebadi_energiis_erov_nuli_samoqmedo_gagma_2020.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06. 07.2023);
  32. საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები <https://matsne.gov.ge/document/view/2894951?publication=0> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06. 07.2023);
  33. დამოუკიდებელი საქართველოს ენერგეტიკა 1991-2016, თბილისი 2016;
  34. ევროპული კომისიის ოფიციალური ვებ-გვერდი მხარდაჭერის სქემებზე [https://ec.europa.eu/energy/topics/renewable-energy/support-schemes\\_en](https://ec.europa.eu/energy/topics/renewable-energy/support-schemes_en) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 25.07.2024);
  35. ევროკავშირში არსებული მხარდაჭერის სქემების ონლაინ პლატფორმა <http://www.res-legal.eu/compare-support-schemes/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული (16.07.2024);
  36. საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/328/sakartvelos-energetikuli-balansi> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.12.2023);
  37. განახლებადი ენერჯის საერთაშორისო ორგანიზაციის (IRENA) სტატისტიკური მონაცემთა ბაზა <https://www.irena.org/Statistics> (უკანასკნელად გადამოწმდა - 14.07.2024);
  38. [http://www.moesd.gov.ge/uploads/files/2017/energy/security\\_of\\_supply\\_statement\\_electricity/security\\_of\\_supply\\_statement\\_electricity\\_2021\\_geo.pdf](http://www.moesd.gov.ge/uploads/files/2017/energy/security_of_supply_statement_electricity/security_of_supply_statement_electricity_2021_geo.pdf)

- (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.07.2024);
39. ენერჯეტიკული გაერთიანების (Energy Community) გვერდი: <https://www.energy-community.org/implementation/Georgia.html> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.05.2024);
  40. <https://iea.blob.core.windows.net/assets/18a6041d-bf13-4667-a4c2-8fc008974008/RenewableEnergyMarketUpdate-Outlookfor2021and2022.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.07.2024);
  41. <http://www.inogate.org/documents/RES%20support.pdf> (უკანასკნელად გადამოწმდა - 09.03.2024);
  42. [https://irena.org//media/Files/IRENA/Agency/Publication/2021/Jun/IRENA\\_World\\_Energy\\_Transitions\\_Outlook\\_2021.pdf](https://irena.org//media/Files/IRENA/Agency/Publication/2021/Jun/IRENA_World_Energy_Transitions_Outlook_2021.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 05.07.2024);
  43. [https://www.energy-community.org/dam/jcr:2077a2ba-805a-4ca2-afcb-91c90ecc0878/EnC\\_WB6\\_ETT1\\_072020.pdf](https://www.energy-community.org/dam/jcr:2077a2ba-805a-4ca2-afcb-91c90ecc0878/EnC_WB6_ETT1_072020.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 03.07.2024).
  44. [https://iea.blob.core.windows.net/assets/a695ae98-cec1-43ce-9cab-c37bb0143a05/Electricity\\_Market\\_Report\\_December\\_2020.pdf](https://iea.blob.core.windows.net/assets/a695ae98-cec1-43ce-9cab-c37bb0143a05/Electricity_Market_Report_December_2020.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 03.07.2024);
  45. [https://ourworldindata.org/grapher/global-energy-substitution?country=~OWID\\_WRL](https://ourworldindata.org/grapher/global-energy-substitution?country=~OWID_WRL) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.07.2024);
  46. <https://www.iea.org/data-and-statistics/charts/global-electricity-supply-change-by-fuel-in-2020> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 08.09.2024);
  47. არაბიძე ნ., ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., ფანცხავა ე. ბიომასა - ალტერნატიული გზა ენერჯეტიკურობისკენ//ენერჯია. #3(83), 2017;
  48. [http://weg.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP\\_GE-2018-2028\\_GEO.PDF](http://weg.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2018-2028_GEO.PDF) (უკანასკნელად გადამოწმდა - 30.04.2024). „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2018-2028“. თბილისი, 2017;
  49. მეგრელიშვილი ზ., ლორია მ., ჩხაიძე დ., გობაძე ლ., ხუციშვილი ბ. ბიოგაზის დანადგარის გამოყენება სოფლის კერძო და ფერმერულ მეურნეობაში. საქართველოს საინჟინრო სიახლენი, #1, 2017 წ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 109-114;
  50. კომახია მ. სამხრეთ კავკასიის ენერჯეტიკის განვითარება: პერსპექტივები და გამოწვევები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. ექსპერტის აზრი. თბილისი, 2017;
  51. პაპავა ვ. „ერთი სარტყელი — ერთი გზის“ ინიციატივა და საქართველო. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრი. ექსპერტის აზრი. თბილისი, 2017. <https://www.gfsis.org> (უკანასკნელად გადამოწმდა — 22.11.2023);
  52. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი“. იხ. <http://energy.gov.ge>, (უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2024);
  53. საქართველოს ნავთობისა და გაზის კოორპერაცია. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი. იხ. <https://www.gogc.ge>, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2024);
  54. თაბაგარი ხ. კავკასიის ეკონომიკური მნიშვნელობა უახლოეს მომავალში (ნავთობისა და ბუნებრივი აირის მაგალითზე). p ISSN 1987-6890 e ISSN 2346-8432, ჟურნალი „ეკონომისტი“, ტომი XV, №3. თბილისი, 2019 წ. გვ. 116-124;
  55. თაბაგარი ხ. 2018. ნავთობის როლი მსოფლიო ეკონომიკაში (ნავთობის მწარმოებელი 10 წამყვანი ქვეყნის მაგალითზე). ISSN 1987-5789, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი IX, №1. თბილისი, 2018 წ. გვ. 100-107;

56. Renewables in the EU: an overview of support schemes and measures, EUR 29100 EN, Publication Office of the European Union, Luxembourg, 2017;
57. Z.Lomsadze, N.Chitanava, O.Paresishvili, G.Magalashvili, K.Vezirishvili-Nozadze, K.Makharadze, T.Patarkalashvili, L.Kvaratskhelia, N.Mirianashvili. Georgian Natural Resources (Brief Review). Annals of Agrarian Science. Vol. 17 No.1, 2019. pp.56-72;
58. Global Renewables Outlook: Energy transformation 2050, IRENA, 2020, 54 p.;
59. Renewable Capacity Statistics 2020, IRENA, March 2020;
60. Banja M., Jégard M., Monforti-Ferrario F., Dallemand J.-F., Taylor N., Motola V., Sikkema R., Renewables in the EU: an overview of support schemes and measures, EUR 29100 EN, Publication Office of the European Union, Luxembourg, 2017, 220 p.;
61. Silagadze, A., Tvalchrelidze, A., Zubiashvili, T. & Atanelishvili, T. (2016). "Aspects of China's Economic Development". Vol. 5, No. 2, Ecoforum, 47-64;
62. N. Falcucci, A. Gerbeti, A. Poschmann, Anne-Maria Ide, K. Franzen, R. S. Lorentz., Support Schemes for RES Electricity"  
[https://www.cares.eu/fileadmin/cares/PublicArea/CARES2FinalPublication/CT\\_1\\_Support\\_Schemes\\_for\\_RES\\_Summary\\_Report\\_2016.pdf](https://www.cares.eu/fileadmin/cares/PublicArea/CARES2FinalPublication/CT_1_Support_Schemes_for_RES_Summary_Report_2016.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06. 09.2024);
63. Council of European Energy Regulators. "Status Review of Renewable Support Schemes in Europe for 2016 and 2017", 14 December 2018  
<https://www.ceer.eu/documents/104400/-/-/80ff3127-8328-52c3-4d01-0acbdb2d3bed>  
(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 25.07.2024);
64. Zou Caineng, Zhao Qun, Zhang Guosheng, Xiong Bo. Energy revolution: From a fossil energy era to a new energy era\*, ScienceDirect, pp 1-11;
65. Regional energy cooperation program between the European Union and 11 partner countries in Eastern Europe, Caucasus and Central Asia. EU-2020. ob. <http://www.inogate.org> (უკანასკნელად გადამოწმდა — 05.06.2024);
66. TANAP. The project the world is talking about. Project management Institute. 2020. ob. <https://www.tanap.com/> , (უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021);
67. Н.Кавлашвили, Н.Мирианашвили. Энергосбережение при применении Теплонасосных установок в пищевой промышленности. „ეკონომიკა და ფინანსები“. #3, 2019 წ. თბილისი, „დანი“. გვ.74-76.
68. Биогазовая установка своими руками. Интернет мифы и сельскаяреальн.....  
<http://econet.ru/articles/132683-biogazovaya-ustanovka-svoimi-rukami-internet-mify-i-selskay-realnost> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.02.2024);
69. Альтернативный источник экологически чистой энергии-биогаз.  
<http://www.myshared.ru/slide/1015765> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.02.2024);
70. Температурные режимы обработки отходов при получении биотоплива.  
[https://nomitech.ru/articles-and-blog/temperaturnye\\_rezhimy\\_obrabotki\\_jtkhodov\\_pri\\_poluchenii\\_biotopliva/](https://nomitech.ru/articles-and-blog/temperaturnye_rezhimy_obrabotki_jtkhodov_pri_poluchenii_biotopliva/) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.02.2024);
71. Брюханов А.Ю., Щалавина Е.В., Васильев Э.В. Методика укрепленной оценки суточного и годового выхода навоза/помета. //Молочнохозяйственный вестник, №1 (13), 2014, сс. 78-84;
72. Нормы технологического проектирования систем удаления и подготовки к использованию навоза.... помета. НТП 17-99\*. Министерство сельского хозяйства РФ. Москва, 2001.

**გივი თალაკვაძე**  
ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი

სტუ-ის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის განყოფილების გამგე  
სტუ-ის გამოყენებითი ანალიტიკისა და პროგნოსტიკის ცენტრის ხელმძღვანელი

### **ობიექტური ანალიზის და ციფრული ტექნოლოგიების რესურსები. ხედვა პრაგმატული მომავლიდან**

#### **შესავალი**

მიმდინარე ტექნოლოგიური, გეოკლიმატური, გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ვითარების ობიექტური და სრულყოფილი ანალიზის ჩასატარებლად სასურველია რამდენიმე ფუნდამენტური საკითხის გაცნობიერება:

- ადამიანი, რომლის თანამედროვე ტიპი, დაახლოებით, 40,000 წლისაა (1500-1600 თაობა) და მისი საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ მხოლოდ უკანასკნელი 5500-6000 (220-250 თაობა) წლის შესახებ მოგვეპოვება მეტ-ნაკლებად სრულყოფილი მონაცემები, მთელი თავისი განვითარების, ყოველი თაობის ცხოვრებისეული ციკლის მანძილზე იყენებდა და იყენებს სხვადასხვა სახის რესურსებს - ბუნებრივს, ადამიანისეულს, სელიტიბურს, კომუნიკაციურს, სატრანსპორტოს, ადაპტაციის, ისტორიულ-კულტურულს, კოსმოსურს და ა.შ.

- XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ადამიანის სასიცოცხლო გარემო, მისი საქმიანობის უპრეცედენტო გააქტიურებით გამოწვეულ ძლიერი წნეხის ქვეშ მოექცა, რამაც რესურსებისადმი, რომელთაც ადამიანი განიხილავდა როგორც „მუდმივად არსებულს“ და პრაქტიკულად გამოუღებელს, დამოკიდებულების შეცვლა მოითხოვა. დაიწყო რესურსების როლისა და ფუნქციის გააზრების, მათი გამოყენების ოპტიმიზაციისა და კონტროლის პროცესი;

- XX დ XXI საუკუნეებში სახელმწიფოთა შორის მცირე თუ დიდი კონფლიქტების ჭეშმარიტი მიზეზი სწორედ რესურსების დაუფლება და მათი საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება გახდა;

- რესურსების გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური განზომილებები, რომლებსაც უპრიანია გეოფაქტორები ვუწოდოთ, ქვეყნების ურთიერთობებში მთავარ და უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცა;

- განსაკუთრებული ინტენსიობით განვითარდა ციფრული ტექნოლოგიები, რომელთა გავლენის ტემპები მიმდინარე ძირითად პროცესებსა და მოვლენებზე გაცილებით სწრაფია ადამიანების ფსიქო-ფიზიოლოგიური აღქმის, გაანალიზებისა და რეაგირების შესაძლებლობებთან შედარებით.

#### **მსოფლიოს რესურსული პრობლემატიკა**

მხოლოდ მიმდინარე საუკუნის დასაწყისში „ადმოჩნდა“, რომ სახეზეა **რესურსების დეფიციტი**. რესურსების თემა თავისი მნიშვნელობითა და გავლენის ხარისხით გაუტოლდა კლიმატის საგანგაშო ცვლილებებს, ეკოლოგიურ და ტექნოგენურ კატასტროფებს, უპრეცედენტო მიგრაციულ პროცესებს, მწვავე სამხედრო კონფლიქტებს, გლობალურ და ლოკალურ პანდემიებს, პოსტინდუსტრიული - უფრო სწორად კი - ნეოინდუსტრიული ეპოქის ნეგატიურ თავისებურებებს და სხვა ზოგადსაკაცობრიო მასშტაბების პროცესებს.

არავითარი „რესურსული დეფიციტი“ სინამდვილეში არ არსებობს თუმცა სახეზეა და ადამიანთა ცხოვრებაზე გადამწყვეტ გავლენებს ახდენს:

- **ბუნებრივი რესურსული პოტენციალის** სრულყოფილი დადგენის, აღწერის, მოპოვების, ტრანსპორტირების, გადამუშავების და, რაც მთავარია, **მათი ოპტიმალური განაწილების და**

რაციონალური მართვის ობიექტური და, ზოგ შემთხვევებში, განგებ შექმნილი ხელოვნური პრობლემები;

- ეკონომიკური რესურსების - ინდუსტრიული, ტექნოლოგიური, აგრარული, დემოგრაფიული, შრომითი, საგანმანათლებლო, სელიტიბური, ტურისტული, რეკრეაციული, საინვესტიციო რესურსების სტრატეგიული და მიმდინარე პრობლემები;

- პარციალური რესურსების - გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური, ტექნოლოგიური, საინფორმაციო, გავლენის, შემეცნებითი, ისტორიულ-კულტურული, ადაპტაციის, გენეტიკური რესურსების ზოგადი და სპეციფიკური პრობლემები;

- ინტეგრალური რესურსების - ყველა სახისა და ტიპის რესურსებისათვის დამახასიათებელი ძირითადი შემეცნებითი ღირებულებისა და ანალიტიკურ-პროგნოსტიკული არსის მქონე პრობლემები [1,6,10].

რესურსული პრობლემატიკა თანამედროვეობის ძირითად ქვაკუთხედად იქცა.

კარგია ეს თუ არა? შეუწყობს ხელს თუ არა მისი გაცნობიერება და დამკვიდრება კაცობრიობის წინსვლასა და მდგრად განვითარებას?

დედამიწა 8,1 მილიარდზე მეტი ადამიანისთვის საერთო სახლად გადაქცევის პროცესშია. 1820 წელს მოსახლეობის რაოდენობა დედამიწაზე 1 მილიარდი გახდა. 2024 წლის დეკემბერში ამ მაჩვენებელმა 8.200.000.000 -ს მიაღწია. თუ დედამიწის მოსახლეობის ზრდის არსებული ტენდენცია (72-75 მილიონით მატება წელიწადში) შენარჩუნდება, 2030 წელს მოსახლეობის რაოდენობა დედამიწაზე 8,5 მილიარდს, ხოლო 2050 წლისთვის 10 მილიარდს გადააჭარბებს. ნათელია ისიც, რომ საცხოვრებლად ვარგისი დედამიწის ხმელეთის ფართობი (105 მილიონი კვადრატული კილომეტრი, ანუ 10,500 მილიონი ჰა) ვერ გაიზრდება (ხელოვნურად შექმნილი „ხმელეთის“ ფართობი იმდენად მცირეა, რომ მისი უგულვებელყოფა სრულიად დასაშვებია). თუ 1820 წელს ერთ ადამიანზე მოდიოდა 1 ჰექტარზე ოდნავ მეტი მიწა, 2023 წელს ეს მაჩვენებელი 1000 კვ.მეტრამდე დავიდა. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხმელეთის დიდი ნაწილი დაიკავა სელიტიბურმა, ინფრასტრუქტურულმა და კაცობრიობის ზოგად პროგრესთან დაკავშირებულმა სხვა საერთო მოხმარების ობიექტებმა, დავინახავთ რომ თითოეულ ადამიანზე საშუალოდ მოდის 120-150 კვ.მეტრი მიწა.

მიუხედავად აღნიშნულისა, შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი არგუმენტირებული განცხადება:

მთელი პლანეტის ინტეგრალური რესურსები სავსებით საკმარისია 40 მილიარდი ადამიანის ცხოვრების უზრუნველსაყოფად დედამიწის ეკოსისტემაზე შეუქცევადი ზიანის მიყენების აუცილებლობის გარეშე. ამავდროულად, ხელუხლებელი დარჩება არა მხოლოდ არსებული ტყეები, არამედ უზარმაზარი ნაკრძალები, მთელი ბუნებრივი და რეკრეაციული სივრცე, როგორც ეს დიდი ხანია წარმატებით კეთდება ევროპაში. ექსპერტების გათვლებით, ბუნებრივი დემოგრაფიული კორელაციის გათვალისწინებით, 2100 წლისთვის დედამიწაზე არა უმეტეს 13,3 მილიარდი იცხოვრებს და ყველაზე სავარაუდო პროგნოზით კი - მხოლოდ 11,2 მილიარდი ადამიანი.

თუ სადმე ხალხი მასობრივად იღუპება შიმშილისგან, ამის მიზეზი ჭარბი პოპულაცია კი არ არის, არამედ ამაზრზენი პარადიგმა, რაც საშუალებას იძლევა უყარათოდ განიკარგოს (ხშირად კი განადგურდეს) მილიონობით ტონა საკვები, რადგან, ხშირ შემთხვევებში, ეს ბევრად უფრო მომგებიანია, ვიდრე მოშიმშილეთა გამოკვება [5].

რა ელის მსოფლიოს და კერძოდ საქართველოს უახლოესი პერიოდის განმავლობაში? პროგნოზები ზოგადად რთული და სარისკოა, განსაკუთრებით არასტაბილური და თვისობრივად ახალი გლობალური მოვლენების ზვავისებური ფორმირების პერიოდში.

დღეს მსოფლიოში 7000 - მდე ანალიტიკური ცენტრია. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მათი რაოდენობა ასის ფარგლებში იყო. მათ შორის 50-60-ს -ალიარებული უმაღლესი კვალიფიკაცია გააჩნდა. ასეთი ცენტრების ექსპერტთა შეფასების და მოსაზრებების „კრებსითი“ დასკვნა შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: **გლობალური პროცესები უნდა განხილული იყოს მსოფლიო განვითარების პარადოქსის კონტექსტში.** ამ პარადოქსის არსი კი ის არის, რომ სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინფორმაციული პროგრესის მიღწევები ქმნის დღევანდელთან შედარებით გაცილებით „საშიშ მსოფლიოს“, თუმცა, ამავე დროს, ქმნის გაცილებით მეტ შესაძლებლობებს განვითარებისთვის.

ერთის მხრივ, მიმდინარეობს ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების გაერთიანება, მათი უფლებების და შესაძლებლობების გაფართოების პროცესი, მაგრამ იგივე პროცესი იწვევს ისეთ ძლიერ რყევებს, როგორც იყო 2008 წლის საფინანსო კრიზისი, „არაბული გაზაფხული“, პოპულისტური პოლიტიკის გლობალური აღზევება, ევროკავშირისთვის მომავლდინებელი მიგრაციული პროცესები, „ბრექსიტი“, რუსეთ-დასავლეთის მწვავე სამხედრო დაპირისპირება უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა და სრულიად ანომალური და უპრეცედენტო ხასიათი შეიძინა. ეს რყევები აჩვენებს პროგრესის მიღწევების სიმყიფეს და ამავე დროს ხაზს უსვამს მსოფლიოს ზოგად სურათში ღრმა ცვლილებების აუცილებლობას, რაც საკმაოდ რთული მომავლის წინასწარმეტყველების საფუძველს ქმნის.

**განვითარების მიმდინარე ეტაპის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია - რა იქნება უახლოესი მომავლისათვის უპირატესი: „დაპირებები“ თუ „მუქარები“. მისი გადაწყვეტა კი მთლიანად ადამიანების არჩევანზეა დამოკიდებული.**

უკვე ცხადი ხდება, რომ ეკონომიკა, რომელიც სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროგრესთან შედარებით გაცილებით მეტი ინერტულობით გამოირჩევა, სულ უფრო ხშირად სასურველი სინქრონულობით ვერ მიჰყვება პროგრესს. ციფრული და ნანო ტექნოლოგიები, რობოტოტექნიკა, ხელოვნური ინტელექტი და ინტუიცია, ბიოტექნოლოგიები, გენური ინჟინერია და სხვა სიახლეები, რომლებიც უკვე იწვევს და მომავალში კიდევ უფრო სწრაფად და ძლიერად შუწყობს ხელს განვითარების ტემპების ამაღლებას, იმავდროულად განაპირობებს უმუშევრობის ზრდას, სოციალურ უთანასწორობას, მაღალი და დაბალი ხარისხის ადამიანებად, ადამიანთა ჯგუფებად, სახელმწიფოებად დაყოფას. ძლიერდება პოპულიზმი, ნაციონალიზმი, ეკონომიკური და პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამომწვევი მასობრივი თვითგამორკვევის სურვილი [1,7].

**უკვე გაჩნდა და ამუშავდა ახალი ინფორმაციული, საფინანსო, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ტექნოლოგიები, რომელთაც უნარი აქვს სერიოზული ზიანი მიაყენოს ეროვნულ სუვერენიტეტს, ადამიანთა ცხოვრების საფუძველებს, მათი არსებობის უზრუნველყოფელ საშუალებებსა და უსაფრთხოებას.**

2024 წლიდან მოხდა იმ საკვანძო ვექტორების გამოკვეთა-ჩამოყალიბება, რაც საფუძველს ჩაუყრის ტრადიციულისგან განსხვავებულ ცნობიერებას, აზროვნებას და პრაქტიკას. ამავე დროს, ცხადი ხდება, რომ მეოცე საუკუნისთვის დამახასიათებელი ზოგადი მსჯელობები, დისკუსიები და თეორიები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე კარგავს თავის აქტუალობას და რეალიზაციის პერსპექტივებს. წინა პლანზე გამოდის რადიკალურად ინოვაციური პრაგმატიზმი, რაც უახლოესი წლების განმავლობაში კაცობრიობის სტაბილური საარსებო პირობების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების მდგრადი გლობალური და რეგიონული განვითარების უმთავრესი ფაქტორი გახდება. ამავე დროს, აშკარად სუსტდება საერთაშორისო ინსტიტუტების ავტორიტეტი, გავლენა და ეფექტიანობა, ეჭვის ქვეშ დგება ზოგიერთი მათგანის საჭიროებაც კი.



ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველო უფრო თამამად და მტკიცედ უნდა აყალიბებდეს ახალ რეგიონალურ და გლობალურ ინიციატივებს, საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით ახდენდეს მათ რეალიზაციას, მით უმეტეს, რომ ახალი ინიციატივების ავტორობა სულაც არ გულისხმობს, რომ ინიციატორი ქვეყანა მხოლოდ საკუთარი რესურსებით უზრუნველყოფდეს მათ დანერგვას [4,6,9].

საქართველოს ისტორიულ-კულტურული და გეოპოლიტიკური რესურსები, მისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი კარგი საფუძველია საერთაშორისო თანამეგობრობის პრიორიტეტული პროექტების განვითარების ხელშემწყობი მრავალი ეკოლოგიური, ეკონომიკური და შემეცნებით-მსოფლხედვითი ინოვაციებისთვის ხელსაყრელი პირობების ჩამოსაყალიბებლად.

ყოველივე ეს განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს დღეს, როდესაც წამყვანი სახელმწიფოების უმთავრესი ინტერესები საკუთარ, ტრადიციულად არსებულ და ახლად წარმოქმნილ პრობლემებზე კონცენტრირდება და მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკაზე მათი ყურადღება და გავლენა მცირდება. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხებზე მსხვილი საერთაშორისო კორპორაციების გავლენის ხარისხის შესახებ ბოლო წლებისთვის დამახასიათებელი ჰიპერტროფიული შეფასებები გარკვეულად კარგავს თავის აქტუალობას.

სულ უფრო მკვიდრდება მოსაზრება იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა მართვის სადავეები გარკვეული ჯგუფის (სისტემის) ხელში კონცენტრირდება. განსაკუთრებული დამაჯერებლობით ეს გამოაშკარავდა უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე, როდესაც ადგილი ჰქონდა ევროკავშირის სივრცეში დისონანსური პროცესების განვითარებას, გლობალური რესურსების მართვის სისტემებში შექმნილ წინააღმდეგობების გამწვავებას, როდესაც არ მოხდა რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შეჩერება საქართველოში, მოლდავეთსა და განსაკუთრებით - უკრაინაში.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს კიდევ ერთი საყურადღებო, მიმდინარე გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის დამახასიათებელი ფაქტორი: გლობალური მართვის სადავეები სულ უფრო და უფრო გადადის საინვესტიციო ტრანსნაციონალური ჯგუფების (არ აგვერიოს ტრანსნაციონალურ კომპანიებში) ხელში, რომელთა კონტროლირებადი კაპიტალი ჯერადად აღემატება ცნობილი და ყველაზე მდიდარი და გავლენიანი იურიდიული პირების კაპიტალს.

ნებისმიერი ასეთი საინვესტიციო ჯგუფის არსებობის მთავარი მიზანი ინვესტორების სახსრების გაზრდა რჩება. ამ მიზნით ისინი აქტიურად მუშაობენ კრიპტოვალუტის, საფონდო და სასაქონლო ბაზრებზე, პროფესიონალურად მართავენ მათზე მინდობილ ფულს. სწორედ ამიტომ, ასეთ ორგანიზაციებს ყოველთვის ხელმძღვანელობენ გამოცდილი ინვესტორები და მენეჯერები, რომლებიც მრავალი წელია ვითარდებიან ამ მიმართულებით.

საინვესტიციო ჯგუფები, მათი პროფილიდან გამომდინარე, თანამშრომლობენ მხოლოდ მსხვილ ან საშუალო ინვესტორებთან. ასეთი საწარმოები იღებენ საკომისიოს მოზიდული სახსრების მართვის მომსახურებისთვის. მისი ღირებულება გამოითვლება მართული აქტივების ღირებულების გათვალისწინებით. შესაბამისად, კომისიის ზომა შეიძლება განსხვავდებოდეს.

საინტერესოა გავეცნოთ 19 უმსხვილესი საინვესტიციო კომპანიას მსოფლიოში 2023 წლისათვის [14].

No	კომპანია	ქვეყანა	კონტროლირებადი კაპიტალი (ტრილ, \$)
1	BlackRock	USA	9,570
2	Vanguard Group	USA	8,100
3	Fidelity Investments	USA	4,283
4	UBS	შვეიცარია	4,380
5	State Str Global Adv.	USA	4,020

6	Morgan Stanley	USA	3,230
7	JPMorgan Chase	USA	2,960
8	Credit Agricole	France	2,875
9	Alliance	გერმანია	2,760
10	Capital Group	USA	2,700
11	Goldman Sachs	USA	2,394
12	BNY Mellon	USA	2,266
13	Amund	საფრანგეთი	2,251
14	PIMCO	USA	2,000
15	Legal & General	UK	1,866
16	Edward Jones Investm.	USA	1,700
17	PGIM	USA	1,620
18	Deutsche Bank	გერმანია	1,615
19	Bank of America	USA	1,571

სავარაუდოდ, მომდევნო წლები გამორჩეული იქნება ახალი ეკონომიკური რყევებით, პოლიტიკური დაპირისპირებებით, სოციალური პროტესტებითა და კონფლიქტებით, რაც გლობალური განვითარებისთვის ორ საშიშროებას ქმნის: პირველი - განვითარებადი სამყაროს მრავალი დადებითი ტენდენცია (ციფრული ტექნოლოგიები, ნეირონული ქსელები, ხელოვნური ინტელექტი და ინტუიცია და ა.შ.) შესაძლოა, სათანადო ყურადღების მიღმა დარჩეს და მეორე - შესაძლოა ასევე ყურადღების მიღმა დარჩეს ზრდაზე ორიენტირებული კონცენტრაციის საჭიროება და ყურადღება მოაკლდეს იმ ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა შეუქცევად მდგრად განვითარებამდე მიგვიყვანდა (მხედველობაშია არა მხოლოდ გაეროს მიერ დეკლარირებული ცნობილი განვითარებების „17 მიზანი“, არამედ გაცილებით უფრო „მიწიერი“, მსოფლიოს ქვეყანათა უმეტეს ნაწილში მიმდინარე მრავალმხრივი და საყურადღებო, განვითარების მიმდინარე ეტაპზე ბუნებრივად წარმოქმნილი თუ ხელოვნურად ინიცირებული ტენდენციები).

საერთაშორისო ეკონომიკური რეალობისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხია ტრანსნაციონალური კორპორაციების დაბეგვრა. ამ კომპანიების დაბეგვრის მოქმედი ჩარჩო დიდი ხანია მოძველდა, რადგან თავის დროზე ის შეიქმნა სულ სხვა ეპოქის თავისებურებათა გათვალისწინებით. სულ უფრო მეტი არამატერიალური აქტივების მქონე კომპანიების აღზევებამ გაუადვილა მათ არსებული საგადასახადო სისტემის ნაკლოვანებების გამოყენება და შედეგად, კოლოსალური მოგებების ოფშორულ ზონებში აკუმულირება. ამასთან დაკავშირებით, სულ უფრო მეტი ქვეყნების მთავრობები, ექსპერტები და მოქალაქეები აქტიურად გამოთქვამენ ღია უკმაყოფილებას და საგადასახადო მაქინაციებში ადანაშაულებენ ისეთი გიგანტებს, როგორცაა: Google, Amazon, Facebook, Apple და ა.შ.

დიდი ოცულის მხარდაჭერით, ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების ორგანიზაცია ამ ვითარების შესწავლას სათავეში 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ ჩაუდგა, რაშიც ათეულობით ქვეყანა აქტიურად ჩაერთო [8].

რესურსების პრობლემისადმი ტრადიციული მიდგომა არ ახდენს გავლენას ადამიანის საქმიანობის მთელ სფეროზე და ძირითადად ორიენტირებულია საზოგადოების მატერიალურ, ობიექტურ ცხოვრებაზე. ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლის კონტექსტში პრობლემა ფუნდამენტურად ახალ გაგებას მოითხოვს. თავად საქმიანობის ფენომენი ამჟამად სერიოზულ ტრანსფორმაციას განიცდის. ინფორმაციული გარემო რეალურად ხდება ახალი ცივილიზაციის

ტიპის გარემო, სადაც ადამიანის ცხოვრების „მატერიალური“ სივრცე ნიშნებისა და სიმბოლოების სივრცით იცვლება.

**თანამედროვე ცივილიზაციური ტრანსფორმაციის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება რესურსების აღქმაში დამკვიდრებული ეკონომიკური და ტექნოლოგიური გაგების დაძლევა** (განათლება, ჯანდაცვა, პოლიტიკა, საინფორმაციო კომუნიკაციები) ანალიზში. რესურსები ახლა უკვე მოიცავს ისეთ ფენომენებს, როგორცაა: ინფორმაცია, დაზვერვა, კულტურა და სულიერი სამყარო, რომელთა რესურსებად წარმოჩენა პირდაპირ კავშირშია ინფორმაციული ცივილიზაციის ღირებულებათა განვითარებასთან [5,7].

**დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „რესურსები“ იქცა ინტერდისციპლინურ კატეგორიად, მაგრამ რესურსებისადმი მიდგომის მეთოდოლოგია განუვითარებელი რჩება.**

სოციალურ და ფილოსოფიურ დისკუსს, პრობლემის ყოვლისმომცველი ანალიზით, შეუძლია შექმნას გარკვეული მეთოდოლოგიური საფუძველი რესურსების, როგორც თანამედროვე ცივილიზაციის ინტერდისციპლინური კატეგორიის, შესწავლისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის. ცივილიზაციის საარსებო სივრცის ყოვლისმომცველ გაფართოება, მზარდი ეკოლოგიური და ეგზისტენციალური კრიზისი და ადამიანის საქმიანობის პრიორიტეტების შეცვლა განაპირობებს კაცობრიობისათვის რესურსების ახლებურად ხედვის აქტუალურობასა და მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალ პერსპექტივებს [12].

გლობალურ ეკონომიკას, მრავალ ქვეყანას მწვავე პრობლემები შეუქმნა პანდემიამ კოვიდ-19. იმის იმედად ყოფნა, რომ პანდემია დასრულდა ან მისი გავრცელების ტემპებმა იკლო და გლობალური ეკონომიკის გაჯანსაღების, უფრო სწორად კი მისი კრიზისამდელ პირობებში დაბრუნება დაიწყო - ან გულუბრყვილობაა, ან მოსახლეობის პესიმისტური განწყობებისა და არაპროგნოზირებადი რეაქციების შესასუსტებლად გამოყენებული ერთგვარი პროგნოზული ფანდია.

პანდემიამ, მის თანმხლებმა პროცესებმა და მოვლენებმა იმდენად შეარყია არსებული სოციალური, ეკონომიკური, მენტალური და ფსიქო-ფიზიოლოგიური რეალობის საყრდენები და გამოაჩინა მათი არცთუ მაღალი საიმედოობა, რომ უკვე აქტიურად მიდის მსჯელობა არა „ძველი“ ვითარების აღდგენის შესახებ, არამედ **მომავალი პრაგმატული შინაარსის მქონე ურთიერთობების შესაბამისი, სრულიად ახალი კონსტრუქციების აგებაზე** [7,10].

ნიშანდობლივია ისიც, რომ 2020-2024 წლებში სხვა ატიპიური და საშიში პროცესების განვითარებასთან ერთდროულად, მკაფიოდ გამოიქვანდა კაპიტალისტური წარმოების წესისადმი და მთლიანობაში კაპიტალიზმისადმი - როგორც ათწლეულების განმავლობაში წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციისადმი კრიტიკული გააზრების მოთხოვნის გაძლიერება.

დებატები თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაფუძნებული მომავლის აკვარგიანობის შესახებ უკვე მთელ მსოფლიოში აქტიურად მიმდინარეობს. ევროკავშირის პრობლემების, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პოლიტიკის, ჩინეთის მძლავრი წინსვლითი განვითარების ფონზე, უახლოესი წლები იქნება პერიოდი, როდესაც მკაფიო და ცალსახა პასუხი გაეცემა კითხვას: **რა არის მომავალი მსოფლიოსთვის უფრო მნიშვნელოვანი და პოზიტიური შედეგების მომტანი - სახელმწიფო პროტექციონიზმის, სტრატეგიული ინვესტიციების, ქვეყნის საშინაო პოლიტიკის გადაწყვეტაში გეგმიური ეკონომიკის ელემენტების გაძლიერებით მიღწეული სიმბიოზი, თუ თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებზე დაფუძნებული თვითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა.**

საქმე ის არის, რომ მიმდინარე **გლობალური ცვლილებების აჩქარება და ცხოვრების ყველა სფეროზე მათი გავლენის ზრდა** ყველაზე რადიკალურ პროგნოზებსაც კი ანგრევს.

პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, მსოფლხედვითი პროცესების სივრცეებიდან **განვითარების ერთიანი, უნივერსალური პროცესის**

სივრცეში გადასვლა, მკვეთრი პოლიტიკური დესტაბილიზაცია, საერთაშორისო სტრუქტურების, მსხვილი ტრანსნაციონალური კონგლომერატების, ცალკეული მაღალი სამოქალაქო გავლენების მქონე პირთა განცხადებები და მოქმედება აყალიბებს მსოფლიოს განვითარების **სრულიად ახალ დღის წესრიგს**, რომლის ძირითადი ავტორებიც და აქტორებიც, როგორც 2022-2024 წლების მოვლენების ანალიზმა დაგვანახა, მათ მიერვე გენერირებულ ურთიერთობათა და თანამშრომლობის ახალ სივრცეებში ვერც **წინა პერიოდებში შეძენილ გამოცდილებას და ვერც მათ ხელთ არსებულ ეკონომიკურ რესურსებსა თუ ბერკეტებს** ჩვეული ეფექტიანობით ვეღარ გამოიყენებენ. **საქმე გვაქვს კაცობრიობის განვითარებისთვის თვისებრივად განსხვავებულ, უპრეცედენტო ეტაპის საწყის სტადიასთან** [4]. ამჟამად, მთავარი ამოცანაა მასში შეძლებისდაგვარად ნაკლები დანაკარგებით შესვლა და არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელი დროული ადაპტაცია.

პანდემია კოვიდ-19, რომლის სრული და საყოველთაო ლიკვიდაცია სათუო ხდება და რომელიც ხსენებული გლობალური წესრიგის ერთ-ერთ მუდმივმოქმედ კომპონენტად გადაქცევაზე აცხადებს პრეტენზიას, ყველა ნეგატიურ შედეგებთან ერთად შეიცავს ერთ პოზიტიურ შედეგსაც: **ადამიანებმა მიიღეს მკაფიო სიგნალი თვითგადარჩენის და თვითგანვითარებისათვის ახალი გზების და მეთოდების მოძიების აუცილებლობასთან დაკავშირებით.**

გასათვალისწინებელია, რომ ბიზნეს ლანდშაფტი განიცდის ტრანსფორმაციულ ცვლილებას, რაც გამოწვეულია მუდმივი ტექნოლოგიური სიახლეებით. მიუხედავად იმისა, რომ დიგიტალიზაცია ოდესღაც განიხილებოდა, როგორც გაზრდილი ეფექტურობის ან კონკურენტული უპირატესობის გზა, ახლა ის ნებისმიერი სფეროსათვის ხდება აქტუალური. ამ პარადიგმის ცვლის მიზნით, ცნობილმა ანალიტიკურმა კომპანიამ „პრაის უოთერხაუსმა“ (**PwC**) გამოავლინა ძირითადი ციფრული ტრანსფორმაციის ტექნოლოგიები, რომლებიც მზადაა ძირეულად გარდაქმნას კომპანიების ფუნქციონირება. **PwC-ის** თანახმად, ციფრული ტრანსფორმაციის ძირითადი ტექნოლოგიები ფუნდამენტურად ცვლის კომპანიების საქმიანობას. კვლევის მიხედვით, ტოპ 5-ში მყოფი კერძო საწარმოების მიერ გამოყენებულია: ხელოვნური ინტელექტი, „ჭკვიანი ნივთები“ (55%), რობოტოტექნიკა (32%) და 3D ბეჭდვა (25%).

გამოკითხული კერძო ბიზნეს ლიდერთა 67%-ს მიაჩნია, რომ დიგიტალიზაცია მნიშვნელოვანია მათი ბიზნესის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობისთვის და სულ უფრო მეტად იყენებენ ამ ტექნოლოგიებს საკუთარ ბიზნესში მდგრადობისა და ზრდის უზრუნველსაყოფად. სწორი ციფრული ტრანსფორმაციის ტექნოლოგიების არჩევა, როდესაც ყველა მათგანი აქტუალური და ზუსტი ჩანს, დილემას უქმნის კომპანიებს თავიანთი ციფრული ტრანსფორმაციის ძალისხმევის ფოკუსირებაში.

დღეისათვის შემდეგი რვა განვითარებადი ციფრული ტექნოლოგია შეიძლება ჩაითვალოს „სამშენებლო ბლოკად“ ციფრული ტრანსფორმაციისათვის: 1. ხელოვნური ინტელექტი; 2. გამლიერებული რეალობა; 3. ბლოკჩეინი; 4. დრონები. რობოტოტექნიკა; 7. ვირტუალური რეალობა და 8. 3D ბეჭდვა. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული კომპანიის არჩევანი შეიძლება განსხვავდებოდეს მისი მოთხოვნებისა და სტრატეგიის მიხედვით, მოსალოდნელია, მათი გამოყენება დიდ გავლენას მოახდენს ბიზნესის უმეტესობაზე მთელს მსოფლიოში.

### **ახალი რეალობა და ინტეგრალური რესურსები**

XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე იწყება იმის აღიარება, რომ კაცობრიობის აწმყო და მომავალი ინტეგრალური რესურსების არა მარტო ფლობაზე, არამედ და უმთავრესად მათი რაციონალური გამოყენებისა და ოპტიმალური მართვის სისტემების ეფექტიანობაზეა დამოკიდებული [2].

დღეს მსოფლიოს ყურადღება კონცენტრირებულია რუსეთ-დასავლეთის ომსა და გლობალურ კლიმატურ პროცესებზე, მიუხედავად მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანასა და 8,2 მილიარდიან მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობაზე მათი მართლაც რომ უპრეცედენტო ნეგატიური ზემოქმედებისა, რჩება შთაბეჭდილება და ეჭვი, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, ხდება ამ თემების ჰიპერბოლიზაცია უფრო მნიშვნელოვანი გლობალური პროცესების და მოვლენების შენიღბვის მიზნით.

რა პროცესებზეა საუბარი?

- წარმოების კაპიტალისტური სისტემის უპრეცედენტო კრიზისი და სავარაუდოდ, მისი არსებობის საბოლოო ფაზაში შესვლა;
- დერივატივების და სახელმწიფოთა ურთიერთვალდებულებების მოცულობის გლობალურ მთლიან შიდა პროდუქტთან შედარებით თითქმის 3-ჯერადი ზრდა;
- შეუქცევადი ეკოლოგიური და კლიმატური პროცესების განვითარება;
- მთავარი საერთაშორისო სტრუქტურების უუნარობა ძირითად გლობალურ პროცესებზე გავლენის მოხდენისა;
- ახალი, მძლავრი ტრანსნაციონალური კონგლომერატების ფორმირება და გაძლიერება, მათი სტრატეგიული გავლენის ზრდის ტენდენცია;
- დაუფარავი პრაგმატიზმის და მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული მსოფლხედვის უალტერნატივო დამკვიდრება;
- „განვითარების პარადოქსის“ ციფრული ტექნოლოგიების განვითარების უპრეცედენტოდ მზარდი დინამიკის გამოვლენა ცხოვრების უმეტეს სფეროებში (ხელოვნური ინტელექტი, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანო-ტექნოლოგიები და სხვ.);
- „მართვადი ადამიანის“ თეორიების დამკვიდრება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კლასიკური სისტემების საწინააღმდეგო შინაარსით და ა.შ.

კაცობრიობის განვითარებამ მკაფიოდ გამოხატული ანიზოტროპიული ხასიათი მიიღო, რაც ახალი კონფლიქტების, რასიზმის, სეგრეგაციის, დემოკრატიული ინსტიტუტების მნიშვნელოვანი შესუსტების მიზეზი შეიძლება აღმოჩნდეს. ამ პირობებში განსაკუთრებული ყურადღება და ძალისხმევაა საჭირო ყოველი ქვეყნისათვის მხოლოდ მისთვის გამოსადეგი განვითარების მაქსიმალურად კონკრეტიზირებულ მოქმედებათა პროგრამის ჩამოყალიბებისა და რეალიზაციისათვის.

**ასეთი პროგრამების საკვანძო საკითხია ქვეყნის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი რეალიზაციის უზრუნველმყოფი ინტეგრალური რესურსების მართვისა და გამოყენების ოპტიმალური სქემებისა და რეჟიმების შემუშავება.**

მსოფლიოში დასასრულს უახლოვდება ახალი რეალობის ფორმირების პირველი ეტაპი. მის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების უმეტესი ნაწილის არსებობის დასრულება და შემდგომი უპრეცედენტო მოვლენები - ნიუ-იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრის „მოულოდნელი“ განადგურება, ევროპისთვის მომაკვდინებელი მიგრაციული პოლიტიკისა და „მულტიკულტურალიზმის“ პროცესების დაგეგმილზე გაცილებით მძლავრი და დაჩქარებული განვითარება, ნეოლიბერალური და პოსტინდუსტრიული ვაქხანალია, კოვიდ-19 პანდემიის გლობალური გავრცელება, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, განვითარებული ექსტრაორდინარული მოვლენები [5].

**რა არის მომავალი გლობალური რეალობის მთავარი მახასიათებელი? კაცობრიობის განვითარების ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური და ფსიქო-ფიზიოლოგიური პროცესების განვითარების ერთიან გლობალურ პროცესად ფორმირება.**

ამ პროცესის დაპროექტება, მისი რეალიზაციისათვის აუცილებელი პირობების შექმნა და თავად მისი განხორციელება, მთელი რიგი მკაფიოდ გამოხატული ფაქტორების გამო, ვერ ჩაითვლება ბუნებრივ, განვითარების შინაგანი ლოგიკისა და კანონზომიერებათა ბაზაზე ევოლუციურად განვითარებად ფენომენად. ბოლო 30-35 წლის საერთაშორისო მასშტაბის ისტორიული ძვრები და მათი პირველადი ანალიზიც კი - ამის მკაფიო დასტურია.

ამავე დროს, მკაფიოდ გამოიკვეთა გლობალური განვითარების მიმდინარე ეტაპის ძირითადი ტრენდი - ინტეგრალური რესურსების ფაქტორის მკვეთრი ამაღლება და მისი გადამწყვეტი ზემოქმედება უკლებლივ ყველა სახის გლობალურ პროცესებზე. ინტეგრალური რესურსების ტრადიციული კომპონენტები: საწარმოო ძალები, ბუნებრივი და მატერიალური რესურსები - თავისთავად ვეღარ განიხილებიან პოლიტიკური გავლენების, ეკონომიკური ზრდისა და მაღალი სოციალური სტანდარტების მიღწევის ერთადერთ უმთავრეს ფაქტორებად. პირიქით, - მათი მფლობელი სახელმწიფოები, სახელმწიფოთა გაერთიანებები, სამხედრო კავშირები ასეთი რესურსების მძველები ხდებიან, რადგან ძირითადი ძალისხმევა უნდა მიმართონ მათ მფლობელობაში არსებული რესურსებისადმი აგრესიული ინტერესების ფორმირების და მათი განხორციელების მიმართ წინააღმდეგობის გაწევაზე და არა რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ოპტიმალური მართვის უზრუნველყოფაზე.

წინამდებარე მოსაზრებები განკუთვნილია რესურსული პოლიტიკის და ინტეგრალური რესურსების პრობლემებისადმი ღრმა და სისტემური მიდგომებსა და ახალ, არატრივიალურ ხედვებზე დაფუძნებული მსჯელობის დაწყებისთვის, რის გარეშე შეუძლებელი იქნება თანამედროვე მოვლენებისა და პროცესების გაანალიზება და ეფექტიანი მართვა, ისევე, როგორც მომავლის მოვლენებისა და პროცესების პროგნოზირება მშვიდობიანი თანაარსებობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად [5,7].

### **საქართველოს განვითარების პერსპექტივები**

მსოფლიოში მიმდინარე უპრეცედენტო და ხშირად მოულოდნელი სოციალური, ტექნოლოგიური, ეკონომიკური, კლიმატური, პოლიტიკური თუ სამხედრო პროცესებისა და მოსალოდნელი ძირეული გლობალური ცვლილებების ფონზე, საქართველო მაღალი პასუხისმგებლობით უნდა მოეციდოს შეფასებებსა და საკუთარი პოზიციების გამოხატვას ქვეყნის საშინაო, რეგიონულ თუ გლობალურ პროცესებთან და ტენდენციებთან მიმართებით.

განვითარების მიმდინარე ეტაპზე, მკვეთრად შემცირებულია მკაფიო პოზიციის ფორმირებისათვის აუცილებელი უტყუარი ინფორმაციის რაოდენობა. საქართველოს პოლიტიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობა არასაკმარისად ანალიზებს ჩვენს ქვეყანაში და მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს. საქართველო ახალი რეალობის ჩამოყალიბება-განვითარებასა და შესაბამის გამოწვევებში პასიურ მონაწილეთა შორისაა და მაღალი ალბათობით, ახლო მომავალში სრულად შეიგრძნობს მათი ზემოქმედების ყველა შედეგს, რისთვისაც მომზადებაა საჭირო [8].

**მიმდინარე ეტაპზე საქართველოს განვითარების ძირითადი საკითხი მისი პრიორიტეტების განსაზღვრასა და საკუთარი ინტეგრალური რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციაში მდგომარეობს.**

მიუხედავად აღნიშნულისა, ვერც ჩვენს ქვეყანაში და ვერც გლობალურ სივრცეში თანამედროვე ადამიანის ცნობიერების ფორმირებაში რესურსების თემამ ჯერ კიდევ ვერ დაიკავა მათი უნივერსალური და გადამწყვეტი მნიშვნელობის ადექვატური ადგილი.

საქართველო შეგნებულად დამკვიდრებული შეხედულების მიუხედავად, საკმაოდ მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, ხოლო მათი კუთრი სიდიდებით (ერთ სულ მოსახლეზე და ერთ კვადრატულ კილომეტრზე გადათვლით), ბევრ შემთხვევაში გლობალურ TOP 20-შიც შედის.

ჩვენს ქვეყანაში ძირითადი პრიორიტეტები ზოგადად, ისეთივეა, როგორც სხვაგან: ქვეყნისა და მისი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და განვითარების უზრუნველყოფა. მაგრამ საქართველოს, მრავალი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, ამ ამოცანების გადასაწყვეტად საკუთარი, ჯერ-კიდევ არასათანადოდ გამოყენებული **ინტეგრალური რესურსები გააჩნია**. ცალკე აღებული, ეს არც სასმელი წყალია და არც მინერალური რესურსები, არც ერთობ გადაჭარბებულად შეფასებული გეოსტრატეგიული რესურსი და, მით უმეტეს, არც ტურიზმი - **თუმცა ყოველ მათგანს საერთო სახელმწიფოებრივ წინსვლასა და მოსახლეობის დასაქმებაში, მისი ცხოვრების დონისა და ხარისხის გაუმჯობესებაში საკუთარი წვლილის შეტანა უთუოდ შეუძლია**.

საქართველოს უმთავრესი ინტეგრალური რესურსებია:

**გეოსტრატეგიული პოტენციალი**, რომლის დადებითი გავლენა ქვეყნის გეოფაქტორებზე უახლოეს წლებშივე გამოვლინდება;

**უნიკალური საცხოვრისი**, რის მიმართაც ყურადღება მზარდია. მის ათვისებასთან დაკავშირებული გეგმები წლების მანძილზე ინტენსიურად მუშავდებოდა არაერთ ქვეყანაში და ახლა უკვე წარმატებით რეალიზდება კიდევ;

**ბიოაგრარული პროდუქცია**, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შედარებითი სიმცირის მიუხედავად, გააჩნია უდიდესი პოტენციალი იმისთვის, რომ გახდეს კონკურენტუნარიანი და ზემოთხოვნადი მსოფლიო აგრარულ ბაზრებზე;

**მაღალტექნოლოგიური საერთაშორისო ინდუსტრიული კლასტერები**, სადაც მრავალფეროვანი ადგილობრივი რესურსების გამოყენების, ეკონომიკურად გამართლებული საგადასახადო რეჟიმებისა და გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებაში ენერგეტიკული, სადაზღვევო და შრომის ანაზღაურების კომპონენტების სიმცირის გამო, მიიღწეულ იქნება რენტაბელობის სტაბილურად მაღალი მაჩვენებელი;

**საკურორტო-სარეაბილიტაციო კომპლექსების ქსელი**, სადაც ბუნებრივი კლიმატური და ბალნეოლოგიური რესურსების შერწყმა დასვენებისა და მომსახურების თანამედროვე რეჟიმებთან - მოიზიდავს მსხვილ პირდაპირ ინვესტიციებსა და მრავალი ქვეყნის მომხმარებელთათვის მაღალმოთხოვნადი გახდება;

**ციფრული ტექნოლოგიები**, რაც ახლო მომავლის გარდაუვალ რეალობად იქცა, რომლის ათვისებისა და ფართოდ დანერგვის გარეშე ყოველგვარი მსჯელობა ახლო და უახლოეს წარმატებულ მომავალზე აზრს იქნება მოკლებული [5].

მიუხედავად ბოლო წლებში საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ზრდისა, მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული ეროვნული პროდუქტით საქართველო ჯერაც ჩამორჩება საშუალო მსოფლიო დონეს. ბოლო მონაცემებით, ოფიციალური კურსით საქართველოში წარმოებული სამამულო პროდუქტი საშუალო მსოფლიო დონის მხოლოდ 56.5 პროცენტია, მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით კი - 98.6 პროცენტი.

შავიზღვისპირეთის მსხვილი სახელმწიფოების (რუსეთი, თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი) ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით საქართველოს მაჩვენებელი დაახლოებით 75 პროცენტის, ხოლო ევროკავშირის - მხოლოდ 40 პროცენტის დონეზეა. შესაბამისად, უახლოესი წლების ამოცანა სწორედ არა უშუალოდ ევროკავშირის საშუალო დონეზე, არამედ საშუალო მსოფლიო დონესა და შავიზღვისპირეთის საშუალო დონეზე გასვლა, ამ ქვეყნებთან გათანაბრების ამოცანა უნდა იყოს.

მატების იმ აბსოლუტური მაჩვენებლებით, რაც საქართველოს ბოლო წლებში ჰქონდა, ეკონომიკური განვითარებით ევროკავშირის **ამჟამინდელ** (2023 წლის) დონეზე გასვლას საქართველოს დაახლოებით 17-20 წელი დასჭირდება, ხოლო შავიზღვისპირეთის ქვეყნების დონის მიღწევას - დაახლოებით 8-10 წელიწადი.

აღნიშნული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს საერთაშორისო სავალუტო ფონდის საშუალოვადიანი პროგნოზი, რომლითაც 2027 წლისთვის საქართველოს ეკონომიკა მოსახლეობის ერთ სულზე გადააჭარბებს \$10 ათასს, ხოლო 2030 წლისთვის მიაღწევს \$15 ათასს.

ვალუტის მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით, 2030 წლისთვის საქართველოს მშპ ერთ სულზე, სულ ცოტა, \$25 ათასი იქნება, რაც შავიზღვისპირეთის ზემოხსენებული ქვეყნების 2023 წლის დონეზე გასვლას 2031-2033 წლებში სავსებით რეალურს ხდის.

რა თქმა უნდა, ეს ქვეყნებიც, ისევე როგორც მთლიანად გლობალური ეკონომიკა, ადგილზე არ ჩერდება, ვითარდება. შესაბამისად, თუ ეკონომიკის ზრდის ბოლო ხუთწლიანი პერიოდით ვიხელმძღვანელებთ და მათ ექსტრაპოლირებას მოვახდენთ, საქართველოს ეკონომიკა მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ-ით გავა (მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით) შესაბამისი წლის: საშუალო მსოფლიო დონეზე - 2024 წელს, ზემოხსენებული შავიზღვისპირეთის ოთხი დასახელებული სახელმწიფოს დონეზე - 2043 წელს, ხოლო ევროკავშირის დონეზე - არაუადრეს 2060 წელს [5].

### **ინტეგრალური რესურსები და მიმდინარე პრიორიტეტები**

ბოლო წლებში გამოქვეყნებულ შრომებსა და პუბლიკაციებში, ჩატარებულ პრეზენტაციებში ყურადღებას ვამახვილებთ საქართველოს პრიორიტეტებსა და რესურსებზე, თუმცა მსჯელობის მცირე მასშტაბებისა და გადაუჭრელი საკითხების მრავალფეროვნების ყურადღება ამ პრობლემების მიმართ არასაკმარისია მიუხედავად მრავალი დადებითი ტენდენციისა, რომლითაც ხასიათდება ეკონომიკის სფერო და არანაკლებ პოზიტიური პროგნოზებისა (განსაკუთრებით ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით).

დღეს მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც კულტივირებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხსენებულმა პანდემიურმა მოვლენებმა და განსაკუთრებით რესეთ-დასავლეთის ალოგიკურმა ომმა უკრაინის ტერიტორიაზე შექმნა ახალი გლობალური რეალობა და ხელი შეუწყო კაცობრიობის განვითარების გადაფორმირებას.

ეს არ არის სწორი.

პანდემიამ და რუსეთ-დასავლეთის სამხედრო კონფლიქტმა უკრაინის ტერიტორიაზე გამოკვეთეს არსებული ძირეული პრობლემები: ერთ შემთხვევაში ადამიანური რესურსების სიჭარბე და მეორე შემთხვევაში - რესურსების გადამწყვეტი როლი გლობალურ განვითარებაში. გამოიკვეთა რეალობის რამდენიმე სახეობა რომლებშიც ადამიანებს მოუხდათ ცხოვრება:

1. ობიექტური რეალობა - სამყაროს განვითარების უნივერსალური კანონზომიერებები - დრო, სივრცე, ენერჯია.
2. ინდივიდუალური რეალობა - საკუთარი შეგრძნებების, ცნობიერების, მიზნების, მისწარაფებების სიმრავლე.
3. მაკრორეალობა - მსოფლიოს ქვეყნები, ზოგადი პროგრესი, მთავრობები, რეალური და წარმოსახვითი ოპოზიციები.
4. მიკრორეალობა - ქალაქი, სოფელი, ოჯახი, სამუშაო, ინდივიდუალური მიღწევები და წარუმატებლობები.

დედამიწაზე მცხოვრებ 8 მილიარდ ადამიანს უხდება ამ ოთხივე რეალობაში ცხოვრება და ფუნქციონირება.

საქართველოს როლი მიმდინარე გლობალურ პროცესებში უკიდურესად მცირეა, მაგრამ ამ პროცესების გავლენა საქართველოს რეალიებზე ძალიან მაღალია - შეიძლება ითქვას - გადამწყვეტიც.

საქართველო და მისი მსგავსი ქვეყნები ვერ გაქრებიან მიმდინარე გლობალური სივრციდან, მაგრამ მცდელობა არ უნდა დააკლონ საკუთარი ინტერესების დაცვის და საკუთარი



მოსახლეობის დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერსების შესაბამისი მოქმედებების განხორციელებას.

დაწყებული გასული საუკუნის 70-80 წლებიდან როდესაც ნათელი გახდა არსებული მსოფლიო მოწყობის მოწყვლადობა და უპერსპექტივობა, დაიწყო რეალური საერთაშორისო ელიტების კონსოლიდაცია პრინციპულად ახლებური გლობალური კონსტრუქციების დაპროექტების და რეალიზაციის მიზნით.

ამჟამად ვუახლოვდებით ამ პროცესის გადამწყვეტ სტადიას, რომლის თავისებურება გიგანტური ეკონომიკების (აშშ, ჩინეთი, ევროკავშირი, ინდოეთი, AUKUS) და გადამწყვეტი აგრესიული ხასიათის გავლენების სუბიექტების (რუსეთი, მუსლიმანური სამყარო, ჩრდილო კორეა, თურქეთი) მიერ დეკლარირებული და ნაწილობრივ რეალიზებული პროექტებია (რუსეთი მიერ უკრაინისა და საქართველოს ნაწილობრივ ოკუპაცია, აშშ-ის ელვისებური გასვლა ავღანეთიდან, ჩინეთის გლობალური კრიზისის მიუხედავად ტექნოლოგიური გარღვევები, ინდოეთის სტაბილური და უხმაურო პროგრესი).

**ძირითად თავისებურებად და მთავარ მახასიათებლად უნდა ჩავთვალოთ და ვაღიაროთ მსოფლიო ელიტების ხსენებული და უკვე დაუფარავად მიმდინარე კონსოლიდაცია და ზე-გლობალური, ზე-ტრანსნაციონალური და ზე-ტრანს სახელმწიფოებრივი სისტემის ფორმირება [5].**

როგორ გამოიყურება საქართველო ამ მოვლენების და პროცესების გათვალისწინებით და თავისუფალი განვითარების რა ხარისხს ფლობს იგი სადღეისოდ? რა არის მისი ძირითადი მიზიდულობის არსი? რა პოტენციალს ხედავენ მასში მსოფლო თანამეგობრობის ძირითადი აქტორები?

ძალიან ფრთხილად და კვალიფიციურად უნდა გავცეთ პასუხები ამ კითხვებს და რაც მთავარია, ჩვენი მოქმედებები პრაგმატიზმს, საკუთარ ისტორიულ-კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას და სასურველი მომავლის მშენებლობას უნდა დავუქვემდებაროთ.

არ არის გამორიცხული, რომ ციფრული ტექნოლოგიების, სუპერ კომპიუტერების, ნეიროქსელების, ხელოვნური ინტელექტის ხარისხი იმდენად მაღალი აღმოჩნდეს, რომ მოხდეს თვისობრივი ნახტომი (ადამიანის კონტროლის სივრციდან გასვლის ჩათვლით) და „პროდუქტს“ გაუჩნდება თვითიდენტიფიკაციის უნარი ანუ გაუჩნდეს საკუთარი „მე“, რაც ნიშნავს იმას, რომ კლასიკური ცოცხალი არსების მსგავსად განუვითარდება თავდაცვის, საკუთარი სურვილების რეალიზაციის განხორციელების განწყობებიც და მექანიზმებიც. ასეთი პერსპექტიული სიტუაცია კი უკვე აშკარა საფრთხის შემცველი იქნება, რადგან სრულიად შესაძლებელია, რომ „პროდუქტის“ უნარები შეუდარებლად ძლიერი და რაც მთავარია თვითგანვითარებადიც აღმოჩნდეს ჩვეულებრივი ადამიანის უნარებთან შედარებით, რომლებსაც უამრავი ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და მორალური ჩარჩოები და შეზღუდვები გააჩნია.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ საქართველოს მინერალურ რესურსების საკითხი.


### **საქართველოს მინერალური რესურსების ფონდის ზოგადი თავისებურებები**

საქართველოს მინერალური რესურსების ფონდი მოიცავს 950 დეპოზიტს და გამოვლინებას. რესურსების ფონდის 62.8% - მსხვილი (ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის) საბადოების, 30.9% ადგილობრივი მნიშვნელობის საბადოები, ხოლო 6.2% კი - გამოვლინებები.

ნახაზი 1. გვიჩვენებს რესურსების ფონდის განაწილებას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში.

თანამედროვე მაკროეკონომიკური მიდგომების შესაბამისად, საქართველოს მინერალური რესურსების ფონდი შეიძლება დაიყოს შემდეგ ეკონომიკურ ტიპებად.

1. სათბობ-ენერგეტიკული რესურსები ----- 42 ობიექტი;
2. ლითონებისა და იშვიათი ელემენტების რესურსები ----- 70 ობიექტი;
3. ქიმიური, აგროქიმიური და სხვა რესურსები – ----- 96 ობიექტი;
4. სანაკეთო ქვებისა და კერამიკული რესურსები ----- 80 ობიექტი;
5. მოსაპირკეთებელი და სამშენებლო ქვების რესურსები -----231 ობიექტი;
6. მეტალურგიული, ინერტული და სამშენებლო რესურსები -----262 ობიექტი;
7. მიწისქვეშა მინერალური წყლები – ----- 69 ობიექტი.



ნახ. 1. მინერალური რესურსების ფონდის განაწილება საქართველოს რეგიონებში

სასარგებლო წიაღისეულის ფონდის განაწილება ეკონომიკური ტიპის სასარგებლო წიაღისეულის მიხედვით ნაჩვენებია ნახაზზე 1.

ნახაზი 1. აღწერს სასარგებლო წიაღისეულის ფონდის განაწილებას (ობიექტების რაოდენობის მიხედვით), როგორც ეკონომიკური ტიპების, ისე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით.

ნათლად ჩანს, რომ საქართველოს თითოეული რეგიონი, ქვეყნის დედაქალაქის გათვალისწინებით, სასარგებლო წიაღისეულის მატარებელია. ამავდროულად, აფხაზეთი, აჭარა, გურია, სამეგრელო და ზემო სვანეთი, იმერეთი და ქვემო ქართლი ყველა ეკონომიკური ტიპის რესურსს მოიცავს.

#### განვითარების სამიზნე პარამეტრები

ქვეყნის ყველა სახის რესურსი, რესურსული პოტენციალი, მათ შორის ადამიანური, ემსახურება ქვეყნის დინამიურ, მდგრად განვითარებას, საკუთარი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას და კეთილდღეობის ამაღლებას. ამ ასპექტით შესაბამისი ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და დემოგრაფიულ ამოცანებს და მიზნებს ერთი და იმავე მიმართულების ვექტორები აქვთ. ისინი, როგორც ერთი ჯაჭვის რგოლები, უზრუნველყოფენ ერთიანი ჯაჭვის სიმყარეს და მედეგობას. შესაბამისად, ზემოთ დასახელებული მიზნების წარმატებული რეალიზაცია ერთმანეთთან ორგანულადაა დაკავშირებული [5,7].

მიუხედავად ბოლოდროინდელი წარმატებებისა, ეკონომიკის მაღალი ტემპებით ზრდისა, საქართველო მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული ეროვნული პროდუქტით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, ჯერ კიდევ ჩამორჩება საშუალო მსოფლიო დონეს: ვალუტის ოფიციალური კურსით - 43.3 პროცენტით, ხოლო მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით - 1.4

**პროცენტით.** შესაბამისად, აღნიშნული ჩამორჩენის დაძლევა უნდა ჩაითვალოს უახლოესი პერიოდის უმნიშვნელოვანეს ამოცანად.

ის, რომ 2021 და 2022 წლებში ადგილი ჰქონდა ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას, რაც 1.7-ჯერ და 3.1-ჯერ აღემატება შესაბამისი წლის გლობალური ეკონომიკის ზრდას, ნიშნავს მხოლოდ პირველ წარმატებას და სვლას „სწორი მიმართულებით“. ვფიქრობთ, სტაბილური ეკონომიკური ზრდის პირობებში საქართველო უკვე არაუგვიანეს 2027 წლისთვის მიაღწევს ეკონომიკური განვითარებით 2023 წლის საშუალო მსოფლიო დონეს (ვალუტის მყიდველობითი უნარიანობის პარამეტრით), ხოლო ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური 7.0-9.0 პროცენტის ზრდის პირობებში 2030 წლისთვის ვალუტის ოფიციალური კურსითაც შეძლებს მსოფლიოს ანალოგიური მაჩვენებლის 2023 წლის დონეზე გასვლას.

ამასთან, სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მიმზიდველობის უზრუნველყოფის ტაქტიკური ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო იქნება მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ-ით საშუალო მსოფლიო დონეზე არანაკლებ 10 პროცენტით მეტი მშპ-ის წარმოებაზე გასვლა, სტრატეგიული ამოცანის გადასაწყვეტად კი ჩვენი ჩრდილოელი და სამხრეთელი მეზობელი სახელმწიფოების (რუსეთის ფედერაცია, თურქეთი) დონეებთან გათანაბრება და ასევე, სულ ცოტა, 10-პროცენტის გადასწრება (ამჟამად მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში წარმოებული მშპ შეადგენს რუსეთის ფედერაციის ანალოგიური მაჩვენებლის დაახლოებით 63%-ს, ხოლო თურქეთისას - 53%-ს).

საქართველოს ხელისუფლებას დეკლარირებული აქვს მიზნები 2030 წლამდე, თუმცა, მათში არ არის გაცხადებული და ვერც აისახებოდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებით რუსეთისა და თურქეთის დონის მიღწევა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ქვეყნებიც, მიუხედავად შიდა პრობლემებისა და გამოწვევებისა, ვითარდებიან და მათი ეკონომიკებიც იზრდება. შესაბამისად, ჩვენი აზრით, საქართველოს ეკონომიკური სამიზნე უნდა იყოს 2040 წლისთვის რეგიონული ლიდერის პოზიციის დაკავება მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტით [5,11].

ეკონომიკური განვითარება სახელმწიფოს მდგრადი და სტაბილური, უსაფრთხო განვითარებისათვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. - საჭიროა, რომ ქვეყანას საკუთარი თვითმყოფადობის, დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყავდეს საკმარისი რაოდენობის მოსახლეობა და შესაბამისად, სამუშაო ძალა, სამობილიზაციო რესურსის მცხოვრებთა კრიტიკული მასა. დღეისათვის საქართველოს თავის სახმელეთო მეზობლებთან ყველაზე მეჩხერად დასახლებული ტერიტორია აქვს. ყოველ კვადრატულ კილომეტრზე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 65 კაცს არ აღემატება, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი სომხეთში 93-ია, თურქეთში - 110, აზერბაიჯანში - 120, ხოლო რუსეთის ფედერაციის სუბიექტებში, ჩვენს მეზობელ ჩეჩნეთში - 95, ინგუშეთში კი - 166.

მიზნად უნდა დავისახოთ, რომ საქართველოს მოსახლეობა 2040 წლისთვის გავიდეს, სულ ცოტა, ხუთ მილიონიან ზღვარზე, რისთვისაც მანამდე დარჩენილ პერიოდში მისი მოსახლეობა ყოველწლიურად უნდა გაიზარდოს დაახლოებით 100-100 ათასით. აღნიშნული შესაძლებელი იქნება:

- ა) შობადობის ზრდით ამჟამინდელთან შედარებით სულ ცოტა, 15-20 ათასით გაზრდით (ეს დაახლოებით შეესაბამება 1980-იან წლების დონეს, თუმცა დაახლოებით 40 პროცენტით ნაკლებია ამ მხრივ რეკორდული, 1962 წლის მაჩვენებელზე);
- ბ) საქართველოდან ადრე გასული მიგრანტების დაბრუნებით საქართველოში ყოველწლიურად 40-50 ათასი კაცის ოდენობით;

გ) სტაბილური ზრდისა და განვითარების გამო საქართველოს ეკონომიკური მიმზიდველობის გლობალური ზრდით გამოწვეული არაავტოქტონული მოსახლეობის ყოველწლიური დადებითი მიგრაციული სალდოთი 20-25 ათასის ოდენობით.

ამასთან, ქვეყნის განვითარების დემოგრაფიული ასპექტის მთავარი მოთხოვნა უნდა იყოს ის, რომ საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა და ავტოქტონული ერის წარმომადგენლების დადებითი მიგრაციული სალდოს ჯამურმა მაჩვენებლებმა სულ ცოტა 2.5-3.0-ჯერ გადააჭარბოს არა ავტოქტონური მოსახლეობის დადებით მიგრაციული სალდოს მაჩვენებელს.

ეს მოგვცემს შესაძლებლობას საქართველოში ავტოქტონური მოსახლეობის წილი შენარჩუნდეს 80 პროცენტზე გაცილებით მაღალ ნიშნულზე, რაც 10 და მეტი პუნქტით უფრო მაღალი იქნება საქართველოში ქართველთა წილთან შედარებით სსრკ დაშლის წინა პერიოდში (1989 წ. – 70.1%) და იმავდროულად, მოსახლეობის სიმჭიდროვით მივუახლოვდეთ სომხეთის ამჟამინდელ ანალოგიურ მაჩვენებელს.

ბუნებრივია, ამას სჭირდება დიდმასშტაბიანი სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და თანმიმდევრული რეალიზაცია, აგრეთვე მძლავრი იდეოლოგიური მხარდაჭერა. მდგომარეობის მთელი დრამატიზმის გათვალისწინებით, **აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მთის რეგიონების რეაბილიტაციისათვის ასიგნებები სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის არანაკლებ 5 პროცენტის ოდენობით** [5,7,8,].

ქვეყნის მოსახლეობის ზრდის კვალობაზე უნდა მოხდეს გარდატეხა მოსახლეობის დაბერების პროცესში. - ამჟამად საქართველოს მოსახლეობა ყველაზე ხანდაზმულია მის ყველა სახმელეთო მეზობელთან შედარებით. - საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი 38.6 წელია, რაც აღემატება: სომხეთის ანალოგიურ მაჩვენებელს - 2.0 წლით, აზერბაიჯანისას - 6.0 წლით, თურქეთისას - 6.6 წლით, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების: - დაღესტნისას - 5.6 წლით, ინგუშეთისას - 7.6 წლით, ხოლო ჩეჩნეთისას - 9.9 წლით. შესაბამისად, შობადობის ზრდისა და ქვეყანაში წინა წლებში საქართველოდან გასული ეკონომიკურად აქტიურ ასაკში მყოფი მიგრანტების დაბრუნება შექმნის პირობებს აღნიშნული მაჩვენებლის ამჟამინდელთან შედარებით დაახლოებით 2.0-3.0 წლით შემცირებისათვის 2030 წლისთვის და 4-5 წლით - 2040 წლისთვის.

გაეროს ეკონომიკისა და სოციალური საკითხების დეპარტამენტის პროგნოზით, საქართველოს მოსახლეობა 2020 წელს იქნება 3977.1 ათასი, 2030 წელს - 3.868,37 ათასი, 2050 წელს - 3.483,128 ათასი, 2100 წელს - 2438 ათასი კაცი.

ქართველი მეცნიერთა (ლ. ჩიქავა, ა. თოთაძე) გამოკვლევებიდან ჩანს, რომ მომავალში, თუ დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღება არ მოხდება, ქართულ ეთნოსს თავისივე ისტორიული სამშობლოს მოსახლეობის რიცხოვნობაში, ხვედრითი წილის მკვეთრად შემცირების საშიშროება ემუქრება.

სახეზეა მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის დეფორმაცია. თუ 1989 წელს 15 წლამდე ასაკის მოსახლეობა შეადგენდა 25%-ს, 2016 წელს - 19%-ია. საქართველოს მოსახლეობის 47,7%-ს მამაკაცები შეადგენენ, 52,3%-ს ქალები. 2002 წელთან შედარებით, 0-14 წლის ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წილი 2,4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და შეადგინა 18,6%. ხოლო 0,8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა 15-64 წლის მოსახლეობის წილი. 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 1,6 პროცენტული პუნქტითაა გაზრდილი.

ასევე განვიხილოთ პერიოდში მოსახლეობის საშუალო ასაკი 2 წლით გაიზარდა და 38,1 წელი შეადგინა. შესაბამისად, მამაკაცთა საშუალო ასაკი 34,3 წლიდან - 35,9 წლამდე, ხოლო ქალებისა -

37,8 წლიდან 40,1 წლამდე. ყველაზე დაბალი საშუალო ასაკი დაფიქსირდა ქვემო ქართლში - 35,6, ყველაზე მაღალი - რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (48,2 წელი). გურიაში, იმერეთში, კახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში მცხოვრებთა საშუალო ასაკი 40 წელს აღემატება.

სჭირდება თუ არა საქართველოს ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, მართვის ინოვაციური და ეფექტიანი სისტემების ჩამოყალიბება? რა თქმა უნდა, მაგრამ უპირველესად აუცილებელია ახალი ხედვებისა და ახალი მიდგომების ანუ ახალი აზროვნების ფორმირება, პრობლემების ოპერატიული გადაწყვეტისათვის ეფექტიანი მოდელების შემუშავება, გამოყენება და მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების პოზიტიურ შედეგზე ორიენტირებული გამოყენებითი ანალიზის აქტიური დანერგვა; იმის გათვალისწინება, რომ „არსებობს განზრახულობათა ლოგიკა და გარემოებათა ლოგიკა და გარემოებათა ლოგიკა ყოველთვის უფრო ძლიერია განზრახულობათა ლოგიკაზე“.

### რეზიუმე

სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინფორმაციული პროგრესის მიღწევები ქმნის დღევანდელთან შედარებით გაცილებით „საშიშ მსოფლიოს“, თუმცა, ამავე დროს გვთავაზობს უფრო მეტ შესაძლებლობებს მისი პოზიტიური განვითარებისთვის. წინა პლანზე გამოდის რადიკალური პრაგმატიზმი, რომელიც უახლოესი წლების განმავლობაში კაცობრიობის სტაბილური საარსებო პირობების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების, მდგრადი გლობალური და რეგიონული განვითარების უმთავრეს ფაქტორად ყალიბდება. შესამჩნევად სუსტდება საერთაშორისო ინსტიტუტების გავლენა და ეფექტიანობა. ეჭვის ქვეშ დგება კარდინალური გარდაქმნების გარეშე ზოგიერთი მათგანის საჭიროებაც კი.

განსაკუთრებული ინტენსიობით ვითარდება ციფრული ტექნოლოგიები, რომელთა გავლენის ტემპები მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე, გაცილებით სწრაფია ადამიანების ფსიქო-ფიზიოლოგიური აღქმის შესაძლებლობებთან შედარებით, ინტეგრალური რესურსების ტრადიციული კომპონენტები: საწარმოო ძალები, ბუნებრივი და მატერიალური რესურსები - თავისთავად ვეღარ განიხილებიან პოლიტიკური გავლენების, ეკონომიკური ზრდისა და მაღალი სოციალური სტანდარტების მიღწევის ერთადერთ უმთავრეს ფაქტორებად.

შექმნილ ვითარებაში საჭირო ხდება საქართველოს ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და რესურსების მართვის ინოვაციური და ეფექტიანი სისტემების ჩამოყალიბება.

## Objective analysis and digital technology resources. A vision from a pragmatic future

G.Talakovadze

**Abstract:** The achievements of scientific, technological and informational progress create a much more “dangerous world” than today, but at the same time offer us more opportunities for its positive development. Radical pragmatism comes to the fore, which in the coming years will become the main factor in the formation and maintenance of stable living conditions for humanity, sustainable global and regional development. The influence and effectiveness of international institutions are noticeably weakening. Even the need for some of them without cardinal transformations is being questioned.

Digital technologies are developing with particular intensity, the pace of their influence on current events and processes is much faster than the psycho-physiological perception capabilities of people. The traditional components of integral resources: productive forces, natural and material resources - can no longer be considered the only main factors of political influence, economic growth and achievement of high social standards.

In the current situation, it is necessary to develop a new economic policy for Georgia and establish innovative and effective resource management systems.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ.თალაკვაძე, პ.კოლუაშვილი, „ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება და მისი კავშირი ინტეგრალური რესურსების პოტენციალთან“, „ეკონომიკა“ და ბიზნესი“, №1, გვ. 3-12, 2023;
2. გ.თალაკვაძე. „ინტეგრალური რესურსების მართვის ოპტიმიზაცია-მდგრადი განვითარების საფუძველი“, „საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები“ 1(2), გვ. 54-63, 2022;
3. გ.თალაკვაძე. ინტეგრალური რესურსების კლასიფიკაციის საკითხისათვის“, „ბიზნეს-ინჟინერინგი“ #3-4, გვ. 107-111, 2021;
4. გივი თალაკვაძე, გიორგი თალაკვაძე „რესურსული პოტენციალის ნეონდუსტრიული პარადიგმა“, „ეკონომიკური პროფილი“, ტომი17 (24), გვ. 66-72, 2022;
5. გ.თალაკვაძე, ი.არჩვაძე, „საქართველოს ინტეგრალური რესურსები“, „მწიგნობარი“, 526 გვ., თბილისი, 2023;
6. ნ.ჭითანავა „საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია“. „ივერიონი“, 378 გვ. თბილისი, 2018;
7. გ.თალაკვაძე „გამოყენებითი ანალიტიკისა და პროგნოზირების ცენტრის შესახებ“, <http://gtu.ge>. ი.ჭორდანას სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი, 2021;
8. გ.თალაკვაძე. „30 წელი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მეოთხე ათწლეულის ზღურბლზე“. „ნეკერი“, 75 გვ. თბილისი, 2020;
9. გივი თალაკვაძე, გიორგი თალაკვაძე, „ინოვაციური პრაგმატიზმი - მიმდინარე ეტაპის გლობალური ეკოსისტემების განვითარების ძირითადი ფაქტორი“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომათა კრებული, სოხუმის სახ. უნივერსიტეტი, გვ.62-68, თბილისი, 2024;
10. А.Панарин, «Народ без элиты: между отчаянием и надеждой», журнал «Наш современник» №11, 2001;
11. Г. Талаквадзе. «Социальные, экономические и мировоззренческие последствия Пандемии Covid-19». Мультидисциплинарный Международный Научный Журнал “Science of Europe”, Vol.3, №60, с.с. 44-50. 2020;
12. Р.Липидин диссертация «Ресурсы цивилизации: Деятельностные и ценностные основания“, Москва, 141 стр. 2001;
13. [julienflorkin.com](http://julienflorkin.com). <https://julienflorkin.com>;
14. iSpace news. Медиапортал о финансах. 2024.


## **ნავთობწარმოქმნის კავშირი ვულკანიზმთან**

### **შესავალი**

უდაოა, რომ საქართველოსთვისა და მთელი მსოფლიოსათვის ერთ-ერთი ჯერ კიდევ ყველაზე მნიშვნელოვანი მინერალური რესურსის ნახშირწყალბადების წარმოშობის საკითხია.

მსოფლიოში თხევადი და აირისებრი ნახშირწყალბადების სასარგებლო წიაღისეულისადმი ინტერესი სულ უფრო და უფრო იზრდება, რადგან ბუნებრივ მინერალურ რესურსებს შორის ნავთობი და გაზი ჯერ კიდევ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. ეს პრობლემა კიდევ ერთხელ გაჟღერდა ენერგეტიკოსთა ერთ-ერთ ბოლო საერთაშორისო კონგრესზე.

ნავთობის გეოლოგიაში ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ საკითხს დღესაც წარმოადგენს ნავთობწარმოშობის საკითხი. აღნიშნულ პრობლემაზე მრავალი ცნობილი მეცნიერ-მკვლევარი მუშაობს, მათ შორის ზოგი იცავს ენდოგენურ წარმოშობის, ე.წ. დ. მენდელეევის კარბიდულ ჰიფოთეზას. ამ ჰიპოთეზის თანახმად, დედამიწის სიღრმეში არსებობს მეტალების კარბიდები, რომლებიც წყალთან რეაგირებისას წარმოშობს ნახშირწყალბადს შემდეგი რეაქციის მიხედვით



და მართლაც, სინთეტიკური ნავთობი აცეტილენის ჰიდროგენიზაციის შედეგად იქნა მიღებული. არსებობს ვარაუდი, რომ მეორე მსოფლიო ომში გერმანელები ტანკებისა და ავტომანქანებისათვის ძირითადად ასეთ საწვავს იყენებდნენ. ნახშირწყალბადიანი ემანაციები დაფიქსირებულია ასევე ოკიანეების ფსკერზე „თეთრ“ და „შავ“ მწვევლებში. ნავთობწყალბადების წარმოშობის აღნიშნული ჰიპოთეზის მომხრეებს შორის არიან, მაგალითად, აზერბაიჯანელი აკადემიკოსი შ. მეხტიევი [1], უკრაინელი მეცნიერი გ. დოლენკო [2] და სხვები.

მაგრამ უმრავლესობა მკვლევარებისა, მათ შორის თქვენი მონა მორჩილი, გახლავთ ნავთობის ორგანოგენული წარმოშობის ჰიფოთეზის მომხრე. მე განზრახ არ ვხმარობ ტერმინ „თეორიას“, რადგან მასაც აქვს სუსტი მხარეები, დაუსრულებელი ხარვეზები, რაზეც ვეცდებით დავარწმუნო მკითხველი.

აი, რას წერს ნახსენები პროფესორი გ. დოლენკო: „...ჰიპოთეზა იმიტომ, რომ არც ორგანული, არც არაორგანული სინთეზის შეხედულება ნავთობის წარმოქმნაზე ვერ ხსნის ბუნებისმეტყველების ამ ერთ-ერთ ყველაზე რთულ პრობლემას“ [2, გვ. 7].

ამ პრობლემით ჩვენ დავინტერესდით მას მერე, რაც ჩვენ სტატიამ „ფილების ტექტონიკის როლი ნახშირწყალბადების უნიკალური და მსხვილი საბადოების ფორმირებაში“ [3] მსოფლიოს მაღალრეიტინგული ჟურნალების გამომცემლობების ინტერესი გამოიწვია.

ნავთობწარმოქმნაში ქვაკუთხედ პრობლემას ე.წ. „კეროგენი“ ანუ ნახშირწყალბადების წარმოშობის საწყისი ანუ ნახევრად პროდუქტია.

ჩვენი არზით, ამ ტერმინმა შეცდომაში შეიყვანა მეცნიერები და მათი შემდგომი კვლევები არასწორი მიმართულებით იქნა წარმართული. მათ შორის არიან ამერიკელი ნავთობწარმოშობის მკვლევარების ლიდერი ჯონ ხანტი [4, 5], საბჭოთა კავშირში ნ. ვასოევიჩი [6], საფრანგეთში ბ. წისო და დ. ველტე [7] და სხვები [7, 8, 9, 15, 16, 17].

ნავთობის გეოლოგიაში ამ ტერმინის შემოღებიდან დღემდე დამკვიდრებულმა არსის გაგებამ სულ სხვა მიმართულებით წაიყვანა მეცნიერება. მაგალითად, ფრანგი მეცნიერების ბ.წისოსი და დ. ველტეს ნავთობის გეოქიმიის რუსული თარგმანის რედაქტორი ნ. ვასოევიჩი,

დადებითად აღნიშნავს რა მათ ნაშრომს, დასკვნაში წერს, რომ სამწუხაროდ დღესაც ნავთობწარმოების ყველა საკითხზე პასუხი ჯერ კიდევ არ გაცემულა. იგივეს აღნიშნავს მათ ინგლისურ ენაზე გამოცემულ მონოგრაფიაში რედაქტორი, პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი ხ. დ. ხედბერგი თავის წინასიტყვაობაში: „... თუმცა ბევრი საკითხი ჯერ კიდევ გაუგებარია. უფრო მეტი გაუგებარია დღესაც ნავთობის მიგრაციისა და აკუმულაციის საკითხები“ [7, გვ. 9].

სამწუხაროდ, მეცნიერებაში არაერთი მაგალითი შეიძლება გავხსენოთ, როდესაც მეცნიერების ამა თუ იმ დარგის გამოჩენილ მეცნიერის არასწორ შეხედულებას, თუნდაც საბადოების გენეზისზე, ძალაუვნებურად თუ მექანიკურად აღიარებენ მისი კოლეგები. საკმარისია მეორე მსოფლიო ომის მაგალითი საბჭოთა კავშირში ურანის მადნების წარმოშობისა და სხვა მოუმზადებელი შეუსწავლელი საკითხები, რომელსაც შეეწირა არაერთი გამოჩენილი მეცნიერ-გეოლოგი.

საქმე იმაშია, რომ ტერმინი „კეროგენი“, რომელიც შემოიღო ჯერ კიდევ 1912 წელს შოტლანდიელმა მკვლევარმა კრუმ ბროუნმა საწვავი ფიქლების ბიტუმიზებულ ნივთიერების დასახელებლად, ძალიან მოეწონა 1932 წელს საბჭოთა კავშირის ნავთობის გეოლოგიის იმდროინდელ მართლა ღირსეულ ლიდერს აკადემიკოს ი. გუბკინს [8].

ამ ტერმინს ნავთობის გეოლოგიის თითქმის ყველა ხმარობს, ჩვენც არა ვართ წინააღმდეგი ამ ტერმინისა, მაგრამ გააჩნია რა შინაარსს ვდებთ მასში.

ოკეანური და ზღვიური მკვდარი ბიოტი შედგება ძირითადად ლიპიდებისა და ლიპოპროტეინებისაგან. ამ უზარმაზარ მოცულობის მკვდარი, მიკროორგანიზმების მიერ ნაწილობრივ გახრწნილ ბიომასის „კეროგენად“ გარდაქმნას სჭირდება (საპნის წარმოების ქიმიური ტექნოლოგიის ანალოგიით) უზარმაზარი მოცულობის ტუტე ნივთიერება.

მართალია, მკვდარი ბიომასის ნაწილი ზღვის „სანიტარების“ - კიბორჩხლებისა, კიბოების და სხვა ოკეანის ფსკერზე მხოხავი ცხოველების „საკვებია“, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოკეანეების ფსკერზე უზომო მოცულობის მკვდარი ბიომასა მაინც დიდი მოცულობის რჩება.

1933 წელს იტალიელმა მკვლევარმა ნ. ტალიაფერომ [9] დაადგინა, რომ როდესაც ვულკანური პიროკლასტური მასალა, მათ შორის ფერფლი, მოხვდება ზღვის აგრესიულ წყალში, ის განიცდის დაშლას, რომლის შედეგად წარმოიქმნება მონტმორილონიტი. ამ პროცესს ჰქვია „ჰალმიროლიზი“. ამასთან, საკმაოდ დიდი რაოდენობით რჩება თავისუფალი კაჟმიწა ( $SiO_2$ ), რომელსაც წყალმცენარეები დიატომეები და რადიოლარიები იყენებს თავისი ჯავშნის ასაშენებლად.

1936 წელს იგივე პროცესზე დაიწერა ფრანგი გეოლოგის ლ. ონიზენის სტატია [10], რომელშიც დეტალურადაა აღწერილი მის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი, რომლის შედეგად დადასტურებულია ნ.ტალიაფეროს მიერ აღმოჩენილი ზღვის წყალში ვულკანური ფერფლისგან ტრანსფორმირებული მონტმორილონიტი.

ჩვენი აზრით, სწორედ მონტმორილონიტი, ტრანსფორმირებული ვულკანური პიროკლასტიკის ხარჯზე, ზღვის მკვდარ ბიომასას გარდაქმნის „კეროგენად“, ანუ ემულგირებულ საპნისებრ ნივთიერებად, რადგან არის ძლიერი ნატრიუმიანი ტუტე ადსორბენტი და ემულგატორი.

ვფიქრობთ, ამ პროცესის გათვალისწინებით, თავიდანვე უნდა ყოფილიყო „კეროგენის“ როგორც ნავთობის საწყისი ნივთიერების არსის აღთქმა. გათავაზობთ ამ პროცესის მოქმედებას ჩვენს ხელთ არსებულ ნივთიერებულ მაგალითზე.



ქარიანის ვულკანური ფერფლის ქიმიური შემცველობა (%-ში):

SiO<sub>2</sub> -70; Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> - 14; Fe<sub>2</sub>O<sub>3</sub> - 2; CaO - 2; MgO - 1,5; TiO<sub>2</sub> - 0,5; Na<sub>2</sub>O - 3; K<sub>2</sub>O - 4; SO<sub>3</sub> - 0;  
P<sub>2</sub>O<sub>5</sub> - 0,12; ხურ. დან. - 7.

ნივთიერი შედგენილობა (%-ში): ვულკანური მინა - 97; შედარებით საღი მინდვრის შპატი - 1; ცალკეული მარცვლები - პიროქსენი, ეფუზივების ნატეხები, მაგნეტიტი. მარცვლების ფორმები - მომრგვალო, ნამგლისებრი, რქისებრი.

მონტმორილონიტის შემცველობა (მას. %-ში):

SiO<sub>2</sub> -48,56; Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> - 11-22; Fe<sub>2</sub>O<sub>3</sub> - >5; MnO - 4-9; CaO - 0,8 -3,5; H<sub>2</sub>O - 12-24; ხშირია K<sub>2</sub>O, Na<sub>2</sub>O და სხვა.

ავღნიშნავთ რამდენიმე ფაქტორს, რომელიც ადასტურებს ნავთობწარმოების კავშირს ვულკანიზმთან.

1. თითქმის ყველა ნავთობბადი ფორმაცია წარმოდგენილია წვრილდისპერსიული თიხაფიქლებით. ასე, აკადემიკოსი ი. გუბკინი აღნიშნავდა, რომ აფშერონის ნავთობის ფორმაციასთან რატომღაც ასოცირდება დიატომიტები [8, გვ. 352];

სხვათა შორის, საქართველოს მონტმორილონიტის საბადოებზე და გამოვლინებებზე ხშირია თანამდევი კაჟმიწის მინერალიზაცია, რომელიც წარმოდგენილია ოპოკებით, დიატომიტით, ქალცედონით;

2. თითქმის ყველა გიგანტურ და მსხვილ საბადოებზე აღინიშნება ნავთობის ფორმაციების კავშირი თიხაფიქლებთან. ასეთია მექსიკის მონტერეის თიხაფიქლები, საფრანგეთის „მუყაოსებრი“ ქვედატოარსული ფიქლები (Schistes Cartons), გერმანიის პოსიდონიური ფიქლები, ეოცენური გრინ-რივერის „მაოგენის ფენების“ საწვავი თიხები, მდ. რეინის ხეობის „მესელის“ ეოცენური ფიქლები და „ბუკსვილერის“ თიხები, კანადის ალბერტას პროვინციის ცარცული „ვიკინგის“ თიხები;

3. მთელი რიგი ცნობილი მეცნიერი აღნიშნავს, რომ თოხოვან ნალექებში ორგანული ნივთიერების შემცველობა მეტია ვიდრე სხვა ქანებში. ვკითხულობთ მხოლოდ ფაქტის ფიქსაციას დასაბუთების გარეშე. მაგალითად, P.D. Trask-ი [11] აღნიშნავს, რომ „... ორგანული ნივთიერების შემცველობა მატულობს ნალექის მარცვლიანობის დისპერსიასთან შესაბამისად“ და წერს, რომ თიხებში ორჯერ მეტია ორგანული ნივთიერება ვიდრე ალევრიტებში და მერგელებში, ხოლო მათში მეტია ვიდრე ქვიშებში.

იგივეს ამტკიცებენ ბ. ზალესკი [12] და Park John Donc-ი [13].

4. კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ადასტურებს ნავთობწარმოების კავშირს ვულკანიზმთან. როდესაც კეროგენი (ჩვენი გაგებით) მოხვდება ე.წ. „ნავთობწარმოების მთავარი ფაზის“ არეალში - 60-150°C [5] ანუ „ნავთობის ინტენსიური წარმოქმნის ზღურბლზე“ [4], J. Hant-ისა და J. Connan-ის მიხედვით [14], ოკეანების ნავთობბად წვრილდისპერსიულ ნალექებში, მონტმორილონიტი მათ შემადგენლობაში აღარ ფიქსირდება. ცხადია, რათა თითქმის მთლიანად მონტმორილონიტური ფაზა იხარჯებოდა მკვდარი ბიოტის ემულგირებაზე ანუ საპნისებრი „კეროგენის“ წარმოქმნის პროცესში. ნიშანდობლივია, რომ საპნისებრი ნივთიერება მიეკუთვნება ნახშირწყალბადების ჯგუფს (C<sub>17</sub>H<sub>35</sub>COONa) და მის შემადგენლობაში სხვა ცხიმოვან მჟავებს შორის ნავტენური ნახშირწყალბადებიც მონაწილეობს.

დიაგენეზისა და კატაგენეზის ადრინდელ სტადიაზე, ტემპერატურისა და წნევის ზრდასთან ერთად ხდება ამ ნივთიერების „მომწიფება“.

ფოროვან ქანებში საპნისებრი ნავთობის ემულგირებული ნივთიერება მიგრაციის დროს იფილტრება: ფორებში რჩება ნავთობმაგვარი ფაზა, ხოლო „ნავთობიანი წყალი“ (ფილტრატი, რძის შრატის ანალოგიურად) ღია ფორების საშუალებით მიგრირებს სხვა ქანებში.

საპნისებრ ნივთიერების ნავთობად გარდაქმნას ჭირდება, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, გარკვეული სითბო, რომელსაც განაპირობებს სუბდუქციის ზონებთან სიახლოვე, გეოთერმული გრადიენტი, დისიპატიური და ნობელის პრემიის ი. პრიგოჯინის სინერგეტიკა და სხვა.

საბოლოოდ, ნავთობის ლოკალიზაცია ხდება სათანადო კოლექტორებში, ხელსაყრელ სტრუქტურულ „დამჭერებში“. ამასთან, ნავთობის მიგრაციის შედეგად ასევე მსხვილი ბუდობების ფორმირებაში დიდი როლი ენიჭება ფილების გადაადგილებასაც [3].

### დასკვნები

განხილულია ნავთობწარმოქმნის ჰიპოთეზები და წარმოდგენილია ნახშირწყალბადების წარმოქმნის ერთ-ერთი შესაძლო მოდელი, რომელიც ითვალისწინებს სედიმენტოგენეზის სტადიაზე აუზების ფსკერზე წვრილდისპერსულ ტერიგენულ მასალასთან ერთად ვულკანოგენური მასალის, მათ შორის ფერფლის დალექვას.

- ეს მასალა ჰალმიროლიზის შედეგად გარდაიქმნება მონტმორილონიტურ თიხად. დანალექ მასალასთან ერთად დიდი რაოდენობით ილექება მიკროორგანიზმების მიერ ნაწილობრივ გადამუშავებული ორგანული ნაშთები, რომელიც საპროპელისებრი მასალის მსგავსად ტივტივებს ფსკერზე.

- მონტმორილონიტი, როგორც ძლიერი ტუტე სახეობა ახდენს ბიომასის ემულგირებას და  $C_{17}H_{35}COONa$  შედგენილობის მქონე საპნისებრ ნივთიერების წარმოქმნას.

- ამ ნივთიერების შემადგენლობაში, სხვა ცხიმოვან მჟავებთან ერთად, ნაფტენური მჟავებიც მონაწილეობს.

დიაგენეზის და კატაგენეზის საწყის სტადიაზე, ტემპერატურისა და წნევის ზრდასთან ერთად, ხდება ნივთიერების „მომწიფება“ და ნავთობად ტრანსფორმირება, შემდეგ კი მისი მიგრაცია და ლოკალიზება სათანადო კოლექტორებში, სტრუქტურულ და ჰიდროდინამიკურ „დამჭერებში“.

### რეზიუმე

განხილულია ნავთობწარმოშობის ჰიპოთეზები და წარმოდგენილია ნახშირწყალბადების წარმოქმნის ერთ-ერთი შესაძლო ახალი მოდელი, რომელიც ითვალისწინებს სედიმენტოგენეზის სტადიაზე აუზების ფსკერზე წვრილდისპერსიულ ტერიგენულ მასალასთან ერთად ვულკანოკლასტები, მათ შორის ფერფლის დალექვას. ეს მასალა ჰალმიროლიზის შედეგად გარდაიქმნება მონტმორილონიტურ თიხად. დანალექ მასალასთან ერთად დიდი რაოდენობით ილექება მიკროორგანიზმების მიერ ნაწილობრივ გადამუშავებული ორგანული ნაშთები, რომელიც საპროპელისებრი მასალის მსგავსად ტივტივებს ფსკერზე. მონტმორილონიტი, როგორც ძლიერი ტუტე სახეობა ახდენს ბიომასის ემულგირებას და  $C_{17}H_{35}COONa$  შედგენილობის მქონე საპნისებრი ნივთიერების წარმოქმნას.

ამ ნივთიერების შემადგენლობაში, სხვა ცხიმოვან მჟავებთან ერთად, ნაფტენური მჟავებიც მონაწილეობს. დიაგენეზის და კატაგენეზის საწყის სტადიაზე, ტემპერატურისა და წნევის ზრდასთან ერთად, ხდება ნივთიერების „მომწიფება“ და ნავთობად ტრანსფორმირება, შემდეგ კი მისი მიგრაცია და ლოკალიზება სათანადო კოლექტორებში, სტრუქტურულ და ჰიდროდინამიკურ „დამჭერებში“.

## The Role of Volcanism in The Oil Generation

G. Maghalashvili

**Abstract:** Oil origination hypotheses are considered in the article and a new possible model of fossil hydrocarbons generation is proposed. According to the model at the sedimentogenesis stage on basins seafloor the sodium alkaline montmorillonite clays are produced by means of galmirolisys of mainly volcanogenic terrigenous sediments. Co-sedimented sapropel-like organic matter is emulsified by montmorillonite and soap-like substance of  $C_{17}H_{35}COONa$  general formula is produced. The substance along with others contains naphthenic series as well. During the katagenesis the substance is matured, hydrocarbons generated and migrate to reservoirs.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Мехтиев Ш.Ф. Проблемы генезиса нефти и формирование нефтегазовых залежей. АН Аз. ССР, 1969, 229 с.;
2. Доленко Г.Н. Происхождение нефти и газа и нефтенакпление в земной коре. АН Укр. ССР, Наукова Думка, Киев, 1986, 135 с.;
3. Магалашвили Г.А. Роль плитной тектоники при формировании уникальных и крупных месторождений углеводородного сырья (на примере Кавказа). Вестник РАЕН, 2014, с. 34-41;
4. John Hunt. Petroleum geochemistry and geology. 1979.;
5. Хант Д.Ж. Геохимия и геология нефти и газа. Москва, Мир, 1982, 704 с.;
6. Вассоевич Н.Б. Теория осадочно-миграционного происхождения нефти. Изв. АН СССР. сер. геол. №11, 1967, с. 135-156;
7. Тиссо Б., Вельте Д. Образование и распространение нефти. Изд. "Мир". Москва. 1981, 502 с.
8. Губкин И. М. Учение о нефти. Москва-Ленинград. ОНТИ. 1932, 458 с.;
9. Talliaferro N. L. The relation of diatomaceous and associated silicean sediments. Univ. of California Publicat., vol. 23, No. 1, 1933;
10. Ogniben.L. Relazioni fra Tripoli della serie solfifera Siciliana e vulcanismo. Beull. serv. geol. Italia, 77, No. 1, 1955;
11. Trask P.D., Hammar R.E., Wu C.C. Origin and environment of source sediments of petroleum. Houston: Sulf Publ., 1932, 323 p.;
12. Залесский Б.В., Санина Е.А. К вопросу определения проницаемости массивных горных пород. Тр. Инст. геол. рудн. мест., петрогр., минер. и геохимии АН СССР, вып. 43, Москва. 1961, с.1-119;
13. Park John Donc. Механика нефтяного пласта. Москва, Гостоптехиздат. 1947, 264 с.;
14. Connan J. Lime-temperature relation in oil genesis. Bull. Amer. Assoc. Petrol., Geol., vol. 58, 1974, p.p. 2516-2521;
15. Bray E.E., Evans E.D. Hydrocarbons in nonreservoir-rock source beds. Part 1. Bull. Amer. Assoc. Petrol. Geol., vol. 49 No. 3. 1965, p.p. 248-257;
16. Oinuta K., Kabayashi K. Quantitive study of clay minerals in some recent marine sediments and Sedimentary rock from Japan. Clays and Clay Minerals. vol. 26 1966, p.p. 217-223;
17. Philippi G. On the depth, time and mechanism of petrol. generation and cosmochim. acta. vol. 29, No. 9. 1965.

## ოთარ ფარესიშვილი

ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

სტუ-ის ი. ჟორდანიას სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების  
შემსწავლელი ცენტრის განყოფილების გამგე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

## ვალენტინა მირზაევა

სტუ-ის ი. ჟორდანიას სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების  
შემსწავლელი ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი

### ახალი მიდგომების შესახებ ბუნებრივი რესურსების სფეროში

ბუნებრივი რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების მზარდი მნიშვნელობა ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის, დღის წესრიგში აყენებს რესურსების ათვისებისას ოპტიმალური და პრიორიტეტული გადაწყვეტილებების არჩევის პრობლემას, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შეზღუდული საშუალებებისა და გლობალური გამოწვევების პირობებში.

თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით, არსებული პრობლემების წარმატებით გადასაჭრელად მიზანშეწონილია, ტრადიციულ მეთოდებთან ერთად, ახალი მიდგომების შემუშავება და აქტიური გამოყენება, აგრეთვე ამ სფეროში მოდელირების, კონტროლის და მართვის მეთოდების ადაპტირება, რომლებმაც წარმატებით დაამტკიცეს თავისი ეფექტიანობა ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. აღნიშნული მეთოდები დაფუძნებულია სისტემურ ანალიზზე, რომელიც ემყარება შესაბამის საფეროში მომუშავე კვალიფიციური ექსპერტების მოსაზრებებს.

ათწლეულების მანძილზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი. ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის (*შემდგომში* „ცენტრი“) სამეცნიერო კოლექტივი ახორციელებს ფართომასშტაბიან კვლევებს ბუნებრივი რესურსების სფეროში, ამზადებს მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ როგორც დარგობრივ, ისე რეგიონულ ჭრილში, აქვეყნებს სამეცნიერო პუბლიკაციებს ამ თემაზე. ბოლო წლებში, შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ კონკრეტულ რესურსებზე მიმდინარე კვლევების პარალელურად, ორგანიზაციაში განიხილება ახალი, ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს რესურსების გაერთიანებას ერთ სისტემაში, რაც საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ არსებული კორელაციები სხვადასხვა რესურსებს შორის, უფრო ზუსტად შევაფასოთ რესურსების აღდგენის (აღწარმოების) პოტენციალი და, შესაბამისად, შევიძუშაოთ გარემოს მართვის უფრო რაციონალური მეთოდები. რესურსული სფეროსადმი სისტემური მიდგომა, ინტეგრალური რესურსების კონცეფციის ახალი მნიშვნელობებით გამდიდრება და მისი ფართო სამეცნიერო მიმოქცევაში დანერგვა, რიგი ინოვაციური მიდგომების ინიცირება ახალ პერსპექტივებს სახავს არა მხოლოდ თვით რესურსულ სფეროში, არამედ მთლიანად ეკონომიკაში.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ახალი კონცეფცია (იდეა) და მიდგომა, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს რესურსების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობა, გარე სამყაროში და ქვეყნის შიგნით სწრაფად ცვალებადი რეალობის პირობებში.

ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავება ხანგრძლივი პერიოდისთვის, კომპლექსური ეკონომიკური მოდელის აგება, რომელიც ითვალისწინებს არსებულ მნიშვნელოვან ფაქტორებსა და სხვადასხვა დარგებს შორის კორელაციას. გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი ქვეყნის

სტრატეგიული განვითარების გეგმა გულისხმობს მისი განხორციელების პრაქტიკული გზების შემუშავებას, ტაქტიკური ნაბიჯებისა და კონკრეტული აქტივობების თანმიმდევრობის განსაზღვრას, ამასთან არ გამოირცხავს შესაბამისი კორექტირების შესაძლებლობას ახალი გარემოებების წარმოქმნის შემთხვევაში. აუცილებელია დინამიკაში პროცესების განვითარების მონიტორინგი, როგორც შიდა, ისე გარე მოვლენებზე დაკვირვება და ინსტრუმენტი, შემუშავებულ „საგზაო რუკაზე“ ადეკვატური ცვლილებების დროზე შესატანად.

ეკონომიკური მოდელის ფორმირებისას შეიქნება ხელსაყრელი გარე პირობები, რაც ქვეყანას განვითარების შემუშავებული გეგმების წარმატებით განხორციელების საშუალებას მისცემს. ამავდროულად, ისტორიული პროცესის მთელი მიმდინარეობა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ კაცობრიობის განვითარების შედარებით მშვიდი პერიოდებისა და სწრაფი, მეტად მდელვარე ცვლილებების პერიოდების თანაფარდობა ხშირად ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ვითარდება. ერთ-ერთი ასეთი ტრანსფორმაციული პერიოდი ზუსტად ჩვენს დროში დადგა. ამასთანავე, წინა ეპოქებისგან განსხვავებით, დღეს განვითარებადი პროცესების ტურბულენტობის დონეს მნიშვნელოვნად ზრდის ჩვენი დროის ძირითადი ფაქტორები - გლობალიზაცია და საზოგადოების ტოტალური ინფორმატიზაცია, რაც ხელს უწყობს მსოფლიოს ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ზრდას. კრიზისული მოვლენები თავს იჩენს მრავალ სფეროში, ფაქტობრივად, სამყარო შევიდა არასტაბილურობის პერიოდში - ასეთ დროს მოვლენათა ბუნებრივი, თანმიმდევრული მიმდინარეობა ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაირღვეს. გლობალური არასტაბილურობა ხელს უწყობს სტრატეგიული გაურკვევლობისა და სტრატეგიული დაუცველობის გაჩენას ცალკეული ქვეყნებსა და მთლიანად კაცობრიობისთვის. ნებისმიერ ქვეყანას შეიძლება შეექმნას არა მხოლოდ სერიოზული, არამედ ეგზისტენციალური გამოწვევა, როდესაც საქმე ეხება ხალხის გადარჩენას, და სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტის არსებობას. საგანგებო ვითარებაში აუცილებელია ადრე შემუშავებული განვითარების სტრატეგიული გეგმის შეჩერება და საგანგებო ზომების მიღება ქვეყნის შესანარჩუნებლად.

